

რანერ მარია რილკე

თხოვლებანი

სუთ ტოვად

ტოვი V

პირადი მიმოწერიდან



„კავკასიური სახლი“

UDC (უპკ) 821.112.2(436)-6
რ-59

ნაირა გელაშვილის საერთო რედაქციით
Herausgegeben von NAIRA GELASCHWILI

რაინერ მარია რილკეს საზოგადოება
Rainer Maria Rilke-Gesellschaft in Georgien

თბილისი
Tbilissi
2009

ISBN 978-99940-969-2-3 (ხუთტომეულის)
ISBN 978-9941-400-11-7 (მეხუთე ტომის)

რ. მ. რილკეს ხუთტომეულის V ტომის ფინანსური
მხარდაჭერისათვის განსაკუთრებულ მადლობას
ვუხდით ევროპულ ფონდ HORIZON-ს

We would like to express our special gratitude
to the European Foundation HORIZON for
publishing the V book of R. M. Rilke's 5 volume edition

Unser besonderer Dank für die finanzielle
Unterstützung bei der Herausgabe des vorliegenden
Rilkebandes gilt der europäischen Stiftung HORIZON

შინაარსი

- I ტომი ლექსები. წერილები რილკეს შესახებ
- II ტომი ლექსები. წერილები რილკეს შესახებ
- III ტომი რომანი. მოთხრობები. ლექსები პროზად. წერილები რილკეს შესახებ
- IV ტომი წერილები ხელოვნების შესახებ. წერილები რილკეს შესახებ
- V ტომი პირადი მიმონერიდან. წერილები რილკეს შესახებ



Inhalt

- Band I** Gedichte. Aufsätze über Rilke
- Band II** Gedichte. Aufsätze über Rilke
- Band III** Roman. Erzählungen. Gedichte in Prosa. Aufsätze über Rilke
- Band IV** Schriften über Kunst. Aufsätze über Rilke
- Band V** Aus Privatbriefen. Aufsätze über Rilke

პირალი მიმონერილან

ლუ ანდრეას-სალომეს
 ობერ-ნოილანდი, ბრემენი,
 8 აგვისტო, 1903 წელი.

როდენს პირველად რომ ვეწვიე, საუზმე გარეთ, სუფთა ჰაერზე გაგვიშალეს. აქ, მედონში, ისეთი ადამიანების გვერდით მოვხვდი, რომელთა გაცნობა ძნელად თუ ხერხდება ხოლმე. ჰოდა, ამ უცხო ხალხის შემყურე, უმალ მივხვდი: როდენისთვის მისი სახლ-კარი არაფერს ნიშნავდა. იგი პატარა, უბადრუკი სადგომი იყო, წვიმის-აგან თავშესაფარებლად და ღამის გასათევად რომ სჭირდებოდა მხოლოდ. მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ეს ამბავი მას დიდად არ ადარდებდა და მის მარტოობასა თუ გულპყრობილობას დაღს არ ასვამდა. დიახ, მისი არსების სიღრმეში ჩაკარგულიყო სახლ-კარის ბინდბუნდი, იქ იყო მისი თავშესაფარი და სიმშვიდე, რომელსაც თვითონ გადაჰფარებოდა ზემოდან ცად, შემოვლებოდა გარშემო ტყედ, სივრცედ თუ მის მიღმა ფართოდ მედინ ნაკადად.

ო, რა ეულია ეს საკუთარ თავში ჩალრმავებული ბერიკაცი, წვენსავსე ბებერ ხესავით რომ აღმართულა შემოდგომის წიაღში. როდენი გაღრმავდა; მან საკუთარ გულს გაუთხარა ეს სიღრმე და ახლა მისი გულისცემა უფრო შორიდან, თითქოს მთების შუაგულიდან მოისმის. ფიქრებს მოუცავთ და სიმძიმითა და სიტკბოებით აღუვსიათ იგი, და ეს ფიქრები ზედაპირზე როდი იფანტებიან. როდენი ყოველივე უმნიშვნელოსა და წერილმანის მიმართ უგრძობი და მკაცრი გახდა. ასე გგონია, თითქოს ბებერ-ქერქშემოკრული დგას ადამიანებს შორის. სამაგიეროდ, საკმარისია, რაიმე მნიშვნელოვანი დაინახოს, საკმარისია, მის გვერდით საგნები გაჩნდნენ, ანდა ადამიანები და ცხოველები საგნებივით მშვიდად შეეხონ მას, რომ მყისვე მთლიანად გაიხსნება. აი, მაშინ იგი კვლავ მოწაფედ და ახალბედად იქცევა და იმ მშვენიერების ჭვრეტასა და მიბაძვას იწყებს, მთვლემარეთა, დაბნულთა და გულგრილთათვის ჩვეულებრივ უკვალოდ რომ ჩაიკარგება ხოლმე. ამ დროს იგი საოცრად ყურადღებიანია, მის თვალს არაფერი გამოეპარება; ეს მოსიყვარულე კაცი, დღენიადაგ რალაცას რომ შეიმეცნებს, თმენითაა აღსავსე, დროს არაფრად დაგიდევთ და სხვა სურვილები აღარ ანუხებს. რასაც როდენი ჭვრეტს და საკუ-

თარი მზერით მოიცავს, მისთვის მუდამ ერთადერთია, — ეს მთელი სამყაროა, რომელშიც ყველაფერი ხდება. ხელს თუ ძერწავს, სივრცეში მხოლოდ და მხოლოდ ეს ხელი არსებობს, მის გარდა იქ სხვა არაფერია. ღმერთმაც ხომ ექვს დღეში მხოლოდ ერთადერთი ხელი შექმნა, მერე მის გარშემო მიმოღვარა წყლები და თავზე ცის თალი გადააფარა. თავისი საქმე რომ მოათავა, მოსვენებას მიეცა. აი, ასე შეიქმნა მთელი ეს დიდებულება და ეს ხელი.

ცხოვრებისა და ჭვრეტის ამგვარ უნარს ასე მტკიცედ იმიტომ ჩაუბუდებია მასში, რომ მან ეს უნარი ხელოსნის რუდუნებით მოიპოვა; როდესაც თავისი ხელოვნების ამ უსასრულოდ არამატერიალურსა და მარტივ სტიქიონს ეუფლებოდა, მაშინ ეზიარა უდიდეს სამართლიანობას, ამ წონასწორობას სამყაროს პირისპირ, წონასწორობას, რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი სახელი და ავტორიტეტი, და რაკი განგებამ საგნების ხედვის უნარი დაანათლა, საკუთარ თავში ამ საგნების ძერწვის უნარიც გამონახა. მისი დიდი ხელოვნების არსიც სწორედ ესაა. ამიერიდან მას ვერავითარი მოძრაობა ველარ აუბნევს გზა-კვალს, რადგან იცის, რომ თვით უმშვიდესი სიბრტყეც დღენიადაგ მოძრაობაშია. იგი ხედავს მხოლოდ სიბრტყეებსა და სიბრტყეთა სისტემებს, რომლებიც მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრავენ ფორმებს. მისთვის არაფერია გაურკვეველი საგანში, რომელსაც მოდელად იყენებს. მის წინაშეა სივრცეს მისადაგებულ სიბრტყეთა ათასობით ნაწილი, და როცა იგი ქმნის ხელოვნების ნიმუშს, მისი ამოცანაა: საგანი კიდევ უფრო გულწრფელად, უფრო მტკიცედ და უზადოდ შეურწყას სივრცეს ისე, რომ იგი არც კი შეინძრეს, თუნდაც შეარხიონ.

საგანი განსაზღვრულია; მით უფრო განსაზღვრული უნდა იყოს ხელოვნების საგანი; მას უნდა ჩამოსცილდეს ყოველგვარი შემთხვევითობა თუ გაურკვეველობა; საგანი უნდა გათავისუფლდეს დროის არტახებისაგან და სივრცეს გადაეცეს. ასეთი საგანი ჟამთა სვლას უძლებს და მარადისობას ეზიარება. მოდელი ჩანს, ხელოვნების საგანი კი — არის. ამიტომაც ხელოვნების საგანი მოდელთან შედარებით უსახელო წინსვლას წარმოადგენს, ესაა მშვიდი და ზეალმტაცი განხორციელება საგნის სურვილისა: იყოს; ესაა სურვილი, ყველაზე უფრო ბუნებაში რომ ხორციელდება. ეს

კი გამორიცხავს შეცდომას, ხელოვნება თვითნებურ და პატივ-მოყვარულ საქმიანობად მივიჩნით. ეს არის მთლიანად კანონებს დამორჩილებული, ყველაზე თვინიერი მსახურება. მაგრამ ამ შეცდომამ მოიცვა ხელოვნების ყველა დარგი და შემოქმედი. ამიტომ იყო საჭირო ძლევამოსილი ადამიანის გამოჩენა, რომელიც მის წინააღმდეგ აღსდგებოდა. ეს ქმედითი ადამიანი ლაპარაკს კი არ მოჰყვებოდა, არამედ საგნებს შექმნიდა დაუღალავად. როდენის ხელოვნება იმთავითვე განხორციელება-განამდვილება იყო (ანუ, ეს იყო მუსიკის საპირისპირო რამ, რომელიც სახეს უცვლის ყოველდღიური ცხოვრების მოჩვენებით სინამდვილეს და მას კიდევ უფრო მეტად აქცევს მსუბუქ, მოუხელთებელ მოჩვენებითობად; ამიტომ, ხელოვნების ამ საპირისპირო მოვლენას — შე-ნივთების უუნარობას, თვითგადმონთხევა-გადმოღვრის ცდუნებას — ამდენი მიმდევარი, მსმენელი და თაყვანისმცემელი რომ გაუჩნდა, ამდენი შებოჭილი და სიტკბოების მონა, როლებიც თავისი შინაგანი ძალებით კი არ მალდებიან, არამედ გარედან მიღებულ ძალას მოჰყავთ აღტაცებაში...).

როდენი, რომელიც სიღარიბეში დაიბადა და დაბალ ფენას განეკუთვნებოდა, სხვაზე უკეთ ხედავდა, რომ დრო და გარემოებანი ყველაფერს ემუქრებიან, რაც კი რამ მშვენიერია ადამიანებში, ცხოველებსა თუ საგნებში. მან იცოდა, მშვენიერება წამიერია, იგი სიჭაბუკეს ჰგავს, ყველა ცხოვრებას რომ დაუდგება და წაუვა, და არასოდეს გასტანს დიდხანს. მას მოსვენებას უკარგავდა მოჩვენებითობა იმისა, რასაც ვერაფრით შელევოდა და საჭირო და აუცილებელ სიკეთედ თვლიდა. ეს იყო მშვენიერების მოჩვენებითობა; მას სურდა, რომ მშვენიერება ყოფილიყო და თავის ამოცანად მიაჩნდა, საგნები (რადგან ისინი ხანგრძლივად არსებობენ) სივრცის უფრო საიმედო, მშვიდი და მარადიული სამყაროსათვის მიესადაგებინა. თავის შემოქმედებაში როდენი ქვეშეცნეულად იყენებდა ამ მისადაგებისა თუ შეგუების ყველა კანონს და მისი შემოქმედება სწორედ ამიტომ განვითარდა ასე ორგანულად, ამიტომ გახდა ესოდენ სიცოცხლისუნარიანი. იგი იმთავითვე არასოდეს ცდილა „გარეგნობის მიხედვით“ შეექმნა რაიმე. როდენმა არ იცოდა უკანდახევა, იგი მუდამ ახლოს იდგა ქმნად საგანთან, მუდამ დახრილი იყო მასზე. დღესდღეობით ეს უჩვეულო თვისება

იმდენად გაძლიერდა მასში, შეიძლება ითქვას, რომ როდენს სრულიად არ აღეგულებს მისი საგნების გარეგნული მხარე, იმდენად ცოცხლად შეიგრძნობს მათს *ყოფიერებას*, ნამდვილობას, სრულ გათავისუფლებას ყოველგვარი გაურკვეველობისაგან, სრულქმნილებას, ვარგისიანობასა და დამოუკიდებლობას. მისი საგნები დედამიწაზე კი არ დგანან, ამ დედამიწის ირგვლივ მოძრაობენ.

რადგან როდენის დიდი ხელოვნება ხელოსნობიდან ამოიზარდა და იყო პირმშო თითქმის წინასწარ მოუფიქრებელი, თვინიერი ნებისა, შეექმნა სულ უფრო და უფრო უკეთესი საგნები, ამიტომაც როდენი — ხელშეუხებელი, ყოველგვარი წინასწარი განზრახვისა თუ მასალისაგან განწმენდილი — ერთ-ერთ ყველაზე თავმდაბალ ქმნილებად დგას თავის ზრდასრულ საგნებს შორის. დიადი აზრები თუ ამაღლებული მნიშვნელობები კანონებად იზადებოდნენ მასში, რათა კეთილსა და სრულყოფილში აღსრულებულიყვნენ. როდენს თავად არ გამოუხშია ეს კანონები; მას არ სურდა ისინი; იგი ყურმოჭრილ ყმასავით ვიდოდა თავისი გზით და ასე შექმნა დედამიწა თუ ათასობით დედამიწა. მაგრამ ყოველი დედამიწა, რომელიც ცოცხლობს, საკუთარ ცას ასხივებს და ვარსკვლავებით მოჭედულ ლამეებს მარადისობაში მოისვრის!

როდენის ქმნილებებს სწორედ ის ანიჭებს სულისშემძვრელ უშუალობასა და სინმიწედს, რომ მას არაფერი გამოუგონია. ჯერ კიდევ ჩანაფიქრის სახით არსებულ მცირე ზომის ფიგურებსა თუ დიდ კომპოზიციებს იგი არასოდეს განალაგებდა წინასწარ (რადგან ჩანაფიქრი ერთია და თითქმის არაფერს ნიშნავს, ხოლო მისი ხორცშესხმა — სულ სხვაა და უკვე ყველაფერია). იგი თავდაპირველად საგნებს, უთვალავ საგანს ძერწავდა, და მხოლოდ შემდეგ ქმნიდა მათგან ახალ ერთიანობას, ანდა საშუალებას აძლევდა, თავისთავად ამოზრდილიყო მათგან ეს ერთიანობა. მისი კომპოზიციები სწორედ იმიტომ გახდა ასეთი ორგანული და კანონზომიერი, რომ იგი იღებებს კი არა, საგნებს აკავშირებს ერთმანეთთან. ასეთი ქმნილებები შეეძლო შეექმნა მხოლოდ მუშის ხელებს, ხოლო მან, ვისაც მსგავსი რამ შეუქმნია, თამამად შეიძლება უგულვებლყოს შთაგონება. ასეთ შემოქმედს ეს შთაგონება დროდადრო კი არ ეწვევა, განუყრელად მასშია, დღისით თუ ღამით, შთაგონებას ბადებს შემოქმედის თითოეული

მზერა, მისი ხელის ყოველ მოძრაობას თანგამოყოლილი სიტბო. და, რაც უფრო იზრდებოდნენ მის გარშემო მყოფი საგნები, მით უფრო იშვიათად აღწევდა როდენამდე ყველაფერი, რასაც კი შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის. მის გარემომცველ უახლოეს სინამდვილეზე იმსხვრეოდა ყოველგვარი ხმაური; თავად მისი შემოქმედება იცავდა მას. როდენი ისე გრძნობდა თავს თავის ქმნილებებს შორის, თითქოს ტყეში ცხოვრობდა; და ალბათ დიდი ხანია მოედინება ეს ცხოვრება, რადგან მისი დარგული ნერგები ტანძლიერ ხეებად ქცეულან უკვე. როდესაც იმ საგნებს შორის დააბიჯებ, რომლებითაც იგი სულდგმულობს და ცოცხლობს, ყოველდღიურად ჭვრეტს და სრულყოფს, ერთობ უმნიშვნელოდ და მეორეხარისხოვნად გეჩვენება მისი სახლიცა და ამ სახლში შემოჭრილი ხმაურიც. თითქოს ყველაფერ ამას სიზმარში ხედავდე, უჩვეულოდ ადგილმეცვლილსა და რამდენიმე მკრთალი მოგონებით განათებულს. მისი ყოველდღიური ცხოვრება და ამ ცხოვრებაში შემოჭრილი ადამიანები დამშრალი მდინარის კალაპოტივით არიან, რომელშიც თავად აღარ მიედინება. მაგრამ ამან არ უნდა დაგვალონოს. აქვე გვერდით ხომ ძღვევამოსილი ნაკადის დიდებული ბუბუნი ისმის, ნაკადისა, რომელმაც არ მოისურვა ორ ტოტად გაყოფა.

და მე მგონია, ლუ, რომ ეს ასეც უნდა იყოს... ო, ლუ, თუკი ლექსი გამომდის, იმ ერთ ლექსში ბევრად უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე ყველა ჩემს ურთიერთობასა თუ მისწრაფებაში. მაშინ ვარ მართალი და ნამდვილი, როდესაც ვქმნი, და ნეტავ ვპოვო ძალა, რომელიც შემადლებინებს მთელი ჩემი ცხოვრება ამ სიმართლეზე, ამ გულწრფელ, დაუსაბამო უბრალოებასა და სიხარულზე დავაფუძნო, დროდადრო მეც რომ მიწილადებს ხოლმე ღმერთი. როდენთან მიმავალიც სწორედ ამას ვნატრობდი, რადგან აი, უკვე მრავალი წელია გუმანით ვგრძნობდი მის შემოქმედებას და იგი უკიდევანო ნიმუშად თუ მაგალითად მესახებოდა. იქიდან დაბრუნებული კი მივხვდი, რომ ჩემს მიზნებს მხოლოდ ჩემს შემოქმედებაში უნერიათ აღსრულება. სხვა უფლება მე არ გამაჩნია. აქაა ჩემი სახლი, აქ დამკვიდრებულან არსებანი, ნამდვილად ჩემიანებად რომ ვთვლი, აქ არიან ქალები, რომლებიც მჭირდება, ბავშვები, რომლებიც დაიზრდებიან და მერე დიდხანს, დიდხანს

იცოცხლებენ. მაგრამ საიდან დავინყო, როგორ შევდგა ფეხი ამ გზაზე, სად არის ჩემი ხელოვნების ხელობა, ის ყველაზე ღრმა, ერთი ბენო ადგილი, რომელიც შეიძლება ჩემი გარჯის სანყის წერტილად იქცეს? მზად ვარ გავიარო უკანსავალი ყველა გზა, რომ ამ სანყისამდე მივიდე. დაე, ყველაფერი, რაც კი აქამდე შემეჩმნია, არარაობად იქცეს, დაე, იგი ისეთი უმნიშვნელო ჩანდეს, ვითომც ზღურბლი დამიხვეტია, რომელზედაც ახალმოსულმა მგზავრმა დააჩნია თავისი ნატერფალი. ჩემი ნებისყოფა საუკუნეებს ეყოფა და ისე მინდა ვიცხოვრო, თითქოს წინ დიდი ხნის სიცოცხლე მედოს. მინდა ჩემი გაბნეული არსება ნაწილ-ნაწილ მოვკრიბო და შევაკონინო, მინდა ყველა სახელდახელო ქმნილებიდან ჩემეული დავიბრუნო და დავაგროვო; მაგრამ აი, უკვე მესმის სიკეთის მაუნყებელი ხმები, მესმის მოახლოებული ნაბიჯის ხმა და ჩემი კარი იღება... და როდესაც ადამიანებს მივმართავ, ისინი არაფერს მირჩევენ, მათ არ ესმით ჩემი. მსგავსი გრძნობა (უმწეობა) მიპყრობს წიგნების კითხვისას, მათაც არ ძალუძთ ჩემი შველა, თითქოს ისინიც ჯერ კიდევ მეტისმეტად ადამიანები არიან. მესაუბრებიან მხოლოდ საგნები, როდენის, გოთიკური ტაძრებისა და ანტიკური ხანის საგნები, ყველა საგანი, რომელსაც კი სრულქმნილი სახე აქვს. სწორედ ისინი მიმანიშნებენ ნიმუშებზე და იმ მოძრავ, ცოცხალ სამყაროზე, რომელიც უბრალოდ, განუმარტებლადაა დანახული, როგორც საბაბი საგნების შექმნისა.

და აი, ახლის ხედვას ვინყებ: ყვავილები უკვე ძალზე ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ცხოველებისგან გადმომეცემა უჩვეულო იმპულსები და ადამიანებსაც ხანდახან ისე აღვიქვამ, თითქოს უამრავი ხელი ცხოვრობდეს სადღაც, უამრავი პირი მეტყველებდეს. ჰოდა, ყველაფერ ამას უფრო მშვიდად, უფრო მეტი სამართლიანობით შევყურებ.

მაგრამ ჯერ კიდევ მაკლია დისციპლინა, არა მაქვს მუშაობის არც უნარი და არც მოთხოვნილება, რაც უკვე რამდენიმე წელია სანატრელი გამიხდა. ნუთუ დამენრიტა საამისო ძალები? ან იქნებ ნებისყოფა დამისნეულდა? იქნებ ოცნებები ამუხრუჭებენ ჩემში ქმედებას? დღეები გადის და დროდადრო ყურში ჩამესმის წარმავალი ცხოვრების ნაბიჯების ხმა. მაგრამ ჯერ არაფერი მომხდარა, ჩემს გარშემო ჯერ არაფერია ნამდვილი, მე კი კვლავაც და

კვლავაც ვნანილდები და სხვადასხვა მიმართულებით ვიღვრები, თუმცა კი ისე ვნატრობდი, ერთ კალაპოტში მოქცეულს, ფართო ნაკადად მედინა. ხომ მართალია, ლუ, ეს ხომ ასეც უნდა იყოს? ჩვენ არ გვსურს პატარ-პატარა შენაკადები ვიყოთ, არხებს რომ ერთვიან და ისე აღწევენ ველ-მინდვრებამდე. ჩვენი სურვილია, ერთ ძლიერ დინებად ვიქცეთ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიდინოთ და ვიბუბუნოთ! სიბერე რომ მოგვერევა, აი, მაშინ კი, სულ ბოლოს, შეგვიძლია უკვე დათმობაზე წავიდეთ, თავს უფლება მივცეთ, გავიშალოთ და ერთ დელტას შევეერთოთ... ლუ, ძვირფასო!

რანერი

კლარა რილკეს

მედონი [26. 1. 06], პარასკევი, დილა.

...შინ დაღლილები დავბრუნდით, ამინდმა მეტისმეტად მძლავრად გაილაშქრა ჩვენზე: ნოტიო სიცივის შემდეგ — სიმშრალე, მერე — თოვლი, რასაც მალევე მოჰყვა თოვლჭყაპი, აღმოსავლეთის ქარი და ყინვა; და ეს ყველაფერი — ერთსა და იმავე დღეს, თანაც მაინც და მაინც დღეს: სადგურიდან ყველაზე უფრო შეუფერებელ ამინდში მოგვინია ფეხით სიარული. ასე რომ, შინ დაქანცულები მივედით. ალბათ კიდევაც იმიტომ, რომ ძალზე დამღლელია, უცქირო მთელ ამ ნგრევას და, ამასთან, ცუდად ჩატარებულ რესტავრაციას, რომელიც მშვენიერი ქმნილების დაკარგვაზე უფრო დამთრგუნველია თავისი უსულგულო, გაყინული სიმახინჯით. შარტრი ბევრად უფრო დანგრეული მეჩვენა, ვიდრე ნოტრ-დამი. ბევრად უფრო უსასოო; უფრო უსუსური მათ წინაშე, ვინც ანგრევს. მხოლოდ პირველი თვალის შევლებათ კარგი: ტაძარი შენს წინაშე აღიმართება გრძელ მოსასხამში გამოწყობილი, და, შემდეგ, პირველი დეტალი: გამოქარული, მაღალი, თხელი ანგელოზი, მკლავებში მზის საათი რომ უკავია, დღიური ჟამის მთელი შემონერილობა გადაუშლია და ჩვენ გვანვდის, ხოლო ზევიდან გვეგებება, ქრობის მიუხედავად ჯერაც უსასრულოდ მშვენიერი, მისი ხალისით მომსახურე სახის უღრმესი ღიმილი, თითქოს ზეცა

არეკლილიყოსო მასში... მაგრამ ამის გარდა, თითქმის აღარაფერია სანახავი. და ოსტატი ერთადერთია (ასე მეჩვენება), ვისაც ეს ყოველივე ჯერ კიდევ მიმართავს და ესაუბრება (ასე მგონია, სხვებს ოდნავ მაინც რომ ესაუბრებოდეს ასე, ვალდებულნი იქნებოდნენ, შეესმინათ!). ის, ისევე, როგორც ნოტრ-დამში, მშვიდი და განონასნორებული იყო, მას ყველგან ცნობდნენ და ეგებებოდნენ. ჩუმი ხმით საუბრობდა საკუთარ შემოქმედებაზე, რომელიც მას დასტურს აძლევდა ისევე, როგორც ის დიადი პრინციპები, ყველგან რომ ხვდება მის მზერას, სადაც არ უნდა მიიხედოს. და ეს მშვენიერი იყო; ათის ნახევრისათვის მივალნიეთ რკინიგზიდან ტაძარამდე; მზე თვალს მოეფარა, არემარე მოქუფრულიყო და ყინავდა, ჯერ კი, სიმშვიდე იყო. მაგრამ საკმარისი იყო, ტაძარს მივახლოვბოდით, რომ სრულიად უეცრად ანგელოზის კუთხიდან შემოგვეხალა ქარიშხალი, როგორც ვილაც ვეება, და გასაოცარი უღმობელობით, მძაფრად და ბასრად გაგვიარა ძვალ-რბილში. „ოჰ,“ — წარმოეთქვი, — „ახლა გრიგალიც ამოვარდა“. „Mais vous ne savez pas,“ — მომიგო ოსტატმა, — „il y a toujours un vent, ce vent-là autour des grandes Cathédrales. Elles sont toujours entourées d'un vent mauvais agité, tourmenté de leur grandeur. C'est l'air qui tombe le long des contreforts, et qui tombe de cette hauteur et erre autour de l'église...“ დაახლოებით ასე გამოსთქვა ოსტატმა თავისი აზრი, უფრო მოკლედ, და, ამავე დროს, უფრო კაზმურად, უფრო გოთურად. მაგრამ დაახლოებით ასეთი იყო მის მიერ ნათქვამი სიტყვების აზრი. და ამ vent errant-ში¹ ვიდექით დანყველილებივით ამ ანგელოზის პირისპირ, ასე ნეტარად რომ უწვდიდა თავის ციფერბლატს რალაც იდუმალ მზეს, რომელსაც მუდამ ხედავდა...

ოგიუსტ როდენს

პარიზი, 12 მაისი, 1906.

ჩემო მოძღვარო,

ისე ვერ დავინყებ იმ მოულოდნელ ცხოვრებას, საითკენაც თქვენ მიბიძგეთ, ვიდრე მთელი გულწრფელობით არ წარმოგიდგენთ ფაქტების მოკლე აღწერილობას. ბ-ნ ტისენის წერილი

¹ მოხეტიალე ქარში (ფრანგ.).

გამოგზავნილი იყო ჩემ სახელზე, თქვენი მდივნის სახელზე. ამიტომ თქვენი ყურადღება მასზე არ შემიჩერებია, არც სალამოს საუბრისას, არც მეორე დილას. მე შემოგთავაზეთ, გაგეგზავნათ ბ-ნ ტისენისათვის რამდენიმე დღის წინათ ჩემს მიერ უკვე გამზადებული წერილი, მის გერმანულ წერილთან დაკავშირებით კი დაგემატებინათ post-scriptum. თუ ამ საქმეში შეცდომა დავუშვი, ალბათ იმიტომ, რომ წერილი არცთუ მნიშვნელოვანი მეჩვენა, რადგან იგი მცდარ ვარაუდს ეყრდნობოდა და ამის გამო არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებოდით, თუმცა ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პოზიცია მართებულია იმ წერილის მიმართ, პოზიცია, რომელიც სულაც არ ისახავდა მიზნად, არადელიკატურად ესარგებლა თქვენი სავარაუდო დაბნეულობით და იმით, რომ მაშინ აქ არ ბრძანდებოდით.

ბ-ნ როტენშტაინის წერილი კი მხოლოდ და მხოლოდ პასუხი იყო ჩემს პირად წერილზე, რომელიც მას გაუგზავნე. თქვენ ბ-ნ როტენშტაინს წარუდგინეთ ჩემი თავი (მე ეს უნდა გაგახსენოთ), როგორც მეგობარი და არაფერი დასაძრახისი არ მომჩვენებია იმაში, დავთანხმებულიყავი იმ პატარა პირად ურთიერთობაზე, თქვენს მეგობარსა და ჩემს შორის რომ გაიბა ჩვენი საუბრების შედეგად, მით უმეტეს, მე და თქვენ, ისედაც ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა. მაგრამ თქვენ აღარ ინდომეთ იმის გახსენება, რომ თქვენთან დამპატიყეთ, როგორც მეგობარი, ხოლო ის სამუშაო, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ მომეცით, თავდაპირველად მხოლოდ იმის საშუალება იყო, ღარიბი მეგობრისათვის შეგექმნათ მშვიდი და სასიკეთო სამუშაო გარემო. ასე ჩამოაყალიბეთ თქვენი წინადადება იმ დილას, ხეივანში ერთად რომ ვსაუბრობდით და ვსაუბრობდით ამ შესაძლებლობაზე, რამაც უსაზღვრო ბედნიერება მომანიჭა.

„თქვენ ცოტ-ცოტას დამეხმარებით, ბევრ დროს არ წაგართმევთ; სულ ორ-ორი საათი ყოველ დილას“; – აი, თქვენი სიტყვები.

სინამდვილეში კი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ორ საათს კი არა, მთელ ჩემ დროსა და ძალებს გითმობდით (საუბედუროდ, არცთუ იმდენი ძალა გამაჩნია) შვიდი თვის განმავლობაში. ჩემი სამუშაო დიდი ხნით გვერდზე დამრჩა, მაგრამ რაოდენ ბედნიერი

ვიყავი, რომ გემსახურებოდით და გიმსუბუქებდით იმ საზრუნავს, რომელიც ასე გიშლით ხელს თქვენს ძვირფას სამუშაოში.

თვითონ თქვენ, თქვენ დამიახლოვებთ და მეც მოკრძალებულად მოგიახლოვდით, იმდენად მოგიახლოვდით, რამდენადაც თქვენ მოისურვებთ. არასოდეს მისარგებლია ამ განსაკუთრებული უპირატესობით სხვაგვარად; იგი მე მხოლოდ სიმხნევით მავსებდა და გარდა ამისა — კანონიერად ვასრულებდი აუცილებელ საქმეებს თქვენსავე თვალწინ.

თუკი ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ უნდა ჩავენდომოდი თქვენეულ განზრახვებს და წინასწარ მცოდნოდა თქვენი გადანყვეტილებები, რათა ოდესმე ნამდვილი დახმარება აღმომეჩინა, ეს შეგრძნება გასაკიცხი არ უნდა იყოს. იგი აუცილებლად აღმოცენდებოდა იმ კაცში, ვისაც ასე სწყუროდა თქვენთვის შვება მოეტანა და სრულყოფილად შეესრულებინა მინდობილი სამუშაო.

თუმცა კი გარეგნულად ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ ლაპარაკობს, მას შემდეგ, რაც მოგეხასიათათ და ჩემ გულწრფელ მცდელობას ეჭვი და უნდობლობა გამოუცხადეთ.

და აი, მოულოდნელად ქურდ მოსამსახურესავით გამაძევეს იმ პატარა სახლიდან, რომელშიც ადრე თქვენი მზრუნველი მეგობრობა შემიძლვა. ეს მშობლიური თავშესაფარი თქვენი მდივნი-სათვის არ მივიციით...

მე ღრმად შეურაცხყოფილი ვარ.

მაგრამ მე მესმის თქვენი. მესმის, რომ თქვენი ცხოვრების ბრძნულმა ორგანიზაციის წესმა დაუყოვნებლივ უნდა მოიცლიოს ყველაფერი, რაც მავნედ მოეჩვენება სამუშაოს თვალსაზრისით, ისე, როგორც თვალი იცილებს ხოლმე საგანს, რაიმეს დანახვას რომ უშლის.

მე ეს კარგად მესმის, თქვენ კი, გახსოვთ ნეტა, რა ხშირად მესმოდა ხოლმე თქვენი, ჩვენი ერთობლივი ჭვრეტის ბედნიერ ნუთებში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ასაკის არც ერთ ადამიანს (არც საფრანგეთში, არც სხვაგან) არ შესწევს უნარი ჩემსავით (ჩემნაირი მხურვალეებითა და რუდუნებით) გაგიგოთ, გაიგოს თქვენი დიადი ცხოვრება და ასე გაცნობიერებულად გცემდეთ თაყვანს.

ჩემს მეუღლეს, ცოტა სხვაგვარად და უფრო შორიდან, ასეთივე გრძნობა აქვს თქვენდამი. დიდად ვწუხვარ, რომ მასზე არ იფიქრეთ, როცა დამითხოვეთ, ერთი სიტყვაც არ გაიმეტეთ. მას ხომ (არადა, როგორ საჭიროებს თქვენს მხარდაჭერას) არაფერი უწყენინებია? რატომ უნდა გაიზიაროს მანაც შერისხულის ბედი, რომელიც მე მერგო.

და აი, ჩემო დიდო მოძღვარო, თქვენ ჩემთვის უხილავი გახდით, თითქოს უეცრად ამაღლდით ცად, ცად, თქვენ რომ გეკუთვნით.

მე ველარ გნახავთ — მაგრამ როგორც მოციქულნი, სევდით მოსილნი მარტონი რომ დარჩნენ, ჩემთვის ახლა იწყება ცხოვრება, რომელიც თქვენ დიად მაგალითს განადიდებს, და რომელიც თქვენში იპოვის თავის სიმშვიდეს, საკუთარ უფლებას და საკუთარ მაგალითს.

ჩვენ ორივენი ვთვლიდით, რომ ცხოვრებაში არსებობს იმანენტური სამართალი, რომელიც ნელ-ნელა, მაგრამ უშეცდომოდ აღსრულდება ხოლმე.

სწორედ ამ სამართალის იმედი მაქვს. დადგება დღე და ის გაასწორებს იმ შეცდომას, რომელიც დაუშვით იმ ადამიანის მიმართ, ვისაც აღარც საშუალება აქვს და აღარც უფლება, თავისი გული გადაგიხსნათ.

რილკე

მიმი რომანელის

ვენეცია, 26 ნოემბერი, შუალამე [1907].

ჩემო ძვირფასო და მშვენიერო მეგობარო,

თქვენი პორტრეტის წინ პირველად ვარ სრულიად მარტო და ვენეციის ლამეულ სიჩუმეში წერილი უნდა მოგწეროთ. როგორი მოკლევ არ უნდა გამოვიდეს წერილი, ის უპირატესობა მაინც ექნება, რომ იგი პირველია. ამ წერილს სხვებიც მოჰყვება. ისინიც იგივეს გაიმეორებენ, რასაც ასე გულუბრყვილოდ გეუბნებათ ეს წერილი.

რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ლამაზსა და ყველაფერში მშვენიერს შეგხვდით. თქვენს სილამაზეს იმ ბავშვივით ვენაფე-ბი, რომელიც ლამაზ ზღაპარს უსმენს. აღფრთოვანებული ვარ იმით, რადაც იქეცით თქვენი დიდი ტანჯვის შედეგად. თქვენი გული ამალღდა, მაშინ როცა სხვებისა იღუპება ხოლმე. ეს არასოდეს დაივინყოთ. არ დარჩეთ ერთი ბედის ამარა, დარჩით იმად, როგორც ბრძანდებით. შეინარჩუნეთ ანგელოზის ფრთები, რომელიც შეგიძლევბათ იმ ცხოვრებაში, თქვენ რომ უკვე დიდი ხანია გელოდებათ, ისე, რომ თავად არ იცის. სწორედ ეს ფრთები მიგაქროლებენ თქვენი ხელოვნებისაკენ. იღონეთ ყველაფერი და ყველას, ვისაც შეხვდებით, თავს მოახვიეთ თქვენი სილამაზე და თქვენი სული, როგორც უზენაესი კანონი. რაც არ უნდა შეგემთხვავთ, მშვიდად იყავით; თქვენ გადარჩენილი ხართ.

ყოველივე იმის შემდეგ, რაზეც ამ დღეებში ვილაპარაკეთ, რაც ერთად განვიცადეთ, ბუნებრივია — მე თქვენ მიყვარხართ. ამ სიტყვას მისი უძველესი სიდიადე უნდა დავუბრუნოთ. ამიტომ წარმოვთქვამ მას; ასე შორიდან: მე ხომ თავად ვიტვირთე მთელი ჩემი სიმარტოვე; ახლოდან: იმიტომ, რომ ყველა, ვინც მიყვარს, უზომოდ მეხმარება, გავუძლო ამ განმარტოებას.

ხანი გავა და სულ მეგონება, რომ მუდამ იმ წამზე ვფიქრობდი, პირველად რომ გნახეთ: დიახ, ეს ხომ ისაა, ეს მიმია, — მე ხომ უკვე რამდენი ხანია, რაც მიყვარხართ; მაგრამ უფრო შემყვარდით იმ დროიდან, რაც გაგიცანით.

ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობარო. წერილს აღარ ვაგრძელებ, უკვე ძალიან გვიანაა. დიდ მადლობას გიხდით თქვენ და თქვენს კეთილ, საყვარელ დას. თქვენი სიკეთე უსაზღვრო სიმშვიდეს მგერის.

*თქვენი
რაინერ მარია რილკე.*

მიმი რომანელის

ობერლანდი ბრემენტან (გერმანია),
კვირა, 8 დეკემბერი, 1907.

სიცოცხლე უკვე შეიცავს სიკვდილს, და მიკვირს, ადამიანებს რად უჭირავთ ისე თავი, თითქოს ეს არ იცოდნენ. დიახ, შეიცავს სიკვდილს, რომლის დაუნდობელ აქ ყოფნას ყოველ უმცირეს ცვლილებაშიც შევიგრძნობთ და ვცდილობთ, დავძლიოთ იგი, რადგან საჭიროა ვისწავლოთ ნელი სიკვდილი. საჭიროა სიკვდილი ვისწავლოთ. მთელი ცხოვრება ეს არის და ეს, სხვა არაფერი. თავიდანვე უნდა მოამზადო შედევერი უზენაესი და ამაყი სიკვდილის, სიკვდილისა, რომელშიც შემთხვევითობას წილი არა აქვს, კარგად შემზადებული, უზადო, ნეტარი სიკვდილი, ისეთი, როგორსაც წმინდანები ქმნიდნენ; სიკვდილი, რომელიც დიდხანს მნიფს და თვითონვე აქრობს თავის საზარელ სახელს; მისგან უესტილა რჩება, რომელიც უსახელო სამყაროს უკან უბრუნებს მძაფრად განვლილი ცხოვრების მხსნელ და აღიარებულ კანონებს. სიკვდილის იდეა ბავშვობიდანვე ასე მტკივნეულად რომ განვითარდა ჩემში, მიბრძანებს, მორჩილად გადავიტანო პატარა სიკვდილი, რათა ღირსეული გავხდე იმ სიკვდილისა, რომელსაც ჩვენი სიდიადე სურს.

მე არ მრცხვენია, ძვირფასო, იმ კვირა დღეს რომ ვიტყვი, დილაადრიან, ცივ გონდოლაში, რომელიც მისრიალებდა და მისრიალებდა, გვერდს უვლიდა ჩაბნელებულ უბნებს და მეჩვენებოდა, თითქოს ისინი სხვა ვენეციას ეკუთვნოდნენ, ვენეციას, სამოთხის წინკარში რომ მდებარეობდა. მეგონდოლის ხმა კი არხის ყოველ მოსახვევში გზას რომ ითხოვდა, უპასუხოდ რჩებოდა, თითქოს სიკვდილის პირისპირ მდგარიყო.

ხოლო ზარები, ცოტა ხნის წინ, ჩემს ოთახში რომ შემომესმა (ჩემს ოთახში, სადაც მთელი სიცოცხლე გავატარე, სადაც დავიბადე და სიკვდილისათვის ვემზადებოდი), საოცრად წკრიალა მომეჩვენა; ეს ზარები წყლის ზედაპირზე ერთმანეთს ეხლებოდნენ, მაგრამ ერთუროს ვერა სცნობდნენ.

და ეს ისევ ის სიკვდილია, რომელიც ჩემში გრძელდება, ჩემში მუშაობს, გულს გარდამიქმნის, სისხლს უფრო მიმუქებს; იგი

კუმშავს ცხოვრებას, ცხოვრებას, ჩვენი რომ იყო, რათა თავად მოტყობო-მომწარო წვეთად იქცეს, ჩემს ვენებში იდინოს, ყველგან შეაღწიოს და უსაზღვროდ ჩემი გახდეს.

და ასე, ნალველით გასენილი, ბედნიერი ვარ, რომ თქვენ არსებობთ, მშვენიერო; ბედნიერი ვარ, რომ უშიშრად მივეცი თავი თქვენს სილამაზეს, ისე, როგორც ჩიტი სივრცეს მიეცემა ხოლმე; ბედნიერი ვარ, რომ ნამდვილ მორწმუნესავით ჩვენი ეჭვების წყლები გადავიარე და მივალნიე იმ კუნძულს, თქვენს გულს, გულს, სადაც ტკივილები ყვავილობენ.

*ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი
თქვენი რილკე*

მიმი რომანელის

ობერლანდი ბრემენტან (გერმანია),
18 იანვარი, 1908.

ულრმეს მადლობას გიხდით თქვენი დაულალავი ზრუნვის გამო, რომელმაც ცისფერ სივრცეებში მოლივლივე ჩიტების გუნდით მოაღწია ჩემამდე; მათი ფრთები ვიცანი. ასაღელვებელი არაფერი გაქვთ. თავს უკეთ ვგრძნობ; ხანდახან ბალშიც გავდივარ, სადაც მოკრძალებული, მაგრამ ალერსიანი მზე მეჩურჩულება გაზაფხულის მოახლოვებაზე, რომელიც ჯერ შორსაა. სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი გრიპი იყო, რომელსაც საკმაოდ უსიამოვნო ტკივილები დაერთო, მაგრამ არცთუ ძლიერი. ეს ჩემი მოჯანყე ნერვებია, ხანდახან რომ აზვიადებენ ხოლმე ჩემს ტანჯვას, ხოლო, როცა არ ვმუშაობ, უფრო ადვილად შემეყრება ხოლმე ყველანაირი ავადმყოფობა; მე ხომ მხოლოდ მუშაობაში ვპოვებ მთელ ჩემს ძალებს, წინააღმდეგობის უნარს და სითამამეს. ჩემზე ნუ დარდობთ; მე კარგად ვარ. მზრუნველობას არ მაკლებენ და თავს მევლებიან ჩემი მეუღლე და ჩემი პატარა; სანუნუნო არაფერია; ყველაფერი მაქვს სიმარტოვისა და მუშაობის გარდა; ამ ორ განძს თუ ისევ მოვიპოვებ, ყველაფერი მექნება და ჯანმრთელობაც აღდგება.

გმადლობთ, რომ ასე აღელვებულად მესაუბრებოდით ვარდ-ისფერი სახლის წრფელ მასპინძლობაზე. ვიცი, რომ ის მუდამ იქ დგას და ნამდვილ მხნეობას მმატებს იმაზე ფიქრი, რომ ერთ დღეს იქ მიბრუნდები. ხშირად ვხუჭავ თვალებს; მინდა უკეთ დავინახო ოთახი, ასე გამოკვეთილად ჩემი რომ იყო.

როგორც კი ჩემს გეგმებს დავანყო, მაშინვე მოგნერთ. ბევრ რაიმეს თავს ვერ ვაბამ და, ეტყობა, ეს გავლენას იქონიებს ჩემს გადანყვეტილებაზე. არა, თქვენს გამო არ ვლელავ. ჩვენ ყველანი საფრთხეში ვართ, სანამ ვცოცხლობთ, მაგრამ სწორედ ეგ საფრთხე გვიყვარს, რადგან იგი აფართოებს ჩვენს გულებს და უსასრულობით ავსებს მას.

ნაიკითხეთ ვერჰარნი, ნაიკითხეთ ბიბლია — ეს საოცრება, სა-დაც თითოეულ გვერდზე მკითხველის ჩრდილი ღმერთის ჩრდილს ერწყმის — და აღტაცდით ვენეციით, ცხოვრებით, სიკვდილით და თქვენი მხურვალე გულით.

მუდამ თქვენი რ. მ. რილკე

კლარა რილკეს

პარიზი, 77, ვარენის ქუჩა,

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 1908.

რასაც შენ მიყვები, იმას საყვარელი ყვაველებისათვის ზიანი არ მიუყენებია: ისინი როგორღაც მარტონი მოვიდნენ და თავიანთი სახე ჰქონდათ, ისევე, როგორც შენ გაქვს შენი. ახლა კი მინდა გითხრა, რომ გრძნობას არ მოუტყუებიხარ, მართლაც სჯობდა არ მოვსულიყავი. იმ გამოცდილების შემდეგ, ეს ორი უკანასკნელი დღე პირთამდე რომ ამივსო, იძულებული ვარ ვიფიქრო, ამ-იერიდან ყოველთვის დარჩენა-არდარჩენის საკითხი მექნება-მეთქი გადასაწყვეტი: მჯერა, ნაყოფს ეს უფრო გამოიღებს. ახლა კი შეემზადე უამრავი ახალი ამბის მოსასმენად, კარგი ამბებისა, ანუ ისეთებისა, რომელთაც კარგი პირი უჩანს და ახლა მხოლოდ წარმართვა და განხორციელება სჭირდება.

როდენი მართლა გამოჩნდა, როგორც კი აქ გადმოვსახლდი,

მაშინვე გამოჩნდა, გუშინ დილით მოვიდა, გულახდილად მესაუბრა, არ დაუჩივლია, საქმიანად მელაპარაკა. არ მინდა მცდარ გრძნობებს ავყვე და მსურს ისევე კეთილად მოვექცე, როგორც ყოველთვის ვექცეოდი. ყველაზე დიდებული ის იქნებოდა, ახლა თვითონ ვინმე იმის მეთასედად მაინც სჭირდებოდეს, როგორც ჩვენ გვჭირდებოდა იგი ოდესღაც. შენ ალბათ გული სხვას გეუბნება. ეგრე იყოს. მე კი მხოლოდ ერთი რამ მაოცებს: რას ნარმოვიდგენდი, რომ ის შორს მიმავალი გზა, რომელმაც მე როდენის მხრიდან ასეთ დაუფასებლობამდე მიმიყვანა, და მერე კი ასე გამაოგნებლად და დამალონებლად დამეკარგა, არა მარტო ხელახლა გამოჩნდებოდა, არამედ ფართო წრედაც შეიკვრებოდა მისივე კეთილი, სერიოზული სურვილით.

ჩვენ შენს მალალჭერიან დარბაზში ვისხედით; იგი მივიდა, დადგა და შემოაბრუნა ნილაბი: ნილაბმა კვლავ სიხარული მოჰგვარა. მე ნაფუკითხე, რა უთქვამს ბეთჰოვენს ბეტინე არნიმისათვის: „მე მეგობარი არა მყავს, იძულებული ვარ, საკუთარ თავთან განმარტოებულმა ვიცხოვრო; ოღონდ კარგად ვიცი, რომ ღმერთი ჩემთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სხვა ვინმე ჩემივე ხელობის კაცთან, მე უშიშრად დავაბიჯებ ღმერთთან ერთად, მას ყოველწამიერ ვწვდები და ვაცნობიერებ, არც ჩემი მუსიკის გამო გამჩენია შიში, მას შეუძლებელია ცუდი ბედი ხვდეს წილად; ვისაც ჩემი მუსიკა თავისას გააგებინებს, იგი თავს დაიხსნის ყოველგვარი გაჭირვებისაგან, რითაც სხვები მიათრევენ თავიანთ სიცოცხლეს“. — როგორ უყვარდა ეს სიტყვები. მან იცოდა ეს: ვილაცამ მთელი სტენდი გამოუგზავნა, სადაც მისი ბალზაკი იყო გამოფენილი. ეს ყველაფერი როდენმა სხვაზე უკეთ იცის, ხოლო ის, რაც ჩვენ მხოლოდ გუშინ აღმოვაჩინეთ, მასთან ერთად ცოცხლობდა რახანია და მისგან გამოცდილებაც აქვს შეძენილი. ახლა მის ბედისწერასაც ვხედავ, რაც იქნებ რასის არსშიცაა ჩაბუდებული. მე ველაპარაკები ჩრდილოელებზე, იმ ქალებზე, მამაკაცის ძალით დაჭერა რომ არ სურთ, ველაპარაკები, რომ შეიძლება არსებობდეს სიყვარული მოტყუების გარეშე: იგი მისმენს და მისმენს და ვერ დაუჯერებია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, თან კი ნატრობს, გამოსცადოს ასეთი სიყვარული. მისი აზრით, ქალი თვალთმაქცია, მახეა, კაკანათია უეულებს და უნეტარეს გზებზე დაგებული,

და აი, ეს მიაჩნია საბედისწეროდ. თუმცა იმასაც ამბობს, ვნება ისე უნდა განივრცოს და გარდაიქმნას, რომ თანაბრად ძლიერი, ტკბილი და მაცდუნებელი იყოს ყოველში და ყოველგანო. მისი აზრით, ყოველი არსი სძლევს სქესობრიობას და გრძნობამოჭარბებული სულიერობის სფეროში გადაიჭრება, რითაც მხოლოდ ღმერთში თუ შეიძლება გვერდიგვერდ წოლა. მაგრამ ქალი, გინდ ასე თქვით და გინდ ისე, მისგან შორს რჩება. ქალი, სხვა არსებისაგან განსხვავებით, არ ეზიარება უფრო მაღალ მოთხოვნილებას: მას უნდა დაკმაყოფილდეს და კმაყოფილდება კიდევ. ჰოდა, იგი მამაკაცისთვის საკვებივითაა, სასმელივითაა, რომელიც მას დროდადრო ძარღვებში დაუვლის ხოლმე: თუნდაც ღვინოსავით. მას ღვინო სწამს. მე, მაგალითად, ერთ მონაზონს ვუსახელებ და აქა-იქ არსებულ გარდაქმნილ ნეტარებაზე და ქალის ნებისყოფით დათრგუნულ სურვილზე ველაპარაკები; ამისა არაფერი სწამს; და, სამწუხაროდ, თავისი შეხედულების დასამტკიცებლად მრავალი წმინდანის მაგალითის მოშველიება ძალუძს, ქრისტეს სარეცლის გამზიარებლად რომ იყენებდნენ: იყენებდნენ, როგორც მამაკაცობის ტკბილ სუროგატს, როგორც უნაზეს კუროს, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ, ბოლოს და ბოლოს, მართლა მიუწვდებოდათ ხელი. აქ მე მისი მოსაზრების საპირისპიროდ, ისევ ჩემს მონაზონს ვიშველიებ და ვუჩვენებ, მონაზონი თავის რამდენიმე წერილში როგორ ამაღლებულა თავის სატრფოზე და თვითონაც რომ კარგად ესმის ეს. და ვიფიცები, გრაფი ფონ შამილი, *cette bête*, უკანასკნელ წერილს თან რომ გამოჰყოლოდა და უკან დაბრუნებულიყო, ქალი მას ველარც აღიქვამდა, ისევე, როგორც კოშკის ტერასიდან დაბლა ბუზს ვერ გაარჩევს კაცის თვალი-მეთქი. დი-ახაც, უდრეკად ვდგავარ და ჩემს მონაზონს არაფერს ვუკარგავ.

აი, ესაა ჩვენი გუშინდელი და დღევანდელი საუბრისგან შექმნილი სიტუაცია, ჭადრაკის დაფაზე შექმნილი პოზიცია, რომელიც აქ დახატული სურათით შეგიძლია წარმოიდგინო. იცი, როგორ მიხარია, შეუმჩნეველად იმ საგნებს რომ მივადექით, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის გზად გვედო. ხომ უნდა დამდგარიყო მომენტი, როცა იგი თავისი უზარმაზარი თანხების ანგარიშში გაპარულ შეცდომებს შეამჩნევდა. ჰოდა, ერთი რამ სამყაროში არსებულ წესრიგზე მეტყველებს: სწორედ იმ მომენტში,

როცა ამ შემოჩვეული საფრთხის მუხანათობა მას ალბათ ერთი რომელიმე წუთიერი გაჭირვების გამო ანუხებს, კვლავ იგივე კაცი დგას მის გვერდით და ის კაცი თავს მოიკლავს, ოღონდ კი არაფერი გამორჩეს და ყველაფერი ზედმინევით ბრძნულად მიანესრიგ-მოანესრიგოს. როდენი ანტიკური ღმერთის დარადაა ტრადიციულ ადათ-წესებზე მიჯაჭვული, თან ისეთებზეც, ჩვენ რომ არაფრად გვიღირს, მაგრამ მისი სულის კულტს ჩამოსაყალიბებლად კი სჭირდებოდა. როდენს მე ვერ გარდავქმნი, მაგრამ ჩემმა ხმამ მის სიახლოვეს ხომ ილაპარაკა. იგი არსებობს მის სინამდვილეში და იქიდან აღარ ამოვარდება. ეს კი ბევრს ნიშნავს.

ჩვენ რომ დღეს კვლავ ერთად ვსაუზმობთ, ეს გამონაკლისია და ერთი მიზეზი აქვს: როდენი *შენი* თანამობინადრე ხდება აქ, შენსავე სასახლეში. მან ყველა ქვედა ოთახი დაიქირავა, მიწისპირა მთელი მარჯვენა კუთხე, თავის ოთხკუთხა შუა დარბაზიანად, რომელზეც იქნებ მეც მეჭირა თვალი. ეს ის დარბაზებია, ამაოდ რომ ნატრობდა ხოლმე, თვითონაც მათი მსგავსი ჰქონოდა, ისე ძალიან ნატრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ქალაქგარეთ წამოიწყო კიდეც იმდაგვარების მშენებლობა. მას უნდა იქ მრავალი ნივთი გამოფინოს, ხანდახან მოვიდეს, მათთან ერთად ხანი დაჰყოს და უზარმაზარი ფანჯრებიდან ბალში იცქიროს, აქ, ამ ადგილას უნდა ყოფნა, სადაც ვერავინ ვერც მოაგნებს და ვერც იგულვებს. ყოველივე ამით გახარებული გუშინ სახლიდან გავედი და ხისგან გამოკვეთილი მშვენიერი ქრისტეფორე შევიძინე, რომელიც მას ჩამოჰგავს. დღეს ქანდაკება კეთილი მომავლის ნიშნად ვაჩუქე და ვუთხარი: ჩ'ესტ ლოდინ პორტანტ სონ ოუვრე, ტოუჯოურს პლუს ლოურდ, მაის ქუი ტიენტ ლე მონდე. საჩუქარი გაეხარდა, მირთმევის ფორმამაც გაახარა, ბავშვივით გაიხარა და საჩუქარს ასევე ბავშვივით მოუთმენლად დასტაცა ხელი. ეს ამბავი კარგად ენიშნა... ოღონდ სიურპრიზები ჯერ არ მომიმთავრებია: მეც შენი თანამობინადრე ვრჩები; მარცხენა კუთხე, ფროილან გურევიჩის ოთახის ქვეშ, სწორედ ჩემთვის დავიქირავე, აი, ის ოროთახიანი მომრგვალებული მინაშენი, პირდაპირ ტერასაზე რომ გადის. ბინა ჩემთვის ძალიან ძვირია, იმაზე ხუთასი ფრანკით უფრო ძვირი, ვიდრე უფლება მაქვს გავიღო, მაგრამ მე ხომ მუშაობას ვაპირებ. აღარ ვიმოგზაურებ, განუწყვეტლივ ვიმუშავებ და ის ხუთასი

ფრანკიც გასწორებული მექნება. არა? მე მგონი, არ ღირს საქმე გაეაჯანჯლო და იქამდე ვიცადო, სანამ იქ, მაღლა, ფროილიან ვოლმოლერის გაჭირვება უკიდურესობამდე გამძაფრდებოდეს. ასე და ამგვარად, მე მაქვს თავშესაფარი და ზამთარს ასე გადავაგორებ. მისტერ დიუვალს უზარმაზარი ჯაფა დაადგება, სანამ როდენის ოთახებს მოაწესრიგებდეს. ასე რომ, ჩემი ოთახების მისაღებად ლოდინი მომიწევს, მაგრამ არა უშავს, ჯერჯერობით ხომ დიდებულად ვარ შენთან მოწყობილი. იმ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გულზე მომეშვა და თავს კარგადაც ვგრძნობ, ანი რაც მოხდება, ახია ჩემზე. ნათქვამია, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო. ამ წერილს რომ გწერ, წვიმს და თითქოს უკვე ოქტომბერი იდგეს, ამინდი შემოდგომისას ემსგავსება. რა ვქნა, რაც მოსასვლელია, მოვიდეს. მთავარია, ღმერთი მძლავრობდეს... კარგად იყავი... მაღლობას გიხდის ჩემზე ფიქრისათვის. ფიქრებით ჩემთან რომ იყავი, ეს რწმენას მინერგავდა. ბედნიერ დღეებსა და ჯანმრთელობას გისურვებ...

სიდონი ნადჰერნი ფონ ბორუტინს

პარიზი, 77, ვარენის ქუჩა,

5 სექტემბერი, 1908.

ჩემი ახალი მისამართი მინდა გაცნობოთ. განა სახელზე არ ეტყობა, რომ ეს სასტუმროა, *entre cour et jardin*, დიდკაცური ფანჯრებით, *Louis Quatorze*? ოდესღაც იგი მაინის ჰერცოგინიას ეკუთვნოდა. სულ ცოტა ხნის წინათ შაცრლ-ცოეურ-ის დიდ კომპლექსში შედიოდა, ახლა კი, როცა განდევნილმა მონაზვნებმა წასვლის წინ, ბრაზიან გულზე, აივნებსა და კიბეებს დიდებული მოაჯირები მოაგლიჯეს, იგი წვრილ-წვრილ, შემთხვევით მდგმურებზეა დანანილებული. ჰოდა, ამას მოჰყვება ალბათ მისი კომბინირებული აღსასრულიც.

მე აქ დროებით გადმოვსახლდი, რადგან მთელი ჩემი ავლადიდება ცოლის სახელოსნოში დამრჩა, ჩემი ცოლი კი ცოტა ხნით წასული გახლავთ. ჰოდა, ერთხელ, პირველსავე დღეებში, როდენი მესტუმრა და ერთად დავიარეთ მიტოვებული, დარბეული სახ-

ლი, რომელსაც მაინც შეუნარჩუნებია რიგიანი იერი, ერთგვარი მყუდროება, რასაც დამრბევთა ხელი ვერ მისწვდენია. ჩვენი ძვირფასი ოსტატი და მეგობარი, ვისაც ნამდვილად სხვაზე უკეთ შესწევს ასეთი დიდებულების დანახვის უნარი და ვისაც ყოველთვის აკლდა გულს, თვითონ ამდაგვარი უზარმაზარი დარბაზები და შესაფერი ნივთები რომ არ ჰქონია, თვალის ყოველ შევლებაზე ტკებოდა ამ გარემოს ჰარმონიითა და მასთან შეხებით და, რაკი მასთან ერთად დავდიოდი, მეც ყველაფერს ახლებურად აღვიქვამდი, აღტაცებული და ბედნიერი.

ჰოდა, თქვენ რა გგონიათ: მან აქ დარბაზების მთელი წყება დაიქირავა, რათა იქ ნივთებიც მოეთავსებინა და თვითონაც ხანდახან აქვე ეპოვა თავშესაფარი, სადაც ვერავინ დაიგულებდა. ჰოდა, მეც ბევრი აღარა მიკლდა რა, ამ სასტუმროში დარჩენა რომ გადამენწყვიტა: ვგრძნობდი, რომ ხანდახან ესიამოვნებოდა აქ ჩემთან შეხვედრა, თუმცა აქეთკენ გული უამისოდაც მომინევდა. ასე და ამგვარად, გუშინდელს აქეთ მდგმური გახლავართ და მალე ქვემოთ დავბანაკდები, მაღალ Rez-de-chaussée-ში, სადაც ერთი დარბაზი და რამდენიმე ოთახი მეკუთვნის. მე, ცხადია, მათი მოწყობის თავი არა მაქვს, მაგრამ აქაურობა ისედაც სასვია, არაფერი აკლია. აქ ხომ კედლები ნარნარადაა მომრგვალებული (მთავარი ოთახი კუთხის დარბაზია, მრგვალი), ორი დიდებული კამაროვანი ფანჯარაც ხომ აქაა, გაუდაბურებული ბალიც ხომ მუდამ თქვენს თვალწინაა, აბრეშუმის ფარდაგვივით სქელი და ფაფუკი. განა შეიძლებოდა ეს თქვენთვის არ მომეყოლა? რა გულდასაწყვეტია, აქაურობა რომ ვერ დაგათვალთვალთ (თუმცა rue d'Alger აქედან არც ისე შორსაა: იქნებ ხანდახან გაგხსენებოდეთ ეს).

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ახალი სამუშაოს მოსამზადებელ პერიოდში ვკითხულობ ბეტიწე არნიმის წერილებს გოეთესადმი; მე მხოლოდ მათ ვახსენებ, რადგან გოეთეს სევდიანი, მორცხვი პასუხები მადარდიანებს და მანუხებს. მაინც რა გაუბედავი ყოფილა იგი, როგორც მამაკაცი, რა დაბნეული, და რა ტრადიციული, როგორც საყვარელი, ამ გიზგიზა ცეცხლს უხალისოდ, ასე მცირე ნარჩენებით რომ ასულდგმულებდა! ო, თქვენ კი შეიძლება გაგენდოთ, რომ გოეთეზე არასოდეს ვყოფილვარ მიჯაჭვული და იგი

აქამდე არც ჩემი ზრდა-განვითარებისათვის გამომიყენებია. მე მეტისმეტად სლავი ვარ საიმიხოდ, რომ მისი თვითშეგნება მომეწონოს, რომელიც ერთი რომელიღაც მომენტიდან თავის სიდიადეშია გაქვავებული; იგი რომ დენადი დარჩენილიყო, იმ მომენტს მიღმა კვლავ მოკრძალებად და უზვიადეს მორჩილებად გარდაიქმნებოდა: როგორც ეს ლეონარდოსთან, ჰოკუსაისთან, როგორც გოგოლთან და დოსტოევსკისთან ხდება; ო, რა სიჩუმედ გადაიქცეოდა იგი მაშინ, იქნებოდა ცა და შემოლამება, იმ ბულბულის გულისა და ხმის გარშემო, რომელმაც იგი გადაადნო და შორეთს გადასცა, როგორც სიკვდილმა, ანარეკლივით წინ რომ წაუძღვა პოეტის საკუთარ სიკვდილს. ო, რა მშვიდად და დიადად გაიღვრებოდა და გაჯერდებოდა მაშინ იგი ამ სიყვარულით აღვსილ ქალში, იმის მაგივრად, რომ სხვების მსგავსად მომკვდარიყო. აქ იყო მისი ზღვა: იგი ბობოქრობდა, მისკენ მოიწვედა, ის კი ყოყმანობდა, იზნიქებოდა და იმ ზღვაში არ იღვრებოდა. მას არაერთხელ უყურებია დამკვირვებლის თვალით, მაგრამ ვერ დაუნახავს, რომ იმ სიყვარულისგან არავითარი საფრთხე არ მოელოდა, იგი გმირულად ეფოფრებოდა თავზე, ხოლო თვითონ ღამეული ღიმილით შეეძლო მისთვის იქითკენ მიეთითებინა, საითკენაც თვით სიყვარულიც გაუცნობიერებლად მიილტვოდა: შორს, საკუთარი თავის მიღმა. ზოგჯერ მიფიქრია, ალბათ როგორ გეყვარებათ-მეთქი ეს წიგნი ბეტინეს ხათრით. როცა კვლავ გადაშლით ამ წიგნს, ჩემზე იფიქრეთ ხოლმე. წინ დიდი და ხანგრძლივი სამუშაო მიძევს და ეს მჭირდება.

თქვენი რ. მ. რილკე

კლარა რილკეს

პარიზი, 77, ვარენის ქუჩა,

4 სექტემბერი, 1908.

მინაწერი გუშინდელ ბარათზე:

იმდენი რამ მოგწერე, რომ დამავინწყდა მეთქვა, თუ რა კარგად მესმის შენი სიხარული და განახლებული ინტერესი პაულა ბეკერის მშვენიერი ბიუსტის გამო. სულ ცოტა ხნის წინ რატომღაც ინტენ-

სიურად ამეკვიატა მასზე ფიქრი, პირდაპირ თვალწინ დამიდგა, როცა ლუვრის კოლექციაში, მალა, მეორე სართულზე, XVIII დინასტიის რომელიღაც მეფის ქვიშაქვის ბიუსტი აღმოვაჩინე. იგი ისე საოცრად ჰგავდა შენს ბიუსტს პოზით, შინაარსითა და გამომეტყველებით, რომ გავიფიქრე, მაინც რა სიდიადე უნდა ყოფილიყო შენს ადრეულ ნამუშევარში ჩაქსოვილი, თუკი ასეთ სრულიად შეუმზადებელ შთაბეჭდილებას შეეძლო იგი კაცისთვის გაეხსენებინა, როგორც რომელიმე საგნის ანარეკლი, რომელსაც მაშინვე ამჩნევ, როგორც კი საგანი მას გამოიხმობს, თუნდაც თვით საგანს ვერც კი ხედავდე. აი, ეს არის ხელოვანისთვის შრომის უკიდევანო ცაზე მოპოვებული უპირველესი და მარადიული ნეტარება, როცა მივიწყებული საგანი ისევ თავიდან ეძლევა, რათა დროთა განმავლობაში გამობრძმედილი სიყვარულით შეაფასოს იგი და ასე დაუქავშირდეს მას ხელახლა. ჰოდა, ამ დროს იწყება კლასიფიკაციის კორექტურა: ნარსული თითქოს მომავლიდან გიბრუნდება, ხედავ, რომ ოდესღაც განხორციელებული ქმნილება შენგან ისევ სრულყოფას მოითხოვს. სწორედ ეს არის პირველი გამოცდილება, რომელიც ადამიანს თანმიმდევრობიდან ამოგდებას და საკუთარი გულის ადგილზე დააყენებს, ის ადგილი კი სივრცეშია, ყოველთვის ერთნაირადაა დაცილებული ყოველივეს და აღმასვლასა და დაღმასვლას განიცდის მის ირგლივ არსებული უსასრულო მოძრაობის წყალობით...

ვკითხულობ „გოეთეს მიმონერას ბავშვთან“, ამ ძლიერ, მის წინააღმდეგ მიმართულ უღმობელ საბუთს, რომელიც ყველა ჩემს ეჭვს ადასტურებს. ხომ გესმის, მის უნივერსალურ პიროვნებას ჩრდილს კი არ ვაყენებ, პირიქით, უმაღლესი საზომით ვუდგები. მალტე ლაურიდსმა ამის თაობაზე შენიშნა: „გოეთე და ბეტინე: აქ იბადება სიყვარული, შეუდრეკელი, ეპოქის საკადრისი და უფლებამოსილი, როგორც მოქცევა ზღვისა, როგორც აღმავალი წელიწადი. გოეთეს კი ის ერთადერთი შესტი ვერ უპოვია, რომ საკუთარ თავზე ამაღლდეს და იმ სიყვარულს იქითკენ უჩვენოს გზა, საითაც იგი მიილტვის (გოეთე თვითონ რჩება საბოლოო ინსტანციად), იგი ლებულობს ამ სიყვარულს, ლებულობს დიდსულოვნად და რიგინად ვერ კი იყენებს; იგი გაკიცხულია, დარცხვენილი, სადღაც სხვაგან აშკობით გართული...“

მალტე ლაურიდსი მართალია, მაგრამ გუშინდლიდან მოყოლებული ვფიქრობ, რომ მსგავს შემთხვევაში როდენიც ამდაგვარადვე გვიმტყუნებდა, ოღონდ უფრო სიმპათიური მანერით; და რაოდენ თამამი უნდა იყო კაცი, რომ განსაჯო, თუ სად გვიმტყუნებენ ასეთი ძალები; ტრადიციულ სიყვარულში ჩაძირული სად ჩაიშლები ღრუბელივით, განურისხებლად, დაუგრგვინვებლად, მწყურვალ მინაზე გამანაყოფიერებელი თესლის დანთხვევის გარეშე...

რა დიდებული ვინმეა ეს ბეტინე არნიმი; ერთხელ შევხვდი ისეთ ქალს, მას რომ რალაცით ნააგადა. მაშინ ენით აუნერელმა გაოცებამ შემიპყრო და ეს სიტყვა შევარჩიე — *Sensualité de l'âme* — რომელიც, საფოდან მოყოლებული, ერთ-ერთ დიდ მეტამორფოზად ითვლება და რომლის მეშვეობითაც სამყარო ნელ-ნელა ნამდვილდება. და აი, ახლა ბეტინეში ვხედავ, რომ მსგავსი რამ უკვე დიდი ხანია არსებულა (მაშინ, როცა გოეთეს ეს ანცვიფრებდა, არ სჯეროდა და ამის გამო შიშს ჰყავდა შეპყრობილი). მაინც რა სტიქიაა ეს; რა გარდამქმნელი, თავის ეპოქის ატმოსფეროში რა ამბოხის ამტეხი. ალბათ, როგორ ეყვარებოდათ ერთმანეთი, *face en face*. რა დიდი სიამოვნებით ვუპასუხებდი მის წერილებს; ლამის ცად ავმალღდებოდი, მოურიდებლად, ყველას თვალთა წინამე.

ალბათ კვლავ ჩვენი გზების წამიერ შეჯახებაზე მეტყველებს ის, რომ მე ამ წიგნით რალაცას ვსწავლობ, ბუდა კი იძულებულია მელოდოს. ნუ გამკიცხავ. თუ ხათრი გაქვს, ნებაზე მიმიშვი და მენდე. სხვას ნურაფერს მოითხოვ ჩემგან, ნურც სულიერ სფეროში. რაც მთავარია, გრძნობა არ შემომლევია, იგი გულის იმ კუნჭულს ეფინება, მიმნდობი რომ უნდა იყოს.

შენ ახლა პირდაპირ მიემართები ღვთაებრივისაკენ; თუმცა, არა, შენ მიჰფრენ მისკენ, ყოველივეს თავზე გადაეველები, სულ პირდაპირ იფრენ და წინ ვერაფერი დაგიდგება. მე კი უკვე ნამყოფი ვარ იქ, დიდი ხანია, ჯერ კიდევ ბავშვობაში ვარ ნამყოფი. იქიდან მოვდივარ, მოვედინები, იქიდან ვარ მოვლენილი (ოღონდ არა რაიმეს საუნწყებლად), მოვსულვარ, რათა ადამიანობას ვეზიარო, რათა ყველაფერი ვიხილო, არაფერი უარვყო იმ ათას სახეცვლილებათაგან, რომელთა წიად მიმალულია ის უდიდესი, შავად რომ იბურება და შეუცნობელი ხდება. მე იმ კაცითა ვარ,

სოკოს რომ აგროვებს, ან ბალახებში სამკურნალო ბალახებს დაეძებს; ამ დროს კაცი წელშია ნახრილი და მცირედით გართულს ჰგავს, მაშინ როცა ირგლივ დიდრონი ხეები დგანან და ლოცულობენ. მაგრამ ის დროც დადგება, როცა ნაყენს მოვამზადებ, და ის სხვა დროც მოვა, როცა იმ სასმელს მალლა ავიტან, ძალა რომ ჰქონდეს, იგი ყველაზე შხამიანი და ყველაზე მომაკვდინებელი შხამით მექნება შეზავებულ-გაჯერებული. სასმელს მალლა ავიტან, ღმერთთან, რათა მან წყურვილი მოიკლას და ძარღვებში ელვარებამ დაუაროს...

ამ ამბებზე ვრცლად და გრძლად ნურაფერს მომწერ. ეს ყოველივე მხოლოდ ჩემგან ლამობს გადმოღვრას, რადგან მარტო ვარ და თან უკანასკნელ თვეებში მარტოც არა ვარ, ცოტათი თითქოს მეთვალყურეობასაც ვგრძნობ. ნუ შეშინდები — მე ხომ გადამეტებულად მგრძნობიარე ვარ და როცა ვინმე მითვალთვალებს, დადამბლავებულებით ერთ ადგილზე ვქვავედები. ნეტავ ყოველთვის მხოლოდ ვარსკვლავების მზერას ვგრძნობდე, რომლებიც იმ სიშორიდან ყველაფერს ერთად ხედავენ, მთლიანობაში; და ამიტომ არავის ბორკავენ, პირიქით, ყველაფერს თავისუფლებას ანიჭებენ ყოველივეში... მშვიდობით... მალე გამოგ ზავნინე პატარა პატარა ქანდაკებების სხმულები, რომ როდენმა ჩემთან მაინც ნახოს ისინი. ხომ იცი, გაეხარდება...

ოგიუსტ როდენს

პარიზი, 77, ვარენის ქუჩა.

29 დეკემბერი, 1908.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

რაც შეეხება ახალ წელს, ვისურვებდი ამეცილებინა კეთილი სურვილების ბანალური სიტყვები და უფრო მეტად ჩემ სამუშაოზე მესაუბრა. იმ დღესაც გეუბნებოდით, რომ სულ უფრო და უფრო ვახერხებ მოვიმარჯვო ის ხანგრძლივი მოთმინება, თქვენი საკუთარი, მტკიცე მაგალითით რომ მასწავლეთ. ეს მოთმინება ჩვეულებრივი ცხოვრების დისპროპორციულია, რადგან ცხოვრე-

ბა თითქოს აჩქარებას გვასწავლის; მოთმინება კი გვაკავშირებს ყოველივე იმასთან, რაც ჩვენ აღგვემატება.

ახლა ნამდვილად ვგრძნობ, რომ ყოველი ჩემი ცდა ამ მოთმინების გარეშე ამოიქნებოდა. ლექსების წერისას გარეგანი საგნების რიტმი გვხმარება და ჩაგითრევს ხოლმე, რადგან ლირიული საზომი ბუნებიდან მოდის. ეს არის წყლების, ქარის ღამის რიტმი. პროზის რიტმის მოსაძებნად კი საკუთარ თავში უნდა ჩაღრმავდე და აღმოაჩინო სისხლის უცნობი და მრავალფეროვანი რიტმი. პროზა ტაძარივით უნდა აიგოს. იქ მართლაც რომ უსახელო ხარ, ამბიციების და დახმარების გარეშე, ხარაჩოებზე, მხოლოდ საკუთარი ცნობიერების ამარა.

ვინ იფიქრებდა, რომ ახლა, აი ამ პროზაში ვქმნი კაცებს და ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს. მეტადრე ქალები გამოვარჩიე და მზრუნველად მოვანესრიგე ყველაფერი მათ შესახებ. შეუვსებელი დავტოვე მხოლოდ სითეთრე მათ ირგვლივ, რომელიც, სიცარიელედ რომ არ დარჩენილიყო, უაღრესად ნაზად და სრულყოფილად შემოვავლე; და ამ ხატმა ხმა გამოსცა და გაბრწყინდა, როგორც ერთ-ერთი თქვენი ქანდაკება.

სხვისთვის გრძლად მომიხდებოდა ახსნა, თქვენ კი, ჩემო ძვირფასო და ერთადერთო მეგობარო, მიხვდებით, რისი თქმაც მინდა.

თქვენი და ჩემი სიხარული ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. მაგრამ თქვენი სიხარული უკვე დიდი ხანია ბედნიერია და სამუდამო სტიგმებიც აჩნევია.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, მცდარი არ არის ჩემი სურვილები, რომლებითაც მოგმართავთ; მათგან მხოლოდ რამდენიმეა მთავარი და ეს რამდენიმე ჩვენთვის უსაზღვროდ საერთოა.

*მთელი გულით თქვენი, ძვირფასო როდენ,
თქვენი რილკე.*

P.S. მთლიანობაში, ჭალი კარგად მოუხდა ოთახს; ჩემი საახალწლო საჩუქრების მაგიდაზე გამოირჩევა კანფეტების ყუთი, მისი მშვენიერი ცისფერით, რომელიც მე-18 საუკუნისას მიაგავს.

მიმი რომანელის

პარიზი, 77, ვარენის ქუჩა,
ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1910.

სანამ ჩემს დღეს შევუდგებოდე, ვილოცოთ ძვირფასო, რადგან ამჟამად ჩემი სული ამალღებულია. წარმოიდგინეთ, ესოდენ ხანგრძლივი გამოფიტვის შემდეგ, შინაგანად მუხლმოყრილი ვარ, როგორც გრეკოს მისტიკური მუხლმოყრილი არიან, დაჩოქილები უფრო დიადები რომ ჩანან. თითქოს ფესვებით მიწას ჩაზრდიან, რათა ღრუბლებამდე აიზიდონ. გოლიათური მცენარეები იქ, მაღლა ყვავილობენ და მათი ყვავილები გმირულად ეგებებიან ხილვების ქარიშხლებს. ვინ იფიქრებდა, რომ ამ პარიზში, სადაც დღედაღამ მხოლოდ ფულს აკეთებენ და საკუთარ ცხოვრებას ათას საშინელ და სახიფათო საქმით ღუპავენ, შეიძლება აღმოჩენილიყო ვინმე ისეთი, რომელიც ეგზომ აზვირთებული სულით გაიღვიძებდა. და მე კიდევ ერთხელ ვხვდები, თუ რატომ ვცხოვრობ ამ ქალაქში, განკითხვის დღესავით მართალ ქალაქში, სადაც ყველაფერი შესაძლებელია, სადაც ანგელოზებს და ეშმაკთ ყველაფრის გაკეთების ნება აქვთ. რასაც დიდი წმინდანები რუდუნებითა და დაჟინებით ინარჩუნებენ საკუთარ გულებში, მე მას წამიერად შევიგრძნობ ხოლმე ჩემს გულში. მე არ ვცდილობ, ეს სულიერი ამალღება დიდხანს შევინარჩუნო. 15 წუთი ვუნდები ამ საქმეს; მერე ისე ჩავქრები, რომ გარეგნულ ბრწყინვალეებას არ შევინარჩუნებ, მაგრამ ჩემში დარჩება ნათელი შეგნება, რომ ამ დილას ჩვენ ვილოცეთ.

ვილოცეთ — ვისზე ვილოცეთ? ამას ვერ გეტყვით. ლოცვა ეს უეცრად ააღებული ჩვენი ყოფიერების გაბრწყინებაა; ეს არის სვლა უსაზღვრო, გაურკვეველი მიზნისაკენ, ეს არის მძაფრი პარალელი ჩვენი მისწრაფებისა, რომელიც ისე სერავს სამყაროს, რომ გარკვეულთან ვერაფერთან მიდის. ოჰ, რა შორს ვარ ამ დილას იმ ძუნებისაგან, რომლებიც ლოცვის დაწყებამდე კითხულობენ, ღმერთი თუ არსებობსო; აღარ არის თუ ჯერ არ არისო; რა მნიშვნელობა აქვს ამას. მას ჩემი ლოცვა შექმნის, რადგან თავად ლოცვაა შემოქმედება, ზეცისაკენ რომ მიისწრაფვის. და თუ ღმერთს, რომელსაც იგი გულისხმობს, ყავლი აქვს გასული,

მით უკეთესი: იგი ხელმეორედ შეიქმნება და ნაკლებად მობერებულ იქნება მარადისობის საუფლოში.

თუ ყოველივე ამას გწერთ, ძვირფასო, გწერთ იმიტომ, რომ თქვენ ეს დიდი ხანია იცით. და ეს ლოცვა, რომელსაც ვამბობთ, სანამ ჩვეულებრივ დღეს შევუდგებოდეთ, თქვენში უფრო ძლიერია; ის გამუდმებით მოედინება სიყვარულით აღვსილი თქვენი გულიდან, ის აშენებს და ამტკიცებს ზეცას, რომელსაც ჩვენი მოუთმენლობა უეცარ მზერას მოავლებს ხოლმე.

*გმადლობთ, რომ თქვენთვის მონერის შესაძლებლობა მაქვს,
თქვენი რილკე*

მიმი რომანელის

ვენეცია, 11 მაისი, 1910.

ჩემო მეგობარო,

მომწერეთ ბარათი, რომ თავს კარგად გრძნობთ. მე შეუძლოდ შევიქენ და გუშინ ველარ გავემგზავრე. ერთი ზედმეტი დღის გატარებაც მომიხდა აქ (ერთი სევდიანი დღის). ვინ იცის, ჩემი წერილის ნაკითხვამ ძალიან შეგანუხოთ, მაგრამ არ შემიძლია, ისე ნავიდე ვენეციიდან, რომ არ გითხრათ: პირველი შემთხვევაა, თქვენზე გულნატკენი რომ ვფიქრობ.

ეს ჩემი ბრალია, მაგრამ თქვენი ბრალიცაა, ძვირფასო მეგობარო: იმის მაგივრად, რომ ჩემი ძლიერება გამოიყენოთ, თქვენ ჩემი სისუსტით სარგებლობთ, თვითონვე ანგრევთ იმას, რისი მოცემაც მსურს და თანაც ძალას მატანთ.

ერთადერთი სასიკვდილო ზიანი, რაც ჩვენ თავს შეგვიძლია მივაყენოთ, ეს ჩვენი დაახლოება იქნება, გინდაც წამიერი. თუ მართლა უნარი შემწევს, დახმარება აღმოგიჩინოთ, უღონოდ ამას ვერა ვიქმ. რა სხვანაირად ჩაივლიდა ჩემი ცხოვრების ეს ბოლო დღეები, ჩემი სიმარტოვის დაცვა რომ გეკისრათ, სიმარტოვისა, რომელიც ასე მჭირდება. მე მივდივარ დაბნეული, დაღლილი, თავს საყვედურებით ვივსებ. განა სწორია ეს? თქვენ როგორღა გტოვებთ? მერწმუნეთ, ის გავლენა და დახმარება, ჩემს სულს რომ

შეუძლია თქვენსას გადასცეს, სრულებითაც არ არის დამოკიდებული იმ დროზე, რომელსაც ერთად ვატარებთ, არც იმ ძალაზე, რითაც ერთმანეთს ვიჭერთ: ეს არის ფლუიდი, რომელსაც სრული თავისუფლება უნდა მივანიჭოთ, რათა მან ზემოქმედება შეძლოს. სათქმელს ცუდად გამოვთქვამ, მაგრამ ვფირობ, თქვენთვის ისედაც ყველაფერი ნათელი უნდა იყოს და თქვენი ნების მიუხედავად — გამიგებთ! სრულიად ბუნებრივია, რომ თავიდან შეცდომა დავუშვით ჩვენს ურთიერთობაში; მაგრამ ვფიქრობ, საკმარისი იქნება მისი ერთხელ აღიარება, რომ იგი თავიდან ავირიდოთ.

არასოდეს დაივიწყოთ, რომ მე სიმარტოვეს ვეკუთვნი, რომ მე არავინ არ უნდა მჭირდებოდეს, რომ მთელი ჩემი ძალაც ამ განდგომილებიდან იბადება. გარნმუნებთ, მიმი, და ვემუდარები ყველას, ვისაც ვუყვარვარ — უყვარდეს ჩემი მარტოობა; ეს რომ არა, მე უნდა დავემყოლო მათ თვალებს, მათ ხელებს, როგორც გარეული ცხოველი ემალება ხოლმე დადევნებულ მტერს.

ნეტა დღეს წასასვლელი არ ვიყო, ის მაინც მეცოდინებოდა, რომ გამიგებთ, ანდა ოდესმე გამიგებთ. გიყვარდეთ ცხოვრება აი, ისეთ მტკიცეს, როგორიც ხართ. ცხოვრება არაფერზე უარს არ გეტყვით, თუკი მისი გჯერათ.

მშვიდობით, მიმი, ვფიქრობ, მომავალ შეხვედრისას, ორივენი უფრო გაზრდილნი ვიქნებით შინაგანად.

რაინერ მ. რილკე

გემუდარებით, ეს წერილი დანვით. თუ შეინახავთ, ის ნაკლებად მართალი იქნება (ვემშვიდობები ძვირფას ნანასაც).

ანეტე კოლბს

დუინო, 23. 1. 1912

ძვირფასო ფროილან კოლბ!

უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილად კარგად ძალზე იშვიათადლა ვგრძნობ თავს. მხოლოდ პარიზში მომდის ზოგჯერ ისე, რომ სანაპიროზე, ისეთი სიზუსტით, გამიზნულად რომ ვერასოდეს მივალწევდი, ხელში სწორედ ის წიგნი შემრჩება ხოლმე, იმ ნუთში

რომ ვნატრობდი, — აი, სწორედ ამ გზით მოვიდა ჩემთან თქვენი თხზულებაც. ის გუშინ სამჯერ გადავიკითხე, ყოველ ჯერზე სულ უფრო უკეთ ვერგებოდი მას, და ახლა მსურს ჩემი თქვენდამი მაღლიერების ნიაღვარი ამ ფურცლებს გადავანთხო.

რა ხშირად უტრიალებდა ჩემი ფიქრი სწორედ ამ მოვლენას! ის, როგორც საგანი, ასე უკიდურესად ნივთიერი და მყოფადია: მთელ ჰაერს მსჭვალავს, საგანთა ფორებიდან გადმოედინება: *mais moi, je ne pense guère au fond, j'avale mes pensées toutes entières sans en détailler le goût, je les ai dans mon sang avant d'en tirer le profit immédiat qui s'impose...*

თანაც: ადამიანებთან მაკავშირებელი სარკმელი ჩემთვის დახშულია, უკვე სამუდამოდ. ადამიანები ჩემთვის მხოლოდ მაშინ იხსნებიან, როდესაც ჩემი მეშვეობით გამოთქვამენ საკუთარ თავს, ამ ბოლო წლებში კი, ისინი მხოლოდ ორი სახით თუ გამენდობიან და ამ სახეებით მიწევს ზოგადად ადამიანებზე მსჯელობა. რაც უკიდევანოდ, თავისი მშვიდი თავდაჯერებით შემომლალადებს და სმენას უსასრულოდ მიფართოებს, — ესაა ადრე გარდაცვლილთა სახებანი და, — კიდევ უფრო უშუალოდ და წმინდად, უშრეტი წყაროსავით, — *მეტრფე ქალი*. ეს ორი ადამიანური ხატება, მსურს ეს თუ არა, ჩემს გულში ჩაედინება და ზავდება მასში. ისინი ჩემში, ერთი მხრივ, მარიონეტის მკაფიოობით არსებობენ (მარიონეტი ხომ ისეთი *გარეგანია*, ჩვენი დარწმუნება რომ ავალია), მეორე მხრივ კი, იმგვარად დასრულებული ტიპების სახით, რომ ბიოლოგიური სიზუსტით შეიძლება მათი სულის ისტორიის დანერა.

შევჩერდეთ *მეტრფე ქალზე*, — მასში ამჟამად ნაკლებად ვგულისხმობ წმინდა ტერეზას და ყოველივე იმ დიდებულს, რაც ამ მიმართულებით მოხდა, — ის ბევრად უფრო ცალსახად, უფრო წმინდად, უფრო გაუზავებელი სახით და (თუ შეიძლება ასე ითქვას) ნაკლებად უტილიტარულად წარმომიდგება გასპარა სტამპას პიროვნებაში, ასევე ვგულისხმობ ლიონელ ქალს — ლაბეს და ზოგიერთ ვენეციელ კურტიზანს, ხოლო, უპირველეს ყოვლისა: შეუდარებელ მარიანა ალკოფორადოს, რომლის რვა მძიმე წერილში, თითქოს სიბილას გრძნეული ხელით, ჩვენთვის პირველად იშლება ქალის სიყვარულის ალფა და ომეგა, ყოველგვარი ზედმეტობის, გაზვიადების, შემსუბუქების გარეშე. და

აქ, ღმერთო ჩემო, ცხადი ხდება, რომ, ქალის გულის უსაზღვრო თანმიმდევრულობის გამო, ეს ხაზი მინიერ სინამდვილეში სრულყოფილებამდე მიდის და მისი გაგრძელება უკვე მხოლოდ ღვთაებრივის გავლით, უსასრულობაშია შესაძლებელი. აქ, ამ აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი შამილის მაგალითზე (რომლის უგუნური ამპარტავნობა ბუნებამ პორტუგალიელი ქალის წერილების შესანარჩუნელად გამოიყენა), მონაზვნის უზუსტეს ფრაზაში, — „ჩემი სიყვარული აღარ არის იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ მეპყრობი“, — ხდება მამაკაცის, როგორც სატრფოს, გაუქმება, გაქრობა, ბოლომდე გადაყვარება, — თუკი შეიძლება, სიტყვა „გადაყვარება“-ს სათუთი დატვირთვა მივანიჭოთ: ისევე, როგორც ხელთათმანი შეიძლება იყოს ხმარებისაგან გადაცრეცილი. საერთოდაც სასწაულად მეჩვენება, რომ მამაკაცმა ამდენ ხანს გაძლო, ამ სიყვარულში ხომ იმთავითვე მხოლოდ მისი უთხელესი ადგილები იყო ჩართული. რა უსუსურ ფიგურად წარმოგვიდგება ის ამ ამბავში: მას თითქმის არანაირი უპირატესობა არ გააჩნია, გარდა იმისა, რასაც ტრადიცია მიანერს ზოგადად მამაკაცს, მაგრამ ამასაც ისეთი დაუდევრობით ეკიდება, სრულიად აღმაშფოთებელი რომ იქნებოდა, თუკი არ გავითვალისწინებთ მისი დაბნეულობისა და გულგრილობის ღრმა მიზეზებს, — ისინი მას ნაწილობრივ ამართლებს. ასეა თუ ისე, ვერავინ გადამარწმუნებს იმაში, რასაც ამ უმძაფრესი მეტრფისა და მისი სამარცხვინო სატრფოს ამბავი ცხადჰყოფს: რომ ქალის მხრიდან ყოველივე მიღწეული და დასრულებული შეესაბამება მამაკაცის აბსოლუტურ ნაკლულოვნებას. ძალზე ბანალურად რომ ავხსნათ, ქალს სიყვარულის დიპლომი აქვს მონიჭებული მაშინ, როდესაც მამაკაცს ამავე დისციპლინის ელემენტარული გრამატიკა უდევს ჯიბეში, საჭიროებისამებრ ფურცლავს და იქიდან ფრაზებს ისვრის, ისეთსავე კეთილმუღერსა და სხარტს, როგორც პირველი ფრაზებია დამწყებთათვის განკუთვნილ ენის სახელმძღვანელოში. — პორტუგალიელი ქალის შემთხვევა სწორედ იმიტომაა ასე დანმენდილი, რომ მან თავისი გრძნობის ნაკადები წარმოსახვითში კი არ გადადენა, არამედ უშრეტი ძალით კვლავ საკუთარ თავში ჩაიღვარა გენიალურობით აღბეჭდილი ეს გრძნობა: გაუძლო მას, და მეტი არაფერი. ის მონასტერში დაბერდა, ღრმა სიბერემდე მიატანა,

მისგან არამცთუ წმინდანი, კარგი მონაზონიც კი არ გამოსულა. მისი იშვიათი ტაქტიკისათვის სრულიად შეუფერებელი იქნებოდა, ღმერთზე გადაეტანა ის, რაც თავიდანვე მისთვის არ ყოფილა განკუთვნილი და რისი უგულვებელყოფაც გრაფ დე შამილიმ გაბედა. არადა, ლამის წარმოუდგენელია, როგორ შეაკავა სიყვარულის ეს ჰეროიკული ნახტომი და არ გახდა წმინდანი. ამ ყოვლად დიდებულ ქალს წუთით მაინც რომ მოედუნებინა თავისი ძალისხმევა, ის ალბათ ღმერთში გადაეშვებოდა ისევე, როგორც ქვა ინთქმევა ზღვაში, და ღმერთს რომ ენება, მასზეც გამოეცადა, რასაც განუწყვეტილვ სჩადის ანგელოზებთან მიმართებაში, — ის ხომ მთელ მათ ნათებას კვლავ მათვე სტყოცნის, — დარწმუნებული ვარ, იგი იმნამსვე, იქვე, იმ პირქუშ მონასტერში, ანგელოზად გარდაისახებოდა, შინაგანად, საკუთარი არსის წიაღში.

[...] ზოგადად, ქალმა მოახერხა, რაღაც თავისი, მხოლოდ მისეული აღესრულებინა და ეს მიღწევა ბოლომდე მიეყვანა. ხოლო მამაკაცმა, მიზეზად მუდამ რომ ჰქონდა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამით ვარო დაკავებული, და (მოდიოთ, გულწრფელად ვთქვათ) სიყვარულისთვის ჯეროვნად მომზადებული რომ არც ყოფილა, ანტიკური ხანიდან მოკიდებული, სიყვარულის საქმეში საერთოდ (წმინდანებს თუ გამოვრიცხავთ) არ ჩარეულა. ტრუბადურებმა ზუსტად იცოდნენ, თუ რამდენად შორს შეეძლოთ წასვლა, ხოლო დანტემ, ვისშიც ამ განსაცდელმა მწვერვალს მიაღწია, მხოლოდ თავისი ლექსის უშველებელი წრედის შემოვლით მიაღწია სიყვარულამდე. სხვა ყოველივე, ამ გაგებით, ნასესხები ან მეორეხარისხოვანი გახლავთ. [...] ხედავთ, მე მოველი, რომ მამაკაცი, — „ახალი ყაიდის“ მამაკაცი, — რომელიც ამჟამად „გარდატეხის პროცესს“ განიცდის, მისთვის უსათუოდ მარგებელი ამ შესვენების შემდეგ, ერთ-ორ ათასწლეულს რომ გაგრძელდება, ბოლოს და ბოლოს, იტვირთებს „მეტრფედ“ ჩამოყალიბების ამოცანას. ეს იქნება ხანგრძლივი, მძიმე, მისთვის აბსოლუტურად ახალი განვითარება...

ლუ ანდრეას-სალომეს

დუინო, 24. 1. 1912.

[...] ფსიქოანალიზს ჩემთვის მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, მართლაც სერიოზულად რომ ვგულისხმობდე, როდესაც ხშირად, — განსაკუთრებით „მალტეს“ დასრულების პერიოდში, — თავს იმით ვინუგეშებ, *წერას შევწყვეტ-მეთქი*. აი, მაშინ მართლაც შეიძლებოდა ეშმაკების დაფრთხობა, ისინი ხომ ჩვეულებრივ ბიურგერულ ცხოვრებაში მხოლოდ ხელს გვიშლიან და უხერხულობას გვიქმნიან, და თუკი მათთან ერთად ანგელოზებიც გაიფანტებოდნენ, რა ვუყოთ მერე, ესეც ცხოვრების გაიოლება იქნებოდა, რაკილა მათ მაინც ვერც ერთ ახალ პროფესიაში (რომელში ნეტავ?!) ვერ გამოვიყენებდი. მაგრამ ვარ კი ის ადამიანი, ამ ცდასა და მის შესაძლო შედეგებს რომ გაუძლოს? ან იქნებ ესეც შემოქმედებითი პროდუქტიულობის ხრიკია: საკუთარი თავი, სულ სხვა ადამიანად გარდასახული, ხვალიდან უკვე არა შენი სამუშაოს შიგნით, არამედ საკუთარ გაცვეთილ ტყავში წარმოიდგინო? ძალიან დიდხანს მანუგეშებდა და მეხმარებოდა ფიქრი იმაზე, რომ ბოლოს და ბოლოს, ყოველ წუთს შემეძლო რაღაც ახალი საქმის წამოწყება, თუკი ბოლომდე მივიყვანდი იმას, რასაც აქამდე ვაკეთებდი. მაგრამ, სალად თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ პაუზა მეტისმეტად გამიგრძელდა, ხელშესახები გამოსავალი მაინც ვერ მოვნახე, გარდა, ისევ და ისევ ფსიქოანალიზისა, ის კი საბოლოოდ ყველაფერს განდევნის, — როგორც ახლანდელს, ისე სამომავლოსაც. არ დამცინო, მაგრამ „ბრიგეს“ რომ ვამთავრებდი, მთელი კვირების განმავლობაში მჯეროდა, რომ ამის შემდგომ კიდევ შევძლებდი გავმხდარიყავი ექიმი, მესწავლა და შემდეგ სოფლის ექიმად მემუშავა სადმე... [...]

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს
ტოლედო, ოტელი დე კასტილია, ესპანეთი.
13 ნოემბერი, 1912.

ძვირფასო მეგობარო! გარეთ სეირნობისას გუნებაში უმშვე-
ნიერეს ბარათებს გწერთ ხოლმე, აქ, სახლში კი სიცივისგან ვბა-
ბანებ და საზიზღარ პედანტს ვემსგავსები; თავში მიტრიალებს
ფიქრი ათასგვარ წერილმანსა და სამარცხვინო საგანზე; მაგრამ
ყოველივე ამას აღვნიშნავ მხოლოდ როგორც ფაქტს და, ღმერთმა
დამიფაროს, ასეთ რამეებზე დრო დაგაკარგვინოთ. უფრო კი იმის
თქმა მინდა (ეჰ, განა ამის გამოსახატავად არსებობს სიტყვები?!),
რა ზებუნებრივად ზვიადი და უჩვეულოა აქ ყველაფერი. ვერც
კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ახსნან ეს ადამიანებმა,
რომელთა წინაშეც ყოველივე ეს ასეთი წმინდა, სრულქმნილი და
უცილობელი სახით არ წარმოსდგება; სახელდობრ კი, ნეტა რას
უნდა ნიშნავდეს იგი მათთვის, რა ადგილს მიუჩენენ ყველაფერ
ამას და როგორ ათავსებენ მას თავიანთ შინაგან სამყაროში.
„მეუღლე ცისა და მიწისა“, — ასე უწოდა მარიამ ღვთისმშობელს
იეზუიტმა რიბადანეირამ... იგივე გამოთქმა შეიძლება ვიხმართ
ამ ქალაქის მიმართაც: ესაა ცისა და მიწის ქალაქი, რამეთუ იგი
ჭეშმარიტად ორივეგან მყოფობს და განმსჭვალავს ყოველივე
არსებულს. ეს აზრი ამას წინათ შევეცადე განმემართა პიასადმი
მინერილ ბარათში, სადაც ვარწმუნებდი, ამ ქალაქს ერთნაირი
მზერით შეჰყურებენ მკვდრებიც, ცოცხლებიც და ანგელოზე-
ბიც-მეთქი; დიახ, ეს ის საგანი გახლავთ, რომელსაც ერთნაირად
შეიძლება მისწვდეს ეს სამი, ერთმანეთისგან აგრერივად განსხ-
ვავებული მზერა; და აი, ეს სხვადასხვა მზერა შეიძლება შეერთდეს
კიდევ ამ საგნის თავზე და ერთნაირი შთაბეჭდილება მიიღოს
მისგან. ამ უბადლო ქალაქს თავის კედლებში მთლიანად შეუძლია
დაიტიოს მწირი, დაუმორჩილებელი ბუნება, მთა, ჭეშმარიტი მთა,
გამოცხადების მთა; ამ ქალაქიდან მინა შემზარავადაა გამოშ-
ვერილი და პირდაპირ მის კარიბჭესთან იქცევა სამყაროდ, ქმ-
ნილებად, მთად, ხეობად, შესაქმედ. ეს მხარე ჩემში ისევ და ისევ
ინვევს ფიქრს წინასწარმეტყველზე, ტრაპეზის, მასპინძლების და
თანამეინახეების მიტოვებას რომ განიზრახავს და ნასასვლელად

გამზადებულს იქვე, სახლის ზღურბლზე ზეგარდმოეფინება გულ-თამხილაობის მადლი, მრისხანე სახეთა დაუსრულებელი ხილვე-ბი; ასე იქცევა ბუნება ამ ქალაქის გარშემოც, მის შიგნითაც, აქაც და იქაც, უცხო თვალთ შესცქერის მას და ეწყება გამოცხადება.

რაც შემეხება მე, ისევ და ისევ გაკვირვებასა ვარ, რა შესანიშნავად ვყოფილვარ მომზადებული ყველა ამ წერილმან-ისათვის. აი, მაგალითად, პადუაში, Salone della Regione-ში სურათებზე შევნიშნე, რომ აქ ყველაფერია გამოსახული, რაც კი თან ახლავს ყოველდღიურ საქმიანობასა და ჭირ-ვარამს; ასევე იყო აქაც, ამ ქალაქშიც და მე შევეგუე იმ აზრს, რომ ეს გამოცხადება ასე წმინდად უნდა მომვლინებოდა და მასში მოულოდნელობის ნიშანწყალიც კი არ უნდა ყოფილიყო. აბა, წარმოიდგინეთ, კიდევ უნდა მენახა ჩივიდალე, როგორც ტახოს ერთგვარი აღთქმა; სულ ცოტა ხნის წინ კი მოვისმინე ვილაცის ნაამბობი ქრისტიფორეზე; ამ ქრისტიფორეს გამოსახულებას მგონი დუინოს მახლობლად ეკლესიაში მთელი კედელი უკავია; აქ, ამ ტაძარში კი, ყოველდღე მიწვევს ჯდომა უზარმაზარი ქრისტობალის ქვეშ, რომელიც ნამდ-ვილად თალის ბჟენს აღწევს.

გუშინდლამდე მშვენიერი დარი იდგა და საღამოთა სანახაობა მშვიდ სივრცეში თამაშდებოდა; დღეს კი პირველად შეიცვალა ცის ნახატი და ნაშუადღევს წვიმა წამოვიდა, თუმცა გულჩათხრო-ბილმა, ცივმა ქარმა მას პირში სიტყვა გაანყვეტინა, ღრუბლები ზეაჰყარა და ქულა-ქულა გაფანტა მზის მიმართულებით, რომელიც ის-ის იყო დასავლეთისკენ იხრებოდა; ხოლო რაც ჩემს მზ-ერას შემდგომ ამისა გადაეშალა, მაიძულებს, ჩემს თავს მსგავსი მოვლენების მრავალჯერადი განმეორება ვუსურვო (თუმცა მთე-ლი სხეულით სითბოს ველტვი). გუმანით ვგრძნობ, რომ ატმოს-ფერო აქ ერთობ უჩვეულოდ იქცევა, რათა მიესადაგოს ქალაქის იერს; მის ზემოთ თავს ერთად იყრიდა ყველა რისხვა-მუქარა და მერე შორეთში, იმ ღრუბლების ნათელ რელიეფზე ლღვებოდა, რომლებიც უცოდველ, ჰაეროვან კონტინენტებს აგებებდნენ მათ. ეს ყველაფერი ანაზდად ჩაჟამებული, მწირი პეიზაჟის თავზე ხდებოდა. უფსკრულის სიღრმეში კი ჩაკარგულიყო მდინა-რის უდრტვინველი (ლომის ხაროში დამწყვდეული დანიელივით უდრტვინველი) ზოლი და მასზე გადებული ხიდები; ყველაფერ

ამას შერთვოდა ქალაქიც, რუხი ფერისა და ჟანგმინის ყველანაირი ელფერი რომ გადაჰკრავდა აღმოსავლეთის გულშია, მაგრამ მაინც შეუვალი სილაჟვარდის პირისპირ.

თავადის ქალო, იმ მზის ჩასვლაზე ვფიქრობ, ასე შესანიშნავად რომ აღწერეთ ერთხელ, როდესაც მას ფანჯრიდან გასცქეროდით დუინოში, და მინდა ჩემს გულში გამოვუხზო ყველა ძალას, რომელიც შემადლებინებს, ვემეზობლო ყველაფერ ამას მშვიდად და უშფოთველად, როგორც არსებულმა, მჭკრეტელმა, საკუთარ თავზე ზრუნვადავინყებულმა.

აქ ყოფნის დროს მრავლად ვნახე გრეკოს სურათები და ზოგმა მათგანმა მართლაც აღმაფრთოვანა. მაგრამ, საერთოდ კი, გრეკოს ჩვენს სულში სულ სხვა ადგილი უნდა გამოეძებნოს. დღემდე სადაც კი მინახავს იგი, ყოველივე ზემოთქმული იყო მასში ჩაქსოვილი, აქ კი მნახველს იგი გარემოში ეკარგება და მხოლოდ მშვენიერ აბზინდას ჰგავს, რომელიც მთელ ამ დიდებულ გამოცხადებას მხოლოდ უფრო მტკიცედ შემოატმანის საგნებს ირგვლივ; ესაა un cabochon énorme enchâssé dans ce terrible et sublime reliquaire.

...გაგონდებათ აქაური ტაძრის დიდებული ორღანი? ძველებური თოფებივით რომ აქვს გამოშვერილი მილები; ეს და კიდევ გისოსები, გისოსები! დიახ, თუკი აქ ნამყოფი არა ხარ, შესაძლოა მთელი სიცოცხლე სულელივით იძახო: „გისოსები, გისოსებო“, და ვერც ხვდებოდე, რა არის ეს სინამდვილეში. ამიერიდან კი ერთხელ და სამუდამოდ უკვე იცი მაინც, რა არის ეს, და მერე ძილში გესიზმრება და გესიზმრება. დღეისათვის კმარა; ოღონდ კიდევ და კიდევ დიდ, დიდ მოკითხვას გითვლით.

თქვენი D. S.

გაქვთ თუ არა გოგოლის „შინელის“ კასნერისეული თარგმანი? მასში დიდად შეიმჩნევა მთარგმნელის სული და, განსაკუთრებით კი, ამ ნაწარმოებით მისი ალტაცება.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს
ტოლედო, ოტელი კასტილია,
კვირა, 17 ნოემბერი, 1912.

... პირდაპირ კლანჭებში ჩაუვყვარდით აბეზარ სიცივეს, ხოლო ჩემზე ისე საბედისწეროდ არაფერი მოქმედებს, როგორც ეს ყინვა, კაცს ძვალ-რბილში რომ ატანს; მის წინაშე ახალდაბადებული ლეკვივით უმწეო ვარ, რომლისთვისაც ჯერ სახელის დარქმევაც ვერ მოუსწრიათ. საძაგლობაა პირდაპირ! მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ გათბობის საქმეში ერთობ უმწეო ვარ და არ ვიცი ხოლმე, რა გზას დავადგე. დიახ, მშვენივრად მესმის, რომ შემოძლია ბუხარი დავანთო, მაგრამ ეს ჩემში ახლა უკვე სხვა უსიამო გრძნობებს აღძრავს; ისე, რომ ყველაფერ ამას ბუნებასთან სიახლოვე და აშკარად გაყინვა მირჩევნია; ჩემი ასეთი საქციელი ალბათ ოდესმე რალაცნაირად დაფასდება, როგორც გულწრფელობისა და თავდადების თავისებური გამოვლინება.

ამ დღეებში ბევრს ვკითხულობ, თუმცა ქაოტურად: სერვანტესის ცხოვრებას ესპანურად (ეს ჩემი პირველი მცდელობა გახლავთ ამ მიმართულებით), ჩემს ანჯელა და ფოლინიოს, რომლის ნაწარმოებებშიც ზოზინ-ზოზინით მივიწევ წინ, საღამოობით — ჰოფმანის ზღაპრების ძველ ფრანგულ გამოცემას, აქ რომ აღმოვაჩინე; მაგრამ ყველაზე მეტად მიტაცებს ფაბრ დ'ოლივეს კითხვა. მისი ორი წიგნი პია ვალმარანას ერთ-ერთი ნაცნობისათვის გამოვიწერე, მაგრამ წიგნები რატომღაც ჩემთან მოხვდა; ჰოდა, მეც ველარ გავუძელი ცდუნებას, არ გადამეთვალაიერებინა ისინი, ეს გადათვალაიერება კი ნელ-ნელა მთელი გვერდების კითხვაში გადაიზარდა. საქმე ეხება სრულიად უჩვეულო პიროვნებას. საკუთარი თავის წინაშე დასმულ ამოცანას ეს კაცი, ასე ვთქვათ, ახლოსაც კი ვერ მიუდგა, მისი ნაშრომები (რამდენადაც ამას ერთი თვალის გადავლებით ვხვდები), მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოა, მაგრამ ამ სამუშაოსადმი დანერვილ შესავალში გამოთქმულია აზრი, რომლის განხორციელებაც ალბათ მაშინ თუ იქნებოდა შესაძლებელი, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივზე ხუთჯერ ან ათჯერ მეტი რომ იყოს. ეს შესავალი ბევრი რამითაა განსაცვიფრებელი და, თუ არ ვცდები, იმდენად

ბევრს გვპირდება, რომ მის მიერ დასახული ზოგიერთი ამოცანა შეიძლება მომავალში განხორციელდეს კიდევ. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილებაც კი შემიქმნა, თითქოს აქ ვილაც ისეთის ხელი ერია, ვისაც გააჩნდა ანტიკური მისტიერიების, მათი საზრისისა და იდუმალი არსის წვდომის უნარი; მე მგონია, ეს ცალწილ მისი გუმანის წყალობა უნდა იყოს, ცალწილ კი იმისა, რომ გათავისების საოცარი ნიჭი მას თანდათანობით აზიარებდა ყველა ენას, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ საიდუმლოთა გაცხადების ძველთაძველი უნარი; ეს არაბულით დაიწყო და შემდგომ ამისა, ამ საიდუმლოს ნელ-ნელა, ერთმანეთზე მიყოლებით ეხდება ფარდა, ისე რომ, ადამიანი მშობლიურ გარემოშია მოხვედრილი და იმ ადამიანთა თანამედროვედ გრძნობს თავს, ცნობილ გოდოლამდე რომ არსებობდნენ, რომლის მშენებლობაც დიდის არეულ-დარეულობით დამთავრდა. ამრიგად, რაკილა ფაბრს ამ წყარობზე ხელი მიუწვდებოდა, უკვე შეეძლო დედამინის ისტორიის შექმნაზე ეფიქრა ყველაზე ფართო გაგებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, კვლავ უნდა მიჰბრუნებოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, რადგან მანამდე ამ სფეროში თითქმის არაფერი იყო გაკეთებული და ამიერიდან მისი ცხოვრება მართლაც ამ მუშაობაში მიედინებოდა, რომელიც არაერთგზის შეფერხდა და შეწყდა, და უკუგდებულცი კი იქნა; ამ ცხოვრების ნაპრალებში მრავალ ჭორსა და მითქმა-მოთქმას დაებუდებინა; ამბობენ, იგი გულგანგმირული იპოვნესო იმ რელიგიის საკურთხეველის წინ, რომლის გულმხურვალე მესვეურადაც იგი ნელ-ნელა ქცეულიყო. ასეა თუ ისე, ყველა მისი ბიოგრაფი ერთხმად აღიარებს, ამ ადამიანის პიროვნება სასწაულმოქმედ ძალებს ასხივებდაო; თურმე მარტოოდენ მისი მაგნიტური ძალის წყალობით წიგნები თაროებიდან საწერ მაგიდაზე გადაადგილდებოდნენ, ხოლო თუ ამ წიგნების ავტორები ცოცხლები აღარ იყვნენ, გამოუხმობდა მათ, აიძულებდა, პასუხი გაეცათ ყველა ბუნდოვან საკითხზე და ხანგრძლივ საუბრებს მართავდა მათთან.

საინტერესოა ადამიანის, როგორც ისტორიული არსების შესწავლის მისეული გზა; იგი ამბობს, რომ ყველაზე შორეულ საგანთა შესახებ არ შეიძლება არსებობდეს უფრო მნიშვნელოვანი წყარო, ვიდრე სხვადასხვა ხალხში შემორჩენილი წმინდა წერ-

ილებია, და ცდილობს გაარკვიოს, რატომ მოხდა, რომ ერთი ჭეშმარიტების მაუწყებელი ეს ფუძემდებელი წიგნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებინან. იგი საჭიროდ თვლის, შევისწავლოთ და ერთმანეთს შევუჯეროთ ინდუსების, ჩინელებისა და ეგვიპტელების უძველესი კოსმოგონიები; იგი ნელინელ მიუყვებოდა ამ გზას, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, შესაქმეს არ მიადგა და არ დაადგინა, რომ ნამდვილ ძველ ებრაულ ენას (მან საფუძვლიანად აღადგინა ეს ენა და გამოსცა ებრაული ენის ისტორია და გრამატიკა) თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან, „et que Moïse ne disait presque pas mot en hébreu de se qu'on lui faisait dire en grec ou en latin“.

ასე მაგალითად, ჭეშმარიტი ტექსტების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, თითქოს ადამი ერთადერთი ადამიანი, პირველი ადამიანი კი არა, არამედ გარკვეული სახით არსებული პირველქმნილი კაცობრიობა, le premier „Régne hominal“, ადამიანთა ყოფის დინასტია იყო; მოსესთან ასევე არ გვხვდება სიტყვა „დღეები“ შესაქმესთან მიმართებაში; იქ გამოყენებულია გამოთქმა: „ex-prime une manifestation phénoménale; en sorte qu'en le prenant dans le sens le plus restreint, on a pu lui faire signifier un jour: mais ce sens est évidemment, forcé, et on, ne peut se refuser d'y voir un période de temps indéterminé, toujours relatif à l'être auquel il est appliqué“.

მოკლედ, აქ შესანიშნავსა და ღრმა აზრებით აღსავსე ამბებს ვხვდებით. გამორიცხული არ არის, რომ ფაბრ დ'ოლივემ უძველეს *via sacra*-ზე მცირეოდენი მანძილი მაინც გაიარა ერთობ სწორი და მნიშვნელოვანი მიმართულებით. შესაძლოა, სავსებით სწორი იყოს ისიც, რასაც იგი ამბობს მუსიკაზე და მის როლზე უძველეს ხალხებთან; ფაბრ დ'ოლივე იმ აზრისაა, რომ დუმილი მუსიკაში, როგორ გითხრათ, მისი ფარული მათემატიკური მხარე, წარმოადგენდა საერთოდ ცხოვრების მომწესრიგებელ ელემენტს; მაგალითად, ჯერ კიდევ ჩინეთის სახელმწიფოში, მთელი იმპერიის ძირითადი ტონი (იგი შეესაბამებოდა ფა ნოტს) მოსილი იყო უმაღლესი კანონის სიდიადით და თანაც იმდენად, რომ მილაკის მიხედვით, რომელიც ამ ხმას გამოსცემდა, განისაზღვრებოდა საზომი ერთეულები (მისი მოცულობა მიღებული იყო ტევადო-

ბის ერთეულად და ა. შ.) და სამეფოდან სამეფოს გადაეცემოდა. ასეა თუ ისე, ყველა უძველეს სახელმწიფოში მუსიკა ერთობ საპასუხისმგებლო და კონსერვატორული დარგი იყო. აი, აქ ალბათ შეეძლებ გავარკვიო ზოგიერთი რამ, რაც დაკავშირებულია მუსიკისადმი ჩემს დამოკიდებულებასთან; რატომღაც მგონია, ჩემში ეს უაღრესად გაუმართლებელი, რუდიმენტული გრძნობა რალაც საგვარტომოხისნაყოფია-მეთქი; ამ ერთადერთ, ჭეშმარიტ ცდუნებას, როგორც მუსიკაა (არსებითად ხომ სხვა არაფერი გვაცდუნებს აგრერიგად), მხოლოდ იმ აზრით აქვს არსებობის უფლება, რომ ამ ცდუნების გზას კანონზომიერებისაკენ, თავად კანონისკენ მივყავართ; მხოლოდ და მხოლოდ მუსიკაში ვლინდება ის გაუგონარი შემთხვევა, როცა ჩვეულებრივ მბრძანებელი კანონი ვედრებას იწყებს და აშკარად ღალატებს, თუ რა უსასრულოდ ვჭირდებით ჩვენ. ტონების ამ წინააღობის მიღმა, სულ ახლოს იხსნება მთელი სამყარო; ერთ მხარეს ჩვენ ვიმყოფებით, მეორე მხარეს კი, ჩვენგან მხოლოდ და მხოლოდ მთრთოლვარე ჰაერით რომაა გამიჯნული, ჩვენივე წყალობით აღელვებული ვარსკვლავები გადმოგვცქერიან. ამიტომაც ასე ძალიან მინდა ვინამოფაბრ დ'ოლივეს აზრი იმის შესახებ, რომ მუსიკაში მხოლოდ ის არ არის გადამწყვეტი, რის მოსმენაც შეიძლება, რადგან მოსასმენად სასიამოვნო შესაძლოა სულაც არ იყოს ჭეშმარიტი და, რაკი, ჩემის ღრმა რწმენით, ხელოვნებაში მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა მისი გარეგნული მხარე თუ მისი „ზემოქმედება“ (არა ეგრეთ ნოდებულები „მშვენიერი“), არამედ ღრმა შინაგანი მიზეზი, ღრმად ჩამარხული ყოფიერება, რომელიც ინვეეს მხატვრულ მოჩვენებითობას, ხოლო ეს უკანასკნელი სრულიადაც არ უნდა გავაიგივეოთ მშვენიერებასთან, ამდენად ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ ეზიარებოდა ადამიანი მისტერიებში *მუსიკის იდუმალ* მხარეს, წმინდა რიცხვს, მასში რომ დანანილდება, შემდეგ კვლავ მთლიანდება და უსასრულო სიმრავლიდან ერთიანობას უბრუნდება; გასაგებია, რომ ერთხელ მოპოვებულ ამ ცოდნას საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ არ შეიძლებოდა მთლიანად გამქრალიყო უმაღლეს სიცხადესთან სიახლოვის გრძნობა (კაცმა რომ თქვას, განგებაც ხომ მუდამ ასე იქცევა).

ახლა კი ღამე მშვიდობისა, ძვირფასო თავადის ქალო, უკვე გვიანია, თქვენ კი მოგეხსენებათ, რა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ძილს, განსაკუთრებით არცთუ მთლად სასიკეთო დღეებში...

თქვენი D. S.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს რონდა, 17. 12. 1912.

ძალიან ვნატრობ თქვენგან წერილს, პატივცემულო თავადის ქალო, — ღმერთმა უწყის, სად დაეხეტება იგი, — ხოლო რაც ბოლოს მოგწერეთ, ის ახლა ძალზე ყალბად მეჩვენება; რაც მასში ცოცხლად გამოიყურებოდა, სინამდვილეში შეცხელებული კერძივით იყო იმ წერილთან შედარებით, მხოლოდ ფიქრში რომ მოგწერეთ კორდოვადან, ისე კი, მასში არაფერი აღბეჭდილა, გარდა ჩემი უკმაყოფილებისა სევილიათი და საკუთარი თავით, და კვლავაც და კვლავაც საკუთარი თავით. ისევ მქონდა გაუსაძლისი დღეების მთელი წყება, ფიზიკური ტკივილები, რომელთა ასატანად სული არანაირად არ იყო განწყობილი. სადმე რომ მქონდეს ნამდვილი „სახლი“, უსათუოდ „შინ“ გავემგზავრებოდი, რადგანაც ყოველი მოგზაურობა, მეტადრე კი ესპანეთში მოგზაურობა, გარკვეულ განონასწორებულობას მოითხოვს, საკუთარ თავში დარწმუნებულობას, მე კი, სამყარო ყოველ წუთს მენგრევა თავზე, — შიგნით, ჩემს სისხლში, — გარს კი აბსოლუტურად უცხო სამყარო მერტყმის და ეს სიუცხოვე ყოველ ზომას აღემატება. გადანყვეტილი მაქვს, თავადის ქალო, ბოლომდე მივაკვლიო ამ სენის მიზეზებს და იმ პირველწყაროს, საიდანაც განუწყვეტლივ მოედინება სიავე. საკმარისია, სადმე ფესვი გავიდგა, რომ ეს მღვრიე ნაღველი კვლავაც იწყებს ამოსვლას, ზედ გადამეველება და ყველანაირ სასოებას მტაცებს. და მე ვიცი, რომ ჩემთავად ვერ ვუშველი თავს, აქ ექიმია საჭირო, ოღონდ ის სწორედ უნდა შეირჩეს — ჩემში ყველაფერი ერთ განუყოფელ მთლიანს შეადგენს და შეუძლებელია, სადღაც ერთგან მტკიოდეს, სხვა მხრივ კი ჯანსაღად ვიყო. მაზოხისტი სულაც არ ვარ,

ნებისმიერი ტკივილი სამყაროს მართმევს, ამიტომაც ვერასოდეს გამოვდგებოდი წმინდანად და არანაირი შანსი არ მაქვს, ოდესმე სინმინდის საამო სურნელი ვაფრქვიო (თქვენ ხომ ეს ამოიცანით და გამოსთქვით კიდევ. ეს აბსოლუტური სიმართლე იყო).

სხვათა შორის, უნდა გამცნოთ, თავადის ქალო, რომ კორდოვას შემდეგ ქრისტიანობისადმი თითქმის აგრესიულმა გაღიზიანებამ შემიპყრო, ვკითხულობ ყურანს, ის ჩემთვის ზოგან საოცარი ხმით უღერს, მე მის შიგნით ვარ ისე მძლავრად, როგორც ქარი ორლანში. აქ ადამიანებს თავი ქრისტიანულ ქვეყანაში ჰგონიათ, მაგრამ ქრისტიანობა აქაც, რა ხანია, გადალახულია. ქრისტიანული ეს ქვეყანა მაშინ იყო, როცა ქალაქიდან ასი ნაბიჯის მოშორებით ჯერ კიდევ შეიძლებოდა კაცი მოეკლათ; ამიტომაც სწორედ ასე მომრავლებული უპრეტენზიო ქვის ჯვრები, უბრალო წარწერით: აქ გარდაიცვალა ესა და ეს, — ეს იყო ქრისტიანობის აქაური ვარიანტი. ახლა კი აქ რალაც უსაზღვრო გულგრილობა გამეფებულა, ყველგან — ცარიელი ეკლესიები, შიმშილისაგან დაუძღურებული სამლოცველოები. მართლაც, რალა გვესაქმება ამ ნასუფრალზე: აბა, ყოველი ეკლესიის შემოსასვლელში თითების დასასველებლად განკუთვნილი ნაკურთხი წყლით სავსე ამ თასებს ხომ არ ჩავთვლით კერძად! ნაყოფი ბოლომდეა გამოწურული და, უხეშად რომ ვთქვათ, ისლა დაგვრჩენია, ჩენჩო და კურკა გადმოვაფურთხოთ. ეს პროტესტანტები და ამერიკელი ქრისტიანები კი, მგონი, უკვე მეხუთე წყალს ასხამენ ორიათასი წლის წინათ დაყენებულ ჩაის ამ ფერში. არა, ნებისმიერ შემთხვევაში, მუჰამედი უკვე სრულებით ახალი ნაბიჯია. როგორც მდინარე ბურღავს მთის წიაღს, ისე აღწევს იგი ერთადერთ ღმერთთან, ვისთანაც ასე დიდებულად შეიძლება საუბარი ყოველ დილით, იმ ტელეფონის გარეშე, ჩვენ რომ „ქრისტეს“ ვუნოდებთ და რომელსაც ნიადაგ ჩავძახით: „ალო, არის მანდ ვინმე?“ — პასუხს კი არავინ გვაძლევს.

[...] ჯერჯერობით აქ ვარ, რონდაში (უკვე ერთი კვირაა), ფაშას ჩამოსვლისთანავე გავუგზავნე რამდენიმე ხედი, იმდენად ძლიერ ვირწმუნე, რომ ეს ქალაქი, ორ დამრეც კლდოვან ფერდობზე აცოცებული, მდინარის ღრმა ხეობით გადასერილი, მის წარმოსახვით სურათს შეესაბამება; ეს მართლაც რომ აღუწერელია:

ამ ყოველივეს გარს ერტყმის ფართო ველი, ყანებით, მუხებითა და ზეთისხილის ხეებით დაკავებული, შემდეგ კი, შორს, თითქოს სული მოითქვაო, ახალი ძალით აღიმართება კვლავაც სუფთა, შეურეველ მთიანეთად: ერთი მთის უკან მეორე მოჩანს, რაც ყოველად კეთილშობილურ სივრცე-სიშორეს ქმნის. თავად ქალაქს რაც შეეხება, შეუძლებელია, იგი ამ პირობებში სხვაგვარი ყოფილიყო: თავისთავადია, ზეალმავალი და ჩამავალი, ადგილ-ადგილ — უფსკრულში ჩახსნილი იმდენად, რომ ვერც ერთი ფანჯარა ქვევით ჩახედვას ვერ ბედავს; ყოველწლიურად შეეთეთრებული პატარა სასახლეები მუდამ მკვეთრად გამოყოფილი ფერადი პორტალით, აივნების ქვეშ — ღერბებია, ცოტათი შეღახული ჩუქურთმული მუზარადით, ფარზე კი მკვეთრად, დეტალურად აღბეჭდილი და ბრონეულის მარცვლებივით მჭიდროდ ჩამჯდარი ნახატი.

[...]

გარწმუნებთ, თავადის ქალო (არა, არა, თქვენ უნდა დამიჯეროთ), ჩემში აუცილებლად რაღაც უნდა შეიცვალოს, ოლონდაც ძირფესვიანად, ძირფესვიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს ყველა სასწაული ფუჭი გამოდგება. კვლავაც უმძაფრესად ვგრძნობ, თუ რაოდენია ჩემთვის ამოდ დახარჯული და გაფანტული. წმინდა ანჯელასაც² მსგავსი განცდა ჰქონდა: „Quand tous les sages du monde, — ამბობს ის, — et tous les saints du paradis m'accablèrent de leurs consolations et de leurs promesses, et Dieu lui-même de ses dons, s'il ne me changeait pas moi-même, s'il ne commençait au fond de moi une nouvelle opération, au lieu de me faire du bien, les sages, les saints et Dieu exaspéreraient au delà de toute expression mon désespoir, ma fureur, ma tristesse, ma douleur et mon aveuglement“. ეს მონაკვეთი ერთი წლის წინათ საგანგებოდ მოვინიშნე წიგნში, რადგანაც ერთბაშად მთელი არსებით ჩავწვდი მის აზრს და, აი, ვერც ახლა ვშველი საკუთარ თავს, მას მერე ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტად შემეფერება.

დღეს, ამ მთებს რომ გადავხედე, ამ ფერდობებს, კრიალა ჰაერში სიმღერისათვის გამზადებული ნოტებივით რომ გადაშლილა, იძულებული ვარ, გამოვეუტყდე საკუთარ თავს, რომ სამი წლის წინ-

² წმ. ანჯელა და ფოლინო (1248-1309) – იტალიელი მისტიკოსი ქალი.

ნათეს ყოველივე ჯერ კიდევ უზომოდამიტაცებდა და მთლად სიხარულად მაქცევდა, — ახლა კი მეჩვენება, თითქოს ჩემი გული მრავალი მილის მანძილზე გადაადგილდა, და ვხედავ საგნებს, მისკენ დაძრულებს, მაგრამ ვერ ვგებულობ, მიაღწიეს თუ არა თავიანთ მიზანს. აჰ, ჯერაც ვერ შევეჩვიე იმას, რომ „nouvelle opération“-ს ადამიანური ჩარევისაგან არ უნდა ველოდო, არანაირად: მე ხომ წილად მხვდა ყოველივე ადამიანურის ასხლეტა, მისგან განზიდვა მინის უკიდურეს დასალიერამდე, აი, ისე, ამას წინათ კორდოვაში რომ დამემართა, როდესაც ერთი პატარა, უშნო, თვალშისაცემად გაბერილი ძუენა ძალლი მომიახლოვდა; კეთილშობილ ცხოველს მას ნამდვილად ვერ ვუნოდებდით, თანაც სავსე იყო ყოვლად შემთხვევითი ნაშეიერებით, რომლებზეც ზრუნვას კაციშვილი არ შეუდგებოდა; მაგრამ ის მოვიდა ჩემთან, რაკილა მარტონი ვიყავით, თუმცა ძალზე უჭირდა მოძრაობა, დარდითა და შინაგანობით გადიდებული თვალეზი მომაპყრო და საპასუხო მზერა მოითხოვა ჩემგან, — მისი მზერა კი ჭეშმარიტად ყველაფერს იტყვდა, რაც ერთეულ არსებას აღემატება და გადადის, — არც კი ვიცი, საით, — მომავალში თუ რაღაც მოუხელთებელში; ამ მზერამ იმდენად გამაღლო, რომ ძალს ჩემი ყავისათვის განკუთვნილი შაქრის ნაჭერი ვუწილადე, მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვანი გახლდათ: უბრალო აღებ-მიცემის ზედაპირს მიღმა ჩვენს შორის შედგა უსაზღვროდ სერიოზული გაგება, გამოუცნობ სიღრმეთა ურთიერთწვდომა. ასეთი რამ ხომ მხოლოდ მინაზე შეიძლება მოხდეს, ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგია, ამქვეყნიურობის გზა რომ უნდა გამოვიაროთ, — თუნდაც მფრთხალად, თუნდაც ბრალეულად, თუნდაც უაღრესად არაგმირულად, — ეს მაინც არაჩვეულებრივად გვამზადებს იმ, ღვთაებრივი სინამდვილისათვის.

როგორ მაფორიაქებს და მიხმობს გარედან შემოსული ფრინველის ოდნავგასაგონი ხმაც კი! ღმერთო, ჩქარა მოვიდოდეს გაზაფხული და სადმე, როგორმე შევძლო, ყველა გრძნობით შევისრუტო ბუნება!

ლუ ანდრეას-სალომეს რონდა, 1913 წლის 6 იანვარი.

[...] „კაცმა რომ თქვას, უკვე რა ხანია თავისუფალი იყო და თუკი რაიმე აფერხებდა მის სიკვდილს, ალბათ მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ ყოველივეს სადღაც უკვე შეავლო თვალი ისე, რომ სხვებივით სიკვდილისაკენ გზის გაგრძელება კი აღარ მოუწევდა, არამედ მასთან დაბრუნება. მთელი ხდომილება უკვე მის გარეთ იყო, ჩამდგარიყო თავდაჯერებულ საგნებში, რომლებითაც ბავშვები თამაშობდნენ, და მათთან ერთად იმსხვრეოდა. ან გადარჩებოდა იმ უცნობი ქალის ამოხედვაში, გვერდით რომ ჩაუვლიდა მას; ყოველ შემთხვევაში, იქ თავის საფრთხეს მიენდობოდა ხოლმე. მაგრამ ძაღლებიც მიმოარბენინებდნენ მას, შემფოთებულნი უკან იმზირებოდნენ, ვაითუ, ისევ წაგვართვასო. და მაინც, იმ აყვავებულ ნუშის ხესთან როცა მივიდა, შეშინდა, ასე მთლიანად გაღმა გადასული რომ იხილა, მთლად იმ, სხვა განზომილებით დაკავებული, ასე შორეული; ის კი, თავად, საკმარისად ცხადად არ იდგა ამ ხის პირისპირ და თან მეტისმეტად დაბინდული იყო საიმისოდ, რომ თუნდაც სარკესავით აერეკლა მისი ყოფნა. წმინდანი რომ ყოფილიყო, მაშინ შეძლებდა მდგომარეობიდან ნეტარი თავისუფლების მოპოვებას, — სიღარიბის უსასრულოდ წარუშლელი სიხარულისა: რადგანაც, ალბათ, სწორედ ასე იწვა წმინდა ფრანჩესკო, ყველას შეეძლო ეგემა მისი ხორცი და მთელი სამყარო მისი არსის სიტკბოებად ქცეულიყო. თვითონ კი სრულად არ ჩამოუცლია ქერქი, ძალით ამოიგლიჯა თავი საკუთარი არსებიდან და ქერქის ნაგლეჯებიც ზედ შერჩენოდა; ხშირად კი (როგორც ბავშვები იქცევიან თოჯინებით თამაშისას), საკუთარი თავი საკვებად მოჩვენებით ბაგესთან მიუტანია და პირი აუცმაცუნებია, მაგრამ ლუკმა ხელუხლებელი დარჩენილა. ჰოდა, ახლა ის ნაგავს ჰგავდა, შუა გზაზე მიმოყრილს, — თუნდაც ოდესღაც ისიც სავსე ყოფილიყო სიტკბოებით“.

აი, ეს დღეს ადრიაანად ჩავნერე ჩემს უბის წიგნაკში, თავად მიხვდები, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. გუშინ შენი კეთილი წერილი მივიღე. ჰო, ორი ელეგია უკვე მზად არის, — მაგრამ ზეპირად შემიძლია გითხრა, რამდენად მცირე და თხელ ნამსხვრევს შეადგენენ ისინი იმისას, რაც მაშინ ჩემს განკარგულებაში აღ-

მოჩნდა. ეს იყო კავშირებისა და ძალების მოზღვავება, როგორც იმხანად, როდესაც „უამნი“ დაიწყო: რამ აღარ წამოყო თავი სიღრმეებიდან. ერთმანეთს რომ შევხვედროდეთ, საყვარელო ლუ, — აი, ესაა ახლა ჩემი დიდი იმედი, ჩემი საყრდენი, ჩემი ყველაფერი, როგორც მუდამ. ხშირად ვეუბნები საკუთარ თავს, რომ ადამიანურთან მხოლოდ შენ მაკავშირებ, ის შენი სახითაა ჩემკენ შემობრუნებული, შემიგრძნობს, თავის სუნთქვას მაგებებს; სხვა ყველგან მაინც როგორღაც მის ზურგს უკან ვარ და ვერაფრით ვაიძულებ, ამომიცნოს.[...]

კარლ ფონ დერ ჰაიდს

პარიზი, 1913 წლის 15 მარტი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ანგელოზთა ვნებისმიერ არსს არ შეეფერება მაყურებლად ყოფნა, ისინი ჩვენ ზუსტად იმდენად აღგვემატებიან ქმედითობაში, რამდენადაც ღმერთია მათზე უფრო მეტად ქმედითი; ჩემის აზრით, ისინი არიან მოქმედი *par excellence*, — და, უნდა მენდოთ, ამაზე თავს დავდებ: რადგან ჩემი ძირ-ფესვით საგნებსა და ცხოველებს ვენათესავეები და მუდამ ვნატრობდი, განვსწავლულიყავი ადამიანურში, მაგრამ უეცრად შემასწავლეს ის, რაც უშუალოდ მოსდევს ადამიანურს: ანგელოზური, ამიტომაც გადავახტი ადამიანებს და უკან ვიხედები მათკენ კეთილგანწყობით. მაგრამ რა თავის ქებად უნდა მოგეჩვენოთ ეს სიტყვები თქვენ, ვინც ასე მყარად გაშინაურებულხართ არამყარ ამქვეყნიურში. მე მღელვარებითა და სიხარულით წავიკითხე თქვენი მოგზაურობის პატარა ნიგნი — შემოდგომის მოგზაურობა საბერძნეთში. ძვირფასო მეგობარო, თქვენთვის თითქოს ჯერაც ძალაშია უფალი ღვთის ის შესტი, რომლითაც იგი (თუ არ ვცდები, ბოკლინის რომელიღაც ადრეულ ტილოზე, ლამაზი მენამული მოსასხამით მოსილი, ასე დაუფინყარად და უშუალოდ რომ გამოკვეთავს მას) უგულითადედესად ანიშნებს ადამს, თავი შინ იგრძნოს და სუფრას მიუჯდეს; თქვენთვის სამყარო, სულიერი თვალსაზრისით, ასე საოცრად ნატიფადაა შეკმაზული, და დიდი, ნოყიერი გზების შუალედებში კიდევ იმდენია პატარა, მადისაღმძვრელი შემთხვევა-ბილიკი.

ერთ სიამოვნებად ღირს თქვენი მონათხრობის სმენა, თქვენთან მოვლენები მსუბუქად გადადის ერთი მეორეში, მიშვებულთა თავის ნებაზე და, ამავე დროს, ბევრად უფრო შორს მიდის წინ, ვიდრე სხვა ამას ძალდატანებით მოახერხებდა. და ის ახალგაზრდებიც, თქვენს გვერდით რომ ხარობენ, ძალზე მოხდენილად და ნატიფად ერწყმიან მთლიან სურათს. თქვენს შორის არსებული სიახლოვე მთელ დაულალავ სამოცდაცხრამეტ გვერდს ტკბილზმოვან მუსიკად მიჰყვება. არაფერი წამიკითხავს თქვენი, თავისი უბრალოებით ამ წიგნივით სუფთა და მდიდარი რომ იყოს, — ამას რაც შეეხება, ძალზე ულმობელი გეოლოგი გახლავართ და ჩემი ურო კრიალა ხმას ბოლო დროს უკვე კლდეებზე კი აღარ, — მხოლოდ ვარსკვლავებზე დარტყმით თუ გამოსცემს.

ახლა კი მადლობას მოგახსენებთ, მეგობარო, ლიცეუმის კლუბში ჩემს საპატივცემულოდ წარმოთქმული სიტყვისათვის; დარწმუნებული ვარ, თქვენ დამსწრეთ მეტისმეტად ბევრი სიკეთე უამბეთ ჩემზე და სწორედ ამან გამოიწვია ამდენი შეკითხვა. კიდევ კარგი, რომ ბევრი რამის დაზუსტება ვერ მოახერხეთ და არც სურათები აღმოგაჩნდათ ხელთ; არ არის საჭირო ქალების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ის ხომ ბევრად უფრო ძვირფასია იმ ყველაფერზე, რითაც მისი დაოკება შეგვიძლია (დაოკებაც ხომ, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ამ ცნობისმოყვარეობის გადატანაა სივრცობრივ განზომილებაში). მაგრამ ამან ძალზე ამალელვა. მთელი გულით გმადლობთ, რომ ასე ერთგულად გწამთ ჩემი და სიტყვითაც ასაბუთებთ ამას. თბილ სალამს ვუძღვნი თქვენიანებს, განსაკუთრებით — თქვენს პატივცემულ მეუღლეს. უამბეთ ქალბატონ ედიტ ბონეს, რომ როდენი ძველებურად ცხოვრობს, ახლა უკვე სრულიად მარტო, ვარენის ქუჩაზე მდებარე სასახლეში, რომლის გარშემო უკვე ყველაფერი დაანგრიეს გარდა წინ, ქუჩის პირას მდგარი საყდრისა და მასთან არსებული პატარა სამლოცველოსი. სწორედ იქ ზის ბებერი კონსიერჟი, სისულელეებს ბუჭტურობს და პარიზის ყველა კონსიერჟივით, სავსებით კანონზომიერი სწეულებით — განდიდების მანიითაა — შეპყრობილი. მშვიდობით მეყოლეთ.

ძველებურად თქვენი რილკე.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს
პარიზი, 1913 წლის 27 დეკემბერი

ეს უცნაური მოსასმენი უნდა იყოს, მაგრამ მე მაინც მოგდა-
ხით: არ ჩამოხვიდეთ, თავადის ქალო, გთხოვთ, არ ჩამოხვიდეთ!
ასე ქალბატონ დელ ჯოკონდოსადმი ეჭვიანობა როდი მაყვირებს
(მისი ნახვა სულაც არ მსურს) —; არა, მე აღთქმა დავდე, რომ
არავის შევხედავდი და ბაგეს თუ გავხსნიდი, მხოლოდ შიგნით
ჩაბრუნებული სიტყვის წარმოსათქმელად —; თუკი ჩამოხვალთ,
ან აღთქმული მდგომარეობის შენარჩუნება მომიწევს (რაც აბ-
სურდული იქნება), — ან, თუკი მას დავარღვევ, მაშინ, ვშიშობ,
თავადის ქალო, კვლავ სამოგზაუროდ არ გავნო, ანდა კიდევ სხ-
ვებსაც არ გამოველაპარაკო, თუკი ერთადერთ მშვენიერ, მშვე-
ნიერ გამონაკლისს მაინც დავუშვებ. მე ჭუპრში ვარ, ძვირფასო
მეგობარო, ჩემი ოთახის ჰაერი სავსეა უთხელესი მოფარფატე
ქსელით, რასაც მთელი დღე-ღამის მანძილზე ვქსოვ, რათა
შემდეგ შემოვიხვიო და ჩემი ცნობა უკვე შეუძლებელია. გთხოვთ,
ო, გთხოვთ, დაელოდეთ მომავალ პეპელას, ამ შემოდგომით, ბერ-
ლინში, ხომ შეესწარით, რა დაღვრემილი და შემზარავი ვიყავი
მატლის სახით, — ნამდვილი საფრთხობელა. და თუ, ბოლოს და
ბოლოს, არავითარი პეპელა არ გამოფრინდა, ეგეც არაფერი:
დავრჩები ასე, ჩემს თექაში გამოკრული და ვიოცნებებ იმ მეგლო-
ვია-პეპელაზე, რომლად გარდასახვის ოდნავი შანსი მაინც მქონ-
და. მე თუ ვერა, მაშ, სხვა ვინმე გამოფრინდება, ღმერთს მხოლოდ
ის სურს, რომ ფრენა შედგეს; ხოლო ვინ სრულჰყოფს მას, — ეს
მის ყურადღებას მხოლოდ წუთიერად თუ იპყრობს. დამცინეთ,
თავადის ქალო, ან გამკიცხეთ. სჯობს, ორივე ჰქნათ, გეთაყვათ,
ვიცი: ყოვლად აღმაშფოთებელი ფრინველი ვარ, ჩემს ქანდარაზე
ვზივარ, ღინღლაქერცლილი და აბურძგლული, საკუთარი ბუმ-
ბულით ნისკარტგამოტენილი, და ეს ჩემი უნამუსო ნისკარტი
საახალწლო მოლოცვის მაგიერ შემოგდახით: არ ჩამოხვიდეთ!
რალა თქმა უნდა, აქ ცოტათი თავმოყვარეობაცაა ჩარეული: არ
მსურს, ასეთ მდგომარეობაში მნახოთ. კლასიტი დიდებული იყო,
მერწმუნეთ, აჰ, რომ შემეძლოს თქვენთვის ამის ბოლომდე ახსნა.
რაც ჩემთავად გამიკეთებია, მის გვერდით ჩიტის ქარაფშუტულ

ჭიკჭიკს მაგონებს. თქვენ ახლა მის სიმნკლარტეს ვერ დააფასებთ, რადგან პირის გემო გაქვთ ნახდენილი იმ მავან პოეტით, ამჟამად რომ თარგმნით, მაგრამ ერთხელ, სრულიად განახლებული და ფხიზელი თვალი უნდა გაუსწოროთ პრინც ფონ ჰომბურგს, გუისკარდის ფრაგმენტს, — ყველაფერს კი ის აჯობებს, როგორმე ერთად გავაკეთოთ ეს. ნეტავ თავადი თუ იცნობს მას? მისთვის ეს ნანარმოები ახლობელი უნდა იყოს. ეს ყოველივე ისე მშვენიერია, ისე დაწმენდილი, თითქოს თვალდახუჭულს გამოუვიდაო, პირდაპირ მკაცრი ადამიანური ბუნების წიალიდან ამომსკდარსა ჰგავს... როდესაც წარმოიდგენ, რომ ფუჟე მისი თანამედროვე იყო, და კიდევ უარესი, მაღამ ფუჟე (ეს „გალანტურობის ბლაგვი დაშნა“, როგორც ბეტინა არნიმი იტყოდა ალბათ), მაშინლა ხვდები, რას ნიშნავს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ისეთ ვინმედ ყოფნა, როგორიც კლასიტი იყო.

ჭაბუკობაში ძალზე მიყვარდა მის საფლავზე მისვლა, მაშინ მის გარშემო მიდამო ჯერაც გავერანებული იყო, თუმცა რკინიგზა მაშინაც შორიახლო გადიოდა; საფლავზე მუდამ იდო სორმას მიერ მიძღვნილი გვირგვინი, მაგრამ გისოსი მოუვლელობისაგან უანგს შეეჭამა, იგი მის დიდებას საყრდენად არ სჭირდებოდა. იმხანად მივუძღვენი მას ჩემს წიგნაკში ჩანერილი ეს სტრიქონები (ჯერ კიდევ მახსოვს ისინი, ან იქნებ კვლავ მომაგონდა):

არცა ბრძენნი ვართ და არც ბეცნი, —
ვეძიებთ, ვლელავთ.
იქნებ შენ იყო მპოვნელი ჩვენში,
მოუთმენელო...

ღმერთო ჩემო, მაშინ მისას თითქმის არაფერს ვიცნობდი და ვგულისხმობდი მის უცნაურ სიკვდილს, რადგან საერთოდ მხოლოდ უცნაური მესმოდა, ახლა კი უკვე მის ცხოვრებას ვგულისხმობ, რადგანაც თანდათანობით მიყალიბდება წარმოდგენა მშვენიერსა და დიადზე, ასე რომ, სიკვდილი მალე ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავს ჩემთვის.

ძვირფასო თავადის ქალო, აქ შემხვდა ერთი გაზეთის ფურცელი ყოვლად ამაზრზენი სურათით, — სულ ეს იყო, რისი მოძებნაც

შევძელი შრენკ-ნოტცინგთან დაკავშირებით და ისიც, მერწმუნეთ, საკმარისად დაბალი დონისაა. თავად წიგნი არ შემიკვეთია, წიგნებით მოვაჭრემ შემომთავაზა ის გამოსვლისთანავე, მე კი დაფიქრება ვარჩიე, — მაგრამ ახლა ვიცი, რომ ეს ყოველივე საჩემო არ არის (თავად მიხვდებით, თუ რა არის ნამდვილად საჩემო). მე მზად ვარ, ყოველ შთაგონებულ სულს სიტყვა შევანიო; რაკილა აუცილებელი გახდა, ის ჩემს ცხოვრებაში შემოჭრილიყო, მაშასადამე, სათქმელიც ექნება რალაც, თანაც ღირსეული, რისაც არც მე შემრცხვება და არც მას; მაგრამ მძულს სულებისათვის სატყუარად შაქრის ნატეხების მიმოყრა, რათა, ღმერთმა უწყის, რა გარენარი, იმქვეყნად კანონგარეშე გამოცხადებული აჩრდილები შემოეხეტონ და აფრიკიდან ჩამოსული ველურებივით, ისეთი მოჩვენებითი წეს-ჩვეულებებითა და საიდუმლოებებით გაგვაბრუნონ, არც ერთ საუფლოს რომ არ ეკუთვნის, — ეს უგემოვნოა და ამქვეყნიურსაც და იმქვეყნიურსაც ერთნაირად ამღვრევს თავისი დანალექით. თქვენ მიხვდებით, რომ ამით იმ „უცნობი ქალბატონის“ წინააღმდეგ როდი ვილაშქრებ: მან მართლაც განიცადა ეს ექსპანსია, და მის შესახებ სიცოცხლეშიც რომ აღარაფერი შევიტყო, ის მუდამ დარჩება ჩემთვის აირში მქროლავ არსად, კავშირში ყოველივე მასთან, რაც ჩვენში არის მქროლავი. მაგრამ თვით მის მოსაზიდადაც კი, არაფერს მოვიმოქმედებ, — განა ჩვენს სულში გამუდმებით არ ფრიალებს ასე ბევრი რამ, გაშლილი და თავისუფალი, მაშ, რა უშლის მას ხელს, ჩემი არსის წიაღში შემოფარფატდეს, რატომ არ ძალუძს, საღამოხანს ამ მაღალთაღიან ოთახში გაჩნდეს, საბაბად ნებისმიერი ჩქამი გამოადგება. ხომ აქვე ჰკიდია ჩემთვის უცნობი ქალის ეს არაჩვეულებრივად ცოცხალი პორტრეტიც, დღისით ჟანგისფერი და გახუნებული მოშავო ფონით, რომელიც ღამით თითქოს სულ ახალ-ახალი წყვილიდით ასაზრდოებს და აღრმავებს დარბაზს. — არა, ეს ხელობა მძულს და ნამდვილად არ ვისურვებდი, ჩემი მწირი წყლები ამ არხს გავაყოლო, სადაც, ვინ იცის, სულაც ნუმპედ დადგეს და შმორიან ჰაერში ბუშტები და ჭაობის სინათლეები აათამაშოს.

თქვენ კი, თავადის ქალო, ამ საფრთხისაგან შელოცილი ხართ, რადგან თქვენ რალაც გაგეგებათ ამ საკითხებში, მხოლოდ გრძნობებს როდი ენდობით და ვერავითარი აჩრდილი ჭკუას

ვერ დაგარიგებთ: თქვენ ხომ აჩრდილებსაც შიგნიდან იცნობთ და შეგიძლიათ განსაჯოთ, რამდენად უმწეო და შეზღუდული შეიძლება იყოს რომელიმე მათგანი, ვინც ჩვენში შემოღწევას ლამობს. ნარმომიდგენია, რა უცნაურად უნდა გეგრძნოთ თავი, თავადთან ერთად რომ მიგეკითხათ შრენკისთვის, რომელიც, სხვათა შორის, წინათ მაინც, არც მთლად უმნიშვნელო ფიგურა გახლდათ. თუმცა სულ მცირედი საკუთარი გამოცდილება აქ განუზომლად მეტის მომცემი იქნებოდა, მაინც მგონია, რომ ამგვარი ალტკინებისას ათასნაირი რამ შეიძლება მოგელანდოს.

ქასნერი თუა ამჟამად თქვენთან? გთხოვთ, ჩემი გულითადი სალამი გადასცეთ.

კაციშვილს არ ვხვდები, მოყინა, ქუჩები მოლიპული იყო, ახლა წვიმს და ყველაფერი ნესტითაა გაჟღენთილი, — ესაა აქაური ამინდი: სამ დღეში ერთხელ იცვლება.

პარიზით მართლაც რომ ყელამდე ვარ სავსე, დაწყველილი ალაგია, მუდამ ვიცოდი ეს, მაგრამ უნინ ანგელოზმა განმიმარტა დაწყველილთა ყველა სატანჯველი; ახლა კი, როცა თავად მიხდება მათი წვდომა, სახარბიელო ვერაფერი გამომდის და ვშიშობ, რაც ადრე დიდებულად იყო ნარმოჩენილი, ახლა, ჩემს ხელში, უღიმღამო და უბადრუკი არ გახდეს. თუკი ღმერთს თანაგრძნობა გააჩნია, მალე მომადებნინებს ორიოდ ოთახს სადმე ქალაქგარეთ, სადაც ჩემს ნებაზე მიშვებული ვიბობოქრებ და სადაც ელეგიები ჩემი წიაღიდან ისე შეჰყმუვლებენ მთვარეს, როგორც მოეხასიათებათ. ამას თან უნდა ახლდეს საშუალება შორ გზებზე მარტოდმარტო ხეტიალისა და ადამიანი, დობილი!!! (აჰ), ბინას რომ მოუვლიდეს და სიყვარული სრულებით არ გააჩნდეს, ან მხოლოდ იმდენი, რომ არაფერი მოითხოვოს ჩემგან: მხოლოდ ქმედება და მფარველობა გამიწიოს მუდამ ხილულის ზღვარზე მყოფმა. ესაა ჩემი საახალწლო სურვილი 1914, 15, 16, 17 და ა. შ. წლებისათვის.

მაგრამ თქვენთვის, ჩემო თავადის ქალო, თავადისათვის, მუდამ ვიტოვებ გულის ერთ კუნჭულს, რომელიც მუდამ სავსეა, მუდამ გაფაციცებული, რათა ზეცამ სრულყოს მასში შენახულ სურვილთა სისავსე.

ბენვენუტას

პარიზი, 1914 წლის 26 იანვარი.

წარმოიდგინეთ, ის ზამთარი ერთ პატარა ესპანურ ქალაქში გავატარე, გიბრალტარის მახლობლად. ერთხანს ტოლედოში დავრჩი: ახლა ასე უბრალოდ ვწერ ამას, ფურცელი ყოველგვარი კრძალვის გარეშე იღებს ამ ამბავს, — არადა, შემოძლია დაგარწმუნოთ: ეს ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო, ეს იყო ძველი ალთქმა, გეგონებოდა, ეს ყოველივე ფანტაზიის მთელი ძალით გაქვს წარმოდგენილი, არადა, ის შენს წინაშე დგას, ყოველ დღე, ყოველ ღამე, ყოველი შეუძლებელი, გაუგონარი ღამით. რამდენადაც უეცრად თავსდატეხილი ხილვა გადანონის ადამიანის უბრალოდ ერთ ნერტილში დგომას, ზუსტად იმდენადვე გადანონის ეს ქალაქი, ეს ლანდშაფტი ზოგადად ლანდშაფტის ჩვენთვის ცნობილ ყველა შესაძლებლობას. და ამ ყოველივეს მოსესავით შეჰყურებ, და მთელი შენი მზერით პასუხს აგებ ამ უსაშველოს წინაშე. მე კი წინა წლებშიც უკვე მომიწია უცხო ქვეყნების უდიდეს სანახაობათა წინაშე დგომა და ახლა, რონდაში (იმ სამხრეთესპანურ ქალაქში) უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემი მზერა გადატვირთულია, იქაც ისე დიდებულად გადაშლილიყო ზეცა და ღრუბლის ჩრდილები ისეთ გასაოცარ ანაბეჭდებად მისრიალებდნენ მინის სხეულზე, — აჰ, მე კი ვიჯექი, თითქოს ახლა უნდა დავბრმავებულიყავი, თითქოს ჩემი თვალები უნდა დახშულიყვნენ იმ სურათების გარშემო, რაც შეისრუტეს, ან, თუკი ხდომილება და ყოფნა დაუშრეტელია, მაშინ მომავალში სულ სხვა გრძნობით უნდა შევგებებოდი სამყაროს: მუსიკა, მუსიკა: აი, რა უნდა ყოფილიყო ეს. ერთხელ ვიღაც უკრავდა პატარა სასტუმროში, მე მას ვერ ვხედავდი, გვერდით ოთახში ვიჯექი და მაშინ შევიგრძენი, რომ ამ საოცარ ელემენტში (მას თითქმის არ ვიცნობ, თანაც ის ჩემთვის მუდამ მეტისმეტად მძლავრი იყო) სამყარო ბევრად უფრო ლაღად გადადის. სავსე, თითქმის უშრომელი ბედნიერება იყო მუსიკის გავლით სამყაროს აღქმა, რადგან ჩვილი ბავშვის ფეხის გულივით ნორჩი ყური მაქვს...

ეს უნდა მომეთხრო თქვენთვის, რათა გაგეგოთ, რა დამოკიდებულება მაქვს მუსიკისადმი; ამჟამად აქ, სადაც უკვე წლების

მაძილზე შინ ვარ (თუკი საერთოდ შეიძლება ასეთი რამ ითქვას ჩემზე), კვლავაც სრულიად უმუსიკოდ, უმძიმეს შინაგან შრომაში ვცხოვრობ: რალაცნაირად ხომ უნდა დავძლიო დაუჩინებით და მეტწილად მტკივნეულად ნანახის მთელი სიუხვე, დავამშვიდო და დავაბინავო იგი ჩემში, — აი, ამას ვებრძვი. მაგრამ თქვენი მუსიკა ჩემს წინაშეა მომავალი შორეული გაზაფხულივით და თუკი ის ოდესმე წინ არ დამიხვდა, მაშინ, შესაძლოა, თავად გადავუდგე გზაზე, სწორედ ისე, როგორც მავანი სიცილიაში მიემგზავრება, რათა ჩრდილოეთში დიდხანს, ცახცახით აღარ ელოდოს გაზაფხულს. [...]

ბენვენუტას

პარიზი, 1914 წლის 1 თებერვალი.

დღეს კვირაა და მსურს წმიდავყო ეს დღე: მოგწეროთ თქვენ, ვისაც ახლა ხელთ გიპყრიათ ჩემთვის ასე საოცარი მერმისი, ვისაც ძალი შეგწევთ, სურვილისამებრ თავზე გადამავლოთ გრიგალი, ქუხილი და დარი, სამყაროს უწმინდესი ბობოქარ-ღელვანი. ჩემო მეგობარო, არ გეკითხებით, თუ როდის იქნება ეს —, ეს იქნება. მე ხომ არასოდეს მიკითხავს, მაშინაც კი, როდესაც, უმწეო ბავშვი სამხედრო სკოლაში ვიყავი გამომწყვდეული, სადაც სიცოცხლე საერთოდ ვერ შემოაღწევდა, ოდნავი სიოც კი ვერა — ჩემი ნამდვილი სიცოცხლისა. ბოლოს და ბოლოს კი, მაინც ყველაფერი მოვიდა, და მეტისმეტად ჭარბადაც, და საერთოდ სიცოცხლის ყველა დარდი მისი სისავსიდან მოდის. ჩემო მეგობარო, ნახეთ ბერლინში, ეგვიპტური მუზეუმის შუათანა შიდა ეზოში ამენოფის მეოთხის თავი (ამ ფარაონის შესახებ ბევრ რამეს მოგიტხრობდით, რომ შემეძლოს), შეიგრძენით ამ სახეში, თუ რას ნიშნავს, იდგე უსასრულო სამყაროს პირისპირ და შემოფარგლულ სიბრტყეზე, სულ რამდენიმე ნაკვთის მზარდი სიმწყობრით დაიცვა მთელი ხილვისათვის საჭირო წონასწორობა.

განა არ შეაქცევ ზურგს ვარსკვლავებიან ცარგვალს, რათა ამ სახეზე შეესწრო იმავე კანონზომიერების ყვაველობას, იმავე სიდიადეს, სიღრმეს, არნახულობას? ასეთმა საგნებმა შემასწავლეს

ჭვრეტა და როდესაც ისინი მოგვიანებით ეგვიპტეში ასე მრავლად გამომეცხადნენ, თავიანთი უსაკუთრესი არსითა და ბუნებით, მათმა განჭვრეტამ ისეთ მძლავრ ტალღებად გადამიარა, რომ ლამის მთელი ლამე ვეგდე ვეება სფინქსის ფერხითთ, მან თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლიდან ამომისროლა. მართალია, მუსიკას ჯერ ვერაფერი გაუფე, მაგრამ ხმები ჩემთვის ახლობელია, და სწორედ იმ ლამეს ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულოს გადავეყარე, გაიმბოთ, როგორ?

წარმოიდგინეთ, რომ იქ ძალზე ძნელია მარტო დარჩენა, იქაურობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად ქცეულა, სრულეებით დაუინტერესებელი გარეშე პირებიც კი აქ მოჰყავთ, — მაგრამ მე ვახშამი გამოვტოვე, არაბებიც კი შორს თავიანთი კოცონის გარშემო ისხდნენ, ერთი მათგანი, რომელმაც შემნიშნა, იმით მოვიცილე, რომ ორი ფორთოხალი ვიყიდე მისგან, თანაც ნყვდიადი საიმედოდ უხილავს მხდიდა. მე მას გარეთ, უდაბნოში დაველოდე და შემდეგ ნელა, ზურგის მხრიდან მიეუახლოვდი სფინქსს, ასე ვანგარიშობდი, მზის ჩასვლის ალით მენამულად ავარვარებული უახლოესი პირამიდის იქით საცაა მთვარე ამოვამეთქი; სასვე მთვარე იყო. როცა, როგორც იქნა, შემოვუარე, უკვე იმდენად მალლა დამხვდა ცაზე და იმდენად კაშკაშა ნიაღვრად აფრქვევდა ნათელს მიდამოს, რომ თვალები ხელით მოვიჩრდილე ლოდების ნაშალსა და გათხრებისაგან დარჩენილ ორმოებს შორის გზის გასაკვლევეად. — სხეულის უკანა ნაწილით სფინქსი არც თუ ისე მნიშვნელოვნადაა ქვიშის ზედაპირიდან ამონეული, რადგან მას შემდეგ, რაც პირველად გაასუფთავეს ქვიშისაგან, ისევ მრავალჯერ დაიფარა უდაბნოს ქარებით, ამიტომაც იმასლა დასჯერდნენ, რომ მხოლოდ მისი წინა ნაწილი თათების ჩათვლით ყოფილიყო თავისუფალი, ისე, რომ მიწა მის წინ ძაბრის ნახევარს წააგავს და მისკენ ჩადის. სწორედ ამ დამრეც დაღმართზე, ვეება კონსტრუქციის პირისპირ დავიკავე ადგილი და ვინექი ასე, ჩემს მოსასხამში გახვეული, აღუნერლად შეძრული და გაბრუებული. არ იცი, ოდესმე კიდევ ასე მძაფრად თუ გამიცნობიერებია საკუთარი არსებობა, როგორც იმ ხანგრძლივი ლამით, როცა ის ასე სრულიად გაუფასურდა ჩემთვის, რადგან: ამ ყოველივეს წინაშე რა იყო ჩემი არსება? თანდათან ის დონე, რომელზედაც ეს

გათამაშდა, წყვედიადში ჩაიძირა და ყველაფერმა, რასაც სამყარო და ყოფნა ჰქვია, უფრო მალალ სიბრტყეზე გადაინაცვლა, — იქ, სადაც ღვთაება მდუმარედ იდგა ვარსკვლავთა პირისპირ. არც თქვენთვის უნდა იყოს უცხო ეს განცდა, როდესაც ბუნების ამა თუ იმ სურათის, ზღვის, ვასკვლავებით მოჭედილი ცის დანახვისას ისეთ კავშირებსა და თანხმობებს ვაგნებთ, სხვაგვარად დაფარული რომ დარჩებოდა. სწორედ ეს განცდა დამეუფლა უკიდურეს ზღვრამდე: აქ იდგა ქანდაკება, ცისკენ აწვდენილი, რომელსაც ათასწლეულებმა ვერაფერი დააკლეს, გარდა სულ ცოტაოდენი უმნიშვნელო ჩამონაშალისა, ყველაზე გამაოგნებელი კი ის იყო, რომ ეს რალაც ადამიანის ნაკვთებს ატარებდა (ჩვენთვის ასე სულშიჩამწვდომად ახლობელი ადამიანური სახე ჰქონდა) და თავის მალალ მდგომარეობაში ამ ნაკვთებს სჯერდებოდა. აჰ, ძვირფასო მეგობარო, საკუთარ თავს ვუთხარი: ეს, აი, ეს, რასაც ხან ბედისწერას ვუშვერთ, ხანაც ხელის გულებით ვიფარავთ, — ბოლოს და ბოლოს უნდა იყოს შემძლე იმისა, ძალზე დიადი მნიშვნელობა დაიტოს, რაკილა მისი ფორმა უძლებს-მეთქი ასეთ გარემოცვას. ამ სახემ სამყაროს სივრცის კუთვნილი ჩვეულებანი გაითავისა, ცალკეული ნაწილები მისი მზერისა და ღმირისა დამსხვრეულია, მაგრამ აისისა და დაისის უსასრულო ცვლა მასზე გამობურცულ გრძობებად აისარკა. დროდადრო თვალებს მოვხუჭავდი და მიუხედავად იმისა, რომ გული გიჟურად მიცემდა, მაინც ვსაყვედურობდი თავს, რომ სათანადოდ არ განვიცდიდი ამ სანახაობას; განა არ უნდა მიმეღნია იმ წუთებში უკვე განცდილი გაცების ზღვართან, რომლის მიღმა ჩემთვის უცნობი, ყამირი მიდამო დაიწყებოდა? საკუთარ თავს ვეუბნებოდი: ნარმოიდგინე, აქ თვალახვეული რომ მოგიყვანონ და ოდნავი სიოთი აშლილ ამ გრილ ქვიშაზე დაგანვინონ — შენ არ გეცოდინება, სად ხარ, და აი, ამ დროს გაახელ თვალებს... — და ამის შემდეგ, მართლაც რომ ვახელდი მათ, ღმერთო ჩემო, კარგა ხანი მჭირდებოდა მთელი ამ არსების გასათავისებლად, — ამ ბაგის, ღანვისა და შუბლისა, რომლებზედაც მთვარის შუქ-ჩრდილი ერთი გამომეტყველებიდან მეორეში გადადიოდა. უკვე მრავალჯერ, დანვრილებით, ჩამოუყვა ჩემი მზერა ამ ყვრიმალის მომრგვალებას, მაღლა ისე აუჩქარებლად რომ იხაზებოდა, თითქოს ის სივრცე უფრო მეტ

ადგილს იტყედა, ვიდრე აქ, ჩვენს შორისაა შესაძლებელი. და, აი, კვლავ რომ ვაკვირდებოდი, არ ვიცი, მერამდენედ, უეცრად, სრულიად მოულონელად, რაღაც ძალამ შემაგრძნობინა, მაჩუქა მისი უსრულყოფილესი სიმრგვალის ნვდომა. მხოლოდ შემდეგ მომენტში მივხვდი იმას, თუ რა მოხდა. წარმოიდგინეთ, აი, ეს: სფინქსის სამეფო გვირგვინის არშიის უკან ბუ მჯდარა, შემდეგ აფრინდა და ღამის მღუმარე სიღრმეში ძალიან ნელა, ენითაღუნერლად ხმოვანად ჩამოუყვა სახის ოვალს თავისი რბილი ფრთით: და ამ წუთიდან სრული სიჩუმის საათებისაგან დაწმენდილ სმენაში სასწაულებრივად ჩამებეჭდა ამ ღანვის მოყვანილობა.

აი, ეს იყო დღემდე, მცირე გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, ჩემი მუსიკა; სხვაგვარი მუსიკა მაშინებდა კიდეც, თუკი ის ტაძარში არ ხმიანებდა, ანუ უშუალოდ ღმერთისაკენ მიემართებოდა და ჩემთან არ ჩერდებოდა. — ეგვიპტეში კი მიაშბეს, და მე ეს კარგად მესმის, რომ უძველეს სამეფოში (როგორც ვარაუდობენ) მუსიკა აკრძალული იყო; ის შეიძლებოდა მხოლოდ ღმერთის წინაშე გაჟღერებულიყო; მხოლოდ მისთვის — თითქოს მის გარდა ვერავინ გაუძლებდა მის უკიდევანო და მაცდურ სიტკბოებას, სხვა ყველასათვის მომაკვდინებელს. და განა ის *მართლაც* მომაკვდინებელი არაა, ჩემო მეგობარო? თქვენ იცით, რას წარმოადგენს ის? და თქვენ ბავშვობიდანვე გაუშინაურდით მას და მიმოდით ამ უცხო ელემენტის ლომებსა და ანგელოზებს შორის მშვიდი რწმენით, რომ არაფერი დაგიშავდებათ? ან იქნებ მუსიკა მკვდრეთით აღდგომაა? იქნებ მის ზღვარზე ვკვდებით და მისი არსიდან კვლავ წამოდგებით, უკვე შეუდრეკელნი? მაგრამ აქვს კი ჩემს გულს უკვე საკმაო ძალა, უნაშთოდ მოკვდეს მასში, რათა შემდეგ მისი წიაღიდან კვლავ სრულად ამოიზარდოს? საქმე ისაა, რომ თავიდანვე მომიხდა შინაგანი ზრდა, მუდამ ვუთმობდი ბრმა შიდა სანყისს, რადგანაც გარეშე ხმები უხეში და უცხო იყო, წლების მანძილზე მხოლოდ მტრულად განწყობილი და მოგვიანებით, როდესაც კეთილი მიხმობდა, ეს მოხმობაც მუდამ შორიდან მოდიოდა და შორს მენეოდა. მახსენდება, რომ ძალზე ფართო ტრამალეზად შემეძლო ფიქრი: გმირი ვიყავი, მხოლოდ იმის გამო, რომ გაზაფხულზე, საღამოობით, ღრუბლები ასე გაბედულ გროვებად აღიმართებოდნენ ჰორიზონტზე — მაგრამ,

სამაგიეროდ, შეიძლებოდა დავლუპულიყავი, რადგან ქუჩაში გავლისას საიდანღაც ვიოლინოს ხმა შემომესმებოდა და მთელ ჩემს ნებისყოფას უფრო შემჭიდროებულ ბედისწერას აადევნებდა. როცა მაგონდება, თუ რაოდენ უშუალო ძალდატანებას იტევდა უძველესი მუსიკის თუნდაც ერთი ნამსხვრევი, რომლის მსგავსიც იტალიაში, ესპანეთში ან, ზოგჯერ, სამხრეთ რუსეთში გამიგონია, — მაშინ ბეთჰოვენი ზეციური ლაშქრის წინამძღოლად წარმომიდგება, ყველა ძალას რომ იმორჩილებს და ყველა საფრთხეს შუაზე ხლეჩს, რათა კიდით კიდემდე გადაისროლოს გასხვივსნებული ხსნის ხიდთა რკალები.

ანდრე ჟიდს

პარიზი, 17 კამპან პრემიერ, XIV,

18 თებერვალი, 1914.

რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო ჟიდ, რა თქმა უნდა, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით, თუ ოდესმე „ქრისტოფ რილკეს“ თარგმნით. ძვირფასო მეგობარო, მე ხომ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი და იმედიც ვერ მექნებოდა ოდესმე. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მას საოცრებად აქცევთ: უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს თქვენა ხართ, მერე კი იმიტომ, რომ ისე გესმით ჩემი, როგორც ძალზე იშვიათად ესმის ხოლმე პოეტისა მეორე სულს, სხვა ენის სტიქიაში რომ ბობოქრობს და სიმშვიდეს ჰპოვებს (ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ გამოთქმების და იდეების ერთგვარ იდენტურობას ვაღწევთ; ხანდახან ჩემს თავს იმასაც კი ვეუბნები, რომ საგანს, რომელსაც „Hacas“ ჰქვია, მეორისათვის შეუძლებელია „Casa“ ერქვას; თუ ეს ასეა, ეტყობა, ამ ორიდან ერთ-ერთი ცდება) — დაბოლოს, თქვენს გარდა ვერავინ შეძლებს ჩასწვდეს და გადმოსცეს ის, რაც (როგორც მე მგონია) ჩემი სიყმანვილის დროინდელი პოემის ერთადერთ ღირსებას წარმოადგენს: ეს არის ერთიანი შინაგანი რიტმი, სისხლის რიტმი, რომელიც მას ქმნის, მუდამ თან სდევს, რომლითაც მთლიანად გაუღენთილია და ერთი ამოსუნთქვასავით თავიდან ბოლომდე ისე დაჰყვება, რომ წამიერი ყოყმანი თუ გაუბედაობაც კი არ ამჩნევია.

იმ საღამოს, იტალიურ თარგმანს რომ ვკითხულობდი, გამახსენდა ხილვებით აღსავსე ის ღამე, ეს გვერდები რომ დავწერე. გაოცებული და უნებლიეთ აღფრთოვანებული ვარ მაშინდელი ჭაბუკის საბედისწერო სისწრაფით, ჭაბუკისა, ჯერ ტუჩებზე რძე რომ არ შეშრობია და სიყვარულით გასერილი სიკვდილს ეძიებს, სიკვდილის აპოთეოზს — საოცრებაა არა!

ოჰ, რა შორია, ძვირფასო ჟიდ, ის ხანა, როცა შეიძლებოდა მთლიანად მისცემოდი ასეთ ქარიშხალს, ისე, რომ არც არაფერს ითხოვდი და არც რაიმე სიძნელეს ხედავდი; და ყოველივე ერთ ღამეში ხდებოდა, დილით კი წესიერად არც იცოდი, გეძინა თუ არა საერთოდ იმ ღამეს.

დიდ მადლობას გიხდით თქვენი განზრახვის გამო, რომელიც ამაღლებული და კეთილშობილური მეჩვენება, მაგრამ იმედი მაქვს, ტვირთად არ დაგანებათ. თარგმანის დაწყება — ეს ხომ თქვენ სულიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამისა კი წინასწარ არაფერი ვიცით ხოლმე. მაგრამ უკვე სიხარულით ვივსები, ამ შესაძლებელი ყვავილობის სურნელს რომ შევიგრძნობ.

(რა მშვენიერია დღე, რომელიც ასეთი ახალი ამბით იწყება)

ჩემო ძვირფასო მეგობარო, უკვე რამდენიმე დღეა, რაც კასნერის ახალი პატარა წიგნი გამოვიდა; ეს წიგნი ძალიან ჰგავს თვითონ მას. ორი ეგზემპლარი მაქვს; მომანიჭეთ სიამოვნება და ერთი გზაში წაიღეთ.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და მუდამ თქვენად მიგულებთ.

თქვენი რილკე

ლუ ანდრეას-სალომეს

პარიზი, 20. 2. 1914.

ძვირფასო ლუ!

ეს წუთია, დიდი აღელვებით წავიკითხე შენი „3 წერილი“. მართალი გითხრა, არ მეგონა, რომ უკვე ამდენის თქმვა შესაძლებელი, არადა, ეს ხომ ჯერ კიდევ დასაწყისიც კი არ არის ჭეშმარიტი

თქმისა. ბევრმა რამემ გამიარა გულში კითხვისას: ნეტავ მე თუ შევძლებდი თავის დროზე, აი, ასე შემეხედა ამ ყველაფრისათვის, როგორც შენ რაინჰოლდს დაანახე? იქნებ მას მხოლოდ იმიტომ ძალუძს შენი ნათქვამის წვდომა, რომ დღესდღეობით წამოიზარდა და არა მაშინ და, რაც მთავარია: მაშინ ვერც შენ შეძლებდი ამგვარად გამოგეთქვა ეს. ასე რომ, ყოველივე ისევე რჩება, როგორც იყო, და ამის ფონზე კიდევ უფრო დაუჯერებლად მეჩვენება, როგორ გავუძელი საკუთარ ბავშვობას.

სასწაულის სასწაულითვე გამართლება მართლაც ძალზე საყვარლად შეესაბამება თუნდაც ამ ძველისძველ თოვლის პაპას, სრულებითაც რომ არ შიშობს, ვაითუ, ზედმეტი აღმოეჩნდეთ; სუნთქვაც კი მეკერის იმის გაფიქრებაზე, თუ რა ელვისებრი ბიძგით უბრუნდება იგი კვლავაც ბუნებას (და მე ზუსტად ვიცი, როდის ხდება ეს) და კიდევაც ასწრებს, მის მშვიდ წიაღში თან შეიყოლოს რომელიმე შაშვის ასრულებული ნატვრა. და ხომ სწორედ ესაა შენი სამი წერილის გამჭოლი აზრი: ბუნების ეს ჟამიერი მიქცევა-მოქცევა, რაც არასოდეს ნიშნავს ჩვენგან საბოლოო დაშორებას, უბრალოდ ის, დროდადრო, ჩვენგან განრიდებული, შორიდან შემოგვცქერის, ვიდრე კვლავაც დაგვტბორავდეს და წაგვლექდეს.

მთლიანის ნაცვლად, მხოლოდ ცალკეულ, კითხვისას გაჩენილ მინიშნებებს მოგწერ, ამ წერილების საზღვრებს რომ სცილდება და ზოგადად ჩვენ, უფრო კი მე მეხება.

ეს მენიშნა, სხვაგან არსად შემხვედრია ასე მკაფიოდ გამოთქმული: რომ არსება, ზრდისა და განვითარების პროცესში სულ უფრო შორს გადადის სამყაროდან შიდასამყაროში. აქედან გამომდინარე, გასაოცარია ფრინველის მდგომარეობა შინაგანისკენ მიმართულ ამ გზაზე; მისი ბუდე ხომ სხვა არაფერია, თუ არა ბუნების მიერ ბოძებული გარე საშვილოსნო, რომელსაც, ნაცვლად იმისა, რომ მთლიანად თავის წიაღში იტყვედეს, აშენებს და ფუთავს. ამიტომაც მას გარე სამყაროსთან განსაკუთრებული, უსათუთესად მინდობილი დამოკიდებულება აკავშირებს, იგი მის უღრმეს საიდუმლოსთანაა ნაზიარები. ამიტომაც გალობს მასში ისე, როგორც საკუთარ თავში, ამიტომაც ასე იოლად აღწევს ჩვენში მისი გალობა და გვეჩვენება, თითქოს იგი უნაშთოდ

გარდაისახება ჩვენს გრძნობად და თითქოს იმის უნარიც შესწევს, მთელი სამყარო ნუთით გვიქციოს შიდა სივრცედ, რადგანაც ვამჩნევთ, რომ ფრინველი საკუთარ გულს სამყაროს გულისაგან არ ასხვავებს. ერთი მხრივ, ცხოველურმა და ადამიანურმა არსმა ძალზე ბევრი მოიგო იმით, რომ მზარდი სიცოცხლე დედის საშოს ნიაღში მოთავსდა: რადგანაც საშო იმდენად იქცევა სამყაროდ, რამდენადაც გარე სამყარო მოსწყდა ამ პროცესებს (რაკილა მათში მონანილეობის უფლება ჩამოერთვა, ამით თითქოს თავდაჯერებაც მოაკლდა...), მეორე მხრივ კი (ეს შეკითხვა შარშან ესპანეთში ყოფნისას ჩავწერე ჩემს წიგნაკში, ალბათ გეცნობა:), „რატომაა ცოცხალი ქმნილება (ადამიანს არ ვგულისხმობ) სამყაროში ასე გაშინაურებული?“ იმიტომ, რომ იგი იმავე სხეულში წამოიზარდა, რომელშიც ჩაისახა; იგი, შეიძლება ითქვას, არასოდეს ტოვებს დედის სხეულს (მთელ სიცოცხლეს საშოში ატარებს).

ძალიან ლამაზად გამოგივიდა ის პასაჟი „ორი საიდუმლოს“ შესახებ: ერთი — შინაგანიდან გამომდინარე, მეორე კი — გარეგანისაკენ მიმართული.

ის, რასაც ასე კარგად განმარტავ მცენარეთა სამყაროსთან დაკავშირებით, — რომ ის საკუთარ საიდუმლოს არ აიდუმალეებს და, ამავე დროს, ეჭვი არ ეპარება საკუთარ *დაცულობაში*, — წარმოიდგინე, ეს სწორედ ისაა, რამაც ეგვიპტეში, ქანდაკებების თვალიერებისას გამოოცა და, რასაც მას მერე ყოველ ეგვიპტურ საგანში ვგრძნობ: ეს გაშიშვლება საიდუმლოსი, რომელიც იმდენად იდუმალია, რომ მისი დამალვა საჭირო აღარ არის. და იქნებ ყოველივე *ფალოსური* (როგორც *წინასწარ* გავიფიქრე კარნაკის ტაძარში, ამის ბოლომდე გაცნობიერება კი ჯერ არ შემეძლო) მხოლოდ ადამიანის დაფარული საიდუმლოს მიმსგავსებაა ბუნების ღია საიდუმლოსათვის. ეგვიპტელ ღვთაებათა ღიმილზე ფიქრისას მუდამ გარდაუვალად მაგონდება სიტყვა „ყვავილთა მტკერი“.

[...]

აჰ, საყვარელო ლუ, შენ, ასე მგონია, მუდამ შეძლებდი ამ ყველაფრის ასევე გამოთქმას და, *მაშინ* რომ გამეგონა შენი სიტყვები, ალბათ გამოვიტირებდი და მოვიწინებდი ჩემს სიმძიმეს.

მაგრამ სასიამოვნოა, რომ ისინი, ადრე თუ გვიან, მაინც ითქვა. ხომ ხედავ, ამ ყოველივეს ნაჩქარევად, კუთხეში მინანერის სახით განვდი და იმაზე ბევრად უარესად ვწერ, ვიდრე ზეპირად გამოთქმა შეიძლებოდა, რადგანაც თქმისას მსმენელის განწყობა და მზერა გვეხმარება. მიუხედავად ამისა, ჩაუსწორებლად გიგზავნი ამ ჩანაწერს, რაკილა ერთი უპირატესობა მაინც აქვს: ნაკითხულისაგან პირველ შთაბეჭდილებას გამოხატავს; ხვალ ზოგი რამ უკვე სისხლში მექნება გამჯდარი და ამიტომ — მოუხელთებელი, ზოგი კი გარეთ გამოიდევნება, ამიტომაც ახლა შესაფერისი წუთია ჩვენთვის ამ ორიოდ გადაკრული, ნაჩურჩულები სიტყვის გაცვლისა ძველ წერილებზე მინანერის სახით. გმადლობ, რომ ისინი წასაკითხად გამომიგზავნე.

— წარმოგიდგენია, ეს „კორნეტი“: ტირაჟმა უკვე ოცდაათათასს გადააჭარბა; თარგმანებიდან შემოგვთავაზეს: ინგლისური, პოლონური, უნგრული; ამას წინათ ხელში ჩამივარდა არაჩვეულებრივი იტალიური თარგმანი; ახლახან კი მითხრეს, რომ ფრანგული თარგმანიც მზადდება (ვინ დაგვაჯერებდა ამას მაშინ, ოდესაც, შმარგენდორფში!). დღეისათვის ამით დაგემშვიდობები.

რაინერი.

გაქვს კასნერის ახალი წიგნი „ქიმერა. კეთროვანი“? (მთლიანობაში მხოლოდ სამოციოდე გვერდია და ძალზე უცნაური საკითხავია). გინდა, გამოვაგზავნინო?

ლუდვიგ ფონ ფიკერს

ირშენჰაუზენი ებენჰაუზენთან,
პანსიონი: ლანდჰაუს შიონბლიკი.
9 თებერვალი, 1915.

დიდად პატივცემულო ბატონო ფონ ფიკერ,
დიდი ხნის წინ მოგწერდით, რომ არა ახლანდელი დრო-ჟამი, რომელიც მძიმე ტვირთად დასწოლია თვით ჩვენს უმნიშვნელო ურთიერთშეხმიანებებსა და გამონათქვამებსაც კი იმდენად, რომ სიტყვის დაწერაც კი არ შემიძლია უსაშველო შინაგანი დაძაბუ-

ლობის გარეშე. ეს უკანასკნელი ხელს ვერ შემიშლიდა, მაგრამ მეშინოდა, ამ თვითდაცხადვას მოუხელთებელ-უხილავ დაბრკოლებათა გადასალახავად — დამღუპველი გავლენა არ მოეხდინა ნანერზეც. და რაკი აქ არ მოქმედებს ერთნიშნა შინაგანი იმპულსი, რომელიც წმინდა სიტყვიერ გამოხატულებას მიანიჭებდა სულის ავადმყოფურ, გარეთკენ მიმსწრაფ მოძრაობას — თვით წერის ფაქტიც უცნაურ მოვლენად წარმოგვიდგება.

აი, რატომ ვდუმდი. მაგრამ მადლობელი ვარ, რომ დაარღვიეთ ეს დუმილი და შემახსენეთ ჩემი დანაპირები, მონანილეობა მიმელო თქვენს „Brenner“-ში.

შემძლო დაუყოვნებლივ გამომეგზავნა რაიმე ჩემი ხელნაწერებიდან, ერთი-ორი ლექსი, მაგრამ რადგანაც კიდევ მაქვს დრო, ათი, ან სულ ცოტა, რვა დღე, ისევ გავბედავ და დაველოდები, ეგებ ამ ხანში ახალი ლექსი დამებადოს, უფრო დღევანდელი — დე, ეს იყოს მხოლოდ ჩქამი, მხოლოდ შრიალი, რითაც დუმლის რალაც ნაწილი სიმუნჯის უზარმაზარ მასას ჩამოსწყდება ჩემს არსებაში. რამდენადაც გამოგზავნილი სათაურების მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო თქვენს უურნალზე, ასეთი მასალა თქვენთვის უფრო სასურველი იქნებოდა და სხვა დანარჩენსაც უფრო მიესადაგებოდა.

რაც შეეხება თქვენს ბოლო წერილს, სიამოვნებით გიამბობდით, თუ როგორ ამაღელვა და გამიტაცა ივლისში, პარიზში სწორედ გეორგ თრაქლის ლექსებმა. წრე მისი ბედისწერისა უკვე ჩაკეტილა და ახლა, რა თქმა უნდა, უფრო ცხადად ჩანს, რამდენად გაარღვია, რამდენად გაიჭრა მისი შემოქმედება წარმავალისა და მიწიერი კირთების საზღვრებიდან.

(ამ დღეებში ველი მის „სებასტიანეს“, რომელიც მაშინვე შევეუკვეთე, როგორც კი შევიტყვე მისი გამოსვლის შესახებ).

სტრიქონი, სადაც ჩვენს უცნობ მეგობარს იხსენიებთ, ფრონტზე მის კარგად ყოფნას მიდასტურებს და ეს ძალზედ მახარებს. მომავალ შეხვედრამდე.

თქვენი ერთგული რ. მ. რილკე

სამშაბათი, დილა (მინანერი)

მხოლოდ გუშინ საღამოს აღმოვაჩინე პაკეტში, საიდანაც კი-ერკეგორი ამოვიღე, თრაქლის „ჰელიანი“ და უდიდეს მადლობას გითვლით ამ ამანათისათვის. ამ ლექსის მელოდიური აღმასვლა-დაღმასვლანი ენით უთქმელი მშვენიერებითაა აღბეჭდილი. განსაკუთრებით განმაცვიფრა მისმა შინაგანმა ინტერვალებმა: თითქოს ყველაფერი პაუზებზეა აგებული — რამდენიმე სოლი უსაზღვროდ-უსიტყვოს გარშემო: ასეა აქ სტრიქონები განლაგებული. ეს მე მაგონებს ცხაურს ვაკე ადგილზე, ცხაურს, რომლის მიღმაც უზარმაზარი სივრცე იშლება და ერწყმის ვეება დაბლობს, არავის რომ არ ეკუთვნის.

როდის დაინერა „ჰელიანი“? ხომ არ დაგიდგენიათ რამდენიმე თარიღი მაინც, ან რაიმე მოგონებანი ხომ არ შეგიკრებიან ამ პოეტზე? თუკი რაიმე ამდაგვარის გამოქვეყნებას დააპირებთ, დაველოდები მითითებას, თუ სად წავიკითხო. თრაქლის ხატი რალაცით ლინოსის მითს ენათესავება: ინსტინქტურად ვგრძნობ ამას „ჰელიანის“ ხუთ გამოცხადებაში. ჩემს ამ მიხვედრებში უფრო მოსახელთებელი სხვა ვერაფერი იქნება, თავად პოეტი თუ დაადასტურებდა მათ. და მაინც, ვისურვებდი, ზოგიერთი სტრიქონი თავად პოეტს განემარტა. არა იმისთვის, რომ „გამეგო“ ისინი ბუკვალური აზრით, არამედ მხოლოდ ჩემივე ინსტინქტურ მიხვედრათა განსამტკიცებლად.

ლუდვიგ ფონ ფიკერს

მიუნჰენი, ფინკერმტრასე 2/IV,

15 თებერვალი. 1915.

... ამასობაში მივიღე „სებასტიანე სიზმარში“ და დიდხანს ვკითხულობდი: აღელვებული, განცვიფრებული, დაბნეული და აღვსილი წინათგრძნობით. მაშინვე ხვდები, რომ სრულიად განუმეორებელმა, ერთჯერადმა გარემოებებმა წარმოშვეს ეს მელოდიური აღმასვლანი და სიკვდილისებრი გარინდებანი — ისევე, როგორც განუმეორებელია ის გარემოება, ჩვენში ამა თუ იმ სიზ-

მარს რომ იწვევს. ჩემის აზრით, პოეტის შინაგანად უახლოესმა ადამიანმაც კი ეს სურათ-ხატები ისე უნდა აღიქვას, თითქოს ფანჯრის მინაზე სახემიკრული უცქერდეს მათ, ანუ დადგეს ამ პოეტური სამყაროს გარეთ. თრაქლის განცდები ჩვენს წინ სარკის ანარეკლებივით მიედინებიან და ავსებენ მთელს მის სივრცეს, სივრცეს, რომელშიც ისევე ვერ შეხვალ, როგორც სარკეში არეკლილ სივრცეში...

(მაინც ვინ იყო ეს კაცი?)...

მარიანე ფონ გოლდშმიდტ-როტშილდს

(მიუნჰენი) ვიდენმაიერშტრასე 32/III,
28 ივლისი, 1915.

ძვირფასო მარიანე,

იცნობთ თუ არა პიკასოს ამ სურათს? იგი ჩრდილო გერმანიის ერთ-ერთი კერძო კოლექციიდან ჩამოუტანიათ და სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა აქ გასაყიდად. ამჟამად იგი კასპარისთანაა და სწორედ მან მიიჩნია მისი ნახვა. თუ ამ სურათს იცნობთ (რაშიც თითქმის ეჭვი არ მეპარება), რეპროდუქციის ნახვაც კი საკმარისი იქნება, რომ გაიხსენოთ იგი, რადგან ეს ერთი იმ სურათთაგანია, რომელსაც ნახავ და მერე ველარ დაივიწყებ; მაგრამ თუ არ იცნობთ მას, იქნებ შეეძლო და რეპროდუქციის საშუალებით ხელმისაწვდომი გავხადო თქვენთვის? მინდა შევეცადო. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ სურათის ფონი და სარეცელქვეშ ადგილები, რომლებიც რეპროდუქციაზე ერთი ტონის ნაცრისფერთაა გადმოცემული, სინამდვილეში შეუღებავ მუყაოს წარმოადგენს; ეს სურათი სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მასზე ერთობ ცოტა საღებავია დახარჯული; საღებავები ძალზე თხელ ფენებად, ძუნწადაა განაწილებული. აქვე მინდა გითხრათ, რა საღებავებია ეს: რუხი, აბლაბუდისფერი პიერო ნევის მქრქალ, რძისფერ მოლურჯო სარეცელზე; ნათელ ლაქად, კაცმა რომ თქვას, აქ მხოლოდ ბალიში მოჩანს, რომლის ფონზეც ორგვარი ბაცი ტონი წარმოაჩენს, ერთის მხრივ, სახესა და ხელებს, მეორე მხრივ — საყელოსა და მანუეტებს. უფრო დიდი

ტანის მაყურებელი გაცრეცილ ვარდისფერშია გადანყვეტილი, უფრო პატარას კი, თვალი მხოლოდ სახის სიფერმკრთალით გამოარჩევს. ამით სურათზე თითქოს უკვე ყველაფერია ნათქვამი; მაგრამ აი, მომაკვდავის მარჯვენა სახელოზე ოთხი ფერის ლაქა იკვეთება: ვარდისფერი, ყვითელი, მოშავო და ცისფერი; ეს ლაქები საოცრად ნაზადაა შესრულებული, მაგრამ სისავსის, სიმკვრივისა და სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის; ოთხივე ფერი ერთმანეთშია გამლხვარი, თუმცა თითოეულ მათგანს არ დაუკარგავს საკუთარი შინაგანი გამორჩეულობა; ეს ფერები თავის თავში დამკვიდრებას ლამობენ და ამავედროულად არბილებენ ერთმანეთს, თითქოს თავისდაუნებურად ბედნიერების, პიეროს სულის გასხივოსნებისა და მისი მარადიული ნეტარების გარშემო მოუყრიათ თავი; ასე გგონია, მთელი სურათი ამავე დროს სხვა გრძნობებზეც მოქმედებს და მხოლოდ ამ ოთხი ფერის თავმოყრის ადგილზე ხდება ჭეშმარიტად ხილული; იგი სუნთქვასავით მსუბუქსა და ოდნავ საგრძნობ ლამის სიოს მოგვაგონებს, უხმოდ რომ დაჰქრის ბაღში, ვიდრე სადღაც ზემოთ, ეოლოსის ქნარი არ აიტაცებს მას და ისიც მთლიანად ბგერათა სამყაროში არ გადაიღვრება. ლამის არის გძლიოს ცდუნებამ და ამ ოთხი ფერის გაცხადებაში გვიანდელი პიკასო შეიცნო; დანგრეული ქვეყანა პიეროს სიკვდილის შემდეგ ალბათ მხოლოდ ასეთი მშვენიერი ნამსხვრევებიდან შეიძლებოდა შეკონინებულიყო; განა პიეროს მთელი ქარაფშუტობა ის არ არის, რომ ყოველი იერსახე პირდაპირ აღიქვას, თითქოს შეიძლება მათ თოჯინასავით ხელი ჩაავლო ანდა მშვენიერი, გემრიელი ვაშლივით თვალით შეჭამო; ისინი კი ამასობაში წინ გაიჭრებიან, ერთმანეთში ირევიან, ეჯახებიან და ცდილობენ გაუსწრონ ერთმანეთს, და თვით ყველაზე ჭვრეტად ქცეული მჭვრეტელიც კი თითქოს ყველაზე შერყეულივით შეჰყურებს ამ რყევას. ასე რომ, სიმშვიდე მხოლოდ დაქანებაშია, იგი არსებობს მხოლოდ იმ მდინარის კალაპოტში, სადაც გვერდიგვერდაა ის საფეხურები, ვარდნას რომ იწვევენ და ქმნიან სიმალლესა და სიღრმეს, გადასვლებსა და დაშორებებს. მომაკვდავი პიეროს სახელოზე გამოკვეთილი ეს ადგილი გვეუბნება: აღარ არსებობს ტკივილი და სიხარული, ვნებათა ლელვა და განდგომა, პიერო კვდება და აღარაფერი აღარ არსებობს; მაგრამ კაცმა შეიძლება იფიქროს, ეს ყველაფერი აღ-

ბათ იმიტომ წარმოიქმნა, რომ სიცოცხლე ზუსტად ამ ფერებზე აღიბეჭდა და ყველა მათგანში ერთიმეორის მიყოლებით ჩაიარა, და სხვა აღარაფერი გრჩება იმის გარდა, რომ პიეროს სიკვდილის შემდეგ უბრალოდ დახატო ცხოვრების კალაპოტი, აღზევება და დაცემა, უამრავი მიზანსწრაფვა თუ წინააღმდეგობა...

ვშიშობ, დიდი ვერაფერი სამსახური გაგინიეთ; მაგრამ მართო პიეროს ერთმანეთზე დანყობილ ხელებს რომ შეხედოთ, მიხვდებით, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტება (თვით რეპროდუქციაზეც კი) ზედმეტია. კარგი და პატიოსანი. ეტყობა, ეს წერილი საბაბად გავიხადე, რათა მისი წერის დროს საშუალება მომცემოდა, ნახევარი საათი თქვენთან დამეყო.

*გულითადი მოკითხვით,
თქვენი რილკე*

ჰენრიეტე ლიობელს

მიუნჰენი, 1915 წლის 20 აგვისტო.

ძვირფასო ქალბატონო ლიობელ,

როდესაც ვფიქრობ, ორიოდ სიტყვით მაინც შემეძლო-მეთქი თქვენთვის მემცნო, რომ ჩემამდე მოაღწია იმ ფიქრმა და ზრუნვამ, რაც ჩემს გამო გასწიეთ, საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, აქამდე რომ არ მოგწერეთ. მაგრამ ჩემს კორესპონდენციას ბოლო დროს საერთოდ არ უმართლებს: მხოლოდ ძლივძლივობით ავუდივარ მას, ისიც დიდი დაგვიანებით. ჩვენს დროში ხელში კალამი გიმძიმდება კაცს, ძალზე საპასუხისგებლო ხდება მისი ალება, თუნდაც უბრალო წერილის დასაწერად. ან კი რა გვაქვს სათქმელი? დღეს ყველას გვიჭირს, ყველას ერთი ტვირთი გვანევს და ამ ტვირთის რაობის ახსნა არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს; დღითიდღე ვზიდავთ მას, ღამ-ღამობით მის ქვეშ ვერთხმევით, ხოლო ამ ყოველივეს ერთადერთი შედეგი მოგვიანებით, იქნებ მხოლოდ ძალზე დიდი ხნის შემდეგ თუ გამოჩნდება; იქნებ ჩვენი შვილიშვილები მაინც ჩასწვდნენ ამ უბედურების საზრისს; ძველ აღთქმაში იყო ისეთი გამოცხადებანი, რომელთა საზღვრებსა და ნაპირ-

ებს თვალს ვერ მიაწვდენდი, მთელი სამყარო, ისევე, როგორც ახლა, ერთადერთ გამოცხადებად იყო ქცეული, მაგრამ იმხანად ადამიანები ცოტანი იყვნენ, თანაც ბუმბერაზები, და ღმერთი თითოეულს სცნობდა და საკუთარი ხელით ანადგურებდა. ხოლო ვინც ამას გადაურჩებოდა, ისინი ასწლეულთა შემდგომ აღწევდნენ სიბერეს და ღრმად მოხუცნი, გასცქეროდნენ გამოცხადების იქით გადახსნილ ლაუვარდს, რომლის ნათელშიც მათი შვილები და შვილთაშვილები ცხოვრობდნენ და აშენებდნენ.

რომ არა ბიბლია, თითქმის სრულებით გარიყულად ვი-
არსებებდი; რადგან რამდენია ისეთი წიგნი, დღეს რომ აზრი არ დაეკარგოს, ან რამდენია ადამიანი, ვისთვისაც რაიმე გვექონდეს სათქმელი? და თვით ბუნებამაც კი გვიმტყუნა; ის თითქოს აღარ არის ცალკეული ადამიანისათვის ძველებურად გახსნილი; ან იქნებ ცალკეულ ადამიანს არ ჰყოფნის საიმისო თავისუფლება, რათა ის გულში ჩაიკრას, იმდენადაა სხვებთან ერთად ჩახლართული მჭიდრო და გამოუხსნელ გორგალ-კვანძში, — ჩვენს საერთო ბედისწერაში...

*მთელი გულით კეთილს გისურვებთ და გემშვიდობებთ
თქენი რ. მ. რილკე.*

ელენ დელჰს

მიუნჰენი, 1915 წლის 22 აგვისტო.

ძვირფასო ელენ,

გმადლობთ ჩემს ფეხსაცმელებში ჩაყრილი ათასი ვარდისათვის, ყოველ დილას ვფიქრობ მათ შესახებ ფეხზე ჩაცმისას, მაშასადამე, ისინი მართლაც აქ, ჩემთანაა; მე ისევე მწამს მათი, როგორც თქვენი ცხენისა მწამს და იმ სიხარულით მოზღვავებული ყვავილებისა, მინდვრებში ჯირითის შემდეგ შინ რომ დაგიხვდებათ. ეს ყოველივე ერთი და იმავე ამბის ნაწილია, თქვენი ამბისა, და ეს მისი ერთ-ერთი უმშვენიერესი თავი უნდა იყოს.

რა არაჩვეულებრივი სიტყვები მოგიძებნიათ დალუპული ფრინველებისა და შუქურების აღსაწერად; ისეთი სიტყვები, წყალი

რომ არ გაუვა. დიახ, სწორედ ასე უნდა შევხედოთ ამას, ეს თვით სიცოცხლის აზრს შეესაბამება, მაგრამ ამ ბოლო წლებში მე სულ უფრო ხშირად მაქვს საქმე ამ აზრის სარჩულთან, ჩვეულებრივ დაფარული რომ რჩება, ამიტომაც ვერ ვურიგდები იმას, რომ შეცდომაში შეყვანილი შეგრძნებები მღელვარებისა და დაღუპვის მიზეზი ხდება, და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ საგნის გამო, ადამიანთა სამყაროს რომ ეკუთვნის: ის ამ ფრინველთა ბუნებრივი გარემოსათვის სრულიად უცხოა, წარმოუდგენელიც კი, მათი აღქმისათვის ის ისეთსავე გადამეტებას წარმოადგენს, როგორც მუსიკა; კაცმა რომ თქვას, მათ ანადგურებთ საგანი, რომელიც მათთვის არ არსებობს (ისევე, როგორც ჩვენ შეიძლება მოჩვენებამ გაგვანადგუროს). მერედა: რა ცხოვრებაა ეს, თუკი უბრალო გაუგებრობას შესწევს უნარი, გამოინვიოს ლტოლვა, გაბრუნება და სიკვდილი? როგორ შეიძლება ცდომილება გახდეს სანინდარი რეალობისა? და შემდეგ ეს, ჩემთვის ყველაზე უფრო შემზარავი: ჩვენს წინაშე ხილულად გათამაშებული ყველა ეს სპექტაკლი უხილავად მეორდება ადამიანთანაც, სულიერ, გონისმიერ სფეროში, მიღმიერთან თითოეულ იმ მოუხელთებელ მიმართებაში, ჩვენი განცდების ბირთვის რომ წარმოადგენს; და აქ, ამ სფეროში უნატიფესი გაუგებრობანი ყველაზე უძირო ვარდნის, დაღუპვისა და ყველაზე თავბრუდამხვევი, ყველაზე თავდავინყებული აღფრთოვანების სანინდარია. ჩვენც, ჩვენს უშინაგანეს, იმანენტურ სიღრმეში, რაღაც ჭეშმარიტად არსებულთაგან როდი ვსულდგმულობთ, არამედ რაღაც ჩვენთვის სრულიად უცხოთი, რაც არ არის და არც უნდა იყოს: რაღაც შუქურებით, რომლებსაც ვანყდებით; ისინი კი ნიშანს აძლევენ ვილაც თუ რაღაც ჩვენს მიღმა არსებულს, ჩვენ არ გვგულისხმობენ, არც კი გვიცნობენ, არიან მოზღვავება და გადამეტება ჩვენთვის მხოლოდ შეკითხვის სახით არსებული რაღაც ძალისა, რომელიც გვანგრევს თავისი პასუხის სიმძლავრით, — პასუხისა, ყოველივეს რომ გადასწონის. მაგრამ, მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ, თუკი ბოლომდე ჩავუღრმავდებით, თვით ღვთაებრივიც შეიძლება მხოლოდ ჩვენს გარეთ მოვიაზროთ, — ამგვარ შუქურ-კოშკთა სივრცეში, ჩვენსას უსასრულოდ რომ აღემატება; მაშ, ისლა გვრჩება, დაველოდოთ უდიდეს ჩვენთვის შესაძლო გაუგებრობას, უკანასკნელ ცდომილებას, რათა სიხა-

რულით ჩავიფერფლოთ სწორედ იმ ერთადერთ, ყველაზე მომაკვდინებელ, იმ ყოვლისმომცველ ალში, და არა ნაკლებში. სწორედ ესაა სიცოცხლე?

მადლიერებითა და ერთგულებით, რაინერი.

ელენ დელჰს

მიუნჰენი, 1915 წლის 27 ოქტომბერი.

ელენ, ბედნიერო ელენ, ასე დარწმუნებით და იმედიანად რომ არ მიაპობდეთ ამ ჩვენს ურთულეს, თითქმის გაუვალ ანმყოს, ალბათ სინდისის ქენჯნა არ მომასვენებდა იმის გამო, რომ წინა წერილში კვლავაც ასე ძლიერად და გადაულახავად აგინერეთ ეს დიდი ბედუკულმართობა. მაგრამ თქვენ ამან, როგორც ვატყობ, სრულებითაც არ გავნოთ, თქვენ ხომ ამ სინამდვილის „შუაგულში გაიარეთ“ (როგორც თავად ამბობთ) და სამშვიდობოს გააღწიეთ: დაუბრუნდით უღრმეს, მარად უცვლელ ბუნებას, თქვენს შინაგან არსთან უნისონში რომ ხმიანებს.

ნეტავ ჩემთვისაც თუ იყო ეს გზა შესაძლებელი? მე ახლაც ვინევ ამ მიმართულებით, მაგრამ გზად მეტისმეტად მაფერხებს ის, რომ ყოველივეს მიღმა დავანებული ბუნება ძველებურად აღარ მიზიდავს, „ხემ, ფრინველმა და წელნადის დრომ“ დაკარგა ჩემთვის ის უშუალო მაგია, როდესაც ბედნიერების საწინდარ წმინდა ძალად რომ მევლინებოდა და ჩემს ჯერაც გზააბნეულ გულს ასე ადვილად გადასძლევდა ხოლმე. ყოფიერმა უკიდურესი სიმძაფრით დამისახა „ბუნების მიხედვით მუშაობის“ ამოცანა. ასე რომ, ახლა იშვიათად, ისიც შემთხვევით, თუ გამომეცხადება რაიმე საგანი, მთელი თავისი სიუხვითა და სიმდიდრით ისე, რომ სანაცვლოდ არ მოითხოვოს ხელახალი დაბადება ჩემს შიგნით, ტოლფასი ძალითა და მნიშვნელობით. ესპანურმა ლანდშაფტმა (უკანასკნელმა, რაც უკიდევანოდ განვიცადე), ტოლედომ, ეს შინაგანი მდგომარეობა გამიასმაგა: იქ ნებისმიერი გარეშე საგანი, — კოშკი, მთა, ხიდი, — იმთავითვე შეიცავს ყოვლად არნახულ, უკიდურეს ინტენსივობას თავისი შინაგანი ორეულისა,

რადაც ჩვენ იგი შეიძლებოდა შემოქმედებითად გარდაგვესახა. აქ მოვლენა ყოველ ნაბიჯზე ხილვასთანაა შეწყვილებული, ყოველ საგანში ჩვენს წინაშე მთელი შიდა სივრცეა გადაშლილი: გეგონება, ანგელოზი, მთელ ამ სივრცეს საკუთარ თავში რომ მოიცავს, დაბრმავდაო და მზერა საკუთარ წიაღში ჩაუბრუნდა. იქნებ ასეთ, უკვე ადამიანს გარეთ კი არა, — ანგელოზის შიგნით დანახული სამყაროა სწორედ ჩემი ჭეშმარიტი ამოცანა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ჩემ მიერ აქამდე ნაცადი მასში იყრის თავს; მაგრამ, რათა მისი აღსრულება დავინყო, ელენ, რამდენად დაცული და მიზანდასახული უნდა ვიყო!

რაინერი

ლოტე ჰეპნერს

მიუნჰენი, 1915 წლის 8 ნოემბერი.

[...] მალტე ლაურიდს ბრიგეში (მომიტყვევთ ამ წიგნის კვლავაც ხსენება, რაკილა ეს ჩვენს შორის სიტყვამ მოიტანა), კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს ტანჯვაა ჩაბეჭდილი: *მხოლოდ ეს*, — ყველა შესაძლო საშუალებით, ყოველი მხრიდან გამოთქმული: როგორ, რანაირად შეიძლება ვიარსებოთ, თუკი ამ არსებობის ელემენტები ყოვლად შეუვალი და მოუხელთებელია ჩვენთვის? თუ სიცოცხლეში ძალა არ გვყოფნის, გადანყვეტილებებში — სიმტკიცე, და სიკვდილის პირისპირაც უსუსურნი ვართ, მაშ, როგორღა ვცოცხლობთ? ბოლომდე მაინც ვერ მივიყვანე ეს წიგნი, უღრმესი მოვალეობის გრძნობით შექმნილი: ვერ გამოვხატე მთელი ჩემი გაოცება იმის გამო, რომ ადამიანებს უკვე ათასწლეულების მანძილზე საქმე აქვთ სიცოცხლესთან (ღმერთზე ხომ ლაპარაკიც არ მაქვს) და, ამასთანავე, ასე, შიშსა და გამბედაობას შორის დამწყებივით უმწეონი დგანან ამ პირველი, ყველაზე უშუალო, უმარტივესი ამოცანების წინაშე (ამის გარდა სხვა ხომ არაფერი გვევალება დღემდე, და კიდევ კარგა ხანს არაფერს მოგვთხოვენ). განა ეს არ არის წარმოუდგენელი? ჩემი გაოგნება, როცაკი მას ნებაზე მივუშვებ, უსასრულოდ მთრგუნავს, შემდეგ კი შიშის

ზარსა მგერის, მაგრამ ამ ზარს კიდევ რაღაც შემდგომი საფეხურიც მოჰყვება, იმას კიდევ შემდეგი, ბოლოს ისეთ ინტენსიობას აღწევს, რომ ჩემი გრძნობებით ველარ ვსაზღვრავ, როგორია ეს მდგომარეობა: გავარვარებული თუ ყინულივით ცივი. წლების წინათ ერთხელ უკვე შევეცადე, ამეხსნა მალტე ერთი ადამიანისათვის, ვისაც მისმა ნაკითხვამ შიში მოჰგვარა. ვნერდი, რომ თავად ამ რომანს ხშირად მყიფე ფორმად ანუ ნეგატივად აღვიქვამ, რომლის ყოველი შიდა ბორცვი თუ ჩაღრმავება ტკივილია, უსასოობა და სასტიკად მტკივნეული აღმოჩენა, მაგრამ ამ ყალიბით დამზადებული სხმული, თუკი წარმოვიდგენთ, რომ შესაძლებელია მისი ჩამოსხმა (როგორც ბრინჯაოსაგან ამზადებენ პოზიტიურ ფიგურას), იქნებოდა ალბათ ბედნიერება და დასტური, — უზუსტესი და უმყარესი ნეტარება. ვინ იცის, იქნებ მუდამ ზურგიდან ვუახლოვდებით ღმერთებს და მათსავე გარდა არაფერი გვაშორებს მათი დიდებულად სხივოსანი პირისახისგან, ჩვენთვის ასე ნანატრი გამომეტყველებისაგან: მასთან ასე ახლოს ვართ, პირდაპირ მის უკან ვდგავართ. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ ჩვენი მზერა და ღვთაებრივი სახება ერთსა და იმავე მიზნისკენაა მიმართული, ერთმანეთთან თანხმობაშია. და ამის შემდეგ როგორღა შემოვუაროთ ღმერთს, რათა თვალი გავუსწოროთ მას?

ხომ არ დაგაბნიათ იმან, რომ ღმერთსა და ღმერთებს ვახსენებ, ამ ცნებებს სრული კომპლექტისათვის ვიყენებ და მგონია, ისინი თქვენთვისაც იმასვე ნიშნავს, რასაც ჩემთვის? გთხოვთ, ზე-გრძნობადის მნიშვნელობა მიანიჭოთ მათ. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ადამიანი თავისი უპირველესი დასაბამიდან ქმნიდა ღმერთებს, აქა-იქ მხოლოდ სიკვდილს, მუქარას, განადგურებასა და ძრწოლას რომ შეიცავდნენ, ძალმომრეობას, რისხვას, ზეპიროვნულ ექსტაზს და ამავე დროს, მთელ ყოფიერებასთან რაღაც უკეთური ურთიერთგაჭოლვის გორგალში იყვნენ ჩახლართულნი. დიახ, ეს იყო აბსოლუტურად უცხო, მაგრამ ამ უცხოში გარკვეულწილად უკვე მოცემული იყო ნება იმისა, რომ იგი შეეცნოთ, აეტანათ, ელიარებინათ კიდევ რაღაც იდუმალთან ნათესაობისა და ზიარების ხათრით: *ესეც ჩვენ ვიყავით, ოღონდაც ჩვენი გრძნობების ამ ნაწილისა ჯერჯერობით არაფერი*

გაგვეგებოდა; ისინი ჩვენთვის მეტისმეტად ვეებანი იყვნენ, მეტისმეტად საშიშნი, მრავალმხრივნი, იმდენად გაიზარდნენ, რომ უსასრულო მნიშვნელობა შეიძინეს; შეუძლებელი გახდა, გამოყენებისა და მიღწევისაკენ მომართული არსებობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ამავე დროს, ამ მოუხელთებელი და რთული გარემოებების მუდამ თან ტარება; ამიტომაც გადავწყვიტეთ, რაიმე განსაზღვრული ადგილი მიგვეჩინა მათთვის. — მაგრამ, რადგანაც ისინი ყოველგვარ გადამეტებას შეიცავდნენ, — უძლიერესნი და ზედმეტადაც ძლიერნი, ძალაუფლებით, მეტიც: ძალადობით მოსილნი, გაუგებარნი, მეტიც: შემზარავნი, — მაშ, ერთ ალაგას შეკრებილთ გარდუვალად უნდა ეჩვენებინათ უსასრულო ძალა, გავლენა, უზენაესობა? თანაც — ამიერიდან უკვე გარედან. განა არ შეიძლება ღვთის ისტორია ადამიანური გონის იმ ნაწილად წარმოვიდგინოთ, სადაც არასოდეს შეგვიდგამს ფეხი; რაც სამომავლოდ გადავდეთ, გადავინახეთ და საბოლოოდ, ხელიდან გავუშვით; რისი წვდომაც მიზანსწრაფული ძალისხმევის ხარჯზე ერთხანს კიდევ შეიძლებოდა და რომელიც საბოლოოდ, მიუნვდომელ სიშორეში გარიყული, იქცა ისეთ დაძაბულობად, რომ მის გვერდით ცალკეული გზააბნეული, მტკივანი გულის სწრაფვა სახსენებლადაც კი აღარ ღირს.

ხედავთ, ზუსტად ასევე დაგვემართა სიკვდილთან მიმართებაშიც. მას განვიცდიდით, არადა, მისი სინამდვილის ბოლომდე განცდა მუდამ შეუძლებელი იყო ჩვენთვის, მუდამ ჩვენზე ბრძენი იყო, მაგრამ ბოლომდე არასოდეს ვალიარეთ; ის სიცოცხლის საზრისს გვიბინდავდა და, ამავე დროს, დასაბამიდანვე აღემატებოდა მას; ისიც გავრიყეთ, რათა ამ საზრისის ძიებაში ჩვენთვის ხელი არ შეეშალა; არადა, ის ჩვენთვის იმდენად ახლობელია, რომ მასა და ჩვენი სიცოცხლის შუაგულს შორის მანძილს ვერც კი გავზომავთ; და, აი, ის ჩვენს გარეთ მოვაქციეთ, ყოველდღიურად თავიდან ვიშორებდით, ამიტომაც სადღაც სიცარიელეში ჩავგვისაფრდა, რათა, უკეთური არჩევანით გატაცებული, თავს დაგვეხმოდა ხან ერთს, ხან მეორეს; სულ უფრო მეტად მძლავრობდა მისადმი წაყენებული ბრალდება, რომ ის წინააღმდეგობაა და თავად მოწინააღმდეგე, აირში უხილავად გახსნილი მტრობა, სიხარულებს რომ გვართმევს, ბედნიერების ყოვლად არასაიმედო ჭურჭელი,

საიდანაც ყოველნუთს შეიძლება ძირს გადმოვიღვართ.

მაშასადამე, ღმერთი და სიკვდილი გარეთ მოვაქციეთ, სხვად, უცხოვ ვაქციეთ, ხოლო ის, რაც ამ განხეთქილების ფასად მოვიპოვეთ, იყო სიცოცხლე, ჩვენი სიცოცხლე, რომელიც, გვნამდა, უფრო ადამიანური გახდებოდა, უფრო საიმედო, შესაძლებელი, დასაძლევნი, უფრო ჩვენეული. მაგრამ რადგანაც სიცოცხლის დამწყებთათვის განკუთვნილ ამ კურსში, დანყებით კლასში, ასახსნელი და დასალაგებელი კიდევ მრავლად რჩებოდა, ამოხსნილ ამოცანებს კი დროებით გამოტოვებულთაგან ძნელად თუ გაარჩევდი, ცხადი გახდა, რომ ამ შეკვეცილ ვარიანტშიც კი არ იყო პირდაპირი და საიმედო წინსვლა: როგორც მოგვიხერხდებოდა, ისე ვცხოვრობდით, ნაღდ შემოსავალსა და ცდომილებებს შორის, ხოლო შედეგად და ძირეულ ცდომილებად არსებობის ამგვარი ექსპერიმენტისა შეგვრჩა ისევ და ისევ მისი წინაპირობა, ანუ ის, რომ ღვთისა და სიკვდილის ყოველგვარი მნიშვნელობა ხმარებიდან ამოვიღეთ (როგორც არაქაური, შეძენილი, მეთაქსარისხოვანი და გაუცხოებული). ამან მხოლოდ ამქვეყნიურობამდე დაყვანილი არსებობის შემოკლებული წრედი სულ უფრო ააჩქარა, ეგრეთ ნოდებული პროგრესი იქცა საკუთარ თავში ჩაკეტილი სამყაროს ერთადერთ ხდომილებად, სამყარომ დაივიწყა, რომ, რადაც არ უნდა მოგვაჩვენოს თავი, სიკვდილმა და ღმერთმა ის ერთხელ და სამუდამოდ მოიტოვეს უკან. ეს კიდევ რაღაცნაირად მოგვიყვანდა გონს, რომ შეგვეძლებოდა, ღმერთი და სიკვდილი განყენებულ იდეათა სფეროში დაგვეტოვებინა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბუნებამ ამ განხეთქილების შესახებ არაფერი უწყის: ხე თუ ყვავილობს, მასში სიცოცხლესთან ერთად სიკვდილიც ყვავის, პოხიერი მინის ხნულები, თავისი მწოლიარე სახით ასე უხვად რომ ამოისუნთქებენ სიცოცხლეს, — ისინიც სიკვდილითაა სავსე; და ცხოველებიც თვინიერად გადადიან სიცოცხლიდან სიკვდილში. სიკვდილი ჯერაც შინაა ყველგან ჩვენს გარშემო და გვიმზერს საგანთა ნაპრალებიდან; რომელიმე ჟანგიანი ლურსმანი, სადღაც ფიცრიდან რომ იცქირება, დღე და ღამე სხვას არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ მას შეჰხარის.

და სიყვარულიც, ადამიანთა შორის რიცხვებს რომ ურევს და სიმორე-სიახლოვის თამაშში გვაბამს, რომელშიც მხოლოდ იმას

ვალწევთ, რომ გვეჩვენება, თითქოს სამყარო გადავსებულია და მხოლოდ ჩვენშილა შემორჩა თავისუფალი სივრცე, — დიახ, არც სიყვარული უწევს ანგარიშს ჩვენეულ წესრიგს: ის აგვიტაცებს, აცახცახებულებს, და მთლიანის უსასრულო წვდომაში გვტყვორცნის. — მეტრფენი მხოლოდ ამქვეყნიურით როდი სულდგმულობენ; თითქოს არასოდეს მომხდარიყო განხეთქილება, ისე იხელთებენ და ხარჯავენ თავიანთი გულის უშველებელ დანაზოგს; მათ შესახებ შეიძლება ასე ვთქვათ: ღმერთი მათთვის რეალურია, ხოლო სიკვდილი მათ ვერას აკლებთ: *ისინი სავსენი არიან სიკვდილით, რადგანაც სიცოცხლით არიან სავსენი.*

ხოლო სიცოცხლის განცდას რაც შეეხება, აქ ამაზე ვერ ვისაუბრებთ, ეს საიდუმლოა, არა ჩაკეტილი, არა ისეთი, დამალვას რომ მოითხოვს, არამედ საკუთარ თავში დარწმუნებული საიდუმლო, ტაძარივით ღია, რომლის შესასვლელები გოლიათ სვეტებს შორის თავს იწონებენ და მედიდურად აცხადებენ, ჩვენ ვართო ბჭენი.

მაგრამ (და ამით, ქალბატონო ჰ., კვლავ თქვენს წერილს ვუბრუნდები) როგორ მოვიქცეთ, რათა ჯეროვნად მომზადებულნი დაუვხვდეთ ამ განცდას, რომელიც ოდესმე, ადამიანურ მიმართებაში, შრომაში თუ ტკივილში დაგვატყდება თავს და რომლის პირისპირ მიახლოვებითობა არ გამოგვადგება, რადგანაც თავად ძალზე ზუსტია, ისე ზუსტი, რომ მისი მხიდან ყოვლად გამორიცხულია შემთხვევითობა. თქვენ თავად აღმოაჩინეთ თქვენთვის სწავლის მრავალი გზა და იმთავითვე იგრძნობა, რომ მათ გულმოდგინედ და ყურადღებით მიჰყვებით კიდევ. ამიტომაც იმ შემადრწუნებელმა გამოცდილებებმა, რის შესახებაც მწერთ, კი არ გაგფანტათ, პირიქით, უფრო მჭიდროდ შეგკრათ. მსურს, რამდენადაც ძალა შემწევს, დაგეხმაროთ სიკვდილის შესწავლაში, ერთი მხრივ, ბიოლოგიის სფეროთი (იმით, რომ გაგაცნოთ ვილჰელმ ფლაისი და მისი ძალზე უცნაური გამოკვლევანი: მის ერთ პატარა წიგნს ამ დღეებში გამოგიგზავნით), მეორე მხრივ კი მსურს თქვენი ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან პიროვნებაზე შევაჩერო, ვისაც მშვიდად, ნმინდად და დიდებულად უფიქრიათ სიკვდილზე. პირველ რიგში: ტოლსტოი.

მას ერთი მოთხრობა აქვს, რომელსაც „ივანე ილიჩის სიკვდილი“ ჰქვია. თქვენი წერილის მიღებისთანავე ძლიერი სურვილი

გამიჩნდა, კვლავ გადამეველო თვალი იმ სტრიქონებისათვის და ასეც მოვიქეცი, — თან თქვენზე ვფიქრობდი და თითქოს თქვენ გიკითხავდით. ეს მოთხრობა მეშვიდე ტომშია (ოიგენ დიდერიხსის მიერ დაბეჭილი სრული გამოცემა, იქვეა „იარეთ ნათელში, ვიდრე გაქვთ ნათელი“ და „ბატონი და ყმა“); ხელი თუ მიგიწვდებათ ამ ნიგნზე? ძალზე გამიხარდება, თუკი თქვენთვის ტოლსტოის ბევრი რამ გახდება ხელმისაწვდომი: „ცხოვრების საფეხურების“ ორი ტომი, კაზაკები, პოლიკუშკა, ტილოს მზომავი, სამი სიკვდილი: ბუნების მისეული განცდა უკიდევანოა (არ მეგულება ადამიანი, მასავით მთელი გზნებით რომ ერწყმოდეს ბუნებას) და ეს ანიჭებს მას მთლიანიდან გამომდინარე ფიქრისა და წერის ყოვლად განსაცვიფრებელ უნარს, — სიცოცხლის იმგვარი შეგრძნებიდან გამომდინარე, მთლიანად სიკვდილის უმცირესი ნაწილაკებით რომაა გაჟღენთილი; სიკვდილი ყველგან აღწევს, უჩვეულო საკმაზად დაჰყვება სიცოცხლის მძაფრ გემოს. მაგრამ სწორედ ამის გამო ეს ადამიანი უღრმესი, თავზარდამცემი შიშით აღივსებოდა, როდესაც შეიტყობდა, რომ სადღაც არსებობს სიკვდილი წმინდა სახით, სიკვდილით სავსე ბოთლი, ანდა ეს უმსგავსო, ყურმოტეხილი ფინჯანი ყოვლად უაზრო წარწერით „რწმენა, იმედი, სიყვარული“, რომლიდანაც გაუზავებელი სიკვდილის ბლანტი სიმწარის დალევა გვინევს. ამ ადამიანმა სიკვდილის შიშის არაერთი სახეობა შეისწავლა საკუთარ თავშიც და სხვებშიც, — დიახ, ბუნებამ იმის უნარიც უბოძა, საკუთარი შიშის გარეშე მონმე ყოფილიყო, — ასე რომ, სიკვდილთან მისი დამოკიდებულება ბოლომდე იყო ყოვლისგამჭოლი შიში, შიშის ფუტა, გრანდიოზული ნაგებობა, შიშის კოშკი დერეფნებითა და კიბეებით და ყოველმხრივ გახსნილი უმოაჯირო აივნებითა და კარნიზებით, — მხოლოდ ის ძალა, რომლითაც იგი, შესაძლოა, ბოლო მომენტში თავისი შიშის უსასრულო დანახარჯს ჩასწვდა, დასტური მისცა მას და, ვინ იცის, იქნებ, უშორეს სინამდვილეშიც გადაისროლა, — აი, ეს ძალა გახდა უეცრად ამ კოშკის საყრდენი, მიდამო და ცა, სადაც ნიავი დაჰქრის და ფრინველები დაფარფატებენ...

ბერნჰარდ ფონ დერ მარვიცს

მიუნჰენი, ოტელი კონტინენტალი,
9 მარტი, 1918.

ჩემო ძვირფასო ბატონო ფონ დერ მარვიც,

ცხოვრებაში ბევრჯერ მქონია საიმისო დრო, რომ მაღლიერებით გამოვხმაურებოდი თქვენს გულისხმიერ მომართვას; მაგრამ, აი ახლა, ოდნავ მაინც რომ ჩაგახედოთ ჩემს ცხოვრებაში, ეს ნიშნავს, ისეთი უბადრუკობის თანამოზიარედ გაგხადოთ, რომლის აღწერაც არ ძალმიძს. რაკილა ასეთ იძულებითსა და საშინელ პირობებში ჩავარდნილს მაინც სასურველად მიგაჩნიათ ჩემი წერილების მიღება, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ რწმენა და გჯერათ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში ჯერაც არ შეწყვეტილა სულიერი ცხოვრება, მაგრამ სწორედ ამის დამადასტურებელი სულ მცირე საბუთის მოყვანაც კი არ შემიძლია; რაც შემეხება მე, პირიქით, ასე მგონია, თითქოს ყველა საერთო თუ უმძიმესმა პირადმა გარემოებამ ჩემს ირგვლივ მოიყარა თავი, რათა მომიდუნოს ყოველგვარი შინაგანი მუხტი და მომწყვიტოს იმ ფესვებს, ყოველ დროს, ჩემთვის თვით ყველაზე ბედუკულმართ დღეებშიც კი უჩინრად, მაგრამ განუხრელად რომ მასაზრდოებდნენ. და, რაც უფრო საგრძნობი ხდებოდა ჩემთვის ეს განსაცდელი, მით უფრო ვცდილობდი, თვალი შემეველო ჩვენი უსაშველოდ დასწეულელებული დროებისათვის, მაგრამ სწორედ ამ მსოფლმხედველობის წყალობით, სულ უფრო ცუდ დღეში ვვარდებოდი. ნეტა თუ არსებობს რაიმე ხილული ამ ჩვენს სასონარკვეთილ სამყაროში? ნუთუ არ შეიძლებოდა ამქვეყნიური ჭირ-ვარამით წლობით გონებადამძიმებულებს, ბოლოს და ბოლოს, სადმე ისეთ ადგილას მოგვეყარა თავი, სადაც ადამიანები მუხლებზე დაემხობოდნენ და ყვირილს მოჰყვებოდნენ, და მეც, ამ ხმას გავიგონებდი თუ არა, უმალ იქით გავექანებოდი და ჩემს ყვირილს მათსას შევეურთებდი. მაგრამ ამ ჩვენს ქვეყანაში საერთო უბედურების თანამოზიარე რომ გახდეთ, უნდა იკითხო გაზეთები, თავი უნდა გამოიტენო არასარწმუნო, აბდაუბდა ცნობებით, ყოველ ცისმარე დღეს რომ გვაყრიან თავზე, ხოლო ტკივილი და შიში მხოლოდ იმ გაზეთების ენაზე უნდა აღიქვა, ყველას პირში

რომ გვჩრიაან. თავისთავად როგორი შემზარავიც არ უნდა იყოს ეს ომი, უფრო მეტი საშინელება ისა მგონია, რომ მისმა სიმძიმემ ადამიანები ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთობლივად ვერ აიძულა, ღმერთს ელტვოდნენ, რისი ძალაც შესწევდა ძველ დროში დიდ უბედურებას. ახლა კი, თანდათან წარმოიქმნა ის ზედაპირი, რომელზედაც გაზეთები ახერხებენ უსინდისოდ მოგვანოდონ მიმდინარე მოვლენათა რალაც შუალედური სიტყვიერი მაჩვენებლები (ამ არეულობაში მოძველებულსა და სათუმცაო ამბებს ფაქტები ემეზობლება, ხოლო მერკანტილური იმის გვერდით თანაარსებობს, რაც ანგარიშსა და გამოთვლას არ ექვემდებარება). ერთთავად იმის ცდაში არიან, ამ ზედაპირზე როგორმე წაშალონ ადამიანის დამმუხტავი ნებისმიერი დაძაბულობა და კაცობრიობა მიაჩვიონ, სინამდვილის ნაცვლად ცნობათა სამყარო აღიქვას, რადგან სინამდვილის სიდიდისა და სიმძიმის გასათავისებლად ადამიანს აღარც დრო აქვს და აღარც გამძლეობა.

გაზეთის მკითხველი არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ახლა გავხდები. დღეს ერთ-ერთ ჩემს მეგობარს ვკითხე, ოთახს ხომ ვერ მიშოვნი სადმე სოფლად, სადაც არც არავის შევხვდები და არც არავის დაველაპარაკები-მეთქი; ამ ორ პირობას ხშირად მოუხდენია კეთილი გავლენა ჩემს გუნება-განწყობასა თუ მუშაობაზე. მეშინია, არ დავსწეულდე, თუ მარტო არ დავრჩი და ბუნებასა და წელიწადის დროს არ შეეუერთდი. ვინ იცის, იქნებ კიდევაც მოვესწრო იმ დღეს, როდესაც ასეთ რეტრაიტულ-სემომთავაზებენ ფრიდერსდორფში ან მის ახლოს, ტყის მცველის ქოხში (ამიერიდან ალბათ მუდამ დამჭირდება ასეთი თავშესაფარი), მაგრამ იქ ყოფნა, უპირველეს ყოვლისა, თქვენთან ერთად გამეხარდება.

როგორც ხედავთ, თქვენი წერილი სულსა და გულში ჩამწვდა; ვისურვებდი, ჩემსასაც არ დაეტოვებინეთ გულგრილი.

თქვენი რ. მ. რილკე

რობერტ ჰაინც ჰაიგროდტს

მიუზოტის სასახლე,
24 დეკემბერი, 1921 წელი.

დიდად პატივცემულო ბატონო დოქტორო ჰაიგროდტს, თქვენს ნაშრომში, რომელიც ჩვენი საერთო მეგობრის, ბატონი დოქტორ ფ. ჰიუნიჰის ხელით გამომიგზავნეთ (მე იგი გუშინ მივიღე), გამონვლილვითა და გულდასმით განგიხილავთ ჩემი ლიტერატურული შემოქმედება; ამ წიგნში ჩემს მიმართ გამოთქმული სიტყვები საქმიანად და ზუსტადაა დასაბუთებული, ამიტომაც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დიდად ვაფასებ თქვენს კეთილგანწყობას და ამისათვის აქვე უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

ბატონ დოქტორ ჰიუნიჰს ალბათ არ დაუმაღავს თქვენთვის და გითხრათ, რომ ვერაფრით ვაიძულებ ხოლმე თავს, ვიკითხო ჩემი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნები და სტატიები; ამ საკითხში თავს ვერა და ვერ მოვრეოდი და კარგა ხანს ჩემს ნაკლადაც მიმაჩნდა; ეს ნაწილობრივ ალბათ ასეც არის; მაგრამ თანდათანობით, დაახლოებით 1907 წლიდან მოყოლებული, ერთ-ერთი ცნობილი მაგალითის წყალობით (მასზე მალე მოგახსენებთ), ისეთი თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა, რომელიც, ვგონებ, გაამართლებს ამ ჩემს თანამიმდევრულად უარმყოფელ განწყობას; სახელდობრ კი, ვინამე, რომ ხელოვანი ეზიარება თუ არა თავისი შემოქმედების გულისგულს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება მასში მყარად დამკვიდრება (იგი ხომ მისი ხასიათის, მისი სამყაროს გულისგულიცაა); ამიერიდან ხელოვანი ცდილობს, არასოდეს გადააბიჯოს თავისი ჩუმი, განუხრელად მზარდი საქმიანობის შინაგან მიჯნას. იგი არასოდეს, ერთი წამითაც კი არ შეიძლება იდგეს მაყურებლისა და კრიტიკოსის გვერდით (ყოველ შემთხვევაში, ისეთ გარემოში მაინც, სადაც ხილული სინამდვილე ყველგან გაურკვეველ შემთხვევითობამდე დადის და რალაცის დამხმარე კონსტრუქციად თუ ფიცარნაგად იქცევა). სწორედ რომ მუშაითური მოქნილობაა საჭირო, რომ კვლავ შეძლო ამ სათვალთვალ კოშკიდან გამოზომილად და უვნებლად უკან გადახტე იმ გულისგულში (მანძილები ძალზე დიდია, ადგ-

ილმდებარეობა კი — მეტისმეტად არასაიმედო ამგვარი თამამი და ცნობისმოყვარული მცდელობისათვის). ბევრი დღევანდელი მხატვარი ხარჯავს ძალას ამგვარ გადახტომ-გადმოხტომაში; ამით ისინი მარტო საკუთარ თავს კი არ ფლანგავენ, უღმერთოდ ებნევათ თავგზა, საკუთარ სისპეტაკესაც კარგავენ და ცოდვის ჩადენას ესწრაფვიან; ცოდვა კი ის გახლავთ, რომ სურთ საკუთარი ქმნილებებით გარედან გაოცდნენ, გემო გაუგონ და სხვებთან ერთად დატკბნენ მათი მშვენებით! სეზანი (აი, მოვედი კიდეც ზემოთ შეპირებულ „მაგალითთან“) სწორედ იმიტომ იყო უსასრულოდ, გამაოგნებლად ბუმბერაზი, რომ თითქმის ორმოცი წელი ახერხებდა განუწყვეტლივ ეცხოვრა საკუთარ წიაღში, თავისი შემოქმედების გულისგულში; ვიმედოვნებ, ოდესმე შევძლებ შუქი მოვფინო, თუ როგორაა დავალებული მისი სურათების გაუგონარი სიციცხალე და სიჩაუქე ამ სიჯიუტისაგან. მისი სურათების ზედაპირი ნამდვილად მოგვაგონებს სულ ახლახან გადახსნილ ნაყოფს, მაშინ, როდესაც ფერმწერთა უმრავლესობა დაგემოვნებით, მეჭაშნიკესავით შესცქერის თავის სურათებს და მუშაობის პროცესშიც კი მაყურებელივით ან დამკვეთივით ცდილობს, ხელყოს ისინი... (უკვე მოგახსენეთ, ოდესმე ალბათ შევძლებ-მეთქი სეზანის ამ შეუპოვარი პოზიციის დამაჯერებლად გადმოცემას); მისი პოზიცია შეიძლება რჩევა და გაფრთხილება იყოს ყველა სერიოზული შემოქმედისათვის, მტკიცედ რომ აურჩევია ხელოვნების გზა.

ეს ერთი. მეორეც, ბატონ დოქტორ ჰიუნის ალბათ ისიც არ დაუმაღავს თქვენთვის, თუ როგორი წინააღმდეგი ვარ და როგორ ვეურჩები ჩემი, ეგრეთ ნოდებული, „ადრინდელი პერიოდის“ წარმოჩინებას და გამომზეურებას. ხოლო რამდენადაც თქვენთვის ეს პერიოდი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ თქვენი ახსნა-განმარტება არამართებულად მიმაჩნია. ჩემდა საუბედუროდ, დღემდე შემორჩენილი ეს პირველი მცდელობები ნამდვილად არაფერზე არ მეტყველებენ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩემი შემოქმედების დასაწყისად; ეს უფრო ჩემი ბავშვური და ჭაბუკური უმწეობის უკიდურესად პირადი დასასრული იყო. თუ ოდესმე ბედმა თქვენთან შეხვედრა მარჯუნა წილად, ან უფრო დანვრილებით

მომიხდა თქვენთვის წერილის მოწერა, ალბათ შევეცდები წარმოგიდგინოთ ამ მოსაზრების გამომწვევი, პირწმინდად ავსტრიული და დროის თვალსაზრისით ერთობ ზუსტად დათარიღებული მიზეზები; ეჭვი არ მეპარება, რომ მაშინ კი დამეთანხმებით და აღიარებთ ჩემს სიმართლეს.

მაშ ასე, გუშინ საღამოს თვალი გადავაკვლე იმ გვერდებს, „ადრეულ რილკეს“ რომ ეხება. რა დასანანი! გამახსენდა შტეფან გეორგეს საყვედური, რომელიც მან საჭიროდ ჩათვალა მთელი კატეგორიულობით ეთქვა ჩემთვის (დაახლოებით 1899 წელს, ფლორენციაში ჩვენი ერთადერთი შეხვედრის დროს). მაშინ მისაყვედურა, ძალიან ადრე დაიწყეთ თქვენი ნაწარმოებების გამოქვეყნებაო. ცამდის მართალი იყო! მათი გამოქვეყნებაც... თუმცა, ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ! თქვენი წიგნის ოცდაათი გვერდი ფაქტიურად არაერთ უმართებულო მტკიცებას შეიცავს; როგორც არა გვაქვს არავითარი საფუძველი, ვიფიქროთ, თითქოს „მალტე ლაურიდს ბრიგე“ ბიოგრაფიული მასალის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს (ამის თაობაზე გაფრთხილებული მყავდა ბატონი ჰიუნინი), ასევე არ შეიძლება პირად ამბებთან დავაკავშიროთ ის უბადრუკი მოთხრობები, რომლებსაც აქა-იქ მოიხსენიებთ. არა, ის ინტერიერები ვერაფრით ვერ გადმოსცემენ ბიჭუნა რენეს ირგვლივ არსებულ ატმოსფეროს! ამიტომაცაა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქ შეცდომას შეცდომა მოსდევს და ყველა მახვილი უადგილო ადგილასაა დასმული. აი თუნდაც სამხედრო სასწავლებელი ავილოთ. უდიდესი მნიშვნელობა აქ იმ გარემოებას ენიჭება, თითქოს ამ სასწავლებელში ყოფნა გახდა ჩემთვის „შემობრუნების“ მიზეზი, თვითწარმავების გზაზე რომ დამაყენა და საკუთარი გულის-გულიც კი მაპოვნინა. ერთი სიტყვით, ყურადღების გამახვილება სულ სხვა ამბებზე იყო საჭირო. მაგრამ ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა მითითებით უნდა იხელმძღვანელოს კაცმა, როდესაც ის უმნიშვნელო, უსუსური ნაწარმოებები მხოლოდ წარმოსახვის შედეგს წარმოადგენდა; ეს პატარ-პატარა სიცრუეები თვითდამკვიდრებასა და თვითშენარჩუნებას ისახავდა მიზნად და ვერანაირად ვერ უწყობდა ხელს ამ თვითდამკვიდრებას.

ღრმად პატივცემული ბატონო ჰაიგროდტი, ალბათ გამიგებთ,

რომ ამით თქვენდამი საყვედურს არ გამოვთქვამ. რაც კი ჩემი ამქვეყნად არსებობის თაობაზე რამ იწერება, ყველაფერს რომ ვკითხულობდე, რამდენი შეცდომის გასწორება მომიხდებოდა! რაც შეეხება თქვენს წიგნს, ეჭვი არ მეპარება, რომ ამ უმნიშვნელო უზუსტობების მიუხედავად, მასში მრავლადაა გონივრული აზრები, უზარმაზარი ცოდნა და, უწინარეს ყოვლისა, სიხარული, რომელიც თან სდევს მის კითხვას; აი, მარტო ამ სიხარულისათვის უნდა მივაგოთ მას საკადრისი პატივი! ახლა კი, ნება მიბოძეთ, მაღლობა გადაგიხადოთ.

თუმცა ამჟამად წერილებს ძალზე ძუნწად ვწერ (უკანასკნელი წლების მღელვარე დღეები ჯერ კიდევ შემახსენებენ ხოლმე თავს), მაინც ერთობ დამავალბდით, თუ მხარს ამიბამდით და ჩემთან ურთიერთობას გააგრძელებდით — იგი არსებობს და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება! — და დროდადრო ერთ-ორ სტრიქონს მომწერდით ხოლმე.

თქვენი ერთგული რაინერ მარია რილკე

ილზე ბლუმენტალ-ვაისს

მიუზოს სასახლე,

1921 წლის 28 დეკემბერი.

გადანწყვეტილი მქონდა, შობამდე ჩემი კეთილგანწყობის მცირე საბუთი მაინც მომენვდინა თქვენთვის, რადგანაც ნოემბრის კვირადღეს მიღებული თქვენი წერილი ჯერ კიდევ უპასუხოდ მრჩებოდა! მაგრამ იმდენ წერილზე მომიწია პასუხის გაცემა, რომ ჩემმა კალამმა ვერა და ვერ გაიკვლია თქვენამდე გზა. და აი, ზუსტად მაშინ, როდესაც დავაპირე, ახალი წელი მაინც მომელოცა თქვენთვის, — მოულოდნელად ძლიერ გამახარა თქვენმა ამანათმა. ის ოთხი რიცხვისათვის გქონიათ ჩაფიქრებული, რომელსაც, მართალი გითხრათ, არანაირად არ აღვნიშნავ, მაგრამ გზაში შეყოვნებულა და მხოლოდ ახლადაა, შობაზე, მოაღწია (როგორც ჩანს, ამ დღეს უფრო შეეფერება საჩუქარი, ვიდრე დაბადების დღეს), შობას ხომ ბოლომდე მაინც ვერასოდეს

ავცდებით: მაშინაც კი, როდესაც უკვე ყველანაირი საზეიმო შინაარსისგანაა დაცლილი, ის რაღაც აუხსნელი ტრადიციული მოლოდინის სახით მაინც შემოდის ჩვენში. — სულითა და გულით გიძღვნიტ მადლობას ამ საჩუქრისა და მისი თანმხლები თბილი ნერილისათვის. — თქვენ ნამდვილად აჭარბებთ, როდესაც იმ გავლენაზე საუბრობთ, ჩემმა წიგნებმა თქვენს პიროვნებაზე რომ მოახდინეს; არც ერთ წიგნს თუ გამონათქვამს არ ძალუძს, გადამწყვეტი ცვლილება გამოიწვიოს, თუკი თავად ის, ვისშიც ეს ძვრა ხდება, რაღაც მნიშვნელოვანის მიერ წინასწარვე არ იქნა შემზადებული ამ უღრმესი შეხვედრისათვის: თუკი მისთვის თავისთავად არ დადგა ახლის წვდომისა და მასში ჩაღრმავების უამი. რათა ის ჩვენი ცნობიერების შუაგულში მოვაქციოთ, საამისოდ მრავალი რამ გამოდგება: ზოგჯერ ეს წიგნი ან ხელოვნების ნიმუშია, ზოგჯერ კი ბავშვის გამოხედვა, ადამიანის თუ ფრინველის ხმა, სულაც ქარის შრიალი ანდა იატაკის ჭრაჭუნი, ანდა, — ეს მაშინ, როცა ჯერაც მიღებული იყო ბუხართან ჯდომა (რაც, დრო და დრო, მიწვედა ხოლმე ცხოვრებაში), — ცეცხლის ალების გარდასახვისათვის თვალის დევნება. ყოველივე ამან და ბევრად უფრო მცირედმაც, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელომ, შეიძლება საკუთარი თავი გვაპოვინოს, ანდა (რასაც ამჟამად თქვენ ზეიმობთ!) საკუთარ თავთან დაგვაბრუნოს. და პოეტებიც, დიახ, ზოგჯერ ისინიც შეიძლება აღმოჩნდნენ ასეთი კეთილი ბიძგის მატარებელნი... არა თავმდაბლობის გამო, არამედ რადგანაც მისი აღუწერლად შთამბეჭდავი შემოქმედება ჩემთვის მრავალი ათწლეულის მანძილზე უმნიშვნელოვანესი იყო და რადგან ის ასე ხშირად დამხმარებია შინაგან ძალთა მოკრებაში, — აი, ამის გამო ვფიქრობ, რომ *იაკობსენს* ბევრად მეტი წვლილი მიუძღვის თქვენს მშვენიერ, სასიხარულო განცდებსა და წარმატებებში. სჯობს, მას მიაგოთ პატივი; და თქვენს საყვარელ ბავშვს... და, თუ მაინც და მაინც გსურთ, მეც, ოღონდ როგორც ერთ ვისმე უსახელოს ასობით გამოუცნობ ძალას შორის. რწმენა? — ლამის წამომცდა, ის საერთოდ არ არსებობს-მეთქი. არსებობს მხოლოდ — სიყვარული. არავითარი აზრი არა აქვს, ვაიძულოთ ჩვენი გული, ამა თუ იმ მოვლენის არსებობა დაიჯეროს, — ხომ სწორედ ამას უწოდებენ ჩვეულებრივ რწმენას. თავდაპირველად სადღაც უნდა აღმოვაჩი-

ნოთ ღმერთი, უნდა განვიცადოთ მისი უკიდვეგანოდ რეალური არსებობა, — ხოლო რას ვიგრძნობთ მის მიმართ ამის შემდეგ, — იქნება ეს ძრწოლა, გაოცება, სუნთქვაშეკრული მონუსხულობა თუ, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული, — ეს არცაა გადამწყვეტი. სახელდობრ რწმენას კი, ანუ ღვთისაკენ ძალდატანებით სვლას, ადგილი არა აქვს იქ, სადაც ღვთის აღმოჩენით ვინყებთ და, რომელი ბოლოდანაც არ უნდა დავიწყოთ, ეს აღმოჩენა მაინც უსასრულოდ გაგრძელდება. — და თქვენ, ებრაელს, ღვთის უმდიდრესი განცდა, ღვთის წინაშე ასე ძველი ძრწოლა სისხლში რომ გაქვთ გამჯდარი, — თქვენ ყველაზე ნაკლებად უნდა გადარდებდეთ ისეთი რამ, როგორიც „რწმენაა“. უბრალოდ უნდა შეიგრძნოთ თქვენს არსებობაში მისი უსასრულო არსებობა: ხოლო როდესაც ის, იელოვა, კაცთაგან შიშს მოითხოვდა, ეს იმის გამო ხდებოდა მხოლოდ, რომ მრავალ შემთხვევაში უბრალოდ არ არსებობს ჩვენსა და ღმერთს შორის სიახლოვის სხვა გზა, გარდა შიშისა. ღვთის წინაშე შიში ხომ, ასე ვთქვათ, *ნაჭუჭია* ისეთნაირი მდგომარეობისა, სრულებითაც რომ არ დაჰკრავს შიშის გემო, არამედ ძალუძს აღუნერელ სიტკბოებამდე მომნიჭდეს მისთვის, ვინც მასში ჩაიკარგება. — ნუ დაგავინყდებით, რომ მექვიდრეობით გერგოთ მსოფლიოს ერთ-ერთი უღიადესი ღმერთთაგანი, არა ისეთი, რომელიც, ქრისტიანთა ღმერთივით, როცა მოგესურვება, მაშინ შეგიძლია აღიარო: არა, ისეთი, რომელსაც *ეკუთენი*, შენი ეროვნებიდან გამომდინარე, რადგანაც მან დასაბამიდან, მამა-პაპაში, შეგქმნა და გამოგძერწა ისე, რომ თითოეული ებრაელი მასში (და მასთან ერთად იმ სინამდვილეში, რასაც ვერავინ გაბედავს, სახელი მოუძებნოს) ჩადულაბებულია, თავისი ენის ფესვით ჩარგული!

უსასრულო ნდობით ვიმსჭვალეები მუდამ იმ ხალხებისადმი, ვინც ღმერთთან რწმენით კი არ მისულა, არამედ თავისი უსაკუთრესი ეროვნულობით, თავისი ტომითა და მოდგმით განიცადა იგი. ასეთნი არიან ებრაელები, არაბები, გარკვეულნილად, მართლმადიდებელი რუსები — და შემდეგ, სულ სხვაგვარად, — აღმოსავლეთის ხალხები და ძველი მექსიკელები. მათთვის ღმერთი წარმომავლობაა და, ამიტომაც, — მომავალიც. სხვებისათვის ის არის რაღაც გამჟღავნებული, წარმოებულნი, რაღაც ისეთი, რა-

საც განელტვიან და რასაც მიელტვიან როგორც არსებითად უცხონი ანდა გაუცხოებულნი, — ამიტომაც მუდამ საჭიროებენ შუამავალს, მაკავშირებელს, ვინც მათ სისხლს, მათი სისხლის იდიომას ღვთაების ენაზე გადათარგმნის. ცხადია, ამ ხალხების მიღწევა შეიძლება იყოს მხოლოდ „რწმენა“, მათ საკუთარი თავი იძულებით უნდა დაარწმუნონ იმის არსებობაში, რაც ღვთისაგან წარმომავალი ხალხებისათვის თავისთავად არსებობს. ამიტომაც მათ ასე ადვილად უსხლტებათ ხელიდან რელიგიები და სანაცვლოდ მორალილა რჩებათ, — მაშინ, როდესაც დასაბამიერად განცდილი ღმერთი კეთილსა და ბოროტს ადამიანებთან მიმართებაში კი არ ასხვავებს, არამედ უფრო თავისთვის, ის დაჟინებით იღვწის იმისათვის, რომ მათ მასთან სიახლოვე შეინარჩუნონ და მის საკუთრებად დარჩინენ: სხვა არაფერი ადარდებს! რელიგია ხომ უსასრულოდ უბრალო, გულუბრყვილო რამაა. ის არც ცოდნაა, არც რაიმე გრძნობის აღწერილობა (რადგანაც ყველა აღწერილობა წინასწარვეა მოცემული, როდესაც ადამიანი სიცოცხლის პირისპირ აღმოჩნდება), ის არ არის მოვალეობა თუ მსხვერპლის გაღება, არც შეზღუდვაა: ესაა სამყაროს გამთლიანებულ უკიდევანობაში მოცემული მიმართულება გულისა. ისევე, როგორც ადამიანი შეიძლება ეხეტოს აქეთ თუ იქით, ამა თუ იმ დაბრკოლებას მიეხალოს, დაეცეს და კვლავ წამოდგეს, ვილაცას უსამართლოდ მოექცეს და შემდეგ თავად იქცეს უსამართლობის მსხვერპლად, აქ დაიჩაგროს, იქ კი თავად მოუწიოს სხვისი დაჩაგვრა, მცდარად მოქცევა თუ რაიმის მცდარად გაგება: ყოველივე ეს დიდ რელიგიებშიც გადადის და უნარჩუნებს ღმერთს, — მათ შუაგულსა და ბირთვს. ამგვარი წრედის უკიდურეს ნაპირზე მცხოვრები ადამიანიც კი წილნაყარია ამ მძლავრი შუაგულისა, თუნდაც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, თუნდაც მხოლოდ სიკვდილის ჟამს, მიუბრუნდეს მას. ის, რომ არაბი განსაზღვრულ დროს პირს აღმოსვლეთისაკენ იბრუნებს და ძირს განერთხმევა, — ეს რელიგიაა. ამას „რწმენას“ ვერ ვუნოდებთ. ამას საპირისპირო შინაარსის ცნებას ვერ მოუნახავ. ეს ბუნებრივი მოძრაობაა ისეთი არსებობის შიგნით, დღეში სამჯერ რომ იმსჭვალება ღვთაებრივი ქროლვით, ჩვენ კი მასთან მიმართებაში, ყველაზე მცირე, დრეკადნი ვართ.

მე მგონი, ჩასწვდებით და იგრძნობთ, რასაც ვგულისხმობ,

— და დაე, ეს ჩემი ნაფიქრალი რაიმე სახით შეერწყას იმ მშვიდ და გახსნილ მდგომარეობას, რასაც თქვენს გამოჯანმრთელებას უწოდებთ, იმოქმედოს მასზე და საიმედოობა და სიხარული მოეტანოს თქვენთვის!

თქვენი რაინერ მარია რილკე

როდის მომწერო კვლავ?

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს მიუზოს კოშკი, სიერ (ვალე) შვეიცარია, 11 თებერვალი, სალამო (1922).

ბოლოს და ბოლოს,

თავადის ქალო,

ბოლოს და ბოლოს, კურთხეული და მერე რანაირად კურთხეული დღე, როდესაც ძალმიძს გაუნყოთ გასრულება — როგორც მე მგონია —

ელეგიებისა:

ათის!

უკანასკნელი დიდი ელეგიისაგან (დუინოში რომ დავიწყე: „მე რომ ოდესმე, უმკაცრესი წვდომის მინურულს, ხოტბა შემესხა ყურადმღებელ ანგელოზთათვის...“) აი, ამ ელეგიისაგან, რომელიც უკვე მაშინ უკანასკნელ ელეგიად იყო ჩაფიქრებული — აი, მისგან ჯერ ისევ მიცახცახებს ხელი!

დიახ, შაბათს, თერთმეტში, სალამოს ექვს საათზე იგი დამთავრდა! ყველაფერი — რამდენიმე დღეში, ეს იყო უსახელო გრიგალი, სულში ამოვარდნილი ქარაშოტი (როგორც მაშინ დუინოში), ყველა ბოჭკო და უჯრედი მეპობოდა — ჭამა არც კი გამხსენებია, ღმერთმა უწყის, ვინ მაპურებდა. და აი, უკვე *არსებობენ* ისინი. *არსებობენ. არსებობენ.*

ამინ.

მაშასადამე, ამისთვის გაუუძელი ყველაფერს. ამისთვის გადავიტანე ყველაფერი. და სწორედ ეს იყო აუცილებელი. *მხოლოდ* ეს.

ერთი ელევია კასნერს მიუძღვნენი. მთლიანად კი ის თქვენ გეკუთვნით, თავადის ქალო, ან კი სხვაგვარად როგორ შეიძლება! ერქმევა:

დუინური ელევები

ნიგნს (რადგან არ შემიძლია გიბოძოთ ის, რაც იმთავითვე თქვენ გეკუთვნოდათ), ვფიქრობ, მიძღვნა არ ექნება, არამედ:

... სამფლობელოდან!

ახლა კი მადლობას გითვლით თქვენი წერილისათვის და ყველაფრისათვის, რასაც იქ მატყობინებთ, მოუთმენლად ველოდი.

ჩემს შესახებ კი... დღეს მხოლოდ ეს იყოს, არა? ბოლოს და ბოლოს ხომ გაჩნდა „რალაც“!

კეთილად ბრძანდებოდეთ, ერთგულო მეგობარო.

თქვენი D. S.

P. S. ეს-ეს არის მივიღე გულთბილი წერილი თავადის ქალ ეტინგერისაგან. გეთაყვათ, დაუდასტურეთ მას ჩემი მონინება. მალე მივწერ. უგულითადესი მოკითხვა თავადს, კასნერს და სხვებს.

სიზარმაცეში ნუ ჩამომართმევთ, რომ ცხრა ელევია ახლა არ გადავწერე და არ გიგზავნით. თქვენზე ვიეჭვიანებ, როცა მათ წაიკითხავთ. ასე მგონია, რომ მე და მხოლოდ მე უნდა წაგიკითხოთ ისინი პირველად. როდის? — იმედია მალე.

ლუ ანდრეას-სალომეს

მიუზოს კოშკი, სიერ (ვალე), შვეიცარია,

11 თებერვალი, სალამო (1922).

ლუ, საყვარელო ლუ, მაშასადამე:

ამნუთს, ამ შაბათს, თერთმეტ თებერვალს, 6 საათზე უკანასკნელ, მეათე, დამთავრებულ ელევიას მოვწყვიტე კალამი. იმ ელევიას (უკვე მაშინ უკანასკნელ ელევიად რომ იყო ჩაფიქრებული), რომლის დასაწყისიც დუინოში დავწერე: „მე რომ ოდესმე უმკაცრესი წვდომის მიწურულს, ხოტბა შემესხა ყურადმღებელ

ანგელოზთათვის..." რაც მაშინ დავწერე, წაგიკითხე, მაგრამ იქიდან მხოლოდ პირველი თორმეტი სტრიქონი დარჩა, ყველაფერი დანარჩენი კი ახალია და: ძალიან, ძალიან, ძალიან დიდებული! — წარმოიდგინე, რომ გავძელი ამ დღემდე. ყველაფერს გავუძელი. სასწაული. წყალობა. — ყველაფერი რამდენიმე დღეში. ეს ნამდვილი გრიგალი იყო, როგორც მაშინ დუინოში: ყველა ბოჭკო და უჯრედი მეძაგრებოდა და მეპობოდა. ჭამა არც მახსოვდა.

და წარმოიდგინე კიდევ ერთი რამ, სხვა კავშირში: ზუსტად ამის წინ („სონეტებში ორფევისისადმი“, ოცდახუთი სონეტი, როგორც სამარის ძეგლი ვერა ოუკამა კნოოპისადმი — უეცრად, ქარიშხლის ამოვარდნამდე რომ წარმოიშვა) მე დავწერე, *გავაკეთე ცხენი, იცი? ის ლალი, ბედნიერი კვიცი, ფეხზე პალო რომ მისტრევედა, სალამოს ხანს რომ შემოგვეფეთა ვოლგისპირა ველზე* : მე ის გავაკეთე

როგორც

„ექს-ვოტო“ — ორფევისისადმი! რა არის დრო? როდისაა ან-მყო? ამდენი წლის შემდეგ შემომეჭრა ის — აღვსილი ბედნიერებით — ფართოდ განხმულ გულში.

ასე მოჰყვა ერთი მეორეს.

ახლა ისევ ვიპოვე თავი. ეს ხომ ნამდვილი ჩახერგვა იყო ჩემი გულისა, რომ ელეგიები არ არსებობდნენ.

ისინი არსებობენ. ისინი არსებობენ.

გარეთ გავედი და პატარა კოშკს, რომელმაც შემინახა ისინი, რომელმაც ბოლოს მომცა ისინი, ხელი გადავუსვი, როგორც დიდ, ბებერ ნადირს.

წერილზე იმიტომ არ გიპასუხე, რომ ეს კვირები ვდუმდი, თავადაც არ ვიცოდი, რის მოლოდინში, მივიმდუმრებოდი ამათკენ, ელეგიებისაკენ, გულით, რომელსაც სულ უფრო ღრმად ვძირავდი ჩემში. დღეს, საყვარელო ლუ, მხოლოდ ეს იყოს. ეს ამბავი მაშინვე უნდა გაგეგო. შენს მეუღლესაც, ნანა-საც და მთელ სახლს, ძველი, მოხერხებული სანდლების ჩათვლით.

შენი ძველი რაინერი

ძვირფასო ლუ, გუშინ სულმოუთქმელად დაწერილ ამ ფურცლებს ვერ გამოგიგზავნი - დღეს კვირაა. ამიტომ ვსარგებლობ ამ დროით და სამ დამთავრებულ ელეგიას (მეექვსეს, მერვეს

და მეათეს) გადაგინერ. დანარჩენ სამს შემდეგ დღეებში რიგ-რიგობით გამოგიგზავნი. მე ისე კარგად ვიგრძნობ თავს, როცა ისინი შენთან იქნებიან. და გარდა ამისა, მამშვიდებს, თუ მათ კიდევ სადმე სხვაგან, გარეთ დავიგულებ: ზუსტად გადაწერილთა და საიმედოდ დაცულთ.

ახლა კი წამით ჰაერზე უნდა გავიდე, ვიდრე ჯერ არ ჩასულა ამ კვირის მზე.

ე. დე ვ-ს

მიუზოს სასახლე, სიერ (ვალე),
20 მარტი, 1922.

ძვირფასო და დიდად პატივცემულო მეგობარო!

თქვენმა ესოდენ ღრმააზროვანმა წერილმა პირველი სტრიქონებისთანავე უსაზღვრო სიხარული მომანიჭა. ალბათ შიში უნდა მქონოდა, რომ მთელ ზამთარს ჩვენს მიმონერაში ჩამომდგარი დუმილი შებოჭავდა თქვენი ჩემდამი მომართვის ლალ კილოს; რაკი ეს ასე არ მოხდა, მადლიერი ვარ თქვენი, რადგან ყოველივე ამას ჩვენი ურთიერთობის არსს მივანერ; ჩემი ახლანდელი თვალსაზრისისა არ იყოს, ამ დუმილს ჩვენს ურთიერთობაში ალბათ თქვენც ერთ-ერთ რიტმულ პაუზად თვლიდით, რომელიც კი არ წყვეტს, პირიქით აწესრიგებს და აგვარებს ამ ურთიერთობებს. თქვენი ასეთი დამოკიდებულება აღმავსებს კეთილი რწმენით, ვინამო ჩვენი ურთიერთობების სიმტკიცე და ხანგრძლივობა. ნება მიბოძეთ, გაუწყოთ, რომ ფრიად მახარებს ეს ამბავი.

საკუთარი გამოცდილებიდან ალბათ გეცნობათ ის განცდა, ადამიანს რომ დაეუფლება ხოლმე ხანგრძლივი და დაძაბული შემოქმედებითი ჩანაფიქრის გასრულების შემდეგ (ეს, უპირველეს ყოვლისა, შინაგანად დაცარიელებული თავისუფლების განცდა გახლავთ). და სავსებით არ გამიკვირდება, თუკი მსგავსი მდგომარეობა გასაგები და ნაცნობი აღმოჩნდება თქვენთვის. ეს სახიფათო განცდა გახლავთ შემოქმედისათვის (მრავალ სახიფათო განცდათაგან ერთ-ერთი). ამ დროს გიპყრობს სიმსუბუქის გრძნობა, რადგან ფრთები დაგელალა; ესაა საოცარი სიმჩატი,

სულის ლტოლვა სადღაც ზედაპირისაკენ; ადრეულ წლებში მსგავსი განცდა საოცრად მახვედა, რადგან ასეთი შვების საზეიმო განწყობილება მის ერთ მხარეს შეადგენს მხოლოდ, უმაღლესი საკუთარი არასაჭიროების შეგნებაში რომ გადადის. ფარალალა ნავში მჯდარი ლელვა-რწევას რომ გავმკლავებოდი, ყოველთვის ვცდილობდი, გამზადებული მქონოდა საიმედო ბალასტი, — მაგრამ არ ვიცე, რისი ბრალი იყო, იმისი, რომ არ შემეძლო ჩემი მცირე ძალები სათანადოდ გამენაწილებანა, თუ იმიტომ, რომ ბავშვობასა და სიჭაბუკეში ბევრი გაჭირვება ვნახე და ჩემს საქმეში გვიან მივალნიე წარმატებას, ან იქნებ იმიტომ, რომ საერთოდ ის დრო, როდესაც ამ საქმიანობას შევუდექი, ხელს უწყობდა ცალმხრივობასა და ადამიანის მხოლოდ რაღაც ერთით შემოფარგვლას, — ეს კია, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერ შევძელი მუდმივი და საიმედო საპირწონე გამომენახა. მოგვიანებით თავს იმით ვინუგეშებდი, რომ tant bien que mal და ხელოვნებას, რომელიც უამისოდაც ისეთ დიდ ამოცანას ისახავს, რომ მის განხორციელებას თვით ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლეც ვერ აუვა, ასეთი დანაწევრება ზიანს მოუტანს-მეთქი. აი, სწორედ მაშინ იყო, სავსებით გამართლებული რომ მეჩვენა როდენის განუხრელი სიყვარული métier-ისადმი. ამან განმიმტკიცა სურვილი, მთლიანად ერთში დაემკვიდრებულყავი, იგი გამეტარებინა ჩემი არსების გულისგულში და ბოლომდე მისი ერთგული დავრჩენილიყავი, მაგრამ არ გამაჩნდა ამ თვალსაზრისით როდენის აგრერიგად ხელსაყრელი ხელობა, რომელიც ყოველდღიურად ჩემს განკარგულებაში იქნებოდა, ხელმისაწვდომი და ხილულის სფეროში მარად საიმედოდ არსებული. მაკლდა დიდოსტატის ის ცხოველყოფელი ძალაც, რომელიც მას დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა, თავისი შთაგონებისათვის იმდენნაირი შემოქმედებითი ჩანაფიქრი დაეპირისპირებინა, რომ არ შეიძლებოდა, იმათგან ერთ-ერთს მაინც თითქმის შესვენების გარეშე არ გაეტაცებინა; ეს გონივრულად და არცთუ უეშმაკოდ მოძებნილი accord-ი დიდებულ მხატვარს თავისი შთაგონებისადმი ისეთი რწმენით აღავსებდა, რომ თავს უფლებას აძლევდა, უარყო ამ შთაგონების არსებობა და მისი თანამონაწილეობა. მისთვის ყოველ წუთს ხელმისაწვდომი ემოციები უკვე აღარაფრით

განსხვავდებოდნენ მისივე საკუთარი ძალისაგან და როდენი მათ საკუთარი თავით განაგებდა. უკანასკნელ წლებში, როდესაც როდენს, ბოლოს და ბოლოს, მოერია წლების დაღლილობა და არაზუსტი გახდა, როდესაც სიხარბით შეპყრობილმა საკუთარ თავზე ძალადობა დაიწყო, აი, მაშინ იძია მასზე შური ამ ძალამ და დასაჯა, როგორც ადრე თუ გვიან ისჯება ხოლმე ყველა, ვინც მოინდომებს უდიდესი, ჩვენზე ზეალმატებული, ლალი და თავისუფალი ღვთაებრივი ნიჭის დამონებას. იმხანად იგი დროდადრო ქმნიდა შთაგონების ხერხებით, მაგრამ... შთაგონების გარეშე და მის სანინაალმდეგოდაც კი; საფრთხე, ხელოვანს რომ ეშუქრება, მართლაც ძალზე დიდია და იგი მისი ნიჭიერების ზრდასთან ერთად მატულობს.

ძვირფასო მეგობარო, მოგეხსენებათ, თქვენს წარმატებებს დიდად ვაფასებ, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს დღესდღეობით საქმის ვითარება, მაინც არ მალეღვებს თქვენი შემოქმედებითი წარმატებების ბედი, როდესაც მატყობინებთ, რომ აპირებთ კარგა ხნით გაუუცხოვდეთ თქვენს ამ ესოდენ ბუნებრივ მისწრაფებას მასთან სრულიად შეუთავსებელი საქმიანობით. თუმცა ჯერჯერობით ვერ გამიგია, რა კარიერის გაკეთებას აპირებთ სამართლისმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდგომ, მაგრამ თქვენს ორ საქმეს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება სავსებით კანონზომიერად და გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ინტელექტუალური, მიზანდასახული და ნებელობითი საქმიანობა რაც უფრო მეტად განსხვავდება შემოქმედებითისაგან, მით უფრო იმედიანად მფარველობს იგი ყოველგვარ შთაგონებასა და აღმაფრენას, გაუცნობიერებლად რომ მოედინება სულის სიღრმეებიდან (და პირიქით, როდესაც ორი ასეთი დარგი — შემოქმედებითი და სხვა რომელიმე მონათესავე, მაგალითად, ჟურნალისტიკა და ლიტერატურა — ერთმანეთის მეზობლად აღმოჩნდება, იმ საბედისწერო ზეგავლენების მოწმენი ვხდებით, რომლის წყალობითაც ამ ორ დარგს შორის ერთ-ერთი, თანაც ყველაზე უფრო ბედისწერული და ნატიფი, შეიმღვრევა და დამახინჯდება); უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, აუცილებლად მოვკიდებდი ხელს ყოველდღიურ, ჩემი სამუშაოსგან სრულიად განსხვავებულ საქმიანობას და შევეცდებოდი,

ძალები რაიმე ხელშესახებ დარგში მეცადა. დღესდღეობით ადამიანი ალბათ უფრო უკეთ და პირუთვნელად შეძლებს იყოს ხელოვნების მსახური, თუკი მას მხოლოდ განსაზღვრული დღეებისა და წლების მალულ საქმიანობად აქცევს (რაც სრულიად არ ნიშნავს, რომ მან ეს საქმე სხვათა შორის, დილექტანტურად უნდა აკეთოს; ამის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მაღარმე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა...); მაგრამ თავად ეს „პროფესია“ სავსეა გარედან შემოჭრილი, ხელოვნებას მიტმასნილი უცხო ადამიანებით, ისინი ექსპლუატაციას უწევენ ჰიბრიდად ქცეულ მლტიერ-ს და მისი განახლება, მისთვის ახალი აზრის მინიჭება (რის გარეშეც ეს ეფექტურობისკენ სწრაფვით გამსჭვალული მხილება აბსურდი იქნებოდა) მხოლოდ უშფოთველი მარტოსულების ხვედრია, იმ მარტოსულებისა, თავიანთ თავს ზემოხსენებულთა რიცხვს რომ არ მიაკუთვნებენ და ლიტერატორების მიერ აღიარებულსა და შემოღებულ არცერთ ადათ-წესს არ იცავენ. ასეთ ადამიანს მით უფრო დიდი წვლილის შეტანა შეუძლია აი, უკვე რა ხანია აუტანლად ქცეული ვითარების გამოსწორების საქმეში, რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი ღრმა მჭევრმეტყველების გვერდით გამეფებული შემოქმედებითი *დუმილი*. მაგალითისათვის პოლ ვალერი ავიღოთ, რომელიც ჩემი თაობის ფრანგებს შორის ჩემში ყველაზე დიდ აღტაცებასა და გაოცებას იწვევს; ჰოდა, მცირე მნიშვნელობისა როდი იყო ის ფაქტი, რომ ამ პოეტმა საკუთარ თავში გამოიხატა ძალა, თავის ადრინდელ პუბლიკაციებსა და შესანიშნავ ლექსებსა თუ ნაწარმოებებს შორის, რომლებითაც იგი 1919 წლიდან წარმოსდგა ჩვენს წინაშე, დაახლოებით ოცდახუთწლიანი დუმილის პერიოდი დაერთო. თუ არ ვცდები, იგი მათემატიკას შეისწავლიდა და ამ სფეროში იმდენად ფართო და ზუსტი ცოდნა ჰქონდა მიღებული, რომ სხვა ფრანგ მეცნიერებზე ადრე შეძლო გაეგო და ჩამოეყალიბებინა აინშტაინის მნიშვნელობა.

რასაც მალტე ლაურიდს ბრიგეს დროს ვფიქრობდი თეატრთან დაკავშირებით — სახელდობრ კი, რომ სჯობს მას რამდენიმე წლით ჩამოვკაფოთ ყველა ყლორტი და ნაყარი, რათა დედაფესვიდან უფრო დიდი და საჭირო ტოტები ამოიზარდოს — იმასვე ვფიქრობ ხელოვნების სხვა დარგებზე დღესაც; ისინი ბალახებად ამოიზარდ-

ნენ და, მე თუ მკითხავთ, ახლა მათ ჩვეულებრივი კი არა, მაკრატლ-ითა და ნიჩბით შეიარაღებული მკაცრი მებაღე სჭირდებათ!

ჩემი ზამთრის ნამუშევრებზე წინასწარ თუნდაც მცირეოდენი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, გიგზავნით (ჩემს საყვარელ) სონეტს, რომელიც არ არის დაკავშირებული ძირითად ნაწარმოებთან („დუინოურ ელეგიებთან“) და აღებულია, ეგრეთ წოდებული, „სონეტებიდან ორფევსისადმი“. ესაა ლექსების პატარა ციკლი, ჩაფიქრებული ერთი ახალგაზრდა ქალიშვილის სამარის ძეგლად.

*ყურადღებითა და სიმპათიით, ძვირფასო მეგობარო,
თქვენი რილკე*

რუდოლფ ბოდლენდერს

მიუზოს სასახლე,
1922 წლის 23 მარტი.

ახალგაზრდა მეგობარო, რა სიხარულით გაგცემდით მართლაც რომ კარგ პასუხს თქვენს ბოლო წერილზე, მაგრამ სიტყვებით ძალზე ძნელია ამგვარი რამის გამოხატვა. თქვენ, მე მგონი, სწორი გეზი აირჩიეთ, რაკილა ეს ბრძოლა თქვენეულად, თქვენს პირად ვალდებულებად ჩათვალეთ და მოისურვეთ, ბოლომდე ჩასწვდომოდით იმას, თუ რა ფიზიკური და სულიერი გარემოებები აღვივებს ამ კონფლიქტს და როდის მძაფრდება ის ყველაზე მეტად. თქვენ მიერ არჩეული პოზიცია ყველაზე უფრო ვაჟკაცური და საპასუხისმგებლოა, ოღონდაც ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დამძიმებული რაიმე წყენით თუ სამდურავით. გთხოვთ, ამისაგან განთავისუფლდეთ, ჩემო კარგო, რადგანაც ეს ძალზე მნიშვნელოვანია: იბრძოლეთ უბოროტოდ. დღეისათვის ჩვენს ქვეყნებში ეს პრობლემა ჯერაც არავის „გადაუჭრია“ (როგორც იტყვიან ხოლმე) —, თითოეულ ადამიანს რაღაც გამოუცნობი სწრაფვა აიძულებს, ამ ჭიდილში ესა თუ ის მხარე დაიჭიროს, — ყველაზე ნაკლებად კი ეს კონფლიქტი იმ თავმომწონე ბიურგერს აქვს „გადალახული“, ვინც მის მოსაგვარებლად უამრავი საეჭვო

გამოსავალი გამოიგონა. მის გვერდით თქვენნაირი ადამიანის ღრმა და მდუმარე გაოცება უსასრულოდ სუფთად და უმანკოდ გამოიყურება. — საერთოდ, გახსოვდეთ, რომ ამ საკითხებზე მსჯელობისას მთლიანად უმანკოების ნიადაგზე ვდგავართ. — ყოვლად შემამფოთებელია, რომ არ გაგვაჩნია ისეთი რელიგია, რომელიც შეგვაძლებინებდა, ღვთაებრივ სიმაღლეზე აგვეყვანა ეს ჩვენი ასე კონკრეტული და ხელშესახები (და, ამავე დროს, ასე გამოუთქმელი და მოუხელთებელი) გამოცდილებანი, — მიგვენდო ისინი იმ ფალოსური ღვთაების მფარველობისთვის, ალბათ უპირველესი რომ უნდა გახდეს იმ ახალი ღმერთების დასში, რომელიც კვლავ შემოაბიჯებს კაცობრიობის ცხოვრებაში ამდენი ხნის ჩაურევლობის შემდეგ. მაგრამ ვინ ან რა უნდა შეგვენიოს ახლა, როდესაც რელიგიას არ ძალუძს დაგვეხმაროს, — ის ამგვარ განცდებს ჩქმალავს, ნაცვლად იმისა, რომ ნათელი მოჰფინოს მათ, შემდეგ გაგვათავისუფლოს მათგან და, ბოლოს და ბოლოს, კვლავ დაგვიბრუნოს ბევრად უფრო გასხვიოსნებულ-ამაღლებული სახით, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდით. ამაში უსასრულოდ მიტოვებულნი და მოტყუებულნი აღმოვჩნდით, — სწორედ აქედან იღებს სათავეს ჩვენი უიღბლობა. ყოველ რელიგიას დროთა განმავლობაში თანდათან უმკრთალდება და უქრება ზედაპირი, იგი თავის გარშემო ასეთსავე ჩამქრალ სიბრტყეებს წარმოშობს, და, საბოლოოდ, გადაგვარებული, მორალის მკვდარ ფორმას იღებს. და ამიტომაც მოვლენა, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, — ყველა რელიგიის — და თითოეული ჩვენგანის — არსის ბირთვი და შუაგული, — მორალის გაყინულ სიბრტყეზე განიდევნება, რითაც გარდუვალად ექცევა პერიფერიაზე. მხოლოდ გვიანლა ჩავწვდებით იმას, რომ *სწორედ ამაში* უნდა ვეძიოთ თანამედროვეობის საბედისწერო შეცდომა: არა სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროში, არამედ იმაში, რომ სიყვარულის აქტს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მივანიჭეთ. ერთეული სალად მჭრეტელი მთელ თავის ძალას იმას ახარჯავს, *საკუთარი* არსის შუაგულში *მაინც* დააბრუნოს იგი (თუკი სამყაროს შუაგულიდან ამოვარდა, არადა აქ მისი დაბრუნების მყისიერი შედეგი ის იქნებოდა, რომ სამყარო კვლავ ღმერთებით განიმსჭვალებოდა და გაიფურჩქნებოდა!), — ხოლო ბეცი და უგუნური, პირიქით, ამა

თუ იმ სახით ტკბება ამ მეორეხარისხოვნად ქცეული, ყველასათვის ხელმისაწვდომი „სიამოვნებით“, ცდილობს (სრულიად გაუცნობიერებლად), ამ სფეროში თავისი სრული უმნიშვნელობის ჯავრი იმით ამოიყაროს, რომ ამ სიამოვნებას ეძიებს და იმავდროულად უკადრისობს კიდევ. მეორეხარისხოვან საკითხებში თავშეკავება დიდი ვერაფერი მიღწევაა, ამისათვის არც კი ღირს „ნებისყოფის“ დაძაბვა (ნებისყოფა, სხვათა შორის, ინსტინქტის დასაბამიერ უფლებამოსილებასთან შედარებით ჯერაც ნორჩი და ფაქიზი ძალაა). თავშეკავება სიყვარულში თუ სიყვარულის ასრულება *მხოლოდ* მაშინ იძენს თავის გასაოცარ, შეუდარებელ სიდიადეს, როდესაც მთელი სასიყვარულო განცდა, თავისი *ყველა*, ერთურთისაგან ოდნავგასარჩევი ნიუანსით (ისინი ერთურთს ისე ჩაენაცვლება, რომ სწორედ აქსულიერის სხეულებრივისაგან გამიჯნა სრულიად შეუძლებელი ხდება) ცენტრალურ ადგილს დაიკავებს. მაშინ ხომ თავშეკავებაც და ასრულებაც ერთი ხდება: და სწორედ ასეთია ზოგიერთი მეტრფის და ზოგიერთი წმინდანის ყოვლისნამღეკავი გრძნობა განურჩევლად დროისა თუ რელიგიისა. სადაც უღიადესი *მოლიანად* შემოდის ჩვენში (სულერთია, — პლიუს თუ მინუს ნიშნით), იქ ეს ნიშანი თავისთავად უქმდება, — ის ხომ ასე უმნიშვნელოა, ასე ადამიანური, — ისევე, როგორც მნიშვნელობას კარგავს უკვე განვლილი გზა და რჩება მხოლოდ მიღწეული მიზანი, *ყოფნა!* — აი, ეს არის, რაც ჯერჯერობით შეგვიძლია ვთქვათ ჩვენი უდიდესი უშინაგანესი საიდუმლოს შესახებ. — მე მგონი, თუკი ჩემს ნაწერს გულდასმით ნაიკითხავთ, მაშინ მთელი თქვენი ჭიდილი ახალ, ჯერარნახულ ეტაპზე გადაინაცვლებს (და მომავალში, როდესაც ვილაც შეგიყვარდებით, გადაიკითხეთ ეს წერილი *მასთან ერთად*, თუკი იმ დროისათვის უკვე ისე კარგად არ გექნათ გათავისებული მისი სათქმელი, რომ თავად შეძლოთ მისი ხელახლა გამოთქმა).

თუკი, აი, ამ შუაგულზე და „ყოფნისაკენ“ (ე. ი. სრული შინაგანი ინტენსივობის განცდისაკენ) აიღებთ გეზს, მაშინ თავისთავად ჩამოგიყალიბდებათ შესაძლო შემოქმედებითი იმპულსისადმი დამოკიდებულება. ყველაფრის დათრგუნვა და მიჩუმათება სრულებითაც არ არის საჭირო; თამამად შეგიძლიათ შემოქმედებითად წარმოაჩინოთ ის, რაც თქვენი სინდისის წინაშე, — თანდათან სულ უფრო მეტად რომ მოიკრებს ძალას, — თავს

გაიმართლებს და არსებობის უფლებას მოიპოვებს. შესაძლოა, ასეთი გზით დღიურის ფურცელი შეივსოს, ანდა წერილი დაიწეროს (სულერთია, გასაგზავნი თუ არგასაგზავნი), ანდა სულაც რაიმე ქმნილება დაიბადოს, თავისდაუნებურად რომ ჰპოვებს სამშობლოს სახვითი ხელოვნების სფეროში. ეკუთვნის თუ არა ესა თუ ის საგანი ამ სფეროს, — ამას მისი საჯაროდ გამომზეურებისა და მისთვის ქების დამსახურების უნია როდი განსაზღვრავს (მეორეხარისხოვნების დემონი აქაც ყოვლად თავგზისამბნევე ფანდებს გვიგებს...); საგნის ქცევა ხელოვნების ნიმუშად პირდაპირ კავშირშია მის სწრაფვასთან შორეულისაკენ, მის უნართან, ამაღლდეს ყოველდღიურობის საგნებსა თუ სიტყვებზე. ეს უნარი არსებითად მისეულია, ხოლო ამის მეორად შედეგად გვევლინება მოთხოვნილება იმისა, რომ წარმავალსა და, — ბანალურად რომ ვთქვათ, — პირადულზე აღმატებულ ამგვარ ფორმას შევუქმნათ დროში განგრძობისა და საჯაროდ წარმოჩენისათვის საჭირო პირობები. რაიმე „გავლენის“ მოხდენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ამ ჩვენს სამყაროსთან შერწყმაც კი შეუძლებელია ისეთი მოვლენისათვის, უფრო ფაქიზ და მაღალ სფეროს რომ ეკუთვნის. — რაც არ უნდა შექმნათ, რაც არ უნდა დანეროთ, აი, ასეთი განწყობით — სულერთია, ამ შემოქმედებას თქვენს მომავალ პროფესიას დაუკავშირებთ თუ, პირიქით, დაუპირისპირებთ, — ამგვარად დაბადებულ ყოველ სიტყვას არსებობის სრული უფლება აქვს და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინმე თუ წაიკითხვას მას მაშინვე: ის მაინც დაგეხმარებათ და, ადრე თუ გვიან, თავადვე დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს.

და კიდევ: თუკი თქვენში მართლაც მომნიჭდება შემოქმედება იმ მედგარი საძირკვლის ქვეშ, რომელზედაც თქვენი პროფესია გაიმყარებს თავს თქვენს ცხოვრებაში, — მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენი დროის ყველაზე მონესრიგებულმა და დახვეწილმა პოეტმა, სტიფან მალარმემ, შეძლო თავისი მოქალაქეობრივი ცხოვრება ინგლისური ენის მასწავლებლად გაეტარებინა...

და ამით, ჩემო კარგო, გისურვებთ, მომავლის იმედი და სიხარული არ მოგკლებოდეთ.

ილზე იარს

მიუზოს სასახლე, 22. 2. 1923.

ძვირფასო გოგონავ, შობის აქეთ უკვე მრავალმა მზის სხივმა და სანთლის შუქმა გაჭოლა შენი სათუთი ხელებით გამოჭრილი სილუეტი და მასზე აღბეჭდილი ფიგურები, — შენ, შენი მაღალი ბალახები, შენი მთვარე და შენი ვარსკვლავები, — კიდევ უფრო შემაყვარა და დამიახლობლა. ზოგჯერ, როცა სინათლეზე გავცქერი, ასე მგონია, მასში შენი ზრდის მწვანე სისხლი იძვრის, ნორჩო ყვავილო, შენი ყოველივეს მიმართ მინდობა, თვით ტკივილამდე, და შენი სიხარული ყველაფრის გამო, რაც ცოცხალია. ახლა, როგორც იქნა, გეუბნები, რომ ეს ყოველივე ფუჭად არ დაკარგულა, მიუხედავად იმისა, რომ ვდუმდი! ამ ზამთარს, ჩემი უსასრულო სიმარტოვისა და უგრძესი საღამოების მიუხედავად, ძალზე ცუდი კორესპონდენტი ვარ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩემი კალამი (ის ხომ, სამწუხაროდ, ერთი და იგივეა სამუშაოსთვისაც და ნერილობითი ურთიერთობისთვისაც!) წინა ზამთარს უსაშველო ამოცანის შესრულებით გადაიღალა და ახლა მხოლოდ რამდენიმე თარგმანისა და ყველაზე აუცილებელი მიმონერის ძალადა შერჩენია, მაგრამ ესეც ჩემი ბოლო დროს წარმოუდგენლად გაზრდილი კორესპონდენციის ფონზე, ცოტა არ არის.

მაგრამ მჯერა, გამიგებ, უღრმესად მგრძნობიარე სულს, თუკი გთხოვ, ჩემთან საუბარი (შინაგანად განცდილი თუ, დროდადრო, ქალაღზე გადატანილი) ჩემს აშკარა პასუხს არ დაუქვემდებარო; შენი შინაგანი მდგომარეობის მიხედვით არ გაგიჭირდება ჩემი საპასუხო გრძნობისა და სიტყვის ნვდომა მაშინაც კი, როდესაც მალევე — ან სულაც ძალზე დიდხანს — არ გპასუხობ.

შენ, შესაძლოა, იმდენად არც მიმართავდე მას, ვინც ამჟამად ვარ; იქნებ უფრო მას ესაუბრები და მასთან ერთად ხარობ, ვინც ოცი წლის წინათ ვიყავი, როდესაც ის წიგნები დავწერე, შენი ახლობელი, უშუალოდ შენეული რომ გახდა და პირველად რომ გაგიჭრა სხვა ადამიანისკენ, თანამოდმისაკენ გზა და კალაპოტი (...ადამიანურ ერთიანობასა და ძმურ სიახლოვესთან მისვლა მეც კარგა ხნით დავაგვიანე, და ახალგაზრდობაში, რუსეთში განცდილ-ნანახის გარეშე ეს ალბათ ასე წმინდა და სრუ-

ლყოფილი სახით არც მელირსებოდა, არადა, სწორედ ამგვარად უნდა შედგეს ეს შეხვედრა, რათა ყოველგვარი ზედმეტი მინარევის გარეშე სიცოცხლის ხიბლისა და მთლიანობის ნაწილად იქცე. დავიწყე *საგნებით*, ისინი ჩემი მარტოსული ბავშვობის ჭეშმარიტი მესაიდუმლენი იყვნენ და ის, რომ სრულიად დამოუკიდებლად ცხოველებთანაც შეეძელი გაშინაურება, უკვე ძალზე ბევრია... შემდეგ კი რუსეთი გადამეშალა, ადამიანებთან ძმურ განდობასა და ღვთის წყვდიადს მაზიარა, — ერთადერთ მშობელ წიაღს ამ განდობისა. ამიტომ მაშინ კიდევ ვამბობდი მის *სახელს*, მივმართავდი ღმერთს, რომელიც თავზე დამატყდა, და დიდხანს მისი სახელის წინკარში ვცხოვრობდი, დაჩოქილი... ახლა კი თითქმის ვერასოდეს გაიგონებ ჩემგან მისი სახელის ხსენებას, ჩვენს შორის აღუნერელმა კრძალვამ დაივანა: სადაც ერთ დროს სიახლოვე იყო და ურთიერთგაჭოლა, ახლა სრულებით ახალი სიშორეები და სივრცეები გაჭიმულა, როგორც ატომში, რომელსაც უახლესი მეცნიერება მცირედში ჩასმულ თავისთავად სამყაროდ მოიაზრებს. ხელშესახები ხელიდან გვეცლება, გარდაისახება, ნაცვლად ფლობისა, მიმართებას ვსწავლობთ, და ასე ჩნდება დიდი უსახელობა, რომელიც ღვთით უნდა დაიწყოს, რათა სრულყოფილი და გულწრფელი იყოს. გრძნობისმიერი განცდა უკან იხევს გრძნობადისაკენ უსასრულო სწრაფვის წინაშე... ღმერთი, უკვე დამოუთქმელი, თანდათან კარგავს მახასიათებელ თვისებებს, ისინი მისგან ქმნილებაზე გადადის, გადადის სიყვარულსა და სიკვდილზე... ის იქნებ კვლავაც მხოლოდ ისაა, რაც ზოგან ხდება „ჟამნი“-ში: ღმერთი აირივით ამოდის გულიდან, მთელ ზეცას ფარავს, რათა შემდეგ კვლავ წვიმად ჩამოვიდეს. მაგრამ ამის ნებისმიერი აღიარება თავისთავად უკვე გადამეტებაა. ქრისტიანული გამოცდილება სულ უფრო კარგავს მნიშვნელობას; უძველესი ღმერთი უსასრულოდ გადასწონის მას. საკუთარი ცოდვის განცდა და მისი გამოსყიდვის აუცილებლობა, როგორც ღმერთთან მისვლის ერთადერთი წინაპირობა, შეუსაბამობაში მოდის ჩვენს გულთან, რომელიც მინას ეზიარა. ახლა უკვე არა ცოდვა და გზააბნეულობა ამქვეყნიური არსებობაში, არამედ, პირიქით, წმინდა ბუნებრიობა განსაზღვრავს ჩვენს ცნობიერებას, ცოდვა ნამდვილად ყველაზე უფრო საოცარი შემოვლითი გზაა ღვთისაკენ, მაგრამ რად უნდა

დაადგნენ პილიგრიმოზის ამ გზაზე ისინი, ვისაც არასოდეს მიუტოვებია ღმერთი? შუამავლის მძლავრი მთრთოლავი ხიდი მხოლოდ იქ იძენს აზრს, სადაც ჩვენსა და ღმერთს შორის უფსკრული ჩნდება; მაგრამ სწორედ ეს უფსკრული სავსეა ღვთიური ნყვდიადით და, როცა კი ამას გადაეყრები, უნდა ჩახვიდე ამ უფსკრულში და იბღავლო მასში (ეს მის გადალახვაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია). მხოლოდ მას, ვისაც უფსკრულიც საცხოვრისად გაუხდია, შემოუბრუნდება აღთქმული ზეცა, და ყოველივე ღრმად და თბილად ამქვეყნიური, რასაც ეკლესიამ უღალატა იმქვეყნიურის სასარგებლოდ, კვლავ დაბრუნდება; ამიერიდან ყველა ანგელოზი მინას შეასხამს ხოტბას!

შენ მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ, ძვირფასო გოგონავ, რათა ამნუთში ჩასწვდე იმას, რასაც ვგულისხმობ; მაგრამ გამიგე, ერთი რამ ახლა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია: *სიზუსტე*. არ მსურს, შენმა მოსიყვარულე გულმა იქ მეძებოს, სადაც აღარ ვარ; ამის გამო როდი დამკარგავ, პირიქით, ჩემს ძველ გუნება-განწყობასთან შენი სიახლოვე მხოლოდ მაშინ გახდება სრულყოფილი, როცა გაიგებ, თუ რა სულში იშვა იგი. ეს საიდუმლოებანი იმაზე ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ახლა შეგიძლია წარმოიდგინო, მაგრამ შენ მათ შესახებ უკვე ძალზე ბევრი იცი, რაკილა მწერ, რომ შენს „საყვარელ მინაზე“ ყველაფერი მშვენიერია, ოღონაც „სხვადასხვანაირად მშვენიერი“. თან წაიყოლე ეს რაც შეიძლება შორს და ნურავის მისცემ უფლებას, შეგაშინოს და შეცდომაში შეგიყვანოს.

ახლა კი კეთილად მეყოლე.

რაინერ-მარია.

ნანი ფონ ეშერს

მიუზოს სასახლე, სიერ (ვალე),

22 დეკემბერი, 1923.

დიდად პატივცემულო ნანი ფონ ეშერ!

ვფიქრობდი, თქვენსკენ სავალი ყველა გზა მოჭრილი მქონდა და ისლა დამრჩენოდა, მომნანიებელი ცოდვილის ბილიკს დავდ-

გომოდი. მაგრამ ისიც ვიცოდი, ქალბატონი ვუნდერლი დრო-დადრო რომ შეგახსენებდათ ხოლმე ჩემს თავს, და თქვენ ჩემს სახელს უმადური ადამიანის სახელთან არ აიგივებდით. თუმცა ერთობ დიდბუნებოვანი კი ბრძანდებით და საშუალებას მაძლევთ, დავადგე თქვენსკენ მავალ დიდსა და ფართო გზას, მაგრამ მაინც გთხოვთ, მომიტევოთ ცოდვები, რადგან ჩემმა დუმილმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა; აქ არ მოვყვები ამ დუმილის მიზეზთა ახსნას და თავს არ შეგანყენთ მათი ჩამოთვლით; ზაფხულის დამდეგიდან თავს სულ უფრო და უფრო შეუძლოდ რომ ვგრძნობდი, ეს გახლდათ უმთავრესი მიზეზი იმ ჩემი მრავალი დაუდევარი საქციელისა, ოქტომბრის მინურულს მიუზოში დაბრუნების შემდგომ რომ შევიგრძენი მთელი სიცხადით... ახლახან დავბრუნდი ფორვალდშტეტის ტბაზე მკურნალობის შემდეგ; ეს მკურნალობა, კაცმა რომ თქვას, ასე თუ ისე მართობდა და ადგილზე მაკავებდა, რადგანაც სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი ვიყავი, თუ არ ჩავთვლით იმ კოკისპირულ წვიმებს, ესოდენ ჭარბად რომ სჩვევია თურმე იქაურ სანაპიროს. თუმცა, კმარა ამის თაობაზე. ერთი კია, არ შემიძლია და არც სურვილი მაქვს, შობას ისე შევხვდე, რომ ნელს გამოცემული ჩემი ორი წიგნი არ გისახსოვროთ; ესაა „ელეგიები“ და „სონეტები ორფევსისადმი“; ორივე ნამუშევარს ჩემს პირველ, ესე იგი შარშანდელ ზამთარს უნდა ვუმაღლოდე მიუზოში. ამასთან უნდა დავძინო, რომ დიდი ელეგიები უკვე 1912 წელს მქონდა დანყებული (დუინოში, ამჟამად დანგრეულ ციხე-კოშკში, ადრიატიკის სანაპიროზე); შემდეგში ამ ელეგიების წერა კარგა ხნით შემანყვეტინა ომმა და მუშაობის გაგრძელება თითქმის უკვე შეუძლებლად მეჩვენებოდა, რომ არა ჩემი მეგობრების დაუცხრომელი ზრუნვა; სწორედ ამის წყალობით მექცა შვეიცარია დიდებულ თავშესაფრად, სწორედ იქ მოვახერხე ყველა ჩემი სანუკვარი ჩანაფიქრის განხორციელება-გასრულება.

დიდად პატივცემულო ნანი ფონ ეშერ, თქვენს პიროვნებაში ამ მრავალფეროვანი ქვეყნის იმდენად ძველისძველსა და ჭეშმარიტ ნიშან-თვისებებს მოუყრიათ თავი, რომ უდიდეს სიამოვნებას ვიგრძნობ, თუ შევძლებ ჩემი წიგნებით დაგანახოთ, რისი გაკეთება შევძელი ამ სამართლიან მინაზე, ამ მიწისავე მადლითა და

წყალობით. დარწმუნებული ვარ, ამ ლექსებში ბევრი რამ იქნება თქვენთვის ძნელად გასაგები მათი აგებულებისა და შინაგანი კავშირის თვალსაზრისით, და არა იმიტომ, თითქოს ჩემს თავს სხვა დროების კაცად ვთვლიდე; თქვენ ხომ იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებით, მათზე ახალგაზრდა თაობასთან კავშირს რომ არ წყვეტენ (სიტყვამ მოიჭანა და მინდა მოგახსენოთ, რომ ნოემბრიდან უფლება მაქვს თავი პაპების თაობას მივაკუთვნო, ანუ ბიურგერთა ენაზე რომ ვთქვათ, „ბებრებს“ მივათვალო)...

მაგრამ ამ ლექსების ნაჯერობასა თუ შეკუმშულობაში (იმაში, თუ რა ხშირადაა მათში ჩამოთვლილი ლირიკული შედეგები, ნაცვლად იმისა, რომ ჩამომწკრივებული იყოს ის უამრავი დეტალი, რომელიც აუცილებელი იყო შედეგის მისაღწევად) ის კი არ არის არსებითი, რასაც „გაგებას“ ეძახიან, არამედ თანამოაზრის მიერ მათი შთაგონებული გააზრება.

ამ ლექსების შექმნა ორმა შინაგანად ღრმა განცდამ განაპირობა: ერთის მხრივ, ჩემს სულში სულ უფრო და უფრო ფესვგადგმულმა გადანყვეტილებამ, წარმომესახა სიცოცხლე არა ჩაკეტილ, არამედ განხმულ საუფლოდ სიკვდილის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, — შინაგანმა მოთხოვნილებამ, ამ გაფართოებულ მთლიანობაში სულ სხვაგვარად წარმომედგინა სიყვარულის ფერისცვალება, ვიდრე ეს ვინრო ცხოვრებისეულ წრებრუნვაშია ხოლმე შესაძლებელი (რომელიც სიკვდილს უცხო რამ სხეულის ვით უბრალოდ გამორიცხავს). აი, აქ უნდა ვეძიოთ ამ ლექსების, ასე ვთქვათ, „ქმედების არე“ და, ჩემის რწმენით, იგი დროდადრო წინა პლანზეც წამოიწევს ხოლმე მთელი თავისი ძალითა და უბრალოებით.

მაგრამ ეს რა ხდება? წერილის დასაწყისიდანვე ამა თუ იმ საბაბით ერთთავად საკუთარ თავზე ვლაპარაკობ! ამის უფლება კი, ჩემო ღრმად პატივცემულო ქალბატონო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მივეცი თავს, რომ ხანგრძლივი დუმისის შემდეგ თქვენთვის წვრილად მომეთხრო ჩემი ამბები. ახლა, როდესაც ეს ყველაფერი აღვასრულე, ალბათ დამიჯერებთ, თქვენს წინაშე განახლებული სახით მოვლინებულ პიროვნებას სულითა და გულით სწადია შეიტყოს, რომ მაგ თქვენი ალბისის ნაპირებზე კარგად და მშვიდად ატარებთ ჩუმი გარჯით აღსავსე დღეებსა და კვი-

რებს. რაკი თქვენს ახალგაზრდა კომპანიონ ქალს თავისი პირადი ცხოვრება მოუწყვია, ნეტავ ვინ გამოჩნდება მისი მაგიერი? ყოველ შემთხვევაში, ვინც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, მე მაინც მშურს მისი, რადგან იგი უფლებამოსილი იქნება სასიამოვნო უპირატესობით, ხმამალა გიკითხოთ წიგნები საღამოობით, როცა გარეთ არემარე თოვლით დაიფარება. არ მშორდება ფიქრი ბერგზე, რომელსაც ახალი მუდმივი პატრონები გამოსჩენია; ასე შევიტყვე, მათ იქ ყოფნაში გამოცოცხლდა და ერთობ ღირსეულადაც გამოიყურებაო.

*გისურვებთ ბედნიერ შობას,
ძველებურად თქვენი ერთგული რილკე*

ალფრედ შერს

მიუზოს სასახლე, სიერ (ვალე),
26 თებერვალი, 1924 წელი.

ღრმად პატივცემულო დოქტორო შერ,

რაკილა თავს კარგა ხანია შეუძლოდ ვგრძნობდი, იძულებული გავეხდი წამოვსულიყავი მიუზოდან; ამან იმდენად უკან დამნია მუშაობასა თუ მიწერ-მონერაში, რომ თქვენს საყვედურსაც ვიმსახურებ, რასაც ძალზე ვწუხვარ; თქვენი ყურადღებით აღსავსე წერილი 3 თებერვლითაა დათარიღებული! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ერთობ დავალებული ვარ თქვენი ჩემდამი კეთილგანწყობის გამო. პასუხის ასე დავვიანება იმიტომაც არ მეპატიება, რომ თქვენი წერილი შეიცავდა ორ კითხვას, რომლებზედაც უფრო დროულად მმართვედა გამოსხმაურება. იმ კითხვათაგან ერთ-ერთზე პასუხის გაცემა მოკლედ და მარტივად შეიძლება: „ახალი ლექსების“ ორივე ტომის („ახალი ლექსები“ და „ახალი ლექსების მეორე ნაწილი“) შემდეგ იმ ორ ახალ წიგნამდე, რომლებსაც თქვენც იცნობთ და მოიხსენიებთ, ჩემი ლექსები არ გამოსულა. ხოლო, რაც შეეხება მეორე კითხვას, თავად მოგეხსენებათ, რა მძიმე და მომაბეზრებელია ამ თემაზე პასუხის გაცემა, და წინასწარ უნდა ვალიარო, რომ ნამდვილად არ შემწვევს ამის უნარი; ჩემს

ყველაზე ადრეულ პერიოდში, ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ, ჯერ კიდევ შეიძლებოდა გველაპარაკა „გავლენებზე“, რომელთა დაკავშირებაც ადვილად მოხერხდებოდა გარკვეულ სახელებთან; ავიღოთ თუნდაც იაკობსენი; მარტო მისმა სახელმა მთელი ეპოქა შექმნა ჩემს ცხოვრებაში; იგი იყო „წელიწადის მეუფე“, მეუფე ჩემი ციურ-მიწიერი წელიწადისა. როდესაც ბანგზე ვფიქრობ (ნაცრისფერი და თეთრი სახლის ბანგზე), მინდა ხოლმე იგი პირველი სიდიდის ვარსკვლავს შევადარო, რომლის ამოსვლისა თუ მდებარეობის მიხედვით ერთი ხანობა გზის გაგნებას ვცდილობდი ჩემი ახალგაზრდობის წყევიადში (ეს ახალგაზრდობა სხვარიგად ბნელი და ბურუსით მოცული იყო, ვიდრე დღევანდელი თაობისა). იმ წლებში ლილიენკრონი მაოცებდა, დემელში კი სიმკაცრესა და მნიშვნელოვნებას ვხედავდი; ჰოფმანსტალის არსებობა იმის დადასტურება იყო, რომ შესაძლოა ყოვლად ხალასი, ჭეშმარიტი პოეტი დღესაც არსებობდეს, ხოლო შტიფან გეორგეს ქედუხრელ პიროვნებაში ადამიანი კვლავ აღმოჩენილ კანონს შეიცნობდა, რომელსაც ამიერიდან თავს ველარ დააღწევდა ვერავინ, ვინც კი სიტყვის მაგიასთან იყო წილნაყარი. ამ აგრერიგად დაღვინებულ დამოკიდებულებებს ზედ ემატებოდა რუსების გავლენაც, პირველ რიგში კი — ტურგენევისა. იაკობ ვასერმანმა პირველმა მიმითითა ამ ოსტატზე და თავადაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე თავისი პიროვნებითა და პირველი თვითმყოფადი ნამუშევრებით. გერჰარტ ჰაუპტმანთან პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა და იმ წლებში მისი „მიხაელ კრამერის“ აღმოჩენამ სიამაყის გრძნობით აღმავსო. ჯერ კიდევ რუსეთში ჩემი პირველი მოგზაურობისა (1899) და რუსული ენის დაუფლების წყალობით ძალზე სწრაფად, თითქმის დაუბრკოლებლად ვიგრძენი პუშკინისა და ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ფეტისა და სხვათა ხიბლი და განვიცადე მათი გავლენა... მაგრამ ამ გადამწყვეტი ურთიერთობების შემდეგ ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა და შემდგომი გავლენებისთვის თვალის მიდევნება უკვე აბსურდულად და შეუძლებლად მეჩვენება. მართლაცდა, ვინ მოთვლის მათ! ვის აღარ მოუხდენია ჩემზე გავლენა: ერთს — თავისი სრულქმნილებით, მეორეს იმით, რომ უმალ მაგებინებდა, როგორ უნდა გაკეთებულიყო საქმე უკეთ თუ სხვაგვარად; ერთის გავლენის ქვეშ ვექცეოდი, რადგან მას მაშინვე

ჩემიანად დავიგულებდი და საზომად გავიხდიდი ხოლმე, მეორე იმით ახდენდა ზემოქმედებას, რომ მტრულად გადმოდიოდა იერიშზე, ჩემთვის შეუცნობელი რჩებოდა და თითქმის აუტანლად მეჩვენებოდა; მერე და ცხოვრება! მოულოდნელად განხმული, მარად მჩქეფარე ცხოვრება რუსეთში ჩემს წინაშე ჯერ მხოლოდ სურათებიანი წიგნივით გადაიშალა, პარიზში გადასვლის შემდეგ კი (1902) ამ წიგნმა მთლიანად ჩამითრია; იმხანად ყველაფრის თანამონაწილე ვიყავი, სხვებთან ერთად განვიცდიდი ყველაფერს, თავს საფრთხეში ვიგდებდი, და აკი ცხოვრებაც მასაჩუქრებდა თავისი ნობათით! მერე და ხელოვნება... სხვადასხვა ხელოვნება! როდენთან ჩემი მდივნად მუშაობის ამბავი მხოლოდ ჯიუტი ლეგენდაა; ეს ლეგენდა კი იმის საფუძველზე შეიქმნა, რომ როდენს ხუთი თვის მანძილზე (!) კორესპონდენციის შედგენაში ვეხმარებოდი... აი, მისი *მონაფე* კი ჭეშმარიტად მეთქმის და გაცილებით ხანგრძლივად ვიყავი კიდევ, რადგან ყოველგვარი ხელოვნება არსებითად ერთსა და იმავე მოთხოვნას აყენებს, რომლის აღქმასაც ყველაზე წმინდა სახით ამ მძლეთამძლე დიდოსტატთან საუბრების წყალობით ვახერხებდი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ეს ბუმბერაზი ადამიანი აღსავსე იყო ცხოველმყოფელი გამოცდილებით. საკუთარ ხელობაში კი ამხანაგად დიდი და სახელმწიფო ვეჭილი ემილ ვერჰარნი მყავდა, რომელიც თავისი პირქუში დიდებულების მიუხედავად, საოცრად ადამიანური პოეტი იყო; ხოლო ყველაზე დიდ ნიმუშად, 1906 წლიდან მოყოლებული, ერთი მხატვრის შემოქმედება მესახებოდა; ეს პოლ სეზანი გახლავთ, რომლის გზასაც უკვე დიდოსტატის სიკვდილის შემდეგ კვალდაკვალ მივუყვებოდი.

მაგრამ მაინც ხშირად ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს, ხომ არ მოუხდენია ჩემს განვითარებასა და შემოქმედებაზე ყველაზე დიდი გავლენა თითქოსდა შეუმჩნეველ ამბებს, ძალთან მეგობრობა იქნება ეს თუ რომში გატარებული საათები, როდესაც თვალყურს ვადევნებდი მებაგირის საქმიანობას, ვინც სამყაროს უძველეს მოძრაობებს იმეორებდა... ზუსტად ასევე იქცეოდა ნილოსისპირა პანია სოფელში მცხოვრები მეთუნეც, იგი თავის დაზგასთან იდგა და შრომობდა, რისი ხილვაც ენით აუნერეღ, იდუმალებით აღსავსე გუნება-განწყობაზე მაყენებდა და ერ-

თობ ნაყოფიერი იყო ჩემთვის. ასე იყო მაშინაც, როდესაც ბედმა გამიღიმა და უცნობ მწყემსთან ერთად მოვიარე ბოს მიდამოები, ხოლო ტოლედოში ყოფნისას შესაძლებლობა მომეცა რამდენიმე ესპანელ მეგობართან და მათ თანამგზავრ ქალებთან ერთად პატარა, ღარიბულ ეკლესიაში უძველესი ნოვენი მომესმინა. მე-17 საუკუნეში, როდესაც ამ ადათ-წესს სდევნიდნენ, იგი ერთხელ ანგელოზებს შეუსრულებიათ ამ ეკლესიაში... ანდა თუნდაც ისეთი შეუდარებელი მოვლენა ავილოთ, როგორც ვენეციაა; იგი იმდენად ახლობლად მიმაჩნია, რომ უცხოელ სტუმარს თავისუფლად შეეძლო მოემართა ჩემთვის, თუკი რამ აინტერესებდა მისი არხების ლაბირინთებთან დაკავშირებით და ჩემგან ყოველთვის მიიღებდა საჭირო პასუხს... განა ეს ყველაფერი ასე არ არის? გავლენები, რა თქმა უნდა, იყო და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯერ არ დამისახელებია: ეს გახლდათ ჩემი მარტოდ ყოფნის შესაძლებლობა მრავალ ქვეყანაში, ქალაქსა თუ სოფელში, სადაც შემეძლო მთელი არსებით მორჩილად მიმეყურადებინა ყველაფრისათვის, რაც კი რამ ახალი იყო ჩემთვის, ჯერ თვინიერად მივნივლოდი, შემდეგ კი კვლავ განვდგომოდი მას.

დიახ, თვით ასეთი უბრალო ცხოვრებისეული ამბებიც კი წიგნებზე არანაკლებ გავლენას ახდენს ხოლმე ჩვენზე. ამ წიგნებიდან რაც კი რამ სიმძიმე დაილექება ჩვენს არსებაში, შეიძლება ადვილად განონასწორდეს ქალთან შეხვედრით, წელიწადის დროის მონაცვლეობით, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ ატმოსფერული წნევის ცვლილებით. ეს გავლენა შეიძლება იმანაც გამოიწვიოს, რომ უჩვეულო დილას ანაზღად სრულიად „სხვაგვარი“ შუადღე მოჰყვეს; ამის მიზეზი კიდევ სხვა მრავალი ამბავი შეიძლება იყოს, ჩვენს გარშემო სულ ერთთავად რომ ხდება.

რა თქმა უნდა, შესაძლებელი და მართებულიცაა „გავლენებზე“ ლაპარაკი, და პასუხს ზოგჯერ მოულოდნელ აღმოჩენებამდე მივყავართ; ამასთან, როგორც არ უნდა იყოს ეს პასუხი, იგი უმალ იმ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს, რომელმაც წამოჭრა, და გარკვეულწილად ხელახლა უნდა განზავდეს მასში. მეც შევეცადე ამ მდგომარეობაში ჩამეყენებინა თავი, რომ საერთოდ შემძლებოდა თქვენთვის პასუხის გაცემა და ასეთი „ხსნარის“ მომზადება.

ბატონო დოქტორო, ვისურვებდი, იგი თქვენს სინჯარაში მეტისმეტად განზავებული არ მოგჩვენებოდეთ და მასში ზოგიერთი სხვა ისეთი თვისებაც აღმოგეჩინოთ, რომელთა გულისთვისაც ღირდა თქვენი გამოკვლევებისა და დაკვირვებების ჩატარება.

*დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს
უსაზღვრო ერთგულებაში,
რაინერ მარია რილკე.*

ჰერმან პონგსს

17 აგვისტო, 1924.

დიდად პატივცემულო ბატონო დოქტორო პონგს!

გუშინ, სალამოს ფოსტაში თქვენი წერილი რომ შევიცანი, ერთი გაფრთხილება მომაგონდა (და, სხვათა შორის, ზედმიწევნით მართებულიც!), ოღონდ ამჯერად ეს გაფრთხილება გონივრული უარყოფის ფორმით ჩამოგიყალიბებიათ და ამის წყალობით ისეთი მიმზიდველი გაგიხდიათ, რომ სხვა გზა არ მქონდა, უეჭველად თქვენს ამასწინანდელ წერილს უნდა მივბრუნებოდი. მაინც რა უხერხულობას ქმნის სულიერების სფეროში მანძილი: იქნებ იმ დროს, როცა ამ წერილს მწერდით, მე იმ წერილს ჩავცქეროდი და მას შემდეგ იგი ჩემი დავალიანებების ერთ-ერთ დასტას ედო ზემოდან (ბარემ აქვე გავიმართლებ თავს: შვიდ კვირაზე მეტხანს ვიყავი სახლიდან წასული და ამ არდადეგების პერიოდში თავს ძალას ვატანდი, საწერ-კალამს არ გავკარებოდი. ამან კი, ბუნებრივია, თავისი ახლა მაზღვევინა).

ახლა კი ამასწინანდელ წერილსა და მის კითხვებს მივუბრუნდეთ. რამდენჯერაც კი მოვკიდე იმ წერილს ხელი, აი, თუნდაც ამ სამი დღის წინათაც, იმდენჯერვე ერთნაირი, აშკარა სინანულის გრძნობა დამეუფლა, რა ცუდია, წერილებით ეს შემანუხებელი გასაუბრება რამდენიმესაათიანი ცოცხალი საუბრით რომ ვერ შეგვიცვლია-მეთქი. განა იმიტომ, რომ მეზარება თქვენთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა, არა, უბრალოდ, თქვენს მიერ თავმოყრილი ცნობები

შიგადაშიგ ჩართული და შორს გამტყუებელი კონტრ-კითხვების მომხიბლაობას ვერ გაუძლებდნენ და დაიფანტებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ჩემს ცუდ მეხსიერებას მივიღებთ მხედველობაში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ასე უსაშველოდ ცუდიც არ იქნებოდა, საქმე, ასე თუ ისე, მეხსიერებიდან ძალით განდევნილ წლებს რომ არ ეხებოდეს; რაკი იმ წლების გახსენებაც კი აღარ მინდა, თავისთავად ცხადია, ვერც რაიმე გარკვეული აზრი ჩამომიყალიბდებოდა მათზე.

რა თქმა უნდა, თქვენდამი მადლიერების გრძნობით ვივსები, ჩემგან ბიოგრაფიულ მონაცემებს რომ არ მოეღივებოდა, მაგრამ რამდენიმე ამდაგვარი ცნობა მაინც უნდა მოგაწოდოთ, რათა თქვენთვის გასაგები გახდეს საკუთარი ადრეული ნამოღვაწის სადმი ჩემი ანტიპათია. ის ხანა, თქვენ რომ გაქვთ მხედველობაში, უშუალოდ მოჰყვა იმ წლებს, რომელთაც არც მეგონა, თუ გადავიტანდი. ჩვიდმეტი წლისა, წარმოუდგენელიც კია, იმდენად მოუშზადებელი ვიყავი იმ ცხოვრებისა და შრომისათვის, რომლის განხორციელებასაც ვაპირებდი: ხუთწლიანი სწავლა-განათლება სამხედრო სკოლაში, ჩემი ხასიათისა და ჯანმრთელობის წყალობით, ისე აშკარად აბსურდული გახდა, რომ უეჭველად კრახით უნდა დამთავრებულიყო. მისმა მომდევნო ერთმა წელიწადმაც გულისტკივილსა და უსასოობაში ჩაიარა. არც სამხედრო რეალურ სასწავლებელს და შემდეგ არც მორავიის უმაღლეს რეალურ სასწავლებელს ჩემთვის ისეთი არა მოუტანია რა, ჩემს ნიჭსა და უნარს რომ წაადგებოდა, თუმცა ორივე ამ სასწავლებელს სპეციალისტთა წრეში კარგი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. იქაურმა ვითარებამ ჩემს ჯანმრთელობას ისეთი ზიანი მიაყენა, რომ ბოლო წელიწად-ნახევარში იმ ცალმხრივ და წყალწყალა სწავლა-განათლებასაც ვერ ავუწყვე ფეხი, რომელსაც იქ იძლეოდნენ. გარდა ამისა, იმ მკაცრ აღმზრდელობით დანესებულებაში ისეთ სრულყოფამდე იყო მიყვანილი ბიჭების არტახებში გაკოჭვის საქმე, რომ მე არც იმ ნიგნებს ვიცნობდი, ჩემს ასაკს საზრდოდ რომ შეეფერებოდა და არც ცხოვრების დასაწყისისათვის აუცილებელი ელემენტარული სინამდვილისა გამეგებოდა რამე. შინ, პრაქტიკაში დაბრუნება თავდაპირველად უსაზღვრო, იმედით აღსავსე გათავისუფლებად მესახებოდა, სინამდვილეში ამას უსასოობისა

და დაბნეულობის მეტი არა მოჰყოლია რა, და დაბნეულობა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო აშკარად ირკვეოდა, რისკენაც მიმინევდა გული. მამაჩემს ჩემდამი მთელი თავისი დიდი სიყვარულის მოხმობა დასჭირდა იმის ასალიარებლად, რომ ოფიცრობა ჩემთვის ყველაზე უფრო შესაფერი ხელობა არ უნდა ყოფილიყო. ან კი როგორ გინდოდა მამაჩემს ისეთი საქმიანობა მოენონებინა, მისი გაგებით ყოველგვარ პროფესიას რომ უპირისპირდებოდა. ასე იყო თუ ისე, საქმის კარგა ხნის გაჭიანურების შემდეგ, მაინც გადაწყდა, გიმნაზიის კურსი დაჩქარებული ტემპით გამეველო; აბა ათი წლის ბავშვებთან ხომ არ დამსვამდნენ დაწყებით კლასში, საიდანაც, ფაქტიურად, სწავლა უნდა დამეწყოს. ერთი სიტყვით, მომენიჭა კერძოდ მეცადინეობის უფლება და ამან ჩემისთანა სწავლას მონყურებულ კაცს იმდენი შემაძლებინა, რომ გიმნაზიის ექვსი კლასის პროგრამა ერთ წელიწადში გავიარე, დანარჩენ ორ კლასს კი (რომელიც ჯილდოს სახით, ასევე კერძოდ დამამთავრებინეს) უფრო წელი ტემპი ხვდა წილად. საბოლოოდ სახელმწიფო გიმნაზიაში ჩავაბარე გამოცდები სიმწიფის ატესტატზე და იმაზე არცთუ დიდი დაგვიანებით, ვიდრე ნორმალურად სწავლის პირობებში მოვახერხებდი.

აი, ეს ნაირ-ნაირი საქმიანობით გადატვირთული წლები იყო ამავე დროს ჩემი ადრეული შემოქმედების წლები და ხშირად, ყოველგვარი მოვალეობისა და საზრუნავის მიუხედავად, საკმაოდ მჩქეფარე და ნაყოფიერიც; დიახ, ჩემი ადრეული პუბლიკაციებიც, ყველა ის ლიტერატურული ცდა და იმპროვიზაცია იმ დროს განეკუთვნება, რომელთა მისამართით, ხანმა რომ განვლო, მხოლოდ ერთი რამ მინატრია, ნეტავ დაფიქრებულიყავი და ისინი ჩემი სასკოლო მერხის უჯრაში შემენახა-მეთქი. მათ რომ მაინც იხილეს დღის სინათლე, უფრო სწორად, მათ გამოსამზეურებლად ყველაფერი რომ ვილონე, ამას იგივე მიზეზი აქვს, რა მიზეზითაც დღეს ისინი სრულიად შეუფერებელი მეჩვენება ჩემს შემდგომდროინდელ მიღწევათა დასაწყისად. თუკი საიმისო უგუნურება მეყო, რომ იმ უმნიშვნელო რალაც-რალაცების გათამაშება მოვინდომე, ეს დაუძლეველმა სურვილმა ჩამადენინა — მინდოდა ჩემი მოწინააღმდეგე სამყაროსათვის მეჩვენებინა, რომ ამგვარი საქმიანობის უფლება მქონდა, უფრო სწორად,

უფლებას ვიჩემებდი, თუკი ეს ლიტერატურული ცდები ოდესღაც გამოქვეყნდა, სხვა დანარჩენიც ასევე თავს გამოიჩენს-მეთქი. ისე კი, ყველაზე უფრო ერთი იმედი მასულდგმულეობდა. საზოგადოებაში მეპოვა ხალხი, ვინც დამეხმარებოდა, ჩავრთულიყავი იმ ინტელექტუალურ მდინარებაში, რომლისგანაც პრალაში, სიმართლე თუ გნებავთ, თავს თითქმის გარიყულად ვგრძნობდი. ეს გახლავთ ერთადერთი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, როცა სამუშაოს ნიაღში კი არ ვიღვწოდი, არამედ აღიარების საეჭვო ყლორტებს ვეპოტინებოდი. სამაგიეროდ, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ამასვე უნდა ვუმაღლოდე, რომ სულ მალე, პირველად ვიგრძენი თუ არა ღონივრად (დაახლოებით ერთი წლით ადრე რუსეთში პირველ მოგზაურობამდე) ჩემს ჭეშმარიტ სტიქიაში თავი, შემრცხვა იმ პერიოდისა და უარვყავი იგი, თუმცა მისი მტკვერი ჩემს წიგნებს ჯერ კიდევ ედო. ამასთან, მე დავგმე მხოლოდ ჩემი საკუთარი პოზიცია და არ დამვიწყნია ის შემწეობა, რაც სხვებისგან მხვდა წილად. პრალელებიდან ჩემი მისწრაფებანი შენიშნეს ალფრედ კლაარმა, ფრიდრიჰ ადლერმა, უფრო ახალგაზრდებიდან ჰუგო ზალუსმა და მხატვარმა ორლიკმა, ხოლო აუგუსტ ზაუერმა ზომაზე მეტი ყურადღებაც კი მიაქცია ჩემს ადრეულ ლიტერატურულ ცდებს, რისი ღირსიც ისინი ნამდვილად არ იყვნენ. ყველაზე ღონიერი ხელი კი, რომელსაც შემეძლო ჩავეჭიდებოდი, ჩრდილოეთიდან გამომიწოდეს და, ჩემდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იმ ხელს მეც მტკიცედ ჩავეჭიდე და აღარც გამიშვია. ვერასოდეს დავივიწყებ, რომ ეს გახლდათ დეტლევ ფონ ლილიენკრონი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შემაგულიანა უზარმაზარ საქმეს შეეჭიდებოდი, და როცა იგი თავის გულითად წერილებს ასეთ დიდსულოვან მიმართვას ნაუმიძღვარებდა ხოლმე, „ჩემო დიდებულო რენე მარია“, ასე მეგონა (და თავსაც არ ვიზოგავდი, რომ ეს რწმენა ჩემი ოჯახისთვისაც შთამებერა), ამ სტრიქონში უთამამესი მომავლისკენ მიმითითებდნენ. სხვათა შორის, ლილიენკრონის შემოქმედების პოეტურ ზეგავლენას ჩემშიც ღრმად უნდა ჰქონდეს ფესვი გადგმული. ერთი მხრივ მან, მეორე მხრივ კი — იაკობსენმა, ჩემი უმნიფრობისა და გარიყულობის პერიოდში პირველად გამანდეს, როგორ შეიძლებოდა ჩვეულებრივი საგნები შორს გამიზნული ნახტომისათვის გამო-

გეყენებინა და უახლოეს გარემოს გაშორებოდნი; და რა დაძაბვის ფასად გიჯდებოდა იმ საოცარი თვითშეგნების განცდასთან ზიარება, როცა უალრესად წელმოუმაგრებელი საკუთარი „მე“ ისეთ ღირებულებას იძენდა, რომელიც უფრო გადამწყვეტი ჩანდა, ვიდრე ყველა სხვა შესაძლო აღიარება.

რაც შეეხება ი. ა. იაკობსენს, მერეც, მრავალი წლის განმავლობაში, იმდენი ენით აუნერელი განცდა მაკავშირებდა მასთან, რომ ჩემს ძალას აღემატება, გამონაგონის გარეშე გაიმბოთ, იმ ადრეულ წლებში იგი ჩემთვის რასაც ნიშნავდა. მერეც, დიდხანს, პარიზულ პერიოდშიც, იგი ჩემს გულსა და გონებას არ მოსცილებია. ცოცხალი რომ აღარ იყო, ეს ზოგჯერ აუტანელ დანაკლისად მეჩვენებოდა, მაგრამ სწორედ ყოველად უცნაურმა მოთხოვნილებამ, მაინც გავცნობოდი მას, ჩემში ნაადრევად ჩამოაყალიბა განსვენებულისადმი თავისუფალი და გულლია დამოკიდებულება, პოზიცია, რომელიც შემდეგ სწორედ მის სამშობლოში და შვეციაშიც განსაცვიფრებლად განმტკიცდა.

აქ, მაგალითად, არის ადგილები, სადაც, ძვირფასო ბატონო პონგს, თქვენი კონტრკითხვები მაკლია, რათა თქვენთან ერთად გავუყვე უფრო ვინრო, თითქმის გაუკვალავ გზებს. ამიტომ, მოდით, უბრალო და გასაგებ ამბებს ნუ დავცილდებით: მე იაკობსენი („ნილს ლიუნე“ და მისი ექვსი ნოველა) პირველად მარია ფონ ბორხის უძველესი, სიმპათიური სარეკლამო თარგმანით გავიცანი, რომელსაც მას მერეც სიამოვნებით ვკითხულობდი, როცა ავად თუ კარგად შეეძელი დანიური ტექსტების დაძლევა.

სხვათა შორის, იაკობ ვასერმანს ვთვლი იმ კაცად, ვინც პირველმა თითქმის მკაცრად მიმიტითა ამ ნიგნებზე (და ტურგენეზზეც); იმ ლირიკულ მიახლოებითობა-უზუსტობას, სადაც მე დავბორილობდი, მოთმინებიდან გამოჰყავდა ეს მუშაკობა-ნამუშაკევის შეფასებასა და ათვისებაში განაფული კაცი, და აი, ერთ მშვენიერ დღეს მან მიუნჰენში საშინაო დავალებასავით მომაჩეჩა ის ნაწარმოებები, ცოტა ხნის წინ თვითონ რომ იყენებდა სახელმძღვანელოდ. მე რომ ჩემის მხრივ უნარი არ გამაჩნდა, ასე ხელმისაწვდომი ნიგნები მეშოვა, კითხვაში ჩემს უსაშველო უმწეობას მაგონებს; სენის სანაპიროზე ჩარიგებული იმ ცნობილი ნიგნების

სკივრების გარეშე, ადამიანს ყველა დროის წიგნებს ცხოვრების გზაზე რომ გამოუმწკრივებს ხოლმე, აბა, რას მივალწევდი.

იმ მიუწუნურ ადრეულ პერიოდსაც, კითხვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული არაფერი შეუძენია ჩემთვის; „ხელოვნების ფურცლები“, მაგალითად, ჩემთვის მაშინაც მიუწვდომელი და უცნობი რჩებოდა. ასე რომ, ჰოფმანსტალისა ბევრი არაფერი მექნება წაკითხული, ხოლო იმ მცირესაგან აღძრული ხიბლი, რისი ათვისებაც შევძელი, ცხადია, მისი საკადრისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. შტეფან გეორგეს ნაწერებიდან „სულის წელიწადი“ თავიდანვე მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ შევიგრძენი მისი სიდიადე, როცა პოეტს ლეპსიუსის წრეში მოვუსმინე და მის მომწოდებელ ლექსებს გავეცანი.

საერთოდ, როცა „გავლენებზე“ ვფიქრობ ხოლმე, მიძნელდება ყველას გახსენება; თქვენ იაკობოვსკის მისახელებთ; ბალტიელი რაინჰოლდ მაურის ფონ შტერნი და ბევრი მავანი და მავანი, იმ პატარ-პატარა ჟურნალებში რომ იბეჭდებოდნენ, რომელთაც ვკითხულობდით და ვენაფებოდით, ასევე თამამად შეიძლებოდა აქ დაგვესახელებინა. ვილჰელმ ფონ შოლცისა და ე. ფონ ბოდმანის კარგა ხნის პარალელურ გარჯას ხან სამაგალითო, ხან კი ამხანაგური მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, მაგრამ ამ დროს, ორი წლით ადრე, სანამ მე თვითონ ვიმოგზაურებდი იქ, რუსეთი შემოიჭრა ჩემს არსებაში ჩემი ერთი ახლობელი ადამიანის მეშვეობით, რომელსაც ეს ყველაფერი სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჟღადარი, და ამით, როგორც თქვენ სწორად გამოიცანით, მომზადდა ჩემსავე საკუთარ მე-ში ჩემი შემობრუნება.

„კორნეტი“ გახლდათ მოულოდნელი საჩუქარი ერთადერთი ლამისა, ერთი შემოდგომის ლამისა; იგი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი ლამის ნიავეზე მოპარპალე ორი სანთლის შუქზე; მისი დაწერის საბაბად იქცა ღრუბლების გადავლა მთვარეზე, მანამდე კი ორიოდე კვირით ადრე მემკვიდრეობით ხელში ჩამივარდა საოჯახო საბუთები, სადაც ვიპოვე მასალა და მისი შექმნის იდეაც ჩამესახა.

სიმღერები „ანგელოზებზე“, „გოგონათა სიმღერები“ ტოსკანური წარმომავლობისაა, მათი შექმნის იდეა ფლორენციასა

და ლიგურიის ზღვის სანაპიროზე დამებადა; ზოგიერთი მათგანი ალბათ იქ არის კიდევ დანერილი, ვიარეჯოში, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ „ჟამნის“ ერთი ნაწილიც დაიწერა. იმ რელიგიურ წინაპირობებზე თუ ვილაპარაკებთ, საიდანაც ის სიმღერები აღმოცენდა, უკან ღრმად დახევა დაგვეჭირდება, რადგან ჩემი კათოლიკურად გამძაფრებული ფანატიზმის კულმინაციური წერტილი სამხედრო სკოლაში, იმ სასტიკი მონაფეობის წლებშია საძიებელი, რომელმაც მე, ხუთას ბიჭს შორის მოხვედრილს, ჩემი ასაკისათვის მეტისმეტად დიდი გამოცდილება შემძინა მარტოსულობისა. იმ წლების ჩავლისთანავე, ან იქნებ იმ წლებშიც, დაიწყო ის თვითნებური მიმართება ღმერთთან, ვერც ერთი სარწმუნოების სახელს რომ ვერ დავარქმევდით.

კმარა: თქვენს ამისწინა წერილს აქვე დავურთავ, რათა ჩემი საეგებო პასუხების გვერდით საკუთარი კითხვებიც ისევ ხელთ გქონდეთ. საკუთარ თავს არ ვუმაღავ, ჩემი მოწოდებული ცნობები რომ ნაკლოვანია, მაგრამ ამჯერად ჩემს დასაქმებას ნულარ შეეცდებით, იქნებ სხვა დროს უფრო შევძლო შედარებით დანვრილებითი პასუხების მოცემა. საამისოდ რაღაც ანკეტიზმაგვარს შემოგთავაზებდით, სადაც ადგილს დამიტოვებდით და შევძლებდი პასუხები უშუალოდ თქვენი შეკითხვების გასწვრივ ჩამეწერა. ამ ცოტა ხნის წინათ მე და ჩემმა პოლონელმა მთარგმნელმა ვცადეთ და ეს მეთოდი ნაყოფიერი და მარჯვე გამოდგა. ეტყობა, მსგავს შემთხვევაში, ამგვარი ანკეტა მისაღები უნდა იყოს.

ნება მიბოძეთ, დასასრულ, ერთხელ კიდევ დაგარწმუნოთ, რომ თქვენი შეხედულებებისა თუ ცალკეული ვარაუდების გაგება არ გამჭირვებია. მე არასდროს ვკითხულობ, რა ქვეყნდება ჩემს ნაწარმოებებზე, მაგრამ თუკი რომელიმე წერილში ისეთი ღრმა და სანდო შეხედულებებია გამოთქმული, როგორც თქვენ გამაცანით, მაშინ თითქმის სანანებლად მქონია საქმე, ჩემს თავს (ჩვეულებრივ საჭირო) შეზღუდვა რომ დავუნესე. გულწრფელად მაღლობელი ვარ ჩემდამი გამოჩენილი ასეთი ყურადღებისათვის.

თქვენი ერთგული რ. მ. რილკე

ჰერმან პონგსს

შვეიცარია, 21 ოქტომბერი, 1924.

მე წილად მხვდა ბედნიერება, როდენს იმ წლებში შევხვედროდი, როცა შინაგანად იმდენად ვიყავი მომნიფებული, რომ ჩემი საკუთარი მსჯავრის გამოტანა შემეძლო და, მეორეს მხრივ, მასაც დაუდგა ის მომენტი, როცა შეეძლო თავისი შემოქმედებითი გამოცდილება ყოველგვარ აღსაქმელ საგანზე მისებურად თავისუფლად განევერცო. აქ ტოლსტოისთან შემჩნეული თავისებურების საპირისპირო რამ ხდებოდა: კაცი, რომელმაც თავისი შემოქმედებითი გენიალობით ნაკისრი შინაგანი ამოცანა, უსასრულო ღვთაებრივი თამაში სავსებით და თან საქმით დაადასტურა, იქ შეთვისებული წვდომის წყალობით იმაზე მეტს დაეუფლა, ვიდრე მხოლოდ მისი ხელოვნებაა. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი, რასაც იგი ვერ მოიხელთებდა, რადგან ხელები შრომაში ჰქონდა ჩაბმული — მოგვიანებით თვითონვე, საკუთარი ნება-სურვილით ეძღვნებოდა ხოლმე ხელოვანს... და ეს შეიძლება არა მარტო დიდ სიმძლევებს შეჭიდებულ ხელოვანს მოუხდეს, არამედ უბრალო ხელოსანსაც, თუკი იგი ერთხელ მაინც გაუგებს თავის ხელობას გემოს: საკუთარი, განუმეორებელი შრომის წიაღში მიღწეული ინტენსიობა თავისთავად შესძენს მას (ასე ვთქვათ, მექანიკურად) ყველაფერს — ამჟამად არსებულსა და ყოფილს, რაც კი ინტენსიობის იმავე ხარისხს შეესაბამება. აქედან მოდის ხელოსანთა გასაოცარი სიბრძნე (რომელიც თანდათან იკარგება), აქედან მოდის მწყემსების ხასიათში საოცარი სულიერი სიხალვათე...

ახლა კი (არც ისე შორსა ვართ ამისგან) ერთი ძნელი რამ ვცადოთ, გავერკვეთ თქვენს უცნაურ მსჯელობაში „მიდერისა“ და „ლარიბის“ გამო. თქვენს წერილში ხმარებული გამოთქმები კარგად არ მესმის, რაც იქნებ იმის ბრალიცაა, რომ მათ ამოსავალ წერტილს ვერ მივაგენი და იძულებული ვარ, თქვენს აზრებს შუა გზაში შემოვუერთდე, ისე, რომ არც ვიცოდე, საიდან შეიძლება იღებდნენ ისინი სათავეს. თუკი ის — როგორც გარედან ჩანს — „სოციალურის“ ცნებიდან მომდინარეობს, მაშინ ახლავე დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ უსამართლობა იქნებოდა,

ჩემი რომელიმე მიზანსწრაფვა ამ რუბრიკაში მოგვეთავსებინა. ადამიანთა თანამოაზრეობისა და ძმობის ცნება ჩემთვის მართლაც რომ უნებლიეა, მაგრამ, ეტყობა, იგი ჩემს არსებაში მაინც იყო ჩაბუდებული, თორემ რუსული მაგალითის ზეგავლენით ამ თვისების გამომჟღავნების სურვილი ასე ღრმად და მთელი არსებით არ შემიპყრობდა. ოღონდ, რაც ამ ხალისიან და ბუნებრივ გრძნობას სოციალურის ცნების დღევანდელი გაგებისაგან განსხვავებს, ეს არის ჩემი სრული უხალისობა, რომ ვინმეს ყოფა შევცვალო, ან, როგორც იტყვიან ხოლმე, გავაუმჯობესო. ამქვეყნად არავის ყოფა არაა ისეთი, მის სულს ასე თუ ისე რომ არ ესადაგებოდეს... ერთი რამ უნდა ვაღიარო: ასე მგონია, სადაც კი იძულებული გავმხდარვარ, სხვის ბედ-იღბალში ჩავრეულებიყავი, ყოველთვის ერთი რამ გამომდგარა უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი: დათრგუნულს დაეხმარო, შეიცნოს საკუთარი გაჭირვების თავისებური და განსაკუთრებული ბუნება, რაც იმდენად ნუგეში კი არაა, რამდენადაც ერთგვარი (უმალ უხილავი) გამდიდრება გახლავთ. მე მგონი, უწესრიგობის მეტს ვერაფერს დავნერგავთ, თუკი საყოველთაო მონდომება (რაც, სხვათა შორის, ილუზიაა!) თავს იდებს, სქემატურად შეამსუბუქოს ან მოსპოს ხელმოკლეობა, რასაც, სხვათა შორის, სხვისი თავისუფლება უფრო დიდ ზიანს აყენებს, ვიდრე თვით გაჭირვება. გაჭირვება, თუკი მიენდობი, ენით აუნერელ შეგუების უნარს გამოგიმუშავებს და თითქმის სათუთად მიგითითებს, თუ გარეგნულად არა, შინაგანად მაინც როგორ დააღწიო მას თავი. ადამიანის ყოფის გამოკეთება ინდომო, ეს თავისთავად გულისხმობს, ჩასწვდე მისი ყოფის პირობებს, ამას კი პოეტი ვერასოდეს მოახერხებს, რადგან ყოველი ასეთი წვდომა იმ ხატს უპირისპირდება, პოეტის საკუთარი გამოწვინიდან რომ მომდინარეობს, ხოლო ამას კიდევ უფრო ნაკლებად შეძლებს ის უსაშველოდ გარიყული მშველელი, რომლის დაბნეულობა სრულყოფილი ხდება მისივე სურვილის წყალობით: სხვას დაეხმაროს. ადამიანის ყოფის შეცვლა, გამოკეთება ინდომო, ეს ნიშნავს, შეჩვეული ჭირის სანაცვლოდ სხვა ჭირი შესთავაზო, რომელიც ალბათ კიდევ უფრო დააგლახავებს და მეტს არაფერს მოუტანს. თუკი ოდესმე შემძლებია, ჯუჯისა თუ მათხოვრის წარ-

მოსახული ხმები საკუთარი გულის ყალიბში ჩამომესხა, ამ სხ-მულისათვის ლითონი იმ სურვილიდან როდი მომიპოვებია, ჯუჯას ან მათხოვარს ხვედრი შეუქმნებუქდეს-მეთქი, პირიქით, მხოლოდ მათი არაჩვეულებრივი ბედისწერის განდიდების ნყალობით თუ შესძლებია უეცრად მათკენ თვალმიპყრობილ პოეტს მართალი და ღრმა ყოფილიყო. და ამ ნუთიდან პოეტს სხვა აღარაფრის შიში და რიდი აღარ უნდა გასჩენოდა, გარდა შესწორებული ნუთისოფლისა, სადაც ჯუჯები აწვართულნი და მათხოვრები გამდიდრებულნი იქნებოდნენ. მრავალსასეობის ღმერთი ზრუნავს იმისათვის, რომ ეს ვარიაციები არ გაქრეს და რა ზედაპირულობა იქნება, ამ ტანჯული მრავალფეროვნებისგან მოგვრილი სიხარული, პოეტს ესთეტიკურ ხრიკად ჩაუთვალონ. მე არც იმ საყვედურების გამო მქენჯნის სინდისი, თითქოს თავს ვიძვრენდე, როცა ჩემს ლექსში, ერთმანეთს ვუპირისპირებ რა ცნებებს „მდიდარი“ და „ღარიბი“, თავიდან ბოლომდე ვიყენებ მხატვრული მეტყველების სამართლიან მიუკერძოებლობას. ვერასოდეს განვიზრახავდი, ღარიბები მდიდრებისთვის დამეპირისპირებინა, ან ერთი მეორისათვის მემჯობინებინა. მაგრამ ხომ შეიძლება, ჩემი მისია უფრო ის ყოფილიყო, რომ სიმდიდრე და სიღარიბე ერთხანს მათი უნ-მინდესი საზომით გამეზომა. რადგან ხომ გამორიცხულია, რომ ამ გზას, რომელიც ორივეს ნამდვილ არსს შემაცნობინებდა, ორივეს განდიდებასთან არ მივეყვანე.

ისეთ სამყაროში, რომელიც ცდილობს ღვთაებრივი ერთგვარ ანონიმურობაში გათქვიფოს, ყოველი ჰუმანიტარული, გადაჭარბებული შეფასება, რომელიც ადამიანური შემწეობისაგან იმაზე მეტს მოელის, რის მოცემაც მას შეუძლია, აუცილებლად კრახს განიცდის. გარდა ამისა, ღვთის სიკეთე ისე ენით აუნერლადაა ღვთისსავე უღმობლობასთან გადაჯაჭვული, რომ ის ეპოქა, რომელიც განგებას წინ გაუსწრებს და მათ განანილებას შეუდგება, სისასტიკის იმ უძველეს მარაგსაც მყისვე ადამიანებს შორის მი-მოფანტავს (ჩვენ ეს გამოგვიცდია)...

ვიტოლდ ჰულევიჩს

სიერ, 13. XI. 25

...და განა მე ვარ ის კაცი, ვისაც უფლება აქვს, სწორი ახსნა მოუძებნოს „ელეგიებს“? ისინი ხომ მე უსასრულოდ აღმემატებიან. მათ იმ არსებითი ნანამძღვრების შემდგომ დამუშავებად ვთვლი, რომლებსაც უკვე შეიცავდა „უამნი“. ისინი „ახალი ლექსების“ ორივე ნაწილში იყენებენ სამყაროს ხატს, თამაშ-თამაშით მოსინჯავენ მას, ხოლო შემდეგ, „მალტეში“, კონფლიქტურად ერთმანეთს შეხლილნი, ცხოვრებაში გადაიჭრებიან და თითქმის გვარნმუნებენ, რომ ასე საძირკველგამოცლილი, ჰაერში გამოკიდებული ცხოვრება შეუძლებელია. ამავე ნანამძღვრებიდან გამომდინარე, „ელეგიებში“ კვლავ შესაძლებელი ხდება სიცოცხლე, დიახ, აქ ცხადდება საბოლოო დასტური სიცოცხლეზე, რასაც ვერ მიაღწია ახალგაზრდა მალტემ, თუმცა უკვე შედგმული ჰქონდა ფეხი „des lonques études“-ის სწორსა და ძნელ გზაზე. „ელეგიები“ წარმოადგენს დასტურს სიცოცხლესა და სიკვდილზე, როგორც ერთ მთელზე. ერთის აღიარება მეორის გარეშე, ბოლოს და ბოლოს, შეზღუდულობაა, რომელიც ყოველგვარ უსასრულოს გამორიცხავს — აი, რას აცნობიერებენ და ზეიმობენ ისინი. სიკვდილი ჩვენგან ზურგშექცეული, ჩვენს მიერ გაუნათლებელი მხარეა სიცოცხლისა: ჩვენ უნდა შევეცადოთ და მოვიპოვოთ ჩვენი ყოფიერების ის უმაღლესი ცნობიერება, რომელიც თავს შინ გრძნობს ერთმანეთისაგან გაუმიჯნავ ორივე სფეროში და ორივე მათგანით დაუშრეტლად საზრდოობს... ჭეშმარიტი სიცოცხლე ორივე საუფლოს მოიცავს, სისხლის მიმოქცევის დიდი წრე ორივეს გაივლის: არ არსებობს არც სააქაო, არც საიქიო, არის მხოლოდ ერთი დიდი მთლიანობა, სადაც ჩვენზე ზეალმატებული არსებანი, „ანგელოზები შინ გრძნობენ თავს. და აი, დგება საკითხი, თუ რა ადგილი უკავია სიყვარულს ამ ახლა უკვე მთლიან, ბოლოს და ბოლოს, ჯანსაღ სამყაროში, თავის უფრო ვრცელ, მეორე ნახევარსაც რომ შეიცავს. გაოცება მიპყრობს იმის გამო, რომ „სონეტებმა ორფევისისადმი“, რომლებიც, სულ ცოტა, ასეთივე „ძნელია“ და იმავე ესენციითაა აღსავსე, დახმარება ვერ გაგინიათ „ელეგიების“ გაგებაში. ამ უკანასკნელთა წერას შევუდექი 1912 წელს (დუ-

ინოში) და ვწერდი ფრაგმენტულად ესპანეთსა და პარიზში 1914 წლამდე. ომმა მთლიანად გამანყვეტინა ეს ჩემი ყველაზე დიდი სამუშაო; ხოლო როდესაც 1922 წელს გავბედე განმეახლებინა იგი, ჯერ კიდევ ახალი ელეგიების დამთავრებამდე, სულ რამდენიმე დღეში, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალივით დამატყდა თავს „სონეტები ორფევსისადმი“ (რომელნიც გათვალისწინებული არ მქონია). ისინი იმავე წარმომავლობისა არიან, რაც „ელეგიები“ — და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო; ხოლო ის გარემოება, რომ „სონეტები“ ჩემდაუნებურად შეიქმნენ და უშუალოდ უკავშირდებიან უდროოდ გარდაცვლილ გოგონას, უფრო აახლოებს მათ მათივე წარმოშობის წყაროსთან. ეს კავშირი კიდევ ერთი ხიდია იმ სამყაროს შუაგულისაკენ, რომლის სიღრმესა და გავლენასაც გარდაცვლილებსა და მყოფადებთან ერთად ყოველგან შეუზღუდავად ვეზიარებით. ჩვენ, აქაურები და ამჟამინდლები, ვერც ერთი წუთით ვერ ვგრძნობთ კმაყოფილებას დროით სამყაროში და არა ვართ მასთან დაკავშირებული. აი, ასე ერთთავად მივდივართ, მივედინებით გარდასულებთან, წინაპრებთან და მათთან, ვინც ალბათ ჩვენს შემდეგ მოვა. იმ უდიდეს „განხმულ“ სამყაროში, ყველანი *მყოფობენ*, და ვერც ვიტყვით „ერთდროულადო“, რადგან სწორედ დროის არარსებობა განაპირობებს იმას, რომ ისინი *ყველანი მყოფობენ*. წარმავლობა ყოველგან ღრმა ყოფიერებაში ჩაინთქმება. ამრიგად, აქაური ყოფიერების ნებისმიერი ფორმა მხოლოდ დროში შეზღუდულად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ შეძლებისდაგვარად ის ზეალმატებულები მნიშვნელობები უნდა მივანიჭოთ, რომლებშიც თავად გვიდევს წილი, მაგრამ არა *ქრისტიანული აზრით* (რომელსაც მე სულ უფრო გადაჭრით განვუდგები), არამედ წმინდა მიწიერი, ღრმად მიწიერი, კურთხეულად მიწიერი ცნობიერების ვალია, ყოველივეს — აქ განჭვრეტილსა და ნაგრძნობს უფრო ფართო, უფართოეს წრეში შეუძღვეს. არა იმქვეყნად, რომლის ჩრდილიც აბნელებს დედამიწას, არამედ მთელ სამყაროში, *ერთ მთლიანობაში*. ბუნებაცა და ჩვენს მიერ გამოყენებული ყოფითი საგნებიც დროებითი და წარმავალი არიან; მაგრამ ვიდრე აქ ვიმყოფებით, ისინი შეადგენენ ჩვენს ავლა-დიდებას, გვინევენ მეგობრობას,

იზიარებენ ჩვენს ჭირსა და ლხინს, ისევე, როგორც უკვე იყვნენ ჩვენი წინაპრების გულშემატიკივარნი. ყოველივე აქაური არათუ არ უნდა წავახდინოთ, არამედ სწორედ წარმავლობის გამო, რომლის თანაზიარნიც ჩვენცა ვართ, ყველა ეს საგანი თუ მოვლენა უშინაგანესი გონებით უნდა განვეჭვრიტოთ და გარდავექმნათ. გარდავექმნათო? დიახ, რადგან ჩვენი ამოცნაა, ისე ღრმად, ისე მტანჯველად და გულმხურვალედ ამოვტვიფროთ საკუთარ თავში ეს დროებითი, წარმავალი დედამიწა, რომ მისი არსი ჩვენში „უხილავად“ კვლავ აღსდგეს მკვდრეთით. ჩვენ „უხილავის“ ფუტკრები ვართ: *Nous butinons éperdument le miel du visible, pour l'accumuler dans la grande ruche d'or de l'Invisible.*

„ელეგები“ გვაჩვენებენ, თუ როგორ შევდგომივართ ამ საქმეს: ამ სანუკვარი, ხილულ-ხელშესახები სამყაროს განუხრელ გარდაქმნას ჩვენივე ბუნების უხილავ რხევებად და მღელვარებებად, რაც ახალი სიხშირის რხევებს აღძრავს სამყაროს რხევათა საუფლოებში (და რადგან მატერიის ყოველი ნაირსახეობა სამყაროში რხევების სხვადასხვანაირ გამოვლინებას წარმოადგენს, ამგვარად ჩვენ ვამზადებთ არა მხოლოდ სულიერი სახის ინტენსიობებს, არამედ, ვინ იცის, შესაძლოა, სხეულებსაც: ლითონებს, ვარსკვლავიერ ნისლეულებსა და თანავარსკვლავედებსაც). და ამ საქმიანობას განსაკუთრებით აჩქარებს და გარდაუვალს ხდის სულ უფრო და უფრო სწრაფი გაქრობა უამრავი ხილული საგნისა, რაც უკვე აღარ შეიძლება რამემ შეცვალოს. ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრებისათვის „სახლი“, „ჭა“, ნაცნობი კოშკი და დიახ, მათი საკუთარი ტანსაცმელი, მათი პალტო: უსასრულოდ უფრო მეტს ნიშნავდა და უსასრულოდ უფრო ახლობელი იყო; თითქმის ყოველი საგანი მათთვის საჭურჭლე იყო, რომელშიც ისინი რაღაც ადამიანურს მოიძიებდნენ და მარაგად ინახავდნენ. აი, ახლა კი ამერიკიდან ჩვენში იჭრება ცარიელი, გულგრილი საგნები, ვითომ-საგნები, *ცხოვრების სუროგატები...* სახლს, ამერიკული გაგებით, ამერიკულ ვაშლს ან იქაურ ვაზს არაფერი აქვს საერთო იმ სახლთან, ნაყოფთან, ყურძენთან, რომლებმაც შეინოვეს ჩვენი წინაპრების იმედები და ფიქრები. განსულიერებული, განცდილი, ჩვენი თანამცოდნე საგნები ქრებიან და მათი შეცვლა უკვე აღარ

მოხერხდება. შესაძლოა, ჩვენ უკანასკნელები ვართ, ვინც კიდევ იცნობდა ასეთ საგნებს. ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, არა მარტო მათი ხსოვნა შემოვინახოთ (რაც ძალზე ცოტაა და არც საიმედო), არამედ მათი ადამიანური და ლარიული (ლარები — ოჯახის ღვთაებები) ღირებულებაც. დედამინას არა აქვს სხვა გამოსავალი, იმის გარდა, რომ უხილავი გახდეს: *ჩვენში*, ვინც ჩვენი არსების ნაწილით თანაზიარი ვართ უხილავისა, წილი (სულ მცირედი მაინც) გვიდევს მასში და შეგვიძლია ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში ვამრავლოთ ჩვენი უხილავი სამფლობელოები. მხოლოდ *ჩვენში* შეიძლება განხორციელდეს ხილულის ეს ინტიმური და ხანგრძლივი გარდაქმნა უხილავად, რომელიც უკვე აღარ არის დამოკიდებული ხილულსა და ხელშესახებ ყოფიერებაზე, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენი საკუთარი ბედისწერა ჩვენში მუდმივად არსებობს და მუდმივად უხილავიცაა. „ელეგიები“ ამკვიდრებენ ყოფიერების ამ ახალ ნორმას; ისინი ადასტურებენ და ზეიმობენ ამ ახალ ცნობიერებას. ფრთხილად უკავშირებენ ამ შეგნებას ძველ ტრადიციებს: გამოიყენებენ უძველეს გადმოცემებსა თუ გადმოცემების გამოძახილს და თვით მიცვალებულთა ეგვიპტურ კულტშიც კი პოულობენ სამყაროსთან ასეთი მიმართების ნაწინამძღვარს (თუმცა „ჩივილთა ქვეყანა“, სადაც უფროსი „ჩივილი“ მიცვალებულ ჭაბუკს მიუძღვება, კი არ უნდა გავაიგივეოთ ეგვიპტესთან, არამედ იგი, გარკვეული აზრით, შეიძლება განვიხილოთ როგორც ნილოსისპირა ქვეყნის ანარეკლი მიცვალებულის ცნობიერების უდაბნოსეულ სიცხადეში). შეცდომას სჩადის ის, ვინც ელეგიებს ან სონეტებს სიკვდილის, იმქვეყნისა და მარადიულობის კათოლიკურ ცნებებს უკავშირებს, ამით იგი მთლიანად შორდება ამ ლექსების ამოსავალ წერტილს და სულ უფრო არსებით გაუგებრობისაკენ მიდის. ელეგიების „ანგელოზს“ არაფერი აქვს საერთო ქრისტიანული ზეცის ანგელოზთან (იგი უფრო ისლამის ანგელოზთა სახეებს უახლოვდება...); *ელეგიების* ანგელოზი ის ქმნილებაა, რომელშიც უკვე აღსრულებულია ჩვენს მიერ მხოლოდ წამოწყებული გარდაქმნა ხილულისა უხილავად. ელეგიების ანგელოზისათვის ყველა გარდასული ციხე-კოშკი თუ სასახლე არსებულია, რადგან ისინი დიდი ხანია უხილავნი არიან.

ხოლო ჩვენს ყოფიერებაში ჯერ კიდევ არსებული ციხე-კოშკები მათთვის უკვე უხილავს წარმოადგენენ, თუმცა ეს საგნები ჯერ-ჯერობით ინარჩუნებენ სხეულებრივ არსებობას (ჩვენთვის). ელ-ეგიების ანგელოზი ის არსებაა, რომელიც გვევლინება თავდებად: შევიცნოთ უხილავში უმაღლესი რანგის რეალობა. იგი სწორედ იმიტომაა ჩვენთვის „საშინელი“, რომ ჩვენ, მოყვარულნი და გარ-დამქმნელნი, ჯერ კიდევ მაინც მიჯაჭვული ვართ ხილულზე. სა-მყაროს ყველა საუფლო შთაინთქმება უხილავში, ვითარცა თავის უახლოეს, უფრო ღრმა სინამდვილეში. *ზოგიერთი ვარსკვლავი უშუალოდ, თავისთავად გარდაიქმნება და გადადის ანგელოზთა უსასრულო ცნობიერებაში, ზოგი კი დაკავშირებულია არსებებთ-ან, რომლებიც გარდაქმნიან მათ ნელა, ნვალებით; ამ არსებათა შიშებსა და აღტაცებებში ისინი აღწევენ თავიანთ უახლოეს უხი-ლავ განხორციელებას.*

ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ელეგიების აზრით, სწორედ ჩვენა ვართ დედამიწის ეს გარდამქმნელები; მთელი ჩვენი არსებობა, აღმაფრენა თუ დაცემა ჩვენი სიყვარუ-ლისა, — ყველაფერი აღგვჭურვავს ამ ამოცანის გადაჭრის უნ-არით. მასთან შედარებით, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს სხვა ამოცანა (სონეტები გვიჩვენებენ ამგვარი ქმედების ნიუანსებს, ქმედებისა, აქ იმ მიცვალებული გოგონას სახელს რომ შეჰფარვია, რომლის დაუსრულებლობა და უცოდველობა სამარის თაღს ღიად ტოვებს; და სიკვდილის ზღურბლს რომ გადააბიჯა, გოგონა უკვე იმ ძალებს განეკუთვნება, რომლებიც სიცოცხლის ერთ ნახევარს ცოცხლად, სალად ინარჩუნებენ, მეორე ნახევრის საპირისპიროდ, რომელიც ღია ჭრილობას ჰგავს). ელეგიები და სონეტები ერთ-თავად განამტკიცებენ ერთმანეთს და მე უსაზღვრო ნყალობას ვხედავ იმაში, რომ განგებამ ინება ერთი ამოსუნთქვით გამეშალა სონეტების პატარა, ჟანგისფერი აფრაც და ელეგიების უზარმაზ-არი თეთრი იალქანიც.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობარო, ამ სტრიქონებში გეგრძნოთ რალაც შვება და ახსნა-განმარტებად წაგდგომოდნენ ისინი, ხოლო დანარჩენში ისე გაუძეხით საქმეს, როგორც შეძლებთ, რადგან არ ვიცი, შევძლებდი თუ არა კიდევ რაიმეს თქმას.

ლევ სტრუვეს

ვალ-მონტი, 1926 წლის 25 თებერვალი.

ძვირფასო ბატონო X,

ვინც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც განაგრძობს სიცოცხლეს, მიტიასზე უკეთეს მდგომარეობაშია: მე ორივეს ვიცნობ, კატიასაც და მიტიასაც, უკვე რამდენიმე თვეა („Le Sacrement de l'Amour“-ის კარგი ფრანგული თარგმანიდან), რომელიც მით უფრო დიდი გულმოდგინებით ნავიკითხე, რომ შარშან პარიზში საშუალება მომეცა, ძალზე სასიამოვნო ვითარებაში შევხვედროდი ივანე ბუნიჩს... მაშ, ასე, მიტიას „შემთხვევა“ ერთ-ერთი (თანაც ერთ-ერთი ყველაზე წმინდა და გულსამაჩუყებელი) მაგალითია მოუთმენლობის, როდესაც ახალგაზრდა ადამიანს აღარ ჰყოფნის ცნობისმოყვარეობა, ამა თუ იმ აუტანელი მდგომარეობის დასასრულს დაელოდოს; აღარ ენდობა იმას, რომ ამ ტკივილს, რომელშიც მთელი სამყაროა ჩათრეული, ადრე თუ გვიან რაღაც სხვა (იქნებ არცთუ იოლი), მაგრამ ნამდვილად სხვა უნდა მოჰყვეს, სწორედ თავისი განსხვავებულობის ხარჯზე რომ აღმოჩნდება უფრო ასატანი. თავდაპირველად მეგონა, რომ მიტიას მდგომარეობას არაფერი აქვს საერთო იმ განწყობილებებთან, რაზედაც ჩემი ლექსი მიუთითებს. ახლა კი ვხედავ, რომ მართალი ბრძანდებით: ამ პნკარებში სხვა „მეტრფეებთან“ ერთად ისიც იგულისხმება. თუმცა მას აი, რა შეცდომა მოსდის: ის უნებლიეთ კიდევ უფრო ამძაფრებს იმ რთულ მდგომარეობას, რაც მერვე ელემენტია გათამაშებული. მხოლოდ სატრფო, ეს ნაზი, მგრძობიარე კატია შეაძლებინებს, დაახლოებით იმგვარად განჭვრიტოს ღია, როგორც ეს ცხოველის გაუცნობიერებლად მცოდნე მზერას ძალუძს; მაგრამ, როგორც კი მიატოვებს საყვარელ გოგონას, მარტოსულობითა და მონატრებით გატანჯული, იმნამსვე ავსებს ამ უსაგნო სიშორეს, ამ ნეტარებას, მხოლოდ სივრცისაგან რომ შედგება, მისთვის ასევე საყვარელი და ახლობელი სამყაროთი, მაგრამ მასაც მალევე, კატიას დაკარგვასთან ერთად, გარდუვალად კარგავს. ასე, რომ ბოლოს რჩება მხოლოდ „néant“, არსად, რომელშიც იგი მამაცურად და სავსებით ლოგიკურად იღუპება.

ერთი ციდა ცნობისმოყვარეობა რომ გამოეჩინა იმ მდგომ-

მარეობის მიმართ, ამ სასონარკვეთილების შემდეგ რომ უნდა დანყებულოყო (ხედავთ, განგებ ვიყენებ ყველაზე უპრეტენზიო სიტყვას „ცნობისმოყვარეობა“), მაშინ იქნებ გადარჩენილიყო კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც მთელი სამყარო, რასაც კი იცნობდა და რაც კი ენახა, შორს მიმავალ ციციქნა ხომალდ კატიანზე დაახვავა...; ჰოდა, სამყარო გაუსხლტა კიდეც ხელიდან. „Le Sacrement de l'Amour“ უკეთ გამოხატავს მომხდარს, ვიდრე გერმანული სათაური „მიტიას სიყვარული“. მიტიას სიყვარული უფრო არდაკარგული კატია იქნებოდა, მასთან ბედნიერება (?), ჭიდილი, მის გვერდით გამოვლილი ბედისწერა, მისი, ბოლოს და ბოლოს მაინც დაკარგვა, რაც, კატიას ბუნებიდან გამომდინარე, გარდუვალად მოხდებოდა... ამ გაგებით, ბუნინის ეს მცირე რომანი, შეიძლება ითქვას, ძველმოდური ნიგნია; ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იმისათვის თვალყურის დევნება, თუ რა შინაგანი ძვრები ხდება მათში და მათ შორის, ვინც ერთმანეთს ამათსავით არ კარგავს, მაგრამ ვისაც სულ სხვაგვარად, ცხოვრებაში, ბოლოს და ბოლოს მაინც უწევს ერთურთის დაკარგვა, რადგან სიყვარული აბსოლუტურად არ არის შესწავლილი.

მერვე ელეგია კი მხოლოდ ნუთით გამოიხმობს მეტრფეს, რათა გვიჩვენოს ის ადამიანური მდგომარეობა, წამიერად მაინც რომ შეედრება იმას, რასაც ჩვენს ადამიანურ ენაზე ცხოველის „უდარდელობას“ ვუწოდებთ. ამ ელეგიაში წარმოდგენილი „ღიას“ ჭვრეტა, გთხოვთ, ასე გაიგოთ: ცხოველის ცნობიერებას შემოჰყავს სამყაროში „ღია“, ისე, რომ ჩვენსავით ყოველნუთიერად სამყაროთივე არ იჩრდილავს ამ გახსნილობას; ცხოველი სამყაროშია; ჩვენ კი მის პირისპირ ვდგავართ, იმ უცნაური შემობრუნებისა და აღზევების ძალით, რასაც ჩვენი ცნობიერება განიცდის... მაშასადამე, „ღია“-თი ცას, ჰაერსა და სივრცეს როდი ვგულისხმობ: მჭვრეტელისა და შემფასებლისთვის ისინიც „საგნებია“ და, ამით — იმთავითვე დახურული, „opaque“. ცხოველი, ყვავილი, ჩემი ვარაუდით, თავისთავად არიან სამყარო, ისე, რომ ამის შესახებ არც კი იციან, მათ წინაშე და მათ ზევით კი ის აღუნერლად გახსნილი თავისუფლება იშლება, რომელსაც ჩვენში მხოლოდ სიყვარულის პირველ ნუთებში (როცა მეორე ადამიანში მთელ ჩვენეულ სამყაროს ვხედავთ), ანდა ღვთისკენ სწაფვისას თუ მოეძებნება ექვივალენტი, ისიც — ძალზე ეფემერული.

ამჟამად შეუძლოდ ვარ, ამიტომაც ასე მცირეს და არასაკმარისს გწერთ, სამაგიეროდ, თქვენი წერილის მიღებისთანავე გპასუხობთ. დაე, ამ სტრიქონებმა, მძიმე ელევიათა ძვირფასო მკითხველო, მათ წვდომაში ოდნავი დახმარება მაინც გაგინოთ.

ახალგაზრდა მეგობარ ქალს

ამჟამად: ვალ-მონტი ლიონის მახლობლად (ვუდი),

17 მარტი, 1926 წელი.

ძვირფასო ახალგაზრდა მეგობარო,

თქვენი წერილი თვეზე მეტი ხნის წინათაა დაწერილი (ამას გულწრფელი სინანულით აღვნიშნავ), მაგრამ პასუხს ასე რომ გიგვიანებთ, ჩემი ბრალი არ არის; თქვენმა სტრიქონებმა ვერც პარიზში ჩამომისწრეს და ვერც ჩემს მუდმივ საცხოვრებელ ადგილას (მიუზოს სასახლეში), ვაღეს კანტონში. ვერ გეტყვით, რა ადგილები შემოიარეს მათ ჩემს ძებნაში; ასეა თუ ისე, ჩემამდე კი მხოლოდ გუშინ მოაღწიეს.

ახლა რაღა დამრჩენია?

ამჟამად ისეთ გუნებ-განწყობაზე ვარ, რომ წერილების წერა ძალზე მიმძიმს. ჩემი მაგიდა მოფენილია კორესპონდენციით, პასუხის გაცემას რომ ელის. თქვენი თავაზიანი თხოვნის საპასუხოდ კი ალბათ მრავალი გვერდის დაწერა დამჭირდებოდა. აი, ერთმანეთის პირისპირ რომ ვმსხდარიყავით, გამოსავალიც ალბათ უფრო ადვილად გამოიძებნებოდა; პირადი ურთიერთობები მაშინაც კი იძენს კონტაქტისა და ურთიერთგაგების ძალას, როდესაც ვდუმვართ ხოლმე... წერილობით კი? ... საიდან დავიწყო?

სიამოვნებით მოგიტხოვრდით ჩემი ცხოვრების იმ ფაქტებს, რომელთა გაცნობაც ალბათ საკადრის პატივს მოგიზღავდათ ჩემი შრომების ესოდენ გულდასმით და თავდადებით შესწავლისათვის... მაგრამ რა ფაქტები შეიძლება იყოს ასეთი? იქნება ბავშვობის ხანას დავბრუნებოდი, მომეთხრო ზოგიერთ მოგზაურობაზე თუ შეხვედრაზე ანდა ამენერა ამა თუ იმ ქალაქში გატარებული დღეები. ალბათ ადვილად წარმოიდგენთ, რა დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე სხვადასხვა გარემო ანდა ესა

თუ ის ქვეყანა, სადაც ჩემი ლმობიერი და მადლიანი ბედ-ილბლის წყალობით მარტო მოგზაური კი არ ვიყავი, არამედ ნამდვილად *ვცხოვრობდი* იქ და ცხოველ მონანილეობასაც ვიღებდი იმ ქვეყნების ანმეოსა თუ მომავალში... რვა წლის ასაკიდან მოყოლებული ვიცნობდი და მიყვარდა იტალია; თავისი მკაფიო მრავალფეროვნებითა და გამოვლინების სისავსით იგი ჩემი მოხეტიალე ცხოვრების ანაბანად იქცა; გადამწყვეტი გავლენა კი რუსეთმა მოახდინა; 1899-1900 წლებში მისი წყალობით თვალწინ გადამეშალა არა მხოლოდ შეუდარებელი, წარმოუდგენელი განზომილებების სამყარო, არამედ იქაურ მკვიდრთა ადამიანური თვისებების შემწობით შესაძლებლობა მომეცა, ფეხი მომეკიდა მათს საძმოში და იქ შინაურ კაცად მეგრძნო თავი (ჩემთვის ეს წარმოუდგენელი ამბავი იყო, რადგან დედისერთა ბავშვს მანამდე თითქმის არ მქონია ურთიერთობა ადამიანებთან და ამისათვის შემზადებული არ ვიყავი); რუსეთი, გარკვეული აზრით, ჩემი ცხოვრებისეული აღქმისა და გამოცდილების ბალავარი გახდა (ამას ჩემს წიგნებშიც იგრძნობთ, მაგალითად „უამნში“), ზუსტად ისევე, როგორც პარიზი — ეს შეუდარებელი ქალაქი — 1902 წლიდან მოყოლებული იქცა ჩემი შემოქმედებითი განვითარების ამოსავალ წერტილად. ეს როდენის უზარმაზარმა გავლენამ გამოიწვია, რომელმაც შემაძლებინა გადამელახა ლირიკული ზედაპირულობა და იაფფასიანი *À peu pres* (სათავეს მღელვარე, მაგრამ განუვითარებელ გრძნობაში რომ იღებდა); გავლენა იქონია იმანაც, რომ ჩემი თავი ვაიძულე, გარკვეული დროის განმავლობაში ნატურის წინ მემუშავა როგორც მხატვარსა თუ მოქანდაკეს, განუზრელად შემემეცნა იგი და მიმებაძა მისთვის. ამ მკაცრი და სასარგებლო შეგირდობის პირველი შედეგი გახლავთ პარიზის ბოტანიკურ ბაღში შექმნილი ლექსი „ავაზა“, რომელსაც ამ შეგირდობის ბეჭედი აზის. იმ წლიდან (1902) მოყოლებული მუდმივად დავმკვიდრდი პარიზში, რაც ხელს არ მიშლიდა თვეობით მეცხოვრა იტალიასა თუ სკანდინავიაში (დანიასა და შვეციაში), მომეველო ალჟირი, ტუნისი და ეგვიპტე, შემდეგ კი — საფრანგეთის პროვანსი; მაგრამ რუსეთისა და მარად გაუზუნარი პარიზის შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ესპანეთი, რომლის გაცნობაც ტოლედოდან დავიწყე და შემდეგ მთელი ზამთარი (1912)

დავყავი იქ. ეს მრავალფეროვანი, ურთიერთმონათესავე გავლენები უშუალოდ აირეკლა ჩემმა სულმა და მათი ნამდვილი განზოგადების პირველი შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ჩემს წიგნებში: „სონეტები ორფევესისადმი“ და ძნელ „ელეგიებში“ (ისინი ჯერ კიდევ 1912 წელს მქონდა დაწყებული, მაგრამ შემდეგ ომმა კარგახნით შემანყვეტინა მუშაობა).

აი ესაა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მოკლედ მომეთხრო თქვენთვის, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს მცირედიც საკმარისი აღმოჩნდეს, რომ უფრო კონკრეტული შეკითხვები დაგებადოთ; მათზეც სიამოვნებით გიპასუხებთ (რამდენადაც დრო მომცემს ამის შესაძლებლობას). მანამდე კი, ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ ესოდენ ერთგულებისა და ხანგრძლივი მეგობრობისათვის.

რაინერ მარია რილკე

ჟიულ სიუპერვიეს

ვალ-მონტის კლინიკა, სიერ ტერიტე, გლიონი (ვუდი),
21 დეკემბერი, 1926 წელი.

ჩემო ძალიან ძვირფასო სიუპერვიე,

სერიოზულად, საბრალობლად, უნუგემოდ ავად ვარ, ტკივილებით გატანჯული; მაგრამ ამ არაადამიანურ და განუსაზღვრელ მდგომარეობაშიც კი შევძელი ნამიერად ავყოლოდი ნეტარ ფიქრებს თქვენი წერილის და ყოველივე იმის ნყალობით, რაც მან ჩემში გამოიწვია.

მე ვფიქრობ თქვენზე, პოეტზე, მეგობარზე და ამ ფიქრისას სამყარო ჯერ კიდევ მიდგება თვალწინ, მე, ფიალის საცოდავ ნამსხვრევს, რომელსაც აგონდება, რომ ისიც, ჯერჯერობით, ამ მიწისაა (მაგრამ ეს ნიშნავს, ძალა დავატანოთ ჩვენს გრძნობებს და მათ ლექსიკონს, რომელსაც ჩვენი სატანჯველი ფურცლავს).

ქ-ნ ნიმე ელუი ბეა-ს

ქალბატონო, დიახ, საბრალობლად, საზარლად ავად ვარ და ისეთ ტკივილებს განვიცდი, ვერც ვერასოდეს რომ წარმოვიდგენდი. ეს უკვე ის უსახელო ტანჯვაა, რომელსაც ექიმები ერთი სახელით ნათლავენ; ეს ტანჯვა კი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ სამჯერ თუ ოთხჯერ წამოგაკვნესებს ისეთი ხმით, რომელსაც ველარ იცნობ; ეს ხმა კი ნიუანსებზე იყო აღზრდილი!

გემუდარებით ქ-ნო, ყვავილები არ არის საჭირო. ისინი დემონებს ალაგზნებენ, დემონებით კი ისედაც გადავსებულია ეს ოთახი; ხოლო ის, რაც ყვავილებს მოჰყვა თან, უხილავის წყალობას დაემატება. ოჰ, გმადლობთ!

(ოთხშაბათი)

რაინრ მარია რილკეს, ბორის
კასტერნაკისა და
მარინა ცვეტაევის მიმონებრილან

ბორის პასტერნაკი რილკეს

მოსკოვი, 12 აპრილი, 1926 წ.

დიადო, უსაყვარლესო პოეტო!

არ ვიცი, სად დამთავრდებოდა ეს წერილი, ან რაღა განასხვავებდა მას ცხოვრებისაგან, ოცნლიანი სიყვარული, განცვიფრება და მადლიერება ერთიანად რომ მექცია სიტყვად.

მე თქვენ გიმადლით, თქვენს ქმნილებად ვთვლი ჩემი ხასიათის ძირითად ნიშან-თვისებას, ჩემი სულიერი წყობის თავისებურებას. და მე მაქვს სიტყვები თქვენთვის, რომელთაც იმ შორეული მოვლენებისთვის უხმობენ ხოლმე, ჩვენი ბედ-იღბლის სათავედ რომ მივიჩნევთ შემდგომ. ქარიშხალივით ამოვარდა სიხარული ჩემს არსებაში, რაკილა უფლება მომეცა პოეტური აღსარებით მოგმართოთ და ეს სიხარული არანაკლებ უჩვეულოა, ვიდრე ესქილესა თუ პუშკინის წინაშე წარდგომა მომანიჭებდა, ასეთი რამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო. სიტყვა რას შესწვდება ბედის დამუხტვის, დაუჯერებლობის, დაძლეული შეუძლებლობის იმ განცდას, ახლა რომ მავსებს, როდესაც თქვენ გწერთ. სასწაულებრივმა შემთხვევამ, რომელმაც თქვენს მზერაში მომახვედრა, ერთიანად შემძრა. ჩემამდე მოღწეულმა ამ ამბავმა სულის ელექტრულ მოკლე ჩართვასავით იმოქმედა. მარტო ვიყავი ოთახში, ჩემიანები შინ არ იყვნენ, როდესაც ლ. ო.-ს წერილი წავიკითხე. აღარაფერი მესმოდა რა ხდებოდა ირგვლივ, ვტიროდი. შემდეგ მოვიდა ჩემი ვაჟი, გამზრდელთან ერთად, შემდეგ მეუღლე. მე კი ვდუმდი. ერთხანს ხმის ამოღება ვერ მოვახერხე.

აქამდე თქვენი პოეზიის ვრცელი, ხანგამძლე, უძირო სიკეთის გამო მმართვებდა, მადლიერება გამომეხატა. ახლა კი მაღლობას გწირავთ იმ უეცარი სიკეთისათვის — ჩემს ბედ-იღბალში რომ ჩამოიღვარა და ამ უცნაური შემთხვევით ვლინდება. ეს რომ ბოლომდე განვმარტო, ნიშნავს, დიდი ხნით მივიპყრო თქვენი ყურადღება, რასაც ვერ გავბედავ, ვიდრე თავად არ დამრთავთ ნებას. ამავე დროს ეს ნიშნავს, ისტორიის მთელი რიგი ტრაგიკული ამბების წვდომასა და მათ გადმოცემას, რაც, ალბათ, ჩემს ძალებს აღემატება.

ერთს კი უთუოდ ასწავლის ჩვენი აქაური ცხოვრებისეული გა-

მოცდილება ყველას, ვისაც სწავლა სწადია: რომ დიადი, როდესაც ის პრაქტიკულად მოქმედებს, ყოვლად წინააღმდეგობრივი სახით წარმოგვიდგება, რომ ის, თავისი *სიდიადის* კვალად *პატარაც* არის, თავისი *აქტივობის* კვალად — *დუნეც*. აი, ასეთი გახლავთ ჩვენი რევოლუცია: წინააღმდეგობრივი უკვე თავის გამოვლენაში: მსხლტომი, დენადი ჟამის ერთი ნატეხი — უძრავი, ნაყოფიერი ღირსშესანიშნაობის ფორმით. ასეთივე გახლავთ ჩვენი ბედ-იღბალი — ბნელი და ამალღებული ისტორიული რარიტეტის¹ *უძრავი*, დროითი *ქვეშევრდომი*, ტრაგიკული თვით უმცირესშიც, თვით სასაცილოშიც. თუმცა რაზე გესაუბრებით! რაც შეეხება პოეზიასა და პოეტს (ანუ განსაკუთრებულ გარდატეხას საერთო-ევროპული სულიერების სინათლისა, ერთი ეპოქის ადამიანების ერთ ნაკადად მიმდინარე ბედისწერათა საიდუმლოებისა), მისი საქმე ისევე ისეა, როგორც უწინ იყო. როგორც ყველგან და ყოველთვის, *აქაც* და *ახლაც* ყველაფერი სასიკეთო შემთხვევაზეა დამოკიდებული, შემთხვევაზე, რომელიც, თუკი მას ღრმად და დროულად იგრძნობ, იმ გარდატეხას გამოიწვევს, ჩვენ რომ ვსაკლისობთ. მაშინ ყველაფერი უბრალოვდება, სულელური, არაისტორიული და დროებითი, თავისუფალი და ფატალური ხდება. მაშინ ისევე თავიდან ხდები პოეტი, მას შემდეგ, რაც მთელი რვა წელიწადი მონყვეტილი იყავი ამ გამომფიტავ ბედნიერებას. სწორედ ასე დამემართა ამ დღეებში. მანამდე ყოვლად უბედური ვიყავი და თითქმის მკვდარი, მთელი ის რვა უსასრულო წელიწადი. თუმცა, არასდროს დამვიწყებია რევოლუციის ტრაგიზმი, თვით უმწარეს წუთებშიც კი არა. საერთოდ აღარ შემეძლო წერა, ინერციითღა ვცოცხლობდი. ყველაფერი უკვე 1917-1918 წლებში მქონდა დაწერილი.

ახლა კი თითქოს ხელახლა დავიბადე — ორი შემთხვევის წყალობით. პირველზე უკვე მოგახსენეთ. მეტისმეტი მაღლიერება მამუნჯებს, რამდენიც არ უნდა ვწერო, ჩემი გრძნობა მაინც გამოუთქმელი დარჩება. ნება მომეცით, მეორე შემთხვევაც გაუწყოთ, მით უმეტეს, რომ ორივე ფაქტს ერთმანეთის მონათესავედ აღვიქვამ: საქმე ეხება პოეტ ქალს, რომელსაც ისევე ძლიერ და *ისეთივენაირად* უყვარხართ, როგორც მე (რა ვინროდ

ან რა ფართოდაც არ უნდა გაიგონ). ეს პოეტიც, ჩემი არ იყოს, თქვენზე პოეტური ისტორიის ნაწილად შეიძლება ჩათვალოს: ვგულისხმობ თქვენი პოეზიის გავრცელებას და ზემოქმედებას. იმავე დღეს, როდესაც თქვენს შესახებ შევიტყვე, აქაური ირიბი გზებით ჩემამდე მოაღწია ერთმა პოემამ², ისეთმა მართალმა და ჭეშმარიტმა ქმნილებამ, როგორსაც აქ, სსრკ-ში ვერავინ დაწერს. ეს გახლდათ იმ დღის მეორე გულისშემძვრელი ამბავი. ის პოეტი გახლავთ Марина Ивановна Цветаева, დაბადებით პოეტი, დიდი ტალანტი დებორდ-ვალმორის³ დიპაპაზონისა. მე ვინატრებდი, ო, მომიტევეთ, მომიტევეთ ეს სითამამე, ერთი შეხედვით მოურიდე-ბლობად რომ ჩანს, უფლებას მივცემდი ჩემს თავს, მესურვა, რომ მანაც განიცადოს ამ სიხარულის მსგავსი გრძნობა, რაც თქვენის წყალობით მე გადმომეფრქვა. წარმოვიდგინე, რა იქნებოდა მისთვის წარწერადართული თქვენი რომელიმე წიგნი, ვთქვათ, — «დუინური ელეგიები»⁴, რომელიც მე მარტოოდენ ყურმოკვრით ვიცი. ო, მაპატიეთ, გეთაყვა! მაგრამ ამ ღრმა, ფართო შემთხვევის გარდატეხილ სინათლეში, ჩემი აწინდელი, აღფრთოვანებული მდგომარეობის სიბრმავეში, ალბათ, უფლება მაქვს ვიოცნებო, რომ ეს გარდატეხა სინამდვილეა. და ჩემი თხოვნის შესრულება — შესაძლებელი, რომ ეს თხოვნა რალაცნაირად საჭიროა. ვისთვის? რისთვის? ამის თქმა არ ძალმიძს. ალბათ, პოეტისთვის, რომელიც პოეზიაში მკვიდრობს და სხვადასხვა დროში სხვადასხვა სახელს ატარებს. მას ჰქვია Марина Ивановна Цветаева და ცხოვრობს პარიზში; 19^{me} arr. 8, rue Rouvet.

ნება მომეცით, ჩემი ამ თხოვნის ასრულება თქვენს პასუხად ჩავთვალო და იმის ნიშნად, რომ მომავალშიც უფლება მაქვს მოგწეროთ. პირდაპირ პასუხზე ოცნებასაც ვერ გავბედავ. გარდა ამისა, ისედაც უკვე ბევრი დრო წაგართვით ამ გრძელი წერილით, რომელიც, რა თქმა უნდა, შეცდომებითა და აბსურდულობითაა სავსე. როდესაც დავიწყე, ვფიქრობდი, რომ ეს ნამდვილი „homme“⁵ იქნებოდა. უკვე მერამდენედ, ერთბაშად ისევ თვალწინ დამიდგა ის გამოცხადება, რაც თქვენ ხართ ჩემთვის და დარჩებით სამარადჟამოდ. მე დამავიწყდა, რომ ასეთი განცდები, რომლებიც გასდევნ ნლებს, მთელ ცხოვრებას, უამრავ ადგილსა და

ვითარებას, ვერასდროს მოიყრიან ერთბაშად თავს ერთ(!) წერ-
ილში. მადლობა ღმერთს, რომ დამავინწყდა. მაშინ ხომ ამ უსუსურ
სტრიქონებსაც აღარ დავწერდი. ხომ აქ მიწყვია ჩემი ნაწერი
სავსე ფურცლები, რომელთა გამოგზავნა მათი მრავალსიტყვაო-
ბისა და მოურიდებლობის გამო, ვერასდროს გავბედე, ხომ აქ
მიძევს ლექსების ორი რვეული⁶, როგორც დაშიფრული სიტყვა
მწერლისათვის. და ასევე ვტოვებ, რადგან მეშინია, რომ ერთხ-
ელაც აზრად მოგივათ ამ დაშიფრული სიტყვის წაკითხვა. მაგრამ
ეს ყოველივე ზედმეტი გახდება, როდესაც გეტყვით ყველაზე უმ-
თავრესს: მე თქვენ მიყვარხართ, როგორც პოეზია უნდა გვიყვარ-
დეს, როგორც პოეზიას ნებავეს, გვიყვარდეს, როგორც კულტურა
ზეიმობს თავის გზაზე საკუთარ მწვერვალებს, განცვიფრებუ-
ლი, აღფრთოვანებული. მე თქვენ მიყვარხართ და ვამაყობ, რომ
ჩრდილს არ მოგაყენებთ ჩემი სიყვარულით არც მე და არც ჩემი
უდიდესი და, ალბათ, ერთადერთი მეგობარი ქალი, ვისი სახელი
უკვე გაუნწყეთ. და თუ ინებებთ, რომ თქვენი ავტოგრაფით მომანი-
ჭოთ ბედნიერება, მაშინ გთხოვდით, ისარგებლოთ ისევ ცვეტაე-
ვას მისამართით. შვეიცარიიდან წერილების მიღება აქ სათუთა.

თქვენი ბორის პასტერნაკი

რილკე მარინა ცვეტაევას

ამჟამად: ვალ-მონტი, ლიონის მხარე,

შვეიცარია, 3 მაისი 1926 წ.

ძვირფასო პოეტო ქალო!

ეს-ეს არის მივიღე ბორის პასტერნაკის უსასრულოდ
შთამბეჭდავი, სიხარულითა და მღელვარებით სავსე წერილი. მთე-
ლი ის მღელვარება და მადლიერება, რასაც მისი წერილი ჩემში აღ-
ძრავს, უპირველესად თქვენკენ უნდა წარმოდინდეს — ასე გავიგე
მე მისი სტრიქონები, — და შემდეგ თქვენგან, თქვენის მეშვეობით
კვლავ მისკენ აიღოს გეზი. ორივე ეს წიგნი (ჩემი უკანასკნელად
გამოცემული წიგნები), ამ წერილს რომ მოჰყვება მალე, *თქვენია*,

თქვენ გეკუთვნით. შემდეგ კიდევ ორ ეგზემპლარს მიიღებთ, რაც კიდევ გამაჩნია, აი, ეს ბოლო ორი კი გაუგზავნეთ ბორის პასტერნაკს, უკეთუ ცენზურა გაუშვებს. იმდენად შეძრული ვარ მისი წერილის ძალითა და სისავსით, რომ დღეს სხვა აღარაფრის თქმა არ შემიძლია; წერილს დართული ცალკე ფურცელიც გაუგზავნეთ მეგობარს მოსკოვში, როგორც სალამი და მოკითხვა ჩემგან. უნდა მოგიყვებო? ალბათ იცით, რომ უფლება მაქვს, ბორისის მამა ლეონიდ ო. პი. (რომელსაც 26 წელიწადზე მეტია მოსკოვიდან ვიცნობ) ჩემს უერთგულეს მეგობრებს მივათვალო. ხანგრძლივი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამ ზამთარს (ზამთრის დამდეგს) უცებ მიპოვა მისმა ერთ-ერთმა (ბერლინიდან გამოგზავნილმა) წერილმა და მეც იმ სიხარულით გავეპასუხე, რაც ამ ერთმანეთის კვლავპოვნამ მოგვანიჭა; მაგრამ Леонид Осипович-ის ნაცნობობა არ დამჭირვებია იმის შესატყობად, რომ ამასობაში მისი ვაჟი სახელიანი და ძლიერი პოეტი გახდა. მისი ნაწერები უკვე შარშან (პარიზში) მიჩვენეს მეგობრებმა და მეც გულაჩუყებულმა დიდის მღელვარებით წავიკითხე (რადგან რუსულად ჯერ ისევ ვკითხულობ, თუმცა მცირე გონს მოსვლა და ნაწარჯიშება მჭირდება ხოლმე. წერილები უფრო მეადვილება). იმ რვა თვის განმავლობაში, რაც პარიზში ვიცხოვრე, კვლავ შევხვდი ჩემს რუს მეგობრებს, ოცდახუთი წელი რომ არ მენახა. მაგრამ, რატომ — ახლა ვეკითხები ჩემს თავს — რატომ არ მომეცა შესაძლებლობა, თქვენ შეგხვედროდით, Марина Ивановна Цветаева? ბორის პასტერნაკის წერილი მაფიქრებინებს, რომ ეს შეხვედრა ჩვენ ერთავეს უღრმეს, უშინაგანეს სიხარულს მოგვანიჭებდა. აღვადგენთ კი როდისმე იმას, რაც გამოვტოვეთ?!

რაინერ მარია რილკე.

ფრანგული გერმანულივით ახლობელია ჩემთვის. ამას იმ შემთხვევისთვის მოგახსენებთ, თუკი ფრანგული, თქვენი მშობლიური ენის შემდეგ, ყველაზე უფრო გეადვილებათ.

რილკე ბორის პასტერნაკს

ვალ-მონტი, ლიონის მხარე,
(ვო), 3 მაისი 1926 წ.

ჩემო საყვარელო ბორის პასტერნაკ,

თქვენი სურვილი მაშინვე ასრულდა, როგორც კი თქვენი ეგზომ უშუალო წერილი ფრთების ცემით მონაბერი ქარივით შემომეხვია: „ელეგები“ და „სონეტები ორფევსისადმი“ უკვე პოეტი ქალის ხელთაა. იგივე წიგნების სხვა ეგზემპლარებს თქვენც უახლოეს ხანში მიიღებთ. როგორ გიმადლით, რომ დამანახეთ და მაგრძნობინეთ, თუ რა გიმრავლებიათ თქვენს არსებაში ასე საოცრად. ის, რომ თქვენ ძალგიძთ თქვენი სულის ეგოდენ დიდი ნამატი ჩემკენ მომართოთ, თქვენი ნაყოფიერი გულის ნამდვილ აღზევებას მოწმობს. გფარავდეთ ღმერთი ყველანაირი განსაცდელისაგან.

თქვენი რაინერ მარია რილკე.

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი,
9 მაისი, 1926 წ.

რაინერ მარია რილკე!

შემიძლია, ასე მოგმართოთ? თქვენ, განსხეულებულმა პოეზიამ ხომ უნდა უწყოდეთ, რომ თქვენი სახელი — უკვე ლექსია. რაინერ მარია: ეს ჟღერს ტაძრულად — და ბავშვურად — და რაინდულად. თქვენი სახელი დროს არ ერითმება — ძალზედ ადრეული ხანიდან მოდის, ან გვიანდელიდან — *ოდესმე*დან. თქვენმა სახელმა ინება ეს, და თქვენ აირჩიეთ ეს სახელი (საკუთარ სახელებს თავადვე ვირჩევთ, რაც მერე მოდის — მოსდევს).

თქვენი ნათლობა თქვენი პიროვნების პროლოგი იყო, და ქურუმმა, ვინც მოგნათლათ, ნამდვილად არ უწყოდა, თუ რას იქმნოდა.

* * *

თქვენ არა ხართ ჩემი უსაყვარლესი პოეტი (უსაყვარლესი — საფეხური), თქვენ ბუნების მოვლენა ბრძანდებით, რომელიც არ შეიძლება ჩემი იყოს და რომელიც კი არ უყვართ, არამედ უძლებენ, ან (ესეც მეტისმეტად ცოტაა) განსხეულებული მეხუთე სტიქია ხართ: თავად პოეზია, ანდა (ესეც ძალზე ცოტაა) ის, რაც ბადებს პოეზიას და რაც პოეზიაზე (თქვენზე) მეტია.

ლაპარაკია არა რილკე-ადამიანზე (ადამიანი: ის, რაც იძულებულნი ვართ ვიყოთ!), არამედ რილკე-სულზე, რომელიც აღემატება თავად რილკესაც და ჩემთვის სწორედაც რომ რილკეს ნიშნავს: ხვალინდელ, ზეგინდელ რილკეს.

თქვენი თავი ჩემი თვალებით უნდა დაინახოთ, თქვენი სიდიდე — მათი სიფართოვით, როდესაც გიმზერთ: ამ სიშორიდან.

რალა უნდა გააკეთოს პოეტმა თქვენს შემდეგ? ოსტატი (მაგალითად: გოეთე) შეიძლება დაძლიოს კაცმა, მაგრამ თქვენი დაძლევა — ეს ხომ პოეზიის დაძლევას ნიშნავს. პოეტი არის ის, ვინც ცხოვრებას ძლევს (უნდა დაძლიოს).

თქვენ შეუძლებელი ამოცანა ხართ მომავალი პოეტებისთვის. თქვენს შემდეგ მოსული პოეტი *თქვენ* უნდა იყოთ, ანუ კვლავ უნდა დაიბადოთ, ისევ და ისევ.

თქვენ სიტყვებს ანიჭებთ მათ პირვანდელ აზრს, და საგნებს — მათ *პირვანდელ* სიტყვებს (ღირებულებებს). მაგალითად, როდესაც ამბობთ: *დიდებულიო, დიადგვარობას* (სიდიადეს) გულსხმობთ, იმას, რაც იგულისხმებოდა თავდაპირველად (ახლა კი „დიდებული“ ცარიელი შეძახილია და სხვა არაფერი!).

რუსულად უფრო ნათლად გეტყვოდით ამ ყოველივეს, მაგრამ არ მსურს ზედმეტად გაგსარჯოთ კითხვისას, მირჩევნია, მე გავისარჯო წერისას.

* * *

პირველი, რამაც თქვენი წერილის წაკითხვისას სიხარულის უმაღლეს კოშკზე ამტყორცნა (არა — ამზიდა, არა — აღმმართა), იყო სიტყვა *May* (მაისი), რომელსაც თქვენ ასო *y*-თი ძველი კეთილშობილება დაუბრუნეთ: *Mai*, *i*-თი, შეეფერება პირველ მაისს — არა მშრომელთა დღესასწაულს, რომელიც ოდესმე მშვენიერი

იქნება (შეუძლია იყოს), არამედ დანიშნულთა და შეყვარებულთა (არ ვამბობ ძალიან ავად) მოთვინიერებულ, ბურჟუაზიულ მაისს.

რამდენიმე მოკლე ბიოგრაფიული (მხოლოდ აუცილებელი) ცნობა: რუსული რევოლუციიდან (არა რევოლუციური რუსეთიდან, რევოლუცია ცალკე ქვეყანაა, საკუთარი — მარადიული კანონებით!) გავემგზავრე — ბერლინის გავლით⁷ — პრალაში, თქვენი წიგნებიანად. პრალაში პირველად წავიკითხე თქვენი „ადრეული ლექსები“⁸. ასე შემიყვარდა პრალა — პირველსავე დღეს — როგორც თქვენი სტუდენტობის ადგილი.

პრალაში 1922 წლიდან 25 წლამდე დავრჩი, სამი წელი, 1925 წლის ნოემბერს კი გავემგზავრე პარიზში. მაშინ ჯერ კიდევ იქ იყავით?

იმ შემთხვევაში, თუ იქ იყავით:

რატომ არ მოვედი თქვენთან? რადგან თქვენ ჩემი უსაყვარლესი რამ ხართ ამქვეყნად. სრულიად უბრალოდ. და — რადგანაც მე არ მიცნობდით. მტანჯველი სიამაყის გამო, მონიწების გამო შემთხვევის (ბედისწერის) მიმართ, სიმბდალის გამო — რომ არ მსურდა გამეძლო თქვენი უცხო შემოხედვისთვის — თქვენი ოთახის ზღურბლზე (ხომ არ შეგეძლოთ უცხო მზერით არ შემოგვხედათ, და ეს კიდევ რომ ყოველი ადამიანისთვის განკუთვნილი მზერა ყოფილიყო — მაინც ხომ უცხო იქნებოდა!).

კიდევ ერთი რამ: თქვენ მე ყოველთვის რუსადა აღმიქვამთ, მე კი — თქვენ — წმინდა-ადამიანურ (ლეთაებრივ) მოვლენად. ეს არის ჩვენი მეტისმეტად ინდივიდუალური ეროვნულობის სიძნელე — რომ ყველაფერს, რაც ჩვენში *მე-ა*, ევროპელებისთვის მას რუსი ჰქვია.

(ასევე ვართ ჩვენც ჩინელთა, იაპონელთა, ზანგთა მიმართ — ძალიან შორეულთა ან ძალიან ველურთა მიმართ).

რაინერ მარია, არაფერი დაკარგულა, გაისად (1927 წელს) მოდის ბორისი, და გინახულებთ — სადაც არ უნდა იყოთ. ბორისს ნაკლებად ვიცნობ. და მიყვარს იგი, როგორც შეიძლება უნახავი (უკვე ყოფილი ან მომავალი: მომდევნო), აროდეს ნანახი და აროდეს ყოფილი უყვარდეს ადამიანს. ის არც ისე ახალგაზრდაა,

33 წლის⁹ უნდა იყოს, მაგრამ — ბავშვური. არაფრით ჰგავს საკუთარ მამას (ყველაზე კარგი, რაც შეიძლება ვაჟმა გააკეთოს), მე დედის ჯიშზე წასული ვაჟების მჯერა. თქვენც ასეთი ბრძანდებით. ქალური შტოს მამაკაცი — ამიტომაც ესოდენ მდიდარი (ორგვაროვანი).

ის რუსეთის პირველი პოეტია. მე ვიცი ეს და იცის კიდევ რამდენიმემ. დანარჩენები კი მის სიკვდილს უცდიან.

* * *

თქვენს წიგნებს ისე ველოდები¹⁰, როგორც მოახლოებულ ავადარს, რომელიც მინდა თუ არა — თავს დამატყდება. როგორც გულის ოპერაციას (მეტაფორა არ არის! ყოველი ლექსი (შენი) გულს მიკვეთს და მიტვიფრავს თავისი ცოდნის მიხედვით — მინდა თუ არა).

არაფრის სურვილი!

იცო, რატომ მოგმართავ შენობით, და რისთვის მიყვარხარ — და-და-და- რადგან ძალა ხარ. უიშვიათესი.

* * *

ნუ მიპასუხებ, ვიცი, რას ნიშნავს დრო, და ვიცი, რა არის ლექსი. ისიც ვიცი, რა არის წერილი. მაშ ასე.

ათი წლის გოგონა (1903) ეო-ში, ლოზანაში ვიყავი. და ჯერ კიდევ ბევრი რამ მახსოვს. პანსიონატში ერთი ჩვენზე უფროსი ზანგი გოგონა გვყავდა, რომელსაც ფრანგული უნდა შეესწავლა. არაფერს სწავლობდა და იებს ნთქავდა. ჩემი უსაშინელესი მოგონება: ლურჯი ტუჩები — ზანგის ტუჩები არ არის წითელი, და — ლურჯი იები. შენევის ლურჯი ტბა მერე მოდის.

* * *

რა მინდა შენგან, რაინერ? არაფერი. ყველაფერი. რომ ნება დამართო ყოველ წუთს შენ ამოგაპყრო თვალი — როგორც მთას, მე რომ მიფარავს (მფარველი ქვის ანგელოზი). ვიდრე არ გიცნობდი, ეს ასე იყო, ახლა კი, როდესაც გიცნობ — შენი ნებართვაა საჭირო.

რადგან ჩემი სული კარგადაა აღზრდილი.

* * *

წერით კი მსურს მოგწერო — გსურს შენ თუ არა. შენს რუსეთზე (მეფეთა კარზე და ბევრ სხვა რამეზე).

შენი რუსული ასოები. გულის აჩუყება. მე, ინდიელის არ იყოს, არასდროს ვტირი, მე თითქმის...

* * *

შენი წერილი ოკეანის პირას წავიკითხე, ოკეანეც ჩემთან ერთად კითხულობდა, ორივენი ვკითხულობდით. ხელს ხომ არ გიშლის ასეთი თანამკითხველი? სხვაგვარი არასდროს არ იარსებებს — მე მეტისმეტად ეჭვიანი ვარ (შენს მიმართ — უეჭველად).

* * *

აი, ჩემი წიგნები¹¹ — წაკითხვა არ არის საჭირო — შენს საწერ მაგიდაზე დააწყვე და ერწმუნე ჩემს სიტყვას: ისინი ჩემამდე მანდ არ ყოფილან (სამყაროს ვგულისხმობ, არა მაგიდას).

10 მაისი, 1925 წ.

იცით, დღეს (10-ში) როგორ მივიღე თქვენი წიგნები? ბავშვებს ჯერ კიდევ ეძინათ (დილის 7 საათზე), უცბად წამოვხტი და კარისკენ გავიქეცი. იმავე წუთს — უკვე ხელი მქონდა კარის სახელურზე — ფოსტალიონმაც მომიკაკუნა: პირდაპირ ხელზე.

ჩემი შესტილა უნდა დამესრულებინა და ჯერ ისევ მოკაკუნე ხელიდან წიგნები მიმეღო.

ჯერ არ გადამიშლია, რადგან მაშინ ეს წერილი დღეს ველარ დამთავრდება — არადა, უნდა გამოფრინდეს.

როდესაც ჩემი ქალიშვილი (არიადნა) ჯერ კიდევ სულმთლად პატარა იყო — რალაც ორი, სამი წლის — ხშირად მეკითხებოდა ხოლმე ძილის წინ — „А ты будешь читать Рейнеке?“

რეინეკე — ასე ჟღერდა მისთვის, მის ბავშვურ-სწრაფ-სმენაში ეს სიტყვა: რაინერ მარია რილკე. ბავშვებს არ ესმით ინტერვალების აზრი.

* * *

მინდა Vandée-ზე¹² მოგწერო, ჩემს ჰეროიკულ, ფრანგულ სამ-შობლოზე (ყოველ ქვეყანასა და საუკუნეში სულ ცოტა — ერთი მაინც, არა?). აქ ამ სახელის გამო ვიმყოფები. როდესაც კაცს ჩემსავით არც ფული აქვს, არც დრო, ყველაზე აუცილებელს ირჩევს: ყველაზე საჭიროს.

* * *

შვეიცარია რუსებს არ იღებს. მაგრამ მთებმა უკან უნდა დაიხიონ (ანდა გაიპონ!), რათა ბორისი და მე მოვიდეთ შენთან!

მე მჯერა მთების¹³ (შენი სტრიქონები — ჩემებურად შეცვლილი, რაც საბოლოოდ არც არის ცვლილება, — რადგან მთები და ღამეები ერთმანეთს ეწყვილებიან: ხომ მეთანხმები?).

მარინა ცვეტაევა

[მინაწერი]

თქვენი წერილი ბორისისადმი დღესვე გაიგზავნება — დაზღვეული და ყველა ღმერთს მიბარებული. რუსეთი ჩემთვის ჯერ ისევ რალაცნაირი საიქიოა.

რილკე მარინა ცვეტაევას

ვალ-მონტი, ლიონის მხარე,

(ვო) შვეიცარია,

10 მაისი, 1926 წ.

მარინა ცვეტაევა, განა ახლახან არ იყავით აქ? ან სად ვიყავი მე? ჯერ ისევ ათი მაისია — და საოცარია, მარინა, Марина, — ეს რიცხვი დაგინერიათ (წინასწარ ისროლეთ, დროში, წინასწარ გასტყორცნეთ უჟამო წუთში, როდესაც მე უნდა წამეკითხეთ!). თქვენი წერილის ბოლო სტრიქონების თავზე. ათში ელოდით ჩემი წიგნების მიღებას გაღებული კარიდან (როგორც წიგნს გადაშლიან ხოლმე)... იმავე ათ რიცხვში, დღეს, სულის მარადიულ დღევანდელ დღეს, დღეს, მარინა, მიგიღე ჩემს არსებაში, მთელს

ჩემს ცნობიერებაში, რომელიც ისე აზვირთდა შენით, შენი აქ მოსვლით, თითქოსდა შენი თანამკითხველი, ოკეანეც თან მოგყოლოდეს, გულის მოქცევავე, წყალდიდობავე, და შენთან ერთად დამტყდომოდეს თავს. რა გითხრა? შენ ხელები გამომიწოდე, და ისევ გულზე დაიკრიფე, შენი ხელები, მარინა, ჩემს გულში ჩამოჰყავი, როგორც მედინი წყაროს აუზში და ახლა შენსკენ მოედინება, ვიდრე ისევ იქ ძირავ ხელებს, ალელვებულები წყლის ნაკადი, გადმოდის და იღვრება შენსკენ... მიიღე იგი. რა უნდა გითხრა, ჩემი სიტყვები (თითქოს ისინი შენს წერილში იყვნენ ყველანი და უცდიდნენ სცენაზე გამოსვლას), ჩემი ყველა სიტყვა ერთდროულად მოილტვის შენსკენ, ერთმანეთს ასწრებს. განა ხალხი ასე იმიტომ არ გამორბის თეატრიდან, რომ იმდენი შეთავაზებული სინამდვილის შემდეგ ფარდას ველარ იტანს? — მეც ასევე მიმძიმს შენი წერილის დახურვა (გავშლი, დაკეცე, გავშლი დაკეცე), მაგრამ, ნახე, ეს ფარდაც რომ ნუგეშს იძლევა! შენი ლამაზი სახელის გვერდით, ამ აღმტაცი St-Gilles-sur-vie-ს (survie!¹⁴) გვერდით ვილაცას დიდი, ალერსიანი, ლურჯი შვიდიანი დაუნერია (ასე: ?!), შვიდი — ჩემი კურთხეულ-მწყალობელი რიცხვი! ატლასი გადავშალე (რადგან გეოგრაფია ჩემთვის სახმარი საგანია და არა მეცნიერება!) და უკვე შეყვანილი ხარ, მარინა, ჩემს შინაგან რუკაზე: სადღაც მოსკოვსა და ტოლედოს შორის სივრცე შევქმენი შენი ოკეანის მოზღვავეებისთვის. სინამდვილეში კი შენ კუნძულ d'ie-ს¹⁵ ხედავ, შენსკენ მოქცეულ Pointe de Corbeau-ს¹⁶... და არიადნა (რამდენი წლისაა? სადამდე გწვდება?) შენთან ერთად იყურება იქით, და... „ბავშვები“, ამბობ, „ბავშვები“ — მრავლობით რიცხვში? და 1903 წელს, როდესაც როდენს დავშორდი¹⁷, შენ ხომ პატარა გოგონა იყავი, რომლის მოსაძებნადაც უპირველესად ლოზანაში წავალ (ეჰ, ზანგ გოგოს უფრო შევხვდები, თუკი იებით მივიტყუებ. ასეთი ვნახე იგი ობერჟონუას ნახატზე... შენ როგორი დაგინახო?).

პოეტო, გრძნობ, როგორ დამძლიე? შენ და შენმა დიდებულმა თანამკითხველმა. მეც შენსავით ვწერ და წინადადებიდან ორი საფეხურით ქვემოთ ჩავდივარ შენსავით — ფრჩხილების შუალედურ სენაკში, სადაც ასეთი დაბალი ჭერია და ადრეული ვარდების სურნელი მეფობს, სურნელი, რომელიც არ იფანტება. მარინა: როგორ დავსახლდი შენს წერილში და რა საოცარია, რომ

შენი სიტყვის კამათელი, გადაგდების შემდეგ, ერთი საფეხურით უფრო ღრმად ვარდება და მიჩენს შემავსებელ, საბოლოო (ხშირად უფრო დიდ) რიცხვს. ბუნების ძალაა, განა, საყვარელო, რაც მეხუთე სტიქიონის მიღმა დგას, და მას ამღელვარებს, შლის და კუმშავს? და მეც ისეთი განცდა მქონდა, თითქოს შენგან ბუნება შემესიტყვა და დასტური მითხრა: — მთელი მოდასტურე ბალი ერთი წყაროს ირგვლივ გაშლილი, კიდევ რის ირგვლივ? — მზის საათისა. როგორ თავს დამქრი, თავს დამბიბინებ შენეული სიტყვის ზაფხულის მაღალი ფლოქსით.

მაგრამო, ამბობ, საქმე არ ეხება რილკე-ადამიანსო: მეც განხეთქილება მაქვს მასთან, ძვირფასო, მის სხეულთან, რომელთანაც მუდამ ისეთ წმინდა თანხმობაში შემეძლო ყოფნა, რომ ხშირად არც ვიცოდი: ვინ უფრო ბედნიერად ახერხებდა პოეტობას: ის, მე თუ ორივენი ერთად? (ტერფი და ქუსლი, ნეტარნი, რა ხშირად ნეტარებდნენ ერთად სიარულით ყველგან, დედამინაზე: პირველ-ცოდნით, წინარე-ცოდნით, თანა-ცოდნით, ცოდნასაც რომ სცილდება) და აი, ახლა: გაორება, უთანხმოება: სული სხვაგვარად შემოსილი, სხეული — შეფუთული, სხვაგვარად. დეკემბრიდან მოკიდებული ამ სანატორიუმში ვარ და ექიმსაც არ ვუშვებ ჩაერიოს ჩემი თავის ჩემს თავთან ურთიერთობაში, ვერავითარ შუამავალს რომ ვერ იტანს (ვერავითარ აქეთ-იქით-მტარებელს, რომელიც აუცილებლად წარმოშობს მანძილს, ვერავითარ მთარგმნელს, რომელიც ამ ურთიერთობას ორ ენაზე თარგმნიდა) (მოთმინება, ხანგრძლივი, დაძენილი, ისევ გამთელებული...) ჩემი საცხოვრებელი ადგილი, მიუზო (ხსნად რომ მომეველინა ომის ორომტრიალის შემდეგ), აქედან ოთხი საათის სავალ მანძილზეა: ჩემი (შეიძლება, სიტყვასიტყვით გიპასუხო?)... „ჩემი ჰეროიკული, ფრანგული სამშობლო“. შეხედე: თითქმის ესპანეთი, პროვანსი, რუანის ველი. Austère et mélodieux¹⁸; ერთი მაღლობი, ძველ კოშკთან შერწყმული...

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი,

12 მაისი 19262 წ.

საიქიოს (არა ეკლესიურად, არამედ, უმაღლ-გეოგრაფიულად) უკეთესად იცნობ, ვიდრე სააქაოს; იცნობ ტოპოგრაფიულად თავის მთებიან-კუნძულებიან-ციხე-ქალაქებიანად.

სულის ტოპოგრაფია — ესა ხარ შენ. და შენი წიგნით¹⁹ (ოჰ, ის არ იყო წიგნი, ის გახდა წიგნი) სილატაკის, მსხემობისა და სიკვდილის შესახებ უფრო მეტი გააკეთე ღმერთისთვის, ვიდრე ყველა ფილოსოფოსმა და ქადაგმა ერთად.

ქურუმები მხოლოდ ხელისშემშლელნი არიან ჩემსა და ღმერთს (ღმერთებს) შორის. შენ, შენა ხარ მეგობარი, რომელიც აღრმავებს და ამალღებს იმ დიადი წუთის სიხარულს, ამ ორს (მარადიულ ორს) შორის რომ ჩამოდგება ხოლმე; მეგობარი, ურომლისოდაც ვერ იგრძნობ მეორეს, და ვინც ორივეს სჭირდება, უყვარს.

ღმერთი. მხოლოდ შენ უთხარი ღმერთს რაღაც ახალი. შენ ხარ აშკარა, გამოთქმული იოანე-ქრისტეს ურთიერთობა (გამოთქმელი ორივე მხრიდან). მაგრამ შენ მამის რჩეული ხარ, არა ძისა, შენ მამა ღმერთის (ვისაც ასეთი ვინმე არა ჰყოლია) იოანე ხარ. შენ მამა აირჩიე, რადგან ის უფრო მარტოსული იყო და შესაყვარებლად შეუძლებელი.

არა, დავითი — არა. დავითს მთელი თავისი ძალის მთელი მორიდებულობა ავსებდა, შენ კი — შენი ძალის მთელი შემართება და ხელაღება.

სამყარო მაშინ ძალზე ნორჩი იყო. ყველაფერი უნდა მომხდარიყო — რომ შენ მოსულიყავ.

შენ გაბედე და ისე შეიყვარე (გამოთქვი!) მამა ღმერთი, როგორც ვერასდროს გაბედა იოანემ ადამიანური ძის შეყვარება. იოანეს უყვარდა ძე მკლავებით (სამუდამოდ რომ დაემალა თავის სიყვარულს იესოს მკერდში), თვალებით, საქმით. სიტყვა — სიყვარულის ჰეროიკაა, სიტყვა, რომელსაც მუდამ უტყვავ (წმინდად ქმედითად) ნებავს ყოფნა.

ნეტავ, თუ იგებ ამ ჩემს ცუდ გერმანულს? ფრანგულად წერა გაცილებით მეადვილება, ამიტომაც არ მსურს ფრანგულად მოგ-

წერო. ჩემგან შენსკენ არაფერი არ უნდა წარმოდინდეს ადვილად, სრიალ-სრიალით. შეიძლება მხოლოდ გამოფრინდეს! თუ არადა — სჯობს იბორძიკოს.

იცი, რა მემართება შენი ლექსების კითხვისას? პირველ წამს ყველაფერი ვიცი — შემდეგ — ღამე: აღარაფერი — შემდეგ: ღმერთო, რა ნათელია! — და როცა უნდა უკვე მივწვდე (ალეგორიულად არა, თითქმის ხელით) — წაიშლება ხოლმე: ნაბეჭდი სტრიქონებილა რჩება. ელვა ელვაზე (ელვა-ღამე-ელვა), აი, ასე მემართება, როცა გკითხულობ. ალბათ, შენც ასე ხარ, როცა შენს თავს წერ.

„რილკე ადვილი გასაგებია“ — ასე ბრძანებენ მათთვის ჩვეული ნათელმხილველური მედიდურობით ანთროპოსოფები²⁰ და სხვა მისტიკური სექტანტები (არაფერი მაქვს მათი საწინააღმდეგო, სოციალიზმს მაინც სჯობია — მაგრამ...). „ადვილი გასაგები“: დაქუცმაცებული, ნამცეც-ნამცეც: რილკე-რომანტიკოსი, რილკე-მისტიკოსი, რილკე-მითების ბერძენი და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ, აბა სცადეთ მთლიანი რილკეს წვდომა. აქ მთელი თქვენი ნათელხილვა ვერას გიშველით. სასწაულს ნათელხილვა არ სჭირდება. არის და მორჩა. ყველა გლახიცი დაინახავს — თვალებით, დაადასტურებს. სასწაული: ხელშეუხები: მიუწვდომელი.

ორი ღამეა ვკითხულობ შენს „ორფევსში“ (შენი „ორფევსი“ ქვეყანაა, ამიტომაც: „ში“) და სწორედ ახლა მივიღე პარიზიდან ერთი წმინდად ლიტერატურული, რუსული გაზეთი (ჩვენი ერთადერთი ასეთი გაზეთი უცხოეთში)²¹, ასეთ სტრიქონებს რომ შეიცავს:

„აქედან („პოეტები კრიტიკის შესახებ“ — ჩანაწერები, პროზა) ვგებულობთ, რომ ქალბატონი ცვეტაევა დღემდე უნუგემოდ დასტირის ორფევსის სიკვდილს, და მრავალ სხვა სასაცილოსაც ამჟღავნებს...“

ერთი კრიტიკოსი წერდა ბლოკზე: „ამ ოთხმა წელმა, პოეტის სიკვდილს რომ გვაშორებს, შეგვარიგა კიდევ ამ სიკვდილთან. დიახ, — თითქმის ნუგეშიც გვაპოვინა“.

მე ვუპასუხე: „თუკი ოთხი წელი საკმარისია ისეთი პოეტის სიკვდილთან შესარიგებლად, როგორც ბლოკია, მაშინ როგორღაა

პუშკინის (1836)²² საქმე, ანდა ორფევსის (??)? ყოველი პოეტის სიკვდილი, რა ბუნებრივიც არ უნდა იყოს, მაინც ანტიბუნებრივია მუდამ, ანუ მკვლელობაა, ამიტომაც არასდროს მთავრდება, არასდროს წყდება: ის წამი მარად, მარად გრძელდება. პუშკინი, ბლოკი და ყველა ერთად რომ დავასახელოთ — ორფევსი არ შეიძლება მოკვდნენ, რადგან ამ წუთშიც (მარადიულად!) კვებიან. В каждом любящем заново, и в каждом любящем – вечно. ამიტომ — არავითარი ნუგეში! ვიდრე ჩვენ თავად არ გარდავიცვლებით (დაახლოებით ასე, რუსულად უკეთესი იყო).

ცხადია, ჩემი პასუხი „ლიტერატურას“ (belles lettres) არ ეკუთვნის, ამიტომაც დამცინეს. ეს რომ ლექსად მეთქვა (აქაოდა, პოეტი (სულელი!)), რომელიც ქვემოთ ეშვება: პროზაში), ეს რომ ლექსად მეთქვა, გაჩუმდებოდნენ და — ამოიოხრებდნენ კიდევ (ძველი ლეგენდა ორფევსზე და ცხოველებზე. ნეტავ იმ ცხოველებში სახედრებიც ერივნენ?).

ხომ გესმის, რომ ჩემი შეურაცხყოფა შეუძლებელია, რადგან მე ქალბატონი ცვეტაევა არა ვარ, როგორც მათ ჰგონიათ; მაგრამ ნაღვლიანი კი ვარ: ო, პოეტისა და ბრბოს ეს მარადიულად განმეორებადი ისტორია, ბრბოსი, რომელსაც ასე სიამოვნებით მოიშორებდი თავიდან!

შენი „ორფევსი“. პირველი სტრიქონი:

„ხე აღიმართვის. ო, სინმინდე ამაღლებისა!“²³

აი, სწორედ ეს არის დიდებულება. და როგორ ვიცი ეს ყოველივე! ხე თავისთავზე უფრო მაღალია, თავისთავს აღემატება, ამიტომაცაა ასეთი მაღალი. ერთი იმ ხეთაგანი, რომელთაც ღმერთი, საბედნიეროდ, მზრუნველად არ დასტრიალებს თავს (თავიანთ თავს თვითონ უვლიან!) და რომლებიც პირდაპირ ზეცას შეეზრდებიან ხოლმე, სამოცდამეათე ცას. ჩვენ, რუსებს შვიდი გვაქვს: Быть на седьмом небе от радости. Видеть седьмой сон. კვირას ძველ-რუსულად — седмица ჰქვია. Семь одного не ждут. Семь Симеонов. (ზღაპარი). 7 — რუსების რიცხვია! ო, კიდევ ბევრია ასეთი: Сем бед – один ответ და სხვაც მრავალი.

სიმღერა არის არსებობა (აქ-ყოფნა, ვინც არ მღერის, ჯერ არ არის, მოსასვლელია!).

„მძიმეა მთები, მძიმეა ზღვები...“²⁴ (თითქოს ბავშვს ანუგეშებ,

ამხნევებ). და თითქმის გელიმება მის უმეცრებაზე:

...მაგრამ ჰაერთა მიმორხევა, მაგრამ სივრცენი...

ეს სტრიქონები წმინდა ინტონაცია (ინტენცია²⁶) მაშასადამე, წმინდა ანგელოზური მეტყველება (ინტონაცია: ინტენცია, რომელიც გახმიანდა, განსხეულებული ინტენცია).

...რა საჭიროა სხვა სახელთა გამოგონება²⁶

ეს ორფეუსია: ან და მარადის,

როდესაც მღერის...

(ანუ როდესაც კვდება — პოეტებს შორის, ის, რასაც წელან ვგულისხმობდი).

* * *

„აქაურია?“²⁷ და უკვე იგრძნობა მოახლოებული არა. ო, რაინერ, არა მჭირდება ამორჩევა (ამორჩევა — ჩხრეკაა და წრიალი და სიმწირე). არ შემოძლია ამორჩევა, ვიღებ პირველსავე ბრწყინვალე სტრიქონებს, რომლებიც სმენაში მიხმიანებს, თითქოს პირდაპირ სასმენელში ჩამინერე შენი სიტყვები და მეც სმენით ნაგიკითხე.

„ეს სიამაყე, ამოზრდილი დედამიწიდან“²⁸ (ცხენი, ამოზრდილი დედამიწიდან). რაინერ! ჩემს წიგნს მიიღებ — „ხელობა“-ს („Ремесло“), იქ იპოვი წმინდა გიორგის, რომელიც თითქმის ცხენია, ცხენი კი — თითქმის მხედარი. მე მათ არ ვაცალკევებ, არც ვასახელებ. შენი მხედარი! რადგან მხედარი როდია იგი, ვინც მიაჭენებს, მხედარი ორივე ერთადაა, ცხენიც და კაციც, ახალი ფიგურა, რაღაც ისეთი, რაც აქამდე არა ყოფილა. არა ცხენოსანი და ცხენი, არამედ ცხენი — ცხენოსანს, ცხენოსანი — ცხენს: მხედარი.

* * *

შენი ჩანაწერი (ასე უნდა ვთქვა? არა. ალბათ — მინაწერი) ფანქრით — სამი საყვარელი, მსუბუქი სიტყვა: An einen Hund²⁹ (ძაღლს). საყვარელო, ამ ლექსმა ჩემი ცხოვრების მეთერთმეტე წელიწადში, ჩემი ბავშვობის გულისგულში დამაბრუნა. მაშასადამე, შვარცვალდში დამსვა. და აი, გამგე (ქალბატონი ბრინკი ერქვა და საზარელი იყო) ბრძანებს: „ამ ეშმაკის ნაშიერს, მარინას, ყველაფერი უნდა აპატიო, როდესაც „ძაღლი“ ამბობს!“ (ძაღლი

— ალტაცების, გულაჩუყების, სურვილისგან ანკავნკავებულ-აყ-მუვლებული, სამი უ-უ-უ-თი. ჯიშიანი ძაღლები არა ყოფილან, ქუჩის ძაღლები იყვნენ!).

რაინერ! უწმინდესი ბედნიერება, ბედნიერ-ყოფნა: — შუბლი, ძაღლის შუბლზე მიდებული, თვალი — ძაღლის თვალში გაყრილი, და ძაღლი გაკვირვებულ-დამორცხვებულ-ნასიამოვნები (ყოველ-დღე ხომ არ ხდება ასეთი რამ!) *ნკშუტუნებს*. და შემდეგ პირს ხელით დაუხურავ — რადგან კბენა შეუძლია, გულაჩუყებისაგან — და ჰკოცნი. ჰკოცნი.

გყავს მანდ, სადაც ხარ, ძაღლი? და სადა ხარ? ვალ-მონტი (ვალმონტი) ასე ერქვა მკაცრი და გონიერი წიგნის გმირს (ლაკ-ლოს „Liaisons dangereuses“), რომელიც ჩვენთან, რუსეთში, არც კი ვიცი რატომ — (ყველაზე მორალური წიგნია!) — აკრძალულია, კაზანოვას (რომელიც მხურვალედ მიყვარს!) მემუარებთან ერთად. პრალაში მივწერე, ჩემი ორი დრამატული პოემა (დრამები, მე მგონი, არ არის) „თავგადასავალი“³⁰ და „ფენიქსი“³¹ (კაზანოვას აღსასრული) გამომიგზავნონ. კაზანოვა — მბრძანებელი, 75 წლის, მარტოდმარტო, ძველმოდური, გამასხრებული, მისი უკანასკნელი სიყვარული: 75 წლისას — 13 წლისა. უნდა წაიკითხო, ადვილი გასაგებია (ენას ვგულისხმობ) და-არ გაგიკვირდეს — ჩემმა გერმანულმა სულმა დანერა ეს, არა — ფრანგულმა.

ერთურთს ვეხებით. რითი? ფრთების ფართქალით...³² რაინერ, რაინერ. ეს შენ მითხარი, ისე რომ არ მიცნობდი, როგორც ბრმა (ანუ მხილველი!) ისვრის ალაღბედზე. საუკეთესო მსროლელნი ბრმები არიან!

ხვალ ქრისტეს ამაღლებაა. Вознесение. რა კარგია! ცა ამ სიტყვებზე ჩემს ოკეანეს ემსგავსება: ზვირთებაშლილს. და ქრისტე — მაღლდება.

ახლა სადაცაა შენი წერილი მოვა. დროა, ჩემი გზას გამოუდგეს.

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი,
ქრისტეს ამაღლება,
13 მაისი 1926 წ.

„...ვერ გააკვირვებ დიდებული ნამოქმედართ...“³³

ამიტომ წმინდა ადამიანურად და ძალზე თავმდაბლურად: რილკე-ადამიანი. როგორც კი დავენერე, ნავიბორძიკე. მე მიყვარს პოეტი, არა ადამიანი (როგორც კი წაიკითხე, ნაიბორძიკე). ეს-თეტიკურად ჟღერს ანუ: უსულოდ, უსიცოცხლოდ (ესთეტი ის არის, ვისაც სული არ გააჩნია, აქვს მხოლოდ ხუთი, ხშირად ნაკლები მახვილი გრძნობა). განა უფლება მაქვს, ავირჩიო? როდესაც მიყვარს, არ შემიძლია და არ მსურს არჩევა (უნიადაგო, კნინი უფლება!). შენ აბსოლუტი ხარ და ვიდრე არ ვიცი, გიყვარვარ თუ არა, არჩევანის უფლება არა მაქვს. რადგან ურთიერთობა არა მაქვს შენთან (მე ხომ არ გიცნობ!)

არა, რაინერ, მე კოლექციონერი არა ვარ და რილკე-პოეტისგან განუყოფლად მიყვარს რილკე-ადამიანი, რომელიც (რაც არ უნდა თქვა, სულერთია) თვით პოეტსაც აღემატება. რადგან ის პოეტს ატარებს (ცხენოსანი და ცხენი: მხედარი).

რილკე-ადამიანში ვგულისხმობდი იმას, ვინც ცხოვრობს, ვინც უყვართ, ვინც უკვე ამდენ ვინმეს ეკუთვნის, და ვინც, ალბათ, დაღლილია ამდენი ადამიანისგან მომდინარე სიყვარულით. მხოლოდ ადამიანური კავშირები მქონდა მხედველობაში! რილკე-ადამიანში მე ვგულისხმობდი საუფლოს, სადაც ჩემთვის ადგილი არ არის. ამიტომ ის ფრაზა პოეტსა და ადამიანზე — სრული უარისთქმაა, განდგომა, რათა არ იფიქრო, რომ ვიჭრები შენს ცხოვრებაში, შენს დროში, შენს დღეში (სამუშაო და საზოგადოებრივ დღეში), ერთხელ და სამუდამოდ განანთლებულ-დაგეგმილ დღეში. უარისთქმაა, რათა შემდეგ გულისტკენა არ განვიცადო: პირველი სახელი, პირველი თარიღი, რომელსაც ეხლები და რომელიც ხელს გკრავს (სიფრთხილე — უარი!).

ძვირფასო, მე ძალზედ დამჯერი ვარ. თუკი მეტყვი: ნულარ მომწერ, ეს მე მაფორიაქებს, ჩემი თავი ჩემთვისვე მჭირდებაო — ყველაფერს გავიგებ და გავუძლებ.

* * *

დიუნზე ვარ, დიუნის თხელ ბალახში ვზივარ და გწერ. ჩემი ვაჟი (წლისა და 3 თვის. ჩვენი თეთრი გვარდიის პატივისაცემად გიორგი ჰქვია. ბორისს კი სჯერა, რომ სოციალისტია. გჯერა ეს შენ?). მაშასადამე, ჩემი ვაჟი რაინდულად ამხედრებულა ჩემზე (თითქმის თავზე მაზის!) და ფანქარს მართმევს (პირდაპირ რვეულში ვწერ). ისეთი ლამაზია, ყველა მოხუც ქალს (როგორ აცვიათ! ნეტავ დაგანახა!) მხოლოდ ეს აღმოხდებათ ხოლმე: „Mais c'est un petit Roi de Rome!“³⁴ ბონაპარტული Vendée — უცნაურია? მეფე დიდი ხანია დავიწყებით, „იმპერატორი“ კი ისევ გაისმის. ჩვენი სახლის პატრონებმა (მეთევზემ და იმისმა ცოლმა, ზღაპრულმა წყვილმა, ერთად 150 წლის რომ არიან!) ჯერ კიდევ ბევრი რამ იციან უკანასკნელი იმპერატორის შესახებ.

„ბავშვები მრავლობით რიცხვში“-ო? უსაყვარლესო, მეღიმე-ბა. ბავშვები — ეს სიტყვა მართლაც ძალზე ივრცობა (ორი თუ შვიდი?)! ორი, ძვირფასო, ორი: 12 წლის გოგონა და ერთი წლის ვაჟი. ორი პატარა გოლიათი ბავშვების ვალჰალადან. იშვიათი, ბრწყინვალე ბავშვები. არიანდა რამსიმალღეა? ო, თითქმის ჩემზე მაღალი (დაბალი არა ვარ) და ორჯერ ჩემზე სრული (არაფერს ვინონი). აი, ჩემი ფოტო — პასპორტის სურათი — უფრო ახალგაზრდა და ქერა ვარ. უკეთესი ფოტოც მაქვს, სულ ცოტა ხნის წინ პარიზში გადაღებული ფოტოგრაფი *შუმოვთან*, რომელმაც შენი დიადი მეგობრის ქმნილებები³⁵ გადაიღო. ბევრს მიაშობდა მასზე. მომერიდა მეკითხა, ჰქონდა თუ არა შენი სურათიც (ხომ უკვე მიხვდი: შენს სურათს რომ გთხოვ, — პირდაპირ და სრულიად მოურიდებლად!)

...ბავშვობის შიში და სიცისფრე!..

ჯერ ისევ მახსოვს. ვინა ხარ? გერმანელი? ავსტრიელი? (აღრე ეს ერთი და იგივე იყო? ძალიან განათლებული არა ვარ — მხოლოდ ფრაგმენტულად). სად დაიბადე? როგორ მოხვდი პარიზში? ან „ცარების წრეში“? ეს ხომ სასწაულია. შენ—რუსეთი—მე.

მრავალი შეკითხვა

შენი მიწიერი ბედ-იღბალი უფრო მეტად მალეღვებს, ვიდრე შენი დანარჩენი გზები. რადგანაც ვიცი, რა ძნელია — ეს ყველაფერი.

* * *

დიდი ხანია, რაც ავადა ხარ? როგორ ცხოვრობ მიუზოში? დიდებულება. დიადი, სერიოზული და ამალღებული. ოჯახი გყავს? ბავშვები? (არა მჯერა). კიდევ დიდხანს დარჩები სანატორიუმში? მეგობრები თუ გყავს მანდ?

გრანსის ბულვარი, 3 (მე მგონი, Ouchy-ის ახლოს)³⁶. აქ მიპოვი. მოკლე თმა მაქვს (მისდღემში არ მიტარებია გრძელი თმა). და ბიჭს ვგავარ, ვარდების გვირგვინი რომ ჰკიდია ყელზე.

* * *

წუხელ შენს „დუინურ ელეგიებს“ ვკითხულობდი (დღისით ვერასდროს ვახერხებ კითხვას და წერას, დღიური ჯაფა მიწევს გვიან ღამემდე, რადგან ჩემი ორი ხელის გარდა არა მაბადია რა. ჩემი ქმარი მოხალისეა, მთელი თავისი ცხოვრება ახალგაზრდაა, ჯერ 31 წლისაც არ არის (მე სექტემბერში გავხდები 31-ის)³⁷, მეტიმეტად თავმოყვარეა და ისედაც, კაცი ქალის საქმეს ხომ ვერ გააკეთებს. ეს საზიზღარი დასანახია (და სწორედ — ქალისთვის). ახლა ჯერ ისევ პარიზშია, მალე ჩამოვა. Юнкерское училище-ში астральный юнкер-ს ეძახდნენ. ღამაზია: ტანჯული სილამაზე აქვს. ჩემი ქალიშვილი მამას ჰგავს, თუმცა ბედნიერია, ვაჟი — უფრო მე; ორთავეს ღია ფერის თვალები აქვთ, ქერათმიანები არიან, моя раскраска.

რა გითხრა შენს წიგნზე? ბოლო საფეხურია — ჩემი საწოლი ღრუბლად გადაიქცა.

* * *

უსაყვარლესო, უკვე ყველაფერი ვიცი — ჩემგან შენსკენ — მაგრამ ჯერ ადრეა ბევრი რამისთვის. რალაცა შენში ჯერ კიდევ უნდა შემეჩვიოს.

მარინა

რილკე მარინა ცვეტაევას

ვალ-მონტი, ლიონის მხარე,

(ვო) შვეიცარია,

17 მაისი, 1926 წ.

— „Марина! Спасибо за мир!“ ...³⁸

ო, ამის თქმა რომ შეეძლო შენს ქალიშვილს, მარინა, შენთვის, და თან მძიმე დროს! (რომელ ბავშვს ენვეოდა ჩემს ბავშვობაში, რომელ ბავშვს ავსტრიასა თუ ბოჰემიაში შინაგანი თანხმობის ასეთი მოზღვაება, რომ ამდაგვარად ელაპარაკა?)... შეიძლება ჩემს ქალიშვილს მოსურვებოდა მსგავსი რამის თქმა, მის სიტყვებსა და გამოთქმებს მეტი სისწრაფე რომ ჰქონოდა. მაგრამ ის ერთადერთი ხანა, როცა მართლა მასთან ვიყავი, წინ უსწრებდა მის ყოველგვარ სიტყვიერებას: პირველ დაბადების დღემდე. შემდეგ კი დაიშალა ის ყველაფერი, რაც სახლმა, ოჯახმა და სოციალურმა საძირკველმა (ცოტა ჩემი სურვილის წინააღმდეგ) წარმოქმნა: მათ შორის ქორწინებაც, თუმცა კანონის გზით არასოდეს დარღვეულა და (ორი წელი არც იყო გასული) მე ისევ ჩემს ბუნებრივ მარტო ყოფნას დავუბრუნდი. დაიწყო — პარიზი: 1902 წელს. ახლა კი ჩემი ქალიშვილი უკვე დიდი ხნის გათხოვილია, სადაც, საქსონიის რომელიღაც მამულში, სადაც არასდროს ვყოფილვარ. და ჩემი პატარა შვილიშვილი — ქრისტინე — ვისზედაც მხოლოდ მრავალი, პატარ-პატარა, წამიერი ფოტოები მიქმნიან წარმოდგენას, ნოემბერს აქეთ მესამე წელში გადადგა... მაგრამ ეს სულ სხვა სიბრტყეა, დიდად განსხვავებული იმ სიბრტყისაგან, რაზედაც დგას მიუზოს კოშკი (ყოვლად სასწაულებრივ გარემოებათა წყალობით, არა, თავად სასწაულის წყალობით რომ მივაგენი); აქ სრულიად მარტო ვცხოვრობ, თუ არ ჩავთვლი მეგობართა იშვიათ ვიზიტებს, ვცხოვრობ ისე მარტო, როგორც ყოველთვის ვცხოვრობდი, და უფრო მეტადაც: ხშირად შემზარავად იზრდება და ძლიერდება ხოლმე ის, რასაც მარტოყოფნა ჰქვია, უკიდურეს, უკანასკნელ ზღვარს აწყდება ეს მარტოობა (ადრე ჩემი მარტოყოფნა პარიზში, რომსა თუ ვენეციაში — სადაც დიდხანს ვცხოვრობდი, ესპანეთში, ტუნისში, ალჟირში, ეგვიპტეში, ესოდენ კატეგორიულ პროვანსში... არა ყოფილა ნამდვილი მარტოობა.

მაინც თანამონაწილეობა იყო და თანაზიარობა, მაინც ჩართული ვიყავი საერთო ყოფაში). მაგრამ მიუზო — ამქვეყნად ყველაფერზე უფრო მომთხოვნია. და მხოლოდ შინაგანი წინსვლის უფლებას მაძლევს, მიბრძანებს ნახტომს, პირდაპირსა და შვეულ ნახტომს — თავად სამყაროს განხმულ სივრცეში, მთელ დედამიწას ცაღამაღლებს ჩემში. ან რას გიყვები, საყვარელო, როცა ხელთა გაქვს „ელეგიები“. შენი ხელებით როცა გიპყრია მაგ თანამცოდნე გულის წინ, მათ რომ ეხლება აძგერებული.

ეს ლექსები არანაკლებ მარტოობაში, ადრიატიკის ზღვის ნაპირას, ომში განადგურებულ დუინოს ციხე-კოშკში დავიწყე (ტრისტის მახლობლად, 1912 წელს). მოგვიანებით ესპანეთსა და პარიზში ცალკეული სტრიქონები იჩენდნენ ხოლმე თავს. ეს ყველაფერი, ალბათ, უკვე 1914 წელს გასრულდებოდა, რომ არა მსოფლიოს ის დიდი განხეთქილება, რომელმაც ერთიანად გამახევა და გამაქვავა. წლები. თვითონაც არ ვიცოდი, რა გადავარჩინე სულის ამ დიდ ზამთარს, როდესაც ბოლოს (1919) შვეიცარიას შევაფარე თავი, რომლის მინაზეც ჯერ კიდევ ცოცხლობდა ბუნებრიობა და უცოდველობა... და შევიტყვე ეს 1921 წელს, მიუზოში, იქ გატარებულ პირველსავე მარტოსულ წელიწადს, როდესაც გარკვეულ გარემოებათა ზემოქმედებით ხანგრძლივად შეკავებულ-შეგუბებულმა ბუნებამ ჩემი სულისა რამდენიმე კვირაში დაუჯერებლად სწრაფი ზრდა იწყო და ჯერ „ორფევსი“ (თითო ნაწილი სამ დღეში!) და მერე „ელეგიები“ თავისი წელიწადის სრულქმნილ დროში შეღვარა: ძალით, მძლავრად, ისე რომ კინალამ წამლეკა და გამანადგურა ამ ვნებიანი, უმძაფრესი ამოხეთქვით. თუმცა თან საოცრად ნაზად და კეთილგონივრულად იზადებოდა, ეს რომ არა — ვერც ერთ (წარმოიდგინე!) — ვერც ერთ ადრე წარმოქმნილ სტრიქონს ვერ შევიტანდი ამ ახლად გაჩენილ საუფლოში, რომლის ბუნებრივ საფეხურსაც და ერთ-ერთ ხმას მის ხმათა შორის ის სტრიქონი წარმოადგენდა. და როდესაც შეხორცდა უწინდელი და ახლანდელი, აღმოჩნდა: ის წინანდელი თავისი მოძველებული ნაპირებით ისე შინაგანად შეერთებოდა ახალსა და ვარვარას, ისე ხელახლა გავარვარებულყო თავადაც ამ ცხელ-ცხელ გრძნობებთან მეზობლობისა და უსასრულო მონათესაობის წყალობით, რომ არსად ჩანდა ნაკერი და ნაჭრილობევი! ზეიმი და გამარჯვე-

ბა, მარინა, გაუგონარი! და ამისათვის იყო საჭირო ეს მარტოობა, მთელი თავისი მომაკვდინებლობით. მაგრამ მერე, უკვე მიღწეულია და შემდგარის შემდეგაც ვცდილობდი, ამ გამძაფრებული გამიჯნულობის უძნელესი პირობების შენარჩუნებას. არა სიჯიუტისა თუ თავკერძობის გამო ან იმ მიზნით, რომ ღვთაებრივი ნყალობისათვის სხვა რაიმეც დამეტყუა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „სხვის“ შემოჭრას ჩემს სამყაროში, იმ „სხვისგან“ გამომდინარე, ან „სხვისთვის“ ცხოვრება მაშინვე (ანდა „მაშინვეს“ შემდეგ) თან მოიყოლებდა კონფლიქტებსა და მთელ რიგ პრობლემებს, რისიც, წესით, უნდა მშინებოდა იმ ხანაში, როდესაც მეტიმეტად ყველაფერი მეტიმეტად ბოლომდე გავასრულე, რათა შემდეგ მთლიანად სხვა გეზი ამელო.

აი, ამ ყველაფრის შედეგია (რადგან თავად მუშაობა, ჩვენი დიდი, ნამღეკავი სამუშაო, შურს არასდროს იძიებს ხოლმე ჩვენზე: მაშინაც კი, თავზე რომ გადაგვივლის და ნაგვლეკავს, გასავათებულ-გამოფიტულთ ხომ არა გვტოვებს! არამედ, საზღაურით თავზარდაცემულთ) დიახ, ამ ყველაფრის შედეგია, რომ მე, მექანიკურად, მეტიმეტად დიდხანს ავიტანე გამიჯნულობის განსაკუთრებული პირობები ამ ჰეროიკულ დაბლობში, ღვინის ქვეყნის მძვინვარე მზიანი ცის ქვეშ — პირველად ჩემს ცხოვრებაში, და აი, ჩემი მარტოყოფნა ვერაგულად შემობრუნდა ჩემს წინააღმდეგ: სხეულის ნესტრით; ჩემი ჩემ-თავთან-ყოფნა საეჭვოდ და სახიფათოდ მიქცია და შიშით აღმივსო იმ სხეულებრივ შეჭირვებათა ნყალობით, რომელნიც მხოლოდ იმას ახშობენ, რაც ჩემთვის მარადჟამს ყველაზე უფრო პირველადი სინყნარე იყო. ამის შედეგია ჩემი აქ, ვალმონტში ყოფნა, ამჯერად უკვე მესამედ (პირველად 1924 და 25 წლებში ვიყავი მცირე ხნით). აქ კი სწორედ მიუზოში მომადლებული ყოფის საპირისპირო ცხოვრება მენყება. სანინააღმდეგო თამაში, თავისი ყველა გამოვლინებით, ამიტომ ვყოყმანობ და ვიკავებ თავს, რომ ისევ ჩემს კოშკში არ დავბრუნდე ჩემს არსებაში ჩამოქცეულ და მოთარეშე ყველა საფრთხიანად. რას ფიქრობენ ექიმები? ნერვის რალაც დაავადებას ვარაუდობენ, ნერვისა, რომელსაც „Grande sympathique“³⁹ ეწოდება. დაავადებას იმ დიდი, ლამაზი ნერვების ხისა, რომელსაც ჩვენი მსხ-

მოიარობა თუ არა, ჩვენი არსების თვალისმომჭრელი ყვავილობა მაინც აქვს ნატვირთი... ეს გახლავთ უფრო სუბიექტური, ვიდრე, კაცმა რომ თქვას, კონკრეტული, ორგანული შეჭირვება, დარღვევა სხეულებრივი თვით-ვერ-შეგრძნებისა, საიდანაც ესოდენ თავისთავად გამომდინარეობს ჩვენი თანხმობა-კავშირი ჩვენს ნივთიერებათა ცვლასთან. სხეულის ეს ახლანდელი უთანხმოება ჩემთან, კიდევ უფრო იმიტომ მიზნევს თავგზას, რომ მე, ჩემს ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული ცვლილების შემდეგ (რაც ემთხვევა რუსეთში 1899-სა და 1900 წელს გატარებულ ხანას) მივეჩვიე ჩემს სხეულთან სრული თანხმობით ცხოვრებას, ცხოვრებას ექიმის ჩაურევლად, იმდენად, რომ საკუთარ სხეულს ჩემივე სულის ბავშვად ვთვლი. ადვილ, დამყოლ, გამოსადეგ ბავშვად, რომლის თანწყვანაც შეიძლებოდა თვით უმაღლეს სულიერებაშიც. ხშირად ამგვარად ზეაზიდული ეს სხეული თითქოს მხოლოდ თავაზიანობის გამო ინარჩუნებდა წონას და ხილულიც იმიტომ რჩებოდა ისევ, რომ უხილავი არ შეეშინებინა. აი, ასე შინაგანად იყო ის ჩემი მეგობარი, ჩემი მტარებელი, ჩემი გულის საყრდენ-საბჯენი; ჩემი ყველა სიხარულის გამზიარებელი (არც ერთ მათგანს რომ არ ამდაბლებდა), ყოველ მათგანს თავისებურად რომ მათვისებინებდა, მრუქნიდა: ზუსტად ჩემი გრძნობების ურთიერთგადაკვეთის წერტილში. ის, როგორც ჩემივე ქმნილება, მუდამ მზად იყო, მომსახურებოდა, ხოლო როგორც წინარე-ქმნილება აღმემატებოდა კიდევ თავისი წარმომავლობის მთელი სიმყარითა და დიდებულებით. გენიალური, საუკუნეთა მიერ აღზრდილი, დიადი — თავის არა-მეს ლალ უცოდველობაში, გულის ამარწყებელი თავისი წადილით: მე-ს ერთგული დარჩენილიყო მისი ყოველგვარი მერყეობის ჟამს, ყოველ გარდამავალ საფეხურზე. უბრალო და ბრძენი. რალას არ უნდა ვუმაღლოდე მას! იგი ხომ ასეთ ძალას მმატებდა ნაყოფით, ქარით, ბალახზე სიარულით აღტაცებისას. მე ხომ მისი წყალობით ვენათესავეები იმ მკვრივსა და შეუღწევად არსს, სადაც არ შემიძლია შევიჭრა, და იმ დენადსაც, ჩემგან რომ მოიღვრება. და ამავე დროს ვარსკვლავეთსაცაა ნაზიარები, მისი მცოდნე, თავისი სიმძიმისა და მიზიდულობის ძალით. ასე რომ: ნამდვილი უბედურებაა განხეთქილება მასთან,

უახლესი სატკივარი კი ის გახლავს, რომ უკვე ვურიგდები ამ უბედურებას. და ექიმს ვერ გაუგია, თუ რა მანუხებს ასე არსისეულად, ასე ცენტრალურად მთელ ამ სნებაში, უკვე მთელ სხეულში რომ მოუპოვებია ფილიალები.

ეს ყველაფერი ჩემზე ითქვა, საყვარელო მარინა, მაპატიე! და მაპატიე ისიც, თუკი ოდესმე პირიქით მოვიქცევი და არას შეგატყობინებ, რამაც შენ არ უნდა გადაგაფიქრებინოს ჩემთვის წერილის მოწერა, როცა ჩემსკენ „გამოფრენა“ მოგესურვება. შენი გერმანული არ „ბორძიკობს“, ის ნყდება, ეცემა, თვალში საცემად, მძიმედ, იმ ადამიანის ნაბიჯებივით, უსწორმასწორო საფეხურებიან კიბეზე ქვემოთ რომ ჩადის, და არ შეუძლია გამოზომოს, როდის დაადგამს ფეხს მყარ საფეხურს, ახლა თუ მერე — მოულოდნელად. რაგვარ ძალას ფლობ, პოეტო, ამ ენაშიც აღასრულო შენი განზრახვა, იყო ზუსტი და იყო შენ: შენი სვლა, საფეხურებზე რომ მიხმინანებს, შენი ტონი, შენ. შენი სიმსუბუქე, შენი დაურევბული, ნაჩუქარი სიმძიმე.

მაგრამ იცი, რომ თურმე გადაჭარბებულად შემიფასებია საკუთარი შესაძლებლობანი? და ეს იმიტომ, რომ გონჩაროვს ასე ათი წლის წინათ ჯერ ისევ ვკითხულობდი რუსულად თითქმის ლექსიკონის გარეშე და რუსულ წერილებსაც შედარებით ადვილად ვკითხულობ, და დროდადრო ზოგ მათგანს ისეთ სინათლეზე ვიჭერ ხოლმე, სადაც ყველა ენა ერთი ენაა და ეს შენი რუსული ლექსები ისედაც ახლოსაა იმასთან, რომ იყოს ყველა ენა! მაშასადამე, გადაჭარბებულად შევაფასე ჩემი უნარი: შენი წიგნები, თუმცა, თავად მიმიძღვები რთულ ადგილებში, — მაინც ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის, კარგა ხანია აღარაფერი წამიკითხავს თანმიმდევრულად, თითო-ოროლა პატარ-პატარა ნაწარმოებებს თუ ვკითხულობ ხოლმე. აი, ბორისის რამდენიმე ლექსი წავიკითხე (პარიზში) ანთოლოგიაში. ნეტავ ისევე შემეძლოს შენი წაკითხვა, მარინა, როგორც შენ მკითხულობ! მიუხედავად ამისა, ორი პატარა წიგნი მუდამ თან მიმყვება მაგიდიდან სანოლისაკენ, და ბევრად აღემატება ყველაფერს — უბრალოდ წასაკითხს.

ჩემი პასპორტის სურათი რომ არ გამოგიგზავნე, პატივმოყვა-

რეობას როდი შევუჩერებოვარ. უბრალოდ, გავიგე, რომ იგი მაგნიუმის შემთხვევითი გაელვების შედეგია და სხვა არაფერი. ჩემი სურათი გვერდით მივუდე შენსას: მოდი, წინასწარ ფოტოზე შეეჩვიე ამას, კარგი?

რაინერ

მალე მიუზოში უნდა ჩავიდე ერთი დღით. იქიდან რამდენიმე შარშანდელ, პატარა, ასე თუ ისე ვარგის სურათს წამოვიღებ შენთვის. საერთოდ თავს ვარიდებ სურათის გადაღებას. არც ის მიყვარს, როცა მხატვავენ. შუმოვს ჩემთვის სურათი არ გადაუღლია.

მალე გამომიგზავნე შენი სხვა ფოტოებიც!

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი,

3 ივნისი, 1926 წ.

ბევრი რამ, დიახ — ყველაფერი რვეულში რჩება. შენ კი — მხოლოდ ჩემი სიტყვები ბორის პასტერნაკისადმი მიწერილი წერილიდან:

„როდესაც ერთთავად გეკითხებოდი, რა გავაკეთოთ ერთად ცხოვრებაში-მეთქი, სულ მპასუხობდი, რილკესთან წავიდეთ“ და მე გეუბნები ახლა: რილკე დატვირთულია. მას არავინ და არაფერი სჭირდება. მისგან მქონებლის სიცივე მოჰბერს, რომლის ქონებაში უკვე მეც ვითვლები. მე არაფერი შემიძლია მივცე მას, მხოლოდ ვართმევ. მე მას არ ვჭირდები და არც შენ. სიძლიერე, რომელიც მუდამ მიზიდავს, ხელს მკრავს. რაღაცას მასში (არ ვიცი რა ჰქვია ამას) არ სურს, რომ ხელი ჰკრან. არც შეიძლება.

ეს შეხვედრა გულის აფეთქებასავით განვიცადე. გული არა მარტო ფეთქავს, ფეთქდება კიდევ. მით უფრო, რომ ის სრულიად მართალია: რომ მე და შენ ჩვენს საუკეთესო წუთებში ერთი და იგივე ვართ“.

ერთი წინადადება შენი წერილიდან: „და მაპატიე ისიც, თუკი ოდესმე პირიქით მოვიქცევი და არას შეგატყობინებ, რამაც შენ არ უნდა გადაგაფიქრებინოს ჩემთვის წერილის მოწერა“.

როგორც არ უნდა წავიკითხო, ეს სიტყვები სიმშვიდეს ითხოვენ. სიმშვიდე შედგა (ხომ დაისვენე ცოტა?).

იცო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი: სიმშვიდე, მოუსვენრობა, თხოვნა, შესრულება და ასე შემდეგ? მისმინე, უცბად დავიჯერე, რომ ზუსტად ვიცი:

ცხოვრებამდე ადამიანი არის *მუდამ* და *ყველაფერი*. ცხოვრებაში: არის *რალაც* და *ახლა* (არის, აქვს — სულერთია).

ჩემი სიყვარული შენდამი დღეებად და წერილებად, საათებად და სტრიქონებად დაქუცმაცდა, აქედან — მოუსვენრობა (ამიტომ ითხოვდი სიმშვიდეს!), წერილი დღეს, წერილი ხვალ! შენ ცხოვრობ. მე მინდა გნახო. გადარგვა *მუდამ*-იდან *ახლა*-ში. აქედან ტანჯვა, დღეთა თვლა, საათს არავითარი აზრი აღარა აქვს, ის მხოლოდ საფეხურია წერილამდე. სხვაში *ყოფნა* და სხვის *ყოლა* (ან სურვილი: გყავდეს, საერთოდ — სურვილი, ერთი და იგივეა!). ეს რომ შევნიშნე, დავდუმდი.

ახლა უკვე გამიარა. სურვილს რაც შეეხება, სწრაფად გავარკვიე საქმე. რა მინდოდა შენგან? არაფერი. უმალ შენი გულისთვის. ეგებ უბრალოდ შენთან მინდოდა. უწერილობა უკვე უშენობა გახდა. თანდათან უფრო უარესი იქნება. უწერილობა — უშენობა. წერილი — უშენოდ. შენთან — უშენოდ. *შენში! აღარყოფნა! სიკვდილი!*

ასეთი ვარ. ასეთია სიყვარული — დროში. უმადური და თვითგამანადგურებელი. სიყვარულს პატივს ვცემ, მაგრამ არ მიყვარს.

В великой низости любви

ჩემი სტრიქონი *La grande bassesse de l'amour*. ან უფრო უკეთესია — *La bassesse suprême de l'amour*.⁴⁰

ასე, რაინერ, გაიარა. აღარ მინდა შენსკენ. შენთან. აღარ მინდა, მინდოდეს.

შეიძლება — ერთხელ — ბორისთან ერთად (რომელმაც შორიდან — ერთი სტრიქონითაც რომ არაფერი მიუწყებია — ყველაფერი „იგრძნო“. პოეტის სმენა!) — მაგრამ როდის — როგორ — არ ვიცი!

და — რომ სიმდაბლეში არ ჩამომართვა — ტანჯვის გამო არ ვდუმდი, — არამედ ამ ტანჯვის სიმახინჯის გამო!
ახლა გაიარა. ახლა მოგწერ.

მარინა

რილკე მარინა ცვეტაევას

მიუზოს კოშკი,

სიერ (ვალე) შვეიცარია,

8 ივნისი, 1926 წ. (სალამო).

თურმე ასე ისროლა ჩემმა ერთმა პატარა სიტყვამ, რომელიც შენ წინ აღიმართე, ეს დიდი ჩრდილი, სადაც ასე გაუგებრად დამეკარგე, მარინა! ახლა კი გავიგე. ფრაზა, რომელიც მოგწერე, იმ კაცისგან არ მოდიოდა, ვის შესახებაც ბორისს ატყობინებ... „დატვირთულობა?“ ოჰ, არა. თავისუფალი ვარ მარინა, თავისუფალი და მსუბუქი. ოღონდ (შენც ხომ ამას გულისხმობ) ასე მოულოდნელად მიხმობილი! (თუმცა არა უწინათგრძნობოდ); ოღონდ ერთი ხანობა (ალბათ ფიზიკურიდან გამომდინარე), — შიშით აღვსილი: რომ შეიძლება ვინმე (ან რაიმე) ძვირფასი რალაც ძალისხმევას ელოდეს ჩემგან და მე ვერ შევიძლო და იმის მიღმა შევჩერდე, რასაც ელიან. ამასთან, ხშირად უძნელესი რამ ჯერ კიდევ ადვილად გამომდის, გარბენის გარეშე, მაგრამ უეცრად წერილის მიწერის აუცილებლობამ (თუნდაც შინაგანმა, თუნდაც სასიხარულომ) შეიძლება ისეთი თავზარი დამცეს, როგორც წინ აღმართულმა ციცაბო კლდემ: დაუძლეველ-გადაულახავმა.

ნეტავ, ისე იქნება ყველაფერი, როგორც შენ ხედავ? ალბათ. ო, ეს წინასწარულობა ჩვენში: საგლოვია თუ საზეიმო? მთელი ერთი ლექსი⁴¹ დავწერე შენთვის. ზვრებში ვიჯექი, თბილ გალავანთან (რომელსაც სამწუხაროდ, ჯერ ბოლომდე არ ჰქონდა სითბო გამჯდარი) და ლექსის ამოთქმა ხელიკებს აჩერებდა. ხედავ, უკან დავბრუნდი. მაგრამ ჩემს ძველ კოშკში ჯერ ხურობბმა და სხვა ხელოსნებმა უნდა წაიმუშაონ. არსადაა სინყნარე. სიცივითა და ნესტითაა გაჟღენთილი ეს ღვინის ქვეყანა, რომელსაც ამ დროს არასოდეს აკლდა მზე.

და რაკი გადავწყვიტეთ „ალარ ვისურვოთ“, მცირე სილბო-შელავათს ვიმსახურებთ: აქ ჩემი პატარა ფოტოებია. „მიუხედავად ყველაფრისა“ მაინც გამომიგზავნი შენს სხვა სურათსაც? ალარ მინდა მისი მოლოდინის სიხარული უკუვაქციო.

რაინერ

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილი,

14 ივნისი, 1926 წ.

მისმინე, რაინერ, მინდა თავიდანვე იცოდე: მე ცუდი ვარ. ბორისი კარგია. და მე ჩემი სიცუდის გამო ვდუმდი. მხოლოდ ფრაზებს ვწერდი მას შენს რუსობაზე, ჩემს გერმანელობაზე და ა.შ. და ერთბაშად მისი ჩივილი: „რისთვის ჩამომიშორე. მე ხომ ის შენსავე მიყვარს“.

რა ვიგრძენი? სინანული? არა. არასდროს. არაფერი. ვიდრე გრძნობად იქცეოდა, საქმედ იქცა. მე გადავწერე შენი პირველი ორი წერილი და ბორისს გავუგზავნე. მეტი რა შემეძლო? ო, ცუდი ვარ, რაინერ, არა ვარ „თანამცოდნე“, თვით უფლის თანამცოდნეც კი ვერ ვიქნები.

მე ბევრი ვარ, ბევრი არსება, გესმის? შეიძლება, ურიცხვიც! (გაუმძღარი ურიცხვობა, უფსკრული! არც ერთმა არ უნდა იცოდეს მეორის შესახებ, ეს ხელის შემშლელია. როდესაც ჩემს ვაჟთან ვარ, ის, ვინც შენ წერილებს გწერს და ვისაც უყვარხარ, — იქ არ უნდა იყოს. როდესაც შენთან ვარ — და ა.შ. გამორიცხულობა, გამიჯნულობა და ერთადერთობა! მე ჩემშიც კი არ მსურს თანამცოდნე მყავდეს, არამცთუ ჩემს გვერდით, ამიტომაც ვარ ცხოვრებაში — ცრუ (ანუ გაჩუმებული და როცა სალაპარაკოდ მიწვევენ — ვცრუობ), თუმცა სხვა ყოფიერებაში ალალმართლად ვითვლები და ვარ კიდევ. დანანევრება არ შემეძლია.

და მოხდა ისე, რომ დავანანილე (ეს იყო შენს წერილამდე ორისამი დღით ადრე) არა, რაინერ, ცრუ კი არა, მეტისმეტად მართალი ვარ. მე რომ უბრალო, ნებადართული სიტყვები: — „მიმოწერა“ —

„მეგობრობა“ დამეყარა ზემოდან, ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ მე ვიცი, რომ შენ არც „მიმონერა“ გაქვს, არც „მეგობრობა“. ცხოვრებაში მუდამ ის მინდა ვიყო ადამიანთათვის, ვინც ტკივილს არ აყენებს მათ, ამიტომ ვატყუებ ყველას — საკუთარი თავის გარდა.

მთელს ჩემს ცხოვრებას ყალბი მდგომარეობა გასდევს. „რადგან იქა ვარ მტყუანი, სადაც დადრეკილი ვარ“⁴². მოტყუებული, რაინერ, არა მომტყუებელი.

მე რომ ვინმე უცნობ კაცს მკლავები კისერზე შემოვაჭდო, ბუნებრივი იქნება, თუ ამას მოვყვები — არაბუნებრივი (ჩემთვისაც!) და თუ ამას ლექსად ვაქცევ, ხომ ბუნებრივია. ასე რომ, საქციელი და ლექსი მამართლებენ. რაც მათ შორისაა — მადანაშაულებს. ეს „შორისია“ — სიცრუე, მე — არა. თუ მე სინამდვილეს (მკლავებს უცნობის კისერზე) მოვყვები — ტყუილია, თუ გავეჩუმდები — სიმართლე.

საიდუმლოს შენახვის შინაგანი უფლება. ეს არავის ეხება, თვით იმ კისერსაც კი არა, რომელსაც ჩემი მკლავები შემოეხვია. ჩემი საქმეა და წარმოიდგინე, რომ ქალი ვარ, გათხოვილი, ბავშვებიანი და ა.შ.

უარი ვთქვა? ოჰ, ეს არც ისეთი სასწრაფოა, რომ ღირდეს. მეტისმეტად იოლად ვამბობ უარს. პირიქით, როდესაც რაღაც უესტს ვასრულებ, მიხარია, რომ კიდევ შემიძლია რაღაც უესტი. ჩემს ხელებს ისე იშვიათად სურთ.

* * *

ნეტავ, ღრმად ჩამძირა ჩემში და დღეებისა თუ წლების შემდეგ — ერთხელაც — მოულოდნელად — წყლის თამაშით გადმომღვარა, სიღრმე სიმაღლედ რომ იქცევა, — გატანჯული, ნეტარცხებული. მაგრამ არ მომაყოლა: იმას მივწერე, იმას ვაკოცე.

„გიხაროდენ ვიდრე დროა, მალე დამთავრდება ყველაფერი“, — ასე ეუბნება ჩემი სული ჩემს ტუჩებს. და ხეს მოვეხვევი თუ ადამიანს, ჩემთვის სულერთია, *სულ ერთი*.

* * *

ეს ერთი მხარეა. ახლა მეორე: ბორისმა მაჩუქა შენი თავი და მიგიღე თუ არა, უკვე მსურს მხოლოდ ჩემთვის მყავდე. საზიზლ-

რობაა, საკმაოდ. და მტკივნეულიც საკმაოდ — მისთვის. ამიტომ გაეუფზავნე ნერილები.

* * *

შენი სურათები, საყვარელი სურათები. იცი, როგორ გამოიყურები დიდ ფოტოზე? თითქოს ჩასაფრებული იდექი და უცბად დაგიძახეს. და მეორე ფოტო, მომცრო, — დამშვიდობებაა. კაცი, რომელიც მიემგზავრება და ერთხელ კიდევ ნაჩქარევად — ცხენები უკვე იცდიან — მოავლებს თვალს თავის ბალს, როგორც ნაწერით ავსებულ ფურცელს — ვიდრე ნავიდოდეს. კი არ სწყდება ბალს — ნელა ეხსნება, და ნელა, ნაზად უშვებს მზერიდან, ძირს აგდებს მთელ სანახს (რაინერ, თან წამიყვანე!).

ნათელი თვალები გაქვს, წყალივით ანკარა — როგორც არიადნას, და ღარი წარბებს შორის (შვეული!) კი ჩემი გაქვს — ბავშვობაშივე გამიჩნდა, ფიქრისა და მრისხანებისაგან მუდამ წარბშეჭმუნულს (რაინერ, მიყვარხარ და შენთან მინდა). შენი ელეგია, რაინერ; მთელი ცხოვრება საკუთარი თავის გაჩუქებაში ვიყავი, ყველას ჩემით ვასაჩუქრებდი: ლექსებში. პოეტებსაც, მაგრამ მეტისმეტად ბევრს გავცემდი მუდამ, ყოველთვის ვახშობდი შესაძლებელ პასუხს. პასუხი მაშინებდა, წინასწარ ვაუქმებდი გამოპასუხებას (გამოხმიანებას). ამიტომ პოეტები ლექსებს არ მიძღვნიდნენ (არც ცუდები). და მეღიმებოდა მუდამ: იმ პოეტს უთმობდნენ ამის უფლებას, რომელიც ასი წლის შემდეგ მოვიდოდა.

და აი, რაინერ, შენი ლექსი, რილკეს ლექსი, პოეტის, პოეზიის ლექსი. და რაინერ, — ჩემი სიმუნჯე. შებრუნებული მდგომარეობა: ნამდვილი.

ო, მიყვარხარ, სხვა რა უნდა დავარქვა ამას. პირველი და საუკეთესო სიტყვა, პირველი საუკეთესო და პირველი და საუკეთესო სიტყვა.

* * *

რაინერ, გუშინ სალამოს გარეთ გავედი, სარეცხის ჩამოსახსნელად, რადგანაც წვიმდა. და მთელი ქარი კი არა — მთელი ჩრდილოეთი მოვიქციე მკლავებში. და ეს შენ იყავი

(ხვალ სამხრეთი იქნება). შინ არ შემყვა, ზღურბლზე დარჩა. სახლში არ შემოსულა, მაგრამ მე წამიყვანა თან, ზღვაზე, ვიდრე ჩავთვლემდი.

* * *

„ჩვენ მარტოოდენ ნიშანს ვიძლევი“⁴³ — და ეს, შეყვარებულებზე. მათი ჩართულობაზე და გამორიცხულობაზე ყოფიერებიდან („მუდმივობის შუაგულიდან“⁴⁴)...

და მთვარის ხანგრძლივი, წყნარი ხეტიალი.⁴⁵

და მაინც ამ ყველაფერს მხოლოდ ეს ჰქვია: მე შენ მიყვარხარ.

მარინა

საყვარელო ერთი სიტყვა მინდა გაჩუქო, ეგებ არ იცი, „ვაგლახ“ ჭეშმარიტი სიტყვაა, ვაგლახ, — კარგი სიტყვაა, ვაგლახ, — კურთხეული სიტყვაა.

(წმინდა კუნიგუნდე, XIII საუკუნე)

სურათი ჯერ არა მაქვს, როგორც კი მივიღებ, გამოგიგზავნი. მომწერე მიუზოს შესახებ — ხუროები უკვე წავიდნენ? მზე მოვიდა? ჩვენთან ერთი წუთითაც არ ანათებს მზე. მთელ მზეს შენ გამოგიგზავნიდი, შენს წილ სანახზე მივამაგრებდი.

ჰო, რაინერ, რაიმე რომ დამეწერა შენზე, ერქმეოდა: მთაზე.

* * *

პირველივე ძალლი, რომელსაც ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მოეფერები, მე ვარ. დააკვირდი, როგორი თვალები ექნება.

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი

საყვარელო რაინერ,

გოეთე სადღაც ამბობს, უცხო ენაზე კაცი ვერაფერ ღირებულს ვერ შექმნისო, — და ეს ყოველთვის მცდარი მეჩვენებოდა (გოეთე მთლიანობაში მუდამ მართალია, მართალია, მხოლოდ როგორც

ჯამი, ამიტომ ახლა უსამართლოდ ვიქცევი მის მიმართ).

ლექსის წერა, თავისთავად — უკვე თარგმნაა. *დედა-ენიდან* სხვა ენაზე. არც ერთი ენა არ არის ის *დედა-ენა*. ლექსის თხზვა — თარგმნაა. წერაა სულის თარგზე. ამიტომ არ მესმის, როცა ფრანგ, რუს და ა.შ. პოეტებზე ლაპარაკობენ. პოეტმა შეიძლება ფრანგულად წეროს, ეს არ ნიშნავს, რომ ის ფრანგი პოეტია. იგი არ შეიძლება იყოს ფრანგი პოეტი. სასაცილოა.

მე არა ვარ რუსი პოეტი და ყოველთვის მიკვირს, ასეთად რომ მთვლიან და განმიხილავენ. ადამიანი იმიტომ ხდება პოეტი (თუკი საერთოდ შესაძლებელია *გახდომა*, თუკი უკვე ყველაფრის წინ-არე არ ხარ პოეტი!), რომ არ იყოს ფრანგი, რუსი და ა.შ., არამედ იყოს *ყველა* და *ყველაფერი*. ან: ადამიანი პოეტია იმიტომ, რომ არ არის ფრანგი; ეროვნულობა იგულისხმება და თან გამორიცხულია. ორფევისი აფეთქებს ეროვნულობას, ანუ ისე აფართოებს მას, რომ ყველანი (ყოფილნი და არსებულნი) მასში არიან ჩართულნი. მშვენიერი გერმანელი — კი! და მშვენიერი რუსი!

მაგრამ ყველა ენას აქვს რალაც, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის; რაც ეს ენა არის. ამიტომ შენ ფრანგულად სხვაგვარად გაისმი,⁴⁶ ვიდრე გერმანულად, — და ხომ სწორედ ამიტომ დანერე ფრანგულად! გერმანული უფრო ღრმაა, ვიდრე ფრანგული, უფრო სავსეა, ტევადი და უფრო ბნელიც. ფრანგული: საათი — ექოს გარეშე. გერმანული — უფრო ექო, ვიდრე საათი (საათის რეკვა). გერმანული კიდევ, მუდამ, უსასრულოდ ითარგმნება მკითხველის მიერ, ფრანგული — მოცემულია. გერმანული — იქმნება, ფრანგული — არის. უმადური ენა პოეტისთვის, — და შენც ამიტომ დანერე ფრანგულად. თითქმის შეუძლებელი ენა!

გერმანული — უსასრულო დაპირებაა (ეს ხომ მადლია). ფრანგული — უკვე საბოლოო სახით არსებული მადლია. პლატონი ფრანგულად წერს. შენ („Verger“) — გერმანულად წერ, ანუ — შენს თავს, პოეტს წერ (თარგმნი), რადგან გერმანული დედა-ენასთან ყველაზე ახლოს დგას. ასე მგონია, უფრო ახლოს, ვიდრე რუსული. კიდევ უფრო ახლოს.

რაინერ, ყველა სტრიქონში გცნობ, მაგრამ აქ უფრო მოკლედ უღერ. ყველა სტრიქონი შემოკლებული რილკეა, თითქოს კონსპექტი იყოს. ყოველი სიტყვა, ყველა მარცვალა.

Grand-Maitre des absences⁴⁷ დიდებულად გამოგივიდა. დიდოსტატიც ვერ აჟღერდებოდა ასე! და — პარტანცე (entre ton trop d'arrivee en ton trop de partance...⁴⁸) ეს შორიდან მოდის, — ამიტომ ასე შორს მიდის! მარია სტიუარტზე.

Combien j'ei douce souvenance

De ce beau pays de France...⁴⁹

ici misi es striqonebi?

Car mon pis et mon mieux

Sont les plus deserts lieux?⁵⁰

(რაინერ, რა დიდებული ფრანგულით აჟღერდებოდა, ეს რომ ყოფილიყო სიმღერა ფენრიჰზე!⁵¹)

„Verger“-ი დავწერე ბორისისათვის:

Soyons plus vite

Que le rapide depart.⁵²

— ეს ეხმიანება ჩემს სტრიქონებს:

Тот поезд, на который все –

Опоздывают.

(პოეტზე)

და: „pourquoi tant appuyer“⁵³, madmuazel de lepinasTan⁵⁴: “glisser mortels, n'appuyez pas!”⁵⁵ იცი, რა არის ახალი ამ წიგნში? შენი ღიმილი („Les Anges sont-ils devenus discrets!” – “Mais l'excellente place – est un peu trop en face...“⁵⁶).

ო, რაინერ, ჩემი წერილის პირველი გვერდი შეიძლება სულაც არ დამეწერა, დღეს შენა ხარ

...Et pourtant quel fier moment

lorsqu'un instant le vent se declare

pour bel pays: consent à la France.⁵⁷

ფრანგი რომ ვყოფილიყავი და შენს წიგნზე დამეწერა რაიმე, ეპიგრაფი ეს ექნებოდა: „consent à la France“ — და ახლა — შენგან ჩემსკენ:

Parfois, elle parait attendrie

qu'on l'ecoute sie bien, –

alors elle montre sa vie

et ne dit plus rien.⁵⁸

(შენ — ბუნებავე!)

მაგრამ შენ ხომ პოეტიც ხარ, რაინერ, და პოეტთაგან კი de l'inedit⁹⁹ უნდათ. ამიტომ, სასწრაფოდ ვრცელი წერილი, მხოლოდ ჩემთვის, თორემ უფრო სულელურად მოვიქცევი, ვიდრე ვარ, და „შეურაცხყოფილად“ ვიგრძნობ თავს, „ჩემს საუკეთესო გრძნობებში მოტყუებულად“ და ა.შ. და ხომ მომწერ (რათა მშვიდად იყო! და რადგან კარგი ხარ!)?

შეიძლება გაკოცო? ეს ხომ მოხვეენაა და სხვა აღარაფერი. და მოხვეენა კოცნის გარეშე ხომ თითქმის შეუძლებელია!

მარინა

[მინანერი] შენს კონვერტს მხოლოდ ეს აწერია:

მიუზო, სიერ (ვალე), შვეიცარია

მიუზომ დაწერა შენი წიგნი.

ამიტომ გზავნის მას ისე, რომ შენ არ გახსენებს.

რილკე მარინა ცვეტაევას

ამჟამად: სასტუმრო რაგაცი, შვეიცარია,

28 ივლისი, 1926 წ.

შენ, საოცარო მარინა,

პირველი წერილიდან მოკიდებული, ყველა წერილში მაკვირვებს შენი ასეთი ზუსტი ძიება და მიგნება, ეგ ამოუწურავი გზა იმისკენ, რასაც გულისხმობ, და შენი განუხრელი სიმართლე (განა ეს იშვიათად არ გვხვდება ქალთან?) ეს არის სიმართლეშიყოფნა ყველაზე ღირებული, უზრუნველი აზრით. შენი სიმართლე: არც საითკენმე, არც საიდანმე! შენ მართალი ხარ: წმინდად: სიმართლის მოთხოვნილების გარეშე, გამომდინარე მთლიანობიდან, სისრულიდან, და ამიტომაც უფლება გაქვს უსასრულოზე და როცა კი გწერ, მუდამ მნადია შენსავით მოგწერო, ჩემი თავი გამოვთქვა შენს ენაზე, შენი დაუდევარი და ესოდენ მგრძნობიარე საშუალებებით. შენი ყველა გამონათქვამი ვარსკვლავის ანარეკლს მაგონებს, როცა ვარსკვლავი წყალში კრთის და ხელი ეშლება წყლით, წყლის ცხოვრებით, მისი თხევადი ღამით: იბინდება, იბზარება და მაინც მიღებულია წყლის მიერ, და შემდეგ უფრო ღრმად იძირება ნაკადში, თითქოს უკვე მინდობოდეს ამრეკლავ

სამყაროს, ყოველი გაქრობის შემდეგ ისევ ჩნდება და თან სულ უფრო და უფრო ღრმად, მასში! (შენ, დიდო ვარსკვლავო!)

იცი ახალგაზრდა Tyge de Brahe-ს⁶⁰ შინ დაბრუნების ამბავი? მაშინ დაბრუნდა, როდესაც ასტრონომიას ჯერ არ მისდევდა. უბრალოდ ლაიფციგის უნივერსიტეტიდან შინ ჩავიდა არდადეგებზე, ერთ-ერთი ბიძის მამულში და იქ გამოირკვა, რომ ცას (ლაიფციგისა და იურისპრუდენციის მიუხედავად!) თურმე უკვე ისე კარგად იცნობდა (*pense: il savait le ciel par cœur!*⁶¹), რომ ერთი უბრალოდ აიხედა ცაში თუ არა (უფრო დასვენების მსურველი, ვიდრე რალაციის მაძიებელი მზერით), მაშინვე ახალი ვარსკვლავი იპოვა: „ქნარის“ თანავარსკვლავედში. მისი პირველი აღმოჩენა ვარსკვლავედში და განა, ან ეგებ ვცდები, სწორედ ეს ალფა ვარსკვლავი არ არის („visible de toute la Provence et des terres méditerranéées“⁶²) — ახლა მისტრალის⁶³ სახელის დარქმევას რომ უპირებენ? და განა უკვე ეს ამბავი: რომ ისევ შესაძლებელი გახდა პოეტის ატყორცნა მალლა, ვარსკვლავებს შორის (Tu diras à ta fille un jour, en t'arrêtant à Maillane: voici „Mistral“, comme il est beau ce soir!) არაა საკმარისი, რათა მივენდოთ ჩვენს დრო-ჟამს?!⁶⁴ ბოლოს და ბოლოს გასცდა ქალაქის ქუჩებს პოეტის სახელი (აი, „დიდება!“).

მაგრამ შენ, მარინა, თავისუფალი თვალით არ მიპოვიხარ, ბორისმა აღმიმართა ტელესკოპი ჩემი ზეცის წინ... ჯერ სივრცეები გადალექა მზერამ და შემდეგ, უცბად აღმოგაჩინა. შენ იდექი წმინდად, ძლიერად შუაგულ მინდორში, სადაც შენი პირველი წერილის სხივებმა ჩემთვის შეგაკრიბა.

შენი უახლესი წერილი 9 ივლისის შემდეგ ჩემთანაა: რამდენჯერ მინდოდა მეპასუხა! მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე უცნაურად დამძიმდა ჩემში, რომ ხშირად ადგილიდანაც ვერ ვძრავ! დედამინის მიზიდულობის ძალა, ასე მგონია, ახალ მიმართებას ამყარებს მასთან — ბავშვობის შემდეგ სული ასე უსაშველოდ დამძიმებული აღარ მქონია. მაგრამ მაშინ სამყარო შემართული იყო და მძიმედ აწვებოდა იმ არსებას, ვინც საიდანლაც მომწყდარ ფრთასავით ბუმბულ-ბუმბულ იძარცვებოდა და ილეოდა, — ახლა კი თვითონ მე ვარ სიმძიმე, სამყარო კი თითქოს ძილია, ძილი — ჩემს ირგვლივ განფენილი, და ზაფხული ისე დაბნეულია, თითქოს თავის საგნებზე ველარ ფიქრობდეს...

ხედავ, ისევ შორსა ვარ ჩემი კოშკიდან, აქ ვარ, რაგაცში, უძველესი და ერთადერთი მეგობრების სანახავად ჩამოსული, ავსტრიაში რომ შევიძინე და დღემდე ვინარჩუნებ... (კიდევ რამდენ ხანს? რადგან მათი ასაკი დიდად უსწრებს ჩემსას...) და მათთან ერთად ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდა მათი რუსი მეგობარი ქალი, რუსი ადამიანი, ხომ წარმოგიდგენია, როგორ ავლელდებოდი! ყველანი უკვე წავიდნენ, მე კი ერთხანს კიდევ დავრჩები აქვამარინივით კამკამა, მშვენიერ სამკურნალო წყაროთა გულისთვის და შენ?

რაინერ

Car mon pis et mon mieux
sont les plus deserts lieux.

[მინანერი] ეს სიტყვები შენ გაჩუქე. დღიურში ჩავწერე.

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი,

2 აგვისტო, 1926 წ.

რაინერ, შენი წერილი ჩემი სახელობის დღეს მივიღე 17/30 ივლისს, რადგან ჩემი წმინდანი ქალიც მყავს, თუმცა ჩემი სახელის პირველ პატრონად ვთვლი თავს, ისევე როგორც შენ გთვლი შენი სახელის პირველ პატრონად. წმინდანი, რომელსაც რაინერი ერქვა, ცხადია, სხვა სახელს ატარებდა. შენა ხარ რაინერი.

ჰო, ჩემი სახელობის დღეს — უმშვენიერესი საჩუქარი — შენი წერილი: სრულიად მოულოდნელად. როგორც ყოველთვის. შენ (ისევე როგორც ჩემს თავს) ვერასდროს შეგეჩვევი, ვერ შევეჩვევი გაკვირვებას და ვერც ჩემს ფიქრებს შენზე. შენა ხარ, ვინც ამაღამ დამესიზმრება (დამესიზმრება თუ დავესიზმრები?). მე — უცნობი ქალი სხვის სიზმარში. არასდროს გელოდები, მე შენ გცნობ მუდამ.

ვინმეს ერთად რომ დავესიზმროთ — ერთმანეთს მაშინ შევხვდებით.

რაინერ, მე მინდა შენთან ჩამოსვლა ჩემი ახალი მე-ს გულისთვის, იმის გულისთვის, ვინც მხოლოდ შენთან, შენში შეიძლება წარმოიშვას და შემდეგ, რაინერ („რაინერ“ — წერილის ლაიტმოტივი) — ნუ გამიბრაზდები, ეს ხომ მე ვარ, — ძილი მსურს შენთან — მინდა ჩავიძინო და ვიძინო, დიდებული ხალხური სიტყვაა, რა ღრმა, რა მართალი, რა არაორაზროვანი, როგორ ზუსტად ისე, რასაც ამბობს. უბრალოდ — დავიძინო და სხვა არაფერი. არა, ესეც: თავი მინდა ჩავრგო შენს მარცხენა მხარში, ხელი მარჯვენა მხარზე მოგხვიო და სხვა არაფერი. არა, ესეც: უღრმეს ძილამდე ვიცოდე, რომ ეს შენ ხარ. და ესეც: ვგრძნობდე, როგორ გიძგერს გული და — შენს გულს ვაკოცო.

ზოგჯერ ვფიქრობ: უნდა ვისარგებლო იმ შემთხვევით, რომ ჯერ კიდევ (მაინც!) სხეული ვარ. მალე ძალები აღარ მექნება და თან — მონანიებასავით უღერს (რა არის მონანიება? საკუთარი სიბნელით ტრაბახი. ვის შეუძლია საკუთარ ტკივილებზე ლაპარაკი, ისე რომ არ აღფრთოვანდეს, ბედნიერი არ იყოს?). მაშასადამე, მონანიებასავით არ უნდა გაისმას: სხეულებს სწყინდებათ ჩემთან. რალაცას გრძნობენ და არ მიჯერებენ (არ უჯერებენ ჩემსას), თუმცა ისე ვიქცევი, როგორც ყველა. მეტისმეტად უანგაროდ, სარგებლიანობის გარეშე, ალბათ, მეტისმეტად კეთილგანწყობილი ვარ, მეტისმეტად — მიმნდობიც. მეტისმეტად! მეტისმეტად მიმნდობნი... არიან უცხოელები (ველურები), არავითარი წესი და კანონი რომ არ იციან! აქაურები უნდო ხალხია. ეს ყველაფერი არ ეკუთვნის სიყვარულს. სიყვარული მხოლოდ საკუთარ თავს უსმენს და გრძნობს, ძალიან ზუსტად და დროულად. ამის მიბაძვა არ შემიძლია. და დიდი თანაღმობა, ვინ იცის საიდან, უსასრულო სიკეთე და ტყუილი.

სულ უფრო და უფრო ასაკოვანი მგონია თავი. ძალზე სერიოზულია — ბავშვების თამაში, მე — არასაკმარისად სერიოზული ვხდები.

პირი ყოველთვის სამყაროს მაგონებდა: ზეცის თალი, მღვიმე, ხეობა, ზედაპირი. სხეულს ყოველთვის სულის ენაზე ვთარგმნიდი (სხეულისგან ვძარცვავდი); „ფიზიკურ“ სიყვარულს — რათა მისი სიყვარული შემძლებოდა — ისე განვადიდებდი, რომ უცბად ალა-

რაფერი რჩებოდა მისგან. მასში ვლრმავდებოდი, ვალრმავებდი, მღვიმედ ვაქცევდი. მასში ვიჭრებოდი, მას განვდეგნიდი. ალარაფერი რჩებოდა მისგან, ვრჩებოდი მხოლოდ მე: სული (ასე მქვია მე, აქედან გაკვირვება: სახელობის დღე!).

სიყვარულს სძულს პოეტი. სიყვარულს არ სურს განადიდონ („ათავად საკმაოდ დიდებულია“), თავს ხომ აბსოლუტურად, ერთადერთ აბსოლუტად თვლის, სიყვარული ჩვენ არ გვენდობა. თავის სიღრმეში მან იცის, რომ ის არ არის დიდებული (ამიტომაც ასეთი მბრძანებლურია!) მან იცის, რომ მთელი დიდებულება სულია, და სადაც სული იწყება, მთავრდება სხეული. ეჭვიანობა, რაინერ, უნმინდესი ეჭვიანობა სულისა სხეულის მიმართ. ოჰ, მე ყოველთვის ვეჭვიანობ სხეულზე: ასე უმღერო?! ფრანჩესკასა და პაოლოს პატარა ეპიზოდი...⁶⁵ — სანყალი დანტე! ვილას ახსოვს დანტე და ბეატრიჩე?⁶⁶ მე ვეჭვიანობ ადამიანურ კომედი-აზე. სული არასოდეს უყვართ ისე, როგორც სხეული, დიდი-დიდი ხოტბა შეასხან. ათასი სულით უყვართ სხეული. ვინ წარინყმიდა თავი თუნდაც ერთი სულის გულისთვის? და რომ ვინმეს უნდოდეს კიდეც, შეუძლებელია: სული გიყვარდეს წარწყმედამდე, უკვე ნიშნავს ანგელოზობას. მოტყუებულნი ვართ ჯოჯოხეთურად: (...trop pure – provoque un vent dedain!⁶⁷).

რისთვის გეუბნები ყოველივე ამას? ალბათ იმიტომ, რომ მე-შინია — საერთოდ ვნებიანად არ ჩამთვალო (ვნება — სხეულის ნება) „მე შენ მიყვარხარ და ძილი მსურს შენთან“. სიტყვათ-სიმცირე, ამდაგვარი, მეგობრობას არ ეპატიება? მაგრამ მე ამას სულ სხვა ხმით ვამბობ, თითქმის ძილში წასული, ვამბობ ძილში ჩამკვიდრებული. მე სხვაგვარად ვხმიანებ, ვიდრე ვნებაა. შენთან რომ წამიყვანო, შენსავე თავს მოიყვან შენთან, les plus déserts lieux. ყველაფერმა, რასაც არასოდეს სძინავს, შენს მკლავებში უნდა გამოიძინოს. სულამდე (ყელამდე) ასეთი იქნებოდა კოცნა (ხანძარი არა: ხანძარს სიღრმე არა აქვს).

Je ne plaide pas ma cause, je plaide la cause du plus absolu des baisers.⁶⁸

* * *

მუდამ მოგზაურობ, არსად ცხოვრობ, და რუსებსაც ხვდები, რუსებს, რომლებიც არა ვარ მე. მისმინე და იცოდე: რაინერის ქვეყანაში მხოლოდ მე უნდა წარმოვადგინო რუსეთი.

რაინერ, რა ხარ ბოლოს და ბოლოს? გერმანელი არა, თუმცა — მთელი გერმანია ხარ! ბოჰემიელი არა, თუმცა ბოჰემიაში დაიბადე (იმ ქვეყანაში, რომელიც ჯერ არ იყო, ეს სწორია), არც ავსტრიელი — რადგან ავსტრია იყო, შენ კი *ხდები, იქმნები*, განა ეს დიდებული არ არის? შენ — უქვეყნო! „Le grand poète tchecoslovaque“⁶⁹, როგორც ეს პარიზულ ჟურნალში ეწერა. რაინერ, ბოლოს სლოვაკი გამოდიხარ? მეცინება.

რაინერ, ღამდება, მიყვარხარ. მატარებელი კივის. მატარებლები მგლები არიან, მგლები კი — უკვე რუსეთია. მატარებელი კი არა — მთელი რუსეთი მოგკივის. რაინერ, არ გამიბრაზდე. თუმცა, გინდაც გაბრაზდე, ამაღამ შენთან ერთად დავიძინებ. ბზარი წყვდიადში, რადგან ვარსკვლავები არიან, ვხურავ ფანჯარას (ფანჯარაზე ვფიქრობ ხოლმე, როდესაც შენზე და ჩემზე ვფიქრობ, არა სანოლზე). თვალები ფართოდ მაქვს გახელილი, რადგან გარეთ უფრო დიდი უკუნეთია, ვიდრე შიგნით. სანოლი ხომალდია, ჩვენ მივემგზავრებით.

...mais un jour on ne le vit plus

Le petit navire sans voiler,

Lasse des oceans maudits,

Voquant au peys des etoiles —

Avait gagne le paradis.⁷⁰

(ლოზანური საბავშვო სიმღერა)

ნუ მიპასუხებ — მაკოცე.

მ.

[მინანერი] სიმართლის შესახებ (სიმართლეში ყოფნა). „ბუნებაც არაბუნებრივია“ (გოეთე)⁷¹, ეს იგულისხმე (ბუნება — სიმართლე — უფლება)? ბორისმა მაჩუქა, მე შენ გჩუქნი.

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილი,

14 აგვისტო 1926 წ.

ძვირფასო მეგობარო!

მიიღე ჩემი ბოლო წერილი? გეკითხები, რადგან უკვე დაძრულ მატარებელში ჩავაგდე. საფოსტო ყუთი რაღაც საშინლად გამოიყურებოდა: სამი თითის სისქე მტვერი და ციხის უზარმაზარი ბოქლომი ედო. ჩავაგდე და მერელა შევამჩნიე. ხელმა დამასწრო, ალბათ წერილი იქ დარჩება განკითხვის დღემდე.

დაახლოებით ათი დღის წინ. შინაარსი? წერილი თვითონ უკვე შინაარსია, მაშასადამე, შინაარსი არა აქვს, თუმცა მეტი სიზუსტისათვის: რაღაც ძილის შესახებ, შენი და ჩემი ძილის შესახებ.

სანოლი — რათა საგნები ვინინათგრძნოთ

სასწაულები ვიხილოთ

მაგიდა — რათა ისინი განვახორციელოთ

ისინი შევექმნათ.

სანოლი: ზურგი. მაგიდა: იდაყვი. ადამიანი სანოლი და მაგიდაა, მაშასადამე, არ სჭირდება მათი ქონა.

ის წერილი სხვაგვარად ჟღერდა, და მატარებელი, რომელსაც ის... მიაქვს და მარხავს... — სხვაგვარად კიოდა და სტვენდა, სულ სხვაგვარად, ვიდრე სამგზავრო მატარებელს სჩვევია; კიდევ ერთხელ რომ მოვკრა ყური, მაშინვე მივხვდები, წერილი შიგ არის თუ არა.

საყვარელო რაინერ, ბორისი აღარ მწერს. ბოლო წერილში მწერდა: ყველაფერი, რაც ჩემში ნებისყოფა არ არის, შენია და ჰქვია: შენ-ო. ნებისყოფა ჰქვია მის ცოლსა და ვაჟს, რომლებიც ახლა უცხოეთში არიან. როდესაც მისი ამ მეორე უცხოეთის შესახებ შევიტყვე, მივწერე: ორი წერილი უცხოეთიდან — მეტისმეტია! ორი უცხოეთი არ არსებობს. უცხოეთი და სამშობლო — კი. მე ვარ უცხოეთი. ვარ და არავის გავუზიარებ.

მისწეროს ახლა ცოლმა ქმარს და ქმარმა — ცოლს (მასთან იწვეს და მე წერილები მწეროს — კი; მაგრამ მასაც წერილები სწეროს და მეც?! ორი კონვერტი, ორი მისამართი, (ერთი საფრ-

ანგეთი!) — ხელნაწერით დადობილებულნი... მისი ძმობა — კი, იმ ქალის დობა — არა.

ასეთი ვარ, მე. რაინერ, ყოველი ადამიანური ურთიერთობა ჩემთვის კუნძულია და მუდამ ჩაძირული. თავით, კანით და თმით.

ადამიანში მე მეკუთვნის შუბლი და მკერდის რალაც ნაწილი, გულს ადვილად ვთმობ. მკერდს — არა. მე მჭირდება თალი — რეკვისთვის. გული კი ყრუდ რეკს.

რაინერ, გამომიგზავნე ღია ბარათი, მხოლოდ ორი სიტყვით: მატარებლის წერილი მიიღე თუ არა. მერე ვრცელ წერილს მოგწერ.

რაინერ, ამ ზამთარს ერთმანეთს უნდა შევხვდეთ, სადმე, ფრანგულ Savoye-ში, სულ მთლად ახლოს შვეიცარიასთან, სადმე, სადაც არასდროს ყოფილხარ (შესაძლებელია ასეთი „არასდროს“? ვეჭვობ). რომელიმე პატარა ქალაქში, რაინერ. რამდენი ხნითაც შენ მოისურვებ. ასე უბრალოდ იმიტომ გწერ, რომ ვიცი, არათუ ძალზე გეყვარები, ძალზე გაგეხარდები კიდევ (სიხარული — გადამდებია, *შენთვისაც კი*).

ან შემოდგომით, რაინერ, ან გაზაფხულზე. თქვი ჰო, რა, რომ დღეიდან დიდი სიხარული მქონდეს, რალაც — იქითკენ — გასახედი.

რადგანაც ძალზე გვიანია და ძალზე დაღლილი ვარ, გეხვევი.

მარინა.

რილკე მარინა ცვეტაევას

ოტელი რაგაცი,

რაგაცი, შვეიცარია,

19 აგვისტო, 1926 წ.

მატარებელი, მარინა, ის მატარებელი (შენი წინა წერილი-ანად), რომელმაც მერე ეჭვი აღგიძრა, სულმოუთქმელად მოქანდა ჩემთან. ის გულისგამხეთქი საფოსტო ყუთი ბებერი იყო, აქლემებივით და ნიანგებივით, სინოორჩიდანვე სიბებრით რომ არიან დაცულნი: საიმედო ხარისხის სიბერით. ჰო და ჰო და ჰო, მარინა,

ყველა ჰო, რაზედაც გსურს, და იმაზეც, რაც ხარ, უზარმაზარი, ერთიანი ჰო, როგორც ჰო თვით სიცოცხლის მიმართ... მაგრამ მასში ხომ ათი ათასი არაც იგულისხმება, — ურიცხვი გაუთვალისწინებელი არა.

თუ მე ნაკლებად ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოგვენიჭება: ორი ფენა, ორი მკვრივ-ნაზი შრე, ორი ნახევარი ვიყოთ ერთი ბუდისა (როგორ გამიხარდებოდა, კიდევ რომ მახსოვდეს, რა ჰქვია ბუდეს რუსულად... — დამავინყდა!) ძილის ბუდისა, სადაც დიდი ფრინველი, სულის მტაცებელი ფრინველი (არ შეიჭმუხნო!) ეშვება... თუ მე (შენზე) ნაკლებად მჯერა...? (ეგებ ეს ამ უცნაურად მოწებებული სიმძიმის ბრალია, ახლა რომ ვუძლებ და ხშირად გადაულახავი მგონია, რის გამოც ჩემთან მოსვლის მსურველ საგნებს კი აღარ ველი, არამედ — განსაკუთრებულ დახმარებას და შემწეობას მათგან). ნაკლებ როდი მწყურია (არა, პირველად ახლა მსურს ნამდვილად), ერთხელ ისე დავისვენო, რომ ჩემი არსება ამოვხაპო სიღრმეთა სიღრმიდან, ჭათა ჭიდან. მაგრამ ამავე დროს მიჩნდება შიში იმ დღეთა წინაშე, განმეორებად დღეთა წინაშე, უეცარ შემთხვევათა წინაშე, რომელთაც არაფერი უწყიან და შეუსმენელი არიან.

...ზამთრამდე არა...

„თუ გინდა, ნუ მიპასუხებ“-ო — ასე ამთავრებ. ვერ შევძლებდი, ალბათ. რადგან ვინ იცის, მარინა, განა ჩემი პასუხი წინ არ უსწრებდა შენს კითხვას? მაშინ, ვალ-მონტში, უკვე ვეძებდი მას რუკებზე: *cette petite ville en Savoye...*⁷² და აი, შენ ამბობ მას! — ამოგლიჯე დროიდან, გადააადგილე, თითქოს უკვე იყო: — ასე ვფიქრობდი, როდესაც გკითხულობდი... აი, შენც დაწერე, წერილის მარჯვენა კიდეში: „წარსული ჯერ ისევ წინ არის...“⁷³ (მაგიური სტრიქონია, მაგრამ ძრწოლისმომგვრელი კავშირიდან ამოზრდილი).

და დაივიწყე, საყვარელო, კითხვაც და პასუხიც, ბრმად დაივიწყე, შეაფარე (რაც არ უნდა მოიტანოს) სიხარულის ძალას და საფარს, სიხარულისა, რომელიც მოგაქვს, რომელიც მჭირდება, რომელიც ალბათ მომაქვს, მას შემდეგ, რაც შენ დაიწყე მისი მოტანა.

ბორისის დუმილი მაფიქრებს და მადარდიანებს, საბოლოოდ ხომ მაინც ჩემმა შემოსვლამ ჩახერგა შენსკენ მომდინარე მისი

გულის დიდი ნაკადი? თუმცა მაშინვე გავიგე, რასაც ამბობ „ორ უცხოეთზე“ (ერთმანეთს რომ გამორიცხავენ). მაინც მეტისმეტად მკაცრი, თითქმის დაუნდობელი ხარ მის მიმართ და მკაცრი ჩემს მიმართაც, როდესაც გსურს, რუსეთი ჩემთვის აღარსად და აღარასდროს არსებობდეს შენს გარდა. ვუმხედრდები ყოველგვარ კატეგორიულ გამორიცხვას (იგი სიყვარულის ფესვებიდან კი ამოიზრდება, მაგრამ ხევდება და ყველაფერს ახევებს...) მცნობ ასეთს? ასეთსაც?

რაინერ

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილი,

22 აგვისტო, 1926 წ.

რაინერ, თქვი ჰო ყველაფერზე, რაც მე მსურს — ცუდი არაფერი მოხდება მაგით. რაინერ, როდესაც გეუბნები მე შენი რუსეთი ვარ-მეთქი, მხოლოდ იმას გეუბნები (კიდევ ერთხელ), რომ მიყვარხარ. სიყვარულს ხომ გამონაკლისები, განსაკუთრებულიობანი, გამორიცხვანი აცოცხლებენ. სიყვარული სიტყვებით ცოცხლობს და საქმეებში კვდება. ძალზედ ჭკვიანური კი იქნებოდა — მართლა მომენდომებინა შენს გარშემო რუსეთად ყოფნა! მეტყველების სტილია მხოლოდ. სიყვარულის სტილი.

რაინერ, მე სხვა სახელი მქვია: ყველაფერი, რაც შენ ხარ, რაც შენ არის (ყოფნა არის — იყო განცდილი).

გჯერა, რომ Savoye მჯერა? ჰო, შენსავით. მჯერა, როგორც სასუფეველისა: ერთხელაც... ოდესმე... (როგორ? როდის?) რა მანახა ცხოვრებამ? მთელი ჩემი ახალგაზრდობა (1917 წლიდან) — შავი სამუშაო. მოსკოვი? პრალა? პარიზი? აქ — სენ-ჟილი? სულ ერთი იყო: მუდამ ქურა, ცოცხი, ფული (არც ერთი კაპიკი), დრო — არასდროს. არც ერთი შენი ნაცნობ-მეგობარი ქალი არ ცხოვრობს ასე, ვერ იცხოვრებდა. „აღარ დავგვი“ — ასე ჰქვია ჩემს სასუფეველს. საკმაოდ უბრალოა, არა? ჰო, რადგან ჩემი სააქაოა საკმაოდ საბრალო! (რაინერ, გერმანულად რომ მენერა: ნმენდა — განსაწ-

მენდელი! აქ — წმენდა, იქ — განწმენდა, ვიდრე მთლიანად აგ-
წმენდა-აღგვიან აქობიდან და განსაწმენდელში შეგგვიან. ასე
ვწერ მე, — სიტყვიდან — საგნისკენ, სიტყვებს ვთარგმნი. ასე წერ
შენ, ასე მგონია. ასე რომ, ძვირფასო, ნუ გეშინია და ყოველთვის
თქვი: ჩემი მავედრებელი ხელი უმეტესად ძირს დაეშვება და წყა-
ლობა — ქვიშაში. რა მინდა შენგან? რაც მინდა მთელი პოეზიისა
და ყოველი სტრიქონისაგან. სიმართლე ყოველი ამ ნუთის. ამაზე
შორს სიმართლე აღარ მიდის. არასდროს ხევდება, იფერფლება
— მუდამ. მხოლოდ სიტყვა მსურს, რომელიც ჩემთვის უკვე საგა-
ნია. საქმე?! შედეგი?!

გცნობ, რაინერ, ისევე, როგორც საკუთარ თავს ვცნობ. რაც
უფრო შორს ვარ ჩემი თავიდან — მით უფრო წინ მივიწევე ჩემში.
მე ჩემში არ ვცხოვრობ, ჩემს გარეთა ვარ. მე არა ვარ ჩემს ბაგეე-
ბზე, და ვინც მკოცნის — მე ვერა მხვდება.

Savoye (დაფიქრება): მატარებელი. ბილეთი. სასტუმრო (მად-
ლობა ღმერთს, ვიზა არ იყო!) და... ჩუმი ზიზლი. რაღაც წინასწარ
მომზადებული, მიღწეული... ხვეწნით გამოთხოვილი. შენ ციდან
უნდა ჩამომივარდე.

რაინერ, სრულიად სერიოზულად: თუ მართლა გსურს თვალით
მიხილო, უნდა იმოქმედო, ე. ი. — „ორ კვირაში ამა და ამ ადგილას
ვიქნები. ჩამოხვალ?“ აი, ეს უნდა მივიღო შენგან. და რიცხვი და
ქალაქი.

დახედე რუკას, ეგებ დიდ ქალაქში შევხვდეთ? იფიქრე... პატარა
ქალაქები ზოგჯერ გატყუებენ, თავგზას გიბნევენ. ჰო, ერთი
რამ კიდევ: მე ფული არა მაქვს. ის მცირე თანხა, რასაც ვშოულობ
(ჩემი „სიახლის“ გამო მხოლოდ „ახალ“ ჟურნალებში ვიბეჭდები,
ასეთი კი სულ ორია ემიგრაციაში), მიღებისთანავე — ქრება;
გექნება ფული ჩვენთვის, ორივესთვის? რაინერ, გწერ და მეციხე-
ბა: აი, სტუმარი!

მაშ ასე, საყვარელო, თუ ერთხელ ნამდვილად მოგესურვება,
მომწერე (ოღონდ წინასწარ, რადგან ვინმე უნდა გამოვნახო, ვინც
ბავშვებთან დარჩება), და ჩამოვალ. აქ 1-იდან 15 ოქტომბრამდე
ვრჩები. შემდეგ პარიზში მივდივარ, სადაც ყველაფერი თავიდან
დაიწყება: უფულობა, უბინაობა, უყველაფრობა, პრალაში აღარ
დავბრუნდები. ბოჰემიაში გაბრაზებულები არიან ჩემზე, რადგან

ასე მხურვალედ და ამდენს ვწერდი გერმანიაზე, და ასე მყარად ვდუმდი ბოჰემიაზე. არადა, სამნახევარი წელიწადი ბოჰემიელებმა მაძლიეს სუბსიდიები (900 კრონი თვეში). მაშ ასე: 1-15 ოქტომბერს — პარიზი. ნოემბერზე ადრე ვერ შევხვდებით. მაგრამ სადმე სამხრეთშიც ხომ შეიძლება (საფრანგეთის სამხრეთში)?

ერთი სიტყვით: (ნოემბერს შემდეგ) სადაც, როგორც და როდესაც შენ გსურს. შენს ხელთაა ჩემი სული. შეგიძლია.. ხელები გაშალო, ამაზე მეტად ან ნაკლებად მაინც აღარასდროს შეყვარები.

წინასწარ მიხარობარ, როგორც მთლიანი მთლიანად ახალი საუფლო.

* * *

რაც შეეხება ბორისს. არა, მართალი ვარ. მისი პასუხი განთავისუფლებული ატლასის პასუხი იყო (მას ხომ ცა ეჭირა, ცის ბინადრებიანად! და ტვირთი რომ ჩამოიხსნა, დარწმუნებული ვარ, ამოიოხრებდა კიდეც). ახლა ის თავისუფალია: მეტიმეტად კეთილი, თანამგრძობი, თვინიერი. დარტყმა ჩემგან უნდა მოსულიყო (დასრულება ანუ მოკვლა არავის არ სურს!); ორი უცხოეთის შესახებ მან უკვე იცოდა. მე მხოლოდ ვთქვი, სახელი დავარქვი, ფარდა ავხადე. ახლა ყველაფერი კარგადაა: საუფლოები გამიჯნულია. მე ვრჩები უშინაგანეს შინაგანობაში — უკიდურეს უცხოეთში — მთლიანად სამყაროს გარეთ.

* * *

ბუდეს რუსულად ჰქვია ГНЕЗДО (მხოლობითი რიცხვი. არ ირითმება!) მრავლობითში: ГНЕЗДА (რბილი გამოთქმით ე-ო თითქმის ო). რითმა ЗВѢЗДЫ. ვარსკვლავები.

* * *

რამდენ ხანს რჩები კიდევ რაგაცში? როგორ გრძნობ თავს? ბოლოს რა დანერე?

ჰო, ერთი დიდი თხოვნა. გამომიგზავნე ბერძნული მითოლოგია (გერმანულად) — ყოველგვარი ფილოსოფიის გარეშე, სრულიად უბრალოდ და დანვრილებით გადმოცემული მითები. მგონი, ბავშვობაში შტოლის ერთი წიგნი მქონდა. მალე გამოვა ჩემი

„თეზევსი“⁷⁴ (I ნაწილი: თეზევსი და არიადნა. დრამატული პოემა), ახლა ვინყებ „ფედრას“⁷⁵ (ტრილოგიადაა ჩაფიქრებული არიადნა—ფედრა—ელენე) და მითოლოგია მჭირდება. აფროდიტეს სიძულვილი — ლაიტმოტივია. რა სანყენია, რომ ვერ მკითხულობ. შენს წინაშე ყრუ-მუნჯივითა ვარ (თუმცა ყრუ რატომ, მუნჯივით!).

მაჩუქე შტოლის მითები, და წააწერე, რომ აღარასდროს მოვიმორო გვერდიდან. კარგი?

გეხვევი მ.

მინაწერი კიდებე St. Gall-St. Gilles...

მარინა ცვეტაევა რილკეს

ბელვიუ,

პარიზის ახლოს,

31, ვერი-ს ბულვარი,

7 ნოემბერი 1926 წ.

საყვარელო რაინერ!

მე აქ ვცხოვრობ

— კიდევ გიყვარვარ?

მარინა

მარინა ცვეტაევა ბორის პასტერნაკს

ბელვიუ,

31 დეკემბერი 1926 წ.

ბორის!

რაინერ მარია რილკე გარდაიცვალა.

არ ვიცი როდის. ალბათ ასე სამი დღის წინ. ჩემთან მოვიდნენ ახალი წლის ზეიმზე დასაპატიჟებლად და თან ეს ამბავი შემატყობინეს.

მისი ბოლო წერილი (6 სექტემბრის)⁷⁶ ასე მთავრდებოდა:

„გაზაფხულზე? მეშორება. მანამდე! მანამდე!

(შეხვედრაზე ვლაპარაკობდით) პასუხზე აღარ მიპასუხია; მხოლოდ შემდეგ, ბელვიუდან გავუგზავნე წერილი — ერთი სტრიქონი:

„რაინერ, რა მოხდა? რაინერ აღარ გიყვარვარ?“

როდისმე კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?

— მის ახალ საუკუნეს გაუმარჯოს, ბორის.

მარინა ცვეტაევა ბორის პასტერნაკს

ბელვიუ⁷⁷, 1 იანვარი, 1927 წელი.

შენ პირველი ხარ, ვისაც ამ თარიღს ვწერ.

ბორის, ის გარდაიცვალა 30 დეკემბერს, არა 31-ს. კიდევ ერთი მცდარი დარტყმა ცხოვრების მხრიდან. ცხოვრების უკანასკნელი შურისძიება — პოეტის მიმართ.

ბორის, ველარასოდეს ნავალთ რილკესთან. ის ქალაქი აღარ არსებობს.

ბორის, თქვენთან პასპორტები გაიაფებულა (გუშინ წავიკითხე) და ამ ღამით (ახალი წლის ღამით) პირველად მესიზმრა საოკეანო გემი (მე მგზავრი ვიყავი) და რკინიგზა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემთან ჩამოხვალ და ჩვენ ლონდონში გავემგზავრებით. განეწყვე ლონდონისათვის, ააგე ლონდონი. დიდი ხანია ეს მჯერა. ოთახის ჩიტები და თოვლის ნამქერი მოსკოვის თავზე. გახსოვს?

მე არასოდეს მომიხმობხარ. ან ეს დღე დადგა. ჩვენ მარტო ვიქნებით უზარმაზარ ლონდონში. შენსა და ჩემს ქალაქში. ცხოველებს ვენვევით, ტაუერს. ტაუერის წინ პატარა, დამრეცი, უკაცრიელი მოედანია, მხოლოდ ერთი პატარა კნუტი ნევს მერხის ქვეშ. იქ დავსხდებით. მოედანზე ჯარისკაცები დადიან მწყობრად.

* * *

ხომ ხედავ, ბორის: სამს ცხოვრებაში არაფერი გამოგვივიდოდა. მე ვიცნობ საკუთარ თავს; მე მისი ხელების დაკოცნა მმართვედა და ვერ დავუკოცნიდი შენი თანდასწრებით. გავიგლიჯებოდი, დავიფლთებოდი, ჯვარს ვეცვებოდი, ბორის, რადგანაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც *ეს ქვეყანა* იქნებოდა.

ბორის! ბორის! როგორ *ვიცი* ის ქვეყანა! სიზმრებიდან, სიზმრების სურნელიდან, სიზმართა შეუპოვარი მოზღვავეებიდან.

დაროგორსულარ ვიცი ეს ქვეყანა, როგორ არ მიყვარს, როგორ მისერავს გულს! ის ქვეყანა; ხომ გესმის: ნათელი, შვება, საგნები სხვაგვარად განათებული, შენი სინათლით, ჩემი სინათლით...

...მაგრამ ახლა მასზე ვლაპარაკობ. თავისი უკანასკნელი წიგნი ფრანგულად დაწერა, ის დალაღა მშობლიურმა ენამ.

ის დალაღა ყველაფრის შემძლეობამ, მას მოესურვა მონაფე გამხდარიყო და ფრანგულ ენას წაეტანა: პოეტისათვის ყველაზე უფრო უმადურ ენას — ისიც დასძლია, კიდევ ერთხელ დასძლია ენა და უცბად დაილაღა. რადგან გერმანულ ენას კი არ გაურბოდა, არამედ — ადამიანურს. ეს წასწრაფება ფრანგულისაკენ ანგელოზური წყურვილი იყო. ფრანგული წიგნით მან ანგელოზთა ენაზე გამოთქვა საკუთარი თავი.

და აი, ის ანგელოზია. მე მას მყარად ვგრძნობ ჩემ *მარჯვენა მხართან* (არა გვერდით).

ბორის, მიხარია, რომ „ბელვიუ“ უკანასკნელი სიტყვა იყო, რაც მან ჩემგან გაიგონა.

რადგან ეს მისი პირველი სიტყვა იქნება იქიდან, დედამიწას რომ ჩამოხედავს.

მაგრამ შენ აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე.

* * *

(ამ წერილს მარინა ცვეტაევამ დაურთო წერილი, მიწერილი გარდაცვლილი რილკესადმი — მთარგმნელი).

* * *

„წელიწადი შენი სიკვდილით დასრულდა? დასასრული? დასაწყისი. უსაყვარლესო, ვიცი, რომ ახლა — რაინერ, ახლა მე ვტირი — უწერილოდაც წამიკითხავ, უკვე მკითხულობ. საყვარელო, თუკი შენ მოკვდი, ესე იგი არ არსებობს არც სიკვდილი და არც სიცოცხლე. კიდევ რა? პატარა ქალაქი Savoye-ში — როდის? სად? რაინერ, და „ძილის ბუდე“? (ბუდე ახლა უკვე რუსულადაც იცი და იცი, რომ ბუდეს — гнездо ჰქვია, და სხვაც ბევრი რამ).

არ მსურს შენი წერილების თავიდან წაკითხვა. რადგან მაშინ „სიცოცხლე“ აღარ მენდომება (თუ „შემეძლება“)? არა, შეძლებით ყველაფერი შემიძლია, არ გამოდგება. შენსკენ გამომიწვევს გული, აქ აღარ მომინდება ყოფნა. რაინერ, ვიცი, მარჯვნივ ხარ. შენს ნათელ თავს ლამის ვგრძნობ კიდევ. ნეტავ, ერთხელ მაინც თუ გაგახსენდი? ხვალ ახალი წელია, რაინერ, 1927, 7 შენი საყვარელი რიცხვი. მაშასადამე, 1875 წელს დაბადებული. 51? ახალგაზრდა.

საწყალი პატარა გოგონა, შენი შვილიშვილი, რომელსაც არ უნახიხარ.

საწყალი — მე.

მაგრამ — არ გვინდა მწუხარება! ამაღამ თორმეტ საათზე ჩემს სასმისს შევახებ შენსას (ო, სულ უჩუმრად, ჩვენ ხომ ვერც ერთი ვერ ვიტანთ ხმაურს).

უსაყვარლესო, დამესიზმრე ხანდახან მაინც.

აქაური შეხვედრის არც ერთს არ გეჯეროდა — ისევე როგორც აქ ყოფნის — არა? შენ გამასწარი, წინ წამიძეხი და მანდ მიმზადებ — არა ოთახს, არა სახლს — არამედ სანახს, მანდაურ მიდამოს აწყობ ჩემი მოსვლისათვის.

გკოცნი: ბაგეზე? საფეთქელზე? შუბლზე? ძვირფასი ბაგე (რადგან შენ მკვდარი არა ხარ) ნამდვილად ცოცხალი კაცის.

უსაყვარლესო, გთხოვ, გიყვარდე სხვაგვარად და ყველაზე მეტად. ნუ გამიბრაზდები, — შემეგუე, რადგან ასეთი დარჩები მუდამ.

კიდევ რა?

ეგებ ძალზე მალლა ხარ ახლა? არა ზემოთ, არა შორს... ჯერ

არა, ჯერ ისევ სულმთლად ახლოს ხარ, შუბლით მხარზე გეხები.

ჩემო საყვარელო, დიდო ბიჭო — შენ, რაინერ, მომწერე, გეხ-
ვენები (უაზრო თხოვნაა?).

გისურვებ სიხარულის ახალ წელს და მშვენიერ ზეციურ —
საახალწლო სანახს.

მარინა

ბელვიუ, 31 დეკემბერი. 1926, საღამოს 10 საათი.

რაინერ, ჯერ ისევ მინაზე ხარ, 24 საათი ჯერ არ გასულა.“

კომენტარები

პირადი მიმონერიდან

ლუ ანდრეას-სალომეს, 1903 წლის 8 აგვისტო

ლუ ანდრეას-სალომე (1861-1937) — რუსულ-გერმანული წარმოშობის მწერალი ქალი, ფსიქოლოგი, პუბლიცისტი. რილკე მას დაუმეგობრდა 1897 წელს, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა, ხოლო 1899 წელს მათ ერთად იმოგზაურეს რუსეთში. ლუმ დიდი როლი ითამაშა რილკეს პიროვნებად და შემოქმედად ჩამოყალიბებაში და სიცოცხლის ბოლომდე მისთვის მნიშვნელოვან პიროვნებად დარჩა.

ოგიუსტ როდენი (1840-1917) — ფრანგი მოქანდაკე, რომლის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესი პოეტს მისმა მეუღლემ, როდენის მოწაფემ, მოქანდაკე კლარა ვესტჰოფმა გაუღვივა. რილკემ გადაწყვიტა როდენის შესახებ მონოგრაფიის დაწერა და 1902 წელს პირველად შეხვდა მას პირადად, 1905-1906 წლებში კი მის მდივნად მუშაობდა. მის მოვალეობებში როდენის კორესპონდენციის წესრიგში მოყვანა შედიოდა, ამასთანავე მათ სულიერი სიახლოვე აკავშირებდათ. რილკე აღფრთოვანებული იყო როდენის ნიჭით, მისი გულმოდგინება და თვითდისციპლინა ყოველი შემოქმედისათვის მისაბამ მაგალითად მიაჩნდა, ხოლო ნატურისადმი როდენისეულმა მიდგომამ უდიდესი გავლენა მოახდინა რილკეს „საგან-ლექსის“ იდეაზე. როდენის რთული და პირქუში ხასიათის გამო მათ შორის მალევე განხეთქილება ხდება და რილკე, უაღრესად გულნატკენი, შორდება თავის მოძღვარს. იხილეთ რილკეს მონოგრაფია „როდენი“ (რ. მ. რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტომი IV, გვ. 97-172). იხ. ასევე, IV ტომში: ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი: „როდენის“ შესახებ (გვ. 275-278); დალი სიხარულიძე: რილკე და სახვითი ხელოვნება (გვ. 305-324).

კლარა რილკეს, 1906 წლის 26 იანვარი

კლარა რილკე, ქალიშვილობაში ვესტჰოფი (1878-1954) — თავისი მომავალი მეუღლე რილკემ 1900 წელს ვორჰსვედეში გაიცნო, სადაც კლარა მეგობარ მხატვრებთან ერთად მოღვაწეობდა. ის იყო მოქანდაკე, როდენისა და მაკენზენის მოწაფე. 1901 წლის მარტში ისინი ქორწინდებიან და მხატვართა დასახლების მეზო-

ბლად, სოფელ ვესტერვედეში იდებენ ბინას. ამავე წლის დეკემბერში მათ შეეძინათ ქალიშვილი რუთი (1901-1972). როგორც შემოქმედს, რილკეს ძალზე უჭირდა ოჯახთან ერთად ცხოვრება. 1902 წელს იგი გაემგზავრა პარიზში როდენთან შესახვედრად. მისი შემოქმედებით რილკე პირველად სწორედ კლარას გავლენით დაინტერესდა. ამ დროიდან ცოლ-ქმარს აღარასოდეს უცხოვრია ერთად, თუმცა მათ, უახლოეს წლებში მაინც, შეინარჩუნეს შინაგანი სიახლოვე და ურთიერთგაგება. 1910-იან წლებში რილკე წერილებში ხშირად და დაწვრილებით უზიარებს კლარას საკუთარ განცდებს, უპირველეს ყოვლისა, სახვითი ხელოვნებით მოგვრილ შთაბეჭდილებებს. იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. IV, წერილები სეზანზე, გვ. 175-196.

შარტრი — პარიზიდან 80 კმ-ის დაშორებით, ქალაქ შარტრში მდებარე ღვთისმშობლის ტაძარი, გოთური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუში.

ოსტატი — ლაპარაკია ოგიუსტ როდენზე.

ანგელოზი — შარტრის ტაძრის გარეთა კედელთან მდგარი ანგელოზის ამ ქანდაკებას ეძღვნება რილკეს ლექსი „L'Ange du Méridien“ (იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 15).

„Mais vous ne savez pas, il y a toujours un vent, ce vent-là autour des grandes Cathédrales. Elles sont toujours entourées d'un vent mauvais agité, tourmenté de leur grandeur. C'est l'air qui tombe le long des contreforts, et qui tombe de cette hauteur et erre autour de l'église...“ — „არა, თქვენ არ გესმით: დიდი ტაძრების გარშემო მუდამ ასეთი გრიგალია. მათ მუდამ გარს ეხლება მრისხანე ქარი, მათი სამალლე არ აძლევს მას მოსვენებას. ის კედლის გასწვრივ სვეტებს ჩამოუყვება, დიდი სიმაღლიდან ძირს ენარცხება და ეკლესიის გარშემო უსასრულოდ დახეტიალობს...“ (ფრანგ.)

„Vent errant“ — მოხეტიალე ქარში (ფრანგ.).

ოგიუსტ როდენს, 1906 წლის 12 მაისი

...ჩემს მეუღლეს, ცოტა სხვაგვარად და უფრო შორიდან, ასეთივე გრძნობა აქვს თქვენდამი... — რილკეს მეუღლე, კლარა, როდენის მონაფე იყო.

მიმი რომანელის, 1907 წლის 26 ნოემბერი

მიმი რომანელი — ვენეციაში მცხოვრები მეგობარი, რომელსაც რილკე იულიუს მაიერ-გრეფეს რეკომენდაციით სტუმრობდა 1907 წლის 19-30 ნოემბრის დღეებში.

მიმი რომანელის, 1907 წლის 8 დეკემბერი

...მორჩილად გადავიტანო პატარა სიკვდილი, რათა ღირსეული გავხდე იმ სიკვდილისა, რომელსაც ჩვენი სიღიადე სურს — თავისი შემოქმედების ამ პერიოდის ნაწარმოებებში (ლირიკულ კრებულში „უამნი“ და „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერებში“) რილკე გამოხატავს სიკვდილისადმი თავის დამოკიდებულებას, მიჯნავს რა „ჭეშმარიტ“, „დიდ“, „საკუთარ“ სიკვდილს, რომელიც მთელი ჩვენი სიცოცხლიდან უნდა გამომდინარეობდეს, „პატარა“, „უპიროვნო“, „მასობრივი“ სიკვდილისაგან, რომელსაც ახალი დროის საზარელ სენად მიიჩნევს.

მიმი რომანელის, 1908 წლის 18 იანვარი

ემილ ვერჰარნი (1855-1916) — ბელგიელი პოეტი, რომელიც რილკემ პარიზში გაიცნო (მათ შეხვედრასთან დაკავშირებით იხ. რომენ როლანი: რილკეს, მისი მეზობლის მოგონებები. ტომი V, გვ. 22).

კლარა რილკეს, 1908 წლის 3 სექტემბერი

შენს მალაღჭერიან დარბაზში ვისხედით — იგულისხმება პარიზში, ვარენის ქუჩის 77-ე ნომერში მდებარე ოტელ ბირონი, სადაც ერთხანს კლარა რილკე ცხოვრობდა, შემდეგ კი იქ როდენმა მოიწყო სახელოსნო. ამჟამად ეს სახლი როდენის მუზეუმადაა ქცეული.

რა უთქვამს ბეთჰოვენს ბეტინა არნიმისათვის — ბეტინა ბრენტანო, ფონ არნიმი (1785-1859), გერმანელი მწერალი ქალი, რომანტიზმის ეპოქის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, მეგობრობდა თავისი დროის ისეთ გენიოსებთან, როგორც ბეთჰოვენი და გოეთეა. ბეთჰოვენთან შეხვერას იგი აღწერს თავის მიერ 1835 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „გოეთეს მიმონერა ბავშვთან“. რილკემ თავის რომანში გამოხატა საკუთარი აზრი ბეტინას

პიროვნების, სიყვარულის მისეული უნარისა და გოეთესთან მისი ურთიერთობის შესახებ (იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. III, გვ. 233-235. კომენტარი გვ. 327-ზე).

მისი ბალზაკი — როდენი 1893-97 წლებში მუშაობდა ბალზაკის სკულპტურულ პორტრეტზე, რომელიც ამჟამად როდენის მუზეუმში ინახება.

ისევ ჩემს მონაზონს ვიშველიებ — იგულისხმება მარიანა ალკოფორადო (1640-1723) — პორტუგალიელი მონაზონი. მისი სასიყვარულო წერილები გრაფ დე შამილისადმი 1669 წელს ფრანგულ ენაზე გამოსცა ჟოზეფ გაბრიელ დე გიერაგიმ, რომელიც სინამდვილეში თავად იყო ამ წერილების ავტორი (იხ. ქართულად: გიერაგი, პორტუგალიელი მონაზვნის წერილები. ჟურნ. „ალტერნატივა“, 7(74), 2004, გვ. 45-48; 8(75), გვ. 49-52). რილკემ ეს წერილები 1913 წელს გერმანულად თარგმნა.

cette bête — (ფრანგ.) ეს პირუტყვი.

C'est Rodin portant son Qouvre, toujours plus lourd, mais qui tient le monde. — (ფრანგ.) როდენი თავის შემოქმედებას ზიდავს, რომელიც მეტისმეტად მძიმეა, მაგრამ რომელიც საკუთარ თავში მთელ სამყაროს შეიცავს.

სიდონი ნადჰერნი ფონ ბორუტინს, 1908 წლის 5 სექტემბერი.

სიდონი ნადჰერნი ფონ ბორუტინი (1885-1950) — რილკეს მეგობარი ქალი.

entre cour et jardin — (ფრანგ.) ეზოსა და ბაღს შუა.

Quatorze — (ფრანგ.) მეთოთხმეტე.

Sacré-coeur — (ფრანგ.) წმინდა გული. პარიზში მდებარე ტაძრის სახელწოდება.

Rez-de-chaussée — (ფრანგ.) პირველი სართული.

rue d'Alger — (ფრანგ.) ალჟირის ქუჩა.

ვკითხულობ ბეტინა არნიმის წერილებს გოეთესადმი — იგულისხმება ბეტინას მიერ გამოცემული „გოეთეს მიმონერა ბავშვთან“. იხ. კომენტარი წინა წერილისათვის.

კლარა რილკეს, 1908 წლის 4 სექტემბერი

პაულა ბეკერის მშვენიერი ბიუსტი — პაულა მოდერზონ-ბეკერის ბიუსტი კლარა რილკემ 1908 წელს შექმნა.

Sensualité de l'âme — (ფრანგ.) სულის მგრძნობელობა.

საფო — ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ძველბერძენი პოეტი ქალი, რომელიც რილკეს მეტრფე ქალთა ნუსხაში ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე უფროსია.

face an face — (ფრანგ.) პირისპირ.

...ბუდა კი იძულებულია მელოდოს... — კლარა რილკემ წაიკითხა „Reden Gotamo Buddhos“ („გაუტამა ბუდას საუბრები“), გერმანულად თარგმნილი კარლ ოიგენ ნოიმანის მიერ, და შემდეგ რილკესაც გაუგზავნა ეს წიგნი წასაკითხად.

ანეტე კოლბს, 1912 წლის 23 იანვარი

ანეტე კოლბი (1870-1967) — გერმანულ და ფრანგულენოვანი მწერალი.

თქვენი თხზულება — იგულისხმება ანეტე კოლბის ნაწარმოები „Der neue Schlag“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Der lose Vogel“.

...mais moi, je ne pense guère au fond, j'avale mes pensées toutes entières sans en détailler le goût, je les ai dans mon sang avant d'en tirer le profit immédiant qui s'impose... — (ფრანგ.) ...მაგრამ ჩემი ფიქრები ზედაპირზე არასოდეს რჩება, ფიქრებს გემოს გაუსინჯავად ვყლაპავ და, ვიდრე მათგან მოსალოდნელ სარგებელს შევიგრძნობდე, უკვე სისხლში მაქვს გამჯდარი...

წმ. ტერეზა ავილელი — XVI საუკუნის ესპანელი მისტიკოსი ქალი.

გასპარა სტამპა (1523-1554) — იტალიელი პოეტი ქალი და კურტიზანი.

ლუიზა ლაბე (1525-1566) — ფრანგი პოეტი ქალი.

მარიანა ალკოფორადო (1640-1723) — პორტუგალიელი მონაზონი. დაწვრილებით იხ. კომენტარი 192-ე გვერდზე.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს, 1912 წლის 13 ნოემბერი

თავადის ქალი მარი ფონ თურნ უნდ თაქსის-ჰოენლოე (1855-

1934) — ქალიშვილობაში თავადის ქალი ჰოენლოე-ვალდენბურგ-შილინგსფიურსტი, თავად ალექსანდრე ფონ თურნ უნდ თაქსისის მეუღლე. რილკეს მასთან ხანგრძლივი თბილი მეგობრობა აკავშირებდა. მათ ერთმანეთი 1909 წელს პარიზში გაიცნეს. პოეტი არაერთხელ სტუმრობდა მას ადრიატიკის ზღვის პირას, ქ. ტრიესტის მახლობლად მდებარე დუინოს ციხესიმაგრეში. სწორედ აქ ჩაისახა „დუინური ელეგიების“ პირველი იმპულსი. რილკემ საზეიმოდ გამოაცხადა „ელეგიები“ მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის „სამფლობელოს“ ნაწილად. 1932 წელს თავადის ქალმა გამოსცა „მოგონებები რ. მ. რილკეზე“ („ინზელის ბიბლიოთეკა“).

„მეუღლე ცისა და მიწისა“, — ასე უწოდა მარიამ ღვთისმშობელს იეზუიტმა რივადანიერამ... — საუბარია შუა საუკუნეების ესპანელი მისტიკოსის, პედრო დე რივადანიერას ჰაგიოგრაფიულ თხზულებაზე „აყვავებული სინმინდე“.

პია — გრაფინია პია დი ვალმარანა (1881-1948), პრინცესა მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის მეგობარი, რომელსაც რილკე 1912 წლის ზაფხულში სტუმრობდა ვენეციაში, პალაცო ვალმარანაში.

ჩივიდალე — ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში.

მოვისმინე ვილაცის ნაამბობი ქრისტიფორეზე — რილკე გულისხმობს ლეგენდას წმინდა ქრისტიფორეზე, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით დაჯილდოებულ გოლიათზე, რომელმაც მხრებზე შესმული ყრმა იესო წყალზე გადაიყვანა და მასთან ერთად მთელი სამყაროს სიმძიმე შეიგრძნო.

ქრისტობალი — სახელ „ქრისტიფორეს“ ესპანური ვარიანტი.

მრავლად ვნახე გრეკოს სურათები — დიდი ესპანელი ფერმწერის, ელ გრეკოს შემოქმედებისადმი რილკეს განწყობასთან დაკავშირებით იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. I, ანა ლუჩია ჯავოტო: ესპანეთი, როგორც გამოცხადება, ხილვა, შეუძლებლობა და დავალება: რილკეს გზა „დუინური ელეგიებისაკენ“ (გვ. 238-255).

un cabochon énorme enchâssé dans ce terrible et sublime reliquaire. — (ფრანგ.) განუკვეთელი დიდი ალმასი, ამ დიდებულ და საზარელ რელიკვიებით სავსე ზარდახშას რომ ამშვენებს.

გოგოლის „შინელის“ კასნერისეული თარგმანი — რუდოლფ კასნერმა 1912 წელს გამოსცა ნიკოლაი გოგოლის ნოველის „შინელის“ თარგმანი სათაურით „Der Mantel“.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თავისის — ჰოენლოეს,
1912 წლის 17 ნოემბერი

სერვანტესი — მიგელ და სევატეს საავედრა (1547-1616), ესპანელი კლასიკოსი მწერალი, დრამატურგი.

ანჯელა და ფოლინიო (1248-1309) — იტალიელი მისტიკოსი ქალი.

ჰოფმანის ზღაპრები — ენსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი (1776-1822), გვიანი გერმანული რომანტიზმის წარმომადგენელი, მწერალი, რომლის შემოქმედებიდან ყველაზე მეტად მისი ლიტერატურული ზღაპრებია პოპულარული.

ანტუან ფაბრ დ'ოლივე (1768-1825) — ფრანგი მეცნიერი, პოეტი, კომპოზიტორი და უძველეს კულტურათა მკვლევარი. რილკე პირველ რიგში გულისხმობს მის ნაშრომს „მკაცრი ანალიზის შედეგად აღდგენილი და შემონმბებული ძველებრაული ენა და ძველებრაულ სიტყვათა ჭეშმარიტი მნიშვნელობა“ (1816).

ცნობილ გოდოლამდე — თქმულება ბაბილონის გოდოლის შესახებ ძველი აღთქმის შესაქმის ნიგნის მე-11 თავშია გადმოცემული.

„et que Moïse ne disait presque pas mot en hébreu de se qu'on lui faisait dire en grec ou en latin“. — (ფრანგ.) და მოსეს ლამის ერთი სიტყვაც კი არ წარმოუთქვამს ებრაულად, თუ არ ჩათვლით იმას, რასაც მას ბერძნულ და ლათინურ ენებზე მიაწერენ.

le premier „Régne hominal“ — (ფრანგ.) უპირველესი „კაცთა საუფლო“.

„exprime une manifestation phénoménale; en sorte qu'en le prenant dans le sens le plus restreint, on a lui faire signifier un jour: mais ce sens est évidemment, forcé, et on, ne peut se refuser d'y voir un période de temps indéterminé, toujours relatif à l'être auquel il est appliqué“. — (ფრანგ.) შეიცავს სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუკი მას ვინრო გაგებით შევხედავთ. ჩვენ მას ერთი დღის გამოსახატად ვიყენებთ, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ უნდა იყოს ჭეშმარიტი; ის ალბათ დროის გარკვეულ პერიოდს გამოხატავს, დაკავშირებულს მხოლოდ იმ არსებასთან, რომლის მიმართებაშიც იხმარება ეს გამოთქმა.

via sacra — (იტალ.) წმინდა გზა.

თქვენი D. S. — რილკეს დუინოში სტუმრობისას მარი ფონ

თურნ უნდ თაქსისმა მას ალერსიანი და სახუმარო მეტსახელი „il Dottore Serafico“ შეარქვა, რაც „სერაფიკულ (ანგელოზურ) მეცნიერებათა დოქტორს“ ნიშნავს. პოეტი ძალზე ნასიამოვნები დარჩა ამ „წოდებით“.

მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1912 წლის 17 დეკემბერი

ფაშა — პრინც ალექსანდრე ფონ თურნ უნდ თაქსისი, პრინცესას მეორე ვაჟიშვილი.

ნმ. ანჯელა და ფოლინიო იხ. კომენტარი 195-ე გვერდზე.

„Quand tous les sages du monde et tous les saints du paradis m'accablèrent de leurs consolations et de leurs promesses, et Dieu lui-même de ses dons, s'il ne me changeait pas moi-même, s'il ne commençait au fond de moi une nouvelle opération, au lieu de me faire du bien, les sages, les saints et Dieu exaspéreraient au delà de toute expression mon désespoir, ma fureur, ma tristesse, ma douleur et mon aveuglement“ — „ამ ქვეყნის ყოველმა ბრძენმა და სამოთხის ყოველმა წმინდანმა ნუგეშითა და დაპირებებით რომ ამავსონ, და თვით უფალმაც არ დამაკლოს თავისი მადლი, — თუკი ამ დროს თავად ჩემში არ მოხდა განახლება, მაშინ ბრძენნიც, წმინდანნიცა და თვით უფალიც ნაცვლად ნუგეშისცემისა მხოლოდ გამიასმაგებენ სასონარკვეთას, შიშს, ნალველსა და სიბრმავეს“ (ფრანგ.).

ლუ ანდრეას-სალომეს, 1913 წლის 6 იანვარი

„კაცმა რომ თქვას, უკვე რახანია თავისუფალი იყო...“ — რილკეს ეს მოკლე ტექსტი მოგვიანებით შევიდა მისი ნაწარმოებების სრულ გამოცემაში სახელწოდებით „ჩანაწერი“ („Aufzeichnung“, Sämtliche Werke, B. VI, S. 1035).

...იმხანად, როდესაც „უამნი“ დაიწყო... — რილკე გულისხმობს 1899 წელს ლუსთან ერთად რუსეთში მოგზაურობით მოგვრილ უძლიერეს განცდას.

კარლ ფონ დერ ჰაიდს, 1913 წლის 15 მარტი

კარლ ფონ დერ ჰაიდი (1858-1922) — ბანკირი და მწერალი. 1905 წელს გაიცნო რილკე გრაფინია შვერინთან და მას მერე რილკეს შემოქმედების პოპულარიზაციას ეწეოდა.

par excellence — (ფრანგ.) უპირატესად.

...თქვენი მოგზაურობის პატარა წიგნი... — კარლ ფონ დერ ჰაიდის წიგნი „შემოდგომის მოგზაურობა საბერძნეთში“ 1912 წელს გამოიცა, მას დართული აქვს გერდა-დოროთეა ფონ დერ ჰაიდის ფოტოსურათები.

ბოკლინი — არნოლდ ბოკლინი (1827-1901), შვეიცარიელი ფერმწერი.

ლიცეულის კლუბი — კეთილშობილ ქალთა კლუბი ბერლინში.

თავადის ქალ მარი ფონ თურნ უნდ თაქსის — ჰოენლოეს, 1913 წლის 27 დეკემბერი

ქალბატონი დელ ჯოკონდო — რილკე გულისხმობს ლეონარდო და ვინჩის ცნობილ „ჯოკონდას“: მანამდე, 16 დეკემბერს, რილკე სწერს თავადის ქალს: „სულმოუთქმელად ველი კვირადღეს და მონა ლიზას დაბრუნებას. ის ხომ ერთადერთი ქალია, ვისთანაც, ასე თუ ისე, კიდევ შევძლებ ურთიერთობას. 21 დეკემბერს მარი ფონ თურნ უნდ თაქსისმა უპასუხა: „ვინ იცის, ეგებ ცოტა მოგვიანებით მეც გამოვჩნდე პარიზში და მშვენიერ ჯოკონდას კონკურენციაც კი გავუწიო!“

ჰაინრიჰ ფონ კლაისტის (1777-1811) — გერმანელი მწერალი, დრამატურგი. წერილში მოყვანილი პნკარები წარმოადგენს რილკეს მიერ კლაისტის საფლავზე 1898 წლის 14 იანვარს დაწერილი ლექსის ნაწყვეტს.

პრინც ფონ ჰომბურგი, გუისკარდის ფრაგმენტი — კლაისტის დრამა „პრინც ფრიდრიჰ ფონ ჰომბურგი“ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1821 წელს გამოიცა; დრამა „რობერტ გუისკარდი“ დაუსრულებელი დარჩა.

ფუჟე... მადამ ფუჟე — ფრიდრიჰ დე ლა მოტ ფუჟე (1777-1843) — გერმანელი პოეტი; კაროლინა ფილიპინა დე ლა მოტ ფუჟე (1773-1831) — გერმანელი მწერალი ქალი.

სორმას მიერ მიძღვნილი გვირგვინი — აგნეს სორმა (1865-1927), მსახიობი ქალი.

გულისხმობდი მის უცნაურ სიკვდილს — კლაისტმა თავი მოიკლა მეგობარ ქალთან, სიმსივნით დაავადებულ ჰენრიეტე

ფოგელთან ერთად: წინასწარი შეთანხმებისამებრ მან ჯერ ქალს ესროლა ტყვია, შემდეგ კი საკუთარ თავს.

შრენკ-ნოტცინგი — ბარონი ალბერტ ფონ შრენკ-ნოტცინგი (1862-1929), სპირიტისტი.

„*უცნობი ქალბატონი*“ — რილკე გულისხმობს იმ ხმას, რომელსაც მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის წრეში სპეციალური ფირფიტის მეშვეობით იძახებდნენ. რილკე შესწრებია ამ სეანსებს და თავადაც უსაუბრია ამ „ქალბატონთან“.

ბენვენუტას, 1914 წლის 26 იანვარი

ბენვენუტა — პიანისტი ქალი მაგდა ფონ ჰატინგბერგი. მან 1914 წლის იანვარში მისწერა რილკეს სამადლობელი წერილი იმის გამო, რომ მეუღლესთან გაყრის შემდეგ მძიმე სულიერი მდგომარეობა მას რილკეს წიგნმა „ამბები კეთილ ღმერთზე“ დააძლევინა. რილკე სიხარულით შეეგება მას, როგორც „დიდი ხნის ნანატრ სატრფოს“. სწორედ ამას ნიშნავს მის მიერ ამ ქალისათვის შერქმეული სახელი „ბენვენუტა“.

ის ზამთარი ერთ პატარა ესპანურ ქალაქში გავატარე — ლაპარაკია რონდაზე, სადაც რილკე ცხოვრობდა 1912-13 წლების ზამთარში.

ბენვენუტას, 1914 წლის 1 თებერვალი

გმირი ვიყავი — გმირის სახე რილკეს შემოქმედებაში ძალზე თვითმყოფადია. შესაძლოა, წერილის ამ მონაკვეთში პოეტი გულისხმობდეს თავის ადრეულ ნაწარმოებს, „გვრინს კორნეტ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე“ (იხ. რანერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. I, გვ. 63), სადაც გმრობის ტრივიალურ-რომანტიკულ თემატიზაციას ვხვდებით, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია აქ მეექვსე ელეგიის გახსენება, უხილავ შინაგან გმრობას რომ ასხამს ხოტბას: ამგვარი გმირი, ლეღვის ხესავით, არ იხარჯება ყავივლობაზე და მთელ შინაგან ძალებს ნაყოფისათვის იგროვებს (შდრ.: იგივე გამოცემა, ტ. II, გვ. 106-109).

ქუჩაში გავლისას საიდანღაც ვიოლინოს ხმა შემომესმებოდა — ეს, როგორც ჩანს, რეალური ცხოვრებისეული ეპიზოდი

პირველ დუინურ ელეგიაშიცაა ნახსენები (იგივე გამოცემა, ტ. II, გვ. 86) იმ მძაფრ, ამალელებელ გამოცდილებებს შორის, რომლებიც პოეტს „დავალებად დაეკისრა“.

ანდრე ჟიდს, 1914 წლის 18 თებერვალი

ანდრე ჟიდი (1869-1951) — ფრანგი მწერალი. რილკემ ის 1910 წელს პარიზში გაიცნო.

„Hacas“, „Casa“ — (ესპ. და იტალ.) სახლი.

კასნერის ახალი პატარა ნიგნი — რუდოლფ კასნერის ამ ნიგნს რილკე მომდევნო, ლუ ანდრეას-სალომესადმი მიძღვნილ წეილშიც მოიხსენიებს. ნიგნს ეწოდება „ქიმერა. კეთროვანი“.

ლუ ანდრეას-სალომეს, 1914 წლის 20 თებერვალი

...ნავიკითხე შენი „3 წერილი“ — საუბარია 1917 წელს ლაიპციგში გამოცემულ „ყმანვილისადმი მიწერილ სამ წერილზე“, რომელიც რილკემ ხელნაწერში წაიკითხა. ეს წერილები ლუმ თავისი ერთ-ერთი მეგობარი ქალის ვაჟიშვილს მისწერა. მათში, როგორც ჩანს, ფიზიკური სიცოცხლის იმ ფენომენებზეა საუბარი, რომელიც გარკვეულწილად რილკეს „დუინურ ელეგიათა“ თემას წარმოადგენს. რილკეს ეს წერილი მრავალი გაგებით ეხმიანება მის მერვე ელეგიას.

...წარმოგიდგენია, ეს „კორნეტი“... — „გვრინი კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე“ რილკეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო მრავალი წლის მანძილზე, რაც თავად პოეტს აოცებდა, რადგან მოგვიანებით უკვე ვეღარ გრძნობდა თავის ამ ადრეულ ნაწარმოებთან შინაგან კავშირს. ამ წერილში მისი მოხსენიება აშკარა გადაძახილია ორი დღით ადრე ანდრე ჟიდისადმი მიწერილ წერილთან, სადაც ის გამოთქვამს მადლიერებასა და სიხარულს იმის გამო, რომ ჟიდი „კორნეტის“ თარგმნას აპირებს.

ლუდვიგ ფონ ფიკერს, 1915 წლის 9 თებერვალი

ლუდვიგ ფონ ფიკერი — ავსტრიელი ლიტერატორი, სალიტერატურო ჟურნალ „Brenner“-ის მთავარი რედაქტორი, მრავალი გენიალური შემოქმედის (მათ შორის გეორგ თრაქლისა და ქრის-

ტინე ლავანტის) მეგობარი და მფარველი.

გეორგ თრაქლი (1887-1914) — ავსტრიელი პოეტი.

„სებასტიანე“ — იგულისხმება გ. თრაქლის სამი ლექსისაგან შემდგარი ციკლი „სებასტიანე სიზმარში“.

კირკეგორი, სორენ (1813-1855) — დანიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

თრაქლის „ჰელიანი“ — გ. თრაქლის ვრცელი ლექსი, რომლის სათაური ძველგერმანულად „მაცხოვარს“ ნიშნავს.

თრაქლის ხატი რალაციით ლინოსის მითს ენათესავება — ლინოსის მითთან დაკავშირებით იხილეთ პირველი დუინური ელეგია (რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 89; ამავე ტომში, კომენტარი გვ. 308).

მარიანე ფონ გოლდშმიდტ-როტშილდს,
1915 წლის 28 ივლისი

მარიანე ფონ გოლდშმიდტ-როტშილდი — ქალიშვილობაში მარი-ანნე ფონ ფრიდლენდერ-ფულდი, რილკეს მეგობარი ქალი. დაიბადა 1892 წელს.

...იცნობთ თუ არა პიკასოს ამ სურათს? — ლაპარაკია ესპანელი მხატვრის, პაბლო პიკასოს ნამუშევარზე „არლეკინის სიკვდილი“. მოხეტიალე ჯამბაზების პიკასოს მიერ შექმნილ სახეებს ეძღვნება რილკეს მეხუთე დუინური ელეგია (იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 102) და ლექსი პროზად სახელწოდებით „მოხეტიალე აკრობატები“ (იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. III, გვ. 76).

კასპარი — სალონი-გალერეა „კასპარი“ მიუნჰენში.

ელენ დელჰს, 1915 წლის 22 აგვისტო

ელენ დელჰი (1890-1990) — მწერალი, ლუ ანდრეას-სალომეს შვილობილი. რილკეს ის სწორედ ლუმ გააცნო. 1913 წლიდან მოკიდებული მათ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ.

ლოტე ჰეპნერს, 1915 წლის 8 ნოემბერი

ლოტე ჰეპნერი — ამ პიროვნების შესახებ არაფერია ცნობი-

ლი. რილკეს მაგიდის კალენდრის ჩანაწერებში ის ერთხელაა მოხსენიებული როგორც ადრესატი.

... *ზუსტად ასევე დაგვემართა სიკვდილთან მიმართებაშიც* — ამ პერიოდში რილკე ძალზე ბევრს ფიქრობს და წერს სიკვდილის თემაზე: 9 ნოემბერს ის ქმნის ლექსს „სიკვდილი“ (SW, B. 2, S. 103), 13 ნოემბერს კი „რეკვიემს ერთი ბიჭის სიკვდილზე“, 8 წლის პეტერ იაფეს გარდაცვალებას რომ ეძღვნება (SW, B. 2, S. 104).

ვილჰელმ ფლაისი — რილკე გულისხმობს ვილჰელმ ფლაისის წიგნს „Vom Leben und vom Tode. Biologische Vorträge“, 2. Aufl. 1914 („სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ. ბიოლოგიური მოხსენებები“).

ტოლსტოი ლევ ნიკოლაევიჩი (1828-1910) — რუსი კლასიკოსი მწერალი და მოაზროვნე. რილკე მოიხსენიებს მის შემდეგ ნაწარმოებებს: მოთხრობებს „ივანე ილიჩის სიკვდილი“ (1866), „იარეთ ნათელში, ვიდრე გაქვთ ნათელი“ (1887), „ბატონი და ყმა“ (1895), „სამი სიკვდილი“ (1859); ვრცელ მოთხრობებს: „კოზაკები“ (1863), „პოლიკუშკა“ („1863), „ტილოს მზომავი“ (1886).

სიკვდილით სავსე ბოთლი, ანდა ეს უმსგავსო, ყურმოტეხილი ფინჯანი — სიკვდილის, როგორც „ფინჯანში ჩასხმული მოლურჯო ნაყენის“ სახე გვხვდება ამავე პერიოდში შექმნილ ლექსში „სიკვდილი“ („Da steht der Tod, ein bläulicher Absud...“, SW, B. 2, S. 103).

ბერნჰარდ ფონ დერ მარვიცს, 1918 წლის 9 მარტი

ბერნჰარდ ფონ დერ მარვიცი (1894-1944) — გერმანელი პოეტი.

retraite — (ფრანგ.) თავშესაფარი, განმარტოების ადგილი.

რობერტ ჰაინც ჰაიგროდტს, 1921 წლის 24 დეკემბერი

რობერტ ჰაინც ჰაიგროდტი (1893-1928) — ლიტერატურის ისტორიკოსი. 1921 წელს გამოიცა მისი წიგნი „რაინერ მარია რილკეს ლირიკა“.

ბატონი დოქტორ ფ. ჰიუნიჰი — გამომცემლობა „ინზელის“ თანამშრომელი. 1921 წელს მან ხელახლა გამოსცა რილკეს ადრეული ნაწარმოებები, ხოლო 1935 წელს — „რილკეს ბიბლიო-

გრაფია, პირველი ნაწილი: ავტორის სიცოცხლეში გამოცემული თხზულებები“.

პოლ სეზანი (1839-1906) — ფრანგი მხატვარი. იხ. რილკეს ნერილები სეზანზე: რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. IV, გვ. 175.

...ჩემი ეგრეთ წოდებული „ადრინდელი პერიოდი“... — კრებული „უამნი“-მდე გამოქვეყნებული თავისი ლექსებით რილკე მოგვიანებით ძალზე უკმაყოფილო იყო, არ სურდა მათი ხელეხალი გამოქვეყნება, არ სიამოვნებდა თავისი შემოქმედების ამ, ჯერ კიდევ, უმნიშვარი პერიოდის გახსენება.

შტეფან გეორგე (1868-1933) — გერმანელი პოეტი.

ბიჭუნა რენე — რილკეს დაბადების შემდეგ რენე-მარია დაერქვა, მოგვიანებით მან თავად შეცვალა სახელის პირველი ნაწილი „რაინერად“.

ილზე ბლუმენტალ-ვაისს, 1921 წლის 28 დეკემბერი

ილზე ბლუმენტალ-ვაისსი — ებრაული წარმოშობის პოეტი ქალი, დაიბადა 1899 წელს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოჯახთან ერთად საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, სადაც მეუღლე და ვაჟიშვილი დაელუპა. ომის შემდგომ ცხოვრობდა აშშ-ში.

იენს პეტერ იაკობსენი (1847-1885) — დანიელი მწერალი-პროზაიკოსი, რომლის გავლენასაც საკუთარ შემოქმედებაზე (პირველ რიგში, რომან „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერებზე“) რილკე მუდამ უსვამდა ხაზს.

მარი ფონ თურნ უნდ თავისის, 1922 წლის 11 თებერვალი

...სამფლობელოდან I — იხ. წარწერა-მიძღვნა რილკეს „დუინური ელეგიების“ დასაწყისში: რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 85.

თავადის ქალი ეტინგენი — სოფი ფონ ეტინგენი, ქალიშვილობაში ფონ მეტენიჰ-ვინებურგი, თავად ფრანც ალბრეჰტ ეტინგენის (1847-1916) ქვრივი.

ლუ ანდრეას-სალომეს, 1922 წლის 11 თებერვალი

...ოცდახუთი სონეტი, როგორც სამარის ძეგლი ვერა ოუკამა

კნოოპისადმი... — მოცეკვავე გოგონას, ვერა ოუკამა კნოოპის (1900-1919) ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს სონეტები შევიდა 1923 წელს გამოცემულ ციკლში „სონეტები ორფევსისადმი“.

მე დავწერე, გავაკეთე ცხენი — ციკლის „სონეტები ორფევსისადმი“ პირველი ნაწილის XX სონეტში აღწერილია რილკეს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და, როგორც ჩანს, ყველაზე მძარი შთაბეჭდილება. ეს ცხენი მან და ლუმ ერთად ნახეს 1900 წლის ზაფხულში რუსეთში მოგზაურობისას.

„eqs-voto“ — აღთქმულიდან (ლათ.).

ე. დე ვ-ს, 1922 წლის 20 მარტი

ე. დე ვ. — ამ ინიციალების პატრონის ვინაობა უცნობია.

tant bien que mal — (ფრანგ.) იმდენივე კარგი, რამდენიც ცუდი.

métier — (ფრანგ.) მოწოდება, პროფესია.

accord — (ფრანგ.) თანხმობა.

მალარმე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა — სტეფან მალამე (1842-1898), ფრანგი პოეტი. ამავე ფაქტს მისი ბიოგრაფიიდან რილკე იხსენებს სამი დღის შემდეგ რუდოლფ ბოლენდერისადმი მიწერილ წერილში.

პოლ ვალერი (1871-1945) — ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი.

რუდოლფ ბოდლენდერს, 1922 წლის 23 მარტი

რუდოლფ ბოდლენდერი — რუდოლფ ბოდლენდერმა 1922 წელს ცხრამეტი წლის ასაკში მისწერა რილკეს, გაუზიარა თავისი რთული დამოკიდებულება სქესისა და სქესობრივი ურთიერთობების პრობლემასთან და სთხოვა პოეტს, საკუთარი აზრი გამოეთქვა ამასთან დაკავშირებით.

ილზე იარს, 1923 წლის 22 თებერვალი

ილზე იარი — ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მისწერა რილკეს და მათ შორის რამდენიმე ხნით მიმოწერა გაიბა.

ამიერიდან ყველა ანგელოზი მინას შეასხამს ხოტბას! — მიწიერი სამყაროს სწორედ ეს თავდავინყებულები ხოტბა უღერს მეცხრე დუინურ ელეგიაში (რ. მ. რილკე, თხზულებანი, ხუთ ტო-

მად, ტ. II, გვ. 117-121), რომელიც გამოხატავს ციკლის უმთავრეს სულიერ მონაპოვარს — მანამდე სასონარკვეთით უარყოფილი ამქვეყნიური არსებობისაკენ განახლებული სიყვარულითა და შემოქმედებითი ძალით შემობრუნებას.

ნანი ფონ ეშერს, 1923 წლის 22 დეკემბერი

ნანი ფონ ეშერი (1855-1932) — შვეიცარიელი მწერალი ქალი.

ქალბატონი ვუნდერლი — ნანი ვუნდელი-ფოლკარტი, რილკეს მეგობრის, ვერნერ რაინჰარტის კუზინა. რილკე მას განსაკუთრებულად სიცოცხლის ბოლო წლებში, შვეიცარიაში ცხოვრებისას დაუახლოვდა.

ჩემი მეგობრების დაუცხრომელი ზრუნვა... — ამ მეგობრებს შორის რილკე ყველაზე მეტად მადლიერი იყო ვერნერ რაინჰარტისა, ფირმა „Volkart Brothers“-ის ერთ-ერთი მფლობელისა. სწორედ მან იქირავა — მოგვიანებით კი შეისყიდა — მიუზოს სასახლე, რათა რილკეს შეძლებოდა იქ მშვიდად და განმარტოებით ეცხოვრა და ემუშავა.

არ მშორდება ფიქრი ბერგ ზე — ბერგის სასახლე შვეიცარიაში, სადაც რილკე 1920-1921 წლების ზამთარში ცხოვრობდა, ეშერ ფონ ლუქსის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, 1923 წლიდან კი მას ახალი პატრონი გაუჩნდა.

ალფრედ შერს, 1924 წლის 26 თებერვალი

ალფრედ შერი (1874-1953) — მეცნიერი, გერმანული, შვეიცარიული და ჩრდილოეთევროპული ლიტერატურის მკვლევარი, მოღვაწეობდა ციურიჰის უნივერსიტეტში.

იაკობსენი — იხ. კომენტარი 202 გვერდზე.

როდესაც ბანგ ზე ვფიქრობ — ჰერმან ბანგი (1857-1912), დანიელი მწერალი.

ლილიენკრონი — ბარონი ფრიც დეტლევ ფონ ლილიენკრონი (1844-1909), გერმანელი პოეტი, რომლის შემოქმედებამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რილკეს ადრეულ ლირიკაზე.

ჰოფმანსთალი — ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი (1874-1929), ავსტრიელი პოეტი.

მტიფან გეორგე (1868-1933) — გერმანელი პოეტი, რომელიც

რილკემ პირადად გაიცნო 1897 წელს და რომლის შემოქმედებასაც დიდად აფასებდა.

...*რუსების გაელენაც, პირველ რიგში კი ტურგენევისა...* — ივანე ტურგენევი (1818-1883), რუსი მწერალი.

იაკობ ვასერმანი (1873-1934) — გერმანელი მწერალი-რომანისტი.

გერჰარტ შაუპტმანი (1862-1946) — გერმანელი მწერალი.

მისი „მიხაელ კრამერი“ — გერჰარტ შაუპტმანის რომანი (1890).

ვიგრძენი პუშკინისა და ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ფეტისა და სხვათა ხიბლი... — ალექსანდრე პუშკინი (1799-1837), მიხაილ ლერმონტოვი (1814-1841), ნიკოლაი ნეკრასოვი (1821-1878), ათანასი ფეტი (1820-1892) — რუსი პოეტები.

ემილ ვერჰარნი — იხ. კომენტარი 191-ე გვერდზე.

რომში გატარებული საათები, როდესაც თვალყურს ვადევნებდი მეზაგირის საქმიანობას... ზუსტად ასევე იქცეოდა ნილოსისპირა პანია სოფელში მცხოვრები მეთუნეც... — უძველესი ცივილიზაციებიდან შემორჩენილი ეს ხელობები, რილკეს აზრით, საგნებს მათ პირველად შინაარსსა და ღირებულებას უნარჩუნებს. ეს შთაბეჭდილებები აღწერილია მეცხრე ელეგიაშიც (რაინერ მარი რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. II, გვ. 120).

ჰერმან პონგსს, 1924 წლის 17 აგვისტო

ჰერმან პონგსი (1889-1945) — ლიტერატურის ისტორიკოსი, მოღვაწეობდა გოტინგენის უნივერსიტეტში. მას სურდა გაეცნო სტუდენტებისათვის რილკეს შემოქმედება და ამ მიზნით რამდენიმე შეკითხვით მიმართა პოეტს. ამ წერილში რილკე პასუხობს ამ შეკითხვებს.

პრალელებიდან ჩემი მისწრაფებანი შენიშნეს ალფრედ კლაარმა, ფრიდრიჰ ადლერმა, უფრო ახალგაზრდებიდან ჰუგო ზალუსმა და მხატვარმა ორლიკმა, ხოლო აუგუსტ ზაუერმა ზომაზე მეტი ყურადღებაც კი მიაქცია ჩემს ადრეულ ლიტერატურულ ცდებს... — ალფრედ კლაარი (1848-1927), პრალელი ჟურნალისტი და ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორი; ფრიდრიჰ ადლერი (დაიბ. 1857), პრალელი პოეტი და ჟურნალისტი; ჰუგო ზალუსი (1866-

1929), პრალელი ექიმი და პოეტი; ემილ ორლიკი (1870-1932), პრალელი მხატვარი, შემდგომში ბერლინის ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი. ცნობილია მის მიერ 1917 წელს შექმნილი რილკეს გრაფიკული პორტრეტი.

დეტლევ ფონ ლილიენკრონი — იხ. კომენტარი 202 გვერდზე.

იაკობსენმა — იხ. კომენტარი 204 გვერდზე.

იაკობ ვასერმანი — იხ. კომენტარი 205 გვერდზე.

„ხელოვნების ფურცლები“ — ჟურნალი, რომელსაც პოეტი შტეფან გეორგე გამოსცემდა.

შტეფან გეორგეს ნაწერებიდან „სულის წელიწადი“ თავიდანვე მნიშვნელოვნად მიმარტყდა... — გეორგეს ლირიკული კრებული (1897).

იაკობოვსკი — ლუდვიგ იაკობოვსკი (1868-1900) — პოეტი, ჟურნალ „Gesellschaft“-ის რედაქტორი.

ბალტიელი რაინჰოლდ მორის ფონ შტერნი — (1860-1938), მწერალი, ლირიკოსი.

ვილჰელმ ფონ შოლცი (1874-1969) — გერმანელი მწერალი, პოეტი, მსახიობი, გამომცემელი.

ე. ფონ ბოდმანი (1874-1946) — ბარონი ემანუელ ფონ ბოდმანი, პოეტი, რომელსაც რილკე პირადად იცნობდა.

„კორნეტი“ — იგულისხმება რილკეს „გვრინი კორნეტ კრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე“.

სიმღერები „ანგელოზებზე“, „გოგონათა სიმღერები“ ტოსკანური წარმომავლობისა... — ეს ლირიკული ციკლები რილკეს 1899 და 1909 წლების კრებულებში შევიდა. პირველ ციკლს მიეკუთვნება წინამდებარე გამოცემის I ტომში შესული ლექსი „როცა ოდესმე ამ ცხოვრების ორომტრიალში...“ (გვ. 28). ეს ლექსები, ისევე, როგორც ნაწილობრივ „უამნი“, იტალიაში მოგზაურობის, ბუნებისა და სახვითი ხელოვნების შთაბეჭდილებათა გავლენითაა დაწერილი.

ვიტოლდ ჰულევიჩს, 1925 წლის 13 ნოემბერი

ვიტოლდ ჰულევიჩი — რილკეს შემოქმედების პოლონელი მთარგმნელი. მისდამი მიმართული წერილი ითვლება „დუინურ

ელეგიათა“ ყველაზე უფრო ვრცელ და მრავლისმომცველ ავტორისეულ „განმარტებად“.

„des lonques études“ — მინიშნება ქრისტიანე დე პიზანის (დაახლ. 1363-1432) ნიგნზე „Le Chemin de long estude“ („გზა ხანგრძლივი სწავლისა“).

Nous butinons éperdument le miel du visible, pour l'accumuler dans la grande ruche d'or de l'Invisible. — (ფრანგ.) „ჩვენ დაულაღვად ვაგროვებთ ხილულის თაფლს, რათა უზარმაზარ სკაში შევინახოთ უხილავის ოქროდ გარდასახული“. თაფლისა და ფუტკრების მეტაფორიკა რილკემ აითვისა ბელგიელი მწერლისა და დრამატურგის, მორის მეტერლინიკის (1862-1949) ნიგნიდან „ფუტკრების ცხოვრება“.

ლარები — ოჯახის ღვთაებები ძველ რომში.

ელეგიების „ანგელოზს“ არაფერი აქვს საერთო ქრისტიანული ზეცის ანგელოზთან (იგი უფრო ისლამის ანგელოზთა სახეებს უახლოვდება)... — რილკე მუდამ, განსაკუთრებით კი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხაზს უსვამდა იმას, რომ ქრისტიანობისაგან გაუცხოებას, მეტიც: მასთან დაპირისპირებას განიცდის. ამ, ხშირად უმძარესად გამოხატული განწყობის თვალსაჩინო მაგალითია 1912 წლის 17 დეკემბერს მარი ფონ თურნ უნდ თავისის — ჰონენლოესადმი მიწერილი წერილი (გვ. 49): „...ქრისტიანობისადმი თითქმის აგრესიულმა გაღიზიანებამ შემიპყრო, ვკითხულობ ყურანს...“

ლევ სტრუვეს, 1926 წლის 25 თებერვალი

ლევ სტრუვე — ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი რუსი პოლიტიკონომისტის, ფილოსოფოსისა და გამომცემლის, პეტრე ბერნჰარდის ძე სტრუვეს (1870-1944) ვაჟიშვილი.

„Le Sacrement de l'Amour“ — საუბარია რუსი მწერლის, ივანე ბუნინის (1870-1953) რომანზე „Митина любовь“.

„néant“ — არარა, არარსებობა (ფრანგ.).

„opaque“ — გაუმჭვირვალე, გაუმტარი (ფრანგ.).

ახალგაზრდა მეგობარ ქალს, 1926 წლის 17 მარტი
ახალგაზრდა მეგობარ ქალს — ადრესატის ვინაობა უცნობია.

À peu pres — ცოტა ხნით ადრე (ფრანგ.)

ჩემი თავი ვაიძულე, გარკვეული დროის განმავლობაში ნატურის წინ მემუშავა როგორც მხატვარსა თუ მოქანდაკეს... — როდენთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი რილკესთვის სწორედ ეს შემოქმედებითი სიზუსტე იყო, რომლითაც ის თავისი შემოქმედების შუა პერიოდში („ახალი ლექსები“) ჭვრეტს და პოეტურად გადასახავს გარეშე საგანს თუ მოლენას. სწორედ ესაა მისი „საგან-ლექსების“ პრიციპი.

„აეაზა“ — „Der Panter“, რილკეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი, შესულია კრებულში „ახალი ლექსები“ (1907), იხ. ტ. II, გვ. 21.

ჟიულ სიუპერვიეს, 1926 წლის 21 დეკემბერი
ჟიულ სიუპერვიე (1884-1960) — ფრანგი პოეტი.

ქ-ნ ნიმე ელუი ბეა-ს

ნიმე ელუი ბეა — ეგვიპტელი ქალი, რომელიც რილკემ 1926 წელს გაიცნო ლოზანაში.

რ. მ. რილკეს, ბ. პასტიერნაკისა
და მ. ცვეტაევის მიმონერიდან

რარიტეტი (ლათ. raritas) — იშვიათობა, სიძვირფასე; იშვიათი, ძვირფასი ნივთი.

ერთმა პოემამ — მარინა ცვეტაევის „Поэма конца“.

დებორდ-ვალმორი, მარსელინ (1786-1859) — პოეტი ქალი, რომელმაც გავლენა მოახდინა ვერლენის პოეზიაზე, დაწერილი აქვს „ელეგიები“, „თაიგულები და ლოცვანი“.

დუინური ელეგიები — ათი ელეგიისაგან შემდგარი ციკლი, რილკეს შემოქმედების გვირგვინი, დასრულდა 1922 წელს.

hommage (ფრანგ.) — თაყვანისცემა (მაგ., მწერლის), პატივის მიგება.

ლექსების ორი რეეული — ბ. პასტიერნაკის ლექსების ციკლი „Сестра моя жизнь“, რომელიც 1917 წელს დასრულდა და გამოიცა 1922 წელს მოსკოვსა და ბერლინში; და მისი ლექსების კრებული „თემები და ვარიაციები“, დასრულდა 1918 წელს, გამოიცა 1923 წელს მოსკოვსა და ბერლინში.

ბერლინის გავლით — მარინა ცვეტაევა 1922 წლის მაისიდან აგვისტოს ბოლომდე ბერლინში ცხოვრობდა.

„ადრეული ლექსები“ — მეორე გადამუშავებული გამოცემა წიგნისა „ზეიმად ჩემდა“ (1899), რომელიც სათაურით: „რაინერ მარია რილკეს ადრეული ლექსები“ 1909 წელს გამოსცა გამომცემლობა „ინზელმა“.

1926 წელს ბორის პასტიერნაკი 36 წლის იყო.

თქვენს წიგნებს ველოდები... — „სონეტები ორფევსისადმი“, „დუინური ელეგიები“.

აი, ჩემი წიგნები — „ლექსები ბლოკისადმი“, ბერლინი, 1922 წ. „ფსიქეა. რომანტიკა“, ბერლინი, 1923 წ.

Vandée — ვანდეაში 1793 წ. იფეთქა კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ, რომელსაც მაღალი წოდება ხელმძღვანელობდა. ამ მხარის სრული დამორჩილება მხოლოდ 1800 წელს მოხერხდა. მარინა ცვეტაევა ახალგაზრდობიდანვე მონარქიის მომხრეებს, როიალისტებს ეთაყვანებოდა.

მე მჯერა მთების — მინიშნება რილკეს ლექსზე „ცვლილება“

ციკლიდან „უამნი“, „ნიგნი ბერული ცხოვრების შესახებ“, რომლის ბოლო სტრიქონი ასე უღერს: „მე მჯერა ღამეების“.

Survie (ფრანგ.) — გადარჩენა.

კუნძულ დ'იეს ხედავ — კუნძული დასავლეთ საფრანგეთის (ლოზანა) სანაპიროს პირდაპირ.

Pointe de Corbeau (ფრანგ.) — ყორნის ნისკარტი.

1903 წელს, როდესაც როდენს დაეშორდი... — რილკე როდენთან მდივნად მუშაობდა. ამ ურთიერთობის შედეგია მისი ნიგნი „როდენი“.

Austère et mélodieux (ფრანგ.) — მკაცრი და მელოდიური.

შენი ნიგნით „სილატაკის, მსხემობისა და სიკვდილის შესახებ“... — რილკეს ლექსების ციკლი კრებულიდან „უამნი“.

ანთროპოსოფები — ანთროპოსოფია. რუდოლფ შტაინერის (1861-1925) მიერ დაფუძნებული რელიგიურ-ოკულტური მიმდინარეობა.

რუსული გაზეთი — რუს ემიგრანტთა გაზეთი „Возрождение“, გამოდიოდა 1925 წლიდან პარიზში.

პუშკინი (1836) — მარინა ცვეტაევას ეშლება. პუშკინი გარდაიცვალა 1837 წელს.

„ხე აღიმართვის. ო, სინმინდე ამალლებისა...“ — არაზუსტი ციტატა რილკეს ლექსების ციკლიდან „სონეტები ორფევსისადმი“. იქ, პირველი სონეტის პირველ სტრიქონში ნათქვამია: „ხე აღიმართა. ო, სინმინდე ამალლებისა“.

„მძიმეა მთები, მძიმეა ზღვები...“ — IV სონეტი, „სონეტები ორფევსისადმი“, I ნაწილი.

ინტენცია (ლათ. intencio) — 1. დაძაბულობა, ყურადღება; 2. მისწრაფება, მიზანდასახულობა.

„რა საჭიროა სხვა სახელთა გამოგონება?“ — „სონეტები ორფევსისადმი“.

„აქაურია?“ — „სონეტები ორფევსისადმი“, I ნაწ. VI სონეტი.

„ეს სიამაყე, ამოზრდილი დედამინიდან“ — „სონეტები ორფევსისადმი“, I ნაწ. XI სონეტი.

„An einen Hund“ (გერმ.) — რილკეს ლექსი „ძაღლისადმი“.

„თავგადასავალი“ — მარინა ცვეტაევას დრამატული პოემა, დასრულდა 1919 წელს მოსკოვში, გამოქვეყნდა რუსი ემიგრანტების ბეჭდვით ორგანოში „Волыя России“, 18-19, 1923.

„ფენიქსი“ (კაზანოვას ალსასრული) — მ. ცვეტაევას ნანარ-
მოები, ნიგნად გამოიცა 1922 წ. მოსკოვში.

„ერთუროს ვეხებით ფრთების ფართქალით...“ — მიძღვნის
პირველი სტრიქონი, რილკემ რომ წაუწერა მარინა ცვეტაევას
„დუინური ელეგიების“ ნაჩუქარ ეგზემპლარზე.

„...ვერ გააკვირვებ დიდებული ნამოქმედარით...“ — მეცხრე
დუინური ელეგია.

„Mais c'est un petit Roi de Rome!“ (ფრანგ.) — „ეს ხომ რომის პა-
ტარა მეფეა!“

შენი დიადი მეგობრის ქმნილებები — როდენის ქმნილებები.

გრანსის ბულვარი, 3 (მე მგონი, Ouchy-ის ახლოს) — პანსიო-
ნის მისამართი ქ. ლოზანაში, რომელშიც მარინა ცვეტაევა თავის
დასთან ერთად ცხოვრობდა 1903 წლის გაზაფხულიდან 1904
წლის ზაფხულამდე. Ouchy — ქ. ლოზანას გარეუბანი.

ჩემი ქმარი... ჯერ 31 წლისაც არ არის, მე სექტემბერში გავხ-
დები 31-ის... — 1926 წელს მარინა ცვეტაევა იყო არა 31, არამედ
34 წლის. მისი ქმარი, სერგეი ეფრონი კი — 33-ის. შესაბამისად,
იგი თავისი ქალიშვილის ასაკსაც 2 წლით ამცირებს: არიანდა
ეფრონი იყო არა 12-ის, არამედ 14 წლისა.

Марина, Спасибо за мир!.. — პირველი სტრიქონი 1918 წელს
წარმოქმნილი ლექსისა: „Марина, спасибо за мир! Дочернее стран-
нее слово. И вот расступился эфир над женщиной светлоголовой“.
მარინა ცვეტაევა, „ფსიქეა“, მონაკვეთი: „ლექსები ქალიშვილი-
სადმი“.

Grande Sympathique (ფრანგ.) — დიდი სიმპათიკური (ნერვი).

La grande bassesse de l'amour (სიყვარულის დიდი სიმდაბლე); La
bassesse suprême de l'amour (სიყვარულის უმაღლესი სიმდაბლე) —
უკანასკნელი სტრიქონი მარინა ცვეტაევას 1919 წელს წარმოქმი-
ლი ლექსისა: „Та ж молодость и те же дыры“.

მთელი ერთი ლექსი — „ელეგია მარინასათვის“. რილკემ ამ
ლექსის ხელნაწერი დაურთო წერილს მ. ცვეტაევასადმი.

„რადგან იქა ვარ მტყუანი, სადაც დადრეკილი ვარ“ — რილ-
კე.

„ჩვენ მარტოოდენ ნიშანს ვიძლევიტ“ — რილკეს ლექსიდან
„ელეგია მარინასათვის“.

„მუდმივობის შუაგულიდან“ — რილკეს ლექსიდან „ელეგია მარინასათვის“.

„და მთვარის ხანგრძლივი, წყნარი ხეტიალი...“ — ბოლო სტრიქონები რილკეს ლექსისა „ელეგია მარინასათვის“.

ამიტომ შენ ფრანგულად სხვანაირად გაისმი — მარინა ცვეტაევა გულისხმობს რილკეს ფრანგულ ენაზე დაწერილი ლექსების კრებულს („Vergers“ — „ბაღები“, პარიზი, 1926 წ.), რომელიც მას რილკემ გაუგზავნა მიძღვნით.

Grand-Maitre des absences (ფრანგ. — სიცარიელის დიდი ბატონი) — დასასრული ლექსისა: „Nul sait, combien ce qu'il refuse...“ („არავინ იცის, რომ ის, რაზედაც უარს ამბობს, რამდენად...“) („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 519).

entre ton trop d'arrivée et ton trop de partance... (ფრანგ. — „შენს დაუსრულებელ მოსვლასა და დაუსრულებელ წასვლას შორის...“) — ბოლოს წინა სტრიქონი ლექსისა „Eau qui se presse“ („წყალი, რომელსაც მიეჩქარება“) („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 524).

Combien ... de France (ფრანგ. — „როგორი თბილი მოგონება მაქვს საფრანგეთის — ამ ლამაზ ქვეყნის...“) — პირველი ორი სტრიქონი რომანსისა „მშვიდობით, ძვირფასო საფრანგეთო“, რომელიც მიენერება მარია სტიუარტს.

Car mon pis ... lieux? (ფრანგ.) — „რადგან ჩემში ცუდი და საუკეთესო ყველაზე უკაცრიელ ადგილებს წარმოადგენს...“

სიმღერა ფენრიჰზე — „კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულისა და სიკვდილის ამბავი“, რილკეს ადრეული ქმნილება.

Soyons plus ... depart („ვიყოთ უფრო სწრაფნი, ვიდრე თვით ჩქარი სვლა“) — დასასრული რილკეს ფრანგული ლექსისა („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 538).

„Pourquoi tant appuyer“ (ფრანგ. — „რისთვის ამდენი საყრდენი“) — თავისუფალი ციტატა რილკეს ფრანგული ლექსიდან „Vers quel soleil gravitent“ („რომელი მზისკენ მიიზიდებიან“) („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 532).

ჟული ჟან ელეონორ დე ლეპინასი (Julie Jeanne Eléonore de Lespinasse) — დაიბადა 1732 წელს, ლიონში. ცნობილია ეპისტოლარული ჟანრით.

„Glisser mortels, n'appuyer pas!“ (ფრანგ. — „გასრიალდით, მოკვდავო, ნუ დაეყრდნობით“) — ციტატა ეკუთვნის არა უფლი დე ლეპინასს, არამედ შარლ დე რუას (ნაკვესიდან „Le Patinage“ — „ციგურებით სრიალი“), რომელიც შემდეგ ფრთიან გამოთქმად იქცა.

„Les Anges sont-ils devenus discrets!“ — „Mais ... en face...“ (ფრანგ. — „განა ანგელოზები მორიდებულნი გახდნენ! — „მაგრამ საუკეთესო ადგილი ცოტა მეტად პირისპირ მდებარეობს...“) — თავისუფალი ციტატა რილკეს ფრანგული ლექსიდან „Printemps“ („გაზაფხული“) („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 528).

Et pourtant ... à la France („...და მაინც, როგორი ამაყია ის ნუთი, როდესაც ლამაზი ქვეყნის თავზე ამოვარდნილი ქარი ნებდება საფრანგეთს“) — რილკეს ფრანგული ლექსიდან: „Le Drapeau“ - „დროშა“ („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4).

Parfois ... plus rien („ზოგჯერ მას გული უღბება, ასე გულისყურით რომ უსმენენ, — და მაშინ თავის სიცოცხლეს აჩენს და ალარაფერს ამბობს“) — მეორე სტრიქონი რილკეს ფრანგული ლექსისა „Au ciel, plein d'attention“.

l'inedit — გამოუქვეყნებელი.

Tyge de Brahmé – tixo brahem 1572 ნელს აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავი.

Pense: il savait le ciel par cœur (ფრანგ.) — ვფიქრობ, ცა მან ზედმინევნით იცოდა.

Visible de toute la Provence et des terres méditerranéées (ფრანგ.) — ხილვადი მთელი პროვანსიდან და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან.

მისტრალი, ფრედერიკ — XIX საუკუნის პროვანსელი პოეტი, რომელიც წერდა პროვანსულ დიალექტზე.

Tu diras ... ce soir! (ფრანგ.) — ოდესმე მაიანში გაჩერდები და შენს ქალიშვილს ეტყვი: აი „მისტრალი“, როგორი ლამაზია ის ამ საღამოს!

ფრანჩესკასა და პაოლოს ეპიზოდი — დანტე, „ღვთაებრივი კომედია. ჯოჯოხეთი“.

დანტე და ბეატრიჩე — დანტე, „ღვთაებრივი კომედია. სამოთხე“.

Trop pure – provoke un vent dedain! (ფრანგ. — „ძალიან წმინდა საქულველ ქარს იწვევს“) — თავისუფალი ციტატა რილკეს ლექსიდან „Combien le pape au fond de son faste“ („ფუფუნებაში პაპი რამდენად“) („Vergers“, სრული კრებული, ტ. 4, გვ. 528).

Je ne plaide ... des baisers (ფრანგ.) — ჩემთვის კი არა, სრულყოფილი კოცნისთვის ვლამობ.

Le grand poète tchecoslovaque (ფრანგ.) — დიდი ჩეხოსლოვაკელი პოეტი.

...mais un jour ... le paradis („...მაგრამ ერთ დღეს ის გაუჩინარდა და დაწყევლილი ოკეანეებით დაღლილი პატარა, უაფრო ნავი, რომელიც ვარსკვლავების სამყაროში ცურავდა, — სამოთხისკენ გაემართა“) — ფრანგული ხალხური სიმღერიდან: „Il était un petit navire“ („იყო ერთი პატარა ნავი“).

„ბუნებაც არაბუნებრივია“ (გოეთე) — იგულისხმება გოეთეს თხზულება „ბუნება“ (1782), სადაც ნათქვამია „არაბუნებრივც ბუნებაა“.

Cette petite ville en Savoye (ფრანგ. — „ეს პატარა ქალაქი სავუაში“) — სავუა, კუთხე საფრანგეთში.

„წარსული ჯერ ისევ წინ არის (და მყოფადში ცხედრები წვანან)“ — რილკეს ლექსიდან „ჯერ იგივე ვარ, ვინც მუხლს იყრიდა“, წიგნიდან „ჟამნი. პილიგრიმობის წიგნი“.

„თეზესი და არიადნა“ — სათაურით „თეზესი“. მ. ცვეტაევა, „Вѣрсты“, 1927, 2. პარიზი.

„ფედრა“ — მ. ცვეტაევა, „Современные записки“, 1928, 36-37, პარიზი.

მისი ბოლო წერილი (6 სექტემბერი) — რილკეს 6 სექტემბრით დათარიღებული წერილი დღემდე არ არის აღმოჩენილი. რილკეს სიკვდილის შემდეგ, 1927 წლის იანვარში მარინა ცვეტაევა ევგენია ჩერნოსვისტოვას სწერდა, რომ რილკემ მის ბოლო წერილსა (1926 წ. 22 აგვისტო) და ლია ბარათს (1926 წ. 7 ნოემბერი) აღარ უპასუხა.

ბელვიუ — უბანი მედონში. ცნობილია ბელვიუს სასახლე, რომელიც 1748 წელს ააშენეს მაღამ დე პომპადურისთვის.

**წერილების აღრესათთა
შესახებ**

ლუ ანდრეას-სალომე (1861-1937) — სანახევროდ რუსული წარმოშობის მწერალი, ფსიქოლოგი, პუბლიცისტი ქალი. რილკე 1897 წელს, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა, დაუმეგობრდა მას, 1899 და 1900 წლებში მათ ორჯერ იმოგზაურეს რუსეთში. ლუმ დიდი როლი ითამაშა რილკეს პიროვნებად და შემოქმედად ჩამოყალიბებაში და სიცოცხლის ბოლომდე მისთვის მნიშვნელოვან პიროვნებად დარჩა.

ბენვენუტა — პიანისტი ქალი მაგდა ფონ ჰატინგბერგი. მან 1914 წლის იანვარში მისწერა რილკეს სამადლობელი წერილი იმის გამო, რომ მეუღლესთან გაყრის შემდეგ მძიმე სულიერი მდგომარეობიდან ის რილკეს წიგნმა „ამბები კეთილ ღმერთზე“ გამოიყვანა. რილკე სიხარულით შეეგება მას, როგორც „დიდი ხნის ნანატრ სატრფოს“. სწორედ ამას ნიშნავს მის მიერ ამ ქალისათვის შერქმეული სახელი „ბენვენუტა“.

ნიმე ელუი ბეჟ — ეგვიპტელი ქალი, რომელიც რილკემ 1926 წელს გაიცნო ლოზანაში.

ილზე ბლუმენტალ-ვაისი — ებრაული წარმოშობის პოეტი ქალი, დაიბადა 1899 წელს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოჯახთან ერთად საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, სადაც მეუღლე და ვაჟიშვილი დაეღუპა. ომის შემდგომ ცხოვრობდა აშშ-ში.

რუდოლფ ბოდლენდერი — რუდოლფ ბოდლენდერმა 1922 წელს ცხრამეტი წლის ასაკში მისწერა რილკეს, გაუზიარა თავისი რთული დამოკიდებულება სქესისა და სქესობრივი ურთიერთობების პრობლემასთან და სთხოვა პოეტს, საკუთარი აზრი გამოეთქვა ამასთან დაკავშირებით.

მარიანე ფონ გოლდშმიდტ-როტშილდი — ქალიშვილობაში მარი-ანნე ფონ ფრიდლენდერ-ფულდი, დაიბადა 1892 წელს. რილკეს მეგობარი ქალი.

ელენ დელპი (1890-1990) — მწერალი, ლუ ანდრეას-სალომეს შვილობილი. სწორედ მისგან გაიცნო იგი რილკემ და 1913 წლიდან მოკიდებული მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა მასთან.

თავადის ქალი ეტინგენი — სოფი ფონ ეტინგენი, ქალიშვილობაში ფონ მეტენიჰ-ვინებურგი, თავად ფრანც ალბრეხტ ოტინგენის (1847-1916) ქვრივი.

ნანი ფონ ეშერი (1855-1932) — შვეიცარიელი მწერალი ქალი.

ე. დე ვ. — ამ ინიციალების პატრონის ვინაობა უცნობია.

გრაფინია პია დი ვალმარანა (1881-1948) — პრინცესა მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის მეგობარი, რომელსაც რილკე 1912 წლის ზაფხულში სტუმრობდა ვენეციაში, პალაცო ვალმარანაში.

ემილ ვერჰარნი (1855-1916) — ბელგიელი პოეტი, რომელიც რილკემ პარიზში გაიცნო.

ნანი ეუნდელი-ფოლკარტი — რილკეს მეგობრის, ვერნერ რაინჰარტის კუზინა. რილკე მას განსაკუთრებულად სიცოცხლის ბოლო წლებში, შვეიცარიაში ცხოვრებისას დაუახლოვდა.

თავადის ქალი მარი ფონ თურნ უნდ თაქსის-ჰოენლოე (1855-1934) — ქალიშვილობაში თავადის ქალი ჰოენლოე-წალდენბურგ-შილინგსფიურსტი, თავად ალექსანრე ფონ თურნ უნდ თაქსისის მეუღლე. რილკეს მასთან ხანგრძლივი თბილი მეგობრობა და ურთიერთგაგება აკავშირებს. მათ ერთმანეთი 1909 წელს პარიზში გაიცნეს. ის არაერთხელ სტუმრობდა მას ადრიატიკის ზღვის პირას, ქ. ტრიესტის ახლოს მდებარე დუინოს ციხესიმაგრეში. სწორედ აქ ჩაისახა „დუინური ელეგიების“ პირველი იმპულსი. რილკემ საზეიმოდ გამოაცხადა „ელეგიები“ მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის „სამფლობელოს“ ნაწილად. 1932 წელს თავადის ქალმა

გამოსცა „მოგონებები რ. მ. რილკეზე“.

ილზე იარი — ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მისწერა რილკეს და მათ შორის რამდენიმე ხნით მიმონერა გაიბა.

რუდოლფ კასნერი (1873-1959) — ავსტრიელი მწერალი, ესეისტი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი. 1907 წელს გაიცნო რილკე, ხშირად ხვდებოდა მას მარი ფონ თურნ უნდ თაქსისთან დუინოში. მათ განსაკუთრებულად თბილი მეგობრობა აკავშირებდათ.

ანეტე კოლბი (1870-1967) — გერმანულ და ფრანგულენოვანი მწერალი.

ჰენრიეტე ლიობელი — ადრესატის ვინაობა უცნობია.

ბერნჰარდ ფონ დერ მარვიცი (1894-1944) — გერმანელი პოეტი.

ბორის პასტერნაკი (1890-1960) — რუსი პოეტი. რილკე ახლოს იცნობდა მის მამას, მხატვარ ლეონიდ პასტერნაკს და სწორედ მისი შუამავლობით გაიბა 1926 წელს მიმონერა ბორის პასტერნაკსა და რილკეს შორის. ისინი პირადად არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს.

ჰერმან პონგსი (1889-1945) — ლიტერატურის ისტორიკოსი, მოღვაწეობდა გოტინგენის უნივერსიტეტში. მას სურდა გაეცნო სტუდენტებისათვის რილკეს შემოქმედება და ამ მიზნით რამდენიმე შეკითხვით მიმართა პოეტს. ამ წერილში რილკე პასუხობს ამ შეკითხვებს.

ანდრე ყიდი (1869-1951) — ფრანგი მწერალი. რილკემ ის 1910 წელს გაიცნო.

კლარა რილკე (1878-1954) — ქალიშვილობაში ვესტჰოფი, რილკეს მეუღლე. პოეტმა ის 1900 წელს ვორჰსვედეში გაიცნო, სადაც კლარა მეგობარ მხატვრებთან ერთად მოღვაწეობდა. კლარა მოქანდაკე, როდენისა და მაკენზენის მონაფე იყო. 1901 წლის მარტში ისინი ქორწინდებიან და სახლდებიან მხატვართა დასახლების მეზობლად, სოფელ ვესტერვედეში. ამავე წლის დეკემბერში მათ შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი რუთი (1901-1972). როგორც შემოქმედს, რილკეს ძალზე უჭირდა საკუთარი დროის განაწილება ოჯახსა და შემოქმედებას შორის. 1902 წელს იგი მიემგზავრება პარიზში როდენთან შესახვედრად, რომლის შემოქმედებისადმი ინტერესი სწორედ კლარამ ჩაუწერგა. ამ დროიდან ცოლ-ქმარს აღარასოდეს უცხოვრია ერთად, თუმცა მათ, უახლოეს წლებში მაინც, შეინარჩუნეს შინაგანი სიახლოვე და ურთიერთგაგება. 1910-იან წლებში რილკე წერილებში ხშირად და დაწვრილებით უზიარებს კლარას საკუთარ განცდებს, უპირველეს ყოვლისა, სახვითი ხელოვნებით მოგვრილ შთაბეჭდილებებს. იხ. რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. IV, წერილები სეზანზე (გვ. 175-196).

ოგიუსტ როდენი (1840-1917) — ფრანგი მოქანდაკე, რომლის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ინტერესი პოეტს მისმა მეუღლემ, როდენის მონაფემ, მოქანდაკე კლარა ვესტჰოფმა გაუღვივა. რილკემ გადანყვიტა როდენის შესახებ მონოგრაფიის დაწერა და 1902 წელს პირველად შეხვდა მას პირადად, 1905-1906 წლებში კი მუშაობდა მის მდივნად. მის მოვალეობებში როდენის კორესპონდენციის წესრიგში მოყვანა შედიოდა, ამასთანავე მათ სულიერი სიახლოვე აკავშირებთ, რილკე აღფრთოვანებულია როდენის ნიჭით, მისი გულმოდგინება და თვითდისციპლინა ყოველი შემოქმედისათვის მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა, ხოლო ნატურისადმი როდენისეულმა მიდგომამ უდიდესი გავლენა მოახდინა რილკეს „საგან-ლექსების“ იდეაზე. როდენის რთული და პირქუში ხასიათის გამო მათ შორის მალევე განხეთქილება ხდება და რილკე უაღრესად გულნაკლული შორდება თავის მოძ-

ღვარს. რილკეს მონოგრაფია „როდენი“ იხილეთ რაინერ მარია რილკე, თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ. IV, გვ. 97-172. იხ. ასევე, ამავე ტომში: ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი: „როდენის“ შესახებ (გვ. 275-278); დალი სიხარულიძე: რილკე და სახვითი ხელოვნება (გვ. 305-324).

მიმი რომანელი — ვენეციაში მცხოვრები მეგობარი, რომელთანაც რილკე იულიუს მაიერ-გრეფეს რეკომენდაციით სტუმრობდა 1907 წლის 19-30 ნოემბრის დღეებში.

ჟიულ სიუპერვიე (1884-1960) — ფრანგი პოეტი.

ლევ სტრუვე — ევროპაში მცხოვრები რუსი ემიგრანტი. ცნობილი რუსი პოლიტიკონომისტის, ფილოსოფოსისა და გამომცემლის პეტრე ბერნჰარდის ძე სტრუვეს (1870-1944) ვაჟიშვილი.

მარინა ცვეტაევა (1892-1941) — XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რუსი პოეტი. რევოლუციის შემდგომ წლებში ცხოვრობდა ჯერ ჩეხეთში, შემდეგ საფრანგეთში. 1940 წელს დაბრუნდა რუსეთში, სადაც მალევე დააპატიმრეს მისი მეუღლე და ქალიშვილი. რილკე პირადად არასოდეს შეხვედრია.

ფაშა — პრინც ალექსანდრე ფონ თურნ უნდ თაქსისი, პრინცესა მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის მეორე ვაჟიშვილი.

ლუდვიგ ფონ ფიკერი — ავსტრიელი ლიტერატორი, სალიტერატურო ჟურნალ „Brenner“-ის მთავარი რედაქტორი, მრავალი გენიალური შემოქმედის (მათ შორის გეორგ თრაქლისა და ქრისტინე ლავანტის) მეგობარი და მფარველი.

ალფრედ შერი (1874-1953) — მეცნიერი, გერმანული, შვეიცარიული და ჩრდილოეთევროპული ლიტერატურის მკვლევარი, მოღვაწეობდა ციურიჰის უნივერსიტეტში.

რობერტ ჰაინც ჰაიგროდტი (1893-1928) — ლიტერატურის ისტორიკოსი. 1921 წელს გამოიცა მისი წიგნი „რაინერ მარია რილკეს ლირიკა“.

კარლ ფონ დერ ჰაიდი (1858-1922) — ბანკირი და მწერალი. 1905 წელს გაიცნო რილკე გრაინია შვერინთან და მას მერე რილკეს შემოქმედების პოპულარიზაციას ეწეოდა.

ლოტე ჰეპნერი — მის შესახებ არაფერია ცნობილი. რილკეს მაგიდის კალენდრის ჩანაწერებში ის ერთხელაა მოხსენიებული, როგორც წერილის ადრესატი.

დოქტორი ფ. ჰიუნიჰი — გამომცემლობა „ინზელის“ თანამშრომელი. 1921 წელს მან ხელახლა გამოსცა რილკეს ადრეული ნაწარმოებები, ხოლო 1935 წელს — „რილკეს ბიბლიოგრაფია, პირველი ნაწილი: ავტორის სიცოცხლეში გამოცემული თხზულებები“.

ვიტოლდ ჰულევიჩი — რილკეს შემოქმედების პოლონელი მთარგმნელი. მისდამი მიმართული წერილი ითვლება „დუინურ ელეგიათა“ ყველაზე უფრო ვრცელ და მრავლისმომცველ ავტორისეულ „განმარტებად“.

რიკეს შესახებ

ვივინან ლისკა

გიყვართ რილკე? პასუხისაკენ გზების ძიებაში¹

გიყვართ რილკე? თუ უბრალოდ გაინტერესებთ, მართალია თუ არა, როდესაც ამტკიცებენ, რილკემ სამყარო შელამაზებული სახით წარმოგვიდგინაო? ასეთი ისე, სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით და უმაღლვე გავაუქმებთ იმ ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებას, რომელსაც ჩვენი შეკითხვა შეიცავს. რადგანაც რილკეს სიყვარულს ვერავინ დაგიშლით, მიუხედავად იმისა, რომ ამ კრებულის სათაური შესაძლოა შეიცავდეს კიდევ ამის წინაპირობას.

ამგვარ შესაძლებლობას მხოლოდ ჩვენი წერილის სათაურში დასმული კითხვის ნიშანი როდი ამართლებს. ის, რომ რილკე შეიძლება იმის გამო არ გიყვარდეს, რომ ის ლამაზად, მეტიხმეტად ლამაზად წერს, ყოველივე შემზარავს გაკეთილშობილებულად და დამშვენებულად გვიჩვენებს, არახალია. სწორედ შემზარავთან მიმართებით დაიწყო ბევრმა ჩვენგანმა იმაზე ფიქრი, თუ როგორ ხედავს რილკე სამყაროს, და ზოგიერთი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ რილკე აბსოლუტურად უცხო და გამოუსადეგარია ჩვენთვის. რაც სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ბევრს, ძალზე ბევრს რილკე სწორედ იმის გამო უყვარს, რომ ის ასე ლამაზად წერს, და კიდევ ბევრი სხვა, ვინც მას პატივს სცემს მიუხედავად იმისა, რომ ის ლამაზად წერს, ან იქნებ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება, სინამდვილეში კი ის, თავის ყველაზე მაღალფარდოვან გამონათქვამშიც, შეფარულ აზრს გვანჯდის. უნდა ვთქვათ ისიც, რომ „ლამაზად წერა“, სკოლაში, — წინა თაობის სკოლებში მაინც — თუკი ვარიგის განმარტებით ლექსიკონს მოვიშველიებთ, „ერთნაირი ზომის, თანაბარი და განონასწორებული ასოებისა და სიტყვების გამოყვანას“ ნიშნავს. მაგრამ რილკე არ წერდა არც ზომიერად, არც განონასწორებულად.

¹ გამოქვეყნებულია ჟურნალის „Germanistische Mitteilungen/Zeitschrift für deutsche Sprache, Literatur und Kultur“ სპეციალურ ნომერში: „Rilkes Poetik und die Folgen“ (Brüssel 54/2001) — „რილკეს პოეტიკა და მისი შედეგები“.

სამოცდაათიან წლებში ძალზე ბევრი იყო ისეთი, ვისაც რილკე არ უყვარდა: თუნდაც ისინი, ვისაც ყველაზე უფრო მიუღებლად საკუთარ თავში ჩაკეტილი არსებობა მიაჩნდა, ვისშიც გაღიზიანებას ინვევდა პიროვნება, მონესრიგებულ სამყაროში თავს მიუსაფრად რომ გრძნობდა. ვინც იმხანად მსოფლიოში დიდ კატაკლიზმებს ელოდა, ვერაფრით შეურიგდებოდა მას, ვინც ანგელოზებს მოუწოდებდა, „ზეთით დააღბონ მეტისმეტად მშრალი ტაფანი“¹. ეს მნიშვნელოვანწილად იმ ყველაზე შემზარავ ხანასაც ეხება, რილკესა და ჩვენს შორის რომ ძევს: ხანას, რომელმაც, დროებით მაინც, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ლირიკა როგორც ასეთი. ამგვარად, ლამაზად წერა, — თუკი მას გავიგებთ, როგორც შემზარავისა და ამორალურის შელამაზებისა და გაკეთილშობილების პრობლემას, — წმინდა გერმანული ფენომენის მნიშვნელობას იძენს. გერმანულისა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩვენში ასე მრავლად აღმოჩნდა ხალხი, ვინც იმ „ოქროს ზოდს“ როდი სჯერდებოდა, „მისი რომ იყო“², არამედ მიიწევდა იმისკენაც, რაც მას არ ეკუთვნოდა. რითაც ოქრო რილკეს პოეტური ალქიმიის ძალით ჩვენს დანახშირებულ ხელებში დუმილად გარდაისახა. თვით რილკეს ღმერთიც საკმარისად არასაიმედო მეზობელი გამოდგა, ან სულაც ის აღმოჩნდა, ვინც ხალისით შეგვიწყობდა ხელი „კაცთა თავებზე გამართულ უკანასკნელ დოღში“³. მაგრამ დღეს უკვე ის დროც დამდგარა, როდესაც თვით იდეოლოგიის კრიტიკის მიერ შექმნილი ჰიბრიდიც, კეთილისა და ბოროტის ბატონ-პატრონად რომ გვაცხადებს, ძველებურად შეუცდომელი და წუნდაუდებელი აღარ არის; ის უკვე იმდენჯერ გადახრილა ბოროტისაკენ, ძველისძველი მორალური დუალიზმის უსასრულო გამეორებამ კი გაურკვევლობის ისეთი უფსკრული წარმოშვა, რომ უკვე გვიძნელდება რილკეს *არსიყვარული* ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო.

მაგრამ არსებობს ამის სხვა მიზეზებიც, იდეოლოგიის კრიტიკისაგან დამოუკიდებელი, თუნდაც ესთეტიკური: რილკეს

¹ ციტატა რილკეს ლექსიდან „განკითხვის დღე“, კრებული „ახალი ლექსები“ (მთარგმნელის შენიშვნა). Rilke, Rainer Maria: *Lyrik und Prosa*. Hg. von Dieter Lamping. Düsseldorf, Zürich: Artemis & Winkler 1999. S. 259.

² ციტატა რილკეს ლექსიდან „ალქიმიკოსი“, კრებული „ახალი ლექსები“ (მთარგმნელის შენიშვნა). Ebd. S. 261.

³ Celan, Paul: *Bei Wein und Verlorenheit*. In: dcrs.: *Gesammelte Werke*, S. 213.

პოეზიას წუნს სდებდნენ არა იმდენად მისი სურათ-ხატების, არამედ მისი ხატოვანების და ისეთი პოეტიკის გამო, სინამდვილის სურათებად რეპროდუცირებას რომ ითვალისწინებს, რაც ბევრს უკვე რილკეს დროშიც კი მოძველებულად ეჩვენებოდა. ამის საპირისპიროდ შეიძლება ის არგუმენტი მოვიყვანოთ, რომ ხატოვანება მაყურებლის თვალთახედვაზე დამოკიდებული და რომ ყველა იმას ხედავს, რასაც საკუთარ თავში ატარებს. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ლიტერატურაში პროგრესისა აღარავის სწამს, სავსებით შესაძლებელია, ვისაც იმხანად მოძველებულს უწოდებდნენ, სინამდვილეში საკუთარი დროის არაღიარებული თანამედროვე აღმოჩნდეს, ხოლო „იმ დროში, რომელიც მას ამოიცნობს“¹, სულაც მომავლის, ანუ დღევანდელობის შემოქმედად იქცეს. რილკეს საკმაოდ ხშირად ეპიგონობასაც აბრალებენ: ამ ბრალდების გაცამტვერებაც იოლად შეიძლება, რადგანაც დღეისათვის უკვე რახანია დაკარგული გვაქვს ის, რასაც შეიძლება დედანი და პირველწყარო ვუნოდოთ. იყო პერიოდი, როდესაც რილკეს მასხრად იგდებდნენ, როგორც ამას, მაგალითად, ვალტერ მუშგი სჩადის, როდესაც აცხადებს, რილკე „უკაცო დროში მეტწილად ქალბატონებისადმი მიმართულ“ წერილებს წერდაო „იისფერი მელნით“². არადა, ეს გამონათქვამი ისეთ დროს ეკუთვნის, როდესაც სწორედ მამაკაცებისათვის მიზანშეწონილად ითვლებოდა ქალურად, ქალებივით წერა: გეგონებოდა, დედის რძით წერენო. მაშასადამე, რადგან დღეს რილკეს არსიყვარული უკვე ესთეტიკური მიზეზების გამოც გაძნელდა, — მაშინდელთან შედარებითაც კი, როდესაც პოეზიას, ყველაფერთან ერთად, ცნობიერების, მეტყველებისა და აღქმის აქტუალური მდგომარეობისადმი მისადაგებაც უწევდა, — დღეს უკვე საკმარისი აღარ არის იმის გარკვევა, გვიყვარს თუ არა რილკე, რატომ გვიყვარს ან რატომ არ გვიყვარს ის, არამედ როგორ, რანაირად არ გვიყვარს. ძნელია იმაზე უფრო დიდი გზნებით გაილაშქრო რილკეზე, როგორც ეს სამოცდაათიან წლებში ეგონ შვარცმა³

¹ Benjamin, Walter: *Literaturgeschichte und Literaturwissenschaft*. In: ders.: *Illuminationen*. Frankfurt/M.: Suhrkamp 1988. S. 456.

² Muschg, Walter: *Die Zerstörung der deutschen Literatur*. Bern: Francke 1956. S. 94.

³ Schwarz, Egon: *Das verschluckte Schluchzen. Poesie und Poetik bei Rainer Maria Rilke*. Frankfurt/M. Athäneum 1972.

გააკეთა; ასევე ძნელად თუ ვინმე გამოუცხადებს მას საყვედურს ისე ნატიფად და ტაქტიანად, — რითაც სამყაროს კვლავაც უბრუნდება მისი უარყოფითი წესრიგი, — როგორც ეს აღორნომ შეძლო; და შეუძლებელია, ვინმეს პოეტურად ასე სრულად განეძარცვა რილკე მთელი იდემალებისაგან, როგორც ეს პაულ ცელანმა მოახერხა. თვით რილკეს პაროდისტებსაც კი, მათ წინამორბედთა სიმრავლის გამო, დღეს ძალზე უჭირთ, უნებურად არ იქცნენ პაროდის პაროდისტებად, ანუ თავადვე არ გაებან საკუთარ მახეში. ასე რომ, დღეს თვით მათაც, ვისაც ცალსახად არ უყვარს რილკე, მასთან ახალი გზებით მისვლა და განახლებული შეხვედრა უნევთ.

არსებობენ ისეთები, ვისაც მაინც უყვარს რილკე, ყველა შესაძლოწინააღმდეგობისგათვალისწინებით და იმდასაბუთებით, რომ მშვენიერება და პოლიტიკა ორი აბსოლუტურად განსხვავებული რამაა და მათ ერთურთში აღრევას როგორც პოლიტიკურად კორექტული, ისე ყოვლად დამანგრეველი შედეგებიც მოჰყვება. ანდა, უფრო მარტივად: რადგან პოეზიაც, ბოლოს და ბოლოს, ადამიანთა უფლებებს განეკუთვნება და ჩვენ, გზააბნეულებსა და დაქსაქსულებს, ნამდვილად არ გვანწყენს სამყაროს მთლიანობის თუნდაც ოდნავი მანუგეშებელი შეგრძნება; რადგან დამშვენებისა და გაკეთილშობილების სწრაფვა ადამიანის ბუნებაში ძვეს და უნდა მოვიტოვოთ უფლება, ზოგ რამეს თვალი ავარიდოთ, ანდა, პირიქით, ისეთი სიზუსტითა და დაჟინებით მივაჩერდეთ, რომ მოხეტიალე ჯამბაზთა, მანანწალათა და მიუსაფართა ძონძებზე დაკერებული ღილებიც კი აბრდღვიალდეს. მას, ვინც ამგვარად, ყველაფრის მიუხედავად, უახლოვდება რილკეს, სამდურავის მოსმენა მომავალშიც მოუწევს, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ისინი ამ სამდურავზე უფრო მალლა აღმოჩნდებიან. თუმცა ამასობაში პოეტური კაზმულობისა და სინამდვილის გაპრიალება-დანმენდის საწინააღმდეგოდ დამატებითი, ნაკლებად იდეოლოგიური, უფრო ფილოსოფიური და რიტორიკული არგუმენტები გაჩნდა. ასე რომ, თვით რილკეს ამ ჯიუტ მოტრფიალეებსაც მისდამი მიმართების გადასინჯვა უნევთ. იქნებ ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათ ეხებათ, ვისაც რილკე იმის გამო უყვარს, რომ სამყაროს ლამაზად აღწერს? დღეს ძნელად თუ ვინმე გაბედავს იმ „შეურყენელი ხე-

დვის“ დაცვას, კიდევ რომ შესწევს უნარი, სამყაროს კრიალა ჰანგები და სურათთა ჰარმონია ძველებური უმანკოებით აღიქვას. მაგრამ ველარც იმ სტრუქტურალისტურ-სოციოლოგიური გამოთვლების სასარგებლოდ ვიტყვი რაიმეს, რომლითაც ერთ პერიოდში ვცდილობდით განგვემარტა ამ ჰარმონიის წარმოშობა და ზემოქმედება. მაგრამ რილკესეული პოეზიის მშვენიერების დასაფასებლად სულაც არ არის აუცილებელი, მივემხროთ კრიტიკული თეორიის რენეგატებს, — მათ, ვინც აცხადებს, კრიტიკის აღსასრულისა და სრულებით ახალი ესთეტიზმის ხანა დადგაო, — რაც ისტორიის ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, გამართლებული უნდა იყოს. იქნებ საკმარისი აღმოჩნდეს, მშვენიერების ცნებას „სულ ოდნავ გადავადგილოთ“ (როგორც ვალტერ ბენიამინი წერს სულ სხვა რამესთან დაკავშირებით¹), რომ ერთხელ და სამუდამოდ გავათავისუფლოთ რილკეს პოეზია შელამაზების ბრალდებისაგან. სავსებით გამართლებულია რილკესადმი თუნდაც ისეთი ახალი მიდგომა, რომელიც ცოტაოდენი ხნის წინათ გამოსთქვა დიტერ ლამპინგმა², როდესაც მას საზღვართა გადამლახავი პოეტი უწოდა, რითაც მაღალი შეფასება მისცა მის ზეეროვნულ უსამშობლოობას, მისეული თარგმანის მაღალმხატვრულ დონესა და მის შემოქმედებით ინტერდისციპლინარულობას. ანდა, სრულიად სხვაგვარად, როდესაც ვაცნობიერებთ, რომ „ესთეტიკური ადამიანის მიერ საკუთარი თავის ხსნის“ იდუმალებას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ძალა და რომ მას ჩვენს პრაგმატულ დროში, როგორც არასდროს, ჩვენი შეგრძნებებისა და აღქმის გაფართოება ძალუძს. რილკე, შესაძლია, ვერც კი ხვდებოდა, რამდენად გამართლდა ამგვარად გაგებული დღევანდელი სიღარიბის მისეული დიაგნოზი. და, რადგანაც ასეთ რილკესთან შეხვედრა შეიძლება საკუთარ თავთან შემაშფოთებელ შეხვედრად გვექცეს, მისი პოეზიის უარყოფა ხშირად თავდაცვის ფარისევლურ ხრიკს უფრო ჰგავს, რომლის მიღმა საკუთარ თავში დაურწმუნებლობა იმალება. რადგანაც რილკეს თავიდან მოშორების ზოგიერთი, თუნდაც კეთილგანწყობილიმცდელობა შეიძლება საკუთარ თავში იტყვედეს შიშს: შიშს რილკეს პოეზიის „საექვო ბრწყინვალეებისათ-

¹ Benjamin, Walter: *Franz Kafka*. In: ders.: *Illuminationen*, S. 263.

² Lamping, Dieter: *Nachwort*. In: *Rilke. Lyrik und Prosa*, S. 842-850.

ვის¹ თვალის გასწორებისა. თუკი რილკე დიდ ეგზისტენციურ პრობლემებს მშვენიერ რიდეებს აფარებს, რათა ისინი როგორმე ასატანი გახადოს, ჩვენ მათი გაშიშვლებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დამშვენება თავისთავად ძალზე დიდი შიშის მაჩვენებელია, და რომ ის სწორედ მაშინ გახდება ჭეშმარიტად გაუსაძლისი. ამ შიშის მასშტაბებისა და მისი უკიდვე განობის წინაშე ჩვენეული, თანამედროვე შიშები უბადრუკად მოგვეჩვენება.

გარდა ამისა, არსებობს რილკეს სიყვარულის, ალბათ უდაბვენილესი სახეობა, რომელიც მის პოეზიაში არც ბრჭყვიალა მორთულობას ეძებს, არც ნუგეშს, არც საზოგადოებრივი პოეტიკის დიქტატურის წინააღმდეგ მომართულ პროტესტს, არამედ სურს ბოლომდე ჩაულრმავდეს იმას, რომ, „რაც უფრო „წმინდაა“ ეს პოეზია, მით მეტად ატარებს საკუთარ თავში რღვევის მომენტს“². ადორნოს საკუთარი დიალექტიკა რილკეს ლექსებს ველარ მისწვდა, ამგვარად, „რაც მასში ურღვევად და ჰარმონიულად გამოიყურება, აბსოლუტურად საპირისპიროზე მეტყველებს“³. გაუგებრად რჩება, თუ რად არ ჰპატიობს ადრონო რილკეს იმას, რასაც ჯერ კიდევ ღირსებად უთვლის აიჰენდორფსა და გეორგეს. ამგვარად ხდება მისთვის რილკე, თუ დამნაშავედ არა, ყოველ შემთხვევაში, — თავისი „ესთეტიკური უსუსურობის“ გამო — იმ საზოგადოებრივ გარემოებათა ბრმა იარაღად, „რომელთაც ვერანაირი ღირიკული აურა ველარ მოეფინება შარავანდად“⁴. ამის საპირისპიროდ პოლ დე მონი ეძებს და პოულობს მხსნელ გზებს ამ პოეზიის მიღმა, არა დიალექტიკურად, არამედ უსასრულოში განბნეული თავისუფალი ხედვით: მის მიერ აღქმული სწორედ თავისი აღსრულების შეუძლებლობითაა გამართლებული, რაც ამ მეტაფიზიკურ გზაზე აბსოლუტურად ღიას ტოვებს თვით კითხვის პროცესს. და, რაკილა ნებისმიერი ინტერპრეტაცია კვლავ ჩაკეტვით ემუქრება ამ ღიაობას, ის ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა წარმოიშვას. ასევე აქაც და ახლაც.

¹ Matt, Peter von: *Die verdächtige Pracht. Über Dichter und Gedichte*. München, Wien: Hanser 1998.

² Adorno, Theodor W.: *Rede über Lyrik und Gesellschaft*. In: ders.: *Note zur Literatur*. Frankfurt/M.: Suhrkamp 1981. S. 53.

³ Ebd.

⁴ Ebd., S. 52.

რა თქმა უნდა, არსებობს კიდევ უამრავი სხვა ვარიანტი, რადგან რილკე შეიძლება გიყვარდეს მალულად ან დარცხვენით, ის შეიძლება ცოტათი გიყვარდეს, ან მხოლოდ ამორჩევით: ვთქვათ, მისი მხოლოდ ადრეული, ან, უფრო ხშირად, მხოლოდ გვიანდელი შემოქმედება. ან: ადგილ-ადგილ, რადგან, როგორც აღმოჩნდა, რილკემ ზოგი რამ ისე ზუსტად გამოთქვა, რომ ეს მოვლენა ჩვენთვის სწორედ რილკესეულ გამონათქვამთან ერთად იწყებს არსებობას. რილკე შეიძლება ოდესღაც, ადრე, გყვარებოდა, როცა მეოცნებე ჭაბუკი ვიყავით ან გოგონა, ანგელოზივით სულის სარკეში რომ ირეკლავს საკუთარ არსს, ანდა, ის შეიძლება ოდესმე, მოგვიანებით, შეგვიყვარდეს, როცა უკვე მაინც ველარაფერს შეცვლი და განუყრელ მეგზურად მშვენიერება მაინც შეგჩნდება. ანდა: ახლა, აქ და ამნუთას, როდესაც მის შესახებ ვმსჯელობთ, მას თავს ვესხმით, ან უბრალოდ ვტკბებით რილკეს რომელიმე პნკარით თუ გამოთქმით, მისი აღფრთოვანებული მიმდევრებით თუ აღშოთებული მადევრებით.

მგონი, იმაზე მეტიც კი ვისაუბრე პოეტის *სიყვარულზე*, ვიდრე ამ კონტექსტში დაშვებული იყო. იქნებ გამართლებად ვალტერ ბენიამინის ეს მოსაზრება გამომადგეს: ესთეტიკური სიმაღლეები სხვა გზით ვერ მიიღწევა, „რადგან სიკვდილმისჯილია მშვენიერება, თვითუარყოფას სიყვარულში თუ არ ესწრაფვის“¹.

¹ Benjamin, Walter: *Gesammelte Schriften I*. Hg. von Rolf Tiedemann und Hermann Schweppenhäuser. Frankfurt/M.: Suhrkamp 1974. S. 198.

თავადის ძალი მარია ფონ თურნ უნდ თაქსისი

მოგონებები რაინერ მარია რილკეზე¹

(ფრაგმენტები)

1910 წელმა დიდი სიხარული მოგვიტანა: რაინერ მარია რილკე გვესტუმრა. მისდამი მინერილ ერთ-ერთ პირველ წერილში ვუამბე ჩვენი დუინოს შესახებ, შემდგომში ასე მნიშვნელოვანი რომ გახდა მისთვის. „თქვენი „ციხესიმაგრე ზღვის პირას“, — მომწერა მან პასუხად, — „მე ის წარმომიდგენია ვიარეჯოს მსგავს სანაპიროზე: წინა წლებში იქაურობას ხშირად ვაფარებდი თავს, ჩემი „ჟამნის“ დიდი ნაწილიც იქ დაიწერა და, მახსენდება, სულ ვფიქრობდი, აქ სადღაც ციხესიმაგრე უნდა იდგას-მეთქი. რა ადგილასაც არ უნდა იდგეს თქვენი სასახლე, ნამდვილად ვიცი: სწორედ ის უნდა იყოს, მაშინ რომ დავეძებდი.“

მე მგონი, ის არ შემეცდარა, თუმცა ჩვენი პირქუში კლდეები, ადრიატიკას რომ გადაჰყურებს, სრულებით არ ჰგავს ხმელთაშუა ზღვის აყვავებულ სანაპიროს.

მალევე გვამცნო, ჩამოვდივარო, და 20 აპრილს მართლაც უკვე დუინოში იყო. ჩემთან იმხანად სტუმრობდნენ საიდუმლო მრჩეველი ბოდე ქალიშვილითურთ და რუდოლფ კასნერი და მაინცდამაინც იმ ნაშუადღევს გავემგზავრეთ ჩივიდალეში Tempio Longobardo-ს სანახავად. როდესაც დავბრუნდით, რილკე უკვე რამდენიმე საათის ჩამოსული დაგვხვდა. საგანგებოდ გავუმზადე ჩვენს სტუმარს ერთი ოთახი, რომელიც იშვიათად თუ ეკავა ვინმეს და, რომელიც მისთვის ძალზე შესაფერი მეჩვენებოდა. ეს იყო კუთხის ოთახი, რომლის ფანჯრებიც სამ მხარეს გაჰყურებდა. იქვე იყო პატარა სამლოცველო კოშკურაში ამავალი ვინრო საიდუმლო კიბე. ჭერი ნატიფი ვენეციური მოხატულობით იყო შემკული. სამი ფანჯრის მიუხედავად, ოთახში მუდამ ბინდი სუფევდა, იქაურობა ცოტათი შიშისმგვრელიც კი იყო, რაზედაც ჩემს ერთ-ერთ დას არაერთხელ დაუჩივლია. მაგრამ რილკეს ეს ოთახი

¹ გამომცემლობა „ინზელი“, 1966.

არაჩვეულებრივად მოეწონა, განსაკუთრებით — მისი სიმშვიდე. მეზობლად არავინ ჰყავდა, ერთი მხრიდან სამლოცველო ემიჯნებოდა, მეორე მხრიდან კი — მთელი სასახლის სიგანეზე გაჭიმული სასადილო დარბაზი, რომლის გრძელი ქვის აივანი ზღვას გადაჰყურებდა. მარცხნიდან ჩვენს კლდეს ტრიესტი, მირამარე და ისტრიის მთები ედგა გვერდში.

საშინლად შევშოთი იმის გამო, რომ რილკეს შინ არ დავუხვდი, ის კი გამომიბტყდა, ძალზე მეამა ჩამოსვლისთანავე პირველი საათები მარტო რომ დავყავიო; დუინოს მშვენება ისე თავზარდამცემი ყოფილა მისთვის, რომ გონს მოსასვლელად სწორედ სიმარტოვე ესაჭიროებოდა. გაზაფხულის მზით გაბრწყინებული მთელი ნაშუადღევი აივანზე გაუტარებია; ურიცხვი ირიდვას სურნელითა და ტალღებისაგან ამოფრქვეული მარილის მძაფრი სუნით გაბრუებული, ცისა და ზღვის სილურჯით მონუსხული, დიდხანს მდგარა ასე...

მასთან ერთად გატარებული შემდგომი დღეები დაუვინყარი იყო. რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი ამ პოეტს, რომელსაც პარიზში მხოლოდ მოკლე ხნით შევხვედრივარ, მით უფრო ვიხიბლებოდი მისი არაჩვეულებრივი პიროვნებით. განსაკუთრებით ამადღევა ჩვენი ერთად ყოფნის გამო მისმა დაუფარავმა სიხარულმა და იმ მაღლიერებამ, რომელსაც გამომითქვამდა და, რომელიც დღემდე აუხსნელი დარჩა ჩემთვის. პირიქით, ჩვენ უნდა ვყოფილიყავით მისი მაღლიერნი თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ ის არსებობდა. იშვიათად შევხვედრივარ რილკესნაირ მოკრძალებულ ადამიანს. ოღონდაც ეს მხოლოდ მის ადამიანურ მხარეს ეხება, რომელსაც ის თავადვე მკვეთრად მიჯნავდა პოეტისაგან. პოეტ-რილკეს რაც შეეხება, მას არ ეგულეობდა და არც სჭირდებოდა საკუთარ თავზე უფრო უტყუარი მსაჯული: ერთნაირად გულგრილად იღებდა ქებასაც და კრიტიკასაც. იცოდა: მისი პიროვნული სიღრმიდან იღუმალი ხმა ამოდიოდა, რომელსაც უსიტიყვოდ უნდა მიჰყოლოდა. ეს მისთვის კმაროდა. მასში მუდამ არსებული ამ გოროზი თავდაჯერების გვერდით ძალზე ხშირად ვგრძნობდი მის ბავშვურ ბუნებასაც. ეს იყო საოცრად გულისმომწურავი ბავშვი, — ამ დიდ სამყაროში გზააბნეული, ადამიანებთან ცოტათი მფრთხალი, მინასა და ვარსკვლავებთან კი — გაშინაუ-

რებული. ბავშვი, რომელიც ღამეული წყვიდიადის ფანტომებსა და ზეციურ ხილვებს ერთნაირად ეგებება და ანგელოზებთან შეხმატკბილებული, ხოტბას ასხამს ქვეყნიერებას.

არადა, რა მძიმე, გაუსაძლისი იყო ის გზა, რომელმაც იგი ბოლოს და ბოლოს „ულმოზელ ცოდნასთან“¹ მიიყვანა! რომ შემძლებოდა, ყოველგვარ სიმძიმესა და ნალველს ავაცილებდი! სხვათა შორის, ღრმად მნამს, რომ პოეტმა იმთავითვე იგრძნო მთელი ის სიმპათია, რასაც მისდამი განვიცდიდი, იცოდა: ჩემი სახით საიმედო მეგობარი ნახა. „ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი რიგზეაო“, გამუდმებით იმეორებდა. შემდგომშიც ბევრჯერ უთქვამს, ჩვენი შეხვედრა რაღაც საოცარი, მაგიური დამთხვევა უნდა ყოფილიყო, მან ხომ სწორედ იმ ადგილას მიმიყვანა, სადაც ჩემმა სულმა უღალესად გაშალაო ფრთები.

დუინოს ციხის ფერხითი ერთი წვეტიანი კლდეა ზღვისაკენ გაშვერილი. ხალხი მას დღესაც „il sasso di Dante“-ს უწოდებს. ამბობენ, თითქოს დიადი გიბელინი მაშინ ესტუმრა დუინოს, როცა აკვილეაში პატრიარქ პაგანო დელლა ტორეს სანახავად ჩავიდა. შემდგომში თურმე იმპერატორ ფრიდრიჰმ მესამეს, დუინოს იმდროინდელ მფლობელს, სწორედ აქ დაუჯილდოებია საზეიმოდ ორი პოეტი. ასე მზადდებოდა დუინოს გამორჩეული ბედისწერა...

ჩემს მაშინდელ, სამნუხაროდ, ძალზე მწირ ჩანანერებს შორის ვპოულობ მონათხრობს კაპოდისტრიაში, პატარა სანაპირო ქალაქში, გასეირნების შესახებ. აქ მას სიტყვასიტყვით მოვიყვან: „...გასეირნება კაპოდისტრიაში. გაბრიელა და მე დოქტორ კასნერსა და რილკესთან ერთად. ძალზე მხიარული საუბრე პატარა ტრაქტირში, სადაც მანამდე მდუმარე რილკე მოულოდნელად რბილი და მელოდიური ხმით ალაპარაკდა. ჰყვებოდა რუსეთზე; ძალზე შთამბეჭდავი იყო მისი მონათხრობი უდაბური ვოლგისპირეთის შესახებ, როდესაც მთელი დღეების განმავლობაში გემით მიუყვები მდორე წყალს და უეცრად შენს მელანქოლიაში შემოიჭრება უსაზღვრო ველზე შენს წინ „ღამესავით აღმართული“ ბუმბერაზი ტყე. შემდეგ: შეხვედრები რუს გლეხებთან, მათი ბიბლიური სიდიადე, მათი ფატალიზმი, მათ სიმღერებში აჟღერებული უსაზღვრო სევდა, გლეხი პოეტი, რომელმაც რილკესთან

¹ სიტყვები რილკეს მეთუე დუინური ელეგიის პირველი პნკარიდან.

ერთად სურათის გადაღება მოინდომა, მოხუცი ქალი, რომელმაც ღმერთს მადლობა შესწირა იმისათვის, რომ სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ ეღირსა სტუმრის მიღება; და ის ახალგაზრდა, ჯერაც მომხიბლავი გლეხის ქალი შუა მინდორში მიკარგული ქოხმანის კარებთან, მგზავრს ღამის თავშესაფარი რომ შესთავაზა და ისეთი ღირსებითა და უბრალოებით მოუთხრო თავისი ცხოვრების ამბავი, რომ პოეტიც მას, როგორც თავის ტოლსა და სწორს, ისე გაენდო: არავისთან ასე არ უსაუბრია, როგორც ამ უცნობ ქალთან, რომელსაც სიცოცხლეში ველარასოდეს შეხვდებოდა...

რაც მეტად ვეცნობი რილკეს, მით უფრო ვიმსჭვალე მისდამი სიმპათიით და, მე მგონი, ისიც ამ გრძნობით მპასუხობს.

ერთი შეხედვით, ის შეიძლება უშნოდ გეჩვენოს: „სუსტი, დაბალი ტანისაა, თუმცა მოხდენილი აღნაგობის. მოგრძო თავი აქვს, დიდი ცხვირითა და სქელი, ზედმეტად გამოზურცული ტუჩებით, რაც ნიკაპის განუვითარებელ ფორმას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. მაგრამ ამას თან ახლავს უმშვენიერესი თვალები, ქალის თვალები ხშირი წამწამებით, უეცრად ხალისიანი, ბავშვურად ლალი ნაპერწკლებით რომ ინთება, როდესაც ის სიცილისას თავის ქათქათა კბილებს გიჩვენებს.“

ღუინოში ამ პირველი ერთად ყოფნის ჰარმონია არაფერს დაურღვევია. ასე მეგონა, უკვე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, უცხო არაფერი იყო ჩვენს შორის, გარდა ერთისა, — იმ მაგიურის, გამოუცნობის, რაც სხვა არავისში შემიგრძენია ასე მძაფრად.

იმასაც ვგრძნობდი, ამ საიდუმლოში შესასვლელი კარი რომ გამიღო...

იმ პერიოდში რილკეს სურდა დაენერა წიგნი კარლო ზენოს, იმ დიდი ადმირალის შესახებ, რომლის ცხოვრება საბედისწერო ნიშნებით იყო სავსე, ამიტომ 27-ში, მხოლოდ ერთკვირიანი სტუმრობის შემდეგ, დაგვტოვა, რათა ვენეციის არქივებში ეშუავე და შემდეგ პარიზში დაბრუნებულიყო.

„Car la parole est réprimé quand le sujet surmont le disant (François Ier dans son sonnet sur Laure de Sade)¹ – ამ სიტყვებით იწყებოდა მისი პირველი წერილი ვენეციიდან; აღფრთოვანებით იხსენებდა

¹ „ვინაიდან სიტყვა შებოჭილია, როცა სათქმელი მთქმელს აღემატება“, ფრანსუა პირველი ლორა დე სადისადმი მიძღვნილ სონეტში (ფრანგ.).

ჩვენთან გატარებულ დღეებს და, ამასთანავე, არც კარლო ზენო დავინწყებია. ამას მოჰყვა მისი ნაღვლიანი წერილები პარიზიდან. ერთ-ერთ მათგანში რილკე იხსენებს იმას, რაც მის წამოსვლამდე ორი-სამი დღით ადრე ვუამბე: დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ერთი ქალი მესიზმრა, — ქალი, რომელიც ერთადერთი იყო, ვისთვისაც შემეძლო მთელი ჩემი ცხოვრება გამენდო. მრავალი წლის შემდეგ რაგაცში — სადაც მე და რილკე უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს — კვლავ დავუბრუნდით ამ სიზმრის თემას. მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რომ რილკე ბავშვობაში დედას იმ ქალთან მიუყვანია, მე რომ მესიზმრა. როდესაც მ. მისკენ დაიხარა და ნატიფი ხელი თმაზე გადაუსვა, ბიჭს ბედნიერებისა და სიმშვიდის ისეთი ძლიერი განცდა დაეუფლა, შემდგომი დღეების განმავლობაშიც რომ არ დაუტოვებია იგი. ველარასოდეს დავიწყა ეს ქალი. ეს შორეული მოგონება ძალზე ახარებდა რილკეს, რადგანაც თვლიდა, რომ მაშინაც, როცა მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი, ერთმანეთს უკვე რაღაც იდუმალი ძაფები გვაკავშირებდა.

ამჯერად რილკე თავს ცუდად გრძნობდა პარიზში. დავურეკე და ვთხოვე, ჩემთან ბოჰემიაში ჩამოსულიყო. მისი ნება რომ ყოფილიყო, მაშინვე წამოვიდოდა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობამ ხელი შეუშალა. მხოლოდ აგვისტოს შუა რიცხვებში გაგვახარა თავისი ჩამოსვლით. ეს არ ყოფილა მისი პირველი ვიზიტი ჩვენს იმხანად ჯერ კიდევ დიდ, არყის ქალით, მუხნართა და ფიჭვნარით გარშემორტყმულ სოფელში, სადაც ბაზრობები იმართებოდა ხოლმე. გამაჯანსაღებელი ჰავის გამო ზაფხულში პრაღიდან ბევრი სტუმარი მოადგებოდა ხოლმე ლაუჩინს და რილკეს მშობლებსაც თურმე ერთი-ორი თვით გამოუგზავნიათ აქ ვაჟიშვილი. ალბათ მაშინ ჩემი იქ ყოფნა მისას არ დაემთხვა, არც მის ოჯახს ვიცნობდი. მაშინ ასე თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა უნდა ყოფილიყო. ან კი როგორ წარმოვიდგენდი, რომ ავადმყოფ დეიდასთან და უსაყვარლეს ბაჭიასთან ერთად დასასვენებლად ჩამოსული ფერმკრთალი ბიჭი ოდესმე უდიდესი პოეტი და ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდებოდა? თავის ტრაგიკომიკულ განცდებს, რასაც ირონიულად თავისი ბავშვობის „ტანჯვანამებას“ უწოდებდა, ხშირად ისეთი ცოცხალი იუმორით აღწერდა, არაფერი რომ არ ჰქონდა საერთო მის ჩვეულ მეღანქოლიას-

თან. მაშინ თავის მშობლებს გამუდმებით ეკამათებოდა, რადგან, თუმცა დაუთმეს და იმ წყეული კადეტთა სკოლიდან გამოიყვანეს, უმაღლესი განათლების მიღების ნებას მაინც არ რთავდნენ. ლაუჩინში ჩამოსვლის შემდეგ რილკე ერთ დღეს ჩემს მეუღლეს შეხვედრია. ის მუდმივ საქმეებსა და მოგზაურობებში იყო, ბევრს ეხმარებოდა, რისთვისაც ხალხმა მადლიერებით „ჩვენი მხარის განგება“ შეარქვა. რილკეს სწორედ ამან გააბედინა, დახმარებისა და მხარდაჭერის თხოვნით მიემართა ამ ადამიანისთვის. ასე რომ, სასახლეში გამოცხადდა და შიშითა და იმედით მიართვა თავისი ლექსები, მგონი, რამდენიმე ნაუკითხა კიდევაც. თავადმა, ეჭვი არ მეპარება, კეთილგანწყობით, მაგრამ დაბნეულად მოუსმინა, და ჭაბუკიც დამშვიდობებისას დაჰპირდა, რომ ნებისმიერ დროს, როცა კი თავადი მოუხმობდა, კვლავ ეახლებოდა და კიდევ ნაუკითხავდა ლექსებს. მაგრამ ჩემს მეუღლეს აუარებელი საქმეების გამო, სრულიად გადაავინყდა ახალგაზრდა პოეტი.

ამასობაში მის ძვირფას ბაჭიას დიფთერია შეეყარა. რილკე უვლიდა ავადმყოფ დეიდასა და ბაჭიას და სულმოუთქმელად, მაგრამ ამაოდ ელოდა სასახლიდან მოხმობას. დეიდას ცივი საფენები სჭირდებოდა, ბაჭიას — თბილი, რის გამოც ზოგჯერ კურიოზული შეცდომებიც ხდებოდა. ბაჭია მოკვდა და არდადეგებიც დასრულდა.

მართალია, რილკე ამ ამბავს ისე ჰყვებოდა, რომ სიცილისაგან ვიგუდებოდი, და მაინც, გულის სიღრმეში საოცრად მებრალბოდა ეს მარტოსული, ამაოდ მომლოდინე პატარა ბიჭი.

რილკე კვლავ საუბრობდა „მალტეს“ შესახებ. თქვა: „ცოტათი მაჟრჟოლებს კიდევც, როდესაც მთელ იმ დაჟინებულ ძალდატანებას ვიხსენებ, რომლითაც მალტესთან ერთად ბრძოლით შევალნიე ყოველი არსის გულისგულში, თვით სიკვდილის მიღმაც კი, ისე, რომ უკვე ყველაფერი უკან მოვიტოვე: სიკვდილი რომც მდომოდა, ველარ მოკვდებოდი. მე მგონი, ასე ცხადად არავინ ჩაღრმავებია იმას, თუ რაოდენ ეწინააღმდეგება შემოქმედება ბუნებას. შემოქმედება ყველაზე მგზნებარე ინ-

ვერსიაა სამყაროსი, ყველაზე დიდი შემობრუნება, ესაა გზა, შინ დაბრუნება უსასრულოდან და ამ გზაზე გვიპირისპირდება ყველა პატიოსანი ნივთი თუ მოვლენა; მხოლოდ ამ გზაზე ვხედავთ მთელ მათ არსს, მათი სახება ჩვენთის ცხადად იკვეთება, მათი ნაკვეთები და მოძრაობა გამორჩეულობას იძენს ჩვენს თვალში. კი მაგრამ, ვინ ვართ ჩვენ? ბოლოს და ბოლოს, რა უფლება გვაქვს, გავუყვეთ ამ გზას ყველა არსის საპირისპიროდ, სამარადისოდ შემოვუბრუნდეთ მათ და ამით მოვატყუოთ, დავაჯეროთ, თითქოს უკვე მივალნიეთ რალაც მიზანს, რალაც საზღვარს და აი, ახლა, ვალმოხდილები, უკან ვბრუნდებით?”

აპრილის დასაწყისში რილკეს ვენეციაში შევხვდით; ძალიან დაღლილი მეჩვენა. აფრიკაში მოგზაურობამ იმედი გაუცრუა, თუმცა ბევრი ვერაფერი მიაშობო ამის შესახებ, რადგან იქ ძალზე ცოტა ხანს დავრჩით. — ჩემს დღიურებში არის 3 აპრილის ჩანაწერი: „კერინო სტამპალიას გალერეა, რილკესთან ერთად“. როგორც ჩანს, სწორედ იქ განვიცადე პირველად რილკესთან დაკავშირებული ის უჩვეულო გარემოება, რომელშიც მერეც არაერთხელ მიგრძენია რალაც „მაგიური“ მუხტი. რა იყო ეს? „მეოთხე განზომილება“? ნუთუ მან მართლაც „კარი შემიღო“ რალაც იდუმალში? ამ ყოვლად უცნაურ შეგრძნებას მე ვერც კი აღვწერ...

მასზე შემდეგი ჩანაწერი მეტყველებს: „აუცილებლად უნდა ჩავინერო ერთი არაჩვეულებრივი შემთხვევა, რომელმაც შემძრა. ერთ მშვენიერ დილას გავემართეთ სტამპალიას გელერეისა და სანტა მარია ფორმოზას ეკლესიისაკენ. კარგად ვიცოდი, რომ სანტა მარია ფორმოზა სანტა ზაქარის მახლობლად მდებარეობს. ასე რომ, ჯერ ვაპორეტოს არხთან მივედით (ეჰ, გონდოლების რიცხვი დღითი დღე კლებულობს!) და შემდეგ გზას გავუყვევით. ყურადღებიანმა ჩია მოხუცმა, უგემრიელესად რომ წვავდა ნაბლს, გეზი გვიჩვენა და დასძინა, მერე — სულ პირდაპირო. რა თქმა უნდა, წესით საპირისპირო მიმართულებით უნდა გაგვეხვია, ჰოდა, მალევე გზა აგვებნა ქუჩების, შუკების, ხიდებისა და არხების ლაბირინთში. ჩემნაირ ვენეციელ ქალს ეს ნამდვილად არ

ეკარებოდა! და უცბად ისეთ უცნაურ, სრულიად უცნობ ადგილას ამოვყავით თავი... გრძელი-გრძელი ქუჩა (ის არა, რასაც ვენეციაში „calle“-ს უწოდებენ), თავსა და ბოლოში პატარა შადრევნით, ორივე მხარეს ძალზე მაღალი სახლებით, — ნაღვლიანი, მოუკაზმავი სახლებით, რომლებიც სულ არ ჰგავდა ვენეციის ღარიბი უბნების გროტესკული სახეებით მორთულ ფანჯრებჩამტვრეულ სახლებს. და — დუმილი, დუმილი, რომელიც თითქოს ოდესღაც გაჟღერებულ და გარდასულ დროთაგან მოედინებოდა, და — ფლეიტის მჭახე, მაღალი ჰანგები, განუწყვეტლივ ერთსა და იმავე უცნაურ აღმოსავლურ მელოდიას რომ იმეორებდა. ორივენი მოვინუსხეთ და ძრწოლით შეპყრობილნი ვუმზერდით დამტვრეულ ქვაფენილს, აქა-იქ ამონვერილი ბალახით (ბალახი ვენეციაში!), ჩარაზულ, მდუმარე, თითქოს მგლოვიარე სახლებს, რომელთა ფანჯრის გისოსებს მიღმა არავინ იძვროდა, ამ უკაცურ ქუჩას. გულისგამანვრილებლად მტირალი ფლეიტის გარდა სხვა ხმა არ ისმოდა... ამაოდ ვეძებდით ქუჩის დასახელებას, რომელიც სხვაგან მუდამ წერია ხოლმე. მე მგონი, ველარასოდეს მივაგნებთ კიდეც ამ კუთხეს, ველარასოდეს მოვეუსმინთ ამ აღმოსავლურ სიმღერას, ცარიელი ქუჩის გასწვრივ მდორედ, ცახცახით რომ მიიკლაკნებოდა.“

ამ ზაფხულს საზეიმოდ განვაცხადე, რომ მსურდა რილკესთვის გამომეძებნა საგანგებო სახელი, მხოლოდ მე რომ დავუძახებდი. ამან ძალიან გაახარა. ვუთხარი, ჩემთვის „რაინერ მარია რილკე“ მეტისმეტად გრძელია, „რილკე“ — მეტისმეტად მოკლეა და თანაც სახელი არც არის, „რაინერ მარია“ კი ფამილიარულია-მეთქი. როგორ გაეცინა, ეს ჩემი სიძნელეები რომ ავუხსენი! თან ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა სახელს მოვუგონებდი. „ახალი სახელი! გესმით, თავადის ქალო, ეს შეიძლება სასწაული რამ აღმოჩნდეს: იქნებ ეს სწორედ ჩემი ჭეშმარიტი სახელია, ის იდუმალი სახელი, რომელიც ჩემია...“

„დოქტორ სერაფიკუს!“ — სრულებით მოულოდნელად მომაფიქრდა, გეგონება ყურში ჩამჩურჩულაო ვილაცამ, არც კი ვი-

ცოდი, უცებ საიდან მომვიდა ეს სიტყვა. ბევრჯერ გავიმეორე მექანიკურად, შევეკითხე ჩემს თავს, გამოდგებოდა თუ არა ეს უეცრად ამოტივტივებული სახელი, მინდოდა კარგად დავკვირებოდი. არადა, რა ზურტი მიგნება იყო! ეს ბოლომდე მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როცა მისი მეორე, ანგელოზებისადმი მიძღვნილი საოცარი ელეგიის ჟამმა ჩამოჰკრა!

23 ივლისს სერაფიკო, როგორც ამიერიდან უცვლელად ვეძახდი რილკეს, ლაუჩინში გვესტუმრა. მშვენიერი ზაფხული იყო. თითქმის მთელ დღეებს პარკში, გაზონზე, ლურჯი სალონის წინ ვატარებდით. ლურჯს იმიტომ ვუნოდებდით, რომ იქ ჩინური და დელფტის ფაიფური გვექონდა განთავსებული, ასე ძალიან რომ მოსწონდა ჩვენს პოეტს. ჯადოსნური, მზით ავსებული საათები, როცა რილკე ხმამაღლა გვიკითხავდა მე და ჩემს კუზინა თაქსისს, ქალიშვილობაში მეტერნიჰს. მხოლოდ ჩვენ ორს, რადგან წინასწარ ვიზრუნე იმაზე, მხოლოდ ისეთი სტუმრები დასწრებოდნენ ამ კითხვას, ვინც მას ჯეროვნად დააფასებდა და გაუგებდა, მით უმეტეს, რომ იმხანად რილკე ჯერ არ იყო ისე აღიარებული, როგორც შემდგომში გახდა (და მომავალში კიდევ უფრო მეტად გახდება). მახსენდება, რამდენიმე წლის შემდეგაც კი, ომით გატანჯულ ვენაში, ძალიან ვიწრო წრეში და ძალზე დაძაბულ გარემოცვაში ჩემთვის ხშირად უთხოვიათ რილკეს ლექსების წაკითხვა და მათი „ახსნა“... იმ ზაფხულს ლაუჩინში პირველად მოვისმინე სამი ლექსი: „ახალგაზრდა ქალი“, „ივდითის დაბრუნება“ და „ჩანახატი წმინდა გიორგისათვის“. მათგან ორი დღემდე მხოლოდ ჟურნალ „ლარეტი“-ში გამოქვეყნდა ჩემს იტალიურ თარგმანში. რილკე მუდამ საკუთარი გამორჩეული მანერით, ფეხზე მდგარი კითხულობდა უსასრულოდ მოქნილი, ზოგჯერ ძალზე ძლიერი ხმით, მელოდიურად, გამოკვეთილი რიტმით. იმდენად უჩვეულო მოსასმენი იყო, თავიდან უარყოფითად განეწყობოდი, მაგრამ მალევე მისი გავლენის ქვეშ ექცეოდი. არასოდეს მომისმენია, ვინმეს ასე საზეიმოდ და, ამავე დროს, ასე უბრალოდ წაეკითხოს ლექსი; მისი სმენით ვერ გაძლებოდი. არაჩვეულებრივი იყო ის ხანგრძლივი პაუზებიც, რომლის დროსაც ის თავს დაბლა ხრიდა და მის თვალებს მძიმე ქუთუთოები გადაეფარებოდა. ამ დროს სიჩუმე ისეთივე მჟღერი იყო, როგორც ბეთჰოვენის სონატის პაუ-

ზების დროს: „პანტიერა“, „გველებიშ სელოცვა“, „პარკები“ — რა ნეტარებაა!.. ის სამი ლექსი, პირველად რომ დავასახელებ, რილკემ პატარა წიგნაკში ჩამიწერა, სადაც მანამდე მხოლოდ მადამ დენო-აისადმი მიძღვნილი ესეე ეწერა. მოგვიანებით ამ წიგნაკმა კიდევ ბევრი ძვირფასი რამ დაიჭია.

ჩემი ბიძაშვილების გარდა სხვა სტუმრებიც გვყავდა: კარლო პლაჩი, Professor of enjoyment¹, როგორც მე ვუწოდებდი, იყო კიდევ ერთი ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა ინგლისელი არქიტექტორი და სხვებიც. ყველანი მშვენივრად ვენყობოდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი ჰარმონია უეცარმა ელდამ გაარღვია: ჩემი პატარა შვილიშვილი რაიმონდი ავად გახდა: ექიმმა ქუნთრუშა დაადასტურა. ჩვენს სტუმრებს საჩქაროდ გამგზავრება მოუწიათ, მე და ჩემი მეუღლე კი დავრჩით საბრალო პატარას მოსაველელად. არასოდეს დამავინწყდება რილკეს გულისამაჩუყებელი ნუხილი ბავშვის ამ ხანმოკლე ავადმყოფობისას და მისი სიხარული დაბრუნებისას, მას შემდეგ, რაც ბავშვი გამოკეთდა.

რილკე ამბობდა, ეს ერთადერთი ბავშვია, რომლისაც მესმისო. რაიმონდი ძალიან უყვარდა და ეს იშვიათი გამონაკლისი იყო, რადგან საერთოდ ბავშვებთან ძალზე რთული დამოკიდებულება ჰქონდა. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ ბავშვებთან საერთოდ არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნდა: არ იცოდა, როგორ მოჰყრობოდა მათ, სერიოზულად მიელო ისინი თუ არა. ბავშვებს კი რილკე ძალზე უყვარდათ. მუდამ უხაროდათ, როდესაც მოდიოდა. ხშირად მეცინებოდა მის დანახვაზე, როგორ იდგა გაოგნებული და დაბნეული და ოდნავი ეჭვით შესცქეროდა ხალისიანი პატარების გუნდს. სამაგიეროდ მას ჰქონდა სათამაშოების შერჩევის რაღაც გამაოგნებელი უნარი, თანაც ეს მუდამ უმარტივესი სათამაშო იყო, მაგრამ ისეთი, ბავშვები ყოველთვის აღფრთოვანებაში რომ მოჰყავდა. რაიმონდს მისი გამოკეთების შემდეგ ძველებური არაჩვეულებრივი შადრევანი ჩამოუტანა. ბავშვი სხვა სათამაშოებს აღარ ეკარებოდა. ციციქნა აუზში ნამდვილი წყალი ჩაედინებოდა და განუწყვეტლივ ისევ მალლა იფრქვეოდა. რაიმონდისთვის ეს ყოველად ზღაპრული რამ იყო.

სამწუხაროდ, რილკე დიდხანს ვერ დარჩა ჩვენთან, გამომცე-

¹ დროსტარების პროფესორი (ინგლ.).

მელი ელოდა ლაიპციგში. რაკილა რაიმონდიც თავის მშობლებთან უნდა დაბრუნებულყო, გადავწყვიტეთ, ყველანი ერთად გავმგზავრებულყავით ეტლით და რილკესაც შევთავაზეთ, რომ ლაიპციგში წავიყვანდით, ოღონდაც გზად მოკლე ხნით ვაიმარში შევჩერდებოდით. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ დროისათვის კიდე ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ, რისკენაც რილკეს მზარდმა და შემაშფოთებელმა ნერვულმა აშლილობამ გვიბიძგა. მას ანუხებდა უახლოეს მომავალზე ფიქრი, არ იცოდა, სად უნდა გაეტარებინა შემოდგომა და ზამთარი, რადგან იძულებული იყო უარი ეთქვა თავის პარიზის ბინაზე (ლუქსენბურგის ბაღთან ახლოს, როდენის სახელოსნოს გვერდით). პარიზში დაბრუნება და ახალი ბინის ძებნა კი არ სურდა. ნატრობდა სიმშვიდეს, სიმარტოვეს, ზღვის ჰაერს, ფიქრობდა ბიარიცში წასვლას, თუმცა ზუსტად არ იცოდა, თუ რა დახვდებოდა იქ. მოკლედ, ძალზე დაბნეული იყო, არავითარი გეგმა არ ჰქონდა და ეს თრგუნავდა. და უეცრად მომაფიქრდა დუინო, ჩვენი „ზღვისპირა ციხესიმაგრე“, ზამთრობით სრულიად მიტოვებული რომ იდგა. დუინო! არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რომლითაც რილკე ჩემს წინადადებას შეხვდა. ასე რომ, შევთანხმდით, მას მერე, რაც ინგლისში ჩემს მეგობრებს მოვინახულებდი, ერთმანეთს პარიზში შევხვდებოდით, საიდანაც მანქანით ერთად გავემგზავრებოდით ჩვენი კლდეებისაკენ. მინდოდა შემოდგომით დუინოსა და ვენეციაში დავრჩენილიყავი, ზამთარი კი ვენაში გამეტარებინა. რილკე დუინოში სრულ სიმარტოვეში აპირებდა ყოფნას, ჩვენი დიასახლისის, მის გრინჰემის მზრუნველობის ქვეშ. მათ გარდა იქ მხოლოდ ერთგული მოხუცი კარლო რჩებოდა, წმინდა წყლის დუინოელი, ბავშვობიდანვე ჩვენს ოჯახს რომ მსახურებდა. ამ თავისთავად შესანიშნავ გეგმას მეორე, კიდე უფრო შესანიშნავი დაემატა: გზად პროვანსი უნდა გამოგვევლო, რასაც დიდი ხანია ვნატრობდი. რილკესთან ერთად, — ეს ხომ ოცნებაა!

მაშასადამე, 20 აგვისტოს გავემგზავრეთ. ჩემი მეუღლე იმხანად მაგდებურგში გამართულ დოღს ესწრებოდა, რომელშიც მისი რამდენიმე ცხენი მონაწილეობდა, ასე რომ, ის მოგვიანებით ლაიპციგში უნდა დაგვხვდებოდა. კაშკაშა მზით გამსჭვალული უმშვენიერესი დღე იყო, მთელი მიდამო ოქროსფრად ბრწყინავ-

და. დაუფინყარი იყო ტყეები საქსონიის საზღვარზე და ის ადგილი მაღალი მუხების ქვეშ, სადაც მოსასვენებლად შევჩერდით და, სადაც რილკემ ის საოცარი ლექსი წამიკითხა, ანგელოზთან შერკინებას რომ აღწერს. უყვარდა საკუთარი ლექსების კითხვისათვის ღირსეული ადგილების შერჩევა. ასე არასოდეს მისიამოვნია მოგზაურობით, და ეს იმიტომ, რომ რილკესთან ერთად ვიყავი. ის არა მარტო ამჩნევდა ყველაფერ მშვენიერს, არამედ ნებისმიერ საგანს სხვა ადამიანებისაგან სრულიად განსხვავებულად განიცდიდა. ეს სუნთქვისშემკვრელი განცდა იყო, ვერაფრით გაარკვევდი, რა უფრო გაოცებდა მასში: გარეშე საგნების მისეული ჭკრეტა თუ საკუთარ სიღრმეში, შინაგანში ჩაბრუნებული მზერა, „a glass that shows us many more“.¹

კარლო ზენოს ბიოგრაფიისა და დანტეს თარგმანის გარდა სერაფიკოს კიდევ ერთი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჰქონდა: მას სურდა დაენერა „უიღბლო მეტრფეთა“, „მიტოვებულ ქალთა“ — მადმუაზელ დე ლეპინასის, პორტუგალიელი მონაზვნის, გასპარა სტამპას — შესახებ. მათ ბედ-იღბალს ის თავის თანამდევ, გამოუთქმელად ახლობელ, მტკივნეულ სინამდვილედ განიცდიდა. მათზე სულშიჩამწვდომად ღრმა და უსასრულოდ სათუთი სიტყვებით საუბრობდა. ასეთ დროს მუდამ მახსენდებოდა მისი ესე მადამ დე ნოაის შესახებ², სადაც ის სიყვარულის იმ უშრეტ წყაროზე გვესაუბრება, რომელსაც ვერც ერთი სხვა მეტრფე ველარ შესწვდება. ამიტომაც აღუწერლად ააღელვა ერთმა აღმოჩენამ, რომელიც მე დუინოში გავაკეთე. საქმე ტერეზინა რ.-ს ეხება, დედაჩემთან ერთად რომ გაიზარდა და მთელი ცხოვრება ჩვენს ოჯახში გაატარა, ვიდრე ძალზე მოხუცებული და გონებრივად დასუსტებული, გიორცში არ გარდაიცვალა. ჩვენ ის მეორე დედასაფით გვიყვარდა. პოეტს უმძაფრესად აინტერესებდა ყველაფერი ამ ქალის შესახებ, რისი მოყოლაც შემეძლო. ის საოცრად განათლებული იყო, არაერთ ენას ფლობდა იშვიათი სრულყოფილებით და

¹ „სარკე, რომელიც ბევრად მეტს გვიჩვენებს“ (ინგლ.).

² რილკეს ესე „მეტრფე ქალის წიგნები“.

ჩინებულად იცნობდა ლიტერატურას. ამასთან, ისეთი ორიგინალური, უცნაური პიროვნება იყო, რომ ხშირად გვაცინებდა ხოლმე. დედაჩემი და ჩვენ, ყველანი, მთელი სინაზითა და გზნებით ვუყვარდით, რისი უნარიც კი მის ეულ გულს შესწევდა. ვიცოდით, ოდესღაც უიღბლო სიყვარული გამოუცდია და ამ განცდას ლამის გადაჰყოლია კიდეც. მაგრამ არც თავად მას, არც დედაჩემს არასოდეს დასცდენიათ სიტყვა ამის შესახებ. ერთ დღეს ძველ უჯრაში მივიწყებულ წერილებს, უსარგებლო მოსაგონრებსა და მატერიის ჩამონაჭრებს შორის ციციქნა ჩინურ წიგნაკს გადავანყდი, ისეთ პატარას, რომ მისი ძენკვზე ჩამოკიდება და თითზე ტარება შეიძლებოდა, როგორც ეს 1830-იან წლებში იყო მოდაში. ამ წიგნაკში მინიატიურული, ძნელადგასარჩევი ხელით მოთხრობილი იყო ტერეზინას უმნიცვლო და ტრაგიკული სიყვარულის მთელი ამბავი მის მტკივნეულ დასასრულამდე. ეს იყო სრულიად უბრალოდ, გულისამაჩუყებლად, თუმცა კი კაზმული იტალიურით დაწერილი დღიური. სერაფიკო ისევ და ისევ სულმოუთქმელად კითხულობდა ამ პატარა წიგნს. ტერეზინა მისთვის მის საოცნებო დიად მეტრფე ქალთა მოკრძალებული, და მაინც ჭეშმარიტი დობილი გახდა. და იმ ამბავმა, რომ ამ ქალის უღრმეს საიდუმლოს ეზიარა, რომ დუინოში თვალწინ ჰქონდა მისი პორტრეტები და ნივთები, მისი ოთახი, ავეჯი და წიგნები, — იმდენად ცოცხლად განაცდევინა ტერეზინას არსება, რომ ის მას როგორც კარგა ხნის ნაცნობ ძვირფას და საბრალო ქმნილებას, ისე მოიხსენიებდა. იმ ხელნაწერებს შორის, რომლებიც შემდგომში დამიტოვა, ამ დღიურის ასლიც ვიპოვე. მან ის გადანერა და აპირებდა მის შესახებ დაენერა რაიმე, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

მართლაც მეჩვენება, რომ რილკე დუინოში აჩრდილთა გარემოცვაში ცხოვრობდა. ის არა მხოლოდ გრძნობდა ტერეზინას სიახლოვეს, — კიდეც ორი ფიგურა — დედაჩემის დები — ანმყოფ ქცეულიყვნენ მისთვის იმდენად, რომ გეგონებოდათ, დრო გაჩერდომო: რაიმონდინა, რომელიც სულ ახლად დაქორწინებული, ოცი წლისა გარდაიცვალა, და პოლიქსენა, მხოლოდ თხუთმეტი

ნელი რომ შეუსრულდა. ორივე გოგონასაგან დაგვრჩა სურათები; რაიმონდინას არაჩვეულებრივად ლამაზი ბიუსტი და მშვენიერი მინიატურები გვექონდა, მათგან საუკეთესოს სერაფიკომ თავის ვიტრინაში მიუჩინა საპატიო ადგილი. პოეტს განსაკუთრებულად ხიბლავდა ეს ფერმკრთალი სახე ნატიფად მორკალული ცხვირით, დიდრონი ლურჯი თვალებითა და უხვი შავი ნაწნავებით. ჩემმა ძმამ მიაგმო, ერთხელ როგორ ჰკითხა რილკეს, სურდა თუ არა დუინოში კიდევ ერთი ზამთარი გაეტარებინა. რილკე დიდი ხნით დაფიქრდა და შემდეგ თანხმობა მისცა. მაგრამ, დაუმატა მან, ეს მეტად ამაფორიაქებელი იქნება. ძალზე ბევრ რამეზე უნდა იზრუნოს კაცმა, პირველ რიგში — რაიმონდინასა და პოლიქსენას, რაც შეეხება. მათ ხომ გამუდმებით უნდა გაენიოსო ანგარიში. ჩემი ძმა, რომელსაც „მეოთხე განზომილებაზე“ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, თავდაპირველად საერთოდ ვერ ჩასწვდა პოეტის ამ სიტყვებს. რაიმონდინა და პოლიქსენა ჩვენს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალნენ, ისინი ჩვენთვის სრულებით უცხო არსებებად რჩებოდნენ, რომლებსაც მხოლოდ ხანდახან, მშვენიერი სურათების ნახვისას თუ ჩავუფიქრდებოდით. რილკეს კი არაერთხელ უთქვამს, მიუხედავად სიჩუმისა და უკაცური სიმშვიდისა, დუინოში ნამდვილი სიმარტოვის განცდა არასოდეს მქონიაო. ერთმა შემთხვევამ განსაკუთრებულად შეძრა; ერთხელ „რივიერაზე“ ჩავიდა. რივიერას ციხესიმაგრის მარცხენა მხარეს, ზღვისკენ ჩამავალ ტყით დაბურულ ფერდობს ვუწოდებდით; ის ჩადიოდა პატარა ყურესთან, რომელსაც ზღვაში შეჭრილი კლდე ქმნიდა მასზე აღმართული ძველი გალავნის ნანგრევით. საუკუნოვანი მუხები, კიპარისები, დაფნის, ზეთისხილისა და ლედვის ხეები ერთმანეთში ველურ ტევრად, ლალად და უხვად, ჩახლართულიყო. ხეების ჩრდილში ზოგჯერ უცნაური ყვავილები ხარობდა. მაგალითად, მახსენდება ჩანგრეული კიბის გვერდით ერთბაშად ამოზრდილი უზარმაზარი შავი ზამბახი, რომლის მსგავსი შემდეგ აღარასოდეს შემხვედრია, ანდა სრულიად მწვანე ვარდი, ციხის გალავნის ერთ ბნელ კუთხეში რომ გაიშალა. ერთხელაც რილკეს ამ გაუვალ ტევრში უმიზნოდ, ფიქრებში წასულს, უბორიალია. უეცრად მის წინ უზარმაზარი ძველი ზეთისხილის ხე აღიმართა, მანამდე რომ არ შეუმჩნევია. არ ვიცი, როგორ მოხდა

ეს, მაგრამ უეცრად ის ზურგით მიეყრდნო ამ ხეს, მის დაკოჟრილ ფესვებზე შედგა, თავი მის ტოტებს დაადო და — მხოლოდ იმას გავიმორებ, რაც არაერთხელ მსმენია მისგან — ერთბაშად მანამდე განუცდელი შეგრძნება მოეძალა, გული აუჩქარდა, უძრავად, უხმოდ იდგა ხეს მიკრული. მოეჩვენა, თითქოს შეაბიჯა სულ სხვა ცხოვრებაში, შორეულ დროში, — ყველაფერი, რაც აქ ოდესმე განცდილა, მთელი სიცოცხლე, სიყვარული და სატანჯველი გარს შემოერთყა, მის სულს ეხლებოდა, სურდა მასში ხელახალი სიცოცხლე ეპოვნა, მისგან ითხოვდა ხელახალ უსასრულო სიყვარულსა და ტკივილს. „დრო“ აღარ იყო, ნაიშალა ზღვარი შემობრუნებულ წარსულსა და უსახურ, დაბინდულ აწმყოს შორის. ჰაერი თითქოს გაცოცხლდა და ყოველი მხრიდან მას ეხლებოდა. და, საოცარია, ეს საზარელი და უცხო სიცოცხლე მისთვის რალაცნაირად ახლობელი იყო, სურდა თუ არა, მისი მონაწილე უნდა გამხდარიყო.

ტერეზინა, რაიმონდინა, პოლიქსენა — ნეტავ გარს თუ შემოერთყენ ისინი პოეტს, გრძნობდა თუ არა ის მათ და იქნებ სხვა შორეულ, მოუსვენარ, ოდესღაც ბედნიერ და საყვარელ სახეთა სიახლოვეს? არ ვიცი. უეცრად მოსულ და უეცრადვე გამქრალ ამ განცდაზე საუბრისას რილკე ყოველთვის ძალიან ღელავდა. „უცნაურია, უცნაური“, — იმეორებდა. ველარასოდეს გაბედა ამ იდუმალ ადგილას მისვლა და იმ ხისათვის ხელის შეხება. ერთხელ ჩუმად თქვა: „მაშინ შეიძლება საერთოდ უკან ველარ დავბრუნდე“.

იმ გაზაფხულზე იშვიათი სინატიფით თარგმნა ვინმე ჯაკობო ვინჩენცო ფოსკარინის (1830) პოლიქსენა თურნის გარდაცვალების გამო შექმნილი სონეტი. ძალიან მოსწონდა ეს ლექსი და გული სწყდებოდა, რომ არაფერი იცოდა ავტორისა და იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც მას თურნის ოჯახთან აკავშირებდა. ამ იტალიელის ოსტატურ, მაღალფარდოვან, თუმცა ზოგჯერ მეტისმეტად აკადემიურ ლექსებს შორის თითო-ოროლა მაინც არის ნამდვილად ფასეული, — ისეთი, როგორიც შეიძლებოდა ჩვენს ძვირფას რილკესაც დაენერა...

რომენ როლანი

რილკეს

(მისი მეზობლის მოგონებები)

ჩვენ ათი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, კარის მეზობლები ვიყავით: ის — კამპან-პრემიერის ქუჩის მე-17 ნომერში ბინადრობდა, მე — მონპარნასის ბულვარზე, 162 ნომერში. ორთავეს ფანჯრებიდან იშლებოდა ხედი ერთსა და იმავე მშვენიერ მონასტრის ბაღზე, სადაც იყო სიმშვიდე, ბუმბერაზი საუკუნოვანი ხეები, ჩიტების ჭიკჭიკი. მიუხედავად ამისა ერთმანეთს არ ვიცნობდით, რადგან ორივე გულჩათხრობილ და მარტოსულ ცხოვრებას ვენეოდით. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ მაშინ არღვევდა თავის მარტოსულობას, როცა, თუკი საფულე ამის საშუალებას აძლევდა, მცირე ხნით ტოვებდა საფრანგეთს. ორივე ჩვენგანი მთელი სულიერი ძალით ებრძოდა პარიზს, — ასეთ მშვენიერს, ასეთ მიმზიდველსა და ასეთ მტანჯველს... *Odi es amo...*¹.

ერთმანეთი შტეფან ცვაიგმა გაგვაცნო. მას მუდამ ჰქონდა იშვიათი უნარი, სხვებზე ადრე შეენიშნა და გამოერჩია ხელოვნების ახალი, ნატიფი და მოკრძალებული ფასეულობა. ამადლევებელი და გულისამაჩუყებელი იყო ის აღტაცება, რასაც გერმანულ და ავსტრიულ ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილი ეს მწერალი კამპან-პრემიერის ქუჩის ახალგაზრდა განდევილს უმყლავებდა. ის რილკეს სხვა გერმანულ პოეტებზე უფრო მაღლა აყენებდა, თვით ჰაუპტმანსა და ჰოფმანსტალზე უფრო მაღლაც კი. მომავალში ის რილკეს დიდ ზეასვლასა და აღიარებას უქადდა, რადგან საამისოდ მკაცრი და დაჟინებული სულიერი დისციპლინა და გულმოდგინება ჰქონდა.

ცვაიგმა პირველად 1913 წლის 17 მარტს შემახვედრა რილკეს პალე-როიალის მახლობლად ერთ რესტორანში, ვერჰარნისა და დე ბაზალჟეტის საზოგადოებაში. საუბარი გვიან ნაშუადღევს დასრულდა ოტელ ბოჟოლიში, ცვაიგის ოთახში, რომლის ფანჯარაც პალე-როიალის ბაღში გადიოდა.

შეუძლებელია წარმოიდგინო ერთმანეთისაგან ვერჰარნისა და

¹ მიყვარხარ და მძულხარ (ლათ.).

რილკეზე უფრო მეტად განსხვავებული ორი პიროვნება, თუმცა ორივე სიყვარულის ღირსია. მათგან პირველი იმხანად უკვე ჩემი მეგობარი იყო... ეს კელტი დევგმირი, გრძელი უღვაშითა და ხშირი შევერცხლილი თმით, ნითელი სახითა და როხროხა ხმით, ადამიანურ სითბოსა და სიტყვათა უშრეტ ნიაღვარს რომ აფრქვევდა. მის გვერდით მოკრძალებული რილკე, ჩემს მაშინდელ ჩანანერს თუ გავიხსენებ, „თხელ, ბავშვურად ვარდისფერლოყება ახალგაზრდად მეჩვენა, თავიდან ცოტათი მორცხვობდა, მაგრამ ჩვენს ვინრო წრეში მალევე გამხნევდა, ალტაცებით და ბევრს ლაპარაკობდა, — ძალზე მოხდენილად, ბავშვურად და რომანტიკულად“. ვერჰარნი ჰყვებოდა, პარიზში ჩამოსვლისთანავე როგორ გაიცნო ბანვილი, რომელიც გზას უკვალავდა იმხანად ახალგაზრდა რიშპენს, მალარმეს გულისთვის კი თავის შენუხება არ სურდა (ვერჰარნი კი დიდად აფასებდა მალარმეს); ახსენა ბრანდი, რომელიც რენანით იყო გატაცებული (თავად ვერჰარნი ვერ იტანდა რენანს), ისიც შენიშნა, რომ სწორედ ბრანდი იყო ის, ვისგანაც 1886 წელს პირველად გაიგონა ნიცშეს სახელი. იმ დროს ვერჰარნი მუშაობდა ესეზე ფრანგული ხელოვნების შესახებ, რაზეც ისევ და ისევ თავისი ჩვეული გზნებით საუბრობდა. რილკემ მშვიდად, თვინიერად გვიამბო, თუ როგორ ესტუმრა ტოლსტოის ორჯერ — მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში. აღფრთოვანებული იყო ესპანეთით, სადაც ორჯერ მოუწია გაჩერება, ორჯერვე რონდაში (როგორც აღმოჩნდა, იმავე დღეებში მეც იქ ვიყავი და შეიძლებოდა იქ ერთმანეთს შევხვედროდით კიდეც). ესპანეთით რილკეს ალტაცება ყველამ გავიზიარეთ.

სადილის ბოლოს ვისაუბრეთ ერთი უტოპიური პროექტის შესახებ. ეს გახლდათ „ლიტერატურული მიმოწერა“, — რალაც მსგავსი იმისა, რაც თავის დროზე გრიმმა და დიდრომ განახორციელეს, როდესაც შეკრიბეს ლიტერატორთა უმნიშვნელოვანესი გამონათქვამები დასავლეთ-ევროპის ქვეყნების შესახებ. მთელი გულით ვეთანხმებოდი იმას, რასაც ჩემი მეგობრები უპირველეს და აუცილებელ საქმედ თვლიდნენ: საფუძველი ჩაგვეყარა ევროპის მორალური და ინტელექტუალური ერთობისათვის...

.....

რილკემ და მე იმ დღეს უშუალოდ ერთმანეთს ძალზე ცოტა ვესაუბრეთ, თუმცა უსიტყვოდ გაუგეთ ერთი მეორეს. რამდენიმე დღის შემდეგ რილკე ჩემს სანახავად მოვიდა, მაგრამ შინ არ დავხვდი. შემდეგ მე ვესტუმრე. აპრილის დასაწყისი იყო. ვისხედით სახელოსნოში, მესამე სართულზე, სადაც მაგიდებისა და სკამების გარდა სხვა ავეჯი არ ყოფილა, სამაგიეროდ იყო ბევრი სივრცე და სინათლე. გარს გვერტყა მშვენიერი ბალი. ერთი საათის განმავლობაში ძალზე თბილად ვისაუბრეთ. მიუხედავად იმ დახასიათებისა, რაც ცვაიგმა მისცა, მე მომეჩვენა, რომ რილკეს ძალიან უყვარდა მშვიდი, ხანგრძლივი საუბრები. თავიდანვე დიდი ნდობით გადამიხსნა გული. მიამბო პარიზში გატარებული წლების შესახებ. თურმე 1902 წლიდან უცხოვრია აქ. შემდეგ პირველად ახსენა ჩემი თანდასწრებით როდენის სახელი და დიდი მონივნებით ილაპარაკა მასზე. თავს ბედნიერად თვლიდა იმის გამო, რომ ეს ხელოვანი სწორედ მისი შემოქმედების მწვერვალზე გაიცნო. ყველაზე მეტად როდენში ორი რამ აოცებდა: პირველი — მისი განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა; ის წუთს არ კარგავდა უქმად; სეირნობიდან ახალდაბრუნებულს, ან ორ სხვადასხვა საქმეს შორის მოკლე შუალედში შეეძლო ისე ჩაღრმავებულიყო თავის შემოქმედებაში, რომ არაფერი სხვა მისთვის იმ წუთში არ არსებობდა; მეორე, რაც დაასახელა, იყო არანაკლებ საოცარი უნარი, ნებისმიერ მომენტში, ყველაზე შემანუხებელი თუ უხერხული გარემოებების მიუხედავად შეენარჩუნებინა იუმორი და სილალე. ერთხელ, შუა ზამთარში, საშინელ ქარბუქში, როდენი თურმე გათოშილ რილკესთან ერთად დიდხანს ტკებოდა შარტრის ტაძრის ცქერით და სრულებით ვერ ამჩნევდა ყინვასა და ქარს. როდესაც რილკემ მიანიშნა ამ ხელისშემშლელ მომენტებზე, როდენმა გაკვირვებით გადახედა და უპასუხა: „კი მაგრამ, დიდი ტაძრების გარშემო მუდამ ქარიშხალია!..“ ეს იყო უდრეკი სულისა და სხეულის ადამიანი. ერთხელ ძალზე შენუხებული მისულა რილკესთან: „ვერ გამოიგია, რა მემართება... ეგებ თქვენ ამიხსნათ? დიჟონში გავემგზავრე ტაძრის სანახავად და... მოვიწყინე. პირველად დამემართა ასეთი რამ მშვენიერი საგნის დანახვისას... ნეტავ რა უნდა იყოს ამის მიზეზი?..“ მას არ უყვარდა ელ გრეკო, რომელსაც

რილკე დიდად აფასებდა. რილკეს განსაკუთრებით ხობლავდა ელ გრეკოს ტილოებზე ზეცა, რომელიც საერთოდ არ ჩანს ტინტორეტოსთან. როდენი ამაზე მშვიდი ღიმილით მიუგებდა ხოლმე: „კი მაგრამ, ჩემო კარგო, ზეცა — ეს უგემოვნობაა!..“ ასეთ გოროზ სიტყვებს მის გარდა მხოლოდ მიქელანჯელო თუ იტყოდა.

რილკე დიდად მადლობელი იყო ანდრე ჟიდისა, რომელმაც თარგმნა მისი ნაწარმოებების რამდენიმე ფრაგმენტი ფრანგული ჟურნალისათვის „La Nouvelle Revue Francaise“. რილკე ამბობდა, თარგმანი თითქმის სრულყოფილიაო. სურვილი გამოუთქვამს, რომ ჟიდს რომელიმე მისი ნაწარმოები მთლიანად ეთარგმნა, რაზეც ჟიდს მოუბოდიშებია და განუცხადებია, ეს იმდენად რთული სამუშაოა, რომ იმ ორიოდ გვერდსაც კი სამი თვე მოვანდომეო...

რამდენიმე დღის შემდეგ რილკე საპასუხო ვიზიტით მესტუმრა. კვლავ ისეთივე ლალი, გულახდილი საუბარი გამოგვივიდა. ვიგრძენი მისგან მომავალი სითბო, ჩემგანაც საპასუხო გახსნილობას რომ მოელოდა. მუდამ მარტოსულს, აშკარად უხაროდა, ერთბაშად ახლობელ სულს როცა შეხვდებოდა. მიაბზო თავისი მრავალტანჯული ბავშვობის ის ჯოჯოხეთური პერიოდი, — ათიდან თექვსმეტ წლამდე, — როცა სამხედრო სკოლაში იყო გამომწყვდეული: იქ ისეთი უსასტიკესი პატრიარქალური დისციპლინა სუფევდა, სრულებით რომ ახრჩობდა ყოველგვარ სიცოცხლეს; აღმინერა, ჯგუფურად როგორ გაჰყავდათ სასეირნოდ ამ საპყრობილეს ოთხ გალავანს შორის, უხეში ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ; მიაბზო, მისი ზნეობრივად გარყვნილი ამხანაგები მუდმივი ერთადყოფნის უნებურად როგორ რყვნიდნენ ერთი მეორეს. ასეთ ყოფაში სასონარკვეთილების იმ დონეს მიაღწია, რომ საკუთარ თავს ეუბნებოდა: „რაკილა ყველა გარსმყოფს ეს არსებობა ბუნებრივად მიაჩნია და მხოლოდ მე ვარ საწინააღმდეგო აზრისა, მაშ, მე უნდა ვცდებოდე; აი, ეს ყოფილა ნამდვილი ცხოვრება; ცხოვრება საზარელი ყოფილა...“ სრულიად მარტო, ყველასაგან გარიყული, განზე გამდგარი, თავს მხოლოდ იმითლა შველოდა, რომ უცქერდა, უცქერდა ამ ყოველივეს, თითქოს ფანჯრიდან გა-

ჰყურებდა გარეშე მოვლენებს. ამაში არაჩვეულებრივად გაიწაფა: ძალზე განუფითარდა დაკვირვებისა და ანალიზის უნარი. მაგრამ ამ პერიოდმა სამუდამოდ დაუსახიჩრა სული. ამას ისიც ემატებოდა, რომ მამამისი ყოფილი ოფიცერი იყო; ოჯახური ტრადიციის თანახმად, უფროსი ვაჟი აუცილებლად სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო. რილკე კი მისი ერთადერთი ვაჟი იყო და სამხედრო საქმეში მის წარუმატებლობას მამა მოთმინებიდან გამოჰყავდა. თუმცა აშკარად ამჩნევდა ამას, მაინც არ გამოუყვანია შვილი სკოლიდან. უკანასკნელი სასწავლო წელი რილკემ უწყვეტად ჰოსპიტალში გაატარა. როდესაც ამბობდა, მინდა პოეტი გამოვიდეთ, გარშემო ყველა მასხრად იგდებდა. სწორედ აქედან მოდის ის უკაცური, გულჩათხრობილი ხასიათი, მისი ბუნების განუყრელ ნაწილად რომ იქცა. მაგრამ აქედანვე მოდის მისი განსაკუთრებული ინტერესი განათლების საკითხებისა და იმ მნიშვნელობისადმი, რასაც დღეს პედაგოგიკაში ბავშვის დამოუკიდებლობასა და პირად ინიციატივას ანიჭებენ... (ო, სამწუხაროდ, ეს „დღეს“ უკვე გუშინდელი დღეა. ნეტავ რას იტყოდა რილკე ჩვენს დღევანდელ დღეზე?..)

გარდა ამისა, ვისაუბრეთ ჩვენს საერთო მეგობარზე, ჰოლანდიელ მწერალ ფრედერიკ ვან ედენზე... შემდეგ რამდენიმე ძალზე ნატიფი ბერძნული და გრეგორიანული მელოდია მოვასმენინე. ვიცოდი, რომ ისინი კარგად უნდა შეხამებოდა რილკეს შინაგან სამყაროს და მართალიც აღმოვჩნდი.

მაღევე, 20 აპრილს, მთელი ზაფხულით გავემგზავრე პარიზიდან. ერთმანეთს მხოლოდ შემოდგომაზე შევხვდით, მაგრამ იმდროინდელი ჩემი ჩანაწერები ახლა საზღვარგარეთ მაქვს დატოვებული, ასე რომ, მიჭირს მოვლენების ზუსტად გახსენება. მაგრამ რილკეს მაშინდელი წერილი ცოტათი მაინც ამოავსებს ამ სიცარიელეს.

იგი პირველ დეკემბერს მივიღე, თან ახლდა რილკეს მშვენიერი ილუსტრირებული წიგნი როდენის შესახებ, გერმანული გამოცემლობა „ნიუნელის“ მიერ 1913 წელს დასტამებული და, გარდა ამისა, ვან ედენის წიგნიც. წერილში ეწერა:

ძვირფასო ბატონო რომენ როლან,
 ...თქვენმა მაშინდელმა ვიზიტმა ძალზე გამახარა. ახლა მძიმე პერიოდი მაქვს (რომელიც, ცოტა არ იყოს, კიდევ გაგრძელდა) და, როცა ვცდილობ მოვიგონო ჩემი ცხოვრების მანუგეშებელი გარემოებები, ერთ-ერთ ასეთ გარემოებად ის მეგულება, რომ თქვენ ჩემი მეზობელი და (თუკი უფლება მაქვს ასე ვიფიქრო) ჩემი მოწყალე და დიდსულოვანი მეგობარი ბრძანდებით...¹

შემდეგ ომი დაიწყო. ჩვენ ერთმანეთს ცეცხლოვანი კედელი და სისხლის ნიაღვარი გვაშორებდა. 1914 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული შვეიცარიაში ვიმყოფებოდი, იქ დავრჩი, საერთაშორისო წითელი ჯვრის ტყვეთა დახმარების სააგენტოში სამუშაოდ და, ამავე დროს, იმ წერილების დასაწერადაც, რომლებიც ამასობაში დაიბეჭდა და ჩემი მკითხველებისათვის ცნობილი გახდა. საბრალო რილკე მობილიზაციაში მოჰყვა. მე არ წარმომიდგენია სამხედრო მუნდირის ამაზე დიდი შეურაცხყოფა: იგი ჩააცვეს თვინიერ და უმწეო პოეტს, რომელიც მთელი არსებით ძრწოდა თავისი გასრესილი, განადგურებული ბავშვობის გახსენებისას! ცვაიგმა ნახა ის ამ მუნდირით ვენაში 1915 წელს; მისი სიტყვებით, რილკე სულიერად და ფიზიკურად ისე იყო დავრდომილი, არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევდა ბედისწერას, რომელიც მას, როგორც რჩეულს, სხვებზე უფრო მზაკვრულ დარტყმებს აყენებდა. ერთ-ერთი ყველაზე აღმაშფოთებელი დარტყმის შესახებ ცვაიგმა მიაბო: „რილკეს პარიზის ბინაში დარჩენილი ავეჯი, მისი ხელნაწერები, ათი წლის მანძილზე ნაგროვები წერილები, მისი წიგნები, — ყველაფერი ეს ვილაცებს გაუყიდიათ თუ გაუძარცვიათ. მისი ცხოვრების მთელი დიდი მონაკვეთი უხეშად იქნა განადგურებული. დაიკარგა ხელოვნებისა და აზროვნების ძვირფასი ნიმუშები...“ რილკე იმდენად იყო განადგურებული, რომ შველის სათხოვნელადაც კი არ ჰყოფნიდა ძალა...

მის მაგივრად შველას მე მოვეუხმე. 1916 წლის 7 იანვარს მივწერე მის მეგობრებს პარიზში. ვევედრებოდი, მხოლოდ რილ-

¹ თითქმის მთელი წერილი ეთმობა ვან ედენს, „ამ კეთილშობილი და თავდადებული კაცის ცხოვრებას“. — რამდენიმე მოკრძალებული სიტყვით მოიხსენიებს საკუთარ წიგნსაც (ავტორის შენიშვნა).

კესთვის კი არა, „საფრანგეთის ღირსებისათვის“ გადაერჩინათ ის, რაც კიდევ დარჩა.

ნერილი კოპოს გაეუგ ზავნე. პასუხი უიღმამომწერა 11 იანვარს, რასაც შემდეგ მისი სხვა ნერილებიც მოჰყვა. ის თავზარდაცემული იყო. იმნამსვე გაქცეულა კოპოსთან ერთად კამპან-პრემიერის ქუჩაზე. მაგრამ გაყიდვის შემდეგ, რომელიც ფრიად საეჭვო პირობებში განხორციელდა, უკვე ერთი წელი ყოფილა გასული! ეს იყო ნამდვილი ყაჩაღობა. ოთხიდან სამი დამნაშავის კვალს ველარ მიაგნეს, მეოთხემ კი თავი მოისულელა, აღარაფერი მახსოვსო. გატაცებული წიგნებისა და ავეჯის ღირებულება 538 ფრანკს შეადგენდა! საბედნიეროდ, კონსიერჟს უყოჩალია: ნერილები და ზოგიერთი დოკუმენტი ჩემოდნებში გადაუშალა. ეს მაინც გადარჩა! მაგრამ უიდი მაინც საშინლად განიცდიდა იმას, რომ ვერ შეძლო ძვირფასი მეგობრისათვის ამ მორალური დარტყმის აცილება.

რილკეს ყურამდე მიაღწია ამბებმა, რომ პარიზში მასზე ზრუნავენ და ეს მის დაჭრილ გულს საღბუნად მოედო. მაგრამ ჭრილობა ძალზე ღრმა იყო. ცვაიგი მწერდა: „ყველა გარემოება საბედისწეროდ მის წინააღმდეგაა მომართული და წიგნებისა და ხელნაწერების დაკარგვა ამ ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია.“

მისი ბედისწერა კი თავის მხრივ მხოლოდ ნაწილი იყო იმ საერთო ბედისწერისა, ურიცხვი კლანჭი რომ ჩაასო გერმანიისა და ევროპის სხეულს და ჩვენ ყველანი კიდევ კარგა ხანს მისი მსხვერპლნი ვიყავით...

ჩვენ ორის პირად ბედისწერას რაც შეეხება, მას, როგორც ჩანს, დაჟინებით სურდა, მას შემდეგ, რაც ათი წელი პარიზში რილკეს მეზობლად ვცხოვრობდი, ეს შვეიცარიაშიც გაგრძელებულიყო. მოხდა ისე, რომ მის მეზობლად აღმოვჩნდი მისი სიცოცხლის ბოლო წლებშიც და მისი აღსასრულის ჟამსაც. მან მადლა, მიუზოში მოიწყო ბუდე, მე კი იმხანად სიერში ვცხოვრობდი და ბევრჯერ ავუყევი მისი ციხე-კოშკისაკენ ამაველ კლდოვან აღმართს. და, როდესაც ის გარდაიცვალა ვალმონტის კლინიკაში, რომლის ხშირი სტუმარი მეც ვიყავი, ჩემი ფანჯრიდან ვილნიოვში,

ჩამავალი მზის ოქროსფერ ნათელში, დავინახე, თუ როგორ დააღ-
ნია თავი მისმა სულმა მიწიერ საპყრობილეს. რადგანაც გულდას-
მით ვადევნებდი თვალს მძიმე და აუხსნელ სენთან მის უკანასკ-
ნელ ჭიდილს, ვიცი, რომ ბედის ამ საბოლოო დარტყმასაც ისევე
წრფელად და უშფოთველად შეეგება, როგორც მუდამ სჩვეოდა
მის კეთილშობილ და ეულ სულს... The rest is silence...¹

1941 წლის 1 დეკემბერი

¹ „შემდეგ — დუმილი...“ (შექსპირის „ჰამლეტის“ ფინალი).

რალფ ფრიდმანი

ერთსა და იმავე დროს ყოფნაც და არყოფნაც
რაინერ მარია რილკე და ლულუ ალბერტ-ლაზარი

1.

„ძვირფასო, დამაუფლე იმ რთულ ხელოვნებას, ერთსა და იმავე დროს აქაც ვიყო და თან არც ვიყო“... ამ სიტყვებით მიმართა ლულუ ალბერტ-ლაზარდმა რაინერ მარია რილკეს.

ეს გახლდათ სწორედ ის რთული ხელოვნება, რილკეს ცხოვრების მანძილზე მრავალი ქალი რომ დატოვა ხელმოცარული და ამ სტატიის თემადაც რომ ავირჩიე. ფერმწერი და გრაფიკოსი ქალი ლულუ ალბერტ-ლაზარდი, ვინც მოგვიანებით საკმაოდ ცნობილი გახდა, პოეტის სატრფოთაგან უკანასკნელი როდი იყო, რილკეს მოჭარბებულად მიწიერ, ადამიანურ სახეს ასე რომ აღიქვამდა. ბალანდინე კლოსოვსკა, მისი უკანასკნელი დიდი სიყვარული „მერლინეც“, უთუოდ დაეთანხმებოდა ლულუს ამ სასონარკვეთილ სიტყვებს.

ამით კი ალბათ, მეტია ნათქვამი, ვიდრე უბრალოდ ის, რომ რილკე სასიყვარულო ურთიერთობებში საკმაოდ მერყევი გახლდათ. ინტერპრეტაციამ, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, სრულად უნდა ცხადყოს, რომ მათი რთული ურთიერთობების მიზეზი განსაკუთრებული ვითარებით იყო გამოწვეული, რამაც, ფსიქოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, რილკეს შემოქმედებაზე, ეროსისა და სიკვდილის ფენომენის მისეულ კვლევაზე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე (ორი წლის განმავლობაში) გარკვეული გავლენა იქონია.

რაინერ მარია რილკესა და ლულუ ალბერტ-ლაზარის დრამა მიუნჰენში გათამაშდა. ამ ურთიერთობის გარეგანი კონტურები ლულუს მემუარების („გზები რილკესთან ერთად“, 1952) მეოხებით ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, ხოლო იოახიმ შტორკის იმ სტატიათა ძალისხმევით, მეტ-ნაკლებად პირდაპირ, ანდა ირიბად რომ ეხება ამ ურთიერთობას, მეტი სრულყოფილ-

ბაცკი შეიძინა. განსაკუთრებით მინდა გამოვეყო სტატია – „რაინერ მარია რილკე და ლულუ ალბერტ-ლაზარდი“ – გამოქვეყნებული „ბერლინის გალერეაში“. ხსენებული წყაროები რილკეს ჩემეული ბიოგრაფიის სათანადო თავებშია გათვალისწინებული.

ესაა ერთ-ერთი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, რაც ჩვენ პოეტს ასე ხშირად განუცდია და, რომელიც მათ შეხვედრამდე მხოლოდ რამდენიმე თვის წინ ვნებით დამუხტული შიშნეული გზნებით გაიზიარა მაგდა ფონ ჰატინგბერგთან (მის „ბენვენუტასთან“), თუმცა, მაინც შეელია და მიატოვა. აი, ეს ისტორია კი სხვას არ ჰგავს – ომითაა დალდასმული, სიკვდილმოსილი ძალის გააზრებული განცდით, და არავის ტოვებს გულგრილს. ეს სასიყვარულო ისტორია ომის დაწყებას დაემთხვა, 1914 წელს მიუნჰენთან ახლოს დაიწყო, თითქმის ორ წელს გასტანა და მრავალი სირთულეების თანხლებით მიუნჰენშივე დასრულდა. ლულუ ალბერტ-ლაზარი (მოგვიანებით ლუ ალბერტ-ლაზარად იწერებოდა) დაბადებით ლოტარინგიელი გახლდათ, იგი ცოლად ჰყავდა მასზე ბევრად უფროს ქიმიკოსსა და ბიზნესმენს, ოიგენ ალბერტს, რომელიც „ალბერტ და ბრუკმანის“ ფირმას განაგებდა. იმხანად, რილკემ და ლუმ რომ გაიცნეს ერთმანეთი, მეუღლეები უკვე ცალკე-ცალკე ცხოვრობდნენ. ლულუს პატარა გოგონა, მოგვიანებით მხატვარი ინგო დე კრუ (Crouw), მაშინ უმეტესად ბაბუასთან ცხოვრობდა მანჰაიმში. რილკესა და ლუს ვენაში ყოფნის (1916 წ.) უფრო ხანგრძლივ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, მათი ურთიერთობა მიუნჰენში 1914-1915 წლებში ვითარდებოდა.

რილკე და ალბერტ-ლაზარდი პირველად ირშენჰაუზენის სამკურნალო წყლებზე შეხვდნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა მხატვარი ქალი, ლულუ, ომის დაწყებისას ბრეტანში იმყოფებოდა. გერმანიაში უვნებლად დაბრუნების მიუხედავად, მძიმე დეპრესიამ დარია ხელი. ყოფილმა მეუღლემ დაბრუნებისთანავე განუცხადა – ახალი დრო – ანუ ომის პერიოდი, ხელოვანთა საარსებო სივრცეს არ გულისხმობსო. რილკეს გუნება-განწყობაც მძიმე და დათრგუნული იყო. მაგდა ფონ ჰატინგბერგთან განშორებით გამოწვეულ სევდას ომიც დაერთო, რაც მას პიროვნულადაც შეეხო. რილკეს პირადმა ექიმმა, დოქტორმა ვილჰელმ შტაუფენბერგმა, რამდენ-

იმე სეანსის შემდეგ მინერალურ წყლებზე დასვენება ურჩია და აი, ვილა შონბლიკის სატრაპეზოში ორმა სულიერად დათრგუნულმა ადამიანმა ერთმანეთი იპოვა. რილკემ უკვე მომზადებული გამგზავრება გადაიფიქრა და დარჩენა გადაწყვიტა, რათა ახალგაზრდა ქალი მისთვის ჩვეული ყურადღებით გაენებივრებინა. ხანგრძლივი საუბრების წყალობით პოეტმა არათუ ახალი ურთიერთობის დამყარება შეძლო, თანდათანობით ახლად შექმნილი მეგობარი ქალის მძაფრი დეპრესიის გაქარვებაც კი მოახერხა.

ამ დროიდან ორივე პარტნიორისათვის ერთ-ერთი მეტად მტანჯველი ურთიერთობა იწყება, რაც ალბათ, მხოლოდ ბიოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით თუ იქნებოდა საინტერესო, ეს შეხვედრა რილკეს შემოქმედებითი აღზევების უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს რომ არ დამთხვეოდა და „მეოთხე ელემენტის“ შექმნით არ დაგვირგვინებულყო. ომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, რილკე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და იგი ორმაგი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა: ერთსა და იმავე დროს ომით გამოწვეული საფრთხე და მის სულიერებაზე დამანგრეველად მოქმედი ურთიერთობა სრული კატასტროფით ემუქრებოდა.

2.

ომი და ხორციელი ვნება – სიკვდილი და ქალი — ქმნიან იმ გაუსაძლისი დღეების ტკივილით გაჯერებულ ბინომს, რაც პოეტის ლექსებსა თუ ლექსთა ციკლებში აშკარად გამოსჭვივის. მათში ვლინდება ყველა დროისათვის დამახასიათებელი, შემეცნებისაკენ მიზანმიმართული ინტერესი, მუდამ რომ განაწყობდა პოეტს, მიელწია ადამიანური ყოფიერებისა და სინამდვილის სიღრმისეული წვდომის დაუოკებელი სურვილის თანხვედრისათვის.

ომის დასაწყისი დაემთხვა 1914 წელს, ანუ მისი „ხუთი სიმღერის“ შექმნის პერიოდს — ეს კი ირშენჰაუზენში შეხვედრას ორი თვით უსწრებდა წინ და მაინც ეს ლექსები ერთგვარ თემატურ საწყისს ქმნიან. „ომის ღვთაება“ ადამიანთა ორ მნიშვნელოვან ურთიერთობას შორის აღმოჩნდა გახიზული, იგულისხმება პოე-

ტის ურთიერთობა — „ბენვენუტასთან“ 1914 წლის 9 აპრილს რომ დამთავრდა და ლულუსთან კი 17 სექტემბერს დაიწყო. ამ ლექსთა უღერადობა მძიმე, ჰოლდერლინისეულ რიტმებს მოგვაგონებს:

მინც კვილით მოარღვევს ღამეს, ხომალდების სირენებივით,
კივის მბორგავი კითხვა ჩემში, გზას, გზას დაეძებს.

.....

... უწყის კი განა? ხელეწიფება

იყოს მისანი, ღვთაება შმაგი და მოსისხარი?

რალა თქმა უნდა, ეს ლექსები ომს ეძღვნება, მაგრამ კაიზერსა და იმპერიას როდი ასხამს ხოტბას, არამედ რილკესეულ დამოკიდებულებათა შესაბამისად ერთგვარი კვლევა-ძიებაა, რომელიც იმავდროულად ომის ფენომენის სიღრმისეულ წვდომასაც ცდილობს და ამ ფენომენს კითხვის ქვეშაც აყენებს.

ყველაფერი ეს რამდენიმე კვირით ადრე, პირველ შეხვედრამდე მოხდა, თუმცა ადამიანური სიყვარულისა და ულმობელი სიკვდილის თემა იმთავითვე ლაიტმოტივად გასდევდა ამ რთულ ურთიერთობას. ჯერ კიდევ მათი შეხვედრის პირველ ხანებში, ირშენ-ჰაუზენში ყოფნისას წერდა პოეტი სიკვდილისა და შესაძლო ხსნის შესახებ თავის ლექსში „ჰოლდერლინის“:

ო, დიდებულო, შენ, შენ გრძნეულო, სიცოცხლე სრული
გესახებოდა გარდაუვალ, მღტოლვარე ხატად თუ აღმოთქვამდი,
სტრიქონი უმალ იკვრებოდა ვით ბედისწერა,

თვით სიკვდილშიაც,

თვინიერთ შორის უაღრესში, შეაბიჯებდი: თუმც კი უფალი,
წინმავალი, გაბრუნებდა მიღმიერიდან.

სიკვდილის მოტივი, როგორც რილკეს სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსებში, ასევე ამ დროის ბევრ სხვა ნაწარმოებშია დალექილი.

3.

ასე რომ, ისინი ღმერთსა და სიკვდილს ერთმანეთისაგან განცალკევებულად თვით ახლად ჩასახული სიყვარულის დროსაც არ

ალიქვამდნენ. მათი შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაწერილი ლექსითაც „ჰოი, ღიმილი, უპირველესი ღიმილი ჩვენი...“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი სატრფიალო ურთიერთობა იშვიათად თუ იყო უღრუბლო. ვიდრე მიუნჰენში გადავიდოდნენ, ორი კვირის განმავლობაში ბედნიერი საათები და დღეებიც კი ჰქონდათ განცდილი, თუმცა რილკესათვის (და ამის გამო ორივესათვის) დროის ეს მონაკვეთი განუწყვეტელი სევდანარევი განწყობილებებით იყო დამძიმებული. ომსა და სიკვდილზე ფიქრი აღარასოდეს სტოვებდა მათ, მაშინაც კი, როცა ეს ფიქრი უმეტესად გამოუთქმელი რჩებოდა. ასე რომ, მათ თავდავიწყებულ სიყვარულს პარალელურად გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ჰარმონიული ურთიერთობის დამანგრეველ სიტუაციებთან და ამის გამო, მათ სიყვარულსაც ნელ-ნელა მცოცავი სიკვდილი ეპარებოდა.

„ლულუ ალბერტ-ლაზარისადმი მიძღვნილი თხუთმეტი ლექსი“, მათი სიყვარულის დასაწყისში რომ შეიქმნა, ამ რთული ურთიერთობის სიღრმისეულ შრეებს აშიშვლებს; როგორც ცნობილია, რილკე მისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრების დასაწყისისთანავე ცალკეულ ლექსებს, ხან კი მთელ ციკლებსაც კი წერდა. ცნობილია მისი მეუღლის, კლარა რილკესადმი, ასევე ლუ ანდრეას-სალომესადმი მიძღვნილი ლექსი, მისი ცხოვრების განუყრელ მეგობრად რომ რჩებოდა; განსაკუთრებით მაგდა ფონ ჰატინბერგისადმი მიძღვნილი ლექსებია ფართოდ ცნობილი, რამაც ფრიად გამოაცა რილკეს ბიოგრაფიის კვლევისას, ამ ლექსების სერიოზული შინაგანი სიმნიფე იყო, რის გამოც ისინი არანაირი თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებიან მის მონუმენტურ ლექსთა ციკლებს.

ეს ლექსები პოეტური ძეგლია იმ სიყვარულისა, ორი ადამიანის სულში ურთიერთშერწყმისა და იმავდროულად გაუცხოების შედეგად ღრმა ფესვები რომ აქვს გადგმული, რაც განსაკუთრებით აშკარად იგრძნობა მიძღვნილ ლექსში „მეგობარი ქალისადმი“:

... გაეხსენ ზეცად შენ ჩემს ქარიშხალს
და აღუვსებდე მგრძნობიარედ, სადაც ის სუფევს,
ნასვენ სივრცეთა სინმინდეს და გამჭვირვალეხას.

ამ სტრიქონებს იქვე მოსდევს უარყოფა:

ასეთი იყო გული ჩემი.

ან კი სისხლსავსე მაქეზებს მუხტი

იქ სადაც არ ვარ, ათასწილ მეტად მიხმობს ქმედებად.

... დასასრულ უფრო დიადია, საამო, მნიფე:

მე კი არ ვცოცხლობ. ჩემგან ლავა მოედინება.

„მე კი არ ვცხოვრობ“ და „ჩემგან ლავა მოედინება (ამოიფრქვევა)“ ეს სიტყვები აღმავალი სატრფიალო თამაშის კონტრაპუნქტებია, აღმოდებული და მაინც თავშეკავებული, გარიდებული გულისა. აქ არყოფნა კი (Abwesenheit-absance) – სიკვდილის ტოლფარდ მდგომარეობად მიიჩნევა.

მსგავსი ცვალებადობა ვითარდება ამ რიგის პირველ ლექსში, რომელსაც „შინ დაბრუნება“ ჰქვია. პოეტის სატრფოსადმი მიმართვაში, მის მიერ ღრმად განცდილი უარყოფა ნათლად შეიგრძნობა. „შინ დაბრუნება“ და „ნასვლა“ ორივე შეყვარებულის ცხოვრებისეულ მომენტებს შეესაბამება, რამაც მათი შეხვედრაც განაპირობა:

შინ დაბრუნება? საით, ო, აქ მტკივანი არ მოგდევს მკლავი,

მზერა კი ყველა, შემცდარი და ვერჩამწვდომია.

გზას გაუდგები? საით, სივრცე-მორეთი გულს შერჩენია...

ამ ლექსს რომ ანდრე ჟიდის „უძღები შვილის დაბრუნების“ რილკესეულ თარგმანთან აქვს შეხება, ეჭვს არ იწვევს (რადგან რილკემ ეს ლექსი ა. ჟიდის პარაბოლების მის მიერ თარგმნილ ახალგამოცემულ ეგზემპლარში ჩაუნერა ლულუს და მასვე მიუძღვნა). საფრანგეთისა და, კერძოდ კი, პარიზის სიყვარული ორივე ხელოვანისთვის უალრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: როგორც ლოტარინგიელი ლულუსათვის, ასევე რილკესათვისაც, უკანასკნელ დრომდე პარიზი მათი შემოქმედებითი აღმაფრენისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. შინ დაბრუნებისას ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, დაბრუნება ისევ ახალ გზას გულისხმობს; ნასვლას კი აზრი დაუკარგავს. „რალა რჩება“:

ალარაფერი ყოფნის გარდა. ის-ლა რომ უთხრა
ქვას უახლოესს:
შენ მე ხარ ახლა; მე კი ვარ ლოდი.

პოეტი თავის პიროვნებას მოსეს მსგავს პიროვნებად აღიქვამს, რომელიც „ალთქმული ქვეყნისაკენ“ მიმავალ გზას დასდგო-
მია და იმავდროულად თავი იმ ქვად ეგულების, საიდანაც წყარომ
უნდა ამოხეთქოს:

... სიმძიმის ძალუძს ჩემგან წყარო აღმოაცენოს,
და სული ჩემი სათქმელს სიტყვაში დაუტყვევლს ააღაღებებს...

„გამოუთქმელი“, „უთქმადი“, რაც მისგან ღაღაღებებს – ესაა
გარიდების, გადახვევნის აუცილებლობის გაცნობიერება და, რაც
მოსეს მსგავსად, მისი მისიის აღსრულებასაც შეუძლებელს ხდის
– ესაა კიდევ ერთი უარყოფა – შეუძლებლობა ჰარმონიის მიღწე-
ვისა.

შეყვარებულთა ყოველ შეხვედრას თან სდევს სიკვდილის
აჩრდილი, უპირატესად მითოლოგიის სამოსელში გახვეული. ერთ
ლექსში, სადაც ლულუ პირდაპირაა ნახსენები, ჰერმესის მოტივი,
მისთვის დამახასიათებელი ორმაგი, ეროსისა და სიკვდილის ფუნ-
ქციით, იმდენად მომნუსხველია, რომ სურვილი მძლევს ეს ლექსი
მთლიანად შეგახსენოთ:

ეს ჩვენ ვართ ლულუ? თუ ერთმანეთი
გარდასულებმა სცნეს ჩვენი სახით?
და ამ გულების განხმული თალით
ფრთატერფიანი მიმოდის ღმერთი.
ღმერთი, პოეტებს იხვეჭს, რომელიც;
არსი თავისი შეიცნეს სანამ,
მყის ამოიცნო, თან წარიტანა
და განანესა განუზომლისთვის.

ო, მარტოოდენ ღმერთს შესწევს ძალა,
ჯერო უსურველი გახსნას, დასახოს,
და ორ დღეს შუა ვით ღამე სახლობს,

იგი ანაზღადად ჩვენ შორის ახლოს
დგას და ციმციმა ვარსკვლავნი ახლავს.

ჩვენში პოეტებს უხმობს და ამხელს.
შენ ჩუმად ღვივი, გზნებით ვღვივი მეც.
და მისი ცისკრის ფრთანათელ მერცხლებს,
გასხივოსნებებს სახეში გვახლის.

ჰერმესი ფეხის ტერფებზე გამოსხმული ფრთებით — „ფრთა-ტერფიანი“ ღმერთი, სიკვდილის საუფლოს მაცნეა. ამავე დროს იგი ჩამსახავი, გამანაყოფიერებელი ღვთაებაა, მამაკაცური სანყისის გაღმერთება, ფალოსური ღვთაება.

მხატვრული სახოვანება მეტი სიღრმით ვლინდება ღვთაების წარმოჩენით, რომელიც ეროსისა და სიკვდილის თემებს ერთგვარი ირონიით აერთიანებს. ჩვენ თვალწინ, ფრთაშესხმული ღვთაება ორივე „განხმული“ გულის გავლით მიმოისწრაფვის: — „ღმერთი, პოეტებს იხვეჭს, რომელიც“; მან ადრევე, ვიდრე ისინი თავად გააცნობიერებდნენ, შეიცნო მათი არსი და საკუთარი სისხლსავსე-სიკვდილმოსილი ძალისხმევით მიღმური საუფლოს „განუზომელში“ განაწესა. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს (ჰერმეს-მერკურს, მიცვალებულთა საუფლოს მეგზურს) აქვს მინიჭებული ძალა, „ჯერო უსურველი“ გახსნას, მისი ფარული სახე გამოავლინოს.

ჰერმესი, „რომელიც პოეტებს წარიტაცებს, ვიდრე ისინი საკუთარ რაობას, არსს შეიცნობენ“ და, რომელთაც იგი მათზე ადრე ჭვრეტს და „განუზომელში“ — სულეთში, გარდაცვლილთა საუფლოში (ჰადესში) განაწესებს, ვიდრე ისინი დელფოს მოთხოვნის — შეიცან თავი შენი — შესრულებას შესძლებდნენ. რილკე, როგორც პოეტი, ორფეოსის განსხეულებად გარდაისახება, მომღერლად *par excellence*, რომელმაც შეიცნო რა სიკვდილი, მაინც განაგრძობს სიცოცხლეს. ეს ლექსი წინ უსწრებს მის მიერ შვიდი წლის შემდეგ შექმნილ ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებს.

ლექსის სახვითი მხარე მით უფრო შთამბეჭდავი ხდება იქ, სადაც ახსნა-განმარტებები უძღურია და არაფრისმთქმელი. მოციმციმე ვარსკვლავებით გაჯერებულ ღამესავით გარინდებულა

(სიკვდილის) ღვთაება ორ დღეს შუა, ისე როგორც ორ მიჯნურს შორის. ლექსის უკანასკნელი სტროფი უმძაფრეს აქცენტად იკითხება. ეს სტროფი შეყვარებულებს ურთიერთშერწყმისას წარმოსახავს, როცა ისინი გზნებით „ღვივან“, ღვთაება კი მათ „სახეში ახლის გასხივოსნებებს“ – ფრინველებს, ავისმომასწავებელ ნიშანს, მათი „ადრეულობისა“, ალბათ მათ ადრეულ გარდაცვალებას თუ გულისხმობს პოეტი. თუმცა მხოლოდ ღვთაება და პოეტი როდი განიცდიან ურთიერთზეგავლენას, აქ მესამე ფრიად მნიშვნელოვანი თანამონაწილე იკვეთება – „ორთა სულის წიად“ ჩასახული პოეტი, რომელსაც ღმერთი უფრო ადრე უხმობს, ვიდრე მიჯნურნი გზნებას დაექვემდებარებიან. რილკესათვის, როგორც ჩანს, ღვთაების მიერ გამოხმობილი ლულუ შემოქმედებით მუზად იქცევა, ბედისწერის მატარებელ მუზად, სიკვდილგანბრძნობილი პოეზიის საბედისწერო მუზად.

ამ ლექსის ციტირება იმიტომ მოვახდინე, რათა მეჩვენებინა, თუ როგორ გამოხატავს რილკე თავის გამოღვიძებულ და იმავედროულად განწირულ ვნებას; ვნების უარყოფას კი თითქმის მუდამ უკავშირებს სიკვდილის არსის გაცნობიერებულ წვდომას. ამ წინააღმდეგობათა შემყურემგრძნობიარე ლულუსათვის მაღევე ცხადი გახდა, რომ მამაკაცი, ვისთანაც მთელი ცხოვრების გაზიარება სურდა, დღენი ადაგ ცდილობდა ყოველგვარი გართულებების გარეშე დაცილებულიყვნენ, თუმცა ისევ და ისევ უბრუნდებოდა და ვერ ელეოდა ამ სიყვარულს. ქალმა ეს გარემოება იმთავითვე იგრძნო, მაგრამ მაინც იმედოვნებდა, რომ მათ საერთო მერმისი ექნებოდათ, ის კი ველარ გაითვალისწინა, რომ რილკეს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო. ლულუ მის ამგვარ ქცევას, სიყვარულში ორივე როლის, მამაკაცისა და ქალის როლის საკუთარ თავზე აღების მისეულ უნარს მიაწერდა. და მიუხედავად ყველაფრისა მიიჩნევდა, რომ მათი ვნებით დამუხტული სიტყვების უგულვებლყოფა თავად მასზევე იმოქმედებდა მომაკვდინებლად. მოგონებების წიგნში „გზები რილკესთან ერთად“ ლულუ მრავალგზის აღნიშნავს, რომ პოეტი მის შინაგან, სულიერ წინააღმდეგობებს, გასაქანს პოეზიაში აძლევდა და ამით სიკვდილთან წილნაყარი იყოო...

ერთი პატარა ცნობილი ლექსის — „შენ ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება“ — და იქვე შემდეგი სტრიქონის მაგალითზე — „არც შენს მკლავებში დამანებო მე ჩაკონება“ — შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა წინააღმდეგობაში მოდიოდა რილკეს ბუნებისათვის დამახასიათებელი იმპულსები მის მხატვრულ მიზანდასახულობასთან. ლულუ თავის მემუარებში ერთგან იხსენებს, რომ ერთხელ პოეტს ლექსის წერისას წაადგა მოულოდნელად თავზე, რილკემ დანყებული ლექსი ელვის სისწრაფით დახია, შემდეგ კი ფეხებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა ქალს. იმ ამბების გათვალისწინებით, რაც ჩვენ მათი ურთიერთობისა და ერთად ცხოვრების შესახებ ვიცით, ეს ეპიზოდი გაკვირვებას ნამდვილად არ იწვევს, გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ იგი პატიებას ლულუს სთხოვდა. — „ან კი რა უნდა მეპატიებინა?“ სამართლიანად ჩაეკითხა ლულუ საკუთარ თავს. პასუხი კი, ამ კითხვას რომ გასცა, მხოლოდ ნაწილობრივ თუ გვარწმუნებს სიმართლემი: „მას მუდამ მიუღწეველი რამ სჭირდებოდა“. თუმცა ეს პასუხი ამ კითხვას ზედაპირულად მაინც ეხება. თუკი დაუშვებთ, რომ ეს სცენა ზუსტად ისე გათამაშდა, როგორც ლულუ აღწერს, მაშინ ნათელი ხდება, რომ რილკესათვის ხელის შეშლის გამო განადგურებული ლექსის ქარგა (როგორცეს კოლრიჯის კუბლა ხანს მიაჩნია) უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ლულუს იქ ყოფნა (Da-sein) და, რომ იგი სწორედ ამის გამო ითხოვდა პატიებას, ანუ პიროვნების უარყოფის გამო. დასაშვებია, რომ ლულუ საგნებს შედარებით უფრო ზედაპირულად აღიქვამდა; მას მიაჩნდა, რომ იმ უარყოფაში, რაც პირველივე სტრიქონშია ნაგულისხმევი — „შენ ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება“ — სათქმელი ნათქვამი იყო. სავსე ტუჩების გრძნობისმიერი წარმოსახვა, რომელთაგანაც დარწყულება სწადია პოეტს და ამ სურვილის მყისიერი უარყოფა, კვლავ ამტკიცებს მის პოზიციას. უარყოფა მართოდენ თავშეკავება როდია, ის იმავდრულად ვნებით დამუხტული შესიტყვების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს კი დასტურია იმისა, რომ საქმე ფრიად გართულებულ ურთიერთობასთან გვაქვს და ამასთანავე, არა მართო შემოქმედების ისტორიის გადასახედიდან, არამედ წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. იმ ლექსების გარდა, ლულუ

ალბერტ-ლაზარს რომ მოჰყავს თავის მოგონებების წიგნში, რილკეს სხვა ლექსებშიაც მუღავენდება ის ვითარება, რამაც მათი ერთადყოფნისა და განშორებების წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება ერთგვარ შინაგან ჯოჯოხეთად ჩამოაყალიბა, ეს კი ის მდგომარეობა გახლდათ, სიკვდილის მოახლოებას რომ იწვევს და ხელსაც რომ უწყობს.

ლულუსადმი მიძღვნილი ლექსებიდან კიდევ სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება: — „ჰოი, რარიგად გაიფოთლა ტკივილი ჩვენი“... ან — „უეცარი და მშვენიერი ბალნარის გავლით“... განსაკუთრებით კი, — “მინდა ანგელოსს ვუხმობდე ღამით“... ეს ლექსები სამყაროს იდუმალების წვდომაზე მეტყველებს, სიყვარულს რომ მოიცავს თავის თავში და თან სიყვარულის ფენომენის უარყოფასაც ცდილობს, რაც სიკვდილის ხსოვნას აახლებს. ამ ლექსის პირველი სტროფი მთავრდება სიტყვებით: — „ეკითხა ეგებ: თუ ჭვრეტო ედემს? მე კი მიმეგო, მდაგავს ედემი.“ სამოთხეში დაბრუნება გამორიცხულია ან სამუდამოდ.

ლულუსადმი მიძღვნილ მის ერთ ლექსში, დღემდე ცხოველ ინტერესს რომ იწვევს, ვკითხულობთ:

ხედავ, არა ვარ, რომ ვიყო თუნდაც
ვემკვიდრებოდი ლექსის შუაგულს;
ზუსტი, ნამდვილი, ვინც სათუოს და
ნაკლულ ცხოვრებას ვერ ეგუება.

როცა რილკე, როგორც „ზუსტი“ პოეტი, „ლექსის შუაგულში“ დამკვიდრებული სხვა „მიახლოებით“ და „ვერნაგრძნობ“ ცხოვრებას მსჯავრს დებს — მსჯავრს, მთელ ლექსს რომ მსჭვალავს — ეს კი, ნაგულისხმევის მცირე ნაწილია მხოლოდ. ძირითადი აზრი პირველი სტრიქონის სიტყვებითაა გადმოცემული: — „ხედავ არა ვარ“ და იმ კითხვითაც, თუ ვინ იქნებოდა იგი, „რომ ყოფილიყო.“

იმ მოტივებით, პირადი სიყვარულით დაწყებული, ბუნების სულიერ-სიღრმისეული აღქმის უნარს რომ აღწევს და ადამიანებისა და ღვთაებების სახეებსაც კი სწვდება, რილკე მისთვის დამახასიათებელი პარადოქსის, ერთსა და იმავე დროს ყოფნისა

და არყოფნის ხელოვნების პერეფრაზირებას ახდენს. ლულუ ალბერტ-ლაზარი კი სულ უფრო და უფრო იქცევა მის სიკვდილგანბრძნობილ მუზად.

4.

აქამდე ვცდილობდი წარმომედგინა თქვენთვის ახალგაზრდა მხატვარი ქალისადმი რილკეს სიყვარული, თუ როგორ იყო სიკვდილის ნიშნით დალდასმული პირველი მსოფლიო ომის დროს. სწორედ ამ ურთიერთობას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს ომის პირველივე დღეების პოეტური ქმნილებები მრავალ რასმეს რომ მოგვითხრობენ პოეტისა და მისი დროის შესახებ. ამ ურთიერთობის შედეგად ანაზღად ჩასახული ვნება ბედის უკუღმა ტრიალმა სულიერ ტანჯვად აქცია.

ლულუ მისი მუზა იყო და სწორედ ეს იყო მიზეზთა მიზეზი მათი ორმხრივი ტანჯვისა. თუმცა რილკეს სხვა სატრფოებიც ჰყოლია, მაგრამ ცოტანი თუ გამხდარან მისი შემოქმედების „ჭეშმარიტი მუზები“ – ქალები, რომლებიც მას არა მარტო შემეცნებასა და შემოქმედებით აღმაფრენას უღვივებდნენ, არამედ ემოციურ მფარველებადაც ევლინებოდნენ, ხშირად მხოლოდ და მხოლოდ მასთან ყოფნით, — მათი მყისიერი ანმყოთი. იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც პოეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ცდილობდნენ, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყვნენ მიკედლებული მასთან და, რომელთაც, მიუხედავად ყველაფრისა, იგი ისევ და ისევ უბრუნდებოდა. ბალადინე კლოსოვსკა (მისი „მერლინე“) ამ ტიპის „ბნელი მუზა“ გახლდათ ისევე, როგორც ლულუ ალბერტ-ლაზარდი.

მათი სიყვარულის თემა უფრო განივრცო და გაღრმავდა, მიუხედავად იმისა, რომ ომი მისგან გამომდინარე საშინელი შედეგებით უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. ირშენ-ჰაუზენში გატარებული რამდენიმე ბედნიერი კვირის შემდეგ, შეყვარებულები სინამდვილეს უნდა დაბრუნებოდნენ, რაც გარდაუვალი იყო. მათ შვაბების პანსიონ „pfaner“-ში გადაინაცვლეს, რომელიც ფინკენშტრასეზე მდებარეობდა, იმ ბინაში, სადაც ლულუ გათხოვებამდე ცხოვრობდა და შემდეგ ატელიედაც

იყენებდა. მიუნჰენი თითქოს ზუსტად ის ქალაქი იყო, მათ რომ ყოველნაირად ესადაგებოდა, სადაც ომის ატმოსფეროს ასე თუ ისე თავს არიდებდნენ და თან საინტერესო ადამიანების გარემოცვაშიც იმყოფებოდნენ. თავიდან, რამდენიმე ხანს ოფიციალურად ცხოვრობდნენ ერთად და ამ ურთიერთობას მეგობრებსაც არ უმაღავდნენ. უახლოესი მეგობრების წრე და მათ შორის გერმანელ-შვეიცარიელი მწერალი – რეგინა ულმანიც ყველანაირად ეხმარებოდნენ პირველ ხანებში, რათა იზოლაციიდან თავი როგორმე დაეღწიათ.

სირთულეებმა დიდხანს მაინც არ დააყოვნა. რამდენიმე კვირაც არ იყო გასული, რომ რილკეს მოუთმენლობა დაეტყო, რამაც მის ლექსებშიც გამოჟონა. ლულუს მეუღლესთან გაყრის გამო წარმოქმნილმა სიძნელეებმა შეყვარებულებს შორის ნაპრალი გააჩინა. რილკე პირველივე უხერხულობისთანავე სასწრაფოდ გაეცალა სიტუაციას და ბერლინს შეაფარა თავი. გზად ჯერ ფრანკფურტსა და შემდეგ კი ვიურცბურგში გაჩერდა. ბერლინში მან ომიდან დაბრუნებული მძიმედ დაავადებული, მომაკვდავი მეგობარი ალფრედ ჰაიმელი მოინახულა და შემდგომ ამისა იქვე დარჩენა გადაწყვიტა. ყველაზე მეტად თვალშისაცემი რილკეს წინააღმდეგობრივი ქცევაა. ერთი მხრივ, მარიანე მიტფორდის, ქალიშვილობაში ფრიდლენდერ-ფულდის დახმარებით იგი ცდილობდა ალტერნატიული ცხოვრება მოეწყო (მათი მეგობრობა იოახიმ ვ. შტორკმა აღწერა), მეორე მხრივ, კი ლულუ ალბერტ-ლაზარდთან ურთიერთობის განწყვეტა არა და არ სურდა. ის-ის იყო ბერლინში დაბინავდა (მარიანე მიტფორდის პატარა ვილაში, დროებით რომ დაუთმო რილკეს), რომ ძველმა სიყვარულმა მაშინვე ტკივილით შეახსენა თავი და მიხვდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის ლულუ. უკვე 1914 წლის 14 დეკემბერს იგი სიდი ნადჰერნის წერს: „ჩემი მეგობარი ქალი, რომლის შესახებაც გწერდი, მიუნჰენშია დარჩენილი და ძალზედ მაკლია...“ რილკემ ლულუ საშობაო დღესასწაულზე მიიწვია თავისთან, თუმცა იმის მაგივრად რომ იქვე მიეღო, სადაც თითონ იდგა ბინად, სასტუმროში დააბინავა.

ლულუს საშობაო სტუმრობა მიუხედავად ამისა, მოულოდნელად ბედნიერი აღმოჩნდა. რილკე ალფრეთოვანებული იყო მის

მიერ შექმნილი რეგინა ულმანის პორტრეტით; რილკემ ლულუ ხელგაშლილად დაასაჩუქრა დახვეწილი საჩუქრებით – მათ შორის ოქროთი მოვარაყებულ, იისფერი და თეთრი ორქვიდებებით განწყობილი ლურჯი მინის ლარნაკით, ხოლო საშობაო ნაძვის ხის ქვეშ ოქროსსაკეტიანი ტყავის ხელჩანთა ელოდა, ზედ ამოტვიფრული წარწერით „1914 წელი, შობა“. რილკეს მერყეობა მართლაც რომ გამაოგნებელია. უკვე 29-ში კი, შობის ღამემ ჩაიარა თუ არა, ლულუ კვლავ უკან, მიუნჰენში ბრუნდება. 5 იანვარს რილკე მოულოდნელად ისევ მიუნჰენს ჩამოდის და ერთი თვის შემდეგაც იქვე რჩება. 18 თებერვლის სიდისადმი მიწერილ წერილში მისი ამგვარი ქცევის ახსნა არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება: „იანვრის დასაწყისამდე ბერლინში ვიყავ, ვცდილობდი ცოტა ნამემუშავა უნივერსიტეტში, მაგრამ დავაპირე თუ არა მუშაობის დაწყება, უამრავმა საქმემ კვლავ მიუნჰენში მიხმო.“ კატერინა კიპენბერგისადმი მიწერილ პასუხს, ამავე პერიოდს რომ განეკუთვნება, კითხვაზე, იყო თუ არა მიუნჰენში ეს სპონტანური დაბრუნება გაქცევა, თუ მის ამ ქმედებას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ასეც უნდა გავიგოთ?“ მხოლოდ ოდნავი გარკვეულობა თუ შემოაქვს. ქალაქში ყოფნა ეპიზოდად მართლაც შეიძლება ჩაითვალოსო, უთქვამს, თუმც კი ვერ ვიტყვი რამდენად ამომწურავია ეს ეპიზოდო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ საპირისპირო იმპულსი იჩინს თავს. 1915 წლის 24 თებერვალს მთავრინა თურნ უნდ თაქსისის ცნობილ წერილში თავს „გამოუსწორებელს“ უწოდებს, რომელმაც ერთხელ კიდევ სცადა მარტოობას გაქცეოდა. იგი წერდა, რომ აუტანელ ტანჯვად მიიჩნევს „სხვისი ცხოვრების სიმძიმის ქვეშ ყოფნას, რომელიც ისევ სრულიად უცხოვად ავლენს თავს“. უცხო ცხოვრება? ლულუმ ეს გაუცხოება ადრევე შენიშნა. თავისი წიგნის ერთ-ერთ ცნობილ ადგილას იგონებს, რომ მათი ერთადყოფნის დროს ერთხელ სიზმარში წამოიკივლა. მას შემდეგ რაც შეშფოთებულმა რილკემ მიზეზი ჰკითხა, ქალმა უპასუხა: „რადგან... შენ სულიერი ავანტურისტი ხარ“, მან კი მიუგო: „ო, შენ მართალი ხარ, ათასგზის მართალი საუბედუროდ, მაგრამ – ალბათ — ეს ასეც უნდა იყოს“.

ეს დიალოგი ნათელს ჰფენს რილკეს ამ პერიოდის ლექსებში ლტოლვისა და განშორების მონაცვლეობას. მიუხედავად ყველა ცდისა, დაშორებოდა ლულუს, ეს უკანასკნელი მაინც რჩებოდა მის გვერდით, როგორც ხმადაბალი, ხან კი ხმამალალი დამატებითი ხმა.

ამავე პერიოდში მათი დამოკიდებულების ორივე ასპექტი – სიყვარული და ომის თანამდევი სიკვდილის აჩრდილი – განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა. კერძოდ კი იმ ლექციების მეოხებით ნორბერტ ფონ ჰელინგრატი და ალფრედ შულერი რომ ატარებდნენ. რილკე, ლულუ და რეგინა ულმანი ერთად ესწრებოდნენ ჰელინგრატის ლექციებს და „აუნერლად შეძრულნი, ამალღებულნი და განცვიფრებულნი“ იყვნენ. ნორბერტ ფონ ჰელინგრატი დროებით მიუნჰენის ახლოს იყო დაბინავებული, 27 თებერვალს – მისი დედის — ელზა ბრუკმანის (ამასთანავე რილკეს მფარველის) ხელშეწყობით ომის მსხვერპლთა დასახმარებლად გამართულ სხდომაზე წაიკითხა ლექცია თემაზე „ფრიდრიჰ ჰოლდერლინი და გერმანელები“. მეორე ლექცია „ჰოლდერლინის სულიერი ავადმყოფობის შესახებ“ ერთი კვირის თავზე გაიმართა, რის შემდეგაც რილკე ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ბრძოლის ველზე წასულიყო, მისი დედის სახლში, ზენდლინგში შეხვდა და საფუძვლიანად ესაუბრა. ლულუ ჰელინგრატის მიერ ჰოლდერლინის შესახებ წარმოთქმული დამატყვევებელი სიტყვებით როდი იყო მხოლოდ მოხიბლული, მას მისი გარეგნული მშვენიერებაც მოსწონდა. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ვიდრე მეცნიერს საბრძოლველად გაიწვევდნენ, ლულუს საშუალება მიეცა ჰელინგრატის „არაჩვეულებრივად მშვენიერი თავი“ დაეხატა. მომდევნო წელს კი ნორბერტ ფონ ჰელინგრატი დაიღუპა ვერდენთან. სიკვდილი — როგორც ჰოლდერლინის პოეზიის ძირითადი მოტივი, სიკვდილი — გადატანითი მნიშვნელობით, როგორც პოეტის შეშლილობა, მოგვიანებით კი შუაგულ ომში მეცნიერის სიკვდილი, — მათი განწირული სიყვარულის ძირითად სტიქიად იქცა.

ალფრედ შულერის შემდგომმა ლექციებმა შეყვარებულებს კიდევ ერთხელ, ახალი წახნაგებით გაუხილვავა სიკვდილის

ფენომენი. რილკე მის უკანასკნელ, მესამე ლექციას დაესწრო და ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ მოექცა. შულერი — ორმოცდაათი წლის არქეოლოგი და ისტორიკოსი, რომის ისტორიას სწავლობდა, იგი პელინგრატის მსგავსად შტეფან გეორგეს წრესთან იყო დაახლოებული, უფრო ზუსტად კი, გეორგესთან ახლოს მდგომ „მიუნჰენის კოსმიკებთან“¹. შულერის ხილვებით აღფრთოვანებული რილკე, რამდენიმე დღის შემდეგ მთავრინას სწერდა: „წარმოიდგინეთ, რომ ერთმა ადამიანმა, ძველი რომის იმპერიის წიაღში, ინტუიტიური წვდომის წყალობით სამყაროს იდუმალების ახსნა სცადა, გარდაცვლილები ყოფიერ არსებებად, ხოლო მკვდართა საუფლო კი ყოფიერების ერთადერთ გაუგონარ ფორმად გამოაცხადა, ჩვენი შემოსაზღვრული სიცოცხლის მოკლე ვადას კი, ამ რეალობიდან გამონაკლისის ერთგვარ სახედ მიიჩნევდა...“ მისმა „განუზომელმა განათლებამ“, — განაგრძობდა რილკე, — და, გარდა ამისა, ურყევმა შინაგანმა რწმენამ, „უხსოვარი დროის მითებისადმი“ მისმა უტყუარმა ალლომ ეს „შერეკილი“ „დიდი დინების თავზე მოაქცია“. ამ დროიდან რილკეს თვალსაზრისი სიკვდილის შესახებ ამ ხილვების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. შულერისგანვე იღებს სათავეს „ლიაობის“ იდეა, — შვიდი წლის შემდეგ რილკეს მიერ შექმნილი „მერვე ელეგის“ ცენტრალური თემა.

1915 წლის ბოლომდე ლულუ რილკეს სამყაროს თანაზიარი იყო, თუმც უნდა ითქვას, რომ მათი ურთიერთობა არათანმიმდევრულად და ორივეს მხრიდან, მზარდი მერყეობით მიმდინარეობდა. გაუთავებელი კონფლიქტებით გადაღლილმა პოეტმა, ვერ იპოვა რა გამოსავალი, თავის ძველ მეგობარს ლუ ანდრეას-სალომეს სთხოვა ჩამოსულიყო მათთან მიუნჰენში, რათა დახმარებოდა ლულუსთან კონფლიქტების მოწესრიგებაში. ლუ მართლაც ჩამოვიდა მარტში და ორი თვე დარჩა მათთან (საერთო ბინის რაინერის ნახევარში), რაც კატასტროფული შედეგით დასრულდა. იმ მითქმა-მოთქმის გავლენით, რილკეს სამეგობრო წრეში რომ ტრიალებდა, ლუ არასახარბიელო აზრებით დატვირთული ჩამოვიდა და ლულუს იგნორირებას ახდენდა, რომელიც ასე თუ

¹ იგულისხმება მიუნჰენელი პოეტური კოსმიზმის წარმომადგენლები.

ისე, მაინც მისი მასპინძელი იყო. იგი დაძაბულ, ნერვულ ატმოსფეროს ქმნიდა და მხოლოდ გაჭიანურებული სტუმრობის ბოლოს, ორივე ქალბატონმა ძლივს შეძლო ერთმანეთთან გულახდილი საუბარი. ითქვა, რომ რილკეს ცალკე, განმარტოებით ცხოვრება ესაჭიროებოდა და სხვადასხვა ბინებს იმიტომ ეძებდა, განსაკუთრებით ისეთს, ჰერტა კომნიგის ბინა რომ იყო, რომელშიც პიკასოს ნახატი „მოხეტიალე ჯამბაზები“ ეკიდა, ლულუსაგან ამის გამო იგი ხომ მხოლოდ დროდადრო იყო დაცილებული. თუნდაც ზამთრის დასაწყისში, ფინკენშტრასეზე მცირე ხნით დაბრუნების შემდეგ (მაშინ როცა ლულუ იქ არ იმყოფებოდა), ანდა დოქტორ ჰერბერტის სახლში რომ ცხოვრობდა კეფერშტრასეზე, ხომ ისევ და ისევ ბრუნდებოდა უკან. მაგრამ ამგვარმა საუბარმაც ვერა გააწყო რა, დაძაბულობა კვლავ რჩებოდა. ფიქრი განუწყვეტილად უტრიალებდა სიკვდილს.

დიდი ლექსი — „მოსეს სიკვდილი“ ამ ბედისწერათა სიღრმიდან აღმოცენდა, როგორც ერთგვარი ქიმიური შენაერთი, ამაღლამა. ლექსს საფუძვლად მიუწვინელი მხატვრის — კარლ კასპარის ფერწერული ტილო დაედო, რომელიც, როგორც რილკე მარიანე მიტფორდს ატყობინებდა 5 მარტს მიწერილ წერილში: „ლოცვად მუხლმოყრილ დიად მოსეს ასახავს“. გარდა ამისა, ხსენებული ლექსი ჰერდერის მიერ თარგმნილ თალმუდის ტექსტსაც ითვალისწინებდა, რის შესახებაც რილკე კლარასაც სწერდა. ანგელოზთაგან არც ერთს არ სურდა მოსე სიკვდილისათვის გაემეტებინა, მხოლოდ თავად ღმერთმა აღასრულა ის, რასაც მოსეს სული ითხოვდა:

დასასრულ მის სულს სააქაო ეკმარა ვრცელი
 ... და მიუდრიკა ღმერთმა მხცოვანმა
 ან ხანდაზმულს სახიერება უხსოვარ დროის.
 ეამბორა და ამოარიდა მისეულ ასაკს
 სული, მეტადრე ასაკოვანი. და შემოქმედი მარჯვენით იგი
 მთას შიგან დაფლა, რომ მხოლოდ ერთი, ის კვლავშექმნილი
 მიბარებოდა მინის ქვეშ მთათა სასუფეველს,
 ძეხორციელთა გონისათვის ან მიუნვლომელს.

ეს მშვენიერი ლეგენდაა, რომელიც უფალს ადამიანურ

თვისებებს მიაწერს და მოგვითხრობს, მის მიერ მოსეს სამარედ დაფლვას. მაგრამ აქ ბევრად მეტი რამ არის ნაგულისხმევი. შესაქმნის თემა ამ ლექსში სიკვდილის თემას ახალ განზომილებას ანიჭებს, რაც რილკეს თავის მხრივ ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აქცევს.

რილკემ ეს ფერწერული ტილო გაზაფხულზე იხილა. 16 ნოემბერს კი ლულუს მამას, საიდუმლო მრჩეველ ლაზარს წერდა, რომ მიუნჰენელი მხატვარი, კარლ კასპარი და მისი მეუღლე, ასევე მხატვარი, მარია კასპარ-ფილზერი, ლულუს სახელოსნოში შეხვედრია და საკუთარი ხელით გადანერილი ეს ლექსი გადაუცია. მხატვარი, ლულუც და ეს ლექსიც, სიკვდილის ნიშნით იყვნენ დალდასმულნი. რილკემ შეძლო საოცარი, სიკვდილის წინაშე ძრწოლის ამსახველი სურათების შექმნა. სიკვდილისა, რომელიც ჩვენს ირგვლივ ყველგან და ყველაფერში სუფევს. სიურრეალისტური, ბოსხისეული ძალით დამუხტული ლექსები, თუნდაც ისეთი, როგორცაა „აქ სიკვდილი დგას, ვით მოლურჯო უცხო ნაყენი“, შემადრწუნებელი სიკვდილის მძაფრ ხილვებს იწვევენ.

რილკეს შიშები სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, 5 იანვრის დადგომასთან ერთად, როცა მას კიდევ ერთხელ უნდა გამოეცადა საკუთარი თავი. მაშინ, როცა ლულუს გაუთავებელი დარჩენა და მისვლა-მოსვლა, მის ცნობიერებაში უსაშველო სოლივით შეჭრილყო.

მაგრამ იმედგაცრუებული სიყვარულიც თავის წილ ყურადღებას ითხოვდა. ამავე პერიოდს განეკუთვნება მოახლოებული შეხვედრის ზეგავლენითა და ისევ და ისევ „უკან მობრუნებული მუზის“ ზეწოლით შექმნილი საყოველთაოდ ცნობილი შვიდი ფალოცენტრული ლექსი. ეს ლექსები, პოეტის მიერ ნანატრ მარტოობის ჟამს, ალბერტი-ჰაუზის სიმყუდროვეში, პირველივე რამდენიმე კვირის განმავლობაში დაიწერა. ამ ლექსებში, საკუთარ სიცოცხლესა და სიკვდილს მხატვრულად ასახული სარცხვინელი ორგანოები წარმოაჩენენ. სიკვდილ-სიცოცხლე აღმდგარ ფალოსს უკავშირდება, მაშინ როცა ვაგინა სამარესთანაა გაიგივებული, როგორც „ღრმა ზესკნელში აღზევების ალაგი“.

..... მიხვდი ოლონდაც,
 ეს სხეულია, აღზევებული ნაწილი ჩემი.
 მიაგე შეველა, რომ მაგ მხურვალე, ღრმა სამარიდან
 იმ ზესკნელს მისწვდეს, რასაც ვფლობ შენში ამიერიდან...

ფიქრობდა კიაიგითავეს „ბნელ მუზაზე“, როცა ამ სტრიქონებს წერდა? ჩვენ ეს არ ვიცით, ეს მეტიმეტად ინტიმური ლექსები ლულუს თვალთაც არ უნახავს. რილკესათვის კი ეს თემა კარგა ხნის მანძილზე ლუ ანდრეას-სალომესთან დიალოგის საკვანძო საკითხს წარმოადგენდა. იდეა კი, რადგან „ჟამნის“ მესამე ნაწილიდან იღებს სათავეს, დასაშვებია, რომ მიუნჰენიდან პირველი განშორების შემდეგ პოეტს „მისი მუზა“, თავის სექსუალურ პარტნიორად უკვე აღარც ესახებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ რილკემ საშობაო დღესასწაულზე იგი არაჩვეულებრივი სიტბოთი და სიყვარულით მიიღო, ლულუ მაინც სასტუმროში ათევდა ღამე...

5.

მეოთხე ელევია, რომელიც ფალოსური ლექსების შემდეგ, ერთ კვირაში შეიქმნა, არა მარტო აგრძელებს იმავე განწყობილებას, არამედ თავიდან ბოლომდე მის ძირითად თემას წარმოადგენს. აქ ამ ელევიის განხილვა მთლიანად ალბათ, უადგილო იქნებოდა, მე მხოლოდ დასაწყისსა და ბოლო ტაეპზე გავამახვილებდი ყურადღებას, რათა ჩვენმა თემამ მეტი სიცხადე შეიძინოს:

სიცოცხლის ხენო, ჰოი როდის დაგიზამთრდებათ?

ეს ცნობილი სხარტი სტრიქონი გაშიშვლებულია. მომდევნო კითხვაც „როდის?“ უძღურების დაუფარავ, შიშველ სახეს წარმოადგენს. „ფალოსური ხეები“ თუ იგულისხმება აქ და ამიტომ მცირე ხნით ადრე შექმნილ „ფალოსურ ლექსებს“ ენათესავება, თუმცა საქმე იმ გარემოებას ეხება, რომ ჩვენ ადამიანები, მძღვევარ ფრინველთაგან განსხვავებით, ბუნებასთან ვერ ვართ თანხმიერნი. „ყვავილობა და მჭკნარობაც“ — სიცოცხლე და სიკვდილი ვუნყით მხოლოდ და ჩვენს უძღურებას ვგრძნობთ.

შემდგომი აბზაცის პირველი სტრიქონები ყოფნა-არყოფნის პარადოქსს სახავენ, რაშიაც უშუალოდ მეტრფესა და სატრფოს შორის არსებული დამოკიდებულება მოიაზრება.

ჩვენ კი, როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით იგრძნობა, ნამსვე რალაც სხვა რომ აგველობება.
მტრობაა ჩვენთვის ახლობელი ყველაზე მეტად.

რილკეს კრიტიკოსთა ინტერპრეტაციების მოუხმობლად მინ-და ვცადო, ეს სტრიქონები რილკესა და ლულუ ალბერტ-ლაზარის ეჭვქვეშ დაყენებული სიყვარულისა თუ არსიყვარულის ჭრილში წავიკითხო. მე-სა და შენ-ს შორის ფილოსოფიური დიალექტიკა, როგორც ამას ენგელი და ფიულებორნი აღწერენ, აქ დრამატულ სახეს იღებს და რამდენადმე პირადულ ჟღერადობასაც იძენს.

განა მეტრფენიც ერთმანეთში ბოლოს ნაპირთ არ აწყდებიან, თუმცა ჰპირდებოდნენ ერთერთს სივრცეებს, სამშობლოსა და სანადირო ასპარეზობას.

ამ ზღვარზე, სანამ სიცოცხლისა და სიკვდილის კოსმიურ ურთიერთდაპირისპირებას მიმართავდეს, რილკე მის გაორებულ სიყვარულს ჯერ ისევ ფალოსური ლექსების სივრცეში მოიაზრებს, შემდეგ კი, თვალსაწიერს თანდათანობით აფართოებს.

და აი, ნამის ჩანახატისთვის რა რუდუნებით
მზადდება ფონი საპირისპირო:
რომ სახილველად იოლი გახდეს.

შეიძლება ზედმეტად თამამი იყოს ამგვარი მოსაზრება, რომ სიტყვა „ჩვენ“ ლულუს გვახსენებს, მაგრამ, რადგანაც შინაგანი მღელვარება მათი ერთადან ცალკ-ცალკე ყოფნასთან დაკავშირებული, ზუსტად ამ პერიოდს ემთხვევა და საბედისწერო 5 იანვრიდან არცთუ დიდი ხნითაა დაშორებული და თანდათან უფრო მატულობს, როგორც ჩანს, იმ დროს შეყვარებულების ერთად ყოფნა ჯერ კიდევ აქტუალური, მე-სა და შენ-ს შორის დამოკიდებულება კი გარკვეული რეზონანსის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ გრძნობადობის კონტურისა არა ვიციტ რა,
მხოლოდ ის ვიციტ, რაც მის სახეს ძერწავს გარედან.

ამის შემდეგ იშლება „სიკვდილ-სიცოცხლის“ ლანდშაფტი უკიდევანო თვალსანიერით. ლექსის დასასრულს რილკე ისევ სიკვდილზე საუბრობს, ამჯერად უცოდველის სიკვდილზე. უკვე რამდენიმე დღით ადრე დაწერილ „პატარა ბიჭის სიკვდილზე დაწერილ რეკვიემში“, რილკე გლოვობს მისი მეგობრის, რვა წლის ასაკში გარდაცვლილ ბიჭს. მსხვერპლის უცოდველობის გამო ელგია რამდენადმე ხისტი მონახაზითაა შესრულებული:

ადვილია გაუგო მკვლელებს.
ეს კი სიკვდილი. მთელი სიკვდილი
დაბადებამდე ასე სათუთად ატარო და
არ გაბოროტდე, არის მართლაც აუნერელი.

რამდენიმე კვირის შემდეგ კი რილკემ ბინა გამოიცვალა და რაინერისა და ლულუს მიუწვენიური დრამა დასრულდა.

6.

„ერთსა და იმავე დროს ყოფნაც და არყოფნაც!“

ამ სიტყვებით აღწერა ოცდაათი წლის მხატვარმა ქალმა მისი, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მომწყვედელი მდგომარეობა. მათი საერთო ტანჯვა, საერთო სიმწარეში რომ გადაიზარდა, უკვე დასასრულის დასაწყისი იყო. ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ბრძოლა, რომელიც რილკესაც უფორიაქებდა სულს, რადგან 1914 წლის სექტემბრიდან 1916 წლის აგვისტომდე მას ლულუ გამუდმებით სჭირდებოდა და იმავდროულად მაინც ტვირთად მიაჩნდა.

ორივეს ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ლულუს უჭერდნენ მხარს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ავადმყოფობდა და ბოლმა ახრჩობდა. ზოგიერთები, 1917 წლის ბოლოს, ლულუს ავადმყოფობის ხანს, ყოველნაირად ცდილობდნენ დაეყოლიებინათ რაინერი, კიდევ ერთხელ გამოეჩინა ლულუსადმი ყურადღება. მათ

შორის განსაკუთრებით შტეფან ცვაიგი და კატარინა კიპენბერგი (ორივეს ერთგული მეგობარი) გამოირჩეოდნენ. რილკე ყოველნაირად ცდილობდა სიმტკიცე შეენარჩუნებინა, რათა შემდგომი მერყეობა აეცილებინა თავიდან, ამდენად ხანგრძლივ შერიგებაზე ფიქრიც კი გამორიცხული იყო. ლულუ კი იგონებს, რომ მასთან საბოლოო დამშვიდობებამ რილკეს მერყეობა მაინც გამოიწვია.

ლულუ ალბერტ-ლაზარის მიერ დახატული რაინერ მარია რილკეს ცნობილი პორტრეტი პოეტის მცირე ხნით სამხედრო სამსახურში მოღვაწეობის დროსაა შექმნილი. ლულუ ვენის მახლობლად, როდაუნში რილკეს მიწვევით ჩავიდა და ისინი ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის მეზობლად ცხოვრობდნენ, რომელმაც რილკეს, ლულუსთან განშორება ბოლომდე ვერ აპატია. სიერში, 1923 წლის გვიან შემოდგომაზე მათ ბოლო შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ლულუს და რაინერს აღარასოდეს უნახავთ ერთმანეთი.

სნეულების მიუხედავად, ლულუმ რილკეს შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა (1969 წლამდე), 1926 წელს კი, მას შემდეგ რაც რუდოლფ კასნერისგან რაინერის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, ჭირისუფალთა პატარა გუნდთან ერთად რარონის ფრიალო მთას აუყვა, სადაც რილკემ უკანასკნელი განსასვენებელი ჰპოვა...

ლულუ ალბერტ-ლაზარი რილკეს ცხოვრებაში ის ფიგურა გახლდათ, რომელმაც ავად თუ კარგად, მის შემოქმედებას გარკვეული კვალი დააჩნია. მე კი ამ სტატიით მინდოდა თვალნათლივ მეჩვენებინა, როგორ ეხმარება დიდ პოეტს ძლიერი სიყვარული, თუნდაც განშორებით დაღდასმულიც კი, რომ ისევ და ისევ ახალი ცხოვრების სტიმული მისცეს – მიუხედავად სასიკვდილო საფრთხისა და სიკვდილმოსილი ზმანებებისა.

ასე დაეუფლა ლულუ ალბერტ-ლაზარი საოცარ ხელოვნებას, არ ყოფილიყო და იმავდროულად ყოფილიყო კიდეც.

დასაწყისი

დუინური ელეგიები

პირველი ელეგია

გაიგონებდა რომელიმე, ვიყვირო თუნდაც,
 ღალადისს ჩემსას ანგელოზთა მხედრიონთაგან?
 და რომ ენება ერთს იმათგან გულს მირქმა ჩემი,
 უფრო ძლიერი მისი ყოფნა სულს ამომხდიდა.
 რადგანაც არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი საშინელისა,
 რასაც ვუძლებთ და ვიხიბლებით, რადგან გულგრილად
 უკადრისობს ის ჩვენს მოსპობას.

თითოეული ანგელოზი საშინელია.

და აი, ასე თავს ვიოკებ და ხმობა-ძახილს
 ამოზრდილს მრუმე ქვითინიდან გულში ვიბრუნებ,
 ო, მაინც ნეტავ, ის ვინ არის, ვინც ჩვენ გეჭირდება?
 არც ანგელოზნი, არცა კაცნი. ალლოგახსნილი ცხოველები კი
 უკვე გრძნობენ, რომ ჩვენ არც ისე იმედიაანად

გვეგულვის თავი

ამ განმარტებულ სამყაროში. ჩვენ, ალბათ,

ხე თუ შემოგვრჩება

ფერდობზე მდგარი, რათა ვუმზიროთ დღენიდაგ,

ან გუშინდელი

გზაშარა გვრჩება და გაცვეთილი ერთგულება იმ ჩვეულების,
 ჩვენთან ყოფნა რომ მოსწონებია, დარჩენილა და

ალარსად მიდის.

ჰოი, და ღამე, ღამე, როდესაც ქარი აღვსილი

სამყაროს სივრცით —

სახეს გვილარავს — ნეტავ, ვისლა არ შემორჩება

ის სანუკვარი,

იმედების ნაზი მსახვრალი, გულს მარტოეულს

მარადღუამს რომ მოელის ტვირთად, —

განა ეს ღამე მეტრფეთ უფრო ეიოლებათ?

ო, ისინი ხომ საკუთარ წილხვედრს ერთმანეთით ემალებიან.

შენ არ იცოდი ეს აქამდე? გადაისროლე მკლავებიდან

სიცარიელე,

სივრცეებს მიეც, იმავე სივრცეებს, ჩვენ რომ ვსუნთქავთ;

გაფართოებულ ჰაერს ფრინველნი შინაგანი ფრენით
თუ გრძნობენ.

დიახ, სწყუროდი გაზაფხულებს შენ ჭეშმარიტად.
ზოგიერთ ვარსკვლავს კი ეგონა, თითქოს მათ ჩასწვდი.
წარსულის ტალღა აღიმართა თუ ღია სარკმელს
როს ჩაუარე, ვიოლინო დნებოდა ჰანგად.
გევალებოდა ჩასწვდომოდი ამ ყოველივეს.
მაგრამ შეიძელ? განა ყოველთვის
მოლოდინით დაბნეული არ იყავ ისევ,
თითქოსდა სატრფოს გაუნყებდა შენ ყოველივე.
(სად გინდა იგი დამალო როცა, სხვისი მაღალი
აზრები ხშირად გტოვებენ, ისევ გესტუმრებიან,
უმეტესად კი მთელი ღამით რჩებიან შენთან).
თუკი მოგწყურდეს, ხოტბა უთხარ შეყვარებულებს,
კარგა ხანია სახელგანთქმულ გრძნობას მიჯნურთა
საკმარისი უკედავება არ ღირსებია.
თითქმის გშურს კიდეც მიტოვებულ მიჯნურებისა,
რომელთა გრძნობას უფრო ძლიერ ტრფობად მიიჩნევ,
ვიდრე სიყვარულს წყურვილმოკლულთა.
მუდამ თავიდან წამოიწყე ქებათაქება,
ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევს სანადელ მიზანს;
გახსოვდეს: გმირი თავს ინარჩუნებს. თვით სიკვდილიც კი
საბაბია მისი ყოფნისა: დაბადება უკანასკნელი.
ხოლო მიჯნურებს ქანცმიხდილი დედაბუნება უკან იბრუნებს,
თითქოს მეორედ მათ შესაქმნელად ძალა არ ჰყოფნის.
თუ გიფიქრია შენ საკმარისად გასპარა სტამპას
დიდ სიყვარულზე,
ან მიჯნურის მიტოვებულ ქალწულზე, ვისაც ამ ამალღებულ
სიყვარულის ნიმუში შესძრავს: მისი მსგავსი თუ გავხდებო?
ბოლოს და ბოლოს ძველთაძველი ეს სატიკვიარი
ალარ გახდება ჩვენთვის უფრო ნაყოფიერი?
არ დადგა ჟამი, თან გვიყვარდეს, თან გავერიდოთ
მეტრფეს და
თრთოლვით ავიტანოთ ეს განშორება ვით ლარს
იგუებს ისარი,

რათა ნახტომში ფრენად შენივთული თავს ალემატოს.
რადგან ამ ქვეყნად ვერსად დარჩები.

ხმები, ო ხმები. ისმინე გულო

როგორც წმინდანნი ისმენდნენ ოდით: ვეება ძახილს,
მათ რომ მიწიდან ზეცისაკენ აიტაცებდა;

თუმც საკვირველნი მუხლმოდრეკით რჩებოდნენ ისევ
და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ: ასე ისმენდნენ.

შენ ვერასოდეს ვერ აიტან ღვთის ხმიერებას, შორსა
ხარ მისგან,

თუმცა ისმინე უწყვეტ ნაკადად მიმქროლავი ამბავი მისი,
რაიც თვითონვე იბადება სიჩუმისაგან.

შემოგშრილებს ახლა ბედი ნორჩ გარდაცვლილთა.

განა არ გდევდა, არ ჩურჩულებდა მათი ხვედრი

შენთან უჩუმრად,

სადაც არ უნდა შესულიყავ ტაძართა წიაღ,

რომს თუ ნეაპოლს? ანთუ წარწერა მოგვევლინა ამალლებული,
ვით სულ ახლახან „სანტა მარია ფორმოზაში“ საფლავის ფილა.

რა სურთ მათ ჩემგან? მოჩვენებითი უსამართლობა

უნდა ფრთხილად ჩამოვარიდო, რაიც ხანდახან

აფერხებს ოდნავ,

წმიდა რხევას მათი სულების.

ჭეშმარიტად უჩვეულოა, დედამინაზე აღარ სახლობდე,

ძლივს შეთვისებულ ჩვეულებებს დაემშვიდობო

ვარდებს და ეგ ზომ მრავლისაღმთქმელ სხვადასხვა საგნებს
არ მიანიჭო მნიშვნელობა კაცთა მომავლის;

არ იყო იგი, რაც იყავი: შეფარებულ

უკიდევანო შიშით აღვსილ შენს ხელისგულებს,

და თვით სახელიც, საკუთარი დასთმო სახელიც,

ვით სათამაშო დამსხვრეული, ან უვარგისი.

უჩვეულოა, აღარ გსურდეს არც სურვილები,

უჩვეულოა, რაც ურთიერთკავშირში გახსოვს,

სივრცეში მარტოდ მოფარფატე რომ დაინახო.

დიახ, მძიმეა გარდაცვლილთა ყოფიერება,

ნელა შეივსებს დანაკარგს და მარადისობას

მისხალმისხალ ეზიარება. მაგრამ ცოცხალნი სცდებიან,
როს მეტისმეტად ასხვავებენ ამ ორ საუფლოს.

(ამბობენ) არც კი იციანო ანგელოზებმა

სად მიმოდიან, გარდაცვლილთა თუ ცოცხალთ შორის...

მარადიული დინება, ორთავე საუფლოს გავლით

მძლავრად მედინი

თან წარიტაცებს ყოველგვარ ასაკს

და მყისვე ახშობს მას ორთავეში.

და ბოლოს უკვე აღარ ვჭირდებით, ადრე გარდაცვლილთ,
მინიერ ყოფას ვით დედის ძუძუს, ნაზად, სათუთად
გადაჩვევა სცოდნია თურმე. მაგრამ ჩვენ, — ვისაც

ასე დიდი საიდუმლონი

გვჭირდება მუდამ, რომელთა ძალით მწუხარებიდან
წარმოსდგება ნეტარი წინსვლა, — გავძლებთ უმათოდ?

ნუთუ ფუჭია თქმულება იგი, რომ დიდი ხნის წინ
ლინოსის გლოვა-დატირებისას პირველშობილმა,
გაბედულმა მუსიკის ტალღამ მაშინ პირველად
გახევებული გარინდება გაარღვია და შიშისაგან

შეძრულ სივრცეში —

რომელსაც თითქმის ღვთაებრივი ყრმა მყის

სამუდამოდ გამოეცალა, —

სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა, რაიც ჩვენ ახლა
თან წარგვიტაცებს, გვანუგეშებს და გვეხმარება.

მეორე ელეგია

თითოეული ანგელოზი საშინელია,
ვაი, რომ მაინც თქვენ გიგალობთ, სულის ფრინველნო,
მსახვრალნო ლამის, მე თქვენი არსის მესაიდუმლე.

სადღაა დღენი თობიასი,

როცა თქვენ შორის უბრწყინვალესი,

უბრალო კარის ზღურბლთან იდგა,

ვით მგზავრი მცირედ შემოსილი

და ამიტომ ან არსაშიში,

(ყმანვილი ყმანვილს ცნობისნადილით უთვალთვალებდა).
 ახლა რომ მთავარანგელოზი, ხიფათით სავსე,
 ერთი ნაბიჯით ჩამოქვეითდეს
 ვარსკვლავთ მიღმიდან დედამიწისკენ:
 ჩვენივე მალი გულისცემა სულს ამოგვხდოდა. ვინა ხართ,
 ნეტავ?

სხვათა უადრეს ნეტარქმნილნო სწორუპოვარნო,
 თქვენ ნებიერნო შესაქმისა,
 ხერხემალი და მზისცვარდაკრულნი ქიმი ხართ ყველა
 ნარმოშობისა,
 — გვირგვინგაშლილი ღვთაებრიობის ყვავილთა მტვერნო,
 სახსარნო სხივთა,
 გასასვლელეხო, საფეხურნო, ტახტნო სუფევის,
 არსთა სივრცენო,
 ნეტარებანო ქცეულნო ფარად, ქარტეხილივით აღმამფრენო
 გრძნობის მორევენო

და მყის ცალ-ცალკე, სარკეებო:
 თქვენ, ვინც საკუთარ გამოსხივებულ მშვენიერებას,
 კვლავ ჩაიბრუნებთ საკუთარი ხატის წიაღში.

ჩვენ კი, რადგანაც გრძნობა შეგვწევს, ვართ წარმავალნი.
 ო, ჩვენ თვითეულ ამოსუნთქვას ვატანთ სიცოცხლეს;
 ნაღვერდალივით აალებით აალებამდე მივინავლებით
 და რომ კიდევაც გვითხრას ვინმემ:
 დიახ, შენ სისხლში შემომეჭერი,
 ეს ოთახიცი და ეს გაზაფხულიცი ივსება შენით...
 ვერას გვიშველის, ვერ შეგვაჩერებს
 ჩვენ ვიფერფლებით მის წიაღში და მის გარშემო
 ან მათ მშვენიერთ, ო, ვინ იხსნის, ვინ შეაკავებს?
 მათ სახეებზე განუხრელად ჩნდება და ქრება რაღაც იერი.
 თითქოსდა ლორთქო ბალახიდან ქროლდება ცვარი;
 ისე მიილტვის ჩვენგან ჩვენი, აიზიდება,
 ვით ოხშივარი ცხელი კერძისა.
 ღიმილო, საით? ო, გამოხედვა:
 ცინცხალი თბილი, მოუხელთები ტალღა გულისა —

ვაგლახ: ჩვენ ეს ვართ — ნეტავ თუ დარჩა
 ჩვენი გემო იმავ სამყაროს,
 რომელსაც ასე უნაშთოდ ვერთვით?
 ანგელოზები ნუთუ მხოლოდ საკუთარს მკიან,
 თვის გამონაშუქს,
 თუ ზოგჯერ მაინც, თითქოს შეცდომით გამოერევა
 მისხალი ჩვენი არსებისა იმათ ნათელში?
 თუ მათ სახეზე მხოლოდ იმდენად ვართ აღბეჭდილნი,
 როგორც ფეხმძიმე დედაკაცთა სახეებზე იერი რალაც,
 ამოუხსნელი?
 ანგელოზები, ალბათ, ამას ვერც კი ამჩნევენ,
 საკუთარ თავთან უკუქცევის ორომტრიალში.
 (ანდა როგორ უნდა შენიშონ).

ო, რომ სცოდნოდათ, შეიძლებდნენ კიდევ მიჯნურნი,
 ღამის ჰაერში საკვირველი ენით საუბარს.
 რადგან გარშემო თითქოს ყველა და ყველაფერი
 გვაიდუმალებს.
 ხედავ: არიან ხენი; სახლებიც, ჩვენ რომ ვბინადრობთ,
 ჟამს ჯერ კიდევ უმკლავდებიან.
 მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ჩავუვლით ყველაფერს გვერდით,
 როგორც ჰაერის მიმოქცევა, როგორც ნიავი.
 და შეკრა პირი ყოველივემ ჩვენს მისაჩქმალად,
 ცალკერძ რიდითა და ცალკერძ, ალბათ,
 გამოუთქმელი რალაც იმედით.

თქვენ მიჯნურებო, ერთმანეთით გულნაჯერებნო,
 თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე,
 თუმც ერთმანეთით ხართ ხელდებულნი, რა საბუთი
 მოგეძევებათ?
 დახეთ, როდესაც შევაერთებ ჩემს ხელის გულებს
 და სახე ჩემი იქ წამიერ სავანეს ჰპოვებს —
 მხოლოდ მცირედი თვითშეგრძნება დამეუფლება.
 თუმცალა მხოლოდ ამის გამო არსებობას ვინ გაბედავდა?
 თქვენ კი, რომელნიც ალტკინებისას ერთიმეორეს აღემატებით,
 ვიდრე იგი, უკვე ძლეული, ვედრებით ითხოვს:

ვიკმართ ტკბობა — ;

თქვენ, ვინც ურთიერთხელშეხებით უფრო მდიდრდებით,
ვით ხვავრიელი ჟამი ვაზისა.

ხანდახან ერთი თქვენგანი ქრება იმიტომ,

რომ მეორე აღმოჩნდება უფრო ძლიერი;

თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე.

ვიცი, ერთმანეთს ნეტარებით ეხებით, რადგან

თქვენივ ალერსი გავსებთ, გაყოვნებთ,

რადგან არ ქრება ადგილი იგი, სათუთნო, თქვენ რომ

თქვენით მოიცავთ,

რადგან განიცდით მის წიაღში ნმინდა გრძლიობას.

ასე ჰპირდებით ერთიმეორეს ალერსით ლამის მარადისობას.

და თუკი მაინც გაუძელით ძრწოლას პირველ შემოხედვათა,

და გადალახეთ მონატრება, სარკმელით მზირნო,

და ორთა პირველ გასეირნებას

იმ ერთხელ ჩავლას ბალის წიაღით - გაართვით თავი:

შეყვარებულნო, არ იცვლით სახეს?

როს ბაგე ბაგეს დაიგემოვნებს და კვლავ მოსწყდება — :

წყურვილით შესვამთ ერთიმეორეს: სასმელი სასმელს:

ო, რა საოცრად გაეცლება დანაფებული ქმედებას მაშინ.

არ გაოცებდათ ბერძნულ სტელებზე ადამიანთა

ფრთხილი შესტები?

განა იმათ მხრებს სიყვარული და განშორება

ისე მსუბუქად არ დაჰფენოდა —

თითქოს სრულიად სხვა მასალისგან იყო ნაძერწი

ჩვენგან სხვაობით?

გაიხსენეთ მათი ხელები, რა სიმსუბუქით ასვენია

მტევნები მათი

თუმცა ტორსებში განაბულა ძალა უშრეტი

სულმტკიცებმა იცოდნენ ამით: აქამდე ჩვენ ვართ,

და ასე გვმართებს ერთმანეთთან შეხება რადგან,

უფრო ძლიერად ღმერთთა ხელი დაგვასვამს დამლას.

მაგრამ ეს მხოლოდ ნებაა ღმერთთა.

ო, რომ გვეპოვა ნმინდა და ვინრო,

ადამიანურ საუფლოდ რაღაც,
 აქამომდე ხელშეუხები, ნაყოფიერი მიწის ზოლი —
 ჩვენი კუთვნილი — მდინარებას და ქვიანეთს შორის.
 რადგან ჩვენივე გვიმონებს გული კვლავ, როგორც იმათ.
 და აღარ ძალგვიძს თვალი ვადევნოთ მას იმ ხატებში,
 რომელნიც ღმერთთა სხეულებში მფეთქავ გულსაც
 ასათუთებენ,
 სადაც იგი ზომიერდება და მით უფრო დიდებულა.

მესამე ელეგია

ერთია მიჯნურს სიმღერა უთხრა, ვაი, რომ სულ სხვა,
 უმღერო სისხლის მდინარ-ღვთაებას,
 არსებაფარულს, ცოდვა-ბრალიანს.
 და თუ ქალწული გულის რჩეულს სცნობს შორიდანვე,
 ყმანვილმა ვნების მბრძანებელზე არა იცის რა,
 მარტოობაში ჩაკარგულმა,
 ვიდრე ქალწული დაარწყულებდეს, ხშირად ვნება
 თავს არც ახსენებს.

ო, რა უცნობი იდუმალი ნაჟურით მჟონი
 წამომართა თავი ღვთიური,
 უხმობდა ღამეს უსასრულო მღელვარებისკენ.
 ო, ნებჭუნი, სისხლის მპყრობელი, ო, საზარელი სამკაპი მისი,
 ო, ბნელი ქარი მისი მკერდისა, დაგრაგნილი
 ნიჟარიდან ამონაქროლი.

იყურე, გესმის, ღამე მღვიმედ იღრუებს სხეულს.
 თქვენ ვარსკვლავებო,
 განა თქვენგან არ წარმოიშვა მიჯნურის ვნება,
 მას სასურველი სახის ხილვისას რომ ეუფლება?
 განა ეს ჭვრეტა შინაგანი, შეყვარებულის წმინდა სახისა,
 არ მოვლენილა წმინდა ციური სხეულებიდან?

მაგრამ ვაი, რომ არც შენ ასულო და არც დედამისს
 არ მოგიმშვილდავთ წარბები მისთვის, ელოდით თითქოს.
 ქალწულო, მიჯნურს ტანი რომ გიგრძნობს,

განა შენდამი ხვავრიელი სიტყვის სათქმელად
 მოირკალა ტუჩები მისი?
 შენ, ასე ცისკრის ნიავეით ლალად რომ დაჰქრი,
 მართლა გგონია, რომ ვაჟს გოგმანი შესძრავდა შენი?
 თუმცა გული კი შეუკრთე მაინც;
 უფრო ხნიერი, ძველი შიშები შეიჭრნენ მასში,
 შენთან შეხლისას.
 შეეხმიანე. . . თუმცა იმ ბნელი გარემოდან ერთიანად
 ვერ გამოიხმობ.
 რალა თქმა უნდა, მას სურს თავდახსნა, დაიხსნის კიდეც,
 შეებამოგვრილი ეჩვევა ფრთხილად შენს გულს იდუმალს
 და არსებობას თვითონვე იწყებს.
 ნუთუ ოდესმე მართლა ჰპოვა სანყისი თვისი?
 დედაო, მას შენ მოუვლინე პატარაობა, შენ პანანინას
 სანყისი მიეც.
 იგი შენთვისაც სიახლე იყო.
 ამ ახალ თვალებს შემოავლენ სათნო სამყარო
 და ააცილენ უცნობი მხარე.
 სად გაჰქრნენ წლები,
 როცა ნატიფი შენი სხეულით გადაეფარე მღელვარე ქაოსს
 და სულ უბრალოდ განარიდე იგი მის თვალებს?
 ამრიგად ბევრი რამ დაუმალე; ღამეულ ოთახს —
 ბუდეს შიშნეულს,
 უზაკველს ხდიდი და შენი სათნო, მფარველი გულით,
 მის ღამის სივრცეს უზავებდი სივრცეს უფრო ადამიანურს.
 წყვდიადს კი არა, შენს უახლოეს არსებობას უნთებდი
 ლამპარს,
 და ენთო ისიც, ვით წყალობა გაღებული მოყვასისაგან.
 ჩქამიც კი არსად დაიძვრებოდა, ღიმილის ჩენით რომ
 არ აგეხსნა,
 კარგა ხნის წინათ იცოდი თითქოს, სიჩუმე როდის
 გამეფდებოდა...
 ყრმაც ყურს გიგდებდა სულგანაბული და მშვიდდებოდა.
 დედაო, ასე მრავლისშემძლე იყო ფაქიზი სიფხიზლე შენი;
 კარადის უკან ჩვილს მოსასხამით ელოდა ბედი
 და ფარდის მსუბუქ, თხელ ნაკეცებში

კვლავ ნებივრობდა მერმისი მისი მოუსვენარი.

თვით ყმანვილი კი, როგორც ინვა, შვებამოგერილი,
 რულმოკიდებულ ქუთუთოებქვეშ შენი მსუბუქი
 სხეულის სიტკბოს
 განაზავებდა ნაჭაშნიკევ ძილისბურანში — :
 ერთი შეხედვით —
 დაცული ჩანდა ... შინაგანად კი: ვინ აბრკოლებდა,
 ვინ აფერხებდა მის წიაღში დელგმად მოვარდნილ
 ნარმომავლობას?
 ვაგლახ, სიფრთხილე აკლდა მძინარეს; მძინარი,
 მაგრამ სიზმრიანი,
 მაგრამ მხურვალი, სიცხიანი:როგორ დაინთქა
 საკუთარ თავში.
 იგი ახალი, უმწეო, მფრთხალი, როგორ გაება
 შინაგანი მოვლენების შორს განფენილი ნედლი ლერწებით
 უკვე მზა ქარგად გადახლართულ, მახრჩობელა,
 მომხუთავ ზრდაში
 და ცხოველურად მბორგავ ნაკვთებში.
 როგორ მიენდო - როგორ უყვარდა.
 უყვარდა თვისი შინაგანობა, თვისი წიაღის ველურობა,
 ტყე უსიერი საკუთარ თავში, რომლის მდუმარე იავარქმნაზე
 ღია სიმწვანით ხასხასებდა მისივე გული.
 უყვარდა ძლიერ, მაინც დასტოვა და გამოჰყვა საკუთარ
 ფესვებს,
 ძლევამოსილ პირველსაწყისში,
 სადაც ნამცეცვა დაბადება რა ხანია განვლილი ჰქონდა,
 ის სიყვარულით ჩამოემგვა უფრო ძველ სისხლში,
 იმ უფსკრულებში,
 სად შემაზრზენი განოლილიყო, გამაძლარი მამათა ლეშით.
 და ყოველი საშინელება იცნობდა მას და თვალს უკრავდა,
 როგორც შეთქმული.
 დიახ, მზარავი ილიმებოდა...
 რა იშვიათად გაგლიმებია შენ, დედაო, მსგავსი სინაზით,
 და ან კი როგორ არ ჰყვარებოდა, როცა მზარავი მას უღიმოდა.
 ყრმას შენამდე უყვარდა იგი, რადგან ადრევე,

უკვე შენში დავანებული, ყრმა იმ სითხეში იყო გაქნილი,
ამსუბუქებს რაიც ჩანასახს.

ხედავ, ერთმანეთს როდი ვეჭრფით, ვითა ყვავილნი,
მარტოოდენ ერთი წლის ვადით:და როცა გვიყვარს,
უხსოვარ დროის ჩამონაჟურით იჟღინთება მკლავები ჩვენი,
ო, ქალწულებო, იცოდეთ ერთი: რომ ჩვენ ჩვენს თავში
მერმისის ერთი პირმშო კი არა,
არამედ უზღვაგ-უთვალავი, აზავებულნი არსება გვიყვარს;
მხოლოდ ერთი ბავშვი კი არა, არამედ ჩვენი მამა-პაპანი,
რომელნიც მათა ნალენივით ჩვენს საძირკველში
გარინდებულან;

არამედ მშრალი კალაპოტი ოდით დედათა — ;
არამედ ვრცელი სანახები, ქუფრ ან ანკარა ბედისწერის
ქვეშ მოქცეული —;

აი, ქალწულო, შენს სიყვარულს წინ რა უსწრებდა.
შენ კი, შენ თავად, რა იცი ნეტავ — განა შენ არ გამოიწვიე
მიჯნურთა სულში ჟამი წინარე, რა შეგრძნებანი
ამოტივტივდნენ

ან გარდასულ არსებათაგან. აქ რომელ ქალებს ეზიზღებოდი
და რა მოღუშულ მამაკაცებს აღელვებდი შენ ყმანვილის
ცინცხალ ძარღვებში?

მკვდარი ბავშვები ილტვიან შენკენ...

ო, წყნარად, წყნარად, ჰქმენ რაიმე სასურველი ვაჟის წინაშე,
სადაგი დღის არუქე წვლილი, აახლე იგი ბაღნარის სამანს,
მიეც ღამეთა მეტი ნანილი...

დაინარჩუნე...

მეოთხე ელეგია

სიცოცხლის ხენო, ჰოი, როდის დაგიზამთრდებათ?
ჩვენ არ გვჩვევია ერთსულოვნება და ვერც მძლევარ
ფრინველებივით

ვართ თანხმიერნი.

ნაგვიანევად ავედევენებით მომქროლავ ქარებს

და ვენარცხებით ჩვენდამი გულგრილ ტბორს, უსულგულოს.
ჩვენ ერთდროულად ყვავილობაც და მჭკნარობაც ვუნყით,
სადღაც კი ისევ დაძრნიან ლომნი
და უძღურების არრა იციან,
ვიდრე მათ ლომებრ ბრწყინვალეებას ადგას გვირგვინი.

ჩვენ კი როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით,
იგრძნობა, ნამსვე რაღაც სხვა რომ აგვეღობება.
მტრობაა ჩვენთვის ახლობელი ყველაზე მეტად.
განა მეტრფენიც ერთმანეთში ბოლოს ნაპირთ არ აწყდებიან,
თუმც ჰპირდებოდნენ ერთურთს სივრცეებს,
სამშობლოსა და სანადირო ასპარეზობას.

და აი, ნამის ჩანახატისთვის
რა რუდუნებით მზადდება ფონი საპირისპირო:
რომ სახილველად იოლი გახდეს.
რადგან მას ცხადზე უცხადესად გვაგრძნობინებენ.
ჩვენ გრძნობადობის კონტურებისა არა ვიცით რა,
მხოლოდ ის ვიცით, რაც მის სახეს ძერწავს გარედან.

ვინ არ ელოდა აღსავსე ძრწოლით
თვისსავე გულის ფარდის აზიდვას?
და როცა ფარდა აიხადა: დეკორაცია ასახავდა
გამოთხოვებას.

რა იოლი ჩასანვდომია. ნაცნობი ბალი
ირხევა წყნარად: ცოტაც და აი, როკვის ოსტატიც.
ის არა, კმარა! თუმცა კი ლალად უჭირავს თავი: გადაცმულია
და ბიურგერად იქცევა მყისვე,
და შინ თავისი სამზარეულოს გავლით ბრუნდება.

მე არად ვაქნევ სანახევროდ გატიკნულ ნიღბებს,
თოჯინა ბევრად უმჯობესია. სავსეა იგი.
მსურს ავიტანო ეს ფიტული, თასმები მისი
და სახე ქმნილი გარეგნობისგან.
აქ ვარ. მზადა ვარ. თუნდ ჩაქრეს ყველა ლამპიონი,
თუნდ ამიკრძალონ სულაც დარჩენა,
ჰაეროვანი ნაცრისფერი სიცარიელეც რომ წარმოდინდეს
ცივი სცენიდან,
უტყვ წინაპართა მოდგმისაგან არავინ დარჩეს,

და თაფლისფერი ელამი მზერით აღარ მიცქერდეს
 არც ყრმა, არც ქალი:
 მაინც დავრჩები. სანახაობა აქ ყოველთვის მოიძებნება.

არ ვარ მართალი? შენ, ეს ცხოვრება
 ჩემ გამო რომ ასე გემწარა, მშობელო მამავ,
 ჩემი ვალმოხდის მღვრიე სასმელის მეჭაშნიკე
 იყავ ყოველთვის, როს ვიზრდებოდი,
 და შორეული უცხო მომავლის ჭაშნიკით მთვრალი,
 ჩემს მრავლისმეტყველ ამოხედვას იზიარებდი.
 შენა ხარ იგი, მამავ ჩემო, გარდაცვლის შემდეგ,
 ძალიან ხშირად, ჩემს იმედში, ღრმად ჩემს წიაღში,
 შიში რომ გავსებს და გარდაცვლილთა გულგრილობას,
 გულგრილობის სამფლობელოებს,
 გასცემ, გაიღებ ჩემი მისხალი ბედ-იღბალისთვის.
 არ ვარ მართალი? თქვენ გეკითხებით არ ვარ მართალი?
 ვისაც გიყვარდით
 ჩემი თქვენდამი სიყვარულის იმ პატარა სანყისისათვის,
 რომელსაც მუდამ გავურბოდი იმიტომ მხოლოდ,
 რომ სივრცე თქვენი პირისახისა, რაიც მიყვარდა,
 სამყაროსეულ სივრცეებში მიმოიფანტა
 და გაჰქრით სრულად: ოდესმე თუკი მომეგუნება
 მე თოჯინათა სცენის წინაშე ლოდინი კიდევ,
 არა ლოდინი, არამედ სრული ხილვითი შერწყმა,
 ისეთი მძაფრი, რომ ჩემი მზერის ანონ-დანონვას,
 დასასრულ თვითონ ანგელოზი მოინადინებს
 და მსახიობად მოგვევლინება,
 რომელიც ფიტულს მყის აიტაცებს,
 აი, თოჯინა და ანგელოზი:
 ბოლოსდაბოლოს ჭეშმარიტი სანახაობა!
 მაშინ კი ერთად შეიყრებიან,
 ცალ-ცალკე რასაც ვსახავთ ნიადაგ,
 როცა ვარსებობთ. მხოლოდ მაშინლა წარმოიშობა
 წრებრუნვა სრული ცვალებადობის
 წელიწადის დროთა სვლისგან. და სწორედ მაშინ
 ჩვენს ზეგარდმო ანგელოზი ათამაშდება.

შეხე სულთმობრძავთ, ეგებ ხედებიან, რა აღსავსეა
ქვეყნად საბაბით ჩვენი საქმენი.
თავად მყოფი არაფერია. ო, საათებო სიყმანვილისა,
როს ფიგურების მიღმა ბევრად მეტი რამ იყო
ვიდრე წარსული და ჩვენ წინაშე
არ სჭვიოდა ჯერ მომავალი.
თუმც ვიზრდებოდით და ხან გვენადა უფრო სწრაფად
გავზრდილიყავით, სანახევროდ მათ
საამებლად ვისაც აღარა გააჩნდა რა ასაკის გარდა.
და მაინც ჩვენ ამ მარტოსვლაში კმაყოფილებას გვანიჭებდა
ეს ხანგრძლივობა; და ვიდექით
სამყაროსა და სათამაშოს შუალედში მოქცეულები,
ისეთ ადგილზე, რომელიც მხოლოდ
წმინდა მსვლელობას ეკუთვნოდა დასამაბიდან.

ვინ, ვინ მაჩვენებს, როგორ დგას ბავშვი.
ვინ მისცემს ადგილს ვარსკვლავთა შორის
და ვინ მიანდის მას ხელებში მანძილის საზომს?
ვინ გამოძერწავს ბავშვის სიკვდილს
თალხი პურიდან, რომელიც ხმება —
და ჩაუტოვებს მას მრგვალ ხახაში,
მშვენიერი ვაშლის თესლივით!
ადვილია გაუგო მკვლევლებს.
ეს კი: სიკვდილი, მთელი სიკვდილი
დაბადებამდე ასე სათუთად ატარო და
არ გაბოროტდე, არის მართლაც აუნერელი.

მეხუთე ელეგია

ედღვნება ქალბატონ ჰერტა კოონიგს

რანი არიან, მითხარ, ყარიბი ჯამბაზები,
თვით ჩვენზედაც ოდნავ უფრო სწრაფწარმავალნი,
ვისაც სისხამზე, გამალებით, —
ვის, ვის სალხენად, არავინ იცის, —

სწურავს ნიადაგ აღუვსები ნების ნადილი?
 და განა მარტო სწურავს, ქედს უდრეკს,
 გრებს, გაქანებულთ აისვრის ზევით
 და კვლავ დაიჭერს; ისინი თითქოს ზეთით გაპოხილ,
 გლუვი, სრიალა ჰაერიდან ცვივიან ქვევით
 უკვე გაცვეთილ, მათი მარადი ხტომისაგან შელახულ ხალზე,
 უკიდევანო სამყაროში ჩაკარგულ ხალზე,
 მინას სალბუნად რომ დასდებია,
 თითქოს ქალაქის გარეუბნის ცამ
 იქ, დედამინას რალაც ატკინა.
 რიგიანად არც დაშვებულა, ფეხზეა უკვე
 და ზარზემით წარმოგვიდგება: აქადგომის ასომთავრული . .

უკვე იწყება თვით უძლიერეს მამაკაცთა ორომტრიალი,
 მუდმივი ფანდით, სხარტი ილეთით,
 თითქოს მოკალულ სინს დრეკდეს ხელით
 მონადიმე ავგუსტ ძლიერი.

ჰოი, და ირგვლივ ამ მოძრავი შუაგულისა —
 მაყურებელთა მზერის ვარდი: ჰყვავის და ჭკნება.
 ამ ნატერფალი ბუტკოს ირგვლივ,
 ამ დამლის ირგვლივ,
 საკუთარი აყვავებული მტვერი რომ ხვდება,
 ისევ და ისევ შეუცნობელი უხალისობის ყალბ ნაყოფად
 რომ ჩაისახვის —
 — სიფრიფანა ზედაპირით ბრწყინავს, ბრჭყვიალებს,
 ადვილად, ყალბად მომლიმარი უხალისობა.

აი: ჩვარივით ნაოჭასხმული ძალოსანი,
 ბებერი, ის ვინც დაფდაფს სცემს მხოლოდ,
 ისეა თავის უზარმაზარ კანში ჩაფლული,
 თითქოსდა უნინ ორ მამაკაცს იტევდა ლამის,
 ახლა კი ერთი სასაფლაოს მკვიდრია უკვე,
 ხოლო მეორე ცოცხალი ჯერაც,
 სმენადავსილი და ხანდახან ოდნავ შეშლილი,
 ან დაქვრივებულ ტყავში ფაფხურობს.

ეს ახალგაზრდა ყმანვილი კი, პირმშოა თითქოს
მონაზვნის და მუქთახორისა, ტყავში ვერ იტევს
ჩამოსხმულ კუნთებს და სიმარტივეს.

ოჰ, თქვენ,
ვინც ტკივილს, ჯერ სულ პატარას,
წილად ხვდით ერთხელ თავშესაქცევად,
მისი ერთ-ერთი ჟამბანგრძლივი მოკეთებისა...

შენ კი, ნაყოფთ როგორც სჩვევიათ,
იმგვარად სწყდები, ჯერ უმნიფარი,
დღეში ათასჯერ, ერთობლივ ნაგებ
მოდრაობის ხეს (რომელიც წყალზე უსწრაფესად,
ორიოდ წუთში მოიღვეს ხოლმე
გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას) —
ჩამოსწყდები და მიანყდები საკუთარ საფლავს.
ხანდახან, მცირე შესვენებისას,
თითქოსდა უნდა დაგეფინოს სათნო იერი
დედის ალერსს დანატრებული,
მაგრამ სხეული შენი სახეს სიბრტყივ გათელავს —
სახეს შეუმკრთალს... და ისევ კაცი ტაშისცემით გინვეს
სახტომად.

ვიდრე ტკივილი შენთვის უფრო გაცხადდებოდეს —
მუდამ რაშივით მალემსრბოლი გულის მახლობლად,
დაასწრებს უმალ მცხუნვარება ფერხთა გულების
ტკივილის მიზეზს, მყის შენს თვალებში
ჩალვენთილი სხეულის ცრემლით,
და მაინც ბრმაა
ეგ ღიმილი...

ო, ანგელოზო, ო, დაკრიფე, დაისაკუთრე
წვრილ-წვრილყვავილა სამკურნალო მცენარეები.
შექმენ ლარნაკი და შეინახე!
იქ მოათავსე, ჩვენთვის ჯერ უცნობ სიხარულთა

გარემოცვაში; წარმტაც ურნაში ჩაასვენე
და განადიდე ყვავილოვანი, ქარაგმული
ზედწარწერილით: „Subrisio Saltat.“

შენ კი ძვირფასო,
შენ, უწარმტაცეს სიხარულთაგან
უბრად წასულო, ჯინჯილები შენი სამოსის
შენ მაგივრად ხარობენ, ალბათ — ან ახალგაზრდა,
მკვრივ ძუძუ-მკერდზე ლითონისებრი მწვანე ატლასი
უსასრულოდ ლალობს, ნებივრობს, არც რას საკლისობს.
შენ,
ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად
ხარ შეგდებული წონასწორობის მერყევე სასწორზე,
ასე სახალხოოდ, ორივე ბეჭით, —
ვით გულგრილობის გასაყიდი მწიფე ნაყოფი.

სად, ო, სად არის ის ადგილი —, მე გულით დამაქვს —
ადგილი, სადაც ისინი დიდხანს იყვნენ უძღურნი,
ერთი მეორეს სწყდებოდნენ ისევე,
ვით აღრეულ-შეჯვარებული,
შეუთავსები წყვილი ნადირთა,
სად წონადობა მძიმეა ჯერაც:
სადაც ჯერ კიდევ ყელყელაობენ თეფშები ასე
უმაქნისად აწრიალებულ ლატანთა წვერზე...
და ანაზდად ამ სამძიმო არსადყოფნაში, ანაზდეულად:
გამოუთქმელი ადგილი, სადაც
წმინდა სიმცირე ამოუხსნელად გარდაისახვის —,
აკეთებს ნახტომს
იმ დიდ, ცარიელ სიუხვეში,
სად მრავალნიშნა ამოცანები
რიცხვთა გარეშე ამოიხსნება.

ო, მოედნები, მოედანი პარიზისა, უსასრულო სანახაობა,
სადაც მოდების კანონმდებელი, *Madame Lamort*
დედამინის მოუსვენარ გზებს
უსასრულო ზონრებად ხლართავს,
ახვევს და მათგან ახალ-ახალ ბაფთებს იგონებს,

რუშებს, ყვავილებს, კოკარდებსა და ხელოვნურ ნაყოფს,
ყალბად შეფერილთ —, ბედისწერის იაფფასიან
საზამთრო ქუდთა მოსაკაზმავად.

.....
ო, ანგელოზო! რომ ყოფილიყო მოედანი, უცნობი ჩვენთვის,
იქ, გამოუთქმელ ხალიჩაზე წარმოედგინათ
მიჯნურთ, რაც მათთვის აქ რჩებოდა მიუწვდომელი :
თავგანწირული ილეთები გულისძგერისა,
იმათი ვნების ციხე-კოშკები,
სადაც საყრდენი არასოდეს არა ყოფილა,
და კიბეები ეყრდნობოდნენ ერთურთს ცახცახით, —
და შესძლებოდათ
უთვალავ, უხმო გარდაცვლილი მაყურებლით
გარსშემორტყმულებს:

ნუთუ ისინი, უკანასკნელ, მუდამ მომჭირნედ
შემონახულ, ჩვენთვის ჯერ უცნობ,
ბედნიერების მუდამ ვარგის უზალთუნებს
არ გადაჰყრიდნენ, ბოლოსდაბოლოს
ჭეშმარიტად მომლიმარი წყვილის წინაშე
დარწყულებულ, მშვიდ ხალიჩაზე?

მეექვსე ელეგია

ხეო ლელვისა, რა ხანია უკვე მენიშნა,
რომ ყვავილობის გამოტოვებით,
შენეულ წმინდა საიდუმლოს მძლავრად ჩანურავ
დროულად ზრდასრულ, მნიფე ნაყოფში.
ვით შადრევანთა სადინარები, შენი ტანმრუდე
ტოტები ლალად

დენიან ნექტარს აღმა და დაღმა:
ისიც ძილიდან ამოსხლეტილი
ძილბურანშივე მიაშურებს თვისი უტკბესი აღსრულების
ბედნიერებას,
ხედავ: ვით ღმერთი გედის სხეულში.

...ჩვენ კი ვყოვნდებით.

ყვავილობა გვეამაყება და ჩვენეული საბოლოო
ნაყოფის სიღრმეს,
დაგვიანებულს, უკვე ლალატით დალდასმულნი მივებახლებით.
ო, ცოტა ვისმე თუ მიანყდება ასე ძალუმად ქმედების ტალღა,
რომ მოთმინებით მცხუნვარებდნენ სისავსეში საკუთარ
გულის,

როს ყვავილობის ცთუნება ტკბილი,
იმათ ბაგეთა სიყმანვილეს და ქუთუთოებს
მიეკარება, როგორც დამცხრალი ღამის ჰაერი.
ეს შეეხება, ალბათ, ან გმირებს, ანდა იმქვეყნად
ადრე წასულებს,

რომელთა ძარღვებს სულ სხვანაირად
ხლართავს სიკვდილი — მებაღე მათი.
აი, ესენი ელვასავით ჩაგვიქროლებენ: საკუთარ ღიმილს
წინ უსწრებენ, ვით რაშთა წყვილი
კარნაკის მიმქრალ სურათებზე
მძლეთამძლე მეფის კაზმულ ტახტრევანს.

ო, რა საოცრად ჩამოჰგავს გმირი ნორჩ გარდაცვლილებს.
ყოფიერების ხანგრძლივობა არ ედარდება. მისი
აღმასვლა არსებობაა;

ნიადაგ შორეთს მიექანება და შეაბიჯებს
თვისი მარადი განსაცდელის
სახეცვლილ თანავარსკვლავედში. სადაც ცოტანი
თუ იპოვნინან,

მაგრამ ჩვენივე უმოწყალოდ დამდუმებელი
ბედისწერა უცაბედად აღტკინებული
მას ჰანგად აქსოვს თავის მშფოთვარე ქვეყნის ქარიშხლებს.
მე მხოლოდ მისი მესმის ნათლად, ასე აშკარად:
მისი ხმა, ბინდით დაფარული გამმსჭვალავს უცებ,
მომქროლავი ჰაერის ჭავლით.

მაშინ რა დიდი სიხარულით განვირიდებდი მე მონატრებას:
რომ ვყოფილიყავ, ო, ვყოფილიყავ ბიჭი პატარა
და რომ მქონოდა კიდევ ერთხელ უფლება ყრმობის, —

და ვიკითხავდი სამსონის ქებას,
 თუ როგორ შობა სამსონის დედამ ქვეყნად ყოველი,
 თუმცაღა ადრე ყოფილა ბერნი.

ო, დედავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი, განა ჯერ მაშინ
 ისევ შენში არ ისანყისა არჩევანმა მისმა ზვიადმა?

ათიათასნი ირეოდნენ შენსა წიაღში და იმ კაცად
 სურდათ გაჩენა,
 მაგრამ ხომ ხედავ: ჩაიგდო ხელში და კვლავ დასტოვა —,
 აირჩია და შეძლო კიდეც. და როცა სვეტთა

საძირკველს შლიდა,
 აღასრულებდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაუტევა სამყარო შენი
 სხეულისა და უფრო ვინრო სამყაროში გადმოინაცვლა,
 სად არჩევანი კვლავ მისი იყო, ძალაც ერჩოდა;
 გმირთა დედანო, ო, სათავენო წამლეკავი ნაკადებისა!
 მრუმე უფსკრულნო, სად ჩაცვივდნენ მოთქმა-გოდებით
 გულის მალალი ნაპირიდან ქალიშვილები —
 მომავალნი მსხვერპლნი ვაჟისა.

რადგანაც გმირი მიგელავდა სიყვარულის სადგურთა
 გავლით,
 ყოველი მისთვის ანაძგერი ფეთქევა გულისა, ზე ამალლებდა,
 მაგრამ უკვე პირშექცეული, იგი ღიმილთა დასასრულისას —
 იდგა სხვაგვარად.

მეშვიდე ელეგია

მოიხმობ ნულარ, აღიკვეთე ხმობა ამიერ,
 ლალი, ახსნილი ხმა იყოს შენი ძახილის არსი;
 თუმც შენც ანკარად ხმობ ფრთოსანივით,
 წლის აღმავალი ჟამი ზეცად რომ აიტაცებს
 და ავინყდება თითქმის, რომ ჩიტი სულდგმულია
 ბედშავი ერთი,
 და არა მხოლოდ გული ეული, შინაგან ცათა ლაჟვარდში რომ
 გადაისვრის დრო წელიწადის.

ხმობაში ტოლს არ დაუდებდი შენც არც ერთ ფრინველს —,
 და უხილველად შეგიცნობდა შენ მეგობარი, წყნარ-უჩუმარი,
 ვისშიც პასუხი ნელა იწყებს გამოღვიძებას
 და ემატება მხურვალეობა შენი მოსმენით, —
 შენი თამამი გრძნობისადმი ანთებული თანამგრძნობელი.
 და გაიგებდა გაზაფხულიც — აქ არსადაა, არსად ადგილი
 იღუმალ ხმას რომ არ გამოსცემდეს, ხმას მახარობელს;
 თავდაპირველად იმ პატარა, კითხვით აღსავსე ამოკვნესისა,
 რომელსაც მზარდი მდუმარებით შემოეხვევა
 წმინდა დღე ნიშნად უტყვი დასტურის.
 შემდეგ კი, — უკვე აღმავალი საფეხურებით, ხმოვის
 გრძნეული საფეხურებით,
 ზევით, მერმისის ნანატრ ტაძრისკენ —; შემდეგ
 ტრელები, შადრევნები,
 ზე ატყორცნილი, რომლის ჩქერალიც გულისხმობს ვარდნას
 დაპირებებით სავსე თამაშში... როცა წინ ჯერაც არის ზაფხული.

განა მარტო ალიონები ზაფხულისა — და განა მარტო
 გარდასახვა დილისა დღეში და ელვარება სანყისის წინა,
 განა მარტო დღეები, თეთრად რომ ევლებიან ყვავილებს
 ნარნარ,

უფრო მალლა კი, აშოლტილ ხეებს ძლევა მოსილი
 მეუფებით ეგებებიან,

განა მარტო მონინება ამ განშლილი ძალთახმევისა,
 განა მარტო სავალი გზები, განა მარტო მდებლოები

სალამო ჟამის,
 განა მარტო სულჩადგმული გამჭვირვალეობა ნაგვიანევი
 ნაავდრალისა,

განა მარტო კარს მომდგარი ძილის ბურანი და
 წინათგრძნობა მიმწუხრისას . . .

არამედ ბნელი ღამეები! ჰოი, მაღალი ღამეები ზაფხულისა,
 არამედ სავსე ვარსკვლავები, ვარსკვლავები დედამიწისა,
 ო, თუნდაც მოვკვდე და კვდომის ფასად უსასრულოდ
 ჩავწვდე მათ სახეს.

ვარსკვლავებს ყველას: რადგან, ო, როგორ, როგორ,
 რა ძალით გადავივინყო ეს საოცრება!

ხედავ, უკვე მოვუხმე მეტრფეს. თუმც, მხოლოდ
 იგი მომეახლება?
 სუსტ საფლავთაგან მოაშურებენ ქალიშვილები
 და იდგებიან...
 რადგან ვით შევძლო, როგორ მოვსაზღვრო
 ამოხდენილი ძახილი ჩემი?
 ისევ და ისევ დედამინას ეძიებენ გარდასულები.
 თქვენ, ო, ბავშვებო, საგანი, ერთგზის ხელღებული
 თქვენგან ამქვეყნად,
 იტვირთავდა უამრავ აზრსა და მნიშვნელობას.
 ნუ გეგონებათ, რომ ბედისწერა მეტია, ვიდრე სიყმანვილის
 შრეთა სიმკვრივე.
 თქვენ კი რა ხშირად გადაგისწრიათ მიჯნურისათვის,
 გულამოვარდნილთ,
 ნეტარ სრბოლისას, სიარაფრისკენ რომ მიილტვოდით, ღია
 სივრცეში.

ამქვეყნად ყოფნა დიდებულია. თქვენ ეს იცოდით,
 ქალიშვილებო, —
 ღიახ, თქვენც კი, დაჩაგრულნო — თითქოსდა ბედით,
 ჩაკარგულებო:
 თქვენ, ვის ქალაქის ავბედობით სავსე ქუჩებში
 გდიოდათ ჩირქი და სული თქვენი ღია იყო დაცემისათვის,
 რადგან თითოეულ თქვენგანს ხომ ჰქონდა ერთი საათი —
 ეგებ არც სრული ერთი საათი, არამედ რაღაც
 დრო მოქცეული ორ წამს შორის — დროის ათვლით
 ვერ გასაზომი,
 ოდეს გავსებდათ ყოფიერება. ყველაფერი. ყოფნით გქონდათ
 ძარღვები სავსე.
 მაგრამ ჩვენ ხომ ასე იოლად ვივიწყებთ, რასაც
 მომღიმარი მეზობელი არ გვიდასტურებს ან არ შურს ჩვენი.
 ბედნიერება გვსურს ვაქციოთ ცხადად, საჩინოდ,
 თუმც უცხადესი ბედნიერება
 თავს მხოლოდ მაშინ შეგვაცნობინებს, თუკი
 გარდავქმნით მას შინაგანად.

არსად იქნება მიჯნურო ჩემო, სამყარო სხვაგან,
 თუ არ ჩვენს გულში.
 ჩვენი სიცოცხლე გვეთხოვება გარდასახვებით,
 და უფრო მეტად იზრდება ქრობა გარე სივრცისა.
 სადაც ოდესღაც მარადიული სახლი იდგა,
 გადაიშლება გამოგონილი სახება მისი, პირუკუ მდგარი,
 ისე მთლიანად გამოგონილი, თითქოსდა ტვინის
 ბინადარი იყოს ის ჯერაც.
 დრო-ჟამის სული ძლიერების ყულაბას იქმნის, ფორმის
 გარეშე
 ვით ძაბვის ტალღა, რომელსაც იგი ამოიგებს
 ყველაფრისაგან.
 ტაძარი მისთვის აღარ არსებობს.
 გულის ამ ფლანგვას ვზოგავთ მომჭირნედ, უფრო მალულად.
 და თუკი მაინც გადაურჩება წარმავლობას,
 ერთი ოდესღაც სალოცავი საგანი რამე, სათაყვანო,
 მუხლმოსაყრელი, —
 უკვე უხილავ სამყაროსკენ ექნება პირი.
 და მრავალნი ხედავენ ამას, თუმცა არ ესმით
 თუ რამდენად სჯობს, რომ ბოლოს მხოლოდ *სულში* ააგო
 უფრო დიადი სვეტები და ქანდაკებები.
 ყოველ ქუფრიან მობრუნებას სამყაროისა, ჰყავს ამდაგვარი,
 მემკვიდრეობა-უპოვარნი
 ვისაც წარსული აღარა აქვს და მერმისიც ჯერ არ ეკუთვნის;
 რადგან მერმისი, უახლოესიც, მაინც შორსაა
 კაცთა მოდგმისთვის,
 თუმც ამის გამო არ გვემართებს შფოთვა და ფორიაქი:
 დე, ამან უფრო განგვიმტკიცოს სულის სიღრმეში
 შემეცნებული საგნის სახება.
 ადამიანთა გარემოცვაში იდგა ეს ერთხელ,
 შემმუსვრელი ბედისწერის გულის გულში იმყოფებოდა,
 გზისა და გეზის არცოდნის შუა იდგა იგი, ცოცხალი თითქოს
 და მოინვდიდა ვარსკვლავებს თვისკენ. შეუვალ
 ცათა თაღებიდან.

ო, ანგელოზო, შენ დაგანახვებ მე მას ჯერ კიდევ, აი იგი! —
 შენსა მზერაში თუ დარჩება ხსნილი ის ბოლოს,
 ახლა უკვე საბოლოოდ ზეალმართული.
 სფინქსი, სვეტები, პილონები, აღზევებული ძალისხმევა
 უცხო ტაძრისა,
 რუხი ფერი რომ დაჰკრავს უკვე სულთმობრძავი
 ქალაქიდან ამოხდენილი.

ეს საოცრება არ იყო განა? ო, იოცებდე ანგელოზო,
 ეს ხომ ჩვენა ვართ,
 ო, დიადო, ამბადა სთქვი, რომ მსგავსი რამ ჩვენ შევიძელით.
 ჩემი სუნთქვა არ ჰყოფნის ხოტბას.
 აი, ხომ მაინც მოვიხელთეთ ეს მწყალობელი, ეს
 ჩვენეული სივრცეები,
 (რაოდენ ვრცელი, შემადრწუნებლად ვრცელი უნდა
 იყვნენ ისინი,
 რომ ვერ აავსეს ათასწლოვანმა ჩვენმა გრძნობებმა).
 კოშკი კი, მართლაც, მაღალი იყო, ასეა არა?
 ო, ანგელოზო შენ გვერდითაც კი მაღალი ჩანდა,
 შარტრი — მაღალი — მუსიკა კი ილტვოდა ზევით,
 მაღლა სულ მაღლა, ჩვენს ზეგარდმო ამაღლებული.
 და მაინც ერთი მიჯნური მხოლოდ —
 ოჰ, მარტო მდგარი ღამის სარკმელთან...
 ნუთუ მუხლამდეც არ გწვდებოდა — ?
 ნუ გეგონება, რომ ხმობა ვინყე,
 ო, ანგელოზო,
 თუნდ გიხმო კიდევ, არ მოხვალ, რადგან,
 ჩემი ხმობა სავსეა მუდამ წარმავალობით;
 ასე ძლიერი მდინარების საპირისპიროდ, შენ ვერ შესძლებ
 წარსდგა ნაბიჯი.
 განვდილ მკლავსა ჰგავს ძახილი ჩემი:
 წასატანებლად გაშლილი ხელი
 რჩება გაშლილი შენ წინაშე,
 როგორც თავდაცვა და გაფრთხილება.
 მიუნვდომელო, დაუსაბამოდ.

მერვე ელეგია

ექვნიება რუდოლფ კასნერს

ერთიანად მზერადქცეული ხედავს *განხმულს*
 ცხოველთა მოდგმა.
 ჩვენი თვალნი კი, თითქოს უკულმა შებრუნებულნი,
 ხაფანგებივით ალყად უდგანან
 მათ ლალ გასასვლელს სამყაროს გულში.
 რაც ჩვენ მიღმაა, მხოლოდ ცხოველის სახის იერით
 შევიცნობთ მუდამ;
 რადგან სრულიად ყრმასაც კი უკვე მხარს ვაცვლევივინებთ
 და ვაიძულებთ,
 რომ მან უკულმა დაინახოს
 სამყაროს ხატი, არა — *განხმული*,
 რაც ასე ღრმაა ცხოველთ სახეში. თავისუფალი
 სიკვდილისაგან.
 მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვხედავთ სიკვდილს;
 თავისუფალი ცხოველი კი აღსასრულს თვისას
 ნიადაგ უკან ჩამოიტოვებს და ჰყავს წინარე
 მარტოოდენ ღმერთი, და, თუკი მიდის,
 ნაკადულივით მარადისობის საუფლოში მიედინება.
 ჩვენ არასოდეს არ გვექონია წინ, ერთი დღითაც კი,
 ის წმინდა სივრცე, სადაც ყვავილნი დაუსაბამოდ
 იფურჩქნებიან.
 ყველგან ყოველთვის არის სამყარო
 და არასოდეს არსად ყოფნა არას გარეშე:
 წმინდა, თვალთაგან მოუხილავი, რითაც ვსულდგმულობთ,
 რაც უსასრულოდ ვიცით და მიტომ არა გვენყურია.
 ყმანვილობისას ჩაიკარგება ადამიანი შეუმჩნეველად, იქ,
 მის წიაღში
 და ხელაღებით კვლავ გამოჰგლეჯენ თავდავიწყებას.
 და როცა კვდება
 უკვე იმ სივრცედ გარდაიქმნება.
 რადგან სიკვდილთან ახლოს მყოფნი,
 სიკვდილს ვერ ვხედავთ, ვიმზირებით უკვე მის მიღმა,

აქ ყველაფერი მანძილია, იქ სუნთქვა იყო.

და იმ პირველი სამშობლოს შემდეგ,
მეორე მისთვის ორსქესაა და ქარიანი.
ო, ნეტარებავ ერთი ციდა ქმნილებებისა,
ვინც იმ საშოში რჩება ნიადაგ, რომელშიაც თვით ჩაისახა;
ო, ბუზანკალის ბედნიერებავ, ნიაღვივე რომ ხტის

და ცმუკავს,

საკუთარი ქორნილის დროსაც: რამეთუ საშო ყველაფერია.
შეხედეთ ჩიტის ნახევარ რწმენას, ვინც ლამის ორთავ
იდუმალებას ფლობს საკუთარი წარმოშობისა.

თითქოს ცხედრიდან ამოხდენილი

ეტრუსკების სულია იგი, რომელიც სივრცემ გაითავისა,
თუმცა სარკოფაგს სარქველად ედგა,
განსვენებულის მშვიდი სხეული.

და რარიგ არის გაოგნებული იგი, რომელმაც იფრინოს

უნდა —

და საშოში კი იღებს სათავეს. ის საკუთარი თავის წინაშე
შემკრთალივით, შეარხევს ჰაერს, შეარხევს თრთოლვით,
თითქოსდა ფინჯანს სერავდეს ბზარი:

ასე გასერავს მწუხრის ფაიფურს ღამურის კვალი.

და აი, ჩვენ კი: მაყურებელნი, ყოველთვის, ყველგან,

ყველაფრისაკენ მიდრეკილნი, არასდროს გარეთ!

საწყაულივით აღვივსებით, გადმოვდინდებით.

და ვანესრიგებთ აქ ყოველივეს, ირღვევა ისევ.

კვლავაც თავიდან ვამყარებთ ნესრიგს, და თვით ვირღვევით.

ვინ შეგვაბრუნა ისე, რომ როგორც არ უნდა დავშვრეთ,

მაინც მარადუამს გზას ვადგავართ იმ ყარიბივით,

ან საბოლოო ბორცვზე შემდგარი, თავის მინდორ-ველს

ერთხელაც რომ შეავლებს მზერას,

შემობრუნდება და დააყოვნებს —

ამგვარად ვცხვოვრობთ: დღენიადაგ ვემშვიდობებით.

მეცხრე ელეგია

რატომლა, რისთვის, თუ შეიძლება, რომ ამოვწუროთ
 ვადა ყოფნისა, დაფნისნაირი მსუყე სიმწვანით,
 ყველა სხვა მწვანე მცენარეულზე მცირეოდენი
 ჭარბი სიმუქით. მცირე ტალღებით მოვარაყებულ
 ფოთოლთა კიდით, (თითქოსდა ქარის იყოს ღიმილი):
 მაშინ რატომლა არის საჭირო ადამიანთა
 ვალმოხდის ნება — და ბედისაგან თავარიდებით
 ნატვრა-სურვილი იმავე ბედისა?

ო, განა იმად, რომ არსებობს ბედნიერება,
 ეს ადრეული სარგებელი მოახლოებულ დანაკლისისა,
 ანდა უბრალო ცნობისმოყვარე სურვილის გამო,
 ან იმისათვის,
 რომ ყოფილიყო გულისცემა თუნდ დაფნაშიაც...

არამედ იმად, რომ აქ ყოფნა ბევრია ძალზედ,
 რადგან ყველაფერს აქ არსებულს ვჭირდებით თითქოს,
 წარმავალს ყოველს, ჩვენ რომ გვეხება ასე საოცრად,
 ჩვენ უწარმავლესთ, ერთგ ზის ყოველი, ო, მხოლოდ ერთგ ზის,
 ერთგ ზის და აღარ.

და ჩვენც ასევე ერთგ ზის მხოლოდ, არასდროს მეტად.
 მაგრამ ამგვარი ერთგ ზისი ყოფნა, თუნდაც ერთგ ზისი:
 მიწიერი სახით მოვლენა, არის თითქოს გარდაუვალი.

და ასე მკვიდრად ვეკვრით ერთმანეთს
 და აღსრულების სურვილი გვიპყრობს.
 აღსრულებულის შენარჩუნება გვწყურია რადგან,
 ჩვენ ამ უბრალო, შიშველ ხელებში,
 ნაჯერ მზერასა და უთქმელ გულში,
 გვინდა, გვწყურია სიცოცხლედ ვიქცეთ — და გავიმეტოთ?
 გვიჯობს ყოველი დავინარჩუნოთ სამარადისოდ...
 ოჰ, თუმცა სულ სხვა მიმართებაში,
 ვაგლახ, ო ნეტავ, ვის რა მიაქვს მიღმიერ მხარეს?

ვერც ცქერით ტკბობა, რაც აქ ასე ძნელად ვისწავლეთ.
 ვერც სააქაოს მოხდენილი რაიმე ამბავი, სულ ვერაფერი.
 მაშ, ტკივილები, მაშ, უპირველეს ყოვლისა, დრტვინვა,
 მაშ, სიყვარულის უძველესი გამოცდილება —
 მაშასადამე, ყველაფერი ერთ უთქმელი.
 შემდეგ კი უფრო მოგვიანებით ვარსკვლავთა შორის,
 რა საჭიროა ეს ყველაფერი: ისინი ერთ გამოუთქმელნი
 უმჯობესნი არიან ბევრად.

ხომ არ ჩამოაქვს მოგზაურს მათათა ქანობიდან
 მიწით სავსე პეშვიც კი ბარად, ყველასთვის ერთ
 გამოუთქმელი,

არამედ მხოლოდ მონაპოვარი სიტყვა მჭვირვალი,
 ვით ყვითელი და ცისფერი რტო მთის ნაღველასი.
 ჩვენ, ალბათ, იმად ვარსებობთ ქვეყნად,
 რათა ვთქვათ სახლი, ნაკადული, ხიდი, კარიბჭე,
 დოქი, სარკმელი, ხეხილი, ანდა უფრო მეტი —
 სვეტები, კოშკი... მაგრამ იცოდე, თქმას გააჩნია,
 ო, სთქვი იმგვარად, როგორც თვით საგნებს
 არასოდეს უგულისხმიათ შინაგანად ყოფნა ასეთი.

განა არ არის იდუმალი რამ ცბიერება გულჩახვეული
 დედამინისა,
 როცა იგი მიჯნურთ აწყვილებს, რომ მათს გრძნობაში,
 ყველა კუნჭული თვით ალიგ ზნება?

ზღურბლი: რა არის იგი ორი მეტრფესთვის,
 ის, რომ ისინი უძველეს ზღურბლს
 მათი კარისა სულ ოდნავ სცვეთენ,
 მსგავსად მრავალი წინმავალისა
 და მომავალთა გაჩენამდე... მსწრაფლი შეხებით.

აქაა სწორედ სათქმელის ჟამი. აქ არის მისი დედა-სამშობლო.
 სთქვი, ალიარე. უფრო მეტად ვიდრე ოდესმე,
 ილტვიან შორეთს საგნები სრულად განსაცდელი,
 რადგან ის, რაიც გამოდევნით მათ ჩაინაცვლებს,
 არის ქმედება სახის გარეშე,
 ქმედება ქერქში მომწყვდეული, მორჩილად რომ დაიბზარება,

როგორც კი წიაღ მოქმედება აღმოცენდება
და თავს სხვაგვარად შეიბოჭავს.
უროებს შორის ძლებს ჩვენი გული,
ისე, ვით ენა კბილთა შორის გამომწყვდეული,
რომელიც მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მეხოტბე რჩება.

თქვი ანგელოზთან სამყაროს ხოტბა და არა ერთ
გამოუთქმელი,
მასთან ვერასდროს დაიტრაბახებ შენ, საუცხოოდ
აღსრულებულით.
იმ სამყაროში, სად იგი უფრო ზემგრძნობიარედ
შეიგრძნობს ყოველს,
ხარ ახალბედა, ამაღ აჩვენე უბრალო რამე,
რაც თაობიდან თაობებზე გადმოსვლისას ყალიბდებოდა,
რაც ცოცხლობს, როგორც ჩვენეული.
აქვე ჩვენს ხელთით და ჩვენს მზერაში.
უთხარ საგანნი, იგი შესდგება განცვიფრებული,
როგორც შენ იდექ მებაგირის წინარე რომში,
ან მექოთნის წინ ნილოსის პირად.
აჩვენე, თუ რა სვებედნიერი შეიძლება იყოს საგანი,
რა უცოდველი და ოდენ ჩვენი.
თუ თვით მჭმუნვარე კაეშანი რა სინმინდით განსხეულდება,
გვემსახურება როგორც საგანი,
ან კვდება მასში — და ვიოლინოს
მიღმიერ მხარეს ნეტარებით განერინება.
და მათ საგნებმა, წარმავალი ცხოვრებით მცხოვრებთ,
კარგად უწყიან, რომ შენ მათ აქებ;
წარმავალობით სნეულები ჩვენვე გვანდობენ გადასარჩენს,
ჩვენ, უწარმავლესთ.
სურთ, რომ უჩინარ გულში იგი მთლად გარდავსახოთ,
ო, უსასრულოდ — ვქმნათ ჩვენ არსებად! ვინაც არ უნდა
შევიქნათ ბოლოს.

მიწაო, განა ეს არ არის, ის რაც შენ გინდა:
რომ უჩინარად აღმოცენდე ჩვენსავ სიღრმეში?

განა არ არის შენი ოცნება: უჩინარი გახდე ოდესმე?
 — მიწავე, სრულიად უჩინარი!
 რა არის თუ არ გარდასახვა, მოუთმენელი მოთხოვნა შენი.
 მიწაო, ჩემო სიყვარულო, სურვილად ვიქეც.
 ოჰ, დამიჯერე, შენ ჩემი გულის მოსაგებად
 გაზაფხულები არ გჭირდებოდა; ერთიც კი უკვე,
 ო, გაზაფხული ერთადერთი, სისხლისათვის მეტისმეტი
 უსახელოდ ვარ ამოხსნილი მე შენ წინაშე, შორსა ხარ თუმცა.
 მუდამ სიმართლით მართავდი შენ და ანაზღეული
 აზრი შენი, უზენაესი, სიკვდილია შეუცნობელი.

ხედავ მე ვცოცხლობ, როგორ, რისაგან?
 არც ბავშვობა და არც მომავალი არა მცირდება...
 აურაცხელი ყოფიერება კვირტს ისხამს გულში.

მეათე ელევია

რომ მე ოდესმე უღმობელი ცოდნის მიწურულს,
 ქება-დიდების საგალობელი ვუთხრა თანამგრძნობ
 ანგელოზებს,
 რომ ჩემი გულის ხმა-ნათელი ჩაქუჩებიდან
 არ მიღალატოს არც ერთმა, როცა
 ჩვილ ეჭვით სნეულ, ან მწყდომარ სიმებს აახმიანებს.
 რომ სახე ჩემი ცრემლდამდინარი მეტ ნათელს მფენდეს;
 რომ ჭეშმარიტი ცრემლი ჰყვაოდეს.
 ოი, რარიგად მეყვარებოდით, ღამენო, მაშინ, სავსენო
 ნალვლით,
 რომ მუხლთამოყრით უნუგეშოდ შთენილო დანო,
 არ მოგეახლეთ,
 რომ თქვენს გაშლილ თმებს
 მისხალ-მისხალ არ მივეც თავი.
 ჩვენ კი ტკივილთა გამფლანგველები, ვით ვჭვრეტთ
 წინასწარ,
 მათ კაეშნიან მდინარებაში, უჩანს თუ არა სატიკივარს ბოლო.

ისინი ხომ არიან ჩვენთვის, ზამთრის საფარი ფოთლოვანი,
მარადმწვანე სიმუქე აზრის, იდუმალი წლის დროთაგან
ერთი —,

და განა მარტო უამია იგი —,
არის ალაგი, სარეცელი, სათვისტომო, საძირკველი
და საცხოვრისი.

მართლაც, ვაი, რომ ურვა-ქალაქის ქუჩაბანდები
უცხოა ჩვენთვის,
სადაც ყალბსა და ხშული ხმაურით ქმნილ სიჩუმეში,
სიცარიელის ყალიბიდან ჩამოსხმული ქანდაკი ასე ძალუმად
ბრწყინავს: ოქროცურვილი აურზაური, მსკდომარე ძეგლი.
ო, რა უკვალოდ გაუქარწყლებდა მათ ანგელოზი ნუგეშის
ბაზარს,
ეკლესია რომ ემიჯნება, შეძენილი მზამზარეულად:
სუფთად მოვლილი და ჩარაზული — განზილებული იმედების
ამარა მდგარი,

ისე, ვით ფოსტის სამსახური კვირადღეობით.
გარეთ კი ისევ იკლაკნება წრელი ბრბო ბაზრის,
საქანელები თავისუფლების! ოინბაზები და მყვინთავეები
ხარბი უინისა!

და კობტაპრუნა ბედნიერების მორთული ტირი,
სადაც ცმუკავენ სამიზნეები და სპილენძის ზრიალიც ისმის,
თუკი ყველაზე მოხერხებული ახვედრებს მიზანს.
ტაშისცემიდან შემთხვევისკენ ნაბარბაცდება,
ეძახის რადგან ქანდარათა ნაირფერი ცნობისწადილი,
დოლისცემა და ღრიანცელი.

მოზრდილთათვის კი გაშლილა მეტად მიმზიდველი სანახაობა:
ანატომიურ თვითგამრავლებას ვით ახდენს ფული,
თავშესაქცევად კი არა მხოლოდ: ფალოსი ფულის,
ყველაფერი სრული სისავსით, მთელი მსვლელობა,
— გვასწავლის ჭკუას და გვაზიარებს ნაყოფიერ
ყოფიერებას...

...ოჰ, მაგრამ იქვე მიყოლებით, ბოლო რიკულის უკანა მხარეს

მიკრულ პლაკატთა წარწერის მიღმა: „უსიკვდილოა“,
 ის მწარე ლუდი, მსმელებს რომ ტკბილი ეჩვენებათ,
 თუკი ჩაროზად იცოხნიან ნიადაგ ცინცხალ სანახაობებს...
 იქვე რიკულის უკანა მხარეს, იქვე მას უკან, მართლაა ვილაც.
 ცელქობენ ბალღნი, მიჯნურები ერთუროს ეკვრიან

მოფარებულში

მწირ ბალახზე თავდავინწყებით და ძალღებიც ფლობენ
 ბუნებას.

ყმანვილს შორს, იქით მიუწევს გული, ვაი, თუ ნორჩი გოდება
 უყვარს... აედევნება ყმანვილი სატრფოს მდელითა გავლით.

ასული ეტყვის:

შორსაა ჯერაც... ჩვენ ვცხოვრობთ იქით, მიღმიერ მხარეს.

სად? და ყმანვილი მის კვალს მიჰყვება,

მას ხიბლავს ქალის აღნაგობა ამაყი, მხრები, თლილი კისერი,
 ალბათ, თუ არის დიდებული წარმოშობისა. თუმცა ჩამორჩა,

ზურგი აქცია,

მობრუნდა, ხელი ჩაიქნია, რა გაეწყობა?

იგი ხომ მხოლოდ გოდებაა, სხვა არაფერი.

მხოლოდ ნორჩი მიცვალებულნი, იმ პირველსაწყის

უამგარეშე გულგრილობას ზიარებულნი,

გადავინწყების თეთრი სუდარით მიჰყვებიან მას სიყვარულით.

ქალწულებს იგი ელოდება და ეფერება.

უჩვენებს ფრთხილად რაც თანა აქვს: მარგალიტები

ურვისა და

მოთმინების ნაზი პირბადე —

ხოლო ყმანვილებს მიაცილებს იგი მდუმარედ.

იქ კი, სად მათი საცხოვრისი გაშლილა ველზე,

გოდება ერთი უხუცესთაგან მიეახლება ყმანვილს, თუკი

იგი ჰკითხავს რაიმეს:

ჩვენ ერთდროს დიდი მოდგმა გაგვანჩნდა,

ჩვენი მამანი იქ დიდ მთებში ეწეოდნენ სამთო საქმეებს,

ადამიანთა შორის ხანდახან იქნებ კიდევაც მიაკვლიო

ნატიფად თლილი წინარე-ურვის რაიმე ნატეხს,
 ანდა ბებერი ვულკანიდან ამონთხეულ, ქვადქცეული
 სიბრაზის ლავას.
 ასეა სწორედ. იქიდან მოდის ყველაფერი. ძველად მდიდარნი
 ვიყავით ძალზედ. —

და მიუძღვება ვაჟს მსუბუქად გოდების ქვეყნის
 ვრცელ სანახებში,
 უჩვენებს სვეტებს ტაძრებისა, ანდა ნანგრევებს იმ სიმაგრეთა,
 საიდანაც გოდებათა ერისთავები ქვეყანას ბრძნულად
 მართავდნენ ოდით.

უჩვენებს მაღალ ხეებს ცრემლისა და მინდორ-ველებს
 ვაებათა ყვავილობის უამს.

(ცოცხალნი ამას ნორჩ ფოთლებად იცნობენ მხოლოდ)
 უჩვენებს, როგორ სძოვენ ბალახს გლოვის პირუტყენი —
 და იშვიათად შეიფრთხილებს ფრინველი, მათი მზერის
 გამჭოლი,

გაშლილი ფრთებით რომ ეზიდება
 მისივე ეული ხმამყივარობის წერილ ხატებას. —
 საღამოს მიჰყავს იგი იქით გოდების მოდგმის
 უხუცესთა აკლდამებისკენ,

სად სიბილები და მაცნენი განისვენებენ
 როცა კი ღამე მოახლოვდება, დარონინებენ
 უფრო და უფრო ფეხაკრეფილნი.
 და უცებ მთვარე ამობრწყინდება, ყველაზე უფრო
 თვალფხიზელი ძეგლი საფლავთა,
 ვით ტყუპისცალი ნილოსის პირას აღმართულისა —
 ზვიადი სფინქსი: — საიდუმლო სენაკის ხატი.
 და იოცებენ გვირგვინოსანი თავის ხილვას,
 ვინც საუკუნოდ, ჩუმად, მდუმარედ, ადამიანთა პირისახე
 ვარსკვლავთ სასწორზე დაასვენა.

ვერ აითვისებს ამ საოცრებას ყმანვილის მზერა
 ნაადრევი სიკვდილისგან ბრუდახეუული.
 გოდების მძიმე გამოხედვა კი, სფინქსის გვირგვინით

გამონასხლეტი,
 აფრთხობს ბუს, ნელა რომ გაუსერავს მას აღმაცერად
 ლანვს — ამ უმწიფეს სავსე სიმრგვალეს,
 მოხაზავს რბილად გარდასულთა ახალ სმენისთვის,
 ორსავე მხარეს გაშლილ ფურცელზე, მონახავს ენით
 აუნერვლს.

უფრო მალლა კი ახალ-ახალი ვარსკვლავებია. ვარსკვლავები
 ურვის ქვეყნისა.

მძიმედ ჩამოთვლის გოდება ცთომილთ: — აი აქ, ხედავ
 მხედარია, კვერთხიც იქვეა, უფრო სავსე თანავარსკვლავედს
 უწოდებენ ნაყოფთა გვირგვინს, შემდგომ, უფრო

შორს პოლუსისაკენ:

აკვანი; გზა; მერე წიგნი აღმოდებული; თოჯინა; და აი,
 სარკმელიც,

იქით სამხრეთის ცარგვალზე კი,
 წმინდა ვით ხელი კურთხეული,
 ნათელმოსილი „დონი“ დედათა მაუნყებელი...

მაგრამ გარდასულს წინ გზა აქვს კიდევ და მიაცილებს
 უხუცესი გოდება ყმანვილს

ბაგემდუმრიად ხეობამდე,
 სად მთვარის შუქზე ციმციმებს წყარო სიხარულისა.

მონინებით იხსენიებს წყაროს გოდება:

ადამიანთა მოდგმისათვის იგი მზიდი მდინარეაა.

დგანან მთის ძირას და ეხვევა
 იგი მტირალი გარდაცვლილ ყმანვილს.

სულ მარტოდმარტო აუყვება ვაჟი თავის გზას,
 წინარე ურვის მთაგრეხილებში.

და ერთხელაც კი არ გამოსცემს წკრიალის ხმას მისი ნაბიჯი
 დამუნჯებული ბედისწერიდან.

მაგრამ თუ ჩვენში, უსასრულოდ გარდაცვლილები რაიმ

გულისხმას გააღვიძებენ,
 მიგვანიშნებენ, ალბათ, განძარცულ თხილის გვირგვინთა
 კიდულ კუნწულებს,
 ან გვაუნყებენ ნვიმის შესახებ, რომელიც მინას
 ბნელით მოცულს
 დაესხურება გაზაფხულის ჟამს.

ჩვენ კი, რომელნიც *აღმამფრენი* ბედნიერების
 შესახებ ვფიქრობთ,
 თავბრუდამხვევი გულაჩუყება დაგვიპყრობს თითქმის
 როცა რაიმე ბედნიერი მინად ჩამოვა.

მთარგმნელთა ბიობრაფიები

გივი ალხაზიშვილი, პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი (დაიბ. 1944).

1969 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

იგი 20-ზე მეტი წიგნის ავტორია, მათ შორისაა:

პოეტური კრებულები:

„სინათლე წვეთში“ (1996); „გალწვევის სურვილი“ (2005); „ქორონიკონი“ (2006); „ქორონიკონი“ (2007).

რომანები:

„ამოდის თუ ჩადის მზე?!“ (1999); „სოდომიდან სოდომამდე“ (2000); „რკინის კარს აქეთ და იქით“ (2002).

ესეების კრებული: „სიტყვებში გახიზნული ფიქრი“ (2004).

ქართულად თარგმნა და გამოსცა ათანას ფეტის, ვლადიმირ სოლოვიოვის, ანდრეი ბელის, ალექსანდრე ბლოკის ლექსების წიგნი „მარადი დღე“, ასევე ტუდარ არგეზისა და ვისლავა შიმბორსკას ლექსების წიგნები. ნაირა გელაშვილის მიერ გერმანულიდან მომზადებული პნკარედით და მისივე რედაქციით თარგმნა რაინერ მარია რილკეს და გეორგ ჰაიმის ლექსები.

პოეტური კრებულისათვის „გამოსვლა უდროობიდან“ მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია (1998) და სახელმწიფო პრემია (1999).

ჯემალ აჯიაშვილი, მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატორი (დაიბ. 1944).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

მთარგმნელი აქვს მსოფლიო კლასიკური პოეზიის არაერთი ნიმუში, მათ შორის: ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიის ებრაელი პოეტები, ძველევგვიპტური საგალობლები, სპარსული პოეტური კლასიკა; შექსპირის, მონძაემონ ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები; დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს სონეტები; რ. მ. რილკეს ლექსები (ნაირა გელაშ-

ვილის მიერ მომზადებული პნკარედითა და მისივე რედაქციით); ნელი ზაქსის, ვლადიმირ მაიაკოვსკის, ოსიპ მანდელშტამის, ბორის პასტერნაკის და სხვათა ლექსები.

მისი ორიგინალური და თარგმნილი პიესები იდგმებოდა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობისა და თბილისის მუნიციპალური თეატრების სცენებზე.

საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საბას, ივანე მაჩაბლისა და პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემიების ლაურეატი.

მარიამ ბარამიძე, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი (დაიბ. 1957).

1976 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სწავლა განაგრძო იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტზე.

დისერტაცია — „გეორგ თრაქლის შემოქმედებითი გზა (მსოფლმხედველობა და პოეტიკა)“ (1999).

სამეცნიერო ნაშრომები: „გოეთეს კომპლექსი და გზა ბიოგრაფიულიდან მითიურამდე“ (1996); „თრაქლი და დოსტოევსკი“ (1998); „გეორგ თრაქლის შემოქმედებითი გზა და ამ გზის ადრეული პერიოდი“ (1999).

თარგმანები:

კატია მანი: „ჩემი დაუნერელი მოგონებები“, პროზა (ფრაგმენტები, 1983); გეორგ ბიუჰნერი: „ლეონცი და ლენა“, „ვოიცეკი“, „ლენცი“, პროზა (1996); ჰარი ფიდაიზენი: „ინდიელთა ზღაპრები, მითები და ლეგენდები“ (2000); რობერტ მუზილი: „სიტყვა, წარმოთქმული ლონდონში რილკეს გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე, 1936 წელს“ (1998); ჰერმან ჰესე: „მგელი“, მოთხრობა (1998).

მზია ბაქრაძე, ფილოლოგი-რომანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი (დაიბ. 1930).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ასპირანტურა, გაიარა ერთწლიანი სტაჟირება საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში.

დისერტაცია: „ჟ. პ. სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუცია მისი ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით“.

თარგმანებიდან აღსანიშნავია: მერაბ მამარდაშვილი: „ჩახშული ფიქრი“, პროზა; რ. დიუგე: „მოსკოვი და წამებული საქართველო“, პროზა; მარგარეტ იურსენარის: „აღმოსავლური ნოველები“; ჟ. პ. სარტრი: „ბუზები“, „ემმაკი და უფალი ღმერთი“, დრამები; დომინიკ რაბატე: „ფრანგული რომანი 1900 წლიდან“, თეორიული ნაშრომი; ანი ერნოს ორი ნაწარმოები; ამელი ნოტომი: „კრძალვითა და ცახცახით“, რომანი; მირჩა ელიადე: „მითის ასპექტები“, პროზა.

სამეცნიერო ნაშრომები: სტატიები ფრანგული „ახალი რომანის“ (ანტი-რომანის), სარტრის, კამიუს, იურსენარის, ს. ბეკეტის და სხვათა შესახებ; რეცენზიები ფ. ვიიონის პოეზიის, „შულენ-შპიგელისა“ და სხვა ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებზე.

წერილები საქართველოს გასაბჭოებაზე: „გლოვის ზარი“, „სისხლიანი პერიოდის რამდენიმე ამბავი“, „პორტრეტის ესკიზი (ქაქუცა ჩოლოყაშვილი)“, „კაცი, რომელმაც ლეგიონი გააკვირვა (დიმიტრი ამილახვარი)“, „ფრანგი ქართველი (სერგი წულაძე)“ და სხვ.

თამაზ ბაძალუა, პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი (1959-1987).

1980 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ტრაგიკულად დაიღუპა ცოლ-შვილთან ერთად.

პირველი წიგნი: „მესამე ზარი“ (1982).

თარგმნილი აქვს ჯაკომო ლეოპარდის, პიერ პაოლო პაზოლინის, მოქელანჯელო ბუონაროტის, გიიომ აპოლინერის, რაინერ მარია რილკეს ლექსები.

მისი პიესები: „იფიგენია“, „ღამე და თუთიყუში“, „რეკვიემი ვერცხლის ქორწილისათვის“, „ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო“, „ძველი

როიალი" და სხვ. იდგმებოდა ქ. რუსთავის, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობისა და ერთი მსახიობის თეატრებში. მოთხრობა „დღე“ (1987).

ანდრო ბუაჩიძე, პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი (დაიბ. 1957).

1979 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პოეტური კრებულები: „გარეუბანი“ (1992); „საუბარი წყვედადში“ (1997); „ელნათურები“ (2004, პრემია „საბა“ წლის საუკეთესო პოეტური კრებულისათვის).

ლიტერატურული წერილების კრებული „ილუზიების მსხვერვა“.

ნაირა გელაშვილის მიერ გერმანულიდან მომზადებული პნკარედიტა და რედაქციით თარგმნა რაინერ მარია რილკეს ლექსები.

2003 წელს დაჯილდოვდა ილია ჭავჭავაძის ფონდის ლიტერატურული პრემიით.

გივი გაჩეჩილაძე, პოეტი, მთარგმნელი (1914-1974).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის განხრით.

დისერტაცია — ჯონ გოლსუორსის შემოქმედებაზე. 1950-60 წლებში პირველმა დაიწყო მხატვრული თარგმანის თეორიის კურსის კითხვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1937 წელს გამოსცა ლექსების წიგნი, რომელშიც შევიდა რუსული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური პოეზიის თარგმანები, ამავე წელს — წიგნი ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებაზე. თარგმნილი აქვს შექსპირის 56 სონეტი და რ. მ. რილკეს ლექსები. გამოსცა ორენოვანი ქართულ-რუსული სახელმძღვანელო „მხატვრული თარგმანის თეორია“ (1961).

მზია გელაშვილი, მთარგმნელი, ლიტერატორი (დაიბ. 1946).

1964 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი.

თარგმანები: ბულატოკუჯავა: „თავისუფლების ერთი ყლუპი“, პიესა (1984); ვალენტინ რასპუტინი: მოთხრობები (1990); მიხაილ ბულგაკოვი: „ოსტატი და მარგარიტა“, რომანი (1992); პაოლო კოელიო: „რიო პედრას ნაპირზე ვიჯექ და ვტიროდი“ (2004), „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა“ (2004), „ალქიმიკოსი“ (2005), „ემშაკი და სენიორიტა პრიმი“ (2006), რომანები; ედუარდ შურე: „დიადი ხელდასხმულნი“, პროზა (2008).

ნაირა გელაშვილი, მწერალი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი (დაიბ. 1947).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1970). სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურის სპეციალობით. კითხულობდა ლექციების კურსს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1975-82).

მუშაობდა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში რედაქტორად და მთარგმნელად (1982). აქ ჩამოაყალიბა რაინერ მარია რილკეს შემოქმედების მთარგმნელთა ჯგუფი და გამოსაცემად მოამზადა რ. მ. რილკეს თხზულებათა ხუთტომეული ქართულად (1985).

1993 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრს — „კავკასიურ სახლს“, რომელიც კოლეგებთან ერთად დააფუძნა მთარგმნელთა კოლეგიის ბაზაზე. არის საქართველოს რ. მ. რილკეს საზოგადოების თავმჯდომარე; მის მიერვე დაფუძნებული სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ჟურნალის „აფრა“ მთავარი რედაქტორი. თარგმნილი აქვს: მაისტერ ეკჰარტის, ფ. ჰოლდერლინის, ნოვალისის, ფ. შელინგის, ფ. ნიცშეს, რ. მ. რილკეს, გ. თრაქლის, გ. ჰაიმის, ე. ლ. შიულერის, მ. ჰაიდეგერის, თ. მანის, ჰ. ჰესეს, გ. მარგველაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

გამოცემული აქვს წიგნები: „მოთხრობები“ (1983); „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, რომანი (1983); „დედის ოთახი“, რომანი (1987); „მთვარით განათებული ბალი“, მოთხრობები (1990); „ტრაგიკული გრადაცია“, წერილები ქართული და გერმანული ლიტერატურის პრობლემებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე (1991); რ. მ. რილკე: „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“, რომანი, თარგმანი გერმანულიდან (1991); „საქართველო — სამოთხე ნანგრევებში“, დოკუმენტური პროზა გერმანულ ენაზე, ბერლინი (1993); „სიმშვიდის, სიხარულის, მწუხარებისა და ნუგეშის შესახებ“, ოთხი პოემა (1997); „ავტობიოგრაფიული, მეტისმეტად ავტობიოგრაფიული“, რომანი, ლიტერატურული ზღაპრები, ლექსები, პოემები, სიმღერები (1999); „წინწკლების ქოხი“, საბავშვო ზღაპრები, ლექსები, სიმღერები (1999); „გოლიათების მწვანე კუნძული და ლტოლვილი გოგონა ნია-ნია“, ზღაპარი მუსიკალური დისკით (2004); „ტროლეიბუსი ასტარიონი და მისი მგზავრები“, საბავშვო რომანი (2005); „სარკის ნატეხები“ რომანი (2006); „დრო, პური და ღვინო“, ლექსები, პოემები, სიმღერები (2006); „აკამუკის გზები“, ლიტერატურული ზღაპრების კრებული (2006); „საერო და რელიგიური სიმღერები“, მუსიკალური დისკი.

2008 წელს გამოვიდა რაინერ მარია რილკეს ხუთტომეული ნაირა გელაშვილის საერთო რედაქციით, სადაც პროზა-პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის თარგმანი მასვე ეკუთვნის. 2008 წელს ლიტერატურული პრემია „გალა“ გადაეცა ნაირა გელაშვილის პროექტს „რაინერ მარია რილკე — თხზულებანი ხუთ ტომად“, წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტის ნომინაციაში გამარჯვებისათვის. ასევე, მთარგმნელობითი საქმიანობისათვის მინიჭებული აქვს ავსტრიის კულტურის სამინისტროს ლიტერატურული პრემია.

ნანა გოგოლაშვილი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (დაიბ. 1938).

1961 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

დისერტაცია: „ირეალური მოდალობის ველის კონფიგურაცია გერმანულ ენაში“ (1970).

თარგმანები გერმანულიდან ქართულად: ე. თ. ა. ჰოფმანი: „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“, რომანი (1981); ჰერმან ჰესე: „ტრამალის მგელი“, რომანი (1995, 2001), „დამსვენებელი“, მოთხრობა (1995, 2007), ზღაპრები (2007), „ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა“, პროზა (1987); ნოვალისი: „ჰაინრიჰ ფონ ოფტენდინგენი“, რომანი (1989); ჰაინც კიუპერი: „რძე და თაფლი“, პიესა (1984); გიუნტერ გრასი: „დედალი ვირთაგვა“ (1997), „კიბორჩხალას ნაბიჯით“ (2008), რომანები, ნობელიანტის მოხსენება „გაგრძელება იქნება“; თომას მანი: „იოსები და ძმანი მისნი“, რომანი (I ტ., ირაკლი სურგულაძესთან ერთად); ფრიდრიჰ დიურენმატის, იურეკ ბეკერის, კლაუს შლეზინგერის, ვალტერ მათიას დიგელმანის, ვალტერ კახაპერის, იანკო ფერკის, გერჰარდ იაშკეს, მარიანე გრუბერის, ჰერბერტ აიზენრაიჰისა და სხვათა მოთხრობები; ვალტერ იენსის, თეოდორ ადორნოს, თომას მანის, ფრანც იოზეფ ჩერნინის ესეები.

გერმანულ ენაზე თარგმნა ქართველი მწერლების: გურამ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძის, ირინე ბაქანიძის მოთხრობები, რომლებიც შევიდა ნაირა გელაშვილის მიერ Subrkamp-ში გამოცემულ ანთოლოგიაში (ფრანკფურტი, 2000).

კრიტიკული წერილები ქართული ენისა და ტრანსლაციკის პრობლემურ საკითხებზე; სამეცნიერო სტატიები საენათმეცნიერო, ფსიქო- და სოციოლინგვისტურ პრობლემებთან დაკავშირებით.

მთარგმნელობით სფეროში განეული საქმიანობისათვის მინიჭებული აქვს ავსტრიის კულტურის სამინისტროს ლიტერატურული პრემია (2003).

ლულუ დადიანი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, მხატვარი (დაიბ. 1942).

1964 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანიკული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ხელოვნების ფაკულტეტი ფერწერის განხრით.

თარგმანები: რ. მ. რილკე: „დუინური ელეგიები“ (ორი გამოცემა — 1998, ვენა და 2007, თბილისი. ორივე წიგნს დართული აქვს მთარგმნელის ილუსტრაციები, მათგან პირველმა დაიმსახურა ავსტრიის კულტურის სამინისტროს მთარგმნელობითი პრემია), „სონეტები ორფევსისადმი“, ცალკეული ლექსები; გერჰარდ ტენცერი: „ზაფხულის არდადეგები“, ლექსები; კარლ ლუბომირსკი: „ღამეული პროპილევები“, ლექსები; ლუ ალბერტ-ლაზარი: „გზები რილკესთან ერთად“, მოგონებები; ქრისტინე ბუსტასა და ინგებორგ ბახმანის ლექსები; სტანისლავ აიდანიანი: „ყურმოკრული ფაუსტი“, პოეტური პროზა; ული როტფუსი: „ქვების სუნთქვის შესახებ“, ლექსები.

ავსტრიული ლიტერატურის თარგმნისათვის მიენიჭა ავსტრიის სამთავრობო პრემია (2000) და ავსტრიის ფედერალური სახელმწიფო კანცელარიის პრემია (2004).

მხატვრულად გააფორმა შემდეგი წიგნები: ნოვალისი: „ჰაინრიჰ ფონ ოფტენდინგენი“; ნაირა გელაშვილი: „დედის ოთახი“, „სერსო“, „ტრაგიკული გრადაცია“, „მთვარით განათებული ბალი“, „Показание“; კავკასიური ფოლკლორის სერია: ქართული, აფხაზური, ოსური, ჩეჩნური, ადიღური, ნოღაური, ინგუშური, აბაზგური ფოლკლორი; საიათნოვას ლექსები (სამენოვანი სასაჩუქრო გამოცემა); პარუირ სევაკი: „იქმენინ ნათელი“; გურამ ოდიშარია: „გაუცხოების პლანეტა“; რაინერ მარია რილკეს ხუთტომეული და სხვ.

1973 წლიდან მონაწილეობს როგორც საქართველოში, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნებში მოწყობილ პერსონალურ და ჯგუფურ სამხატვრო გამოფენებში.

წინო დარბაისელი, პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატორი (დაიბ. 1961).

1984წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პოეტური კრებულები: „ახალდედები“ (1987); „ჩემი სიყვარულის პნკარედი“ (1994); „დილისპირული“ (2002); ნაირა გელაშვილის მიერ გერმანულიდან მომზადებული პნკარედიდან თარგმნა

რაინერ მარია რილკეს ლექსები. დისერტაცია: „ვერლიბრი პოეზიაში“ (1992).

ომარ თურმანაული, პოეტი, მთარგმნელი (დაიბ. 1959).

1990 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი ფრანგული ენის სპეციალობით.

პოეტური კრებულები: „დღე – ღამის დედა“ (1984); „ცოდებები და გვირილები“ (1991); „რა“ (1994); თარგმნის ფრანგულ პოეზიას. ნაირა გელაშვილის მიერ გერმანულიდან მომზადებული პნკარედიდან თარგმნა რაინერ მარია რილკეს ლექსები.

ზურაბ კაკაბაძე, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, პროფესორი (1926-1982).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

ავტორია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ და პოლონურ ენებზე გამოქვეყნებული 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის: „ეგზისტენციური კრიზისის პრობლემა და ე. ჰუსერლის ტრანსცენდენტური ფენომენოლოგია“ (1966); „აღამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ (1970).

წერილების კრებულები: „ფილოსოფია, ცხოვრება, ხელოვნება“ (1976), „ხელოვნების ფენომენი“ (1980).

ვახუშტი კოტეტიშვილი, აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი, მთარგმნელი, ქართული ფოლკლორის მკვლევარი, პედაგოგი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1935-2008).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1959).

დაცული აქვს ორი დისერტაცია: „ჰაფეზის პოეზია“ (საკანდიდატო), „სპარსული რითმის სტრუქტურა“ (სადოქტოო). არის 95 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

გამოცემული აქვს: ესეების კრებული „მართალს ვიტყვი“, 2005; **ლირიკული კრებულები**: „ქვიშის საათი“ (2005); „რისი თქმაც

შევძელი“ (2007); „სონეტები“ (2008); გამოცემული აქვს ფოლკლორული კრებულები: „ლექსი მინდა ვთქვა“ (1987), „ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები“ (1990), „მთის ფერდზე თეთრო ყვავილო“ (2007).

თარგმანები: სპარსული პოეზიიდან: რუბაყი, დაყაყი, აბუ საიდი, ანზარი, ანვარი, ომარ ჰაიამი, ჯალალ ად-დინ რუმი, ობეიდ ზაკანი, საადი, ჰაფეზი, აბდ ორ-რაქმან ჯამი, ჰომეინი; გერმანულენოვანი პოეზიიდან: რ. მ. რილკე, ჰერმან ჰესე, ფრიდრიჰ დიურენმატი; რუსული პოეზიიდან: ინოკენტი ანენსკი, მაქსიმოვილიან ვოლოშინი, ნიკოლაი გუმილიოვი, ველიმირ ხლებნიკოვი, ოსიპ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი, მარინა ცვეტაევა, იოსიფ ბროდსკი; ჰოლანდიური ლირიკიდან: ჰერიტ კომრეი.

მიღებული აქვს პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ლიტერატურული პრემია, ავსტრიის კულტურის სამინისტროს მთარგმნელობითი პრემია, ლიტერატურული პრემია „საბა“.

2007 წელს ირანის სამთავრობო კომისიამ ვახუშტი კოტეტიშვილი მსოფლიოს ექვს საუკეთესო ირანისტს შორის დაასახელა და საპატიო სიგელი გადასცა.

თამარ კოტრიკაძე, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, ლიტერატორი (დაიბ. 1973).

1995 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1994-1995 წლებში სწავლობდა გერმანიაში, ქ. ბამბერგის უნივერსიტეტში.

სადიპლომო ნაშრომი: „ორ სამყაროს შუა: რაინერ მარია რილკეს რომანი“ (1995).

დისერტაცია: „ანგელოზის თემა და მოტივი თანამედროვე დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურაში“ (2003). თარგმნილი აქვს რაინერ მარია რილკეს, ქრისტიანე ლავანტის, ბეტინა ბრენტანოს, დ. ჰ. ლორენსის, რეი ბრედბერისა და სხვების პროზაული ტექსტები. მის მიერ გამოცემული წიგნი: ქრისტიანე ლავანტი „ლექსები და მოთხრობები“ (2002) ავსტრიის კულტურის სამინისტროს მთარგმნელობითი პრემიით დაჯილდოვდა (2003). გამოქვეყნებული აქვს კრიტიკული წერილები ქრისტიანე ლავან-

ტის, რ. მ. რილკეს, დ. ჰ. ლორენსის, ჯ. რ. რ. ტოლკიენის, დ. მერე-უკოვსკისა და სხვათა, მათ შორის ზოგიერთი ქართველი ავტორის შემოქმედების შესახებ.

ლამარა ნაროუშვილი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი (დაიბ. 1938).

1961 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1968-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში.

თარგმანები: ვერნერ ჰაიზენბერგი: „ნაწილი და მთელი“, საუბრები; კონრად ლორენცი: „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“, პროზა; ჰ. ფრიდრიჰი: „თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა“, გამოკვლევა; გ. ბენი: „თანამედროვე ლირიკის პრობლემები“, წერილები; ლამარა რამიშვილთან ერთად გამოსცა გ. ლინდემანისა და ჰ. ბეკჰოფის „ხელოვნების ლექსიკონი“ (ტ. 1, 1992).

ნინო ნახუცრიშვილი-ბაქანიძე, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი (დაიბ. 1956).

1980 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

დისერტაცია: „რაინერ მარია რილკეს ადრეული პროზა“ (1982).
თარგმნა ადალბერტ ფონ შამისოს, ჰაინრიჰ ჰაინეს, ვ. მიულერის ლექსები. ორიგინალური მოთხრობების კრებული „განა ნასული ვარ?“ (2004). გამოქვეყნებული აქვს: მონოგრაფიები „რაინერ მარია რილკეს პოეტური სამყარო“ (2002) და „გოეთე და ეზოთერიზმი“ (2004); 12 სამეცნიერო ნაშრომი, მიძღვნილი XVIII-XIX საუკუნეების გერმანულენოვანი ლიტერატურისადმი; ნაშრომები რ. მ. რილკეს შემოქმედებაზე: „მარიონეტისა და სიტუაციის ცნებები რაინერ მარია რილკესთან, რ. კასნერსა და ჰ. ფონ კლაისტთან“ (1999); „დიდი დათვის თანავარსკვლავედის სიმბოლიკა რ. მ. რილ-

კეს შემოქმედებაში" (1999); „რ. მ. რილკეს ორფიკული ლირიკის ასტრონომიულ-მითოლოგიური ნყარობები" (2001); „რ. მ. რილკე და რ. კასნერი" (2001).

გიორგი ნიშნიანიძე, ლიტერატორი, მთარგმნელი (1935-1998).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილება. მთარგმნელი და გამოცემული აქვს: ჯეკ ლონდონის მოთხრობები, უილიამ შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“, ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, კრებული „ინგლისური პოეზია“, სადაც ასამდე ინგლისელი პოეტის ლექსები შევიდა. გამოქვეყნებული აქვს საკუთარი ლექსები ჟურნალ „ცისკარში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“.

მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია ინგლისური და ამერიკული პოეზიის კრებულისათვის „დიახ, სემ ჰოლი გახლავართ“.

დალი სიხარულიძე, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი (დაიბ. 1937).

1960 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი.

არის რაინერ მარია რილკეს შემოქმედების პირველი მკვლევარი საქართველოში. გამოქვეყნებული აქვს შრომები რილკეს პოეზიაზე, მათ შორის: „რილკე და სახვითი ხელოვნება“, „რილკე საგანთა ბუნების შესახებ“, „ლექსი-საგანი“, „რაინერ მარია რილკეს სიყვარულის კონცეფცია“ და სხვა. მონაწილეობა აქვს მიღებული გერმანისტთა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში.

დალი ფანჯიკიძე, გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტიის პროფესორი (დაიბ. 1937).

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

თარგმნილი აქვს: თომას მანი: „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ავანტურისტ ფელიქს კრულის აღსარება“, რომანები; მაქს ფრიში: „Homo Faber“, „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, რომანები; ჰერმან ჰესე: „ჯადოქრის ბავშვობა“, „მოკლე ავტობიოგრაფია“, „პოეტი“, „ნავსაყუდელი“, „ტესინური შემოდგომის დღე“, „ბატონი კლაასენი“, „გოეთეს სამადლობელი“, „ნოვალისი“, „უსაქმურობის ხელოვნება“, მცირე პროზა; ულრიჰ პლენცდორფი: „ახალგაზდა ვ.-ს ახალი ვნებანი“, რომანი; ფელიქს ბრაუნი: ფილოსოფიური ლირიკა; თანამედროვე ავსტრიელი მწერლების მოთხრობები; ჰელმუტ ნიდერლეს მოთხრობები; რ. მ. რილკეს წერილები; ინგებორგ ბახმანი: „სიზმრების მალაზია“, რადიოპიესა; „მეც მიცხოვრია არკადიაში“. პროზა; „ჩემი ფრინველი“, ლექსი; ჰაინრიჰ ბიოლი: „ლოენგრინის სიკვდილი“, მოთხრობა; ალფრედ დიობლინი: „ბაბუაწვერას მკვლელობა“, მოთხრობები; სიბილე ბერგი: „რამდენიმე ადამიანი დაეძებს ბედნიერებას და კვდება სიცილით“, ფრაგმენტი: „ნორას შია“, პროზა; გრიგოლ რობაქიძე: „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“, ესე; ი. ვ. გოეთე: „პოეზია და სინამდვილე“, ბიოგრაფიული რომანი, ნან. I.

დაჯილდოებულია ივანე მაჩაბლის სახელობის მთარგმნელობითი პრემიით. *სამეცნიერო ნაშრომები:* „წერილები“ (1980); „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (მონოგრაფია, 1987); „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“ (მონოგრაფია, 1995); „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“ (სახელმძღვანელო, 2002, 2005); „ენა. თარგმანი. მკითხველი“ (სტატიების კრებული, 2002); 80-მდე სამეცნიერო სტატია. საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე გერმანულ და ქართულ ენებზე წაკითხული მოხსენებები.

ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი (დაიბ. 1956).

1979 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1977-1978 წლებში სწავლობდა ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტზე. დაიცვა დიპლომი თემაზე „სიკვდილ-სიცოცხლის გაგება რილკეს შემოქმედებაში“.

თარგმნილი აქვს: მიხაელ ენდე: „მომო“, რომანი-ზღაპარი; რაინერ მარია რილკე: „ურჩხულის მძლეველი“, მოთხრობა; „წერილები ახალგაზრდა პოეტს“; „როდენი“, მონოგრაფია; „თეთრი ბანოვანი“, ლირიკული დრამა; ჰერმან ჰესე: „ზიდჰარტა“, პროზა; ალბერტ შტეფენი: „წერილები ხელოვნებაზე“; თომა კემპიელი: „ქრისტეს მიმდევრები“, რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულება; ჰანს-დიტრიჰ გენშერი: მემუარები; ინგებორგ ბახმანი: „მალინა“, რომანი, I ნაწილი; „თქმადი და უთქმადი, ლუდვიგ ვიტგენშტიანის ფილოსოფია“, ესე; „სახელთან მიმართება“, ესე; ლექსები, 3 რადიო-პიესა, მოთხრობები; ნაზირა ვაჩნაძე: მოგონებები „დეპორტირებული მესხი ქალის — ნაზირას წიგნი“; ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი: 100 ლექსის პნკარედი. გაკეთებული აქვს მრავალი გერმანული ლექსის პნკარედული თარგმანი.

გაგა ჩხეიძე, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, ხელოვნებათმცოდნე (დაიბ. 1957).

1980 წელს დაამთავრა იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტი.

თარგმნილი აქვს ნოვალისის, გეორგ ბიუჰნერის, ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის, ფრანც კაფკას, რობერტ მუზილის, გეორგ თრაქლის, ელზე ლასკერ-შიულერის, რაინერ მარია რილკეს ნაწარმოებები.

ნათელა ხუციშვილი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პედაგოგი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1926-2007).

1949 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

თანამშრომლობდა გერმანულენოვანი გაზეთების *Kaukasische Zeitung* და *Tbilisser Zeitung* რედაქციებთან.

თარგმნილი აქვს ქართულიდან გერმანულად: მ. ელიოზიშვილის, ო. იოსელიანის, ედ. ყიფიანის პროზა; „ვისრამიანი“ (ნელი ამაშუკელთან ერთად); ოთარ ჩხეიძის, რეზო ჭეიშვილის, ნოდარ დუმბაძის, გიორგი ცოცანიძის მოთხრობები კრებულისათვის *Georgische Erzählungen des 20. Jahrhunderts* (Suhrkamp, ფრანკფურტი, 2000, შემდგენელი ნაირა გელაშვილი).

გერმანულიდან ქართულად:

ანეტე დროსტე-ჰიულჰოფის, ნიკოლაუს ლენაუს, ჰერმან ჰესეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ფრიდრიჰ შილერის, ზარა კირშის, ფრიდრიჰ ნიცშეს, ქრისტიანე ლავანტის, იურა ზოიფერის, ვოლფ ბირმანისა და სხვათა ლექსები, ალსანიშნავია მის მიერ გამოცემული „გერმანულენოვანი პოეზიის ნიმუშები ქართული თარგმანებითურთ“ (თსუ, 2008); ა. ენდლერი: „საქართველოს შესახებ თხრობის ორი ცდა“, პროზა; ანტონიო ფიანი: „დრამოლეტიები“, მცირე დრამები; რობერტ მენასე: „უთვისებო ქვეყანა“, ესე ავსტრიის ეროვნული იდენტურობის შესახებ; რ. მ. რილკეს ადრეული მოთხრობები; ვილჰელმ ბუში: „მაქსი და მორიცი“, „პლიში და პლუმი (ტყაპი და ტყლუპი)“, პოემები; ფელიქს პეკინა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული გადმოცემა ახალგაზრდებისათვის; რუთ კლუგერი: სიცოცხლე გრძელდება (ფრაგმენტი რომანიდან).

ლია ჯაყელი, ლიტერატორი, მთარგმნელი, კინოდოკუმენტალისტი (დაიბ. 1951).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1970-ანი წლებიდან აქვეყნებს ორიგინალურ ლექსებს.

თარგმნილი აქვს: ინგლისურენოვანი პოეზიის ცალკეული ნიმუშები; ვლადიმირ ჰოლანის „საუბარი ჰამლეტთან“ და „საუბარი ოფელიასთან“ (პოემები), ლექსები ციკლიდან „მოცარტიანა“ და

ცალკეული ლექსები (ჩეხურიდან); ართურ კონან დოილის დეტექტიური რომანები და მოთხრობები (ინგლისურიდან); რ. მ. რილკეს ლექსები კრებულებიდან „მარიამის ცხოვრება“ და „ახალი ლექსები“ (ნაირა გელაშვილის პნკარედის მიხედვით).

არის ავტორი და რეჟისორი ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე დოკუმენტური ფილმისა. ფილმებისათვის — „იგი ცვლის სამყაროს“ და „უჩინარნი“ — მიღებული აქვს ევროპული ფონდების სპეციალური პრემიები.

BIOGRAPHIEN DER ÜBERSETZER

Dschemal Adschiaschwili, Schriftsteller, Übersetzer, Literat (geb. 1944).

Orientalistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi.

Übersetzungen aus klassischer Weltichtung: alttestamentliche Psalmen, hebräische Dichter Andalusiens, altägyptische Hymnen, klassische persische Dichtung, kaukasischer Nartepos, lyrische Dramen von Shakespeare, Mondsaemon Chikamazu, Tirso de Molina, Carlo Gozzi, Sonette von Dante, Petrarca, Michelangelo Buonarroti, Gedichte von R. M. Rilke (nach Interlinearübersetzungen und unter Redaktion von Naira Gelaschwili), Nelly Sachs, Wladimir Majakowski, Osip Mandelstamm, Boris Pasternak u. a.

Originelle und übersetzte Dramen, aufgeführt in: Kote-Mardschanischwili-Theater, Weriko-Andschaparidse-Montheater und Muni-zipaltheater in Tbilissi.

Staatpreis, Ehrenorden, Literaturpreis *Saba*, Iwane-Matschabeli-Preis, Preis des Georgisch-Europäischen Instituts (Frankreich).

Giwi Alchasischwili, Lyriker, Prosaiker, Essayist und Übersetzer (geb. 1944).

Philologiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1969). Über 20 Bücher, darunter Lyrikbände: *Licht in einem Tropfen* (1996); *Drang zur Flucht* (2005); *Choronikon* (2006); *Choronikon* (2007); Romane: *Steigt die Sonne oder sinkt sie?!* (1999); *Von Sodom bis Sodom* (2000); *Diesseits und jenseits der eisernen Tür* (2002); Sammlung essayistischer Schriften *Der in Worte eingewanderte Gedanke* (2004).

Lyrikübersetzungen: Tudar Arges, Wislawa Szymborska, Afanasi Fet, Wladimir Solowjow, Andrej Beli, Alexander Block. Poetische Übertragungen von Rainer Maria Rilkes Gedichten nach Naira Gelaschwilis Interlinearübersetzungen.

Akaki Zereteli-Literaturpreis (1998) und Staatspreis (1999) für den Lyrikband *Ausgang aus der Zeitlosigkeit*.

Tamas Badsagua, Dichter, Dramatiker, Übersetzer (1959-1987).

Philologiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1980).

Lyrikband: *Die dritte Glocke* (1982).

Übersetzungen von Jacomo Leopardis Gedichten (1985), Gedichten von Pier Paolo Pasolini, Michelangelo Buonarroti, Guillaume Apollinaire, Rainer Maria Rilke.

Dramen, unter anderen: *Iphigenie; Ein Requiem für die Silberhochzeit; Wirf den Anker ein, Engel; Der alte Konzertflügel; Die Nacht und der Papagai*. Aufführungen im Theater der Stadt Rustavi, im Tbilisser Achmeteli Theater und im „Theater für einen einzigen Schauspieler“ in Tbilissi. Erzählung *Der Tag* (1982).

Tragisch verunglückt zusammen mit Familie infolge eines Unfalls.

Msia Bakradse, Französin, Übersetzerin, Pädagogin (geb. 1930).

Studium an der Fakultät für fremde Sprachen und Literatur der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi. Einjähriger Forschungsaufenthalt an der Universität Sorbonne in Frankreich.

Doktorarbeit: „Evolution der Weltanschauung J. P. Sartres nach der Analyse seiner Werke“.

Wichtigste Übersetzungen: Merab Mamardaschwili: *Unterdrückter Gedanke*, Prosa; R. Duges: *Moskau und das gemarterte Georgien*, Prosa; Marguerite Yourcenar: *Östliche Novellen*; J. P. Sartre: *Fliegen, Der Teufel und der liebe Gott*, Dramen; Dominique Rabaté: *Der französische Roman seit 1900*, Prosa; Zwei Werke von Anni Ernault; Amélie Nothomb: *Mit Staunen und Zittern*, Roman; Mircea Eliade: *Aspekte des Mythos*, Prosa.

Wissenschaftliche Arbeiten: Artikel über den neuen französischen Roman (Anti-Roman), über Sartre, Camus, Yourcenar, Samuel Beckett u. a.; Rezensionen zu georgischen Ausgaben von François Villons Gedichten, „Ullenspiegel“ u. a.

Artikel zu sowjetischer Annexion Georgiens: *Klagegelaüt; Einige Geschichten aus der blutigen Zeit; Skizze für ein Bildnis (Kakutsa Tscholokaschwili); Der Mann, der die ganze Legion zum Staunen brachte (Dimitri Amilakwari); Ein französischer Georgier (Sergo Tsuladse)* u. a.

Mariam Baramidse, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin, (geb. 1957).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-

Universität Tbilissi (1976). Weiteres Studium an der Fakultät für Literatur und Kunst der Friedrich-Schiller-Universität Jena.

Doktorarbeit: *Georg Trakls schöpferischer Weg (Weltanschauung und Poetik)* (1999).

Wissenschaftliche Artikel: *Der Goethekomplex und der Weg vom Biographischen zum Mythischen* (1996); *Trakl und Dostojewski* (1998); *Georg Trakls schöpferischer Weg und die frühe Periode dieses Weges* (1999).

Übersetzungen: Katja Mann: *Meine ungeschriebenen Erinnerungen, Fragmente* (1983); Georg Büchner: *Leonce und Lena, Woyzeck, Lenz*, Prosa (1996); Harry Findeisen: *Märchen, Mythen und Legenden der Indianer* (2000); Robert Musil: *Rede zum Todestag Rilkes* (1998); Hermann Hesse: *Der Wolf*, Erzählung (1998).

Andro Buatschidse, Lyriker, Übersetzer, Essayist (geb. 1957).

Philologiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1979). Lyrikbände: *Vorstadt* (1992); *Gespräch im Dunkel* (1997); *Elektrische Lampen* (2004); Essayistischer Band: *Buch der Illusionen*.

Literaturpreis *Saba* für den besten Lyrikband des Jahres (2004); Literaturpreis der Ilia-Tschawtschawadse-Stiftung (2003).

Poetische Übertragungen von Rainer Maria Rilkes Gedichten nach Naira Gelaschwilis Interlinearübersetzungen.

Natela Chuzischwili, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin, Professorin der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1926-2007).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1952).

Mitarbeit an deutschsprachigen Zeitungen *Kaukasische Zeitung* und *Tbilisser Zeitung*.

Übersetzungen georgischer Literatur in die deutsche Sprache: Erzählungen von M. Elioschwili, O. Ioseliani, E. Kipiani; Epos *Wisramiani* (in Zusammenarbeit mit Neli Amaschukeli); Erzählungen von Otar Tschkeidse, Reso Tscheischwili, Nodar Dumbadse, Giorgi Zozanidse für die Suhrkamp Anthologie *Georgische Erzählungen des 20. Jahrhunderts* (Frankfurt, 2000, herausgegeben von Naira Gelaschwili).

Übersetzungen aus dem Deutschen: Gedichte von Annette Droste-Hülshoff, Nikolaus Lenau, Hermann Hesse, J. W. Goethe, Friedrich Schiller, Sarah Kirsch, Friedrich Nietzsche, Christine Lavant, Jura Seyfer, Wolf Biermann u.a., darunter eine zweisprachige Ausgabe: *Beispiele der deutschsprachigen Lyrik mit georgischen Übersetzungen* (2008); A. Endler: *Zwei Versuche des Berichts über Georgien*, Prosa (Auszug); Antonio Fian: *Dramoletten*; Robert Menasse: *Das Land ohne Eigenschaften*, Essay; R. M. Rilkes frühe Erzählungen; Wilhelm Busch: *Max und Moritz, Plisch und Plum*, Poeme; Felix Pekina: *Der Mann im Tigerfell* von Schota Rustaweli, eine Prosaübertragung für Jugendliche; Ruth Klüger: *Weiter leben* (Romanfragment).

Lulu Dadiani, Germanistin, Übersetzerin, Künstlerin (geb. 1942).

Studium an der Fakultät für romanisch-germanische Sprachen und Literatur und der Fakultät für Kunst (Fachrichtung Ölmalerei) an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1964).

Übersetzungen: Rainer Maria Rilke: *Duineser Elegien* (das Buch ist mit Illustrationen der Übersetzerin versehen), *Sonette an Orpheus*, einzelne Gedichte; Gerhard Tänzler: *Sommerreise*, Gedichte; Karl Lubomirski: *Propyläen der Nacht*, Gedichte; Lou Albert-Lasard: *Wege mit Rilke*, Erinnerungen; Gedichte von Christine Busta und Ingeborg Bachmann; Stanislaw Aidinjan: *Nachgelauschter Faust*, lyrische Prosa; Uli Rothfuss: *vom atmen der steine*, Gedichte.

Regierungspreis der Republik Österreich (2000) und Preis des Bundeskanzleiamtes der Republik Österreich für die Übersetzung der österreichischen Literatur (2004).

Künstlerische Gestaltung folgender Bücher: Novalis: *Heinrich von Otfendingen*; Naira Gelaschwili: *Das Zimmer der Mutter, Serso, Tragische Steigerung, Der monderhellte Garten, Показание*; Folklorereihe: georgische, abkhasische, ossetische, tschetschenische, adigische, nogaische, inguschetische, abasgische Volksdichtung; Sajatnowas Lyrik (dreisprachiger Geschenkband); Paruir Sewak: *Es werde Licht*; Guram Odischaria: *Planet der Entfremdung* u. a.

Seit 1973 – Teilnahme an Personal- und Gruppenausstellungen im Inland sowie in einigen Ländern Europas und Asiens.

Nino Darbaiseli, Lyrikerin, Übersetzerin, Literatin (geb. 1961).

Philologiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1984). Lyrikbänder: *Junge Mütter* (1987), *Interlinearübersetzung meiner Liebe* (1994), *Morgenlied* (2002). Doktorarbeit: *Vers libres als Form der lyrischen Dichtung* (1992).

Lia Dschakeli, Literatin, Übersetzerin, Kinodokumentalistin (geb. 1951).

Philologiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi.

Originale Gedichte seit den 70-en Jahren.

Übersetzungen: englischsprachige Lyrik; Vladimir Holan: *Nacht mit Hamlet, Nacht mit Ophelia*, Poeme, Gedichte aus dem Kreis *Mozartiana* und andere Gedichte (aus dem Tschechischen);

Kriminalromane und -erzählungen von Arthur Conan Dowel (aus dem Englischen); R. M. Rilkes Gedichte aus den Sammlungen *Marienleben* und *Neue Gedichte*, aus dem Deutschen nach den Interlinearübersetzung.

Autorin und Regisseurin einiger Dokumentarfilme zum Problem des Menschenrechtsschutzes. Spezielle Preise einiger europäischer Stiftungen für die Filme *Sie ändert die Welt* und *Die Unsichtbaren*.

Givi Gatschetschiladse, Lyriker, Übersetzer (1914-1974).

Anglistikstudium an der Fakultät für westeuropäische Sprachen und Literatur der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi.

Doktorarbeit zu John Galsworthys Werk. Gründer der Übersetzungstheorie in Georgien (Vorlesungen an der Staatlichen Universität Tbilissi, 1950-60).

Lyrikband, auch Übersetzungen aus dem Russischen, Englischen, Französischen und Spanischen enthaltend (1937). Monographie zum Leben und Werk von George Gordon Byron (1937).

Zweisprachiges Handbuch zur Theorie der literarischen Übersetzung (georgisch und russisch). Übersetzung von 56 Sonetten Shakespeares und einzelner Gedichte Rainer Maria Rilkes.

Msia Gelaschwili, Übersetzerin, Literatin (geb. 1946).

Studium an der Fakultät für russische Philologie der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1964).

Übersetzungen: Bulat Okudschawa: *Ein Schluck Freiheit*, Drama

(1984); Walentin Rasputin: Erzählungen (1990); Michail Bulgakow: *Meister und Marguerite*, Roman (1992); Paolo Coelho: *Am Ufer der Rio Pedra saß ich und weinte* (2004), *Veronika beschloß zu sterben* (2004), *Der Alchemist* (2005), *Der Dämon und das Fräulein Prym* (2006), Romane; Eduard Churet: *Die grossen Eingeweihten*, Prosa (2008).

Naira Gelaschwili, Schriftstellerin, Germanistin, Übersetzerin, Publizistin (geb. 1947).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1970).

Weiteres Studium an der Aspirantur mit der Fachrichtung Euro-Amerikanische Literatur. Leitung des Vorlesungskursus in westeuropäischer Literatur an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1975-1982).

Redakteurin und Übersetzerin am Hauptkollegium für literarische Übersetzungen (1982), wo sie die Arbeitsgruppe für Übersetzung und Forschung von R. M. Rilkes Werk zusammensetzte. Die Gruppe bereitete für den Druck die georgische Rilkeausgabe in fünf Bänden vor (1985). Ab 1989 arbeitet sie mit der Bewegung der Grünen zusammen und bemüht sich, sowohl mit praktischen als auch theoretischen Mitteln die Entwicklung des ökologischen Bewusstseins zu unterstützen. 1990 wird sie Mitgründerin der gesamtkaukasischen kulturell-ökologischen Bewegung „Kaukasus – unser gemeinsames Haus“.

Seit 1993 leitet sie das Zentrum für kulturelle Beziehungen Georgiens - das „Kaukasische Haus“, das von ihr, gemeinsam mit Kollegen, auf der Basis des Übersetzungskollegiums gegründet wurde.

Vorsitzende der georgischen R. M. Rilke-Gesellschaft; Chefredakteurin der von ihr gegründeten Periodika: die literarisch-gesellschaftlich-religiöse Zeitschrift „Apra“ („Segel“) und die regionale gesellschaftliche Zeitschrift „Tschweni Sopeli“ („Unser Dorf“).

Übersetzungen aus: Meister Eckhart, Friedrich Hölderlin, Novalis, Friedrich Schelling, Friedrich Nietzsche, R. M. Rilke, Georg Trakl, Georg Heym, Else Lasker-Schüler, Martin Heidegger, Thomas Mann, Hermann Hesse, Giwi Margwelaschwili usw.

Bücher: „Erzählungen“ (1983); „Amber, Umber und Araber“, Roman (1983); „Das Zimmer der Mutter“, Roman (1987); „Der monderhellte Garten“, Erzählungen (1990); Rainer Maria Rilke: „Die Aufzeichnungen

des Malte Laurids Brigge“, Übersetzung aus dem Deutschen (1991); „Tragische Steigerung“, Artikel zu Problemen der georgischen und deutschsprachigen Literatur und zu gesellschaftlich-politischen Ereignissen (1991); Dokumentarband „Georgien – Paradies in Trümmern“, in deutscher Sprache (Berlin, 1993); „Von Stille, Freude, Trauer und Trost“, vier Poeme (1997); „Autobiografisches, allzu Autobiografisches“, Roman, Kunstmärchen, Gedichte, Poeme, Lieder (1999); „Spiegelscherben“, Roman (2006); „Zeit, Brot, Wein“, Gedichte, Poeme, Lieder (2006); Kinderliteratur: „Das Tüpfelhäuslein“, Märchen, Gedichte, Lieder (1999); „Die grüne Insel der Riesen und das Flüchtlingsmädchen Nia-Nia“, Märchen mit CD (2004); „Der Trolleybus Astarion und seine Fahrgäste“, Roman für Kinder (2005); „Akamuks Strassen“, Märchensammlung (2006); „Geistliche und weltliche Lieder“, CD.

2008 erschienen Rainer Maria Rilkes Werke in 5 Bänden, herausgegeben von Naira Gelaschwili. Ein wichtiger Teil von Lyrik und Prosa, die die Ausgabe enthält, wurde von ihr übersetzt. 2008 erhielt Naira Gelaschwilis Projekt „Rainer Maria Rilkes Werke in 5 Bänden“ den Literaturpreis *Gala* für das beste Literaturprojekt des Jahres.

Übersetzungspreis des österreichischen Kulturministeriums.

Nana Gogolashwili, Germanistin, Übersetzerin, Professorin der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (geb. 1938).

Germanistikstudium an der Fakultät für westeuropäische Sprachen und Literatur der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1961).

Dissertation: *Konfiguration des irrealen modalen Feldes in der deutschen Sprache* (1970).

Übersetzungen: E. T. A. Hoffmann: *Die Lebensansichten des Katers Murr*, Roman; Hermann Hesse: *Der Steppenwolf*, Roman; Märchen; *Der Kurgast*, *Kurzgefasster Lebenslauf* – kurze Prosa; Novalis: *Heinrich von Ofterdingen*, Roman; Heinz Küper: *Milch und Honig*, Bühnenstück; Günter Grass: *Die Rättin*, *Im Krebsgang*, Romane, Nobelpreisrede *Fortsetzung folgt*; Thomas Mann: *Josef und seine Brüder*, Roman (1. Band, in Zusammenarbeit mit Irakli Surguladse); einzelne Erzählungen von: Friedrich Dürrenmatt, Jurek Becker, Klaus Schlesinger, Walter Matthias Diegelmann, Walter Cachaper, Janko Jerk, Gerhard Jaschke, Marianne Gruber, Herbert Eisenreich, Heimito von Doderer, Helmut A. Niederle;

kritische Schriften von: Walter Jens, Theodor Adorno, Thomas Mann, Franz Josef Czernin.

Übersetzung von Erzählungen moderner georgischer Autoren – Guram Rtscheulischwili, Guram Gegeschidse, Irine Bakanidse – ins Deutsche für die Suhrkamp Anthologie *Georgische Erzählungen des 20. Jahrhunderts* (Frankfurt, 2000, herausgegeben von Naira Gelaschwili).

Kritische Artikel zu Problemen der georgischen Sprache und Translatik; wissenschaftliche Artikel zu sprachwissenschaftlichen und soziolinguistischen Problemen.

Übersetzungspreis des österreichischen Kulturministeriums für die gesamte Übersetzerische Tätigkeit (2003).

Surab Kakabadse, Philosoph, Übersetzer, Professor (1926-1982).

Philosophiestudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi.

Über 40 wissenschaftliche Werke zu Problemen der Ästhetik, Ethik und Kultur, veröffentlicht auf Georgisch, Russisch, Deutsch, Englisch, Japanisch und Polnisch. Darunter die bedeutendsten: *Das Problem der existentiellen Krise und transzendente Phänomenologie bei E. Husserl* (1966), *Der Mensch, als philosophisches Problem* (1970); *Philosophie, Leben, Kunst* (Sammelband, 1976), *Das Phänomen der Kunst* (Sammelband, 1980).

Wakhushti Kotetischwili, Schriftsteller, Lyrikübersetzer, Forscher georgischer Volksdichtung, Pädagoge, Professor an der Staatlichen Dschawachischwili-Universität Tbilissi (1935-2008).

Orientalistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1959).

Wissenschaftliche Studien – zwei Dissertationen (*Dichtung von Hafes und Struktur des persischen Reimes*) und 95 wissenschaftliche Werke.

Essayistischer Band *Ich sage die Wahrheit*; Lyrikbänder: *Die Sanduhr* (2005), *Das, was sich sagen ließ* (2007), *Sonette* (2008).

Herausgabe von Volksdichtungssammlungen: *Ich möcht' ein Gedicht sagen* (1987), *Wakhushti Kotetischwilis Folklorehefte* (1990), *Weißer Blume am Bergrand* (2007).

Übersetzungen:

aus persischer Dichtung: Rubak, Dakak, Abu Said, Ansar, Anwar, Omar Haiam, Jalal ad-Din Rumi, Obeid Zakan, Saadi, Hafez, Abd or-

Rakman Jami, Homeini; *aus deutschsprachiger Lyrik*: Rainer Maria Rilke, Hermann Hesse, Friedrich Dürrenmatt; *aus russischer Lyrik*: Inokenti Annenski, Maximilian Woloschin, Nikolai Gumiljow, Welimir Khlebnikow, Osip Mandelstamm, Boris Pasternak, Marina Zwetaewa, Josif Brodski; *aus holländischer Lyrik*: Herit Komrei.

Literaturpreis des Georgisch-Europäischen Instituts (Frankreich), Übersetzungspreis des österreichischen Kulturministeriums, Literaturpreis *Saba* (Georgien).

2007 ernannte die iranische Regierungskommission Wakhushti Kotetischwili unter sechs besten Iranisten der Welt und überreichte ihm ein Ehrenschreiben.

Tamar Kotrikadze, Germanistin, Übersetzerin, Literatin (geb. 1973).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1995).

Diplomarbeit: *Zwischen zwei Welten: Rainer Maria Rilkes Malte-Roman* (1995).

Dissertation zum *Thema und Gestalt des Engels in der modernen westeuropäischen Literatur* (2003).

Übersetzungen der Prosawerke von Rainer Maria Rilke, Christine Lavant, Bettina Brentano, D. H. Lawrence, Ray Bradbury, Dmitri Merezhowski u. a. Übersetzungspreis des österreichischen Kulturministeriums für die Herausgabe des Buches: Christine Lavant: *Gedichte und Erzählungen* (2003).

Kritische Artikel zu Christine Lavant, Rainer Maria Rilke, D. H. Lawrence, J. R. R. Tolkien, D. Merezhkowski und einigen georgischen Autoren.

Nino Nachuzrischwili-Bakanidse, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin (geb. 1956).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1980). Dissertation zum Thema *Rainer Maria Rilkes frühe Prosa* (1982).

Übersetzungen der Gedichte von Adalbert von Chamisso, Heinrich Heine, W. Müller (1978); originaler Erzählungsband *Ich bin ja nicht weg!* (2004).

Monographien: *Dichterische Welt von Rainer Maria Rilke* (2002), *Goethe und Esoterik* (2004).

12 wissenschaftliche Artikel zu deutschsprachiger Literatur des 18. und 19. Jahrhunderts.

Wissenschaftliche Artikel zu R. M. Rilke: *Begriffe der Marionette und der Situation in Werken von R. M. Rilke, R. Kassner und H. von Kleist* (1999); *Symbolik des Sternbildes des großen Bären in R. M. Rilkes Werk* (1999); *Astronomisch-mythologische Quellen der orphischen Lyrik R. M. Rilkes* (2001); *R. M. Rilke und R. Kassner* (2001).

Lamara Narouschwili, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin (geb. 1938).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1961). 1968-1970 – Studium am Ilia-Tschawtschawadse-Fremdspracheninstitut Tbilissi.

Übersetzungen: Werner Heisenberg: *Der Teil und das Ganze*, Gespräche; Konrad Lorenz: *Die acht Todsünden der zivilisierten Menschheit*, Prosa; H. Friedrich: *Struktur der modernen Lyrik*, theoretisches Werk; G. Benn: *Probleme der modernen Lyrik*, Aufsätze. Herausgabe (in Zusammenarbeit mit Lamara Ramischwili) des *Kunstlexikons* von G. Lindemann und H. Beckhof, 1 Band (1992).

Literaturwissenschaftliche Artikel.

Giorgi Nischnianidse, Literat, Übersetzer (1935-1998).

Anglistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1970).

Wichtigste Publikationen und Übersetzungen: Jack London: *Erzählungen*, William Shakespeare: *Thimon von Athen*, Drama, Jeffrey Chaucer: *Die Geschichten von Canterbury*, Kleine Anthologie der englischen und amerikanischen Dichtung, Band: *Englische Dichtung* (Ausgewählte Gedichte von etwa 100 englischen Dichtern); eigene Gedichte in georgischer literarischen Periodica.

Iwane-Matschabeli-Übersetzungspreis für den Band der englischen und amerikanischen Dichtung *Ja, ich heiße Sam Hell*.

Dali Pandschikidse, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin, Professorin der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (geb. 1937).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi.

Übersetzungen: Thomas Mann: *Buddenbrooks*, *Der Zauberberg*, *Bekenntnisse des Hochstaplers Felix Krull*, Romane; Max Frisch: *Homo Faber*, *Mein Name sei Gantenbein*, Romane; Hermann Hesse: *Kindheit des Zauberers*, *Kurzgefasster Lebenslauf*, *Der Dichter*, *Die Zuflucht*, *Tessiner Herbsttag*, *Herr Klaasen*, *Dank an Goethe*, *Novalis*, *Die Kunst des Müßigganges*, kurze Prosa; Ulrich Plenzdorf: *Die neuen Leiden des jungen W.*, Roman; Erzählungen der österreichischen Schriftsteller der dritten Generation; Felix Braun: Philosophische Lyrik; Helmut Niederle: Erzählungen; R. M. Rilke: Briefe; Ingeborg Bachmann: *Ein Geschäft mit Träumen*, Hörspiel, *Auch ich habe in Arkadien gelebt*, Prosa, *Mein Vogel*, Gedicht; Heinrich Böll: *Lohengrins Tod*, Erzählung; Alfred Döblin: *Ermordung der Butterblume*, Erzählungen; Sibylle Berg: *Ein paar Leute suchen das Glück und lachen sich tot*, Prosa (der Abschnitt *Nora hat Hunger*); Grigol Robakidse: *Adolf Hitler von einem fremden Dichter gesehen*, Essay; J. W. Goethe: *Dichtung und Wahrheit*, Roman, 1. Teil.

Iwane-Matschabeli-Preis für übersetzerische Tätigkeit.

Wissenschaftliche Werke zur Übersetzungstheorie: *Schriftenreihe* (1980), *Theorie und Praxis der Übersetzung* (1987), *Die neuen Übersetzungstheorien und das Problem der Stilerhaltung* (Monographie, 1995), *Einige Fragen der georgischen Übersetzungsgeschichte* (Lehrbuch, 2002, 2005), *Sprache, Übersetzung, Leser* (Schriftenreihe, 2002); über 80 Abhandlungen in Zeitschriften.

Asmat Pizkhelauri-Pardschiani, Germanistin, Übersetzerin (geb.1956).

Germanistikstudium an der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi (1979). Weiteres Studium an der Friedrich-Schiller-Universität Jena (1977-1978).

Dissertation: *Leben und Tod im Werk R. M. Rilkes*.

Übersetzungen: Michael Ende: *Momo*, ein Märchenroman; R. M. Rilke: *Der Drachentöter*, Erzählung, *Briefe an einen jungen Dichter*, *Rodin*, Monografie, *Die weiße Fürstin*, Drama; Interlinearübersetzungen von Gedichten einiger deutschen Dichter; Hermann Hesse: *Siddhartha*, Prosa; Albert Steffen: *Schriften über die Kunst*, Prosa; Thomas von Kempfen: *Nachfolge Christi*, religiös-philosophisches Werk; Hans Dietrich

Genscher: *Erinnerungen*; Ingeborg Bachmann: *Malina*, Roman, 1. Teil, Gedichte, drei Hörspiele, Erzählungen, Essays; Nasira Watschnadse: *Nasiras Buch*, Erinnerungen einer deportierten meskhethischen Frau; Hugo von Hoffmannsthal: Interlinearübersetzungen von 100 Gedichten.

Dali Sicharulidse, Germanistin, Übersetzerin, Pädagogin (geb. 1937).

Germanistikstudium an Ilia-Tschawtschawadse-Fremdspracheninstitut Tbilissi (1960).

Früheste Rilkeforscherin in Georgien. Wissenschaftliche Artikel zu Rilkes Werk: *Rilke und die bildende Kunst*; *Rilke über die Natur der Dinge*; *Das Ding-Gedicht*; *Die Konzeption der Liebe bei Rainer Maria Rilke* u. a. Teilnahme an internationalen Germanistenkonferenzen und -Seminaren.

Gaga Tschkheidse, Germanist, Übersetzer, Kunstforscher (geb. 1957).

Studium an der Fakultät für Literatur und Kunst der Friedrich-Schiller-Universität Jena (1980).

Übersetzungen der Werke von: Novalis, Georg Büchner, Hugo von Hofmannsthal, Franz Kafka, Robert Musil, Georg Trakl, Else Lasker-Schüler, R. M. Rilke.

Omar Turmanauli, Lyriker, Übersetzer (geb. 1959).

Studium an der Staatlichen Dschawachischwili-Universität Tbilissi, Fachrichtung französische Sprache (1990).

Lyrikbände: *Der Tag – Mutter der Nacht* (1984), *Sünden und Kamillen* (1991), *Was* (1994); lyrische Übersetzungen aus dem Französischen; poetische Übertragungen von Rainer Maria Rilkes Gedichten nach Naira Gelaschwilis Interlinearübersetzungen.

რადინერ მარია რილკე რჩეული ბიბლიოგრაფია

I. თარგმანები

რადინერ მარია რილკე, მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები. მთარგმნელი ნაირა გელაშვილი, თბილისი, „მერანი“, 1991.

რადინერ მარია რილკე, წერილები ახალგაზრდა პოეტს, მთარგმნელი ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი; რჩეული ლექსები, მთარგმნელები: ვახუშტი კოტეტიშვილი, თამაზ ბაძაღვა, ჟურნალი „აფრა“, № 1, 1997.

რადინერ მარია რილკე, დუინური ელეგიები. მთარგმნელი ლულუ დადიანი. ვენა, მეხიტარისტების სტამბა, 1998.

რადინერ მარია რილკე, დუინური ელეგიები, მთარგმნელი ვახუშტი კოტეტიშვილი; წერილები, მთარგმნელები: ნაირა გელაშვილი, ნანა გოგოლაშვილი, ჟურნალი „აფრა“, № 4, 1998.

რადინერ მარია რილკე, ოგიუსტ როდენი, მთარგმნელი ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი, ჟურნალი „აფრა“, № 5, 1998.

რადინერ მარია რილკე, სონეტები ორფევსისადმი, მთარგმნელი ვახუშტი კოტეტიშვილი, ჟურნალი „აფრა“, №5, 1998.

რადინერ მარია რილკე, ეორპსედე (ფრაგმენტი), მთარგმნელი მზია გელაშვილი; ნაირა გელაშვილი, ეორპსედედს შესახებ (ესე), ჟურნალი „აფრა“, № 6, 1998.

მაია ნათაძე, მეოცე საუკუნის ევროპული პოეზია (რჩეული ლექსები, პირველი დუინური ელეგია), ქუთაისი, სააქციო საზოგადოება „მანდარიას“ სტამბა, 2001.

რადინერ მარია რილკე, წერილები. მთარგმნელები: ნანა გოგოლაშვილი, დალი ფანჯიკიძე. თბილისი, „მერანი“, 2002.

რადინერ მარია რილკე, წერილები ახალგაზრდა პოეტს. მთარგმნელი ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი. თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2002.

ვახუშტი კოტეტიშვილი, აღმოსავლურ-დასავლური დივანი. თბილისი (გვრინი კორნეტ კრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკედელზე; რჩეული ლექსები, დუინური ელეგიები, სონეტები ორფევსისადმი), „დიოგენე“, 2002.

რადინერ მარია რილკეს, მარინა ცვეტაევისა და ბორის პასტერნაკის 1926 წლის მიმოწერა, მთარგმნელი ნაირა გელა-

შვილი, ჟურნალი „აფრა“, № 10, 2002.

რაინერ მარია რილკე, იღუმალის თანხლება (ადრეული მოთხრობები). მთარგმნელი ნათელა ხუციშვილი. თსუ, 2003.

რაინერ მარია რილკე, ოგიუსტ როდენი, მთარგმნელი ას-მათ ფიცხელაური-ფარჯიანი. თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2004.

ნატო ინგოროყვა. რაინერ მარია რილკე (ნარკვევი და ლექსების თარგმანები), ბათუმი, 2006.

II. სამეცნიერო ლიტერატურა

ბაქანიძე ნინო, იუგენდშტილი და რილკეს ადრეული პროზა. თბილისი, „საუნჯე“, 1986.

ბაქანიძე ნინო, რ. მ. რილკეს ადრეული პროზა. ავტორეფერატი. 1992.

ბაქანიძე ნინო, რ. მ. რილკეს პოეტური სამყარო. მონოგრაფია. თსუ, 2002.

ბაქანიძე ნინო, „მარიონეტისა“ და „სიცარიელის“ ცნებები რ. მ. რილკეს, რუდოლფ კასნერისა და ჰაინრიხ ფონ კლაისტის შემოქმედებაში. „ინტელექტი“, №4(7), 1999.

ბაქანიძე ნინო, დიდი დათვის თანავარსკვლავედის სიმბოლიკა რ. მ. რილკეს შემოქმედებაში. „ინტელექტი“, №3(6), 1999.

ბაქანიძე ნინო, რ. მ. რილკეს ორფიკული პოეზიის ასტრონომიულ-მითოლოგიური საფუძვლები. თსუ დ/ე ენებისა და ლიტ. ფაკულტეტის შრომები, №2, 2000.

გელაშვილი ნაირა, ერთი ძნელი წიგნი (რ. მ. რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერებისა“ და ლირიკის ანალიზი). წიგნში: „ტრაგიკული გრადაცია“, თბილისი, 1991.

გელაშვილი ნაირა, რაინერ მარია რილკე და საქართველო, ჟურნალი „აფრა“, №4, 1998.

კოტრიკაძე თამარ, რ. მ. რილკეს „დუინური ელეგიების“ ორი ქართული თარგმანის შედარებითი ანალიზი. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი. კონფერენციის „საქართველო და დასავლური სამყარო“ მასალები, 1997, გვ. 33-38.

კოტრიკაძე თამარ, ანგელოზის თემა და მოტივი თანამედროვე

დასავლეთევროპულ ლიტერატურაში (ფრანც კაფკა, დ. შ. ლორენსი, ქრისტინე ლავანტი, შტეფან გეორგე, გეორგ თრაქლი და რ. მ. რილკე). თბილისი, „ენა და კულტურა“, 2002.

Kotrikadze Tamar, Die Gestalt des Engels in R. M. Rilkes Werk. Wien, „Österreich in Geschichte und Literatur“, 2002, Heft 4-5, S. 309-315.

Лебанидзе В. Ш., «Сонеты к Орфею» Рильке и проблема полноты теории сонета. Единство противоположностей: аспекты теории и истории сонета. Тбилиси, 1985, стр. 52-59.

ლანგენფელდი ლუდვიგ, რაინერ მარია რილკე (მთარგმნელი გაბა ჩხვიძე), ჟურნალი „აფრა“, № 4, 1998.

ლებანიძე გურამ, რაინერ მარია რილკეს „დუინური ელეგიები“, ლექცია-საუბრების ციკლი, 1996-2007. ხელნაწერის სახით. გამოქვეყნებულია ფრაგმენტი: რაინერ მარია რილკეს მესუთე დუინური ელეგია. „ალტერნატივა“, № 23 (37), 1999.

სიხარულიძე დალი, რილკე საგანთა ბუნების შესახებ. თბილისი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 10, 1969, გვ. 157-168.

სიხარულიძე დალი, ლექსი-საგანი. თბილისი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 8-9, 1973, გვ. 387-403.

სიხარულიძე დალი, რ. მ. რილკეს სიყვარულის კონცეფცია. საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სამეცნიერო შრომათა კრებული, 1987, გვ. 27-36.

RAINER MARIA RILKE AUSGEWÄHLTE BIBLIOGRAPHIE

I. Werkausgaben

Sämtliche Werke. Hrsg. vom Rilke-Archiv in Verbindung mit Ruth Sieber-Rilke. Besorgt durch Ernst Zinn. I-VI. Insel-Verlag Frankfurt am Main. 1. Auflage 1957. Erneuerte Ausgabe 1987.

Werkausgabe in 12 Bänden. Insel-Verlag Frankfurt am Main 1975. Textidentisch mit den Sämtlichen Werken.

II. Briefausgaben

Gesammelte Briefe I-VI. Hrsg. von Ruth Sieber-Rilke und Carl Sieber. Leipzig 1936-1939.

RMR und Lou Andreas-Salomé. Briefwechsel. Zürich und Wiesbaden 1952. Neue erweiterte Ausgabe 1975.

RMR und Marie von Thurn und Taxis. Briefwechsel. 2 Bde. Zürich und Wiesbaden 1951.

RMR. Briefe an seinen Verleger 1906-1926 (Anton Kippenberg). Leipzig 1934. Neue erweiterte Ausgabe in 2 Bden. Wiesbaden 1949.

III. Bibliographien

Rilke-Bibliographie. Bearbeitet von F. A. Hünich. 1. Teil: Das Werk des Lebenden. Leipzig 1935.

Walter Ritzer, RMR. Bibliographie. Wien 1951.

IV. Dokumentationen

Insel-Almanach auf das Jahr 1967. RMR zum vierzigsten Geburtstag. Frankfurt 1966.

Insel-Almanach auf das Jahr 1977. RMR 1875-1975. Eine Dokumentation. Frankfurt 1976.

Ingeborg Schnack, RMR. Chronik seines Lebens und seines Werkes. 2 Bde. Frankfurt 1975.

V. Erinnerungsbücher

Lou Albert-Lasard, Wege mit Rilke. Frankfurt 1952.

Lou Andreas-Salomé, Lebensrückblick. Zürich und Wiesbaden 1951.

Lou Andreas-Salomé, Rainer Maria Rilke. Leipzig 1928.

Maurice Betz, Rilke in Frankreich. Wien, Leipzig, Zürich 1938.

Rudolf Kassner, Gespräche mit Rilke, In: Univers. 14, 1959, S. 597-602.

Katharina Kippenberg, RMR. Ein Beitrag. Leipzig 1935. Wiesbaden 1948.

Marie von Thurn und Taxis-Hohenlohe, Erinnerungen an RMR. München 1932, 1937. Letzte Ausgabe – Frankfurt 1966.

VI. Wissenschaftliche Literatur

Beda Allemann, Zeit und Figur beim späten Rilke. Ein Beitrag zur Poetik des modernen Gedichts. Pfullingen 1961.

Joseph-François Angelloz, Rilke. Paris 1952. Deutsch u. d. T.: RMR. Leben und Werk. Zürich 1955.

Konstantin Asadowski(Hrsg.), Rilke und Rußland. Briefe, Erinnerungen, Gedichte. Aufbau-Verlag, Berlin und Weimar, 1986.

Dieter Bassermann, Der andere Rilke. Bad Homburg 1961.

Dieter Bassermann, Der späte Rilke. Essen und Freiburg, 1948.

Otto Friedrich Bollnow, Rilke. Stuttgart 1951, 1956.

Else Buddeberg, RMR. Eine innere Biographie. Stuttgart 1955.

Else Buddeberg, Kunst und Existenz im Spätwerk Rilkes. Eine Darstellung nach seinen Briefen. Karlsruhe 1948.

Else Buddeberg, Die Duineser Elegien RMRs. Ein Bild vom Sein und Menschen. Karlsruhe 1948.

Václav Černý, RMR, Prag, Böhmen und die Tschechen. Prag 1966.

Ursula Emde, Rilke und Rodin. Marburg 1949.

Hartmut Engelhardt, Der Versuch, wirklich zu sein. Zu Rilkes sachlichem Sagen. Frankfurt 1973.

Walter Falk, Leid und Verwandlung. Rilke, Kafka, Trakl und der Epochenstil des Impressionismus und Expressionismus. Salzburg 1961.

Margot Fleischer, Nietzsche und Rilkes Duineser Elegien. Diss. masch. Köln 1958.

Ulrich Fülleborn, Das Strukturproblem der späten Lyrik Rilkes. Heidelberg 1960, 1973.

Ulrich Fülleborn und Manfred Engel (Hrsg.), Rilkes Duineser Elegien, Materialien. Suhrkamp 1982.

Romano Guardini, RMRs Deutung des Daseins. Eine Interpretation der Duineser Elegien. München 1953, 1961.

Käte Hamburger, Rilke. Eine Einführung. Stuttgart 1976.

Erich Heller, Rilke und Nietzsche. Mit einem Exkurs über Denken, Glauben und Dichten. In: E. H., Enterbter Geist. Essays über modernes Dichten und Denken. Berlin und Frankfurt 1954, S. 175-244.

Hans-Egon Holthusen, RMR in Selbstzeugnissen und Bilddokumenten. Hamburg 1958. 86.-90. Tsd. 1971 (Rowohlt's Monographien 22).

Hans-Egon Holthusen, Rilkes Sonette an Orpheus. Versuch einer Interpretation. München 1937.

Eudo C. Mason, Lebenshaltung und Symbolik bei RMR. Weimar 1939, Oxford 1964.

Hellmut Rosenfeld, Das deutsche Bildgedicht. Leipzig 1935. Darin: Rilke und das Bildgedicht, S. 246-258.

August Stahl, Rilke-Kommentar zum lyrischen Werk. München 1978.

August Stahl, Rilke-Kommentar zu den „Aufzeichnungen des Malte Laurids Brigge“, zur erzählerischen Prosa, zu den essayistischen Schriften und zum dramatischen Werk. München 1978.

Ernst Zinn, Rilke und die Antike. In: Antike und Abendland, Bd. 3. 1948, S. 201-250.

VII. Periodica

Blätter der Rilke-Gesellschaft. Herausgegeben von der Internationalen R. M. Rilke-Gesellschaft seit ihrem Gründungsjahr 1971.

Germanistische Mitteilungen, Zeitschrift für deutsche Sprache, Literatur und Kultur. Brüssel, 54/2001. Rilkes Poetik und die Folgen.

РАЙНЕР МАРИЯ РИЛЬКЕ ИЗБРАННАЯ БИБЛИОГРАФИЯ РУССКИХ ИЗДАНИЙ¹

Rainer Maria Rilke. Lyrik (составитель, автор предисловья А. В. Карельский). Москва, «Радуга», 1981.

Rainer Maria Rilke. Ausgewählte Prosa. Москва, «Радуга», 1984.

Райнер Мария Рильке. Лирика (перевод Т. Сильман). Москва, Ленинград, «Художественная литература», 1963.

Райнер Мария Рильке. Избранная лирика (составитель Е. Витковский). Москва, «Молодая гвардия», 1974.

Райнер Мария Рильке, Лирика. Москва, «Художественная литература», 1976.

Райнер Мария Рильке. Новые стихотворения, Новых стихотворений вторая часть (изд. подготовили К. Богатырев, П. Ратгауз, Н. Балашов). Москв, «Наука», 1977.

Райнер Мария Рильке. Стихи, Истории о Господе Боге (переводы Е. Борисова, издание с параллельным текстом на немецком языке). Санкт-Петербург, «Евразия», 1996.

Райнер Мария Рильке. Избранные сочиненья (переводы Б. Пастернака, В. Микушевича, Т. Сильман, В. Летучего и др., вступительная статья Е. Витковского). Москва, «Рипол классик», 1998.

Райнер Мария Рильке. Книга образов. Санкт-Петербург, «Терция», «Кристалл», 1999.

Райнер Мария Рильке. Часослов, Стихотворения, Москва, «Фолио», 2000.

Райнер Мария Рильке. Стихи (перевод Н. Григорьева). Москва, «Когелет», 2000.

Райнер Мария Рильке. Проза поэта (перевод М. Рудницкого). Москва, «Вагриус», 2001.

Райнер Мария Рильке. Стихотворения (перевод Вячеслава Куприянова, издание с параллельным текстом на немецком языке). Москва, «Радуга», 2003.

Райнер Мария Рильке. Флорентийский дневник. Из ранней прозы (перевод В. Бакусева). Москва, «Текст», 2001.

Райнер Мария Рильке. Борис Пастернак, Марина Цветаева.

¹ რილკეს რუსული გამოცემების ბიბლიოგრაფია მოამზადა თემურ ხუციშვილმა.

Письма 1926 года (подготовка текста и комментарии К. М. Азадовского, Е. Б. Пастернака и Е. В. Пастернак). Москва, «Книга», 1991.

Марина Цветаева и Р. М. Рильке. Небесная арка (изд. подготовил К. Азадовский). Санкт-Петербург, 1999.

Р. М. Рильке и Александр Бенуа (изд. подготовил К. Азадовский). Санкт-Петербург, «Эгида», 2001.

Г. Э. Хольтхузен. Райнер Мария Рильке (сам свидетельствующий о себе и о своей жизни) (перевод Н. Болдырева). «Урал LTD», 1998.

პირთა საძიებელი
ხუთტომეულის

- აბაშიძე გრიგოლ I 7
 აბელარი პიერ III 327
 ადლერი ფრიდრიჰ V 115, 205, 206
 ადორნო თეოდორ V 228, 230
 აინშტაინი ფრიდრიჰ V 98
 აიშე III 256, 331
 ალბერტ-ლაზარი ლუ (ლულუ) I 263; II 201-214, 315, 319, 320, 326, 327; V 255-277
 ალემპარტე ხაიმე ფერეირო I 238
 ალექსანდრე ნეველი IV 252, 354
 ალიგიერი დანტე II 271; IV 48, 49, 105, 106, 343; V 39, 174, 213, 234
 ალიოშა პოპოვიჩი IV 253-254, 354
 ალკესტიდა I 200
 ალკონოსტი IV 253, 354
 ალკოფორადო მარიანა II 202, 262; III 182, 235, 256, 324; V 25, 37-39, 192, 193, 243
 ალხაზიშვილი გივი I 9, 292-294; V 315, 316, 330
 ამ ენდე ჰანს IV 32, 33, 71-81, 266, 272
 ამენოფის IV V 60
 ანაქტორია III 258, 332
 ანგელოცი ჟოზეფ-ფრანსუა I 221, 222
 ანდრეას-სალომე ლუ I 208, 250, 257, 258, 260, 264, 272, 274, 276, 277; III 308; V 9, 13, 15, 40, 52, 53, 65-68, 93, 189, 196, 199, 203, 217, 259, 271, 273
 ანდრეასი ფრიდრიჰ I 257; V 94
 ანჯელა და ფოლინიო V 44, 50, 195, 196
 ანჯელიკო (ფრა ბეატო ანჯელიკო) I 234
 აპოლონი II 9, 288, 296, 302, 311, 312, 322
 არვერი ალექსის ფელიქს III 207, 325
 არიადნე I 222; V 182, 214
 არნიმი ახიმ ფონ III 327
 არნიმი ბეტინა ფონ (ბეტინა ბრენტანო) III 233, 234, 279, 327; V 24, 28, 29, 30, 31, 56, 191, 192
 არტემიდა II 46, 302, 323
 ატთიდა III 258, 332
 აუგუსტ ძლიერი II 102, 309

- ახალგაზრდა მეგობარი ქალი V 129, 208
 აჯიაშილი ჯემალ I 9, 289; II 322-324, 326; V 315, 330
- ბაგესენი იენს III 231, 327
 დე ბაზალჟეტი V 247
 ბაირონი ჯორჯ I 237
 ბალზაკი ონორე დე IV 112, 127, 131, 132, 137-139, 149, 154, 161, 170, 178, 277, 343, 345; V 24, 192
 ბალთაზარი (ბელშაზარი) II 237, 332
 ბანგი ჰერმან V 109, 204
 ბანვილი თეოდორ დე III 317
 ბარამიძე მარიამ V 316, 331, 332
 ბარი ანტუან IV 108, 343
 ბასერმანი დიტერ I 222
 ბასტიენ-ლეჰაჟი ჟიულ IV 37, 130, 131, 333
 ბაუმბახი II 224
 ბაუმგარტენი ალექსადერ გოთლიბ IV 239, 349
 ბაქრაძე მზია V 316, 317, 331
 ბაძალუა თამაზ I 9, 210, 288, 292; II 322, 324-326; V 317, 318, 330, 331
 ბეატო ანჯელიკო I 234; IV 48, 335
 ბეთგე ჰანს IV 268
 ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან III 279, 292, 293, 315, 322; V 24, 64, 191, 240
 ბეკერი კურტ II 243
 ბელმარი მარკიზ ფონ (გრაფ სენ-ჟერმენი) III 195, 325
 ბენი გოტფრიდ II 283, 298
 ბენვენუტა (მაგდა ფონ ჰატინგბერგი) I 253, 262; V 59, 60, 198, 217, 256, 258, 259
 ბენიამინი ვალტერ V 227, 229, 231
 ბენუა ალექსანდრე IV 261, 357, 358
 ბეჟ ნიმე ელუი V 132, 208, 217
 ბერდსლი ობრი IV 89, 260, 341, 357
 ბერენდტი ჰანს II 299, 303
 ბერეტი ალექსანდრ IV 353
 ბერეტ-ბრაუნინგი ელიზაბეტ I 261
 ბერიელი ჰერცოგი III 243
 ბერნარი ემილ IV 195, 347
 ბერნსტორფი გრაფი ანდრეას პეტერ III 324, 325
 ბერტრანი ალოიზიუს III 317
 ბიბლიდა III 256, 331

- ბირბაუმი ოტო იულიუს IV 90
 ბლოკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე V 149, 150
 ბლუმენტალ-ვაისი ილზე V 88, 202, 217
 ბოკლინი არნოლდ IV 14, 15, 28, 33, 37, 47, 48, 56, 74, 75, 270, 328, 331; V 53, 197
 ბოდე V 232
 ბოდლენდერი რუდოლფ V 99, 203, 217
 ბოდლერი შარლ II 254, 272, 295, 298; III 136, 294, 295, 317, 318, 321; IV 106, 124, 167, 186, 187, 315, 316, 335
 ბოდმანი ემანუელ ფონ V 117
 ბოკელმანი ლუდვიგ IV 39
 ბოკმანი რ. IV 315, 316
 ბოლნოვი ოტო I 222
 ბონე ედიტ V 54
 ნმ. ბორისი IV 252, 353
 ბორუტინი სიდონი ნადჰერნი ფონ V 27, 192
 ბორხი მარია ფონ V 116
 ბორჰარდტი II 227, 228
 ბოსე I 202
 ბოსი ჟან დე IV 241, 349
 ბოსხი იერონიმუს III 326; V 273
 ბოტიჩელი სანდრო II 301
 ბოყაზი I 277
 ბრაე ერიკ III 171, 323
 ბრაე ოტო III 168
 ბრახტი იოგენ III 78; V 248
 ბრეგაძე ლევან I 11
 ბრედეროდე გრაფი ფონ II 27, 299, 323
 ბრეიგელი პიტერ III 326
 ბრენტანო ბეტინა (ბეტინა ფონ არნიმი) III 233, 234, 279, 327; V 24, 28, 29, 30, 31, 56, 191, 192
 ბრენტანო კლემენს III 327
 ბრეჟლოვი კარლ პავლეს ძე IV 257, 355
 ბრუკმანი ელზა I 243; V 269
 ბუაჩიძე ანდრო I 9, 288; V 318, 332
 ბუზონი I 262
 ბულანჟე ლუი IV 138
 ბუნინი ივანე ალექსის ძე V 127, 128, 207
 ბუონაროტი მიკელანჯელო III 67-69; IV 276; V 250

ბურკჰარტი კარლ იაკობ I 264

ბურჟი კლემენტინა დე III 258, 331

ბორნსონი ბორნსტიერნ IV 33-34, 64, 332, 338

ბოუთგერი ფრიც IV 27, 37

ბუჰნერი გეორგ II 223

გაიბელი II 224

გალენი კლაუდიუს III 260, 332

გამსახურდია ზვიად I 8

გაურიციუს პომპონიუს IV 97

გაუტამა ბუდა V 31, 193

გაჩეჩილაძე გივი I 7, 289; V 318, 334

გე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე IV 258, 356

გელაშვილი მზია I 9; IV 359; V 318, 319, 334, 335

გელაშვილი ნაირა I 7, 288, 289, 293; II 235, 253, 255, 311, 324, 327;

III 277, 316, 317, 335; IV 265, 359; V 4, 319, 320, 33, 336

გეორგე შტეფან I 257, 271; II 227, 228; V 87, 109, 117, 202, 205, 206, 270

გენზელი ვალტერ IV 329

გერენი მორის დე I 205, 206, 253, 261

გიერაგი დე ჟოზეფ გაბრიელ III 324; V 192

ნმ. გიორგი V 151, 240

გირინო III 258, 332

ნმ. გლები IV 252, 353

გლიმი II 224

გნაიზენაუ გრაფინია II 302

გოგენი პოლ IV 195, 347

გოგოლაშვილი ნანა I 9; V 320, 321, 336, 337

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე IV 255, 257, 354; V 29, 43, 194

გოეთე იოჰან ვოლფგანგ I 205; II 222, 224, 225, 271, 285, 290, 291;

III 234, 235, 277, 299, 327; IV 76, 273; V 28, 29, 30, 141, 167, 175, 191, 192, 213, 214

გოზონი დეოდატ დე III 268, 332

გოია ფრანცისკო II 300; IV 328

გოლდშმიტ-როტშილდი მარიანე ფონ V 71, 200, 218

გოლიცინა ამალია თავადის ქალი III 267, 332

გოლიცინი დმიტრი თავადი III 332

გონკური ედმონ დე IV 138

გონკური ჟიულ დე IV 138

გონჩაროვი ივანე ალექსანდრეს ძე V 160
 გორკი მაქსიმ I 260
 გოტიე თეოფილ IV 138
 გოშე ლეონ IV 343
 გრაფი ოსკარ მარია I 264
 ელ გრეკო I 238, 239, 247, 248; V 34, 43, 194, 249, 250
 გრფუნი ანასტასიუს II 224
 გუარდინი რომანო I 219, 222
 გუდენი IV 74
 გუნთერი I 222
 გურევიჩი V 26

დაა კლაუს III 168
 დადიანი ლულუ I 9, 237, 282, 295; II 307, 308, 316; V 321, 322, 333
 დავიდ-რონფელდ ვალერი ფონ I 256
 დავიდი IV 138
 და ვინჩი ლეონარდო IV 16, 187, 327; V 29
 დავლიანიძე დავით I 7, 8
 დალუ IV 130
 დანიელი V 42
 დ'ანდუზე კლარა III 256, 331
 დანტე II 271; IV 48, 49, 105, 106, 343; V 39, 174, 213, 234
 დ'ანუნციო IV 113
 დარბაისელი ნინო I 9; II 323; V 322, 323, 334
 დ'არკი ჟანა III 160
 დაფნა II 157, 312
 დებორდი მარსელინა III 256, 331; V 137, 208
 დეზიურსენი ჟან ჟიუვენალ III 242, 328
 დელაკრუა ეჟენ IV 49, 329, 335
 დელპი ელენ I 246, 247; V 74, 76, 218
 დემელი რიჰარდ I 198; II 229; IV 208, 268, 271, 348; V 109
 დენი I 222
 დია ფონ გრაფინია III 256, 331
 დიდერიხი იურგენ IV 268
 დიდერიხსი ოიგენ V 82
 დიდრო დენი V 248
 დიკე III 258, 332
 დიუვალი შარლ III 321
 დიუკერი IV 56

დიუპრე ჟიულ IV 48, 335, 329
 დიურერი ალბრეჰტ IV 19, 31, 37, 46, 330, 332, 334
 დიცი ალბრეჰტ ქრისტოფ ვილჰელმ ფონ IV 28, 29, 76, 331
 დ'ობიუსონი პიერ III 180, 324
 დობრინია ნიკიტინი IV 253, 254, 354
 დობლერი თეოდორ II 227
 დ'ოლივე ფაბრ I 262; V 44-47, 195
 დომიე ონორე IV 195, 347
 დოსტოვესკი თევდორე მიხეილის ძე III 310; IV 255, 346, 354; V 29
 დროჟინი სპირიდონ დიმიტრის ძე I 259; V 234, 235
 დრუე ჟულიეტ IV 343
 დუზე ელეონორა I 262; III 254-256, 331; IV 113-114

ებერსი გეორგ IV 73, 339
 ედუარდ III IV 132
 ევა IV 113, 149
 ევრიდიკე I 200; II 36, 157, 251, 267, 268, 301, 311, 322
 ელენე მშვენიერი V 182
 ელენშლეგელი ადამ III 231, 327
 ელეონორა III 167
 ელოიზა III 235, 327
 ემერსონი რალფ უოლდო IV 97, 342
 ენგელი მანფრედ V 275
 ეოლოსი V 72
 ეპელსჰაიმერი რუდოლფ II 266, 268, 270, 292; III 286
 ერდმანი ილზე II 273
 ეროსი II 194, 317, 326; V 261, 262
 ესქილე V 135
 ეტინგენი სოფი ფონ V 93, 202, 218
 ეტინგენი ფრანც ალბრეჰტ V 202
 ეფრონი არიადნა სერგის ასული V 144, 154, 155, 156, 211
 ეფრონი გიორგი სერგის ძე V 154
 ეფრონი სერგი იაკობის ძე V 155, 211
 ექო II 312
 ეშერი ნანი ფონ V 105, 106, 204, 218

ვ. ე. დე V 95, 203, 218
 ვაგნერი რიჰარდ IV 76, 340
 ვალენშტაინი ალბრეჰტ III 320

- ვალერი პოლ I 198, 202, 236, 265, 266; V 98
ვალმარანა პია დი I 245; V 41, 44, 194, 218
ვალუა შარლ IV 187, 346
ვალცერი ოსკარ IV 319, 322
ვან გოგი ვინსენტ II 295; IV 163, 179, 188, 195, 320, 345, 347
ვან დერ გოესი ჰუგო IV 83, 340
ვან ედენი ფრედერიკ V 251, 252
ვან დერ ველდე ჰენრი IV 241, 349
ვან რასბურგი IV 160
ვან რეისდალი იაკობ IV 14, 328
ვაჟა-ფშაველა III 298
ვარნეკი IV 257
ვასერმანი იაკობ I 257; V 109, 116, 205, 206
ვასილ (ბასილ) ნეტარი III 316
ვასილიევი თევდორე ალექსანდრეს ძე IV 260, 356
ვენერა II 36, 301, 323
ვენეციანოვი ალექსეი გაბრიელის ძე IV 257, 355
ვენცელიო (იმპერატორი ვაცლავ IV) III 245, 329
ვერესაი ოსტაპ IV 350
ვერლენი პოლ II 272; V 208
ვერონეზე პაოლო IV 58, 337
ვერფელი ფრანც I 262; II 230
ვერჰარნი ემილ I 260; II 254; III 295; IV 187; V 23, 110, 191, 205, 218, 247, 248, 259
ვესტჰოფი (რილკე) კლარა I 186, 259, 281, 287; II 235, 238, 239-242, 245, 247, 250, 261, 304; III 288; IV 97, 175-196, 266, 271, 272, 278, 306, 342; V 15, 19, 23, 29, 189, 190, 191, 219, 220, 272
ვიდენბრუკი ნორა I 198
ვიენი ჟან დე IV 133
ვიიონი ფრანსუა II 254; III 295; IV 187, 346
ვილდბრადტი II 224
ვილდერბრუხი II 224
ვილჰელმი ჰერმან II 308
ვინენი პაულ IV 266, 270
ვისკონტი ვალენტინა III 242, 328, 329
ვისტი კლოდ დე III 323
წმ. ვლადიმირი IV 252, 253, 259
ვოგე დე ვიკონტი IV 259, 356
ვოლი ჰანა II 316

ვოლმიოლერი მათილდე I 240; II 239; IV 181, 193
ვუნდერლი-ფოლკარტი ნანი I 265, 266; V 106, 204, 218

ზალუსი ჰუგო V 115, 205, 206
ზაუერი ავგუსტ II 199, 318; V 115
ზაუერი ჰედდა II 199, 318
ზაუტერი გეორგ IV 74, 339
ზეესი II 302, 309, 311
ზენო კარლო V 235, 236, 243
ზიბელი კარლ III 311
ზიმელი გეორგ I 260
ზიცო გრაფინია II 305
ზოლა ემილ IV 76, 178, 345
ზულოაგა II 300; IV 163

თეზევსი V 182, 214
თომა აქვინელი I 221
თომა ჰანს I 281
თორე ეტიენ ჟოზეფ თეოფილ IV 16
თრაქლი გეორგ II 271, 286; III 317; V 69, 70, 200, 221
თურმანაული ომარ I 9, 288, 293; III 307; V 313, 341
თურნ უნდ თაქსისი ალექსანდრე ფონ (მარი ფონ თურნ უნდ
თაქსისის მეუღლე) V 58, 93, 194, 237
თურნ უნდ თაქსისი ალექსანდრე ფონ (ფაშა, მარი ფონ
თურნ უნდ თაქსისის ვაჟიშვილი) V 49, 196, 221
თურნ უნდ თაქსისი მარი ფონ I 198, 241, 243, 244, 245, 247, 261,
262, 265; II 85, 306, 307, 318; V 41, 44, 92, 193, 195, 196, 197, 198,
202, 218, 219, 232-246, 269

იაკობი I 287; IV 38
იაკობოვსკი ლუდვიგ V 117, 206
იაკობსენი იენს პეტერ I 214, 259, 269, 278; II 246; III 279, 332; IV 9,
34, 49, 79, 86, 205-207, 308, 327, 340, 341, 348; V 89, 109, 116,
202, 204, 206
იანსენი პეტერ IV 27, 37
იარი ილზე V 103, 203, 219
იასპერსი კარლ I 219
იაფე პეტერ V 201
იბსენი ჰენრიკ III 279, 281, 292, 322

- იერემია II 49, 303, 323
 იერნბერგი ოლოფ აუგუსტ ანდრეას IV 64, 337
 იერონიმი II 299
 იესო ქრისტე II 78, 297, 304, 306, 324; III 266, 315, 316; IV 15, 73, 220, 253, 257, 258, 332, 333, 334, 339, 356; V 25, 49, 148, 152, 153, 194
 ივანოვი ალექსანდრე ანდრეას ძე IV 257, 355
 ივდიტი V 240
 იკაროსი IV 122
 ილია მურომეცი IV 247, 253, 254, 351, 354
 იოანე IV ვასილის ძე მრისხანე III 59-61, 223, 326; IV 251, 352
 იოანე XXI (ფონ კაჰორი) რომის პაპი III 248, 330
 იოანე XXII რომის პაპი III 246, 248, 329
 იოანე ნათლისმცემელი IV 112, 124, 154
 იოანე უშიშარი ბურგუნდიის ჰერცოგი III 328
 იოანე ღვთისმეტყველი II 304; III 235, 327; V 148
 იობი III 299, 321
 იოსები IV 350
 ისრაელსი იოსებ IV 43, 334
 იულენი იენს III 158, 322
- კავნოსი III 256, 331
 კაზანოვა ჯაკომო V 152, 210
 კაკაბაძე ზურაბ I 7, 288, 289, 291; II 323; V 323, 337
 კაკაბაძე ნოდარ I 7, 8
 კალდერონი III 231
 კალკროითი ვოლფ ფონ I 261; II 67, 246, 271-286, 290, 304; III 310
 კალკროითი ლეოპოლდ II 271, 324; IV 44, 333, 334
 კამპო-ბასო გრაფ დე III 226, 327
 კაპუსი ფრანც ქსავერ II 299; IV 199-236, 348
 კარიერი ეჟენ IV 116, 163, 171
 კარიერ-ბელიოზი IV 160, 276
 კარლოს მამაცი ჰერცოგი III 222, 224-229, 279, 326, 327
 კარლოს V IV 9, 28, 327
 კარლოს VI შეშლილი III 241-246, 328, 329
 კარმელა II 300
 კაროსა ჰანს I 203
 კარპაჩო ვიტორე III 99, 320
 კარპო ჟან-ბატისტ IV 108, 343

- კასირერი ევა I 245
 კასნერი რუდოლფ I 258; II 114, 179, 237, 313, 314; V 43, 58, 65, 68, 93, 194, 199, 219, 232, 234, 277, 303
 კასპარი კარლ V 272
 კასპარი-ფილზერი მარია V 272
 კაულბახი ფრიც აუგუსტ IV 28, 331
 კაფკა ფრანც I 197
 კაჰორი იოანე ფონ (პაპი იოანე XXI) III 248, 330
 კეი ელენ I 259; III 313
 კეისი II 312
 კელერი ფერდინანდ IV 76
 კემერერი I 203
 კესლერი ჰარი IV 175, 344
 კევსელავა მიხეილ I 7
 კიპენბერგი ანტონ I 238, 244, 260, 261, 265, 304
 კიპენბერგი კატარინა I 205, 209, 242, 243, 261; IV 308; V 268, 276
 კიპრენსკი ორესტ ადამის ძე IV 257, 355
 კირკეგორი სლორენ I 214, 259; V 70, 200
 კიტსი ჯონ I 237
 კლაარი ალფრედ V 115, 205, 206
 კლაისტი ჰაინრიჰ ფონ I 218, 224; V 55, 56, 197, 198
 კლერმონი მარი ანნა დე III 256, 331
 კლიმენტ VII რომის პაპი III 329
 კლინგერი მაქს IV 260, 339, 357
 კლოპშტოკი ფრიდრიჰ გოთლიბ I 199
 კლოსოვსკა ბალადინ („მერლინი“) I 265; V 255, 267
 კონიგი ჰერტა I 263; II 102, 309; V 271, 292
 ქ-ნი კნოოპი (ვერა ოუკამა კნოოპის დედა) II 291
 კოკაია-ფანჯიკიძე დალი I 9; V 325, 326, 340
 კოლალტო კოლალტინო დე III 324
 კოლბი ანეტე V 36, 37, 193, 219
 კოლომბი (კოლომბოსი) მიშელ IV 98, 342
 კოლომბინა III 322
 კოლონა ჯანბატისტა III 226
 კოლრიჯი სემიუელ ტეილორ V 264
 კონსტებლი ჯონ IV 20, 330
 კოპო 253
 კორეჯო II 302
 კორო კამილ IV 48, 270, 329, 335

- კოროვინი კონსტანტინ IV 261, 357
 კოტეტიშვილი ვახუშტი I 7-9, 204, 213, 217, 224, 230, 289-294;
 II 289, 307, 322-327; V 323, 324, 337, 338
 კოტრიკაძე თამარ I 10, 255, 295, 327; IV 359; V 324, 325, 338
 კრამსკოი ივანე ნიკოლოზის ძე IV 257, 260, 355, 356
 კრაპსე ჰილდებორ III 167
 კრეჩმარი I 203, 222
 კრო შარლ III 317
 კრუ ინგო დე V 256
 კუზენი ვიქტორ IV 239
 ნმ. კუნიგუნდე V 167
 კურელა ალფრედ I 264
 კუტიური თომა IV 30, 330, 329
 კუტუზოვი მიხეილ ილარიონის ძე IV 247, 351
- ლა მარში ოლივიე დე III 227, 327
 ლაბე ლუიზა I 202, 264; III 256, 258, 331; V 37, 193
 ლავანტი ქრისტინე V 199, 200, 221
 ლავატერი იოჰან კასპარ III 164, 323, 324
 ლაიდენი იოჰან ფონ IV 55, 336
 ლაკლო შოდერლო დე V 152
 ლამარტინი ალფონს დე 138, 139
 ლამპინგი დიტერ V 229
 ლანგბენი იულიუს IV 337
 ლანგენფელდი ლუდვიგ I 197, 295
 ლანკორონსკი კარლ ფონ I 230
 ლაოკოონი I 239, 240
 ლებანიძე გურამ I 10
 ლედა II 47, 302, 323
 ლევიტანი ისააკ ილიას ძე IV 260, 356
 ლევიცკი დიმიტრი გრიგოლის ძე IV 256, 354
 ლენაუ ნიკოლაუს II 224
 ლეოპარდი ჯაკომო IV 201, 348
 ლეპინასი ჟიული ელეონორ დე III 256, 331; V 169, 212, 243
 ლეპსიუსი საბინე I 257
 ლერი უისტ IV 169
 ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე V 109, 205
 ლესინგი კარლ ფრიდრიჰ IV 48, 335
 ლი-ბო IV 187, 346

ლილიენკრონი დეტლევ ფონ I 258; V 109, 115, 204, 206
 ლილიენფორსი ბრუნო IV 34, 333
 ლინგი II 224
 ლინი ფონ გრაფი III 248, 330
 ლინოსი II 89, 288, 308; V 70, 200, 281
 ლინჩი IV 131
 ლიობელი ჰენრიეტე V 73, 219
 ლისკა ვივიან V 225
 ლი-ტაი-პე II 254; III 295
 ლიხნოვსკი ფელიქს III 172, 323
 ლიხტვარკი ალფრედ IV 35, 333
 ლოოსი IV 102
 ლორანი ჟან-პოლ IV 130
 ლორენი კლოდ (კლოდ ჟელე) IV 131, 161
 ლორენსი დევიდ პერბერტ I 228
 ლოტრეამონი III 317
 ნმ. ლუდვიგი (ლუდოვიკო) III 250, 330
 ლუდოვიკ XI III 226-228, 327
 ლუდოვიკო ორლეანელი III 328
 ლუდოვიკო XIII საფრანგეთის მეფე IV 163
 ლუდოვიკო XIV საფრანგეთის მეფე III 330
 ლუქსემბურგ-ლინი პიერ დე III 330

მ. V 236

მაზაჩო IV 258, 355
 მაზონი ოიდო I 222, 271
 ნმ. მათე მახარობელი III 328
 მაიერი კონრად ფერდინანდ IV 320
 მაიერ-გრეფე იულიუს IV 320; V 191, 221
 მაკენზენი ფრიც IV 27-46, 56, 63, 76, 77, 266, 273; V 189, 219
 მალარმე სტეფან IV 138; V 98, 203
 მალიავინი ფილიპ ანდრიას ძე IV 261, 357
 მალიუტინი სერგეი ვასილის ძე IV 261, 358
 მამონტოვი ანდრეი ვასილის ძე IV 251, 353
 მანე ედუარ III 98, 320; IV 30, 180, 181, 332, 345
 მანი ოლივიე დე III 331
 მარგველაშვილი გივი I 8
 მარვიცი ბერნარდ ფონ დერ II 286, 292; V 83, 201, 219
 მარიამ ეგვიპტელი I 242; II 50, 303, 323

- მარიამ მაგდალინელი II 304
 მარიამ ღვთისმშობელი I 248, 251, 255, 262; II 75-82, 287, 305, 306, 324; III 278, 316, 322; IV 14, 92, 93, 187, 252; V 41, 194
 მარკიზი გეორგ III 228
 ნმ. მარკოზი მახარობელი IV 252
 მარსვინი ელენ III 167
 მარქსი როჟე IV 161
 მაქსიმილიან I იმპერატორი IV 248, 352
 მაჭუტაძე გიორგი III 334
 მელმოტი სებასტიან IV 159
 მელუზინა IV 92, 93, 342
 მერკიორი ელიზა III 256, 331
 მეტერლინკი მორის I 269; IV 25, 331; V 207
 მეჰტილდა მაგდებურგელი III 266, 332
 მილე ჟან ფრანსუა IV 16-18, 36, 37, 329, 330, 333, 334
 მირბო ოქტავ IV 130
 მისტრალი ფრედერიკ V 171, 213
 მიტფორდი მარიანე V 268
 მიქაელ მთავარანგელოზი III 252, 330
 მიქელანჯელო III 67-69; IV 276; V 250
 ნმ. მიხაილ ტვერელი IV 252, 353
 მნიშეკი მარინა III 222, 326
 მჰორიკე ედუარდ IV 320
 მოდერზონი ოტო II 235, 236, 238, 256, 260, 261, 263, 271; IV 32, 33, 34, 35, 36, 40, 46-63, 64, 266, 268, 270, 271, 272, 336, 337
 მოდერზონ-ბეკერი პაოლა I 259, 260, 261, 281; II 235-271, 280, 288, 284, 292, 304; III 289; IV 266, 269, 271, 272; V 29, 30, 193
 მონა ლიზა (ჯოკონდა) IV 9, 327; V 55, 197
 მონე კლოდ IV 163, 277
 მონი პოლ დე IV 349, V 230
 მონტიჩელი ადოლფ IV 195, 347
 მორგენშტერნი ქრისტიაან IV 280, 281
 მორიც საქსონელი IV 338
 მორო გუსტავ IV 260, 357
 მოსე V 195, 272
 მუზილი რობერტ I 263; II 221, 271, 327
 მუთერი რიჰარდ IV 36, 70, 71, 268, 306, 330, 331, 333, 338
 მუნკი ქრისტიაან III 167

მუშგი ვალტერ V 227
მუჰამედი V 49

ნაგაია მარია III 222, 326

ნაიტი IV 239

ნაროშვილი ლამარა IV 279, 359; V 324, 339

ნარცისი II 150, 312

ნახუცრიშვილი-ბაქანიძე ნინო I 10; III 334; V 324, 325, 338, 339

ნეკრასოვი ნიკოლოზ ალექსის ძე V 109, 205

ნიკოლოზ III რომის პაპი III 330; IV 106

ნიცშე ფრიდრიჰ I 222, 226, 257, 284; III 311; V 248

ნიშნიანიძე გიორგი I 289; V 325, 339

ნოლკე გუდი I 264

ნოაი ანა დე I 202, 260; V 243

ნოდია ოთარ I 8, 9

ნოემინი I 91, 277

ნოვალისი II 234, 271, 303; IV 278

ნოიმანი კარლ ოიგენ V 193

ნოსტიცი ჰელენე ფონ I 245

ოვიდიუსი III 331

ოვერბეკი ფრიდრიჰ IV 258, 355

ოვერბეკი ფრიც IV 63-71, 272, 355

ნმ. ოლა IV 252, 353

ონანი III 141, 322

ორლიკი ემილ V 115, 206

ორსინი ნაპოლეონ III 247, 330

ორფევსი I 216, 221, 227, 265; II 36, 129, 132, 236, 245, 251, 267, 268, 290, 301, 303, 307, 309, 311, 312, 317, 322, 325; III 277, 317; IV 150, 290, 297; V 94, 99, 106, 122, 123, 131, 140, 149-151, 157, 203, 209, 210, 263

ოსტროვსკი ალექსანდრე IV 251, 353

ოტრეპიევი გრიგორი (ცრუ დიმიტრი I) III 222, 223, 279, 326; IV 247, 351

ოუკამა კნოპი ვერა I 265; II 129, 245, 246, 291, 292, 311; V 94, 203

ოქროპირიძე სერგო I 8

პარნი ევარისტ III 317

პარციფალი IV 107

პასტერნაკი ბორის ლეონიდის ძე I 258, 266; II 321; V 135-186, 208-214

პასტერნაკი ლეონიდ I 258; V 135, 139

პელადანი ჟოზეფ (სარ პელადანი) IV 239, 349

პენეოსი II 312

პეტიტი რ. II 240

პეტრარკა II 271

პეტრე I დიდი IV 247, 256, 351

ნმ. პეტრე IV 52

პეტცეტი ჰაინრიჰ II 236

პიაცეტა ფოვანი ბატისტა IV 82, 340

პიკასო პაბლო III 318; IV 347; V 71-73, 200, 271

პისარო კამილ IV 176, 189, 192, 195, 344

პიჰლერი II 224

პლანი კარლო V 240

პო ედგარ II 226

პოლენოვა ელენა დიმიტრის ასული IV 261, 358

პოლენოვი ვასილ დიმიტრის ძე IV 251, 352, 353, 358

პოლიქსენა (მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის დეიდა) V 244-246

პომპადური ჟანა ანტუანეტა პუასონ დე 214

პონგსი ჰერმან I 203, 221; V 112, 116, 119, 205, 219

პრახოვი ა. IV 358

პრინცი კლაუს II 303

პრუსტი მარსელ I 198, 262

პტაჰ-ჰოტეპი II 181

პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე V 109, 135, 150, 205, 210

ჟამი ფრანსის III 320

ნმ. ჟან დე დიუ III 207, 325

ჟელე კლოდ (კლოდ ლორენი) IV 131, 161

ნმ. ჟენევიევა III 321

ჟერსონი ჟან შარლ III 241, 328

ჟეფრუა გუსტავ IV 134

ჟიდი ანდრე I 200, 261, 263; V 64-65, 199, 219, 250, 253, 260

ნმ. ჟულიენი (იულიანე) II 253, 254; III 136, 294, 321, 322; IV 186, 346

რ. ტერეზინა V 243, 244, 246

რაიმონდი (მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის შვილიშვილი) V 241

რაიმონდინა (მარი ფონ თურნ უნდ თაქსისის დეიდა) V 244-246

- რაინკენი ლ. ფ. II 253
 რაინჰარტი ვერნერ I 264, 265; V 204
 რაინჰარტი მაქს I 257; IV 268
 რაინჰოლდი V 66, 199
 რამბაუტ III III 331
 რაუპი კარლ IV 74
 რაფაელ მთავარანგელოზი II 285, 308
 რევენტლოვი იული გრაფინია III 198, 325
 რევენტლოვი კონრად III 107
 რემბო არტურ II 226; III 317
 რემბრანტი II 299; IV 15, 28, 29, 33, 328, 332, 337
 რენანი ერნსტ IV 166; V 248
 რეპინი ილია იეთიმის ძე I 258; IV 250, 352
 რიბო თეოდულ IV 163
 რიდინგერი იოჰან ელიას III 259, 332
 რივადანეირა პედრო დე I 242, 245; II 305; V 41, 194
 რილკე ეგონ ფონ II 154, 309, 312
 რილკე იაროსლავ I 256, 273
 რილკე იოზეფ I 256, 260; V 251
 რილკე (ვესტჰოფი) კლარა I 186, 259, 281, 287; II 235, 238, 239-242, 245, 247, 250, 261, 304; III 288; IV 97, 175-196, 266, 271, 272, 278, 306, 342; V 15, 19, 23, 29, 189, 190, 191, 219, 220, 272
 რილკე რუთი I 259, 264, 278; IV 272; V 156, 190, 220
 რილკე (ენცი) სოფი I 256; V 236
 რილკე ქრისტოფ I 273; II 300
 რინტელენი I 223
 რიურიკი IV 246, 350
 რეუკერტი II 224
 როდენბახი ჟორჟ IV 102
 როდენი ოგიუსტ I 207, 247, 252, 259, 260, 261; II 238, 240, 254, 295, 298, 303; III 277, 295; IV 97-172, 179, 187, 195, 261, 270, 271, 275-278, 306-313, 316, 317, 320, 342, 343, 352, 359; V 9-14, 16-19, 23-28, 32, 33, 54, 97, 110, 146, 154, 189, 190, 191, 192, 209, 210, 219, 220, 242, 249
 როზა ლიმელი (ისაბელ ფლორესი) III 266, 332
 როზენსპარე სტენ III 168
 როლანი რომენ I 262; V 191, 247-254
 რომანელი მიმი I 261; V 19-23, 34, 35, 36, 191, 221
 რომანელი ნანა I 261; V 20, 36

- როსეთი დანტე გაბრიელ IV 56, 337
 როტენშტაინი V 17
 როტშილდი ალფონს IV 343
 როშფორი ანრი IV 130
 რუა შარლ დე V 212
 რუბლიოვი ანდრეი IV 249, 352
 რუდი ფრანსუა IV 108, 343
 რუთი I 91, 277
 რუნგე ფილიპ ოტო IV 18-20, 24, 330, 331
 რუსო თეოდორ IV 16, 17, 329
 რუსო ჟან-ჟაკ IV 167
- სადი ლორა დე V 235
 სარ პელადანი (ჟოზეფ პელადანი) IV 239, 349
 საული (საელე) IV 181, 346
 საფო I 202; III 235, 236, 279, 332; V 31, 193
 სეგანტინი ჯოვანი IV 18, 260, 330, 357
 სეზანი პოლ I 207, 247, 252, 260; II 239-241, 254, 295; III 279, 295, 332;
 IV 175-196, 270, 271, 310, 313-315, 320, 359; V 86, 110, 190, 202
 სენ-ჟერმენი გრაფი III 195, 325
 სერვანტესი მიგელ დე საავედრა V 44, 195
 სეროვი ვალენტინ ალექსანდრეს ძე IV 261, 357
 სვედენბორგი ემანუილ III 194, 324
 სვიატოპოლკი IV 353
 სიდალი ელიზაბეტ ელინორ IV 56, 57, 337
 სინეუსი IV 350
 სინიაკი პოლ IV 357
 სირინი IV 253, 354
 სიუპერვიე ჟიულ V 131, 208, 221
 სიქსი იან IV 9, 327
 სიხარულიძე დალი I 10, 266, 295; IV 305, 359; V 189, 220, 325, 340
 სკოტი უოლტერ III 231
 სკრიბი IV 163
 სუსანა II 299
 სლევოგტი მაქს IV 74, 339
 სომოვი კონსტანტინე ანდრიას ძე IV 261, 357
 სორმა აგნეს V 56, 197
 სტამპა გასპარა I 202; II 87, 307; III 182, 256, 324; V 37, 193, 243, 279
 სტაფელდი შაკ III 231, 327

სტიუარტი მარია V 169, 212

სტრუვე ლევ პეტრეს ძე V 127, 207, 221

სტრუვე პეტრე ბერნჰარდის ძე V 207, 221

სფორა ჟორჟ პიერ IV 357

ტახო V 42

ტენი იპოლიტ ადოლფ IV 41, 334

ნმ. ტერეზა ავილელი III 266, 332; IV 150; V 37, 193

ტინტორეტო II 305

ტისენი V 16, 17

ტიციანი II 305; IV 9, 28, 37, 58, 75, 83, 327

ტობია II 89, 284, 285, 308; V 282

ტობითი II 284

ტოლერი ერნსტ I 264

ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე I 258, 259; IV 239, 255, 267, 308, 354;
V 81, 82, 119, 201, 248

ტორე პაგანო დელლა V 234

ტრეტიაკოვი პავლე მიხეილის ძე IV 249, 254, 352

ტრუგორი IV 350

ტრუტატი ფელიქს IV 40, 333

ტურგენევი ივანე სერგის ძე IV 18, 30, 31, 330, 332; V 109, 116, 205

ტურნე ჟან დე III 258, 331

უგოლინო IV 150, 169

უდე ფრიდრიჰ კარლ ფონ IV 39, 40, 334

უიტმენი უოლტ II 226

ულმანი რეგინა III 81, 318; V 267, 269

ულრიკ ქრისტიანი III 167

ულრიჰი პერცოგი III 168

ურანია II 288

ურჯლო პაოლო IV 82, 340

ფაეზი რობერტ IV 310

ფალგიერო ალექსანდრე IV 163

ფალკი ვალტერ I 238

ფანჯიკიძე დალი I 9; V 325, 326, 340

ფაშა (ალექსანდრე ფონ თურნ უნდ თაქსისი) V 49, 196, 221

ფედოტოვი პავლე ანდრიას ძე IV 257, 355

ფედრა V 182, 214

- ფეენდორფი ალისა I 260
 ფეტი ათანას V 109, 205
 ფიკერი ლუდვიგ ფონ V 68, 199, 221
 ფილიპ IV ლამაზი საფრანგეთის მეფე III 329
 ფინდორფი იურგენ ქრისტიან IV 265
 ფიორავანტი არისტოტელე IV 249, 352
 ფირდოუსი აბულკასიმ IV 76, 339
 ფიულებორნი ულრიპ IV 283, 285, 286; V 275
 ფიშერი პეტერ IV 76, 340
 ფიცხელაურ-ფარჯიანი ასმათ I 9, 289; III 334; IV 275, 359; V 189, 220, 326, 327, 340, 341
 ფლაისი ვილჰელმ V 80, 201
 ფლობერი გუსტავ II 253, 254, 295; III 136, 321; IV 186, 346
 ფოგელერი ჰაინრიპ I 258, 259, 281; II 235, 236, 305; IV 82-94, 266-268, 272, 305
 ფოგელი ჰენრიეტე V 197-198
 ფოიერბახი ანსელმ IV 16, 28, 37, 75, 76, 329, 331, 339
 ფოისტერსლებენი II 224
 ფოსკარინი ჯაკობო ვინჩენცო V 246
 ფრაილიგრატი II 224
 ფრანჩესკო ასიზელი I 279, 280; IV 84, 341
 ფრიდლენდერი საგანის პერცოგი III 90, 320
 ფრიდმანი რალფ 255
 ფრიდრიპი იმპერატორი II 302
 ფრიდრიპ III V 234
 ფრიდრიპ IV III 107, 320
 ფროიდი ზიგმუნდ I 257, 262
 ფრუასარი IV 132, 133
 ფუა გასტონ ფეზ გრაფი III 250, 330
 ფუჟე კაროლინა ფილიპინა დე ლა მოტ V 56, 197
 ფუჟე ფრიდრიპ დე ლა მოტ V 56, 197
 ფულდა ლუდვიგ II 226, 227
 ქვალენი ბენედიქტა ფონ III 264, 332
 ქლოდვიგი მეფე III 91, 320
 ნმ. ქრისტეფორე V 26, 42, 194
 ქრისტიან I დანიის მეფე III 322
 ქრისტიან IV დანიის მეფე III 167, 203, 204, 323, 325
 ქრისტიან V დანიის მეფე III 322

ქრისტინე (რილკეს შვილიშვილი) V 156, 185,
ქრისტინე პიზანელი III 244, 329; V 207

ყარალაშვილი რეზო I 7

შადოვი ფრიდრიჰ ვილჰელმ ფონ IV 73, 339
შავანი პიერ პიუვი დე III 321; IV 16, 130, 169, 329
შამილი გრაფ დე III 324; V 38, 39, 192
შანდივერი ოდეტა დე (Parva regina) III 241, 328
შარდენი ჟან ბატისტ IV 175, 176, 344
შარლ ლე ტემერერი (შარლ ვალუა) IV 187, 346
შელი პერსი ბიში I 237
შერი ალფრედ V 108, 204, 221
შეფელი II 224
შეფსბერი IV 239
შექსპირი უილიამ IV 48, 49; V 254
შვარცი ეგონ V 227
შვერინი ლუიზე გრაფნია I 260; II 246, 250; V 196, 197
შიკელე რენე IV 268
შილერი ფრიდრიჰ III 231
შირმერი იოჰან ვილჰელმ IV 48, 334
შნაკი ინგებორგ II 238
შნიცლერი არტურ I 258
შოლცი ვილჰელმ ფონ I 270; V 117
შოლცი ირმგარდ ფონ I 270
შრენკ-ნოტცინგი ალბერტ ფონ V 57, 58, 198
შროდერი მართა IV 271
შროდერი რუდოლფ ალექსანდერ IV 268
შტაინერი რუდოლფ V 209
შტალი აუგუსტ I 287; II 321; III 333
შტაუფენბერგი ვილჰელმ V 257
შტერნი რაინჰარდ მაურის ფონ V 117, 206
შტილერი ოიგენ ფონ IV 40
შტორკი იოჰაჰიმ V 255, 268
შტორმი თეოდორ IV 60, 337
შტორმი ივან IV 353
შტრაუსი დავიდ ფრიდრიჰ IV 258, 355
შუისკი ვასილ III 223, 326

შულერი ალფრედ I 263; V 269, 270, 271
შუმოვი V 154

ჩისტიაკოვი პავლე პეტრეს ძე IV 250, 352
ჩხეიძე გაგა I 230, 295; V 328, 341

ცელანი პაულ V 226, 228
ცვაიგი შტეფან I 231, 295; IV 276; V 247, 249, 252, 253, 276
ცვეტაევა მარინა ივანეს ასული I 266; II 215 321, 327; IV 296;
V 136-186, 208-214

ცინი ერნსტ III 319
ცინცაძე ხათუნა I 9
ცედლიცი II 224
ცელესტინი რომის პაპი III 330

ხუციშვილი ნათელა I 9, 284, 288, 289, 296; III 334; V 327, 328, 332,

ჯავოტო ანა ლუჩია I 238, 295
ჯაყელი ლია I 9, 289, 292-294; II 322-324; V 328, 329, 334
ჯინორია ოთარ I 8
ჯოკონდა (მონა ლიზა) IV 9, 327; V 55, 197
ჯორჯონე IV 75, 339
ჯოტო IV 248, 351

ჰააზ-ჰაიე ოტო III 319
ჰაიგროტი რობერტ ჰაინც I 271; V 85, 87, 201, 221
ჰაიდეგერი მარტინ I 220, 265, 292
ჰაიდი კარლ ფონ დერ V 53, 196-197
ჰაიმელი ალფრედ V 267
ჰაინე ჰაინრიჰ I 197, 199
ჰამბურგერი კეტე II 315
ჰანს ულრიკი III 167
ჰარდენბერგი II 222
ჰატინგბერგი მაგდა ფონ (ბენვენუტა) I 253, 262; V 59, 60, 198,
217, 256, 258, 259
ჰაუპტმანი გერჰარდ I 259; II 227; IV 268; V 109, 205, 247
ჰაუპტმანი კარლ IV 268, 269
ჰაუპტმანი მანფრედ IV 266
ჰებელი II 222

- შეკინგი ალექსანდრე IV 32, 56
 შელინგრატი შტეფან ნორბერტ I 263; II 286; V 269, 270
 შელმჰოლცი IV 239
 შეპნერი ლოტე V 77, 81, 200, 201, 221
 შერაკლე III 260
 შერბერტი (დოქტორი) V 271
 შერდერი იოჰან გოთლიბ I 223; V 272
 შერმესი II 36, 251, 267, 268, 301, 322; V 261, 262, 263
 შესენი ელეონორა ფონ შერცოგინია II 315
 შესენი ელის ფონ II 186, 315
 შესენი ერნსტ ლუდვიგ ფონ II 315
 შესენი ლანდსგაფი III 324, 325
 შიუგო ვიქტორ IV 113, 127, 130, 131, 150, 169, 343
 შიუნიჰი ფრიც ადოლფ V 85-87, 201, 221
 შოლდერლინი ფრიდრიჰ I 12, 206, 219, 226, 227, 229, 263; II 222, 265, 266, 271, 283, 284, 285, 286; III 302; V 258, 270
 შოკუსაი კაცუშკა II 254; III 295; IV 10, 187, 327
 შოლბაინი ჰანს IV 37, 333
 შოლთჰუზენი ეგონ I 222; II 237
 შოლკი შენრიკ III 167
 შოლცაჰფელი იოზეფ მიჰაელ IV 74
 შომეროსი IV 247 350
 შორაჩეკი IV 199, 203, 348
 შოფმანი ერნსტ თეოდორ ამადეუს V 44, 195
 შოფმანსტალი ჰუგო ფონ I 258, 261; II 227; IV 175; V 109, 117, 205, 247, 277
 შრინც ფონ შომბურგი V 56, 197
 შულევიჩი ვიტოლდ I 220, 225; V 122, 207, 221
 შუსერლი ედმუნდ II 315; III 281

სარჩევი

პირადი მიმონერიდავ

ლუ ანდრეას-სალომეს, 1903 წლის 8 აგვისტო.	9
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
კლარა რილკეს, 1906 წლის 26 იანვარი.	15
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ოგიუსტ როდენს, 1906 წლის 12 მაისი.	16
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
მიმი რომანელის, 1907 წლის 26 ნოემბერი.	19
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
მიმი რომანელის, 1907 წლის 8 დეკემბერი.	21
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
მიმი რომანელის, 1908 წლის 18 იანვარი.	22
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
კლარა რილკეს, 1908 წლის 3 სექტემბერი.	23
<i>თარგმნა დ. ფანჯიკიძემ</i>	
სიდონი ნადჰერნი ფონ ბორუტინს, 1908 წლის 5 სექტემბერი.	27
<i>თარგმნა დ. ფანჯიკიძემ</i>	
კლარა რილკეს, 1908 წლის 4 სექტემბერი.	29
<i>თარგმნა დ. ფანჯიკიძემ</i>	
ოგიუსტ როდენს, 1908 წლის 29 დეკემბერი.	32
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
მიმი რომანელის, 1910 წლის 5 იანვარი.	34
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
მიმი რომანელის, 1910 წლის 11 მაისი.	35
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
ანეტე კოლბს, 1912 წლის 23 იანვარი.	36
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ლუ ანდრეას-სალომეს, 1912 წლის 24 იანვარი.	40
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1912 წლის 13 ნოემბერი.	41
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1912 წლის 17 ნოემბერი.	44
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	

მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1912 წლის 17 დეკემბერი.....	48
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ლუ ანდრეას-სალომეს, 1913 წლის 6 იანვარი.....	52
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
კარლ ფონ დერ ჰაიდს, 1913 წლის 15 მარტი.....	53
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1913 წლის 27 დეკემბერი.....	55
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ბენვენუტას, 1914 წლის 26 იანვარი.....	59
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ბენვენუტას, 1914 წლის 1 თებერვალი.	60
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ანდრე ჟიდს, 1914 წლის 18 თებერვალი.	64
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
ლუ ანდრეას-სალომეს, 1914 წლის 20 თებერვალი.....	65
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ლუდვიგ ფონ ფიკერს, 1915 წლის 9 თებერვალი.....	68
<i>თარგმნა ნ. გელაშვილმა</i>	
ლუდვიგ ფონ ფიკერს, 1915 წლის 15 თებერვალი.....	70
<i>თარგმნა ნ. გელაშვილმა</i>	
მარიანე ფონ გოლდშმიდტ-როტშილდს, 1915 წლის 28 ივლისი.	71
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ჰენრიეტე ლიობელს, 1915 წლის 20 აგვისტო.....	73
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ელენ დელუს, 1915 წლის 22 აგვისტო.	74
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ელენ დელუს, 1915 წლის 27 ოქტომბერი.....	76
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ლოტე ჰეპნერს, 1915 წლის 8 ნოემბერი.	77
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ბერნჰარდ ფონ დერ მარვიცს, 1918 წლის 9 მარტი.....	83
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
რობერტ ჰაინც ჰაიგროდტს, 1921 წლის 24 დეკემბერი.	85
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ილზე ბლუმენტალ-ვაისს, 1921 წლის 28 დეკემბერი.....	88

<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
მარი ფონ თურნ უნდ თაქსისს, 1922 წლის 11 თებერვალი.	92
<i>თარგმნა ნ. გელაშვილმა</i>	
ლუ ანრეას-სალომეს, 1922 წლის 11 თებერვალი.....	93
<i>თარგმნა ნ. გელაშვილმა</i>	
ე. დე ვ-ს, 1922 წლის 20 მარტი.....	95
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
რუდოლფ ბოდლენდერს, 1922 წლის 23 მარტი.	99
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ილზე იარს, 1923 წლის 22 თებერვალი.	103
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ნანი ფონ ეშერს, 1923 წლის 22 დეკემბერი.	105
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ალფრედ შერს, 1924 წლის 26 თებერვალი.	108
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ჰერმან პონგსს, 1924 წლის 17 აგვისტო.	112
<i>თარგმნა დ. ფანჯიკიძემ</i>	
ჰერმან პონგსს, 1924 წლის 21 ოქტომბერი.....	119
<i>თარგმნა დ. ფანჯიკიძემ</i>	
ვიტოლდ ჰულევიჩს, 1925 წლის 13 ნოემბერი.....	122
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ლევ სტრუვეს, 1926 წლის 25 თებერვალი.....	127
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
ახალგაზრდა მეგობარ ქალს, 1926 წლის 17 მარტი.	129
<i>თარგმნა ნ. გოგოლაშვილმა</i>	
ჟიულ სიუპერვიელს, 1926 წლის 21 დეკემბერი.....	131
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
ქ-ნ ნიმე ელუი ბეა-ს.....	132
<i>ფრანგულიდან თარგმნა მ. ბაქრაძემ</i>	
რ. მ. რილკეს, ბ. პასტირნაკისა	
და მ. ცვიტაივას მიმომხარიდან	135
<i>თარგმნა ნ. გელაშვილმა</i>	

კომენტარები

პირადი მიმონერიდან.....	189
რ.მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევის მიმონერიდან....	209
წერილების ადრესატთა შესახებ.....	217

რილკეს შესახებ

ვივიან ლისკა: გიყვართ რილკე?.....	225
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
მარი ფონ თურნ უნდ თაქსისი: მოგონებები რაინერ მარია რილკეზე (ფრაგმენტები).....	232
<i>თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
რომენ როლანი: რილკეს (მისი მეზობლის მოგონებები).....	247
<i>ფრანგულიდან თარგმნა თ. კოტრიკაძემ</i>	
რალფ ფრიდმანი: ერთსა და იმავე დროს ყოფნაც და არყოფნაც რაინერ მარია რილკე და ლულუ ალბერტ-ლაზარი.....	255
<i>თარგმნა ლ. დადიანმა</i>	

დანართი

რ. მ. რილკე. დუინური ელეგიები.	279
<i>თარგმნა ლ. დადიანმა</i>	

მთარგმნელთა ბიოგრაფიები

მთარგმნელთა ბიოგრაფიები.....	317
Biografien der Übersetzer.....	333
რჩეული ბიბლიოგრაფია ქართულ გერმანულ, და რუსულ ენებზე	345

პირთა საძიებელი

ხუთტომეულის	353
-------------------	-----

შეცდომის გასწორება

რაინერ მარია რილკეს ხუთტომეულის I ტომში ლექსის „ამ ბაღ-ნარებში მეფეთ მეფენი“ — კრებულიდან „ჟამნი“, თარგმანი ეკუთვნის ჯემალ აჯიაშვილს.